პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
K 52.894/3

899.962 1/03

გაღვაკლილი ფანჯარა

რომანი

საქართველოს სსრ
სახელმწიფო გამომცემლობა
თბილისი · 1944

К52.894
3

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორი შ. რადიანი

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ
ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ
2000

ეროვნული ბიბლიოთეკა

გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედება

გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ტ ა ბ ი ძ ე თანამედროვე ქართული პოეზიის სახელოვანი წარმომადგენელია. მან სამართლიანად დაიმსახურა საპატიო ადგილი ლექსის გამოჩენილ ოსტატთა რიგებში. იგი ჭეშმარიტად შესანიშნავი ლირიკული პოეტია, რომლის შემოქმედებაც, მართალია, ადრე დაკავშირებული იყო სიმბოლიზმთან, მაგრამ ვერ თავსდებოდა ამ ლიტერატურული მიმართულების ფარგლებში და პირდაპირ უკავშირდებოდა მეცხრამეტე საუკუნის ქართულ კლასიკურ პოეზიას.

ქართულ პოეზიაში გ ა ლ. ტ ა ბ ი ძ ე მ გამოავლინა ახალი გზა, შეიქნა ახალი პოეტური კულტურის ფუძემდებელი. მან ორგანიულად შეაერთა ევროპიული და ქართული პოეზიის საუკეთესო ტრადიციები (განსაკუთრებით რომანტიზმის პერიოდიდან), კრიტიკულად გადაამუშავა და განავითარა, აიყვანა ახალ საფეხურზე. მის ლექსებს ახასიათებს გრძნობის სიმდიდრე, სიღრმე და სიწრფელე, განცდათა სიუხვე, ფორმის მრავალფეროვანება და სისრულე, უნაზესი მუსიკალური ბგერადობა, რითმების ნაირნაირობა და სილამაზე. მისი პოეზიის ერთერთი შესანიშნავი თვისებათაგანი მდგომარეობს იმაში, რომ მას შეუძლია მთელი სისრულით გადაგვიშალოს თავისი სული, გადმოგვცეს თავისი განწყობილებისა და გრძნობის ყველა ნიუანსი.

გ ა ლ. ტ ა ბ ი ძ ი ს ლირიკა, რომელიც მკითხველს ყოველთვის აჯადოვებდა გრძნობის სიღრმით და გულწრფელობით, ადამიანური ხმის ბუნებრიობით, კლასიკური სისადავით და მხატვრული მანერის უაღრესი ორიგინალობით, თავის დროზე, რევოლუციამდე გამოხატავდა შედარებით პროგრესიულად განწყობილი ინტელიგენტური ფენების პროტესტს ბურჟუაზიულ-თვითმპყრობელური წყობილების წინააღმდეგ, საზრდოობდა ძველი ცხოვრებისადმი განხეთქილების თემით. აქედან მომდინარეობს მისი ლექსების რომანტიკული პათეტიკა, ავტობიოგრაფიული სიმართლე, ამაღელვებელი და უდიდესი ზემოქმედების მომხდენი ლირიკული ძალა.

გ ა ლ. ტ ა ბ ი ძ ი ს შემოქმედებაში თავიდანვე მოცემული იყო ელემენტები ოპოზიციური, საპროტესტო დამოკიდებულე-

ბისა ბურჟუაზიული საზოგადოებისადმი, დაპირისპირება ძველი სოციალური წყობილებისადმი, მისწრაფება სხვაგვარი, უკეთესი სასიცოცხლო წესების შექმნისა. მაგრამ პოეტის ეს ოპოზიცია, ისევე, როგორც მისი დადებითი გატაცებები, ჩვეულებრივად მჟღავნდებოდა სიმბოლისტურ ფორმებში. გალ. ტაბიძემ ვერ დააღწია თავი „დეკადანსის“ ავადმყოფობას, რაც გავრცელებული იყო რეაქციის პერიოდის ლიტერატურასა და ხელოვნებაში. შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდის არც ერთ მწერალს ქართულ ლიტერატურაში არ განუცდია ისე ტრაგიკულად ლიტერატურის დაშორება ცხოვრებისაგან, ხალხისაგან, როგორც ეს განიცადა გალ. ტაბიძემ. მისი შემოქმედებითი გზა გამსჭვალული იყო შინაგანი დრამატიული კონფლიქტებით, მისწრაფებით განთავისუფლებულიყო იდეალისტურად შეფერადებული მსოფლმხედველობისაგან, დაეძლია დაშორება ცხოვრებისაგან და გამოსულიყო რეალისტური ხელოვნების დიდ გზაზე, რომელიც ფართედ და სიმართლით ასახავდა სინამდვილეს.

* *

გალ. ტაბიძემ ვრცელი, წინააღმდეგობებით აღსავსე შემოქმედებითი გზა განვლო. განსაკუთრებულ სოციალ-პოლიტიკურ ატმოსფეროში მოუხდა მას სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა. ეს იყო პერიოდი, რომელიც მოჰყვა 1905 წლის რევოლუციის დამარცხებას. დაცემულობის საერთო ატმოსფერომ გავლენა იქონია გალ. ტაბიძის განწყობილებასა და აზრებზე, მისი შემოქმედების ხასიათზედ. ჩამობნელებულ საზოგადოებრივ გარემოცვაში მან ვერ განსჭვრიტა მომავლის ნათელი პერსპექტივა და ამიტომ უიმედობისა და სკეპსის რკალში მოექცა. გაზაფხულის დღეებს ზამთრის სუსხიანი დღეები მოჰყვა და ყოველივე შავი ბურუსით დაიფარა. სუსხიანი დღეების დასაწყისში პოეტს კიდევ სწამდა, რომ დიადი გაზაფხულის დღეები კვლავ დაბრუნდებოდა, მაგრამ გადის დრო და მისი მობრუნების იმედი სუსხმა დააჭკნო.

ხალხის დამარცხებამ, სამშობლო ქვეყნის მძიმე მდგომარეობამ გალ. ტაბიძე გამსჭვალა სევდისა და მწუხარების გრძნობით. შეიძლება ითქვას, რომ ეს განწყობილება მისთვის არ იყო „მოდური“ თემა, ის პოეტის ღრმა გულწრფელობისა და განცდის საფუძველზე იყო აღმოცენებული, წარმოადგენდა საზოგადოებრივი მოვლენების ღრმა შინაგან გამოძახილს.

ყმაწვილ-კაცობა, სიხალისე, სიცოცხლე გულის,
ისე გამიქრა, ვით ბურუსი... როგორ ვეწამე!
მქონდა მიზანი... ბრძოლა იყო გზა მისი მცნების,
მაგრამ კაცთ გესლით დავუძლურდი და მოვიშხამე!..

ახალგაზრდათა დაცემის და დაუძლურების,
ახალგაზრდათა მწუხარების მე ვარ მოწამე,
მეც იმათ შორის უკურნებელ წყლულებით ვკვდები...

ასე გაუქრო პოეტს „სიცოცხლის დილის სიხალისე“ შავმა დრომ და „მწუხარების“ გრძნობით აავსო მისი გული. „ახალგაზრდათა დაცემისა და დაუძლურების“ მოწამე პოეტი თავისი ქნარის კვნესით გამოსთქვამდა განსაზღვრული საზოგადოებრივი ფენების განწყობილებას.

გალ. ტაბიძისათვის დამახასიათებელი ხდება რომანტიკული მწუხარება, მოთქმა ცხოვრების არარაობაზე და უიმედობა; იგი მიილტვის უსაზღვრო სივრცეებისაკენ, ცის სილაჟვარდეში ეძიებს მიუწვდომელს, ეტრფის უძილო ღამეებს. მხოლოდ ერთად-ერთი აზრით იყო ამ დროს პოეტი გამსჭვალული: ადამიანის ბუნება განსაზღვრულია, ადამიანი სუსტი არსებაა, ის განმარტოებულია, ადამიანის ამ ქვეყნად ყოფნა ნიშნავს იმას, რომ ის მუდამ ღრმა უფსკრულის პირად იდგეს.

გალ. ტაბიძეს მთელი სიმძაფრე შეაქვს თავის სულიერი მდგომარეობის გადმოცემაში. იგი დაუფარავად ლაპარაკობს ძველი ცხოვრებისაგან გამოწვეული მწუხარებისა და ტკივილების შესახებ. მისთვის ცხოვრებაში ყოველი წუთი სავსე იყო „უმძაფრეს შხამით“, მისი სული იყო „დაწეწილი მწარე ქარებით“, „არ არის ბედნიერება“ მისთვის, სიხარული და სიამოვნება მიუღწეველი ამბავია ამ ქვეყნად. „ბუნებავ ტრფობის წმინდა ყვავილი, რომ დამაბარე, ვერსად ვერ ვპოვე, ბედნიერება ჩემთვის არ არის, ბედკრული შვილი გამომიგლოვე“. პოეტს აშინებდა სინამდვილე თავისი სისასტიკით, „იდეალური“ ესთეტიკური ნორმების დარღვევით; სიყვარული, რომლისაკენაც მიისწრაფოდა იგი, მიუღწეველი ოცნება შეიქნა: „დღესაც მარტო ვარ, სიყვარულის არ მესმის ნანა, ჩემთვის მარტოდენ უდაბნოა მთელი ქვეყანა“. გალ. ტაბიძე არავის არ უმჟღავნებდა თავის სევდას და არც არავის შეეძლო მისთვის შველა. იგი დამწუხრებულია, რომ თავის გაზაფხულს, ახალგაზრდული აღფრთოვანების წლებს ვეღარ იხილავს, აღტაცების დრო სამუდამოდ გაჰქრა და ბედნიერებას ვეღარ ეღირსება. მოგონებათა შორის, რომელნიც პოეტის წარმოდგენაში იღვიძებენ, ყველაზე დამამწუხრებელია მოგონება განუხორციელებელი ოცნებისა, დაკარგული დღეებისა.

მწუხარებით გამსჭვალული პოეტი ეძიებს განმარტოებას, მიისწრაფის მთვარიან ღამისა და სასაფლაოსაკენ, რათა სავსებით გადავიდეს ოცნებაში. იგი ჰქმნის ღამისა და მთვარის პოეზიას. ნაღველი, რომელმაც შეიპყრო პოეტი, გაუგებარი იყო

მეგობრებისათვისაც კი, მხოლოდ ღამემ იცოდა მისი საიდუმ-
ლოება:

> რა იციან მეგობრებმა თუ რა ნაღველს იტევს გული,
> ან რა არის მის სიღრმეში საუკუნოდ შენახული...
> მხოლოდ ღამემ, უძილობის დროს სარკმელში მოკამკამემ,
> იცის ჩემი საიდუმლო, ყველა იცის თეთრმა ღამემ,
> იცის — როგორ დავრჩი ობლად, როგორ ვევნე და ვეწამე,
> ჩვენ ორნი ვართ ქვეყანაზე: მე და ღამე, მე და ღამე!

ეს სიტყვები ამოზრდილია პოეტის სულისაგან ისევე, როგორც ყვავილი და ბალახი — ნიადაგისაგან. ამ სტრიქონებში მოისმის უიმედობასა და სევდაში გადასული პიროვნების გულისცემა და ნერვების ცახცახი. განაწამები პოეტისათვის ღამე არა მარტო „სულის“ მესაიდუმლე, დამშვიდების წყაროა, მსგავსად რომანტიკოს პოეტებისა, არამედ — შემოქმედების პირობაც. როგორც ცნობილია, რომანტიკოს პოეტის წარმოდგენით, ღამე ჰფარავს ადამიანისგან გარშემო არსებულ სამყაროს, აიძულებს მას ძალაუნებურად ჩაღრმავდეს თავისთავში. ამ შემთხვევაში, თავისთავის თვითშეგრძნება და განცდა სიბნელისა უშუალოდ ერწყმის ერთმანეთს. ნ ო ვ ა ლ ი ს ი ამბობდა, რომ ღამე უფრო სასიამოვნოა განვითარებული და საკუთარ ფიქრებში ჩაფლული პიროვნებისათვის, რადგან ის ამცირებს სამყაროს მოცულობას და პიროვნებას აიძულებს იფიქროს მხოლოდ თავის თავზედო. „ჰიმნებში“ ნ ო ვ ა ლ ი ს ი ღამეს უწოდებს „წმინდას, გამოუთქმელ საიდუმლოს“.

ღამესა და მარტოობას უკავშირდება მესამე მომენტიც, რომელიც პოეტის სულის თანმხლებელია და რომელსაც უმჟღავნებს თავის განცდებს — ეს ბუნებაა. ბუნების მოვლენები თითქოს უშუალოდ გადადიოდნენ პოეტების სულში და ჰქმნიდნენ ერთიან განწყობილებას. ბუნების სურათები ხდება პოეტის შინაგანი მდგომარეობის სიმბოლიზაციის საშუალება, სულის პეიზაჟი. ბუნება მას არ ემსახურება დეკორაციად, რომ ამ გზით ნაწარმოებში მიაღწიოს მხოლოდ ფერადოვნებას. იგი არ აგვიწერს ბუნებისა და საგნების გარეგან ფორმებს, არამედ ღრმად ითვისებს იმას, რასაც უწოდებთ ბუნებისა და საგნის სულს. მისი შეხედულება ბუნებაზე, მის მიერ მიღებული შთაბეჭდილება ბუნებისაგან გამოირჩევა რთული ხასიათით. ცხოვრებასა და ბუნებას იგი ყოველთვის თავისი განწყობილების მიხედვით მსჭვალავს, აძლევს მას ნიშანს, თვისებას თავისი საკუთარი სულისა. ხატავს რა საგნებს, გ ა ლ. ტ ა ბ ი ძ ე, ამით არსებითად თავისთავსაც ხატავს. ამიტომაც ასე ხშირადაა მის ლექსებში მოწყენილი შემოდგომა, როდესაც მზის მხურვალება გამქრალია, როდესაც სიყვითლე იპყრობს ყველაფერს, როდესაც ყოველივე ნორჩი და ჯანსაღი გვემშვიდობება, ან, კიდევ, ზამთარი, როდე-

საც თოვლისა და ყინვის სუსხის ქვეშ არის ყოველივე მოქცეული, როდესაც სამარისებური სიჩუმე იპყრობს ყველაფერს. გაზაფხული და ზაფხული, ბუნების გამოღვიძებისა და აყვავების ხანა, მხურვალე მზე, სიმწვანე და სიხარული ნაკლებად იტაცებდა პოეტს. იშვიათი ოსტატობით გადმოგვცემს გალ. ტაბიძე მოწყენილ ბუნებას. იგი უმთავრესად ეტანება ისეთი სურათების წარმოდგენას, სადაც განსაკუთრებით მოსჩანს ბუნების სიმკაცრე. დამახასიათებელია ამ მხრით მისი შესანიშნავი ლექსი — „ატმის ყვავილები". თაიგულივით იდგა ატმის ხე, დატვირთული მშვენიერი, ნაზი ყვავილებით, რომელსაც უთრთოდა სული „შორით მოსული გაზაფხულის სხივით და ნამთა მძივით გარემოცული"; ატმის ხე შლილი „ოცნებას ჰგავდა, როცა ღელავდა მზით აღშურვილი"...

მაგრამ ეწვია ატმის ხეს ქარი
და ფრთა მედგარი შემოახვია,
ახლაც ატყვია ხეს განაბზარი,
ყვავილთა ღვარი რომ დააფრქვია.
როგორც პეპლები მშვიდი და ფრთხილი,
შემდეგ აშლილი და აფრენილი —
გადაცვენილი ატმის ყვავილი
იყო დაღლილი და მოწყენილი.

ატმის ხე გაძარცულია, მისმა ყვავილებმა „წითლად დაფარა ბაღის ბილიკი". პოეტისათვის ეს სურათი ხდება პირადი მდგომარეობის ანარეკლი, მასაც შემოეცალა სიცოცხლის ძალა. მისი ყოფნა მწუხარების სახით დაეფინება ცხოვრების ბილიკზე და ისიც მოსთქვამს:

მე აღარ ვდარდობ... რა მსურს, რას ველი?
ვით მზის ნათელი და ღამის ჩრდილი
მეფობს სიკვდილი ჭკნობის მსურველი!
გაჰქრა სურნელი, დასჭკნა ყვავილი!

გალ. ტაბიძე პირდაპირ, უშუალოდ შედის ბუნების ინტიმობაში და ამიტომ მოვლენათა და საგანთა სახე მკითხველის წინაშე ისახება დიდი მხატვრული მგზნებარებით.

* *

გალ. ტაბიძის რევოლუციამდელი შემოქმედების მოტივები უცილობელი წინააღმდეგობითაა გადახლართული. ჩვენ დავინახეთ, რომ სევდით და უიმედობით შეპყრობილი პოეტი, გამოსავალს ცხოვრებიდან გაქცევაში ხედავდა. იგი გაურბოდა ადამიანებს, მაგრამ მისი გულის სიღრმეში მაინც იყო იმედის ნაპერწკალი. ამ ნაპერწკალს იგი ფარულად ატარებდა, მას სწამდა,- რომ ბედი, რომელსაც იგი ეტრფის, ცოცხალია. ამიტომაა, რომ მთელ რიგ ლექსებში მას აქვს სამყაროს ათვისების ინდივიდუალისტურ-მისტიკურ რკალიდან გამოსვლის ცდები, უიმედობისა და გულგატეხილობის გვერდით მის პოეზიაში მოისმის

ომედიანობის ხმები, იგი ამშვიდებდა თავის გულს, მას სჯეროდა სიყვარულის დაბრუნება. იგი სწერს ისეთ ლექსებსაც, რომლებშიც ცდილობს უკუაგდოს სიმშვიდისა და მყუდროების სულისკვეთება, რათა შეებას გრიგალს და მოუწოდოს ქარიშხალს:

ამ სიმშვიდეში მე ვერ ვპოვე ვერც სიტკბოება,
ვერც რამ ისეთი სასიცოცხლო და სანეტარო,
დაჰქროლე ქარო, მე არ მიყვარს ეგ მყუდროება,
მე ქარიშხალთან შებმა მინდა, დაჰქროლე ქარო...

ეს სიტყვები უკვე გულისხმობდა ცხოვრების წინააღმდეგობათა ბრძოლის გზით გადალახვის მოთხოვნილებას. პოეტს სწყურია თავისუფლება, რევოლუცია. მან იცის, რომ რევოლუცია თავისუფლების ფორმულაა, რომელიც სევდისაგან შებოჭილს სულს გაანთავისუფლებს და ააღორძინებს გრძნობათა და ოცნებათა ძლიერ ქნარს. პოეტის შეგნებაში თანდათან მტკიცდება ხალხისადმი სამსახურის იდეა და სწრაფვა.

როგორც ვხედავთ, უკიდურეს უიმედობასა და მწუხარებაში გადასულ გალ. ტაბიძის შემოქმედებაში ძალუმად მეღავნდებოდა საზოგადოებრივი იდეალისადმი სამსახურის სურვილები, ცხოვრებისა და სინამდვილის რეალისტური ათვისების გზები. ეს ხაზი განვითარდა შემდეგში მის ლირიკაში, რამაც იგი მიიყვანა რევოლუციასთან.

გალ. ტაბიძის ნიჭის დიდი ლირიკული ძალა, უჩვეულო გულწრფელობა მისი პოეზიისა, შეუნელებელი ლტოლვა კაპიტალისტური საზოგადოებრიობისაგან დაშორებისა, აქტიური ბრძოლა დაცემული ბურჟუაზიული ხელოვნების იმ თვისებებთან, რომლის გავლენასაც თვითონაც განიცდიდა, მისწრაფება, რათა გამოსულიყო რეალისტური ხელოვნების გზაზე, ხდის მის რევოლუციამდელ შემოქმედებას მნიშვნელოვან მოვლენად XX საუკუნის ქართულ პოეზიაში.

* *

გალ. ტაბიძე სინამდვილეს, ცხოვრების მოვლენებს მხოლოდ და მხოლოდ სავსე ლირიკული სახეების ფორმაში ითვისებს. მას არ ახასიათებს ეპიკური, ან, დრამატიკული საწყისები, მისთვის ნიშნეული მხოლოდ ლირიკული თხრობის სრული ინტონაციაა. ამიტომ მისი საუკეთესო ლექსები ყოველთვის მოკლეა, ჩამოსხმულია ოქროს ერთი ზოდისაგან. განყენებული იდეები მასში ვერ პოულობს მანამდე გამოძახილს, სანამ არ გახდება ის მისი ქვეყნისადმი, ან, ამა თუ იმ მოვლენისადმი დამოკიდებულობის ორგანიულ ელემენტად. მისი ლექსები გამსჭვალულია უნაზესი განცდებით, ჩამოსხმულია სრულყოფილ პოეტურ ფორმაში.

გ ა ლ. ტ ა ბ ი ძ ი ს პოეზია მოკლებულია თვითმყოფად ფორმალისტურ ექსპერიმენტებს, რაც ასე იყო დამახასიათებელი მრავალი მისი თანამედროვე პოეტისათვის. მის ლექსებში ფორმალური თავისებურებანი ყოველთვის მოტივირებულია შინაარსით, დაკავშირებულია ნაწარმოების მთლიანობასთან; თემის ორიგინალობა, ფერებისა და სახეების სიდიადე, ლექსის მუსიკა შერწყმულია იდეალურ პოეტურ მშვენებაში. მის განკარგულებაშია პოეტური ხელოვნების ყველა საშუალებისა და საიდუმლოების ცოდნა, მათი დაუფლების გზები; იგი დაჯილდოვებულია იშვიათი რიტმის გრძნობით, ყოველ ახალ ლექსში გვაძლევს განუმეორებელ სახეებს. მისი პოეზიისათვის დამახასიათებელია ფერებისა და ბგერების ჰარმონია. მას თავისუფლად ემორჩილება სიტყვა, ფრაზა. მკითხველს მის ლექსებში ხშირად აკვირვებს სიტყვების თავისებური და ლამაზი განლაგება, სიტყვებისაგან იგი ჰქმნის მთელ მოზაიკას.

გ ა ლ. ტ ა ბ ი ძ ი ს ლექსები აგებულია მელოდიურობის საფუძველზე. მელოდიურობის მრავალფეროვანებით XX საუკუნის ქართველ პოეტებიდან მას თითქმის ვერავინ შეედრება. მისი ლექსებისათვის დამახასიათებელია უაღრესი გაქანება და ელასტიურობა. იგი მიჰყვება ვ ე რ ლ ე ნ ი ს ცნობილ პოეტურ ლოზუნგს „მუსიკა უპირველეს ყოვლისა“, მუსიკას უმორჩილებს ყველა დანარჩენ ელემენტს ლექსში. რიტმიკული და ფონეტიკური ხასიათის უნაზესი მუსიკალური ბგერადობა,—აი, თუ შეიძლება ასე გამოითქვას, შეადგენს გ ა ლ. ტ ა ბ ი ძ ი ს ლექსების სულს. ჯერ კიდევ რ. ვ ე ს ტ ფ ა ლ ი მიუთითებდა, რომ „სიტყვა „პოეტი“ ბერძნებისათვის ნიშნავდა არა მარტო ლექსის მთხზველს, არამედ კომპოზიტორსაც. თხზავდნენ რა პოეტები თავიანთ ლექსებს, მათ მხედველობაში ჰქონდათ ჰანგი, რომელზედაც დაამღერებდნენ ამ ლექსებს. ამიტომ ისინი ერთდაიმავე დროს ჰქმნიდნენ ლექსსაც და ჰანგსაც. ლექსი და ჰანგი წარმოიშვა ერთად, ერთი შემოქმედებითი აქტის შედეგად... პინდარი, სიმონიდე, ესქილე, სოფოკლე იყვნენ არა მარტო დიდი პოეტები, არამედ ამავე დროს საუკეთესო კომპოზიტორებიც“. ძველად ლირიკულ ლექსს კი არ კითხულობდნენ, არამედ მღეროდნენ. შემთხვევითი როდია, რომ ეხლაც ლირიკულ ლექსს ხშირად უწოდებენ სიმღერას (მაგალითად, ხალხურ პოეზიაში). ლირიკულ ნაწარმოებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლექსის მუსიკა, რიტმი, რომელშიდაც მიმდინარეობს და ჩქეფს სიტყვიერი ნაკადი. ეს მუსიკა არის ლექსის არა უბრალო აკომპანიმენტი, გარეგანი ბგერითი დამატება, რომელიც შეიძლება მხედველობაში არც კი მივიღოთ, არამედ ორგანიული ნაწილი, შინაარსის არსებითი

ელემენტი. შ ი ლ ე რ ი აღვიარებს, რომ მისი ლირიკული ლექსების მუსიკა სულში ჩაისახა უფრო ადრე, ვიდრე ტექსტი და თვით სიუჟეტი; მრავალი მოგონება ადასტურებს, რომ ა. წ ე რ ე თ ე ლ ი, სანამ დასწერდა რომელიმე ლირიკულ ლექსს, ჯერ თავისთავისათვის მღეროდა, გამართავდა ჰანგს და შემდეგ გადაიტანდა სიტყვებს ქაღალდზეო.

გ ა ლ. ტ ა ბ ი ძ ი ს შემოქმედებაში ძლიერია სპეციფიკური ამღერება, რითაც იგი მკაფიოდ გამოირჩევა თავის თანამედროვე სხვა ქართველი პოეტების ლექსობრივი მელოდიისაგან. ეს განსაცვიფრებელი შეხამება მუსიკალური და სიტყვიერი თქმებისა, სახეებისა, მის ლექსებს აძლევს განსაკუთრებულ სიმშვენიერეს. მისი პოეზიის წმინდა მუსიკალური ხასიათი მჟღავნდება ოსტატურ ტექნიკაში განმეორებებისას, როდესაც სიტყვა, სტროფი, ან, მთელი ლექსი ვითარდება, როგორც მუსიკალური ფიგურა, მუსიკალური ბგერა. უნდა ითქვას, რომ არც თუ ისე ბევრს წარმომადგენელს თანამედროვე ქართული პოეტური კულტურისას ახასიათებს სიტყვის მუსიკისათვის ასეთი განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება. ამ მხრით, ჩვენი პოეტი უაღრესად ნაზი და მგრძნობიარეა, მრავალი მისი ლექსი ჟღერს როგორც მომჯადოებელი მუსიკალური სიმფონია.

გ ა ლ. ტ ა ბ ი ძ ი ს ლექსებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქართული პოეზიის განვითარებაში, გაამდიდრეს ის მუსიკალური ჰარმონიით და მრავალფეროვანებით, შემატეს მას უჩვეულო ბგერადობა, გახადეს ლექსი უფრო მოქნილი, მოძრავი. შემთხვევითი არაა, რომ XX საუკუნის ქართულ პოეზიაში იგი შეიქნა მუსიკალობის მწვერვალი.

* *

ასეთი განწყობილებებით და იდეებით შეხვდა გ ა ლ. ტ ა ბ ი ძ ე 1917 წლის თებერვლის რევოლუციას. თვითმპყრობელობის დაცემამ პოეტში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. როგორც ოდესღაც კუნძულ ჰელგოლანდზე ჰ ე ნ რ ი ხ ჰ ა ი ნ ე რომანტიკული ძილისაგან გამოაღვიძა ცნობამ ივლისის რევოლუციის შესახებ, ასევე, 1917 წელს დაწყებულმა ქარიშხალმა გამოაფხიზლა გ ა ლ. ტ ა ბ ი ძ ე, რომელიც სიხარულით შეხვდა თვითმპყრობელობის დაცემას:

გათენდა; ცეცხლის მზე აენთო, აცურდა. დროშები ჩქარა!
თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა,
ვით დაპრილ ირმების გუნდს წყარო ანკარა... დროშები ჩქარა!
დიდება, ვინც კიდევ გვაბრძოლებს იმედით.
ვინც მედგრად დახვდება მტრის რისხვა-მუქარას.
გათენდა, შეერთდით, შეერთდით, შეერთდით!..
დროშები... დროშები... დროშები ჩქარა!

ასეთი აღფრთოვანებული მოწოდებით მიესალმა პოეტი თებერვლის რევოლუციას. მაგრამ სულ მალე, საქართველოში მენშევიკების ბატონობის პერიოდში ეს აღფრთოვანებული გრძნობა კვლავ ჩაქრა და დაიფერფლა. გალ. ტაბიძემ დაინახა, რომ თებერვლის ბურჟუაზიული რევოლუციით ხალხმა ვერ მიაღწია მისთვის მრავალი წლის მანძილზე საოცნებო მიზანს. ამიტომ მის შემოქმედებაში ისევ ძველი, სევდიანობის, მარტოობის გამომხატველი ხმები გაისმა.

თეთრი ტყეების მიმყვება გუნდი
და კვლავ მარტო ვარ მე ჩემს წინაშე...

ასეთ ვითარებაში თანდათან ძლიერდება შინაგანი მღელვარება და დრამატიზმი. მხოლოდ ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ ძირფესვიანად გარდაქმნა გალ. ტაბიძე. იგი თავიდანვე დადგა ინტელიგენციის იმ ჯგუფში, რომელმაც მთლიანად მიიღო ოქტომბრის რევოლუცია და აქედან სათანადო შემოქმედებითი დასკვნები გააკეთა.

ოქტომბრის რევოლუციამ პოეტს რუსეთში, პეტროგრადში მოუსწრო; რევოლუციის დღეებშივე ბრუნდება იგი საქართველოში, რათა სამშობლოში მოიტანოს ქვეყნის განახლების სიმღერა. ქართველი პოეტებიდან პირველად გალ. ტაბიძემ ახსენა ლენინი, როგორც კაცობრიობის ახალი ისტორიის შემომქმედი. მისი ბრწყინვალე ლექსი „გემი დალანდი“ რევოლუციური რუსეთის, პეტროგრადის, მოსკოვის, კრემლის და ლენინის სახისა და საქმის წარუშლელ შთაბეჭდილებათა მხატვრული გამოსახულება იყო.

გალ. ტაბიძემ რევოლუციაში დაინახა თავისი მისწრაფებების მაღლობზე ასასვლელი გზა, რევოლუცია მან აითვისა, როგორც დაპირდაპირება ძველი ქვეყნისა, რომელიც იწვევდა და კვებავდა მის პესიმიზმს. რევოლუცია გალ. ტაბიძისათვის გახდა დასაწყისი არაჩვეულებრივი „მსოფლიო ორკესტრის“, „მსოფლიო ნგრევის“, „მეცხრე ზვირთის“. მისი შემოქმედების ძირითად განწყობილებად ხდება ზოგად-რევოლუციურ მოვლენათა გრანდიოზულობით გატაცება: „დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია და სისხლიანი. დგას ანგელოსი, ახალ გრიგალებს ვწირავთ სიცოცხლეს ჩვენ, პოეტები საქართველოსი“ („ჩვენ, პოეტები საქართველოსი“); რევოლუციამ გალ. ტაბიძე დაახლოვა, დაუკავშირა ცხოვრებას, გააფართოვა მისი საზოგადოებრივი ინტერესები და შემოქმედებითი თემატიკა, გახადა მისი ხმა უფრო გაბედული და მკვეთრი. პასიურ-ჭვრეტითი რომანტიკოსიდან გალ. ტაბიძე გახდა რევოლუციური რომანტიკოსი, ავადმყოფური ილუზიების სამეფოდან იგი ჩამოეშვა რეა-

ლურ ცხოვრებაში, უსისხლო ოცნება შეიცვალა რევოლუციური შინაარსით, პასიურობის გრძნობამ ადგილი დაუთმო აქტივობის გრძნობას, რაც ძიღწეული იქმნა შრომით, თავდადებით, ნიჭით, ბრძოლით თავისთავთან, შეუნელებელი სწავლით ახალი ცხოვრებისაგან. ჯერ კიდევ 1922 წელს გალ. ტაბიძე მოუწოდებდა ხელოვნების ფრონტის მუშაკებს რევოლუციური სინამდვილის უშუალო ათვისებისაკენ: „თქვენ, პოეტებო, მხატვრებო, არტისტებო, მწერლებო! შესძლებთ თუ არა განიცადოთ ყოველივე... ისე, როგორც მოითხოვს თანამედროვეობა? გრძნობთ თუ არა რომ ჩვენს ეპოქას უნდა ანათებდეს მისი შესაფერისი ხელოვნება? მე გეძახით თქვენ, გმირებო, შემოქმედების ცეცხლით სავსე ახალგაზრდობავ, შეითვისეთ და შეიყვარეთ ახალი საქართველოს ხმა“... („გალ. ტაბიძის ჟურნალი“, 1922 წ. № 1).

მაღალი ოსტატობით, გულწრფელობით და ენთუზიაზმით გამთბარი ლექსები უძღვნა მან ჩვენი ქვეყნის განახლებას. გაჭრა მის პოეზიაში კამერული მოტივები, ავადმყოფურ-დეკადენტური განწყობილებები. რევოლუციამ პოეტში განამტკიცა ბრძოლის სიმღერა:

ეს რა ბრწყინვალე მზე ამოენთო,
რა ჟრიამულმა გადაიჟღერა?
ეს სიმღერაა შენი პოეტო,
გამარჯვებული ბრძოლის სიმღერა...

ახალმა სინამდვილემ გალ. ტაბიძეს საშუალება მისცა ახლებურად გადაეფასებია თავისი პოეტური შეხედულებანი, შემოქმედებითი თემები და მოტივები. რევოლუციის წლების პირველ ხანებში მან თავის შემოქმედებაში ფართე ადგილი დაუთმო პოეტის და თანამედროვეობის, შემოქმედების და რევოლუციის ურთიერთობის პრობლემას. ეს გასაგებიც არის. ეს პრობლემა მაშინ იდგა თითქმის ყოველი თვალსაჩინო შემოქმედის წინაშე, რომელიც კი ცდილობდა დაკავშირებოდა განთავისუფლებულ ხალხს, მის საბრძოლო საქმეს.

წინად, რევოლუციამდე გალ. ტაბიძე ამქვეყნად ვერ ხედავდა პოეტის თანასწორს. პოეტი მისთვის იყო „ახალი ღმერთი“. მისი გაგებით, პოეტი ისეთი მოვლენაა, რომელსაც არა ჰყავს თანასწორი მთელ სამყაროში, არც ვარსკვლავთა შორის, არც „სხივთა ტბაში“ („შემოქმედება“). რევოლუციამდე გალ. ტაბიძისათვის იყო „პოეზია უპირველეს ყოვლისა“. ამ დროს იგი ლაპარაკობდა, რომ მის პოეზიას საზრდოს აძლევს მარტოობა, პასიური დამოკიდებულება ცხოვრებისადმი. „როცა ხალხში ვარ — მეკარგება რწმენა, ხალისი, როცა მარტო ვარ, მაქვს სამგოსნო წმინდა ტაძარი“... („ჩემი ქნარი“). რევოლუციის

შემდეგ გალ. ტაბიძე სულ სხვაგვარად სვამს ამ საკითხს. მაგრამ იგი არა მარტო სვამს ახლებურად ამ საკითხს, არამედ სწყვეტს ისე, რომ თავს აღწევს ერთის მხრით, მექანისტურ გაგებას პოეტისა, როგორც მოვლენების პასიურ რეგისტრატორისა და მეორეს მხრით, იდეალისტურ აქტივიზმს, რომელიც ქვეყნიერებას აქცევს მთლიანად პოეტის ფანტაზიის ნაყოფად. გალ. ტაბიძის დახასიათებით ეხლა პოეტი თავის საქმის ინჟინერია, რომლის შემოქმედების დროშაზე სწერია „ახალი დღეთა აგება". საბჭოთა პოეტი თავის „საქმის გამომგონებელია", „რევოლუციური დროის ბარომეტრია". საბჭოთა პოეტი ძველი პოეტისაგან განირჩევა იმითაც, რომ იგი ხალხთან უშუალო კავშირშია, გამოხატავს მის სულისკვეთებას, წინ სდგას ცხარე ბრძოლებში.

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ ხდება გალ. ტაბიძისათვის პოეზია თვითმიზნისაგან (როგორც ის იყო მისი შემოქმედების პირველ პერიოდში) სოციალიზმის მშენებლობისათვის ბრძოლის თავისებურ საშუალებად. ამასთან შეფარდებით იცვლება პოეტის მიდგომა სინამდვილისადმი. თუ წინათ სინამდვილის დამახინჯებულ ასახვას იდეალისტური მეთოდით იგი აყენებდა ყველაფერზე მაღლა, რევოლუციის პერიოდში ამავე პრობლემას იგი სულ სხვაგვარად სვამს და სწყვეტს. მისთვის პოეზიის მნიშვნელობა უკვე განისაზღვრება იმით, თუ რამდენად შეეფერება ის ობიექტურ სინამდვილეს. ამიტომ იგი უპირველ უპირატესობას აძლევს რეალურ ცხოვრებას.

მთელი თავისი გულით და გონებით, მთელი თავისი შემოქმედებით მოვიდა გალ. ტაბიძე ახალ ცხოვრებასთან. „ჩვენ რასაც ვმღერით, მას გული მღერის, განუსაზღვრელი თავდავიწყებით"-ო („გულში ცეცხლია"), — ამბობს პოეტი. ამიტომ მისი ახალი ლექსები შექმნილია შინაგანი აუცილებლობისა და გულწრფელობის ნიადაგზე.

რევოლუციასთან დაახლოვების შედეგად გალ. ტაბიძე თავისი შემოქმედების თემატიკის არსებით შეცვლას ახდენს. თუ წინად იგი უმთავრესად ისეთ თემებს არჩევდა, რომელშიაც უფრო რელიეფურად ვლინდებოდა მისტიკურ-ინდივიდუალისტური დამოკიდებულება ცხოვრებისადმი, რევოლუციის შემდეგ იგი სხვა ხასიათის თემებზე მუშაობს. ეხლა მისი თემები უშუალოდ ეხება ახალ ცხოვრებას, სოციალისტურ მშენებლობას, საბჭოთა ადამიანებს, მათ გმირობას. ცხოვრების მოვლენების სისრულეთ ათვისება არის გალ. ტაბიძის რევოლუციის დროინდელი შემოქმედების მაგისტრალური ხაზი. ოპტიმიზმი და სიხარული ხდება მისი პოეტური ტონის განმსაზღვრელი.

მკვეთრად შეიცვალა გალ. ტაბიძის მიდგომა ისეთ

პრობლემებში, როგორიც არის სიკვდილის, სიცოცხლის, ბუნების საერთო პრობლემები. იგივე მოვლენები, რომლებიც წინადმასში იწვევდა პესიმისტურ დამოკიდებულებას ცხოვრებისადმი, ეხლა მის შემოქმედებაში ვლინდება, როგორც ცხოვრების იმედიანი მიღება:

ჰქუხდე, გულისთქმავ! სული მღელვარებს.
გული მწველ ცეცხლით კვლავ გაიმსჭვალა,
გაშუქდი, სანამ მძლავრია გრძნობა,
გაშუქდი, სანამ გექნება ძალა.
გაშუქდი, სანამ სიმნი შესძლებენ
და სიღრმეს კიდევ ცეცხლი ექნება.
მნათობნი სხივებს გადმოგაფენენ..
გაშუქდი, დიდო ბედნიერებავ!

ასეთ მაღალ პათოსს გამოხატავს მისი ახალი ლექსები, რომლებიც ასახავენ განახლებული სამშობლოს სინამდვილეს.

გალ. ტაბიძის მიერ რევოლუციის წლების მანძილზე დაწერილ პოეტურ ნაწარმოებებს ახასიათებს მაღალი იდეურ-პოლიტიკური მგზნებარება. ამ ნაწარმოებებში მას მიდრეკილება აქვს თემატიკური უნივერსალიზმისაკენ. ეს არ არის ცუდი, ეს ლაპარაკობს პოეტის მრავალფეროვნებაზე, მის შემოქმედებით გაქანებაზე.

გალ. ტაბიძე უმღერის რევოლუციას, როგორც ახალი სიცოცხლის დასაწყისს კაცობრიობის ისტორიაში:

გაცოცხლებულა ირგვლივ ყოველი,
მფეთქავი ძალა არეს ჰფენია,
სულ რომ არ იყო ქვეყნად ღიმილი,
შეხედე ეხლა რაოდენია!
მჩქეფარე წყაროს, ამოყრილ ხეებს
მათ განახლებას ეუბნება ბანს,
ეს გაზაფხული უხარებს დღეებს
და არწევს ახალ სიცოცხლის აკვანს...

გალ. ტაბიძე პოეტური უშუალობით ითვისებს იმ აზრს, რომ ოქტომბრის რევოლუციით დაიწყო კაცობრიობის ახალი, შესანიშნავი ისტორია. ძველი ცხოვრებისაგან დამცირებული და შეურაცხყოფილი ადამიანი, რომელიც გაანთავისუფლა რევოლუციამ, თამამად მიემართება ახალი, ბედნიერი ყოფის მწვერვალებისაკენ. კაცობრიობის ცხოვრებაში შედის ჯანსაღი, მშვენიერი, სრულყოფილი ადამიანის სიცოცხლე.

გადაილახა მიუდგომი
საზღვრები ბედის.
კაცობრიობის ცხოვრებაში
სიცოცხლე შედის
ჯანსაღ, მშვენიერ, სრულყოფილი
ადამიანის...

პოეტმა კარგად იცის, რომ მთელი დიადი საქმე ახალი საზოგადოების მშენებლობისა მიმდინარეობს ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით. ამიტომ ახალი ქვეყნის გენიალურ შემოქმედთა — ლენინისა და სტალინის სახეები განუ-

შორებელია გალ. ტაბიძის რევოლუციური პერიოდის შემოქმედებიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* *

მთელი თავისი პოეტური შესაძლებლობით ამღერდა გალ. ტაბიძე სამამულო ომის ვითარებაში. თავისი პოეტური მგზნებარება მან მიუძღვნა მტერზე გამარჯვების საქმეს. როგორც საბრძოლო მოწოდება, ისე გაისმის მისი სიტყვები:

სამშობლოსათვის, სტალინისათვის
სდგას მებრძოლი და პოეტი..

გალ. ტაბიძის დახასიათებით, საბჭოთა ადამიანებს მხოლოდ ერთი გრძნობა და სულისკვეთება ამოძრავებთ — სამშობლოსადმი განუსაზღვრელი სიყვარული:

ჰე, მამულო! გრძნობა შენი მოვლისა,
მარად ყველა ჩვენთაგანის ვალია.
სანამ გმირმა შენთვის სული დალია,
სთქვა: „სამშობლო უპირველეს ყოვლისა!"
არმოშიშარს ქარისა და თოვლისა,
ყოველ ჩვენგანს ურყევ მიზნად ექნება
მხოლოდ შენთვის თავდადების შეგნება:
მამულს გული! — უპირველეს ყოვლისა.

ამ შეგნებით არის გამსჭვალული გალ. ტაბიძის მთელი შემოქმედება. პოეტი-პატრიოტი დიდის სიმძაფრით გამოსთქვამს საბჭოთა ხალხის გულის ნადებს, იგი აღფრთოვანებულია საბჭოთა ქვეყნის შვილების გმირობით, რომელნიც ყოველგვარ გამოცდას ვაჟკაცურად იტანენ, სიკვდილსაც კი არ უდრკებიან სამშობლოს თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის. ეს გმირები მარად უჭკნობი სახელით იცოცხლებენ ყოველთვის. მისი ერთერთ უკანასკნელ ლექსისათვის—„მშობლიურო ჩემო მიწავ", დართული რეფრენი სხვადასხვა ვარიაციით, მძლავრი პოეტური ხმით გამოსთქვამს უკეთილშობილეს გრძნობას სამშობლოსადმი სიყვარულისას.

* *

გალ. ტაბიძე დღესაც, თანამედროვე ქართულ პოეზიაში რჩება რომანტიული ლექსის ვირტუოზად. ამიტომ მისი პოეზიის ანალიზის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რომანტიზმის პრობლემას. ცნობილია, რომ ლიტერატურის ისტორიამ მრავალი სახის რომანტიზმი იცის, მისი შინაარსი ხშირად იცვლებოდა, რაც დაკავშირებული იყო ლიტერატურის განვითარების სხვადასხვა საფეხურთან, განსაზღვრულ ისტორიულ პერიოდებთან.

გალ. ტაბიძე თავიდანვე იყო და ასევე ბოლომდე დარჩა რომანტიკოსი. მაგრამ მისი რომანტიკა არ იყო ერთნაირი,

როგორც თავისი შინაარსით, ისე პრინციპებით მის შემოქმედების სხვადასხვა პერიოდში. სხვაა გალ. ტაბიძის რომანტიკა რევოლუციამდე და სხვაა რევოლუციის დროის რომანტიკა. გალ. ტაბიძე სძლევდა რა თავის თავში განყენებულ, ჭვრეტითი ავადმყოფურ რომანტიზმის რეციდივებს, რევოლუციის წლების პერიოდის პოეზიით გზას უკაფავდა რევოლუციურ რომანტიკას. მისი პოეზიის მაგალითზე გარკვევით შეიძლება გათვალისწინებულ იქნას რომანტიკის ბედი რევოლუციურ ეპოქაში და მისი ადგილი საბჭოთა პოეზიის განვითარებაში.

გალ. ტაბიძის ახალი ლექსების ფორმა მოხდენილად გადამუშავებული და შესიტყვებულია ახალ თემატიკასთან. თანამედროვე ეპოქის მძლავრი შემოქმედებითი რიტმი ენერგიული ექსპრესიით სჩქეფს მის პოეზიაში. ახალი ცხოვრების ასახვაში პოეტი მოხდენილად იყენებს ხალხური ლექსიკის მუსიკალურ შეზავებას. ხალხური პოეზიის გავლენა, რისი გამოხატულებაც საგრძნობი იყო გალ. ტაბიძის პირველ პერიოდის შემოქმედებაში, მეტი გარკვეულობით და მოცულობით გამომჟღავნდა რევოლუციის პერიოდის შემოქმედებაში.

უიმედობიდან ლაჟვარდოვან სივრცეებისაკენ მლტოლველი პოეტიდან, რევოლუციის საუკეთესო შემოქმედებამდე მოსვლა — ასეთია გალ. ტაბიძის პოეტური განვითარების გზა. მისი შემოქმედებითი გზა აღსავსე იყო წინააღმდეგობებით, ძნელი იყო განთავისუფლება წარსულის „ტვირთისაგან“, მაგრამ მიუხედავად ამისა, გალ. ტაბიძის წინაშე იდგა ნამდვილი ბრძოლის გზა, გზა ურთულესი წინააღმდეგობების დაძლევისა, რაც მან პირნათლად შეასრულა და ამით გამოვიდა რევოლუციური პოეზიის დიდ და სასახელო გზაზე.

ზალვა რადიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი სიმღერა

ზოგს ჩაის ვარდი, ზოგს—კინოვარი,
ზოგს ოქრომკედით მონაქსოვარი,
სურათი რამე, კარგზე მგლოვარი—
ყველას რაიმე აქვს სახსოვარი.

ბარათი, სისხლის ცრემლ-ნატბოვარი,
ბეჭედი, ძვირფას ალთა მთოვარი,
საყურე, ტკბილის ჩრდილის მთხოვარი—
ყველას რაიმე აქვს სახსოვარი.

თმა, როგორც განძი ძნელსაშოვარი,
წიგნი რამ, ომით მონაპოვარი.
საფერფლე, მამის დანატოვარი—
ყველას რაიმე აქვს სახსოვარი.

შენი, სამშობლოვ, მსასოვარი,
ჰა, ჩემი ჩანგი სწორუპოვარი,
ჰა, ჩემი გულიც, რადგან მგზოვარი—
ყველას რაიმე აქვს სახსოვარი.

სამშობლო

ჰე, მამულო! გრძნობა შენი მოვლისა
მარად ყველა ჩვენთაგანის ვალია.
სანამ გმირმა შენთვის სული დალია—
სთქვა: „სამშობლო უპირველეს ყოვლისა!“

*

არმოშიშარს ქარისა და თოვლისა,
ყოველ ჩვენგანს ურყევ მიზნად ექნება
მხოლოდ შენთვის თავდადების შეგნება:
მამულს გული!—უპირველეს ყოვლისა!

*

მზე ჩაჰქრება ყველა სისხლისმწოვლისა,
მზე ამოვა ყველა დაჩაგრულისა,
წამლად იქნას ყოველ დაჭრილ გულისა
გამარჯვება—უპირველეს ყოვლისა!

*

დე, ბრწყინავდეს დროშად თვითოულისა
საქართველოს მკერდი ორდენოსანი,
მისი მიწა, მისი მზე სხივოსანი,—
ის გვიყვარდეს უპირველეს ყოვლისა!

ვწერ ვინმე მესხი მელექსე

ვწერ ვინმე მესხი მელექსე,
რაც კი მივლია მე გზები.
ჯერ ლექსი მწვავდა, მერე მზე,
ჯერ მზე და მერე ლექსები.

იყოს ნაკვეთი შაირი,
როგორც ნასროლი ისარი,
ხან ბრძოლა ქუხილნაირი,
ხან რხევა სამაიხარი,

ხან საკვნესარი დაირი,
ხან ჩანგი მოდაისარი;
ის არი სუნთქვა. ჰაერი,
მთელი სიცოცხლეც ის არი.

შმაგი, ვით ვეფხვი დაჭრილი,
მშობლიურ მთა და ველებზე
ვარ ოცნებისთვის გაჭრილი,
მე, ვინმე მესხი მელექსე.

არ გიღალატებთ!

ქარი მოარხევს დროშებს,
ჰქუხს ორკესტრების წყება,
ყველგან რადიოს გუგუნს
მთების გუგუნი ხვდება.

ახლა ნაბიჯით მწყობრ
მიდის ქვეითი ჯარი—
არტილერიას დასცქერს
თვითმფრინავების ღვარი.

და გამოდიან ხალხის
წრფელ მოწოდების ხმაზე
მეზღვაურები, გზისგან
დალანძღლები ასე.

ქარი მიარხევს დროშებს,
ჰქუხს ორკესტრების წყება,
ყველგან რადიოს გუგუნს
მთების გუგუნი ხვდება:

„არ გიღალატებთ, სანამ
მზე გვინათებს და მთვარე,
ყოველ მხარეზე კარგო,
ჩვენო სამშობლო მხარე“.

აქ იცლებოდა სისხლით
ჩვენი მამა და პაპა,
ჰქონდათ ერისთვის ბრძოლა
და სიმართლისთვის ჯაფა.

ასე მძლავრია მხარი—
ჩვენი სამშობლოს დიდის,
მშვიდი დღეა, თუ ქარი,
იგი სიმღერით მიდის.

ერთი სიმღერას იწყებს
აჰყვა მეორე მშვიდიც,
ჯარი არ უფრთხის სიცხეს,
ჯარი სიმღერით მიდის:

„არ გიღალატებთ, სანამ
მზე გვინათებს და მთვარე,
ყოველ მხარეზე კარგო,
ჩვენო სამშობლო მხარე!“

იავნანა

შენ იძინე
  პატარა ხანს,
მე არ მძინავს
  ამ ქვეყანას.
მე გიმღერებ
  იავნანას—
ნანა—ნანინა.

რომ დაიცვას
  დანაშვენი,
ჩვენი მიწა
  და ნაშენი,
საზღვარზე დგას
  მამაშენი—
ნანა—ნანინა.

რომ წავიდა
  დამიბარა:
გამიზარდე
  ეს პატარა,
წამოვიდეს
  ჩემთან ჩქარა.
ნანა—ნანინა.

მან იგრძნო, რომ
  ჩვილზე ჩვილი
გმირი არის
  მისი შვილი,
გმირი, ვით
  ოძელაშვილი.
ნანა—ნანინა.

შენი თოფი,
  შენი ხმალი,
სულ მზადაა,
  გენაცვალე,
მამისაკენ—
  გასწი, მალე
იავ-ნანინა!

შეკაზმული
   არის ცხენი—
გზას გილოცავს
   დედაშენი:
წა, საგმირო
   საქმე ჰქმენი
იავ-ნანინა.

შენ ჩემი ხარ
   ბიჭი შავი.
გადალახე
   მტერთა ზვავი;
მამულისთვის
   დასდე თავი.
ნანა-ნანინა.

ხალხის აწმყო, ხალხის ხვალე

გმირთა რისხვა არ დაინდობს,
ვინაც ახშობს ცას სრულყოფილს,
უდიერად ვინც ეხება
ყოველ კარგს და კეთილშობილს.

არდანდობა—ვინც არ ინდობს
დედებსა და აკვნის ბალღებს,
ვინც ერები შეარია
შიმშილის და ნგრევის ტალღებს.

სიკვდილი მას, ვინც შეაღო
დასარბევად ერთა კარი,
წმინდათწმინდას ვინც შეახო
თვისი ხელი უნდობარი.

თავდადებულ მამულიშვილთ
არ დასცხრება გული წრფელი
და ქანაობს მძაფრი ცეცხლი,
მტერზე შურისმძიებელი.

ბრძოლის უკვდავ სახედ არის
აღმართული ბასრი ხმალი:
ხალხის აწმყო, ხალხის ხვალე,
ხალხის დიდი მომავალი.

მშობლიურო ჩემო მიწავ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამი დიდი ოკეანე
    გარე უვლის ნათელ მხარეს,
მთვარიანი და მზიანი
    ზეცა აფრქვევს სიანკარეს.
ორ ზღვას შუა ძველის-ძველად
    საომარი იყო ლელო—
ის გადარჩა და სახელად
    ეწოდება—საქართველო.
        მშობლიურო ჩემო მიწავ,
            შენ საყვარელ სახელს ვფიცავ,
        რომ დავიცავ შენს სიმაღლეს,
            წინაპართა ძვლებს დავიცავ!

მიყვარს კავკასიის ქედი,
    ეს ამერი და იმერი,
მისი „ხმალი ხელს იკარ“ და
    მისი „მრავალჟამიერი“.
მიყვარს მრავალ ჭირნახული
    ის გურია და სვანეთი,
თუში, ფშავი და ხევსური,
    აჭარა და თრიალეთი.
        მშობლიურო ჩემო მიწავ,
            შენ საყვარელ სახელს ვფიცავ,
        რომ დავიცავ შენს უფლებას,
            შენს უფლებას სისხლით ვიცავ!

ალმოსავლეთ-დასავლეთის
    გზა მიხვეულ-მოხვეული,
ხმა მეგრული, აფხაზური,
    ლაზური და მოხევური
რამდენ ძარცვას, რამდენ რბევას
    გადაურჩა ქართლ-კახეთი!
შორით რაჭა-ლეჩხუმია,
    ახლო მესხეთ-ჯავახეთი.
        მშობლიურო ჩემო მიწავ,
            შენ საყვარელ სახელს ვფიცავ,
        რომ დავიცავ შენს ტკბილ ენას,
            შენს მშვენიერ ჩანგს დავიცავ.

აგერ წინამძღვრიანთ კარის
ქარი არხევს ზვარის სამოსს
და ხავერდი სავსე მთვარის
მოჰფენია საგურამოს.
დიდი გზებით მიდის ძველთა
დიდება თუ დამარცხება
გადმოგვყურებს ზაჰესის მზე
და არაგვიც არა ცხრება.
მშობლიურო ჩემო მიწავ,
შენ საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ შენს სიმართლეს,
სისხლით ნაპოვნ გზებს დავიცავ!

მიწა, სადაც ვხნავთ და ვთესავთ
მოკირწყლული იყო ძვლებით,
მოლაღადე უკეთესად,
ვინემ უსახელო წლები.
ამ წარსულთან რა ძლიერი
ანათებს აქ დროის თვალი,
რა რიგად სჩანს მშვენიერი
საქართველოს მომავალი!
მშობლიურო ჩემო მიწავ,
შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ იმ მომავალს,
იმ მომავლის მზეს დავიცავ!

და ხმალივით ბასრ იდეას
საქართველოს ახალ ხანის,
ჰგავდეს რკინის ნებისყოფა
თვითეული ჩვენთაგანის.
გამარჯვების გზებით მოდის
თვითეული დღე ფრთამალი,
რომ არ სჩანდეს კვლავ იმ დიდი
სიდუხჭირის ნატამალი.
მშობლიურო ჩემო მიწავ,
შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ შენს მიღწევებს,
შენი დროშის ფერს დავიცავ!

როსმე მეფე ფარნაოზი
იგონებდა ქართულ ანბანს

და წიგნები მოგვითხრობენ
    გარდასულთა დროთა ამბავს.
მიყვარს ძველი წიგნების შლა,
    მშვენიერი ძველი ენა,
სული ქართლის ცხოვრებისა
    რუსთაველის აღმაფრენა.
        მშობლიურო ჩემო მიწავ,
            შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
        რომ დავიცავ უძველეს განძს,
            იმ უძველეს წიგნს დავიცავ.

მიყვარს ძველი წიგნების შლა,
    მშვენიერი ძველი ენა,
კიდევ რაც ამ ოცი წელის
    გაიშალა აღმაფრენა,—
რაც ამბავი მოფენილა—
    რაც ამბავი აწყობილა—
სხვა მეოცე საუკუნე—
    არასოდეს არ ყოფილა.
        მშობლიურო ჩემო მიწავ,
            შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
        რომ დავიცავ შენს ახალ გზებს,
            შენს უახლეს წიგნს დავიცავ.

ეხლა ვერვინ ვეღარ გეტყვის,
    საქართველო ნაწამებო,
იმერეთი ქართლს განუდგა,
    საკუთარი სურს სამეფო.
ვერ წამოვა თემურ-ლენგის
    იმნაირი ხმა და ზარი.
თბილისს ტახი რომ არბევდა—
    ჯელალ—ედინ-ხორეზე—შაჰი.
        მშობლიურო ჩემო მიწავ,
            შენ საყვარელ სახელს ვფიცავ,
        რომ დავიცავ შენს მშვიდობას,
            შენ მშვენიერ მთებს დავიცავ.

ქარმა მიანგრ-მოანგრია
    ძველი ქვეყნის საბუდარი,
და გვაქვს უბედნიერესი
    ჩვენი მხარე—საკუთარი.

მშობლიურო ჩემო მიწავ,
შენ საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ ხალხთა ძმობას,
მეგობრობის ფიცს დავიცავ.

თუ მრავალგზის დანგრეული,
დღეს ძლიერი გახდა მხარე
და მოედო სოფელს, ქალაქს
განახლების ნიაღვარი,
თუ გრიგალი მშენებლობის
ამეტყველებს თვით ქვა-ლოდებს—
ეგ მისთვის, რომ ჩვენ სტალინი
ახალ გზისკენ მოგვიწოდებს.
მშობლიურო ჩემო მიწავ,
შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ შენს მიღწევებს,
შენი დროშის ფერს დავიცავ!

თუ ბუნების მოკვდავ კაცებს
გვიერთდება აღტაცება
გვეუბნება, გაგვიტაცებს
მომავალის დიდი მცნება,
თუ ყოველი ახალი დღე—
ახალ სიმაგრეებს აგებს,
ეგ მისთვის, რომ ჩვენ სტალინი
მუდამ წინსვლას გვიქადაგებს.
მშობლიურო ჩემო მიწავ,
შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ შენს სიმაღლეს,
შენს მშვენიერ ჩანგს დავიცავ.

ჩვენი ქვეყნის მომავალი,
საგანია ჩვენი ზრუნვის,
მენ შესძელი დაფასება
ჩვენი მძლავრი საუკუნის,
გაიარე სევდის მგვრელი
გზათა სივრცე და საზღვარი,
გადალახე ღამე ბნელი
და ბურუსი ყოველგვარი.

მშობლიურო ჩემო მიწავ,
შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
გიცავდი და გიცავ მარად,
გიცავდი და კვლავ დაგიცავ!

* * *

ოცნებაო ჩემო ძველო,
ვართ ღამეთა მთეველი,
ბევრი, ბევრი სადღეგრძელო
დაგვრჩა დაულეველი.

სადღეგრძელო იყოს მისი,
ვინც შიშმა ვერ დაჰხარა.
ვიდგეთ ფეხზე. ჩვენ ტფილისი
ვადღეგრძელოთ ჭაღარა!

აქ სიცოცხლე და ხალისი
ვის სხვად არ ესვენება—
სადღეგრძელო იყოს მისი
და დიდებით ხსენება.

მოდიოდა ერთზე ასი—
გზა გვშვენოდა დიდების—
ჩვენ დავსცალოთ ყველამ თასი
ბედთან არდარიდების!

კიდევ მრავალ ახალ წელს!

მაშ დიდება მზეს
ახალსა და მწველს—
მრავალ ახალ წელს,
მრავალ ახალ წელს!

რომ შუბლსა და გულს,
რომ მარჯვენა ხელს
უნათებდეს გზას—
მრავალ ახალ წელს!

ჩვენს მშვენიერ ცას,
ჩვენს ქვეყანას ვრცელს—
გამარჯვების დღე
მრავალ ახალ წელს!

მარშალსა და ხალხს,
დიდ არმიას მთელს—
მრავალ ახალ წელს,
მრავალ ახალ წელს!

მამულო, სიცოცხლეო!

სიცოცხლეო, მამულო! მძაფრი, არა-ფარული
შვილთა შენთა ხმამაღლა სთქვან შენი სიყვარული;
სიცოცხლეო, სამშობლოვ' მტერი დაუნდობელი,
რომ თვალს არ გაცილებდა—ვიყავ წინამგრძნობელი.
აი, როგორ მოხდა ეს: ირიჟრაჟა თუ არა—
ალისფერმა სინათლემ ღრუბლებს გადაუარა.
ტყეში, სადაც ვიდოდა ტყის მკაფავი მცინარე,
ველად, სადაც ბაღებში ჩაფლულიყო მდინარე.
იყო დილა-მშვიდობის და არ იყო ტკივილი,
ფრინველების გაისმა სტვენა, ჟივილ-ხივილი...
აფრიალდნენ საზღვარზე შავზე-შავი სვავები—
ყუმბარათმტყორცნელები, მძიმე თვითმფრინავები,
სურთ რომ გადმოანგრიონ ხალხის ნახნავ-ნათესი,
ქალაქები, სოფლები, გზები უდიადესი.
იგი მტერი ჩვენი და მსოფლიოის მტერია,
მაგრამ მის უგონობას ბედი არ უწერია.
და ამაოდ ტანკები იძვრიან ყაჩაღებით,
ჩვენ მას უძლიერესი ცეცხლით დავეჯახებით!
რა კი მძლავრობს ხალხის ხმა და სტალინის გენია—
ვიცით, რომ საბოლოო გამარჯვება ჩვენია.

ჩვენ

უცხო ვინმე არ გეგონოთ,
მე ვარ რატი რატიშვილი,
ათი შვილი ცოცხალი მყავს,
ასი შვილის—შვილის-შვილი.

მათში სულ ყველაზე უმცროსს
ჩემი სახელი აქვს: რატი,
მე ასი წლის მოხუცი ვარ,
მას წელს შეუსრულდა ათი.
როცა ვკითხავ: „ოცი წელი,
მიმდინარე წლებს რომ ერთვის,
ვისთვის იყო მეომარი?“
ბავშვი მიპასუხებს: — ჩვენთვის!
შემდეგ ვკითხავ: „ამ დროშებით,
ამ ვარდებით მონაფენი
დღე ვისია დღევანდელი?“
ბავშვი მიპასუხებს: — ჩვენი!
ბოლოს ვკითხავ: „მომავალი
საქართველოს შვება-ლხენა
ვინ იგრძნოს და უზრუნველყოს?“
ბავშვი მიპასუხებს: — ჩვენა!
ასეც არის! ამ ოც წელში,
რაც ჩვენში გზა გაიკაფა,
მსგავსზე ფიქრსაც ვერ ბედავდა
ჩვენი პაპის — პაპის პაპა.
მაშ, ლენინის და სტალინის
წინ გვიძღოდეს, ჩემო რატი,
ოცჯერ ოცი, ოცჯერ ასი
და ათასი წელიწადი!

ლრუბლები ძაუგთან

მე კავკასიის ქედები მთხოვენ,
მე მთხოვს მუსიკა თერგის ხმაურის,
ვუსმინო ყაზბეგს, ხევის ბეთხოვენს
აგუგუნება კაიშაურის.

მე მშობლიური არაგვი მირჩევს
წინასწარ ვიგრძნო, ვიცოდე მარად,
ქართველის გული თუ რისთვის ირჩევს,
ომში — სიცოცხლე ჩასთვალოს არად.

იმ დღეებს ძეგლი უნდა აუგო,
უნდა აღმართო წყებათა-წყება,
ვით აღიმართა შენთან, ძაუგო,
გამარჯვებათა ჩვენთა დაწყება.

სიმართლის დროშა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიაგდებს მერანს მხედარი—
სცლის გამარჯვების ფიალებს,
მის ხმალთან შენამკედარი
სიმართლის დროშა ფრიალებს.

ჩვენი ქვეყანა ებრძვის შხამს—
კვალდაკვალ მისდევს ტიალებს,
ყოველ დარტყმაში, ყოველ წამს
გმირული დროშა ფრიალებს.

ჩვენი ჭუნირი, ფანდური,
სიცოცხლით გაიწკრიალებს,
მის ჰანგში ანდამანტური
სამშობლოს დროშა ფრიალებს.

მტერი იხრწნება, ირღვევა
და სასიკვდილოდ ხრიალებს,
სიმართლის დროშა ირხევა,
სიმართლის დროშა ფრიალებს.

კიდევ ვაშა და დიდება—
გამარჯვებათა სიალეს,
იმარჯვებს ჭეშმარიტება,
ეს მისი დროშა ფრიალებს.

მოგონება სევასტოპოლზე

თავრიდის მზიან კიდეზე
ვით მარგალიტი ობოლი—
ბევრის მომსწრე და ამტანი
ელვარებს სევასტოპოლი.

ბევრი კარგი დრო, ძველი დრო
მის კიდეს მიტარებია,
რაც მძულდა და რაც მიყვარდა
სულ იმ ზღვას მიდარებია:

ჩემი ცხოვრებაც მას ჰგავდა
ხან მშვიდი და ხან მქუხარე,
ხან მოელვარე მასავით,
ხან მგზნებარე და მდუღარე...

ეჰ, ჩემო ურჩო ცხოვრებავ
ალტაცებულო ყოფნითა,
სიმშვიდეთ, ასაღელვებლად
რა მცირე რამე გყოფნიდა:

შორს სადღაც, ბალქანია
ახლო გემები... თოლია...
ზღვა ლურჯად გადაფენილა,
ცა ლურჯად გადასწოლია.

შემდეგ უეცრად ტალღები
და მოვარდნილი გრიგალი,
ცასაც ჩაუცვამს თალხები.
ტყვიისფრად ჩანარიყალი.

ნაპირთან გადატყდომის დროს
ჭრიალებს ანძა მაღალი...
ელვამ კვლავ უნდა იელვოს,
გრგვინვამ ჰკრას მეხი ახალი.

ტყე—ტყვიისფერი ნატბორის,
გაქანებულად მგლოვარე,
ხანდახან ღრუბელთა შორის
გამოანათებს მთოვარე.

და განათდება უეცრად
გაოხრებული, პარტახი,
უეზოოდ და უეწროდ
ფიქრში გართული ჩარდახი—

ისიც ძველ ომთა მნახველი,
ძველი ამბების მთხრობელი,
როგორ იბრძოდა გმირული
ქალაქი სევასტოპოლი.

და განათდება უეცრად—
რომ სიხარულიც კიაფობს
და გემი „საქართველო“ კვლავ
მქუხარე გრიგალს მიაპობს...

ეხლაც იქ, გადატყდომისას—
ფიჭვი მეორე ჭრიალებს
ცა—ელვას ისვრის წყრომისას,
გრიგალი ისევ გრიალებს.

ქუხილი გააქვთ ქვემეხებს,
ტყვიისმფრქვეველი კაკანებს—
ქალაქზე ცეცხლის ალია
და იმ ალს ქარი აქანებს.

მრისხანე თვითმფრინავები
ცას კიდით-კიდე ჰფენია,
ზენიტით ჰორიზონტამდე
გუგუნებს ომის გენია!

დიდი არმია

დიდო არმია! არის შენი მედგარი მხარი
ჩვენი სამშობლო მხარის მარჯვე ხმალი და ფარი!
მებრძოლმა ჩვენის ველის, ჩვენის მთისა და გორის
დიდმა სტალინმა გვითხრა: კავშირი გულთა შორის!
იყოს ერთისთვის ყველა და ყველასათვის ერთი.
რომ მიარღვევდეს ბურუსს გაკაჟებული მკერდი!
ვერავინ დაამარცხოს მგრძნობიარე მიზანის სწორის,
მარად ჟამს მზიანია კავშირი გულთა შორის!
კავშირი გულთა შორის, როცა გულს იცნობს გული,
რაა ამაზე უფრო მშვენიერი და სრული?
გზა გვქონდეს გამარჯვების არა ერთის და ორის,
ყველაფერს გადალახავს კავშირი გულთა შორის.
დიდო არმია! მძლეა ფიცი ტოლის და სწორის,
კავშირი გულთა შორის! კავშირი გულთა შორის!

მშობლიური მოწოდებით

კვლავინდებურად ამოდის მზე
და ისევ ჩადის—
ჩასვლისას სივრცე ოქროვდება
მთების ფერადის.
კვლავინდებურად უსაზღვრობის
გზებით მავალი —
ცაზე ენთება ვარსკვლავების
რიცხვი მრავალი.

ამოდის მთვარე და თავისი
ცისფერი გზებით
ვერცხლისფერ ნათელს მიმოავლებს
მიდამოს გზნებით.
სიზმრებში ხვეულს მეოცნებე
მდინარის ველებს
არაგვის ქარი საამურად
აამეტყველებს.
ვლიან ღრუბელნი. ეხლა მათში
ისვენებს მკრთალი—
თბილი წვიმები, ელვა, მეხი
და ქარიშხალი.
ღელავენ ველნი, ჯეჯილები
და ყვავილნარი:
ყვავილებს ოდნავ შეეხება—
ბაგეზე ქარი—
რათა აიღოს და გადასცეს
მსუბუქი მტვერი—
წარმოშობათა საიდუმლო,
ნაზი, ცისფერი—
მარად უკვდავი სიყვარულის
ოხვრა-სალამით,
აყვავილების მომავალის
ბედნიერ წამით.
უცებ ცას შმაგი არყევს ქარი,—
დუშმანი მტერის
და მას ხვდება ხმა საზენიტო
არტილერიის...
შენ ხომ ამაყი ხარ, მებრძოლი
და ახალგაზრდა,
სისხლში ღელავენ ნაპერწკლები
ქედმაღალ აზრთა.
შენში მშობლიურ მოწოდების
მოძრაობს ალი,
გეხვევა ბრძოლა—როგორც ქარი,
როგორც გრიგალი.
ბრძოლა—გაშლილი მთელ სივრცეზე,
სასტიკი, მკვეთრი—
ბრძოლა, მეტყველი ყოველ მეტრით
და კილომეტრით:

ვერ შესძლებს მტერი რომ ჩააქროს
ახალის ალი—
ვერ შესძლებს დასწვას ხალხთა აწმყო
და მომავალი.
ცეცხლად ღელავენ ნაპერწკლები
მშობლიურ აზრთა...
სამშობლოს იცავს დღეს მოხუცი
და ახალგაზრდა.

შეხედეთ!

შეხედეთ: მაღლით
დაჰყურებს ქედებს
დღე ათასცხრაას
ორმოცდაოთხის...
ქარი მირეკავს
ღრუბელთა გედებს,
ძირს გაფენილა
გზნება სამოთხის.

შეხედე, რაგვარ
დიდებით შედის
ლაჟვარდში—ორბი
კლდეების ხშირის:
და სიამაყე
იმ დიდი ქედის
სიამაყეა—
მებრძოლის, გმირის.

იყო წინადღით
ყომრალ-ყორნისფერ
ნისლთ ტყვეობაში
მწვერვალი იგი:
მრავალრიცხოვან
მომხდურს პირისპირ
შეხვდა უშიშარ
მებრძოლთა რიგი.

ბრძოლის ქარცეცხლში
ერთი მათგანი
პირველ გაიჭრა
მეომართ შორის.
როგორი იყო
ნგრევა-ხათქანი—
მოწმეა წყება
მაღალ მთაგორის.

„სამშობლოსათვის“
იძახდა იგი—
თვალთაგან ცეცხლის
ალთა მთოვარი;
და იქ, სადაც მტრის
სჩანდა ბილიკი—
წინ მიიწევდა
სწორ-უპოვარი.

თავგანწირულად,
გზადაგზა, ფეხზე
მთელი თავისი
სიმაღლით მსვლელი—
ტყვიამფრქვევიდან
მეხს სცემდა მეხზე,
მრავალ ათეულ
მტრის ამცელველი.

მის წინ მაღლობი
ნაწვდენი თვალით—
მტრის სხეულებით
იყო ნაგები.
და უშიშარ გმირს,
როგორც მაგალითს,
გარს ეხვეოდნენ
ამხანაგები.

აი სხვა წამი,
გასახარელი:
გამარჯვებული
ჩვენი ბანაკი,

მათ შორის იდგა
მხნე, საყვარელი
მამულიშვილი
და—ამხანაგი.
მრავალთან ერთად—
ის კიდევ ერთი...
ძვირფასი... ნათელ
მიზნით გზნებული,
ვარსკვლავის ორდენს
ატარებს მკერდით—
სამშობლოსათვის
თავდადებული.

მფრინავი

ისეთმა ქარმა დაბერა,
ქვეყანას რომ არ სმენია,
ისეთ სიმაგრეს მიაწყდა
ზღვიდან ზღვას რომ გასწვდენია.
მოჰქრის ისეთი ალალი
ცას რომ არ გაუჩენია.
გაწითლდა ცა და ხმელეთი
ცის კიდეს სისხლი ჰფენია,
ოკეანემდე მისულა
კიდეებს გადადენია,
გადაულეკავს ნაპირი
ყველგან ალმურის მჩენია,
არასდროს ასეთი ფრენით,
გასტელო, არ გიფრენია.
სხვისი შენ არა გინდა რა,
შენი რაც არის, შენია.
დაჰქრიხარ კიდით-კიდემდე
ცას ვარსკვლავები ჰფენია.
ხედავ: მშობლიურ მწვერვალებს
შუბლი ცას მიუბჯენია,
ძირს გაფენილი სამოთხე
დახედავ, იგრძნობ: ჩვენია!
არასდროს ასეთი ფრენით,
გასტელო, არ გიფრენია.

მტერი სწყვეტს ბავშვს და მოხუცებს
გულს მოედება გენია,
თავი რათ გვინდა ცოცხალი...
განა ეს მოსათმენია?
გასწი, გასტელო, შენთვის მზე,
ვერ დასთვლი რაოდენია—
შენს სიკვდილს მოაქვს სიცოცხლე
და გამარჯვებაც ჩვენია!

ეს წელიწადი

ეს წელიწადი ახალი მოდის ქარიშხალხმიანი.
მტერს სურდა ჩრდილით ჩაეხშო, რაც კი რამ ხაროობს მზიანი.

მაგრამ გმირულად აღვმართეთ სიმართლის დროშა მაღალი.
ბევრ გამარჯვებას მოიტანს ეს წელიწადი ახალი.

განვლიეთ იმნაირი გზა, ქვეყანას რომ არ სმენია.
ჰქროდა ისეთი ალალი, ზღვიდან ზღვას რომ გასწვდენია.

შარაზე ეგდო ყმაწვილი, აკვნიდან გადანახალი.
შურისძიებას იძახის ეს წელიწადი ახალი.

ალმური ცასა და ხმელეთს კიდით-კიდემდე ჰფენია,
ოკეანემდე მისულა, კიდეებს გადადენია.

ბევრს უძლებს, ბევრსაც გაუძლებს, საბოლო სდგას ქედმაღალი.
სხვა იმედებით გვინათის ეს წელიწადი ახალი.

სტალინის დროშით, მაღალით, სავსენი ზეშთაგონებით
არწივნი, ვეფხვნი, ლომგულნი—მიდიან ლეგიონები.

წინ, ამხანაგო, მტრის ურდოს ჰკარ, შეიპყარი, ჩაჰკალი!
გლეჯდეს, მუსრავდეს მტრის ტანკებს ეს წელიწადი ახალი!

კავკასიონის კლდეებზე მეომარი სდგას მზიანი

კავკასიონის კლდეებზე
მეომარი სდგას მზიანი,
თავდადებული მებრძოლი,
ომში არალერსიანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გუშინ როს კავკასიონზე
მტერი მოვარდა ხმიანი,
მან მიაგება მახვილი
მკაცრი და განგებიანი.

ეკვეთა ურდოს ლომებრივ
ძვრით ნახტომ-ანაზდიანი
სამშობლოსათვის დევ-გმირთა
რისხვა ქარიშხალფრთიანი.

დაჰფარა ლესელიძისა
ხმამ ადგილები მთიანი:
„ჩვენ მიწა-წყალზე დუშმანი
ვერ გაიხარებს გვიანი“.

მტერმა მთას თავისუფალსა
ვერ მიაყენა ზიანი,
მშვენიერია ყაზბეგი,
ლაღი და ოცნებიანი,

მას მარად მედგრად იცავდა
უანგარო და სვიანი,
იგივ მძლე, იგივ ამაყი,
მებრძოლი ადამიანი!

სამშობლოსთვის არის იგი სიმღერა

მთავარსარდლის შორსმჭვრეტელო მზერავ,
ველს ბრძოლისას თუ ტყეების ჩრდილოს,
გამარჯვების ფერადებით ფერავ,
ვით მხატვარი თვალუწვდენელ ტილოს.

არის ისართ და ტყვიების სტვენა,
და დიდებას ამნაირი ჟღერის,
რასაც ჩემი ვერ გამოთქვამს ენა,
მას მოქნეულ ხმლის წკრიალი მღერის!

სამშობლოსთვის არის იგი მღერა,
მომავალის მომცემელო სრულის,
მეთაურის მოდარაჯე მზერავ,
მოდარაჯევ ხალხის სულის, გულის.

*
*

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას, განათებულს ივერიის უმხურვალეს მზით,
მრავალ ომებში თავზე რა არ გადახდომია,
როცა ჰკითხავენ: მეთაურო, საით, რომელ გზით?
ის უპასუხებს: სადაც უფრო ცხარე ომია.

ვიბორგი, ბუგის ნაპირები, გომელის ქარი
იცნობს ჯახუას, ვისაც მედგრად და უანგაროდ
ბრძოლის ქარბუქში, ცეცხლში, წყალში წითელი ჯარი
რომ მიყვებოდეს თავგანწირვით—მზადაა მარად.

იქანცებოდეს ასაკლებად მოსული მტერი,
მკაცრი პასუხი მეომარის მზადაა მისთვის:
არ გაგახარებთ ჩვენთა მამათ და ბედნიერი
დედების, დების და შვილების გამწარებისთვის!

ახალი ტფილისის დაფუძნება

ალბად გინახავს ის ქალი ქვრივი
მთაწმინდაზე რომ დაუდგამთ ძეგლად:
საუკუნეთა მწუხარე მწკრივი
სჩანს მის სახებად და ანარეკლად.

ჩემო მკითხველო, სხვა შედარება
მოვნახოთ უფრო უნამდვილესი,
რომ შთავისუნთქოთ დარისდარება
რითაც ახალი სუნთქავს ტფილისი.

სემინარიის პირდაპირ, ბაღში
ბარელიეფი იყო ასეთი:
ვაჟი, შთანთქმული სალი კლდის თაღში
მთელის სიმკაცრით და სინაზეთი.

მარჯვენა მკლავზე დახრილს, სძინავდა
ვიწრო გვირაბის ქვაზე მჯდომარეს,
თავზე კლდე აწვა და ის ყინავდა
გამოღვიძების ასე მდომარეს.

მაგრამ იმ წერაქვს, რომ ეგდო გვერდით
მეორე მიწვდა—ხელი მშრომელი,
ძველი ტფილისი ასწია მკერდით
და შექმნა სუნთქვა დაუცხრომელი.

მტკვრის ნაპირიდან მან მოიზიდა
ელექტრონები ქარვის და ლილის,
იმ ბაღებიდან და იმ ხიდიდან
დღეს ახალთახალს აფუძნებს ტფილისს.

ვით არ შვენოდეს ყოფნას სიახლე,
როდესაც სივრცე და უფრო მეტი—
ტფილისი არის იგი სიმაღლე,
ვის მებრძოლ სახელს ატარებს ქედი!

თასი

თასს საღ ღეგრძელოს ხელში ვიღებ
ასსა და ათასს.
დაე, ესმოდეთ: ერთმანეთის
გატანა ვიცით,
შეხედეთ ამ თასს, მეომრებო,
შეხედეთ ამ თასს,
იგი სავსეა არა ღვინით,
არამედ ფიცით.

ქართველის ფიცით, ვისიც ეხლა
ისმენთ გულისთქმას,
მარად ერთგულის გრდემლის, კალმის,
ხმლისა და გუთნის,
მებრძოლის ფიცით, რომ არასდროს
არ ჩავაგებთ ხმალს—
მის დასაცავად, ვის სიცოცხლე
ჩვენი ეკუთვნის.

უსამშობლოოდ დე, ის ღვინო
გადმექცეს შხამად
და სასიკვდილო გაზმორებად
მოედოს ძარღვებს,
როგორც ეკუთვნის, როგორც უნდა
განსაცდელ ჟამად,
ვინაც ფიცსა სტეხს, ვინაც ძმობის
სიმტკიცეს არღვევს.

სამშობლოს ჩვენსას ბევრი ომი
გადუტანია,
მრავალ ქარიშხალს გვიხატავდა
ცხოვრება ქართლის,

ის თავდადების და გმირობის
მატეანეა.
ეხმაურება იმ ხმალს ჩვენი
ხმალი სიმართლის!
თასს უკანასკნელს ვცლი. დავცალე!
გადავდივარ მას
დაე, დაიმსხვრეს მტერი ჩვენის
მძლავრი სიმტკიცით!
ახსოვდეს ყველას, ვინც აიღებს
ამ მშობლიურ თასს,
რომ ის სავსეა არა ღვინით—
არამედ ფიცით.

ვისი არის ეს გუგუნი?

— ვისი არის ეს გუგუნი, ეს მედგარი ხმა ვისია?
— ეს—კორპუსი კორპუსებს სდევს, დივიზიებს დივიზია!
— ვისგანაა ეს გრიალი, გზა რომ გადუჭენებია?
— ეს ტანკები არის ჩვენი, ჩვენი ბომბათმშენებია!
— ვისი არის ეს ქარბუქი, მტერს ხედვა რომ აურია?
— ცხენოსნების, მფრინავების და ტანკების ხმაურია?
— ეს რა ცეცხლი აიმართა, და ჩვენს მართალ გზას ანათებს?
— ცეცხლი არტილერიისა ანადგურებს მუხანათებს!
— ეს რა ხმაა სასახელო? — სიხარულით გულმა ახსნას;
— ეს სამშობლო ესალმება ჩვენი ქვეყნის მტრისგან დახსნას!

* * *

როგორც მერანი თავს აღწევს ლაგამს
და უსივრცოა მისი ჭენება,
როგორც ძველ ძონძებს ტოვებს შვენება
და სიდიადით ცისკარს მიაგავს;

ვით ამირანი ტყვეობას მდაგავს
შესძახებს: წყევლა და შეჩვენება!
როგორც სიბნელეს ლურჯი თენება,
უმშვენიერეს მზით გადალაქავს.

ისე მნათობი აღმოხდეს ბნელით
და ულამაზეს მთებით მოარე
კავკასიონის ამღერდეს ჯარი,

კვლავ გამარჯვებით დაბრუნდეს ველით
და ულოცავდეს ახალ აღსავალს,
სამშობლოს ჩემის თავგადასავალს!

მწვერვალი

ამ ვაკებმა, ამ კლდეებმა,
ამ ჭალარა ნისლის ფრთებმა,
ჩვენმა დებმა და დედებმა,
ჩვენმა მამებმა და ძმებმა—
მე მიამბეს, რაც ამ მწვერვალს
განუცდია მტრებთან შებმა.
ოდეს მტერი დეზს სცემდა რაშს,
მაგრამ რაშმა ვერ ირაშა,
მომყეთ — დაიძახა გმირმა
და გრიალი გახდა: ვაშა!
ის, ტყვიებით დაცხრილული,
იბრძვის, ცეცხლმა გააკაჟა.
გადავიდნენ იერიშზე
და მთებშიაც ირიჟრაჟა!
ვინც ქვეყნისთვის მზად არის, რომ
გადავარდეს ცეცხლში, წყალში,
ვინაც სიკვდილს სახელოვანს
გაბედულად უცქერს თვალში,
არ გაჰქრება ხალხის გულში,
არ მოჰკვდება ბრძოლის ალში,
უკვდავია მისი ხსოვნა
აწმყოში და მომავალში!

ირაკლის ხმალი

ყოველი მხრიდან ბერავდა ქარი,
მაგრამ ქართველი ქედს არა ხრიდა.
ოდეს სამშობლოს გარს ერტყა ჯარი
ყოველი მხრიდან, ყოველი მხრიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ხმალს მივარდა მეფე ირაკლი
და იგი ხმალი ელვასებრ სჭრიდა.
ერთს მებრძოლს ასი ეხვია მტერი
ყოველი მხრიდან, ყოველი მხრიდან.

ლომო ირაკლი, იბრძოდი ისე
შენს ხმალს არასდროს ბედი არ სცრიდა
და გაოცებას იყო მსოფლიო
ყოველი მხრიდან, ყოველი მხრიდან.

მრისხანე ქნევა იმა ხმალისა
მტერს და მუხანათს შიშის ზარს ჰგვრიდა
და ქება ჰქუხდა ირაკლის ხმალის
ყოველი მხრიდან, ყოველი მხრიდან.

გამარჯვებული ბრუნდება ჯარი,
მზე ელვარებად იფრქვევა ციდან,
შენი, სამშობლოვ, შენი, ირაკლი,
ყოველი მხრიდან, ყოველი მხრიდან.

სიცხადე

> და მე ისევე სიზმრად ვნახე
> ჩემი ხარკოვი...
>
> ნატალია ზაბელა.

დღეს კი, სიზმრის მაგიერი,
მზეა, ცხადზე—ცხადი:
ხარკოვის ცას მხარ-ძლიერი
ანთებს განთიადი!

და იქ უკრაინელ ქალის
წინანდელი კვნესის
ნაცვლად, — გზაა მომავალის
ცხადზე—უცხადესის!

წელგამტყდარი შორს მიცოცავს,
შხამიანი გველი...
მომილოცავს, მომილოცავს
ეს სიცხადე მწველი!

შავსწრებოდეთ კიდევ მრავალ
გამარჯვების დღეებს—
არ ვუფრთხოდეთ გარდამავალ
ირთა სიძნელ ეებს!

და ვინც თვისად გაიხადა
ხალხის იგი ჭირი —
ხალხის გულშივ ჩაიხატა
ვით სიცხადის გმირი!

ეს სიცხადე დაალაგებს,
მიმონგრეულ ბინას,
სოფლებს, დაბებს და ქალაქებს!
და მთელ უკრაინას!

ამ სიცხადით მისწვდეს ლელოს
ჩვენი მთა და მდელო,
უკრაინავ, საქართველოს
მეგობარო ძველო!

ელგუჯას დაბრუნება

ბაღის კარები ღია იყო;
მაგრამ შევჩერდი.
მზე ბაღლით ჰფენდა არე-მარეს
სუნთქვას საამურს.
ახლო, სულ ახლო მოისმოდა
შესაცნობი ხმა:
არაკრაკებდა ბავშვი-მწყემსი
თავის სალამურს.
სანატორიის წინ შევდექი:
ამ უცხო ბაღით
ვინაც საყვარელ მიდამოზე
თვალს შეაჩერებს,
ის ხარბად სუნთქავს სუფთა ჰაერს,
ფიჭვებისა და
მოთიბულ თივის სურნელებით
გადმონაჩქერებს.
უნდა გავნათლდეთ — გავიფიქრე—
უნდა გავმრავლდეთ.

მე ვიდექ მარტო, მე ვხარობდი,
და მერე როგორ!
როდესაც ჩემკენ მომავალი
მოსჩანდა ბავშვი,
ამღერებული, თმახუჭუჭა
პატარა გოგო —
მისთვის ჰყვავიან ყვავილები
ათასნაირნი,
გულმხიარული ფრინველები
მისთვის მღერიან;
მისთვის ელვარებს მზე კაშკაშა,
მისთვის იცავენ
სამშობლოს, ასე თავდადებით,
მოსაზღვრეები.
დეე, ძმობის და სიყვარულის
სამფლობელოში —
მანაც იყვავოს, იყოს ლაღი
და ბედნიერი.
აი, ეს გოგო. ჩემთან ახლო,
ახლო მოვიდა:
რა ლამაზია, რა წარმტაცი
და მშვენიერი.
იქნებ ის როსმე დაესიზმრა
ოცნებას ჩემსას,
როს გაზაფხულის ღამე სივრცეს
რიდეებს ჰფენდა,
როცა ჰყვაოდნენ გაზაფხულის
ცაცხვის ხეები —
და იადონი გულსაკლავად
ვარდებში სტვენდა.
არა, არაა ეს ზმანება:
სინამდვილეა,
ეს თმები, სახე. აი ბავშვმა
რომ გაიბრწყინა —
ეს გამოხედვა რაღაც ისე
ახლობელია,
მინახავს სადღაც და ოდესმე,
დიდი ხნის წინად.
მაგრამ სად? როდის? რანაირად?
ანუ რას ნიშნავს:

როგორ მეცნობა ეს ღიმილი
      და ეს თვალები,
ნათელი ცქერა, ბავშვის ბაგე
      ალერსიანი,
სუფთა, სპეტაკი, თეთრი შუბლის
      გამოალება!
როგორ მეცნობა ეს ნიკაპი
      და ვარდისფერი
ღაწვების ეშხი, საამურად
      რომ მოისახა —
სად, როდის ნახა ეს მოქნილი
      და მოხდენილი,
ცქრიალა ბავშვი, თვალმა ჩემმა
      სად, როდის ნახა?
„—შენა, გოგონა — ვეკითხები —
      აქაური ხარ?“
„ — არა! აქედან ჩვენი სახლი
      შორზე-შორეა.
ამიერიდან კი აქა ვართ:
      ეს არის ჩვენი
უფროს ექიმის, დედაჩემის,
      სანატორია.
მამა ცოცხალი არ არისო,
      დიდი ხანია.
იგი სხვებს ახსოვთ: მეომარი
      იყო ნამდვილი.
მე არ მინახავს. ახლა, ძია,
      რა ხდება ფრონტზე?..“
უეცრად მკითხავს გოგო წრფელი
      და გულახდილი.
„მიამბეთ — ოისთვის, რა საქმისთვის
      დაგაჯილდოვესთ...
ზედვე გეტყობათ: გიბრძოლნიათ,
      ყოფილხართ გმირი...
მამაჩემი კი, ვინ არ სცნობდა
      მამას გაბედულს —
უფრო ადრინდელ ომის იყო
      რკინა, ქვიტკირი.
ბევრი ქარცეცხლი იმ ხანებში
      გადუტანია,

არ უდრკებოდა მტრების მიერ
ატეხილ ქუხილს...“
„რა გვარი იყო მამაშენი—“
ბავშვს ვეკითხები,
მაგრამ გოგონამ ვერ მოასწრო
ეთქვა პასუხი,
საღამოის მზე სუნთქვას ჰფენდა
არეს — საამურს,
როცა გაიღო სახლის კარი
გადარაზული —
ლანდივით ჩანდა აივანზე —
მაღალ-მაღალი,
ლამაზი, მეტად მოხდენილი
უცნობი ქალი.
„ — აი, ეს არის ჩემი დედა“—
მშვიდ სიამაყის
ფარული გრძნობით განაცხადა
ბავშვმა უმალვე.—
აღელვებულმა — უმდაბლესად
დავუკარ თავი.
„ — დედა! ახალი ავადმყოფი
მოვიდა ჩვენთან.“
„ — ძალიან კარგი, მაგრამ ეხლა
უნდა დაგვტოვო.
წადი იმ ბაღში, შენ ხომ გიყვარს
ყოფნა ფუტკრებთან?“—
ბავშვს არ უნდოდა კარგ უცნობთან
კარგ ნაცნობობის
ასე შეწყვეტა. იგი უცებ
ძლიერ დაღონდა.
როგორნაირი სინანულით
მან შემომხედა!
მაგრამ გოგონას უარისთქმის
ნება არ ჰქონდა.
კვლავ შემომხედა და წყნარად სთქვა:
„ — უფრო გულდასმით
ვილაპარაკებთ შემდეგ დიდხანს...
ასე არ არის?“—
თანხმობის ნიშნად მეგობრულად
გავუღიმე მას,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ბავშვი მოსწყდა ადგილიდან,
ვითარცა ქარი.
დედას ღიმილი მოერია:—
„სჩანს, დამეგობრდით!
მთელი ქვეყანა მაინც მისი
მეგობარია“.
ის განაგრძობდა გაღიმებას
და ამ ღიმილში
დავიწყებულმა ოცნებებმა
რაღაც გარია.
ილიმებოდა და თვალთაგან
იფრქვეოდა მზე.
ჰანგს აღვიძებდა, რომელიც მხნე
და მზიანია,
რაღაც ძველის-ძველ და მშვენიერს,
დამატყვევებელს.
ის ანათებდა წარსულს, გამქრალს
დიდი ხანია.
„— ევა!“ — აღმომხთა მაშინ გულით.
„ელგუჯა, შენა?“ —
და ჩვენ მხურვალედ ჩამოვართვით
ერთმანეთს ხელი
„— გადმომისროლა ბედმა ასე...“
„— კეთილშობილად
აწ მოქცეულა იგი ბედი —
მუდამ ფიცხელი...“
ამ დროს გამოჩნდა კვლავ გოგონა,
აყვავებული
ალუჩებისა და ვარდების
მოჰფანტა ბლუჯა.
„— რა უნდა მეთქვა — განაცხადა —
თქვენ მ მაჩემის
მკითხეთ სახელი, მას სახელად
ერქვა ელგუჯა...“

მოაქვს საღამოს სურნელება
ყვავილთა კონის.
მაშ, გამარჯვება თეთრო შუბლო
კავკასიონის.

II

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარკმელი

მე მიხდება ივლისის
ლაჟვარდებში გაფრენა,
ეთეროვან ლივლივის
ქსელში გადასაფრება.

სხვა გვარია ზევიდან
მიწა, სიცხით დაგული
იქ გზა, კლდეთა ოღვევიდან,
აქ კი ცის შუაგული.

იყო მატარებელი,
მაგრამ მე სად მეცალა,
ოცნებათა მკრებელი
გაჭრილი ვარ ზეცადა.

უფრო ფართოდ იშლება
სივრცე ნათლად ხილული
მთების გადამიმვლება,
ლურჯად გადალილული.

როგორც ღამედ შევარდეს
ფრთამახვილი ისრები,
ისე ჩვენ ორბ-შევარდენს
გარს მოერტყა ნისლები.

ნისლი ნამებს აწურავს
ელვარე და მზინავი,
მიჰქრის, მიჰქრის, მისცურავს
გამბედავი მფრინავი.

აგერ ნისლში სარკმელი
მალე გამოაშუქებს,
დრო, ვერ გამოსათქმელი
გამოსავალს გვაჩუქებს.

სადღაც, ყინულზე ცეცხლი ანთია

სადღაც ყინულზე ცეცხლი ანთია
და ადის ბოლი,
სადღაცა შორი ჩანს გრენლანდია—
ტიტანის ტოლი.

იმ ყინულებზე დროშა ფრიალებს
მიზანის დიდის,
ამოდის ქარი, დათვი ღრიალებს,
დრეიფი მიდის.

მაშ ამოდუღდი სიმდიდრეების
უხვო მარაგო;
ველად ფრიალებს დროშა დრეიფის
მხნე, საარაკო.

მთვარის ნაამბობიდან

ვიცი ცაო, გულმავიწყო,
მე ზრუნვა ვარ, შენ ოცნება.
არ იქნება — არ დავიწყო
ოცნებათა შემოწმება.

„ბევრი მხარე მოვიარე —
ასე იწყებს ამბავს მთვარე —
მაგრამ საქართველოსთანა,
არ მინახავს არსად მხარე.

ბრწყინავს მისი ძველისძველი
უძლეველი მთა და ველი.
მისი წყალი, მისი სივრცე,
მისი შოთა რუსთაველი!

დიდი ხნიდან მალარიით
მოშხამული ატმოსფერა,
ახალ ჩაით, ახალ ციით
ახლად გააოქროსფერა.

(რუსთაველი მახსოვს ბავშვი,
ოცნებობდა ოქროს ნავში,
მიცქეროდა და თან თრთოდა,
ვით ფოთოლი თრთის ნიავში).

ვიცი ცაო, ფანტომიდან
ზრუნვა ვარ და შენ ოცნება,
მრავალ ახალ კარგს მომიტანს
ოცნებათა შემოწმება.

ოგერ მძლავრი და ტიტანი
მოჩანს კავკასიის ტანი,
მიჯაჭული აქ იყო და
აქ აეშვა ამირანი!

ს ტ ა ლ ი ნ ი

იყო მთლად შეუმოსავი
კაცობრიობის აკვანი,
იყო ერთ მუჭა ბრბოსადმი
მრავალთ-მრავალის თაყვანი.

(იყო ბორკილი მონობის,
გზა უამური შრომისა,
იყო ცა უპატრონობის,
ვით ნისლი შემოდგომისა.)

ადამიანმა დაჰკარგა
სიხარული და მზე ტკბილი,
ცხოვრებამ გადააქარგა
მწარეზე მწარე ლიმილი.

ბევრი დაღლილა ჯალათი
მებრძოლთ თავების წარკვეთით,
იყო ომი და ღალატი
და ყოფნა სასოწარკვეთით.

(დღეს კი მსოფლიოს მეექვსედს—
ჩემს სამშობლოში სვიანი,
სხივმოსილი და მოლექსე
დამკვიდრდა ადამიანი.)

სტალინი ბელადია და
მხატვარი უდიადესი!
ხარტიით გაადიადა
გზა ნაჭედი და ნათესი!

(ასწია დროშა მაღალი
კაცთა შრომის და გონების,
მსოფლიო აზრის, ძახილის,
მიღწევის, გამოგონების.)

მიჰყავს — ვით სიმაღლეების
არწივთა ხმობა ალური —
ჩვენი უბადლო დღეების
მსვლელობა გენიალური.

ულევი — დროს ეუფლება
ვეფხვთა ნიჭი და გენია,
უმაღლეს თავისუფლებას
სამშობლო აღუდგენია.

და ხანა უხვად ამდიდრებს
არნახულ ბედნიერებას:
ჩანგს, მახვილ კალმებს, პალიტრებს,
სიმღერას, მეცნიერებას.

უმდიდრეს მემკვიდრეობის
საგანძურია ნახული —
სადმე მთისა თუ ხეობის
კლდეებში გადანახული.

შეტრიალებულ რკინიდან
ალი მოღვივის ფერადი,

შრომის ეცემა მინიდან
ნათელი ათასჯერადი.

მარადი სიმაისეა
ჩვენი ქუჩა და შენობა
და სიხარულიც ისეა,
როგორც ტყის ფოთოლფენობა.

და თუ რომ მტერი ფიცხელი
მოგვეტბორება ღვარებად,
ჩვენი ლითონის სიცხელის
შეხვდება გავარვარება.

—

სტალინი ბელადია და
მხატვარი უდიადესი!
ხარტიით გაადიადა
გზა ნაქედი და ნათესი!

ეს წელიწადი

მოვითხოვ სიტყვას!
კვლავ იმას ვიცავ,
სულით და გულით,
რასაც ვიცავდი.

მაინც რას ნიშნავს,
მშობელო მიწავ,
ეს დღე, საათი,
ეს წელიწადი?

ეს არის წლების,
ეს არის მასის
უზენაესი
მარშით ვლინება!

ეს არის ოცის —
როგორც ათასის —
წლის ბრწყინვალებით
დაგვირგვინება!

ეს წელიწადი
მშიდრო ფუძეა!
შეუდარებელ
წლებს გადარჩება —

მზე: სტალინური
კონსტიტუცია!
სოციალისტურ
მზის გამარჯვება!

პიონერო, იყავ ლირსი

პიონერო, იყავ ლირსი
ახალ ყოფა-ცხოვრების,
შენ ხანა არ გაგივლია
ძველი გამათხოვრების.

მასამ აბობოქრებულმა
ის ბორკილი დალეწა,
რომ ნისლებს არ დაებურა
შენი გამშვირვალე ცა.

ბრძოლამ ძველი ზამთრის სუსხი
დაუნდობლად შელახა,
რომ ნამდვილი გაზაფხული
შენთვის გადაენახა.

თოვლიც გადნა, ველად გაჩნდა,
ცისფერ იის ლერები,
გაზაფხულის ეს მზადმყოფი
ნორჩი პიონერები.

მშენებლობა მოდის ქვეყნად
ჯერ რომ არსად ნახულა,
პიონერო, ეს დღეები
შენთვის გამოსახულა.

ხუთწლედი ოთხწელიწადში!
საქმეს — თავის ალაგი!
მოდის სოციალისტური
სოფელი და ქალაქი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გორი

ჩვენი ლიახვი, თხრობის
    გადაქცეული ჟინად,
დიდი ბელადის ყრმობის
    მხარეს აშვენებს. წინად
აქ ცეცხლში ბრძმედილ რკინად
    იდგა ტოლი და სწორი:
ომი მიაჩნდათ ლხინად.
    ასეთი იყო გორი.

გზებად — ველები მტრობის,
    ციხის კედლები — ბინად,
ალყა მრავალი ხნობის,
    დარტყმა მეხად და გრგვინვად;
ძვლებს, აქ მიმოყრილს ზვინად
    ფრთებს აზომებდა ქორი.
ომი მიაჩნდათ ლხინად.
    ასეთი იყო გორი.

ალბად უყვარდა კობას
    აქ დაფიქრება ხშირად:
სამშობლო მხარის, ძმობის
    მცველებს სამარეთ სძინავთ!
მტერთან გარედ და შინად
    არა ერთი და ორი
თავს დასტეხია გმინვა.
    ასეთი იყო გორი.

კაცობრიობის ბრწყინვად
    სჩანდა ვარსკვლავი შორი,
ყრმა გასცქეროდა: „სძინავთ!“
    ასეთი იყო გორი.

სწუხდა ლიახვი: „თუ მხარეო,
    დიდიხნის წინად
წინაპრებს ჩვენსა ცხარე ომი
    მიაჩნდათ ლხინად.

ეს იყო ომი — არა ლხინით
    გულხელდაკრეფა,
იერიშისთვის ძახილი და
    გულგამაგრება.

მაინც, რა ვიცი, დასაბამით
დღესასწაულობს
კაცთა ცხოვრება თავის ყოფნას
უსამკაულოს.
წამება, შიში და სიკვდილი
მიდამოს აკრავს,
ლარიბს და მცირეს — ულმობელი
ძლიერი ჩაგრავს.

მტაცებელთ ომი მხოლოდ მისთვის
მოიღრუბლება,
რომელს აქვს ხალხზე ბატონობის
მეტი უფლება,
მათთვის რა არის ხალხის სისხლი?
დეე, იღვაროს
ოღონდ მტარვალმა იბატონოს
და გაიხაროს.

მაგრამ ცხოვრება უნდა მისწვდეს
იმ გასახსენებს,
კაცობრიობის დიდ მეგობრებს
რომ არ ასვენებს.
და გვ სწავლიან სიკვდილისაც
არ დარიდებას,
რომ ბნელი მოსავს სიმართლეს და
ჭეშმარიტებას!

ჭეშმარიტების დიდის
ნისლს დაებურა ზღვარი,
არალეგალურ რიდეს
იხვევს დღეების ჯარი.

ჩნდება სტალინის მხარი:
რაზმთა ჩამოჰკვეთს მკვრივი,
შეკამათება ცხარე:
ჭეშმარიტების სხივი.

ციხე, მუშათა ხიდი,
მშვიდი ბათომის მთვარე,
კიდევ კასპიის კიდე,
გადასახლების მხარე.

ლტოლვა ციხიდან. არე
ტამერფორსისკენ ჰლვივის,
ლენინის ნახვა. ფარი
ჭეშმარიტების სხივის.

რა მძიმე გზებით ვლიდი —
პრაგა, ლონდონის კარი,
ხან ტურუხანის მიდის,
ხან პეტერბურგის ქარი.
ტყე, გაფიცვების ღვარი,
ციხე, ციმბირი ცივი.
ყველგან იმედად არის
ჭეშმარიტების სხივი.
ცხრაას ჩვიდმეტის გარეს
მზე სწვდა მილიონმხრივი
და მოეფინა მხარეს
ჭეშმარიტების სხივი!

ლენინთან ერთად, ოქტომბერის
ბრწყინვალე დროშით
სტალინი ბურჯი — განახლების
გაეშვა დროში.

როცა მშრომელებს ახალ ხანად
და ახალ ჟინად
დაუნდობელი ომი მტერთან
მიაჩნდათ ლხინად.

მას შემდეგ ხალხთა გამარჯვების
უძღვის დიდებას,
რევოლუციას, მის უმაღლეს
ჭეშმარიტებას.

შემდეგაც, როცა შავი ძაძა
ჩაიცვა მზემა,
როს მძლავრი შესწყდა ნებისყოფა
და მაჯისცემა,
როცა გაისმა უმძაფრესი
სიტყვები ფიცის
(მსგავსი არც წინად, არც აწმყოში
მხარემ არ იცის),

შენგან დაწყებულ მოძრაობას
სდევს მოძრაობა,
შენით ფოლადის იჭედება
დიდი თაობა.

შეგნებამ კაცთა სიკეთის და
მოვალეობის
შემეცნებისკენ გახსნა არხი
ყოველდღეობის.
შემოქმედება — სიხარულის
და შრომის ბალთა
თავმოწონების და სახელის
ემბლემად გახდა.

დიდიხანია გაჭრა ძონძი,
სუსხი კატორღის,
საცოდაობა, სიბეჩავე
დაკარგულ ქოხის,
უნაყოფობა, სულიერი
არარაობა.
ქვეყნად ფოლადის წინ მიიწევს
მძლავრი თაობა.

თვალუწვდენელი ღამის შემდეგ
გათენდა დილა,
ცოდნით აივსო და ბუნება
დაიმორჩილა.
მოძრაობანი, სინათლის ზღვა,
სითბოთ ბუნება,
მდინარეთ დენა — მას მორჩილად
ედუდუნება.

ადამიანი თვალუწვდენელ
ნოხად დაიგებს
პოლარულ ტუნდრებს და ციმბირის
ულრან ტაიგებს,
ჭაობის ნაცვლად განახლებულ
გულში ჩაისვა
სურნელოვანი ყვავილები
რამის, ჩაისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თვალუწვდენია ჩვენი სივრცე,
ველნი და ტყენი,
უანგარიშო, ულევია
სიმდიდრე ჩვენი,
სულით და გულით ჩვენთან არის
სიცოცხლე ლაღი,
სიღრმე მთებისა, ციხის წიაღი,
მიწის წიაღი,
ღრუბელთ ვარდები, მთის სიმშვიდე,
ზღვის ქანაობა.
მიდის, ფოლადის წინ მიიწევს
მძლავრი თაობა.

უბრწყინვალესი არის დღეთა
ჩვენთა მსვლელობა.
უმწეოს — შველა, სუსტს — სიმშვიდე
და მფარველობა.
მსოფლიოვ! როს სჭვრეტ თავისუფალ
შრომის სასახლეს,
როგორ არ გრძნობდე აღტაცებას
და სიამაყეს?

გადაილახა მიუდგომი
საზღვრები ბედის.
კაცობრიობის ცხოვრებაში
სიცოცხლე შედის
ჯანსაღ, მშვენიერ, სრულყოფილი
ადამიანის.
დღეგრძელობა და ვაშა სტალინს!
დიდება სტალინს!
მას კომუნიზმის მიჰყავს გემი
გენიის სინჯვით,
ჭაბუკურ ნებით და ჭარმაგის
სიბრძნე-სიდინჯით!

პოეზიის ინტეგრალები

ლურჯ ფანჯრებს იქით, ოცნებაო,
სიმძლავრით დგება
სამშობლოს ჩემის ხმაურობით
სავსე ცხოვრება.

მე კი ვუზივარ ისევ წიგნებს.
ვებრძვი ყოველ წუთს,
ვებრძვი და ვიპყრობ მასალათა
სიმძლავრეს ჯიუტს.
როცა უბრალო სიდიდეთა
რჩება რკალები,
უმაღლესი გზა წინ მეშლება:
ინტეგრალები.
რთულ ინტეგრალებს მე ვადარებ
ეხლა მეორეს
მსგავსებას მათსა და პოეტის
ცხოვრებას შორის.
მას ხომ ჯერ ისევ ბავშვობის დროს,
დიდი ხნის წინად,
სიტყვებთან ბრძოლა და დაძლევა
ჰქონია ჟინად.
ეხლა კი მის წინ გაიშლება
ფერნაალები—
უმაღლესი გზა: პოეზიის
ინტეგრალები!
ინტეგრალები! სიმებს მარად
ესახსოვრება
სამშობლოს ჩემის ხმაურობით
სავსე ცხოვრება.

სამშობლოს

სამშობლოს წ ნსვლა
გასაკვირველი,
მზის მხურვალება
გარს რომ ავლია,
აი პირველი!
აი პირველი—
რის სიყვარულიც
მე მისწავლია.
შენს გამარჯვებას
ჩანგო, მოველი!
ოჰ, შენთან დღენი
ჩემნი წარვლიან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედგარი ბრძოლა!
ეი ყოველი
რის სიყვარულიც
მე მისწავლია.
გავშლი ძვირფასი
ლექსების კონებს:
რა სიუხვეა!
რა სიმრავლეა!
გადამასწავლოს—
ნურავინ ჰგონებს—
რის სიყვარულიც
მე მისწავლია.

ზრუმა და მოსვენება

როს ხელს გიშლის ხეობები
ცივი კლდე და ხმელი ნერგი—
შენ მიდამოს ეომები —
და ხმაურობ — როგორც თერგი.
და ყოველ წუთს, ყოველ მხრიდან
გამოძახილს ისმენს ხევი—
რომ სიმძიმეს მკერდით იტან
და ზეცამდე მიირხევი.
მე ვხარბდები ხმაურს ხმოვანს
მქუხარებას, წინსვლის გრძნობას,
მასში ვხედავ ყვავილოვანს
სიხარულის მუდმივობას.
ცად — ფოლადის გედებია,
ძირს ჰქუხს თერგი და რიონი,
მთვარე თითქო ედემია
საყვარელნი გარემონი!
ხომ შენია, ხომ ჩემია
ეს მდინარე და ეს მთვარე—
დიდ ზრუნვას რომ მისცემია
მშობლიური არე-მარე.
სამშობლო—თავს გვადგას დედა—
მოსვენებულთ მყუდრო ძილით,
რომ სიცოცხლით აღსავსე და
ბედნიერნი ავდგეთ დილით.

ნ. გ. ტაბიძე.

გამხიარულდი, ბუხარო

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოვლი და ქარის ფაფარი, გაფითრებული მთაბარი.
ქოხმახი მიუსაფარი, უსახურავო, უკარო.
ისიც გადასწვეს ცხრაასშვიდს (აბობოქრებულს, განა მშვიდს,
შენ-ღა იხდიდი პანაშვიდს, თავმონგრეულო ბუხარო!).
ის გაჰქრა! იმ სამწუხარო, გზისკენ ვერ გადაუხარო,
გამხიარულდი ბუხარო, ბუხარო თვალებ-გიზგიზა.
ოც წელს (ყოველ წელს) თრთის გული: მოზღვავდა ბავშვთა კრებული,
და თავის გახარებული სიცოცხლით გადიკისკისა.
ცხოვრება—მზის თანაბარი, გაცოცხლებული მთაბარი.
ვართ დიდი ცეცხლით გამთბარი—ტიტანის ჯუღაშვილისა.

ახალი მეკვლე

კარგია გრძნობით ნთებული, ბრძოლების მკაცრი ჯახება
და შემდეგ გამარჯვებული სიმღერის შემოძახება.

ეს მე ვარ, რწმენა-მახვილი ნებისყოფა და ძალღონე
ბევრი ქარიშხლის მნახველი, ბევრი გრიგალის გამგონე.

ჩემი ხმაც სმენაჭევრია, გული წმინდა და მაგარი.
საქმე კვლავ ბევრზე ბევრია, წინ, გაბედულად დაჭარი.

(მშრომელო! მარად გიყვარდეს, ვით გიყვარს შრომის სიალე.
პოეტო! ბისრი კალამი ხმალივით დაატრიალე!)

* * *

საბჭოთა ხალხის გმირული
აქ ეპოქა სჭედს ხელოვანს—
იგი გმობს, გულმოპირული
სიცოცხლეს არსახელოვანს.

(კარგია ლექსი, მაშინ რომ
ნათელია და ხალხური,
არ მოაკლდება არასდროს
მასსის მღელვარე თვალყური.)

(სიმართლე, წრფელი იდეა—
აი რა არის პირველი,
გრძნობა კი დიდი ხიდეა
აზრთან ბჭით გადამკირველი.)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაშ, შენი ზვირთი რას იცდის
სიმღერავ, გულში ფარულო,
აქუხდი! მოგვეც არტისტის
განცდები სასიხარულო!

* * *

ფერი მზესა და ქარს მოჰყავს
გაზაფხულის სადარი,
შენ კი ლოყას
გადაგკროდა ზამთარი.
მიდიოდი, როგორც მკვდარი,
როგორც მკვდარი სანანი,
ჰქროდა ქარი,
თრთოდა იასამანი.
ხალხის ზვავთა და გლეტჩერთა
გარს ბრუნავდა მდინარე;
არ შეჩერდა,
არ იკითხა: ვინ არი?
ეხლა სხვაა. კაცის თვალი,
ქალს სიხარულს ადარებს,
სადაც ქალი
ქალის სახეს ატარებს.
სალამი ამ მწიფობისთვეს!
მზე რომ სჯერა მცინარი.
ყველა გისმენს...
და კითხულობს: ვინ არი?
ფერიმზესა და ქარს მოჰყავს
სიხარულის შევსება
და შენს ლოყას
გზნება ეალერსება.

იმიტომ ხდება რევოლუცია

იმიტომ ხდება რევოლუცია
და დაგრიალებს მსოფლიოს თავზე—
ჯვარედინებზ მყოფი პოეტი
ახალ სიცოცხლით შეიქმნეს სავსე.

იმიტომ ხდება რევოლუცია
რომ მოიტანოს დიადი რწმენა,
გვჯეროდეს საქმე და სიხარული,
აღფრთოვანება და აღმაფრენა.

იმიტომ ხდება რევოლუცია,
მისთვის გაისმის ტყვიის ზუზუნი,
რომ პოეტების არ გაისმოდეს
უიმედობა, კვნესა, წუწუნი!

სასოწარკვეთა, უსასოობა,
ძველ ხანას ჩვენთვის, რომ მოუცია,
უნდა გადიწვას და აღიგავოს,
ამიტომ ხდება რევოლუცია.

პოეტი, ეხლა გამდგარი განზე,
დროგადასული და მოხუცია,
უნდა შეერთო მასიურ ტალღებს,
ამიტომ ხდება რევოლუცია.

ჩანგო, ბევრი კარგი დრო

ჩანგო! ბევრი კარგი დრო
ქვეყნად გვიტარებია,
მძიმე, ძველი ცხოვრება
ჩალას გვიდარებია.

საქართველო—პარიზი
სხვადასხვა ქნარებია,
ჩანგო! დამიმტკიცე რომ
სიმართლე გყვარებია.

ჩანგო! ჩვენ ხომ ხალხისთვის
ბრძოლა არ გვზარებია.
მოღრუბლულხარ, ეშხითაც
გამოგიდარებია.

ასი, ასი და კიდევ
ას სიმღერის ხმებია,
რაც კი თვალს დაუნახავს
და გულს გაჰკარებია.

ჩანგო! ბევრი კარგი დრო
ერთად გვიტარებია!

ეს რა ნიალვრებს ვეზუვი ისვრის?

ეს რა ნიალვრებს ვეზუვი ისვრის,
რა სიბნელეში დგას ცეცხლის სვეტი?—
ეს ამ გულიდან სიმღერა იძვრის
და თან მოჰყვება მას სისხლის წვეთი.

ეს რა შავბნელი კვამლი მოედო,
რა ბურუსები მოაქვს რგოლებად?
ეს შენს სიმღერას და სისხლს, პოეტო,
თან მოსდევს წყევლა და დაბრკოლება.

ეს რა გრიგალმა დაიწყო ძრწოლა,
რა ჟრუანტელი წყვდიადს აწუხებს?
ეს შენი ისმის სიმღერის ბრძოლა,
ბრძოლაზე ბრძოლით რომ უპასუხებს...

ეს რა ბრწყინვალე მზე ამოენთო,
რა ჟრიამულმა გადაიჟღერა?
ეს სიმღერაა შენი, პოეტო,
გამარჯვებული ბრძოლის სიმღერა!

მაღალ მთაზედა ავაგე სასახლე ახალ-ახალი

მაღალ მთაზედა ავაგე
სასახლე ახალ-ახალი,
ლითონზე უფრო მაგარი,
პირამიდებზე მაღალი.

ხალხისთვის სამარადისო,
ღიაა მისი კარები:
მე მის უსაზღვრო სიყვარულს
და ნდომას დავემყარები.

მასში პოეტის უკვდავი
დიდება დაისადგურებს,
ვერც დრო, ვერც ჟამთა სიავე,
ვერც ქარი გაანადგურებს.

* * *

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღევანდელი დღის
თვალი და ფიქრი
უმხურვალესი,
გრძნობით და რწმენით
ეს მხედარია,
რომელიც მიჰქრის,
რომელიც მიჰქრის
ფოლადის ცხენით.
რა საარაკო
დრო მიგვაქანებს,
რა საამაყო
ამბებს ვესწრებით,
ცა დაუფარავთ
ჰაეროპლანებს
და მოედნები
ჰქუხს ორკესტრებით.
მზე, ის ბრწყინვალე
მზე ამოენთო
და ნაკადებად
გადმოიჟღერა,
რომ ეს სიმღერა
არის პოეტის,
გამარჯვებული
ბრძოლის სიმღერა.

ლენინისა და სტალინის გზით!

მიზანს, რომლითაც
მე ამ ლექსს ვიწყებ,
ნისლს არ ვაკარებ
იოტის ოდენს.
გახსოვდეს მარად,
ნუ დაივიწყებ,
რომ შენ ატარებ
ლენინის ორდენს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვლადივოსტოკით,
ბათუმის ცამდე,
მხარეს ურყეველ
კედელს ვადარებ.
შენ გაიმარჯვებ
ყოველ დროს, გრწამდეს,
რადგან ლენინის
ორდენს ატარებ.

არხანგელსკიდან
აშხაბადამდე
მე ახალს ვხედავ
მთებსა და კორდებს
და ყველაფერი
ქვეყნიდან ცამდე
გრჯის, რომ ატარებ
ლენინის ორდენს.

დღე ხვალინდელი,
დღე დღევანდელი
აღფრთოვანებას
როგორ არ გრძნობდეს!
დე, ანათებდე,
როგორც კანდელი,
რადგან ატარებ
ლენინის ორდენს!

შენ შენი ქვეყნის
ხარ მტკიცე, მკვიდრი
ბატონ-პატრონი,
მობინადარე:
ვაშა დიდ სტალინს,
მას გრძნობდე, ვიდრე
შენ უბრწყინვალესს
ორდენს ატარებ.

შენი გულია
უდიადესი
ქნარი, რომელიც
ფანტავს აკორდებს;

ხუთიათასი,
ხუთიათასი
ეს ჩემი ლექსიც
ლენინის ორდენს.

კაცობრიობის
დიდი ოცნება
სტალინის დროშით
მიგვიძღვის ოდეს,
როგორც უმაღლეს
პატიოსნებას
იცავს უდიდეს
ლენინის ორდენს.

რა მშვენიერი
ალიონია!
მას ჩემი ჩანგი
იცავს აფთარებრ,
მრავალზე-მრავალ
მილიონიან
ხალხის — ლენინის
ორდენს ატარებ!

ჩვენი მნათობი ცეცხლის ფერია

ცეცხლივით ჩვენი ტრიალებს ხანა,
ჩვენი მნათობიც ცეცხლის ფერია;
მან ბევრი რული და მშვიდი ნანა
ქარიშხლის ხმებით მოიგერია.
მებრძოლ დროშასთან ელავს კალამი.
ეს ათი წელი — ათი აგური
დამკვიდრდეს, როგორც ძმური სალამი
მხურვალე, მხნე და ამხანაგური!
მრავალმა წელმა გაასწრო ჩარჩოს,
დრო ისევ ცდილობს ძალთა მოკრებას;
ინდუსტრიალურ ალს გაუმარჯოს
და პროლეტარულ აბობოქრებას!
გაუმარჯოს ფიქრს, რომ ალებრ მნათი
ხავსმოკიდებულს, ნელს და ბორიოს
ააყირავებს ეს წელი ათი
ათიათასი წლის ისტორიას!

მჭიდრო კავშირი ერთმანეთს შორის
დღეს საჭიროა, როგორც არასდროს!
რევოლუციურ დღის დირიჟორის
ამღელვარებამ რომ არ გაგასწროს!
თუ მსოფლიოში კვლავ შორით შორად
გიგანტიური იგრგვინებს ქნარი,
ჩვენ იმ ვულკანთან ვიქნებით სწორად:
გული, სიმღერა, შრომა—აქ არი!
ხელოვნებათა არმია! ჩქარი
ეპოქის გვერდით იარე, წადი!
თუ დღეს რამ არის გაუგებარი,
ხვალ ნათელივით იქნება ცხადი.
ხომ განვლილია ნაწილი გზისგან—
სხვა ამოცანა—აღმოსავლეთით.
როგორ შორსა ვართ იმ ნაპირისგან,
გემზე პირველი გზით რომ ავედით—
ოკეანესი ჰქუხს შუაგული!
და ახალ ნაპირს იმედათ ათოვს,
მზე, რკინასავით შეჰოდაგული...
ჩვენი მხურვალე სალამი მნათობს!
სალამი ხანას, რომ გასცდა ჩარჩოს!
დროშას, გაწევას, ძალთა მოკრებას!
ინტერნაციონალის ხმას გაუმარჯოს,
ინტერნაციონალის აბობოქრებას!

1936 წ.

ჩვენ, პოეტები საქართველოსი

გულში იმავე გრძნობით ბრუნდება
და მოლოდინი დარეკავს ჩუმი,
რომ არა ერთხელ აგუგუნდება
დედამიწაზე კიდევ სამუმი.

აჰ, ქიმიური ომების წყება,
სოფელში, მინდვრად, ქალაქში, ტყეში.
ახალი ლპობა ჰოსპიტალების,
ახალი ცრემლის ღვარი და თქეში.

იქ, ტრანშეების ლაბირინტებში
ნუ გაგიტაცებს ძველი წუხილი

ხევიდან ხევზე იკივლებს მეხი,
ხევიდან ხევზე წავა ქუხილი.

გიგანტიური მუხლუხო—ტანკა
და შეუწყვეტი ტყვიის ფანტელი,
პროჟექტორებმა ჰაერში იგრძვნეს
ჰაეროების კორიანტელი.

წამოვა მღვრიე ცეცხლის ნიაღვრად
ასსანტიმეტრის მკაცრი სახელი,
ხევიდან ხევზე გადიგრიალებს,
ხევიდან ხევის გამოძახილი.

გააფთრებული ომის გენია,
ძველი ჟანგივით ყვითელი ფერის
გადეფარება მეწამულ ზეცას,
რომ მოიტანოს დღე მწარე წერის.

იქნებ მოსწყინდეს ერთსახეობა,
აღმოსავლეთის დღეების თბილის,
გადმოანგრიოს მტკვარის ხეობა
და ასაკლებად მოადგეს ტფილისს.

ვართ პოეტები საქართველოსი,
რომელთაც გვახსოვს დღე უარესი,
ჩვენ ეხლავ ვიცით სად დადგებიან
კლოდელი, ჟამმი, სიუარესი.

დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია
და სისხლიანი სდგას ანგელოსი,
ახალ გრიგალებს ვსწირავთ სიცოცხლეს,
ჩვენ, პოეტები საქართველოსი!..

პირველი მაისი

ქუჩებსა და მოედნებზე მიდის, როგორც ქარბუქი—
ათასობით ქალიშვილი, მოხუცი და ჭაბუკი.
დემონსტრანტთა კოლონები სიხარულის ლიკლიკით,
სანაპირო ქუჩას ავსებს დილის ჟივილ-ხივილით.

ეს მაისიც მთელ ქვეყანას ესალმება რტომრავალს:
— გაუმარჯოს პირველ მაისს, მთელი ქვეყნის მომავალს!—
და პასუხად გამოისმის მის ათასი ხმით ძახება,
სახლებს გრგვინვა დაემჩნევა, ჰაერს აცახცახება.
წინ მიიწევს პიონერი, როგორც კაცი პირველი,
შემდეგ მიჯრით მიწყობილი მიდის კომკავშირელი.
ქუჩა სავსე სიხარულით და პასუხის მიგებით
დაამთავრებს სვლას წითელი ჯარის მებრძოლ რიგებით.
ურიცხვია ლოზუნგები, მოედნებს რომ მოსდევენ
და ყოველმხრივ ახალგაზრდებს მედგრად მოუწოდებენ,
რომ იბრძოლონ, როგორც ითხოვს, მძლე სახელი გმირისა,
განამტკიცონ ძლიერება საბჭოთა კავშირისა!
(გაზაფხული მთელ ქვეყანას ესალმება რტომრავალს:
— გაუმარჯოს პირველ მაისს, მთელი ქვეყნის მომავალს!)

მოდის მაისი

ო, სიხარულო, სიხარულო
შემოქმედების,
შენ მაისი ხარ ჩვენი ქელის,
ჩვენი ქედების!

—:—

მოდის მაისი აღტაცებით
და თავმომწონედ,
მთელი თავისი სილამაზით,
მთელის ძალღონით.

—:—

ის გეგმავს, აგებს და ყოველი
მძლავრი შენობა
ისეთი არის, ვით მაისის
ყვავილთფენობა.

—:—

ძველ ქვეყანასთან შებრძოლებით
მოპოებული,
შემოქმედების სიხარულო,
შენია გული.

ვინც წრფელის გულით, პატიოსნად
რაიმეს შექმნის
იყო და არის შემოქმედი
ახალი ქვეყნის.

—:—

(დადგება ის დრო ბედნიერი
და სანატრელი—
მთელს მსოფლიოში გაიმარჯვებს
მშრომელის ხელი.)

ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ დროის, ეპოქის და სივრცის გარეშე

არა თუ წლები გადეშვა ტყდომად,
წამიც კი გატყდა და რეკავს ცხარედ;
ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ,
დროის, ეპოქის და სივრცის გარეშე.
ბევრი მიეცა ტალახსა და ლექსს,
ბევრის ნაბიჯი არის ტალატი.

დრო, დრო აღნიშნე! მოაწერე ლექსს—
ეს წელიწადი, დღე და საათი.
(არა თუ წლები გადიქცა ტყდომად,
ყოველი ლექსის ყოველი პწკარი
არის გაჭრილი კლასიურ ომად,
არის ეპოქის დროშის ქვეშ მდგარი,
ეპოქა არის ნამგლის, ქურების,
ეპოქა, რამაც ძველი შეთოკა,
ეპოქა ძველის განადგურების,
ინდუსტრიალურ დროის ეპოქა.)

(არა თუ წლები გადეშვა ტყდომად,
წამიც კი გატყდა და რეკავს ცხარედ,
ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ
დროის, ეპოქის და სივრცის გარეშე.)
(პოეტი არის მებრძოლი,
ახალი ქვეყნის მჭედელი,
წინა სდგას ცხარე ბრძოლებში,
როგორც ქვიტკირის კედელი!)

შვებული

აქ როგორ არ გადიხაროს,
    რაც დილის ნამმა დანამა,
შვებულის გული ახაროს
    კოლექტიურმა ყანამა.
მზის შუქზე უფერადესი
    ჟუჟუნა წვიმა მოსულა
მოსაწევ-ნახნავ-ნათესი
    ყიჟინით გარემოცულა.
ეს მოსავალიც, ვით მოლი
    ჟუჟუნა წვიმამ დანამა,
თუ რამემ გული გაათბოს
    ისევ აკრეფის ხანამა.
ზვარს ვინ შეხედავს უგულოდ,
    ვარდი ყელამდე მოსულა,
სიმღერა დავაგუგუნოთ
    ჩვენი შვებულიც მოსულა.
მოსულა, მოსულა, მოსულა,
    ჩვენი შვებულიც მოსულა,
გაზეთი მოუტანია,
    ბობოლა დგას გულმოსულად.
დანამა, დანამა, დანამა,
    ჟუჟუნა წვიმამ დანამა,
თუ რამემ გაგვახალისოს—
    შეხვედრამ ანისთანამა!

არმიელი ვარ

მოხუცი პაპა
    ბავშვებს რომ მკლავებს გვისინჯავდა
და შეშდეგ დინჯად
    ეტყოდა ახლო მდგომარ მეგობარს:
„დახედე ამ მკლავებს,
    ვერ გასწვდა კახაბერობას?“
და ეხლა ვფიქრობ:
    მაგრამ რა უშავს,
ჯარისკაცობას ვინ ეტყვის უარს.
    ვარ არმიელი, იმგვარი მუშა,
რომე იც წვრილმ ნს გვერდს ვერ აუარს.

როგორ არ ვიცით ეხლა გარჩევა—
დიდი საქმეა აქ თუ პატარა,
ის უნდა გაჰქრეს, ეს გადარჩება,
ეს გამომაჩენს და ის კი არა!
არმიელი ვარ. კლასთან პირობა:
მოძმესთან ძმობა, მტერთან მტერობა,—
აი რა არის ჩემი გმირობა
და ჩემი დიდი კახაბერობა!
ჩვენი არმია გზას მიჰყავს მზიანს,
მომავალს მზიანს, უსივრცოდ მზიანს.
სიმღერის ხმა სტეხს მიდამოს ტყიანს,
როგორც ტყვიაში აჯენენ ტყვიას!

მზეა ისე მგზნებარე

მზეა ისე მგზნებარე,
რომ ხანძარსაც დაყურავს
ვხედავ, აგერ მღებარი
ღებავს სახლის სახურავს.

აქ სიმკვეთრე-სილბილის
ფერი ფერებს ეხება;
სახურავი პილპილის
ელვარებამ შეღება.

იგი მზეზე კრიალებს
როგორც სისხლის იარა,
თითქო აქ მო რიალე
წვიმამ გადაიარა.

არ უნდათ იერით
მტრებსა და მუხანათებს—
შენი მოსვლა ძლიერი
წვრილმანშიაც ანათებს!

სანამ არ დამსხვრეულან

სანამ არ დამსხვრეულან
ქნარები და არფები,
ლირიული განდეგომის
სიმები დავეხარბები.

სანამ არ გადამჭკნარან
ბალში ვარდთა ბარდები,
მიწავ, ნუ გეცოდები,
ცაო, ნუ გედარდები.

კოშკი ჩემი მაღალი
ადის დროთა ქრიზლამდის,
მას მრავალი ბურჯი აქვს:
ყველა მხოლოდ ფოლადის!

სამოცდაათი წლის პოეტი ქუჩაში მიდის

საქართველოში მძლავრზე მძლავრი
არის ხმაური,
ისმის ეპოქის უსწრაფესი
ეტლის გრიალი.
ამ ეტლში ბრმაც კი ჩაჭედილა,
ვით მოგზაური.
ხილულიც ნახვას ყველაფრისას
ვერ ასწრებს თვალი.
სოციალიზმის სისადავე
რანაირია
და რა ძვირფასი—დაანახავს,
ვინც გადარჩება.
სამოცდაათი წლის პოეტი
ქუჩაში მიდის.
ხან მეშკოოპთან, სასახლესთან,
ხან სახელგამთან
ის შეჩერდება, გაისწორებს
ლორნიონს უწინ...
გახედავს პროსპექტს...
სამოცდაათი წლის პოეტი
ქუჩაში მიდის,
ქუჩა ელექტროს და რადიოს
მოუთოკია.
„თუმცა პოეტი ეხლანდელი,
არ ჰგავს ოვიდის,
მაგრამ ყოველდროს ხომ თავისი
ჰყავს ბოდოკია!“

მიდის პოეტი. ეს პროსპექტი
არ არის მისი,
ის კარგადა გრძნობს ამ დღეების
სხვანაირ ელვებს.
მაგრამ ტფილისი, ეხლანდელი
მძაფრი ტფილისი
მის გულს მედგარი მშენებლობის
გრძნობით აღელვებს.
მიდის წყნარი და მხიარული.
ახალი ძალით
უყვარს სიცოცხლე (დე, იცოცხლოს
მრავალჟამიერ)!
ჩვენთვის ის მუდამ ძვირფასია,
ვით მაგალითი
ბევრის ატანის, შემომქმედი
შრომის დღე-ღამე.
შენება მიდის? თუ მოვიდა—
მას გაუმარჯოს!
იანვარია. თოვლი ფარავს
ქუჩებს და ბინებს,
მაგრამ ვინაა რომ ჯინაზე
ასეთ ამიდის—
„მაისის ვარდი გაფურჩქვნილნი“-ს
ხმით მიღიღინებს?
სამოცდაათი წლის პოეტი
ქუჩაზე მიდის!
იქით კი ისე მძლავრზე მძლავრი
არის ხმაური,
ისმის ეპოქის უსწრაფესი
ეტლის გრიალი.
ამ ეტლში ისიც ჩაჯედილა,
ვით ბოგზაური,
მაგრამ დანახვას ყველაფრისას,
ვერ ასწრებს თვალი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცაზე ლეგიონი

ცაზე ლეგიონი სცურავს ვარსკვლავების,
მთებში ელვიძება ხეთა ათასეულს,
სფინქსის ეპარება ფიქრი გამკლავების
ლანდებს, ხიდეების სიგრძივ გადასეულს.

სადაც დაიძახებს შორი მდინარიდან,
რაღაც ფრინველია, რაღაც ხმა კისკისა
და კვლავ სიჩუმეა მაღალ მყინვარიდან
აჰა, ვარდისფერმა ალმა იგიზგიზა.

აი სანახავი, თუ გსურს დიდებული—
მართლაც, მშვენიერი, კარგი სანახავი...
ღამე, კოცონებად შემოკიდებული
ალი, მდინარეზე გადანასახავი.

ვიცნობ ამ ნაპირთა ასავალ-დასავალს,
მაგრამ ყველაფერი ენით არ ითქმება,
როსმე მოგიყვები მათ თავგადასავალს,
და თმა, გათენებავ, ყალყზე დაგიდგება.

მანამ შენს თანადარს გზები დაუფარჩოს
შუქთა შეკაზმვას და ალთა გაქენებას,
იმ სწრაფს, იმ სანატრელ მერანს გაუმარჯოს,
იმ ცეცხლს გაუმარჯოს და იმ გათენებას.

ჩვენი არმია გზას მიჰყავს მზიანს

ჩვენი არმია გზას მიჰყავს მზიანს,
მომავალს მზიანს, უსივრცოდ მზიანს!
სიმღერით ხმა სტეხს შუადღეს ტყიანს,
როგორც ტყვიაში აჯენენ ტ-ვიას!
იმ ბრძოლის წლების ამბავს რომ ისმენ,
არ დაფიქრდები მზადა ხარ მყისვე
მშენებლობაშიც შეიჭრა ისე,
როგორც ტყვიაში აჯენენ ტყვიას.
ვის ესმ ს დროის ახალი ზრახვა,
ვინ იცის ქვეყნის მოვლა-შენახვა
უცდენლად მტერზე მიიტანს ლახვარს...

როგორც ტყვიაში აჯენენ ტყვიას!
ჩვენი არმიის ფოლადის რიგებს
მტერი ვერასდროს რომ ვერ ირიგებს,
მშრომელი კლასი იმგვარად იგებს,
როგორც ტყვიაში მოხვედრილ ტყვიას!
საგუშაგოა, თუ ყაზარმაა
ლექსთა სნაიპერთ იქ სდგას არმია,
როგორც ტყვიაში აჯენენ ტყვიას!
სოციალისტურ მიზნებით მსვლელი
გამარჯვებათა ამბავი ვრცელი—
ხუთმეტი წელი, ხუთმეტი წელი,
როგორც ტყვიაში აჯენენ ტყვიას!

იდეა

რწმენით იარ, იარ, იარ,
მტკიცე გქონდეს ბიჯი
ყოველ ნიჭზე ძლიერია
ქვეყნის დაცვის ნიჭი.
ასე იყო და ასეა
ბრძოლა ჩვენი მიწის,
რწმენა ბევრად ძვირფასია:
მან გატანა იცის.
ურყეველი რწმენის მტერი
გზას ვერა-რით აგნებს,
როს სხვადასხვა გზით უცქერის
ათასნაირ საგნებს.
საგანიც ფერს მისთვის ხშირად
იცვლის იმისგვარად,
როგორ ხედავ, რანაირად,
რომელ მხრიდან და რად.
განა ვისმე ვიყავ მონა,
როცა მდევდა ზრახვა
და მრავალი დღეთა კონა
ძლიერ ღელვას გაჰყვა!
არა მონა! ო, პირიქით
თავისუფალ ამბით
ოქროსა ვსჭრი, როგორც ვსჭრიდი
საკუთარი შტამპით.

მაგრამ გრძნობათ სიმაისევ
ფიქრო ნათელ ფრენის,
თუ მონა ხარ, მონა ისევ
საკუთარი რწმენის
რწმენით იარ, იარ, იარ!
მტკიცე გქონდეს ბიჯი
ყოველ ნიჭზე ძლიერია
ქვეყნის დაცვის ნიჭი.
ერთხელ, ღამით, ცეცხლის ალზე
მივდიოდით ტოლნი,
მივდიოდით და ჰა, თვალ წინ
ალიმართა სმოლნი!
სმოლნი, სმოლნი, იქ იმ დროის
მახვილი და ბრძმედი
ჰქუხდა, რწმენით, მსოფლიოის
ერთი მეექვსედი.
ის, ტიტანი ვინ სთქვა სახლად
მრავალ ღამე ნათევს
სწევს იდეა მაღლა-მაღლა,
ზრუნვა ტვირთად ადევს
და როდესაც თვალს აცეცებს
ლულა ტყვიამფრქვევლის,
გუშაგის ხმას: თქვენ ვის ეძებთ?
ვუპასუხე:—ლენინს!

ქალაქი წყალქვეშ

ღელვის დროს გემზე „ტეოდორ ნეტტე"
ანძები დატყდენ, როგორც მშვილდები
ფიქრებს მორევში რაც უნდა კეტდე
ერთს მათგანს მაინც ვერ მოსცილდები.
რომ დააყარა ქარმა ფაფარი
უზარმაზარი გორების ეტლებს,
პოსეიდონის ძველი ზღაპარი
ეხეთქებოდა ფოლადის კედლებს.
ასფუთიანი ჩაქუჩის ცემით
ცა ჩემზე ცდიდა ძალთა მოკრებას
მან დაამზგავსა მგზავრობა ჩემი—
ცხოვრების ჩემის აბობოქრებას.
გადმოანგრიე შენი ზვირთები,

რომ მხარეებმა მხარეს გაასწროს...
იქუხე—გასწყრი! არ ავტირდები
არც შებრალებას ვითხოვ არას დროს.
მე სხვანაირად ზვირთი მოვსახე,
მზემ ჩემკენ შუქი რა მოიღერა,
ბოლოს ხომ მაინც მე შემოვძახე
გამარჯვებული ბრძოლის სიმღერა.
როგორ? მე ვქმნიდი იმედებს განგებ!
და მისთვის მსურდა ვარდების ფენა,
მისთვის ვფერ.ვდი მრავალჯერ ჩანგებს
რომ მხოლოდ მტრისთვის დამეტკბო სმენა?
არა და არა! მრავალი სტანჯა,
მრავალს დაუფრთხო სიმშვიდის ძილი,
ლექსი ყოველთვის იყო ხანჯალი,
ლექსი მტრებისთვის იყო სიკვდილი.
მოგხვდათ? იგრძენით? შევატრიალე
თუ არა ნისლში მყოფი ბორბალი?
იყო თუ არა ჭექა-გრიალი,
ჩვენი დღეების ცა ნაჭორფალი?
ო, შავო ზღვაო! ასწიე გემი,
შუქი დაენთოს ქაფთა მოკრებას
დაე, კვლავ გავდეს მგზავრობა ჩემი,
ცხოვრების ჩემის აბობოქრებას.
მაგრამ შორს ლურჯი გამოჩნდა მთები,
ეხლა იქ მყუდრო ნავთსადგურია
წყალში შთასული არის მითები
და ძველისძველი-დიოსკურია.
ზღვის ფსკერზე ეხლაც მეზღვაურები
ძველ კედლებისას ჰპოებენ ხვავებს,
ამოაქვთ ოქრო აუარება
და საგანძურით ავსებენ ნავებს.
ქალაქი წყალქვეშ მძინარი მხარის!
როს შეღამდება ნაცრისფრად ასე,
მაგრამ სინათლე ჯერ კიდევ არის
და ალმაცერად იშლება ზღვაზე—
ნაპ რებიდან კავკასიონის
მთებამდე მოსავს ბინდები შავი
მაშინ მძინარე პონტიის დონეს
მე მიმაქანებს ფარული ნავი.
ზღვის ფრინ.ელების გამყივარ ხმაში
თითქო სხვა მესმის იდუმალება

ილიუზია! ჩვენება! მასში
სულ ახლო, ახლო რომ იმალება.
თითქო ეს ხმები ეკუთვნის არა
მხოლოდ და მხოლოდ ფრინველთ გვიანებს,
მათში წყალქვეშა გუგუნებს ზარა
და ხმა ეკუთვნის ადამიანებს.
მივუყურადებ: ისევ და ისევ
განმეორდება ხმა უცნაური
ის იდუმალი ქალაქი სფინქსი,
მეძახის უცნობ აურზაურით.
ვგრძნობ თითქო ფსკერზე ვეშკები ცურვით,
ხელით ვეხები წყალქვეშა თხემებს
წყალში დამარხულს ვიგრძნობ მომდურვით,
ნანგრევებს, ლანდებს, იდეებს, სქემებს.
აქ დაფარულა მთელი კრებული
და სიბნელეში ელავს თვალები
ის ძველთაძველი შთამომავალი,
ის უძველესი ფეოდალები.
მათი ვერა გრძნობს ფიქრი და ბაგე,
რომ მ ეთის ახლო ახალ ნათებით
ელექტრონების გაჩნდა ქალაქი
ათასეული კილოვატებით.
იყო ქალაქი, იყო საგანი—
ოდესმე მძლავრი და ალიერი
ახლა ცივია გზა შინაგანი
და იდუმალი სიცალიერე...
„ტეოდორ ნეტტე“ ეხლა ისვენებს
და ფრინველების დასცხრა გუნდები.
მშვიდობით! ხსოვნათ დაკარგულ ფენებს
არასდროს აღარ დავუბრუნდები.

გაზაფხული

მთებს გახედე, რატი!
გაზაფხული მიწას,
როგორც ანდამატი—
სივრცისაკენ იწევს!

აი, მთაზე დნება
ლანდი ნისლის ტოტის,
კვლავ იღვიძებს ნება:
გაზაფხული მოდის!

—

აბიბინდი მდელოვ!
ახმაურდი, კორდო!
დედამიწა მთელი
ყვავილებმა მორთო!

—

მოჰქრის ქარი მთების
და ბაღების უბეს,
აფრქვევს ყვავილების
სურნელოვან ღრუბლებს.

—

გიყვარს ველად გავლა
და მწვერვალზეც ადი:
თავდადებით სწავლაც
მწვერვალია, ფატი!

—

იგიც მერმისს იწვევს
და მზით აკაშკაშებს,
თავისუფალ მიწის
თავისუფალ ბავშვებს!

მთის გულისცემა

თუ მიაყურებ დუმილს ღაღისას
და მახვილ სმენის შეგწევს უნარი:
მოისმენ გულისცემას ამ მთისას,
ის კრთის, იდუმალ-მოგუგუნარი.
გამიგონია, რომ ამირანი
გაბედვისათვის მისცეს წამებას,
ფლობდა სიბნელე გულგამგმირავი
მის გათენებას და შეღამებას.

ადამიანებს მოსწყვიტეს ის, ვის
ასე უყვარდა ადამიანი,
ვერ შეეხედა ელვარე მზისთვის,
კლდე იყო ცივი და ნამიანი.
თოვლის ნამქერი, წვიმა და ქარი
გარე უვლიდენ ველურ კივილით,
საუკუნეთა ურიცხვი ჯარი
მის წინ ვიდოდნენ ასეთ ტკივილით.
თუმც გულს უწეწდა ყორნების გუნდი,
დღე ღამეს სცვლიდა და ღამე დღესა,
გმირმა იცოდა—რა არის ხუნდი,
და არ იცოდა—რა არის კვნესა.
წლიდან წლით იგი ატარებდა პალოს,
და ყოველ ასი წლის დასასრულზე
ლამის მოგლიჯოს, ლამის დასძალოს,
ლამის სურვილი გმირის ასრულდეს—
ყოველთვის, მაშინ, ხმადამცინველი
კავკასიის მთის კლდე-ფრიალოზე
მოფრინდებოდა შავი ფრინველი,
და დაიწყობდა ფრთებს ამ პალოზე.
მოსწევდა გმირი ეროს საძალოს,
მაგრამ ფრინველი უცებ სხლტებოდა:
ურო სიმძიმით წვდებოდა პალოს,
და პალო ისევ გამაგრდებოდა.
და ერთხელ ფრინველს დაუწყდა ფრთანი,
დააკვდა პალოს, და აი, ბოლოს,
თავისუფალი სდგას ამირანი
და აწ ვერავინ ვერ დაიმონოს.
თუ მიაყურებ დუმილს ღამისას
და მახვილ სმენის შეგწევს უნარი
მოისმენ გულის ცემას ამ მთისას,
ის კრთის, იდუმალ მოგუგუნარი.

საღამოს ნისლში

საღამოს ნისლი შემხუთველად
თბილისს ფარავდა,
როცა გაისმა ჰანგი ხმათა
გულშემზარავთა.

ის ატივტივდა მიწყნარებულ
ჰაერში გაბმით,
აყვირდნენ შემდეგ საყვირები
გრძნეული ამბით.

კაცი შეჩერდა. მოიხადა
მწუხარედ ქუდი.
ბნელ, უმოძრაო ამოხედვით
შეჩერდა წუთი.
იხედება წინ... რა დიდია
ტკივილი გულის!
რა რიგად ღრმაა მწუხარება
ხალხის ერთგულის.

და გუგუნებდნენ, გუგუნებდნენ
კვლავ საყვირები,
ჰაერს ერთვოდა გულის ცემა
განახშირები.

გულს რაღაც სწურავს, მძიმე ცრემლი
თვალს მოაჯერდა.
თვით ის, მარადის მიმავალი,
თვით დრო გაჩერდა.

მოულოდნელად ო, რა ძალა!
რა გული ჩაჰქრა!
მან სთქვა თავისი მოწოდება,
მან ცეცხლი გაჰკრა.

აწ იგი, ვისაც დაღლისათვის
დრო არა ჰქონდა—
გადაიღალა და გაჩუმდა...
მხარე დაღონდა.

არ დანებდება მაინც იგი
ღრმა მწუხარებას—
ვინც არ ჩვეულა ამნაირ დროს
გულხელ დაკრეფას—

დიდი ლენინის აზროვნების
სინათლე მიწას,
მიაღწევინებს სასურველს და
ბედნიერ მიზანს.

სტალინის ფიცი მისი მტკიცე
საწინდარია—
თავდადებულნი სამშობლოსთვის
მასთან არიან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მხრეები ყაზბეგის

როგორ არაა ჩემთვის ძვირფასი
ყაზბეგის ცამდე მსვლელი იერი.
რომ ვერას აკლებს ქარი პირბასრი
და ციხკრის ალი რთავს მშვენიერი.

მზის ამოსვლისას სავსეა თასი
ათასი ლალის და კელეპტარის...
როგორ არ არის ჩემთვის ძვირფასი
და საყვარელი როგორ არ არის!

ო, მოზღვავებავ მღვრიე აზრისა
ყოველი გრძნობის წინააღმდეგის...
ვერა-რა ძალამ ვერ გადასრისა—
ეს მშვენიერი მხრები ყაზბეგის!

ისევ მესხის გამოხედვა

შენ სიყრმიდან იცნობ ომებს,
გიყვარს ხმალთა სტვენა.
ყვავ-ყორნების არ გაშინებს
შავზე შავი ფრენა.
შენ გრწყინვალეთ გამოსახე,
დიდებულო შოთა,
ომთა გრგვინვა და დროშები
თამარ მეფის დროთა.

ახსოვს შენსა ოქროსფერ წლებს
გორს, ასპინძას, მცხეთას,
თუ რამდენჯერ სიკვდილისთვის
თვალში შეგიხედავს...
სიკვდილმა ვერ ისიკვდილა!
უჭკნობ-დაფნის რტოთა
უკვდავებით მტარებელო
დიდებულო შოთა!

მხოლოდ გმირთა თავდადების
გზა იყო და არის
ღირსი დიდი სიყვარულის
მშობლიური მხარის.
და იმ „ვეფხის ტყაოსანით“
ბევრი, არა ცოტა,
გამარჯვების დღე ყოფილა—
დიდებულო შოთა!

თვით ქაჯეთის არ არსებობს
ციხეები შავი
ძმადშეფიცულ მეგობრების
რომ არ ლეწდეს მკლავი,
მათ საზღვარი გადიარეს
ათასნაირ შფოთთა
და გვინათოს შენი სახე,
მზეთა-მზეო შოთა.

თინათინის და ნესტანის
სიყვარულის ღირსი,
მხოლოდ გმირთა უკვდავება
არის მარადისი!
შენს გარშემო ყველა დროის
მღელვარება რბოდა,
უსაყვარლეს სამშობლოის
შვენებაო, შოთა!

მარგალიტთა დიდთა მტევნად
და ოქროდა ჭქროდა
სიტყვათ შენთა მძლავრ შადრევანთ
ცემა ჩოგანთ შნოთა.
შენი გული უსასრულო
სიყვარულით თრთოდა
შოთა, ერის სიქადულო,
ღვთაებრივო შოთა.

მესხის გამოხედვა

ის გამოხედვა მზიური
შვილთა ვალი და სესხია,
შეგრძნება ტიტანიური—
იტყვი ნამდვილი მესხია.
ის გამოხედვა სხვა, წრფელი,
ვერავის ვერ მოესყიდა—
და ამაყობდა ქართველი
იმ ერთი ვინმე მესხითა.
იმ გამოხედვით არეებს—
უკვდავი ცა მიესხურათ
ვეფხვების შემოგარეებს
სხვა ვერვინ იტყვის მესხურად.
ის გამოხედვა გასდევდა
შთამომავლობას მესხივედ,
იბრძოდა და თავს დასდებდა—
თავგანწირული მესხივით.
არის ტალღათა მოხეთქვა
ძლიერი, არ-უნებური
მითხარით სხვა გამოხედვა
სადარის მესხისებური?
გრიგალია თუ სეტყვაა
არ მეშინია მე სხვისა:
ქართველში გამოხედვაა
იმ ერთი ვინმე მესხისა.

გმირს გამარჯვება!

წინ გახოკიძე! დაჰკარი—
სად გადავარდნა იწყება,
დაატრიალე თაკარი,
თავდასხმა, თავდავიწყება!
იფეთქე და იელვარე
ქვეყნიურ ღელვის მტარებლად,
მამულისათვის მღელვარევ
დასცხე მტერს შეუწყნარებლად!
იელვე, ო, გულო ცხელო,
გზა გყვეს სიმედგრის ჟინისა,
სიმაგრე ხარ სასახელო
ძველთა-უძველეს რკინისა!

მცხეთა, მუხრანი. ასპინძა,—
შენის ცითაა ნაბური,
შენს ხმალთან გადააკინძა
მან ხმალი მამაპაპური.
გამბედაობას ძმებისას
ჩვენი ხმაც მიეწვდომების:
გზა ცისკარს გამარჯვებისას!
ძირს ბოროტება ომების!
მას გაუმარჯოს, ვის მძაფრი
ომი მიაჩნდეს ხალისად!
გაუმარჯოს გმირს—უშიშარ
მებრძოლს ბრწყინვალე ხვალისა!
გაუმარჯოს გმირს—სიკვდილთან
მხნედ გამსწორებელს თვალისა—
გმირს დღევანდელ დღის—და დიად,
ნათელი მომავალისა!

გზა გამარჯვების!

გზა გამარჯვების!
ფერადები ცას შელეკია,
ცას შელეკია
ფერადები ცეცხლის როფების...
ნუ დაგიმონებს
მოგონება, ნურც ელეგია,
ყრუ ელეგია
განშორება—დამშვიდობების!
ეხლა სხვა ვარდნი
ირევიან ქარიშხლის ნავზე,
ქარიშხლის ნავზე
ყველაფერი თრთის ობობებით,
სხვა გრძნობებისთვის
იმოსება ბუნება—სავსე
ბუნება, სავსე
განშორება— დამშვიდობებით.
ძველი მუხის ხე
ჩვენთანაა, ვით ძველისძველი,
ვით ძველისძველი
მეგობარი, მომსწრე ომების.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას განუცდია
და წარმლია მრავალი წელი,
მრავალი წელი—
განშორება— დამშვიდობების!
მომგონებელი
შეკრებათა, მისი ხავსია,
მისი ხავსია
რომ ეტმასვნის ტოტს მონდომებით.
ნუ დაგიმონებს
მოგონება: ყოფნა სავსეა,
ყოფნა სავსეა
განშორება — დამშვიდობებით!
აჰა, სინათლემ
კავკასიის დაჰფარა ქედი,
დაჰფარა ქედი...
ნუ შეკრთები ამაოებით:
რაც დედამიწა
გაჩენილა -- სავსეა ბედი,
სავსეა ბედი
განშორება — დამშვიდობებით.
გზა გამარჯ ების!
დაიცავი შენი ქვეყანა,
შ ნი ქვეყანა
გეევედრება დიდის ვედრებით:
კვლავ შეგვახვედრებს
გამარჯვების ახალი ხანა—
ახალი ხანა
აღტაცებით და შეხვედრებით!

გამარჯვებას თანაბრად სწერს

სამშობლოის გზას მრავალფერს,
შარაა თუ ვიადუკი—
გამარჯვებებს თანაბრად სწერს
თმაჭალარა და ჭაბუკი.

მოხუცი არ გულმავიწყობს,
ახალგაზრდას ძალა სწვდება--
და ორთავეს სურს დაიწყოს
ერთმანეთთან შეჯიბრება.

მოხუცს ქუდი წარბზე ხურავს,
ახალგაზრდას ცოტა გვერდათ,
მაგრამ კედლებს და სახურავს
თავს ევლება ორივ ერთად.

სამშობლოის გზას მრავალფერს
შარაა თუ ვიადუკი—
გამარჯვებებს თანაბრად სწერს
თმაჭალარა და ჭაბუკი.

იბარური

დაავიწყდა, თუ დროებას
რაა ბავშვის სიბრალული?
მთელ ქვეყანას მის საშველად
უწოდებდა იბარური.

„ქალებზე და მოხუცებზე
სურს იძიოს მხეცმა შური“,
თავდადებით დაიცავს მათ
უმძაფრესი იბარური.

არ დასცხრება ესპანეთის
და მსოფლიოს გულისყური,
გაიმარჯვებს ხალხი, ვისაც
ჰყავს ასეთი იბარური!

* * *

გაზაფხულია. ხე ფოთოლს ისხამს
ვაზის ცრემლებით აივსო ზვარი
ამ მშვენიერ დღ ს, ამ დილას სისხამს
ფეხებს გისუსხავს ეს უხვი ცვარი.

კარგია, როცა რიჟრაჟი მოდებს
სიმინდს და ხეებს, ნამების ლივლივს
საკმარისია შეეხო ტოტებს—
და ნამი თავით კოჭამდე გივლის.

შორით კი ხვამლი მოსჩანს ცისფერი
როსმე ის ჩემი იყო ზმანება.
გაივლის თვალწინ იგი სიზმარი—
და რაღაც მწარედ დამენანება!

ხე ფოთოლს ისხამს, ხე ფოთოლს ისხამს
ქალაქის ბაღი და სოფლის ზვარი
ამ მშვენიერ დღეს, ამ დილას სისხამს
მაცოცხლებელი ეცემა ცვარი!

დროშები ჩქარა!

გათენდა; ცეცხლის მზე აენთო, აცურდა... დროშები ჩქარა!
თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა,
ვით დაჭრილ ირმების გუნდს—წყარო ანკარა, დროშები ჩქარა!
დიდება ხალხისთვის წამებულ რაინდებს,
ვინც თავი გასწირა, ვინც სისხლი დაღვარა;
მათ ხსოვნას ქვეყანა სანთლებათ აინთებს, დროშები ჩქარა!
დიდება ვინც კიდევ გვაბრძოლებს იმედით,
ვინც მედგრათ დახვდება მტრის რისხვა-მუქარას.
გათენდა! შეერთდით, შეერთდით, შეერთდით!
დროშები, დროშები... დროშები ჩქარა!

1917 წ.

ათრობდა ხალხთა მწუხარება

ათრობდა ხალხთა მწუხარება, სისხლის აუზი,
მისი სასახლე მონად ჰყავდა აღფრთოვანებას,
მოღალატეთა შთაგონებით სცემდა ბრძანებას
და მედიდურად ხელს აწერდა: ნიკოლოზი.
ლაჩარი იყო, ქვეყნის ბედი, ღელვა, ქაოსი,
ფრეილინების და დედოფლის ბედს მიანება.
ჩვენ კი სიმართლის ციხეებში დაგვიანება
გულს გვისერავდა, როგორც ზარი სასაფლაოსი.
კუბოებისთვის მეკუბოვეს ხე აღარ ეყო,
ხე არ ყოფნიდა მეფეს კაცთა ჯვარზე საცმელად,
მაგრამ გამოჩნდა სიხარული კაცთ დასახსნელად...
ამხანაგებო! განახლების ზარმა დარეკა
ტახტი დაეცა და იმედათ ქაოსზე დგება:
თანასწორობა, რესპუბლიკა, თავისუფლება!

1917 წ.

პროლოგი 100 ლექსის

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა საოცარი დასრულდა წლები!
მეფეთა წყება გაჰქრა, ვით ლანდი,
მოშორდნენ ტახტებს ვილჰელმი,
კარლოს, ნიკოლოზი და ფერდინანდი,
მაგრამ მწუხარედ მათზე კი არა,
სხვაზე იფიქრებს მარტიროლოგი:
იმ მრისხანე წელს – პოეტი მეფე —
გარდაიცვალა ალექსანდრ ბლოკი.
ჰანგების მეფე – დიდი სენ-სანსი
და დირიჟორი ნიკიში მძლავრი...
ეკლიან გზაზე დაეცა ბ ვრი,
მხოლოდ მე ერთი გადავრჩი მგზავ ი,
რომ გამომევლო ჯერ არსმენილი
ქარტეხილები ცეცხლთა ფ ნისა
და მომეტანა საქართვ ლოში
სიმღერა ქვეყნის გადარჩენისა!

სიმღერის მინდა მე წამოწყება

სიმღერის მინდა მე წამოწყება,
რომ გაიშალოს გამოცოცხლება!
გამოცოცხლება, გამოცოცხლება
და არა ძილი!
დღეს ერთმა შ ხვედრამ ილანდა
დილით
ისეთმა, რომელიც მართობდა
ბავშვობის დროს გ დამე ებით:
ერთი ღრუბელიც ცაზე არ სჩანდა,
მე კი სახეზე შეცემოდა
უეცველ წვიმის წვეთები!
გრილი
სანამ გაშრება და ჩამოცხება —
სიმღერის მინდა მე წამოწყება:
გამოცოცხლება, გამოცოცხლება
და არა ძილი!

ბოძთან ტრამვაის უცდიდა მგზავრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოძთან ტრამვაის უცდიდა მგზავრი,
გათეთრებული თოვლიან მხრებით
და იყო ცხრაას ჩვიდმეტი წელი
თავის ქარიშხლით და ამბოხებით.
უდგა თეთრ წვიმას, ქროდენ ეტლები
და ტრამვაების მძიმე ტივები.
ნისლში სახლები და გამვლელები
მოსჩანდენ, როგორც ნეგატივები.
თოვლქვეშ კი, როგორც ქსოვილი ბადის
მრავალ მიუვალ გზებით ფარული
ათიათასი ნაკადი გაჩნდა,
მჩქეფი, ანკარა და მოხარული.
მიწისქვეშ გზები ვიდოდენ წყნარად
და იქ სხვადასხვა ადგილას რგული
ერთიმეორეს ეძებდა მარად
ასიათასი მდინარის გული.
გადათეთრება ზამთრის დროული!
ყველას სწყუროდა ზეცა მზიური
და აი როგორც გადანათოვლი
მიწით აღმოსკდა ხმა მაგიური.
გზებიც დაიხსნა მაშინ, ჰიალა!
ჰაიდა, გასწი! მკაცრი, ულევი
მეწყერად, რღვევად და ხეტიალად
ამოიღვარა ნაკადულები!
რა ხანა იყო! რა უკმარობას
ჰქუხდა და გმობდა გააფთრებული,
რასაც მიწისქვეშ ჰფარავდა გრძნობას
ასიათასი მდინარის გული
არა მისტიურ ფრთებით ფარული,
არა ოცნება და ზეფირები,
არამედ ნაღდი და რეალური
დაჰქანდა ხიდი და ჯებირები.
იყო მაშინ იქ და ეხლაც არის
გრძნობა, რომელსაც ფარავს პოეტი
მთელი სიმძიმე ეპოქის ქარის,
ყველა მდინარე და ოქროეთი.
რა დაჟინებით, რა უკმარობით
გაიძახოდა გააფთრებული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რასაც იდუმალ ჰფარავდა გრძნობას
ასიათასი ნათელი დროშის,
და მაისის დღეს მაშინ და დღესაც
და მომავალის ბედნიერ დროშიც
უძლეველ გრძნობით ფრიალებს ალი
ასიათასი ნათელი დროშის,
ბოძთან რომ ვაგონს უცდიდა მგზავრი,
გათეთრებული თოვლიან მოხვრით
ამ გაზაფხულის დღეს იმავე მგზავრს
ირონიულად და ამოოხვრით—
უფლება აქვს რომ შეხვდეს ძველს რუსეთს
წლების სხვა წლებთან გადამწინდველი
იმის კითხვაზე: ის დრო სად არის?—
სთქვას: სადაც თოვლი შარშანწინდელი.

ჩაჰკეტა კარი

ჩაჰკეტა კარი!.. სიცივე იგი
ვერ შემოანგრევს რკინეულ რაზას
როცა გათავდა დიდი მიტინგი
ის დაუბრუნდა ვარდებს და ვაზას.
დარჩება სახლში და მისი ქოხი
მოეჩვენება სორო-რეული,
სახურავს ურტყამს წვიმა და კოხი
როგორც ომების ხმა შორეული.
მაგრამ ის დასცქერს ცეცხლის კამარას,
რომელსაც არხევს ალი მთოვარი,
მის სულს, დარჩენილს ბინდის ამარა
ცეცხლთან ბევრი რამ აქვს სათხოვარი.

ბემი „დალანდი“

გამომაღვიძა ღამის ალმა ნელმა და ქურდმა,
ბაღი ყელამდე ზამბახებით იყო ნაბური,
ირგვლივ ეყარა დანგრეულთა ჩრდილთა ჩუქურთმა,
ბაღს იქით მძიმედ ხმაურობდა ზღვა უდაბური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე მივდიოდი, მაღლა იდგა გემი „დალანდი“
როგორც ნარცისი თავის ლანდზე შეყვარებული,
ჩემი დაფნისთვის მიტაცებდა ლურჯი მანდილი
ქვეყნად მთვარეულ ზამბახებში შეფარებული.

გემით „დალანდი“ მივდიოდი სამშობლოსაკენ
და მთვარისაგან გაღვიძება გულს დარდად ჰქონდა,
მაგრამ სამშობლოს ძველი გზებით ვეღარ მოვაგენ
და არ მახსოვდა: მქონდა იგი, თუ მომაგონდა?

გახსენებების მომძახოდა მტანჯველი ლანდი:
შენ და მოსკოვი, პეტროგრადი, ლენინი, კრემლი!
შავი ზღვის ზვირთებს მიაპობდა გემი „დალანდი“
და თვალზე მადგა განშორების მსუბუქი ცრემლი.

1918 წ.

ურიცხვ დროშებში

ცხრაას ჩვიდმეტი. ჭიხვინებდა შენი მერანი
ბარიკადების მოელვარება გებარა ოდეს.
ურიცხვ დროშების მოდიოდხენ მოსიმღერენი.
ბევრი მათგანი აღარ მოვა აქ არასოდეს!

უკანასკნელად გვიღიმოდნენ გზაზე ქალები:
გახსოვდეთ მასსა და მიზანი მისი გახსოვდეს.
ბედნიერებას გვპირდებოდა მათი თვალები,
ბევრი მათგანი აღარ მოვა დღეს არასოდეს.

მუსიკა, რისხვა და ქვეყანა, ზრუნვის საგანი,
თითქო ყველაფერს კარი მძიმედ გადარაზოდეს!
ო, არასოდეს არვინ მოვა იმათთაგანი.

არიან დღენი

არიან დღენი ხანჯალივით ბასრი და მჭევრი
ოდეს სისლივით აღელდება ოცნება შენი.
შენ გენატრება მოკლულებით ფენილი ტევრი
შენ გინდა იყო უსულგულო ცხოვრების მტევრი,
ელვარე ცეცლით გადაბუგო მთანი და ტყენი,
არიან დღენი, საუკუნოდ უფრორე მძლენი.

ტყვია-წამლით და დინამიტით მსუნთქავი ქვევრი
აფეთქებანი, შეკივლება, ძახილი, ბევრნი არიან დღენი
არიან დღენი... ცეცხლისა და მახვილის კვერი
ათასწლოვანი ადგილიდან სხლტებიან კლდენი;
იმ გულს ეკუთვნის თვითეული ტემა, შედევრი. არიან დღენი.

ცხრაას თვრამეტი

იგი მწუხარე მახსოვს არია,
რომელმაც სულში, როგორც ჭიანურს
საწამლავები გადაარია:
წვალებას არა-ადამიანურს.

ოცნება დროის უსაბუროსი
მოგონებისთვის მაინც ურგია,
მაგრამ უეცრად მოდის ბურუსი
და შორს, ძლიერ შორს, პეტერბურგია!

ოჰ, მეპატიოს, გული ყინული!
თეთრად სპეტაკი—მარად შავია,
წმინდა ქართული და რუტინული
აზრისთვის იგი დამნაშავეა!

და მარად უნდა წამიღოს ჟინმა
და გულმოკლული ვიგრძნობ ციერებს.
ოდეს შემთხვევით ახსენებს ვინმე
ჩემთან იმ დღეებს უბედნიერესს.

მახსოვს: ნეკინი!..
იქ მარტოობა და სინანული.
დაგვესხნენ ლამით მოთარეშენი
და ომი ატყდა პარტიზანული.

შემდეგ უდაბნოს ყვავილთა მზოგარ
თვალით მძებნელი და მარებელი,
ვუდარაჯებდით თუ ქარში როგორ,
ცდა ლიანდაგს მატარებელი.

სასტიკი იყო ჩემი დემონი,
არ ითვისებდა ჩვეულ გალობას,
ანგელოსები უედემონი
ტიროდენ გზათა მიუვალობას.

და მიგვაფრენდა ლოცვად მაგიერ
ფრთიან ქიმერათ გვიანი ჯარი,
ოჰ, ვერასოდეს გვერდს ვერ აგიარ
მე, უდროობის იაფიჩარი.

არ გასვენებდა ახალი არდი
და თრთოლვარებენ შენი ბაგენი,
რომ დაგეფარა ლურჯი შტანდარტი,
რომ აგვემართა სხვა კართაგენი.

კვლავ მოგონება, წამზე უმალი
გაფითრებული ფერით მფერები,
გასაოცარი და იდუმალი
ვიდოდენ მ ინე კრეისერები.

გრძნობით რეკავდა ყოველი წუთი,
გემზე ისმოდა მკაცრი ბრძანება,
დევ ებოდა სალუტს სალიუტი
და ესკადრები მიექანება.

აჰა, ნაპირიც! ჩვენი ნაპირი,
იგი მშობლიურ თიბათვეს გავდა,
სილაზე იყო გზა პირდაპირი,
სილაში უსმოდ ჩაწოლილ ნავთან.

ალმოსავლეთის ქარი დაჰქროდა
მიმოგონება, ზარი, თითბერი,
სახეს სითეთრე თოვლის დაყროდა
სულს ბურუსები ირისისფერი.

და იალქნების გროვა მრავალი
ეშურებოდა ქვეყანას—ზმანეთს,
იქ სადაც ზღვა და ცის დასავალი
სიტყვის უთქმელად გრძნობენ ერთმანეთს.

მივდივართ ისევ... შემოგვხვდა ზიზღი
ვიგრძენით სული აღსავსე სუსხით.
მან მწუხარებით გვითხრა: დამისხი,
ჩვენ უძველესი ღვინო დაუსხით.

მან მწუხარებით წარმოსთქვა: მცივა,
მე მოვიხადე ჩემი ნაბადი.
და ნაბადის ქვეშ ელავდა ცივად
თვალები, ცეცხლის ორი აბედი.

— მე იმერეთში წავალ, თქვენ საით?
— მეც იმერეთში, ჩემო ბატონო.
შევყევით გზაში ცბიერ მუსაიფს.
შენ თვლემდი, ცაო, უკაბადონო.

გამოგვეგება მუნჯი მსახური,
ისევ ატმები, შინდები, ქვიშნა,
სახლს გადაცლოდა გადასახური
და დასავლეთი შორით გვენიშნა.

გამოგვეგება ძაღლი ბებერი,
გვიცნო და უცებ შესწყვიტა ყეფა.
წვიმა... მდინარე... თვე ნოემბერი.
ვთქვით: მწუხარება ეხლა იწყება.

მოგვესმა ძველი: გაჩუმდი, მურა!
ჩამავალვა მზემ მთები მიმალა.
ეზოდან ქალი გამოეშურა
შეგვხედა, გვიცნო და მიიმალა.

ეხლა რაღა ვქნა? ცეცხლთა რიდება,
არ გენატრება დიდს და ხელოვანს
და არ გიშუქებს შორი დიდება
მყუდრო სიბერის გზას სახელოვანს.

ქარნი არ ჰქრიან. თრთიან ხეები.
გათენებულ ცას რთავენ ლავრები
და მაგონდება მწარე დღეები
ჩემთა ხეტიალთ თანამგზავრები.

1919 წ.

რამდენიმე დღე პეტროგრადში

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაეშვა თოვლი, ფრინველი ლიბრი,
ბოლოდაწყობილ ფრთების ჭაღარით
და ჩონჩხებიან ხეების ჯიბრი
დაფარა ნაბდით ნაყაჩაღარით.

რა სულიერიც არის ეს ქარი
ვიცით; მოგვწყინდა ბაიათები!
გარეთ ატლასთა არტყია ჯარი,
შიგნით შავი აქვს გული ნადები.

ქუჩა სიავის გრძნობამ შეფიფქა—
თან მეფიცება ძმობას და დობას
და ყორანივით უცნობის სკრიპკა,
ჩემს მხართან ტირის უამიდობას.

კარგია ძილი რკინაზე მძიმე!
ან უცხოეთში უგზოდ დაკარგვა!
კარგია—თოვლი, კარგია წვიმა,
მაგრამ, უცნობო, შენ რა დაგარქვა?

და როგორც ყორანს დაიქვს ბრჭყალებით
ჰაერში ნაზი ხელები ქალის—
სიმები სწეწენ შეუწყალებით
ამ გაგიჟებას, ვედრებას, ხალისს.

წყებათ დალეწილ ზარების დარდი,
დაღლილ ცხენების სუნთქვა და შური,
მე, ნოემბერი და პეტროგრადი
ასეთი კარგი და უდაბური.

და მარტოობამ სხვა ქადაგებით,
გაიგო ჩემი: ვარ გაძარცული!
ამ უცხო ნისლის ბარიკადები
მე მიყვარს როგორც ჩემი წარსული.

ათოვს გამვლელებს და გულცივ ბაღებს,
სად უნდა ნახო აქ თავის თავი?
ვიღაცა დაჰქრის და ცეცხლს აჩაღებს,
მეც ყაჩაღივით ვარ გამბედავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და როცა ცეცხლში ქანაობს ლავრა
ბრმების თუნუქებს ტეხენ ლოთები,
ლავრაში ლოცვა ვერ დავამთავრე
და კალუგისკენ გზებს ველოდები.

თან ასე ვფიქრობ: ეს ბავშვი ტირის!
მე კი რადგანაც გამძარცვეს გუშინ,
გავყიდი გაზეთს, გავყიდი ირისს,
ან და რევოლვერს დავიცლი გულში!

1917 წ.

იყო

იყო ბურუსი გაურღვეველი
და კაკანებდა ტყვიის მფრქვეველი.
დღემ მოლუშულმა წარბი შეხარა
დაცლილ ქუჩებზე მკვდრები ეყარა.
უცებ მაღალი ცეცხლი ავარდა -
და ბნელი ცისკენ გაინავარდა.
ცეცხლი ძლიერი დიდხანს ვინახე
როს იმედები სხვა დავინახე.
ეს მინდა ვუთხრა მიეთ-მოეთებს:
მე ქარში ვიყავ, როცა პოეტებს
თქვენთვის საყვარელ ბულბულ-მდელოში
ტკბილად გეძინათ საქართველოში.

ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის...

ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის,
ფოთლები მიჰქრიან ქარ-დაქარ...
ხეთა რიგს, ხეთა ჯარს რკალად ხრის,
სადა ხარ, სადა ხარ, სადა ხარ?
როგორ წვიმს, როგორ თოვს, როგორ თოვს,
ვერ გპოვებ ვერას დროს... ვერას დროს...
შენი-მე სახება დამდევს თან
ყოველდროს, ყოველთვის, ყოველგან.
შორი ცა ნისლიან ფიქრებს ცრის.
ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის.

რა საჭიროა სიტყვები? მჯერა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა საჭიროა სიტყვები? მჯერა!
რაღაც წყურვილით და გაგიჟებით,
როგორც სიცოცხლე და ბედისწერა
თქვენ გაზაფხულზე მეპატიჟებით.

მეხი გავარდა და შორეული
მიჩუმდა ისევ რისხვა ერთჯერი,
გათავდა ბრძოლა ცოფმორეული,
სადაც ღრუბლების იდგა გლეტჩერი.

(სალამი ნგრევას, ვისში გვიანი
აღფრთოვანება იყოს ნეტავი,
დღე წამოიჭრა ოქროს თმიანი
დღე ახალგაზრდა და გამბედავი.)

მზე დედამიწას სუნთქვას უდიდებს,
სადაც ძეგლები არის დარგული,
აღმოსავლეთით ის მიუთითებს;
იქ საუნჯეა გადამარხული...

1917 წ.

მღვრიე ქარი

თოვლის მხარე,
ნისლიანი მთა და ბარი.
მოვიმხარი მისი გზები, სიცივე და მღვრიე დარი.
ზარზე ზარი, სწრაფი, ჩქარი, მღელვარებათ
ჩქეფდა ღვარი,
ტრიალებდა როგორც ფარი,
შემოდგომის ჩქარი
ქარი.
მეფის კარი,
ნანგრევები, ნატახტარი;
მეფე ტყვეა; ტყვეა მეფის ამირბარი, სპასალარი.
აქეთ ქუჩა, იქით ჯარი და დროშები გარი-გარი.
ისევ ქარი.
მოდის მტერი—
იკეცება ალყათ ჯარი.
ცხენზედ მჯდარი მწარედ ჰკივის მეომარი.

კანონადა მშობლიური და ღრუბელი შავად მდგარი.
ისევ ქარი,
მძაფრი ქარი,
თქეში, მთელი ნიაგარი.
სული ძლიერ აფეთქების და სიცივე ჯადოქარი.
ისევ მძიმე პეტერბურგი და ამიდი ბობოქარი.
ისევ ქარი,
მღვრიე ქარი.

მას გახელილი დარჩა თვალები

მზეო თიბათვის, ყოფნა უმზეო!
მზე მიიცვალა ღია თვალებით!
ის მიიცვალა რაღაც უმწეო
და საოცარი გარდაცვალებით!

მას გახელილი დარჩა თვალები,
ოჰ! გახელილი დარჩა თვალები!
ის უცხო მხარეს გარდაიცვალა
და გახელილი დარჩა თვალები!

და ეს თვალები საღამოთა ხმას
უსმენდენ ტანჯვით და მოკრძალებით:
მას გახელილი დარჩა თვალები,
ოჰ! გახელილი დარჩა თვალები!

რა ხდება იქით! საიდან ისმის
მგლოვიარეთა ქნართა: „მშვიდობით“?
უეცრად სწყვეტენ სიმები სიცილს
უამიდობით... უამიდობით!

საიდან ისმის ჩუმი გალობა
და უღონობა სუნთქვის შემწყდარის,
წამების წყნარი წარმავალობა
და მოგონება ძვირფასი მკვდარის?

მიდის ზაჟხული... ბაღში, მდელოში
სისინებს სიო, შრიალებს ნეშო,
მე ისევ აქ ვარ... საქართველოში!
რისთვის, ძვირფასო! რისთვის, ნუგეშო?

და ეს თვალები, სერაფიმთა ხმას
უსმენდენ ტანჯვით და მოკრძალებით,
მას გახელილი დარჩა თვალები
ოჰ! გახელილი დარჩა თვალები!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მივალ, მიმყვება მე შენი ცქერა
და ხავერდებზე ეცემა ჩრდილი,
ყველგან უჩინრად ტირის ცერერა,
თვალები ცივი და გახელილი.

ღირდა თუ არა სხვა სიცოცხლეზე
ოცნება ჩუმი და ფერმიხდილი?
მე გზა არ ვიცი უახლოესი:
ერთად ერთი გზა არის სიკვდილი.

მას გახელილი დარჩა თვალები,
ოჰ! გახელილი დარჩა თვალები!
ის უცხო მხარეს გარდაიცვალა
და გახელილი დარჩა თვალები!

1913 წ.

რევოლუციონერის ხსოვნას

ირგვლივ ნისლი სუფევდა
ვარდებს შხამი ერია:
მაგრამ წყნარად ამბობდი:
იყოს... არაფერია!
ყველაფერი ქაოსის
ნაპირამდე მივიდა,
მაგრამ ღელვას ეტყოდი:
დასცხრი... რა მოგივიდა?
და იქ, სადაც ცბიერნი
უგულობას ფარავენ,
შენ იცოდი ღიმილი
ისე, როგორც არავინ.
მათთან, ვისიც ცხოვრება
იყო ბედით გმობილი,
შენ ხალისით მიგქონდა
სული კეთილშობილი.
და ცხოვრება გიყვარდა
როგორც ბრძოლის პიესა
და გათრობდა ჰანგებში
მხოლოდ მარსელიეზა.
რა დღე არ გაიარე
ხან კარგი, ხან მწუხარე,
მაგრამ სიკვდილის დღემდე
შენს გზას არ გადუხარე.

მშვიდზე — მშვიდი

მშვიდზე-მშვიდი
ცხრაას შვიდი,
უეცარი,
ომის ზარი.
იყო მწარე
ჩვენი შარის
შეშფოთება
უზეცარი.
სევდიანად
შეწყდა ნანა,
სადაც ყანა
იყო წყნარი.
მოჰყვა მკაცრი
კარპატები,
მერე კრემლი
და ხანძარი.

გზებზე გავედით

როცა ცეცხლია და გადარევა,
როცა ქარია და ამღერება,
არც კაცთმოყვარე ხალხში გარევა,
არც გაჩუმება შეგეფერება.
ალაქს გველისფერ ცდება ბინდები,
ისევ სხვებს დარჩა ცა ვარსკვლავედით,
ჩვენ გავიარეთ ლაბირინტები
და ქაოსიდან გზებზე გავედით.
იმნაირ დროში ვით არ მახსოვდეს
შენი თვალების წრფელი დიდება.
ო, დამნაშავის შენ არასოდეს
მკაცრი სახელი არ გეკიდება!

საღამოხანად მთაწმინდას. რომ დაფარავს ნისლი

საღამოხანად,
მთაწმინდას რომ დაჰფარავს ნისლი—
არაფერი სჩანს
და არავის ახარებს ქუჩა.
მხოლოდ ხანდახან,
ბღუჯა-ბღუჯად, ვით მჩქეფი სისხლი—

ავტომობილმა
გაისროლა შუქებით ქუჩა.
რა უჟამური ამინდია.
თქვენ სახლში ზიხართ,
თქვენ გაქვთ ცისფერი,
ყინულივით ცივი თვალები,
გრძელი თითები
და ხელები თეთრი ვით თიხა,
ხართ მშვენიერი,
როგორც ყველა ჩვენი ქალები.
ნისლიან ამინდს
შვენის თბილი ნათება ბუხრის —
ღრმა სავარძელი და
კომფორტი. ასეა შიგნით:
თქვენ მიწოლილხართ სავარძელზე
და შუქი მწუხრის,—
მღერით წინანდელ პოეტების
საყვარელ წიგნით.
თქვენს ცხოვრებაში
ყველაფერი ისევ მშვიდია,
თქვენს ცხოვრებაში
ყველაფერი ისევ ისეა—
წიგნის შრიალი,
ლურჯი მთვარის გზებით მიდიან
რაც კი ამ ქვეყნად
ოცნება და სიხალისეა.
ო, მეგობარო!
ყველაფერი ისე როდია,
როგორც სიმშვიდის
და სიზმრების ავტორს ჰგონია...
შეხედე: იქნებ
მთვარის შუქში ეხლა მოდიან
სულ სხვანაირი
გამძაფრება და აგონია!

ფერადი შუშები

ამ ფერადებში შველა არაა,
გახალისდება ასე მგონია
აღმოსავლეთის ქარის მარაო,
ან გეიშების იაპონია.

აქ რაღაც უცხო ახალი ვნახეთ
გამოხვეული წარმტაც ბადეში.
ხანდახან ქალაქს უნდა გახედო
ასეთ შუშების სიფერადეში.

გადიკეცება შუაზე შუშა
გახურებული ისვრის სმარაგდებს
და სარკეებში უყურებს მუშა
აზურმუხტებულ ფიროსმარაგდებს.

ცისკრისას ოდეს შემოგცინოდეს
აღმოსავლეთი ფერებში სხმული
იქ გადასული ოცნება სრული
ვისზე იქნება გამოსახული?
ო, მახსოვს, მახსოვს ყველაზე ადრე
იმ ფერადებში გამოიჩადრე.

ახალი ნანა

დაიძინე ალვის ტანა,
ბევრია კი შენისთანა?
მშენებლობის დიდი დროა,
რომ ართქმულა იმისთანა!
წინანდელი თოხის ყანა,
რჩება მამაპაპასთანა,
შეესია ტრაქტორები,
კვალი კვალზე გაიტანა.
ინჟენერი თუ ხარ განა,
ცოტა არის ამოცანა?
სახლი დადგა იმისთანა,
საუბრობდეს ღრუბლებთანა.
ნეტა რაა იმისთანა,
ამომავალი მზისთანა,
შრომასთან რომ დროშებია
გაერთიანებისთანა!

ეძიე ჰანგი სიხარულისა

ის მონა არის, მონა საბრალო,
თვალთმაქცი მონა და უბედური,
ამაოდ ეძებ მასში თანაბარს,
ან ამაოდ ესურს იძიო შური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღე ღრუბლითაა გარემოცული,
მიმალულია მნათობი ცისა,
ღირს მასზე ფიქრი? არა, ეძიე,
მხოლოდ ჰანგები სიხარულისა.

გეწვზე გადარჩენილს

ახალგაზრდა ხარ, მბორგავი,
არც ღვინო და არც მაჭარი
და შენც თავს იკლავ... გათავდა!
ლაჩარი ხარ და ლაჩარი.
შენ უთრთი, შენ გეშინია,
გარბიხარ მხდალი, მშიშარა
ბრძოლა ჯერ არც კი გქონია,
მაგრამ გრძნობებმა გიშარა.
ო, გაქცეულო! წაშლილო!
მუდამ ვიქნებით მკიცხველი,
როს მოგიგონებთ და დაგვწვავს
შენს მაგიერად სირცხვილი.

ღვიძავს რკინისგზის სახელოსნოებს

ღვიძავს რკინისგზის სახელოსნოებს:
ბორბლებს, რესორებს, რონოდებს, ღერძებს,
ქურა აღვივებს და ასხივოსნებს
ყველაფერს, რასაც აქ შრომა ეძებს.
აქ ძახილია ლიანდაგების,
აქ ტრიალია სემაფორების,
შორი ძახილი სადგურებისა,
მოსვლის, შეხვედრის და განშორების.

ნავთსადგურთან

ზღვის ზედაპირი გარინდებული;
და იყო ცეცხლი გულში ნთებული,
მშვიდად სუნთქავდა ცა მოწმენდილი,
იყო საღამო შებინდებული.
იყო საღამო თვალუწვდენელი.
ხარობდა ჩუმად სამყარო მთელი:
თითქო შორიდან მოვიდა გემი
და გამოცოცხლდა დღე დღევანდელი.

ეჯახება ბორბალს ბორბალი

ამოდის ბოლი. კვამლების რკალმა
მილის ღეროსთან იწყო თამაში,
გამოუქროლა ბორიო ქარმა
და გაიტანა სახლთ აკლდამაში.
ნისლი ერევა სიშავის ფენებს
და ნაპერწკლებიც ირევა ალში,
იყვ ვილებენ ეს ყვავილები
წარსულში, ეხლა და მომავალში.
არა დამჭკნარი და გაცრეცილი
რვეულებიდან ირევა რკალი,
არამედ ისმის ქარხნის გუგუნი
და ეჯახება ბორბალს ბორბალი.

მეზღვაურებო!

აინთო შვება და მძლავრი ღამე,
ალარ ეშვება სულს სითამამე,
სტიქიის გრძნებით არ არის შხამი,
ძლიერი ხმებით ვიმღეროთ რამე.
მეზღვაურებო, ეს ოკეანე
მოიბურება ქარიგით მწვანე,
შენ ხარ სამშობლო, ნავთა სავანე,
არ დაგვაობლო, იქ მიგვიყვანე.

პოეტი

ნუ გგონია, რომ სიმღერას
შენსას ვერვინ გაიგონებს,
ვერ გაარღვევს მწუხარებას
და ვერავის დაიმონებს.
(არა, მუდამ ახალია
და ძლიერი შენი სიტყვა,
იგი წინად ხალხის გულში
დაფარულად გამოითქვა.)
ძლიერია ჩანგის ხმაზე
ბევრის წრფელი ღამეთ თევა
და იდუმალ სიმღერაზე
სულის ცეცხლად გადაქცევა.

უძლეველი არმია

აღმოსავლეთით და დასავლეთით
სახელოსნოთა რკინით ნაგები,
ჰკივიან, ჰგრგვინვენ სიმძიმე-დავლით,
გადაკვამლული ლიანდაგები.
ბორბლები ბორბლებს ეჩქარებიან,
დრომ სივრცე შესძრა და დაარბია,
აღმოსავლეთით და დასავლეთით
ეს უძლეველი არის არმია.

მჭედლების ქუჩა

საღამოხანად სოფლად ალუჩის
აშრიალება კ ნუ გგონია
უზარმაზარი მჭედლების ქუჩის
აღტაცებაა და სიმფონია.
გრგვინვა, გრიალი, რეკვა, ტეხილი,
ელვა, ქურაზე მაჯა მაგარი,
ფოლადი, რკინა გადაგრეხილი
გადააბრუნე, ასწი დაჰკარი!

მოგონება

წუთთა შვენება თანდათან ჰქრება.
მიჰქრიან დღენი, მიჰქრიან წლები
და სიბერის ჟამს დროს მაგონებს შავს
ეს ტირანიის ძველი კედლები.
მომაგონდება მოთქმა, გოდება,
მკაცრ დესპოტების შური და მტრობა,
და მოგონებით კვლავ გამახარებს
მებრძოლთ ერთობა და მეგობრობა.

რა წარმტაცი ხარ, რა დიდებული!

კვლავ მიხარიან ძველი კორდიდან
რიონის ზვირთთა თვალის დევნება.
დაუცხრომლობა გაზაფხულისა
და ფერადების აშადრევნება.
რაღაც ახალის და კარგის ნახვით
ამიღელდება იმედით გული.
ო, მომავალზე მიმდევნო ფიქრო,
რა წარმტაცი ხარ, რა დიდებული!

ზ. გ. ტაბიძე.

ელოდნენ რევოლუციას

ახალგაზრდობა, მომავლის ძალა,
სწუხდა ჯვარედინ ფიქრში გართული,
მათ ჰქონდათ გული იმ უდროობის
მწუხარებაში გამოკვართული,
მაგრამ ელოდნენ რევოლუციას,
ყოველთვის ახალ გრძნობას რომ ბადებს
და თავგანწირვით უერთდებოდნენ
სიმართლისათვის მებრძოლ ნაკადებს.

შორი ალპების წყაროზე წმინდა, სამხრეთის მზეზე უდიადესი!

სთქვი: რისთვის გერქვას ადამიანი
და მომავალის გეძახდეს ვალი,
თუ დაიკარგა შენი გულიდან
ნების ნაკადი თავისუფალი?
რომ გრძნობდე ამას, მოგაშველებდა
თავის მარჯვენას მთელი ქვეყანა,
რომ მოისურვო მხოლოდ და მარტო...
მაგრამ სურვილი შენ ძალგიძს განა?
სიცოცხლე! დიალ, სიცოცხლე გვინდა!
სიცოცხლე გვინდა ასი, ათასი!
შორი ალპების წყაროზე წმინდა,
სამხრეთის მზეზე უდიადესი.

სიმღერავ!

ნუ მინდობ, შენსა ლხენასა!
მთლად მიმეც ალმაფრენასა,
შენს ხმებს ვუმონებ, გეთაყვა,
მღელვარე გულის ძგერასა.
მოყვრის გულს გავახალისებთ,
მტერი დაგვაკლებს ვერასა,
დაჰკარი მარჯვნივ და მარცხნივ
ჩხიკვს, შავ ყორნებს და ძერასა.

ოცნება და სინამდვილე

ის პოეზია გაჰქრა,
იგი ოქრო და ვერცხლი,
დრომ ძველ მიდამოს გაჰკრა
ცოცხალ ცხოვრების ცეცხლი;
და უბოლოოდ მიჰქრის,
როგორც გაშვება ქორის,
მწარე გათიშვა ფიქრთა
და სინამდვილეს შორის;
მაგრამ მე მოველ! მოველ!
მძლავრი გუგუნი ქნარის
ძალაუფლება ყოველ
დღის ახალახალ ქარის,
რა საჭიროა ნანა,
ან მოგონება ხშირი,
დღეს თანასწორად დგანან
მზე, პოეტი და გმირი.

ფიქრები რატაციონის გრგვინვაში

რატაციონის მანქანის გრგვინვა—
ცხრაას ჩვიდმეტ წელს მე მომაგონებს:
ხან აღტაცებით მევსება გული,
ხან უცნაური ხმა დამაღონებს,
ხან ისმის მარში სამგლოვიარო,
თვალწინ დროშების შრიალი კრთება,
ხან გაიქროლებს სიხარულის ხმა,
რომ მოაგონოს ხალხს გამარჯვება.

ჩემო მენავე

ჩემო მენავე, შენი ფიქრი
და შენი ზრუნვა,
გაუზიარე შენს მეგობარს—
მშფოთარე ზღვასა.
ნუ შეგაშინებს მისთა ტალღათ
მრისხანე ბრუნვა,
გულს ჩაუკვირდი და მიზეზებს
სხვასა და სხვასა.

ნუ გამაგონებ ნურასოდეს
ჰანგებს მწუხარეს,
ნუ ითვალთმაქცებ ცხოვრების წინ,
ნუ დაეცემი.
დიდიხანია გზა ბრძოლისკენ
გადაუხარეს,
შენ მათ ფიქრიდან ისევ ღელვას
გადაეცემი.

ვარსკვლავთ ციმციმი
და ზღვის სუნთქვა დღეს არ დაგატკბობს,
არ გაგიტაცებს
მყუდროება დაკარგულ ცისა,
შენი სიმღერა
სხვანაირად გულებს გაათბობს,
როგორც სიმღერა
განწირულის და მებრძოლისა.

თქვენაც, ტალღებო!
ეს ოცნება თქვენი ნერგია
საჭირო არის,
თუ არ არის სინათლეთ ღვარი,
მეტი სისწრაფე,
მოძრაობა და ენერგია,
თავი და თავი,
დღევანდელ დღეს, აი, რა არი.

გულს მიეც სული და დაიქუხებს სიმღერის ლტოლვა ტიტანიური

შენის სიმღერით აღელვებული
ცისკარი, ნისლით თხემზე რომ იწვა,
გადმოექანა როგორც თეთრი ზღვა
და ფანტომებად დადნა, დაიწვა.
დაე, ისმოდეს კვლავ სიმღერაში
ახალი ღელვის ელვა მზიური,
გულს მიეც სული და დაიქუხებს
იმისი ლტოლვა ტიტანიური.

მეტეხს იქით ცა, აჰა ნათლდება

მეტეხს იქით ცა, აჰა, ნათლდება,
მზე ეფინება მიდამო არეს
და როგორც მთელი ქვეყნის ვედრება
აწყდება ძველი ტფილისის კარებს.
მოსვენებისგან ეხლა რას ელი,
სამარადისო რას მოგცემს ძილი?
ახალი დროის დასაწყისია
ყოველმხრიდან ხმა, ყველგან ძახილი.

რაც დავიწყებით არ იბინდება

ულრუბლო მწვერვალს დიდი ხანია,
ჩვენი ზრუნვები ვერ ეკარება.
მხოლოდ ხანდახან უცნაურ ამბად,
ტურისტი მხრებში შეეპარება.
ის ტფილისიდან ფიქრობდა მასზე—
ახლო ენახა მთების დიდება,
რომელიც არღვევს საუკუნეებს
და დავიწყებით არ იბინდება.
მთებში, სიმშვიდით გარემოცული,
განმარტოებით შენ ისევ მღერი—
ერთის მხრით ვრცელი ტყე, დაბურული
მეორე მხრით კი ძეწნა და შქერი.
სალამი მთებო, ტოტებგაშლილო,
სალამი შორო და მწვანე მდელო,
მუხაო, დროთა ფიქრში გართულო,
კლდეებო, ირემ-ჯიხვთ სამფლობელო!

სამაისო სიმღერებიდან

სპეკტრი, შუქთ გუნდი მოაწყდა კარებს,
სხივთა ისარი გულზე დამასო.
ისევ გაბრუნდა და მე მომესმა
მისი ძახილი: „იცოცხლე, არსო!“
ჩვენ გვასწავლიდა რაზე ვიღწოდეთ,
ან რაა ჩვენი დანიშნულება;
თავდადებულთა ძლიერი რიგის
შუდამ ახალი და მძლე თქმულება.

ბევრს დიად საქმეს დაუზარებლად
აქ განაგებდენ მაგარი ხელით.
ასრულდა ბევრი, რასაც ველოდით
და ასრულდება ის, რასაც ველით.
და ბევრ ადგილას, სადაც კი დღემდე
ვერ მკვიდრდებოდა მაისთა რკალი,
ეხლა უკვდავი გრგვინვით გაისმის
დაუძლეველი „ინტერნაციონალი“.

აყვავილებულ საღამოს

საღამო მშვიდი, საღამო წყნარი
დღემ ამართულ მთებს გადააფარა.
დუმილს მიეცა შორი სოფლები
და ყაზიბეგის თეთრი ჭაღარა.
უკანასკნელის მზისა ალერსით
აწითლებული და მოელვარე
დასავლეთშია ჩასვენდა ალი,
გაურკვეველი, ჩუმი, მთვლემარე.
ქვევით ნიაღვრით გადარეცხილი
ჩაყუდებული პიტალო მთები,
თითქო ფიქრებად გადაქცეულან,
როგორ ჰკვდებიან მზისა სხივებით.
პატარა ქალი სასხლავით ხელში
კორდიდან კორდზე დახეტიალობს,
საყვარელ ლექსებს იმეორებს და
აყვავილებულ საღამოს ჰგალობს.

კლდეებს ამტვრევენ

კლდეებს ამტვრევენ... ეხლა გაიგებთ
შრომის კუნთების ძალას იდუმალს,
იგი მძლეველი ლომებით ანგრევს,
ლოდათ ჩამოჭრილ კლდეთა სასთუმალს.
ზეცა შეშფოთდა. სული განაბეს
ანგელოსებმა განცვიფრებულმა,
იდუმალების გაწყვეტილ სიმთან
ამოიოხრა ვარსკვლავთ კრებულმა.
რაღაც უცნაურ სულისკვეთებით
იბურღებიან ღრუბელთა გზანი,
მისკენ საშინელ შურისძიებით
მიეშურება ჰაეროპლანი.

რა იყო შენი ბავშვობა?

აბა, რა იყო შენი ბავშვობა!
მამა არ გყავდა, დედა არ გახსოვს,
არც სიყმაწვილე, არც თამაშობა,
სულ სიღარიბე გართმევდა სასოს.
გყავდა გამდელად ქუჩა, ის გზრდიდა,
საკუთარ სახლად მას უცქეროდი,
როცა ეს ბინაც მწარედ გდევნიდა
და შენ მომავალ ბრძოლებს მღეროდი.

გახსოვს ის ქარბუქი?

გახსოვს? გახსოვს ის ქარბუქი,
რომ ფანტავდა ფოთლებს დილით.
დილით... ეხლა კი სიცილით
ცის დასავალს, როგორც ლუქი
გადაეკრა ნორჩი შუქი,
შემორტყმული ნაზი ლილით,
აფერადდა ყვავილივით
სილაჟვარდე მუქი... მუქი...

ჩემო სიმღერავ, მაღლა, სულ მაღლა!

მუდამ ახალი იწყე ცხოვრება,
ახალი სხივი ედება არეს,
ნუ დაენდობი სიტყვებს უმიზნოს,
არა ერთს მოგცემს ის სიმწუხარეს.
წარსულისაგან კვლავ დაიბრუნე
შენი მარადი თანამგრძნობელი—
ჩემო სიმღერავ, მაღლა, სულ მაღლა,
როგორც ცხოვრება, როგორც სოფელი.
უსრულო საზღვარს გადააცილე
შენი ამაყი სულისკვეთება,
მეტი მზის სხივი შემოგეხვევა,
მეტი ნათელი შემოგედება.
რა ზღვისფერი და კარგი დილაა,
ამწვანებულო ტყეთა დალალო,
სიმღერაც დილის სინამდვილეა
ღამისთვის მკაცრი და სავალალო.

სიმღერა კარგი მხოლოდ მასისთვის

ხელოვნებისთვის მთა ბუმბერაზი
და ვარსკვლავებიც ამბობენ ამბავს,
მხოლოდ მასისთვის სიმღერა კარგი
უკვდავებისკენ გზას გაიკაფავს.
არსებობს ხეთა მშვიდი ჩურჩული,
ისევ და ისევ მხოლოდ მასისთვის
სანატორიის მინდვრებზე ელავს
განმკურნებელი მზე ალმასისა.

ეფინება სიხარული

გაზაფხულზე ყვავილები
იმღერიან ქებათ-ქებას
და ნაკადიც უზრუნველად
მოიმღერის გამარჯვებას.
ყველაფერი, ყველაფერი
მაისისას ერთვის ჰიმნებს,
ეფინება სიხარული
მრავალ ვარდებს და გვირგვინებს.
მოგონებები ატოკებს
ტბის ლელით მოსილ ნაპირებს,
ლალ-იაგუნდებს, ზურმუხტებს,
თვალმარგალიტებს, საფირებს.
მოგონებები ამბობენ:
დასტკბი და გაიხარეო,
ცის კიდით კიდემდისინა,
მრავალთ-მრავალო მხარეო!

საღამო ხანად ისევ იმ ნანად

ვერცხლის ცივ ნათელს, შუქთა დამფანტველს
ფუნიკულორი მიდამოს ჰფენდა.
სულგანაბული ავტომობილის
სირენა სტვენდა.
როგორც აგატმა, ხალხთა ნაკადმა,
კვლავ მიაშურა კინო-თეატრებს,
ქარად არღვევდა, შარფებს არხევდა,
აჰა, გაარღვევს, აჰა, შეამტვრევს.

ხმა ბობოქარი, ხმა, ჯაჭარქარი
გადმოიღვარა საღამო ხანად,
საღამო ხანად ვისმენდ, ამ ხმას
ხან მწარე ქარად, ხან ტკბეს ნანად.
ცეცხლით აღვავსებ, გავაათასებ
ამ მშვენიერ ხმას ტყვეშქმნელ გრძნობაში,
საღამო ხანად, ისევ იმ ნანად
ჩემთვის სანატრელ ბობოქრობაში.

ქართული ორნამენტი

მკვეთრი, ნათელი და შორი
გრძნობიერია ზმანება,
ეს მზე-ჩუქურთმა, ეს სწორი
ხაზების ახმოვანება.
ღვრის იისფერი დღე ლბილი,
ოცნებას ცისფერ რამეზე,
ნანგრევზე არის გაშლილი
დიდება და სილამაზე.
ველური, მოუნათვლელი
ქვის ცივი, რუხი გაგება.
ადვილად არის სათლელი
და თბილად—დაქანდაკება.
ქვა—განა ქვაა? ეს რთული
ნიშნები, ჩემთვის ნათელი—
გაცოცხლებული ქვისგული
ჟღერს, როგორც კორიანტელი.
ქვა, მოწყვეტილი აქ კლდეებს,
ქვა კი არ არის—სიმია.
გარდასულ საუკუნეებს
ეტყვი: ეს თქვენი ღიმია.
აქ ბევრი სისხლი დაღვარეს,
მებრძოლი, ბევრჯერ მინახავს,
ჩუქურთმის ნატეხს საყვარელს—
ომის დროს უბით ინახავს!

სტანსები

ვდარაჯობ იმ დროს, როცა ძილიდან
გამოგაღვიძებს სულის მუდარა,
რომ ხალხს ადგილი ექნეს იმ გულში,
ჟამმა ხანჯალი რომ გაუტარა.

მიჰქრიან დღენი. გული არ გვწყდება,
რომ რაც გვჯერდა, დღეს აღარ გვჯერა,
თვალთ დევნებაში არ გვენანება
ის ალმაფრენა, ის გულის ძგერა.
ცხოვრებისათვის ძველ ალმაფრენით,
საუკეთესო ახალში ვცხრებით
ვიპოვეთ გზები და ამ ღრმა რწმენით
სიცოცხლისაკენ მივეშურებით.
ვიპოვეთ ქვეყნად ჩვენ მეგობრობა
და სიყვარულით გამთბარი სხივი.
თანამედროვე ცხოვრების გრძნობა,
მუდამ მართალი, მუდამ ხანგრძლივი.
ნუთუ ღირს დროთა კვლავ მოგონება
წარსული წყლული რომ განიახლო?
არ გიცხოვრია შენ ქვეყანაზე,
შენ გაიარე სიცოცხლის ახლო.
შენ აარიდე ყველაფერს თვალი.
არ დაგინახავს წრფელი ღიმილი,
ყველაფერს ირგვლივ რაც კი რამ გერტყა,
შენ დასცინოდი მშვიდი, გულგრილი.
სასწაულს რასმეს ელოდა სული,
გიჟურ ფიქრებით იკლავდი შენ თავს,
შენ გაიარე სიცოცხლის ახლო
და სიცოცხლისთვის არ შეგიხედავს.
ყველაფერს მისწვდი შენს სიცოცხლეში,
ბედნიერებით სიცოცხლის გარდა.
რომ შრომა არის ბედნიერება
ვერ იგრძენ—ისე დაეშვა ფარდა.
ძველი ქვეყანა! ნიშნად იმისა,
რომ მკაცრი იყო შენი სიმრუდე,
შენს იდეებში ობობა ხლართავს
ქსელს და მიკიოტს ჩაუბამს ბუდე.

ხმა უჩვეულო

როცა მინდვრებში დგას პიონერი
ნაღარასა სცემს და ბუკს აყვირებს—
შეფარებულა შვლის ნუკრი თხემებს
და უცნაური ეს ხმა აკვირვებს.

ისე სოფელის სმენას აოცებს
ხმა უჩვეულო, ხმა გადაწნული
ჯერ არნახული გამოგონება,
სიტყვა, რადიოს ყელში ჩასმული.

ავდარი

ცა პირიდან წვიმას აქცევს
სერავს ელვის ნათებას,
ყურადღებას არვინ აქცევს
მის სამხედრო მზადებას.

ტყეში კრთომა არის ნუკრის
და გრიგალი ამავე დროს
ველად დაძრწის და თავს უყრის
თავის ძალებს სამხედროს.

გაჰქრა ძველი დუბეითი!
იბრძვის განამალები
საჰაერო და ქვეითი
დარაზმული ძალები.

ქუჩებს ყვავილი მოეფინება

ქუჩებს დროშები მოეფინება
და გაბრწყინდება სახეთა ღვარი,
ინტერნაციონალის სიმღერით წავა,
ამ ქალაქებზე მუშათა ჯარი.

ფერადი ფერით შეიმოსება,
ყველგან სახლები გიგანტიური,
ყველგან ელვარე გაზაფხულია
და ვარდებია ყველგან მზიური.

პროლეტარიატს შუბლზე ჰფენია
ცხარე ბრძოლების ალთა ჩქერება:
ბედნიერება შეიქნეს ქვეყნად—
სთქვა და იქნება ბედნიერება.

სიხარულით ეგებება დღის სალამი!

ღამის წყვდიადს ბოროტ გულში
განთიადმა სტყორცნა შუბი,
წითელ სისხლით შეიღება,
ჰკვდება ღამე.
საუკუნეთ იდუმალი,
სხივი, გულში დანაგუბი
ცის ტატნობზე გაიშალა
მოკამკამე.
ხრიოკში კი მიბნედილი
და სისხლისგან მთლად დაცლილი
დაკლაკნილი როგორც ზოლი —
ჰკვდება ღამე.
მედგარს მებრძოლს, ნორჩ განთიადს
მაღლა ნაძვებ-ავარცხნილი
სიხარულით ეგებება
დღის სალამი.

ყოველ სტრიქონზე

დღეს გავიმარჯვებთ!
დღეს გავიმარჯვებთ! —
ამგვარად ვფიქრობთ ჩვენ ყოველ დილით
და საღამოხანს კვლავ ვიკრიბებით
აღფრთოვნებულნი დროით განვლილით.
ეძალებიან მოგონებები
გაზაფხულისას გრძნობებს რჩეულებს.
რა სიხარულით, რა სიამაყით
ვათვალიერებთ ახალ რვეულებს.
ერთი სტრიქონიც იქ ვერ ვიპოვეთ,
რომ იმედებით არ სძგერდეს გული,
ყოველ სტრიქონზე შრომას დაუსვამს:
გამარჯვებული, გამარჯვებული.

სულს ნუ დაზოგავ მღელვარე ხმებში

როგორც მნათობი მსოფლიო ცაში,
ისე ერთი ხარ პოეზიაში
ქარიშხალივით მხნე, ბობოქარი.
ნიაღვარი ხარ მდუმარე მთებში.
სულს ნუ დაზოგავ მღელვარე ხმებში
რა კი ქარის ხმას ყური მოჰკარი.

სიცოცხლით, მთელი შემოქმედებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ შევეჩვიეთ ბრძოლაში ყოფნას
სიცოცხლით, მთელი შემოქმედებით,
თავზე ტყვიები დაგვფარფატებდა
და გატაცება ფოლადის ფრთებით.
ჩვენ შევეჩვიეთ ქარს და ქარიშხალს,
ბავშვობიდანვე ჩვენი ცხოვრება
იყო მარტოდენ რევოლუციის
მქუხარე ძალთან დამეგობრება.
რომ გაგიჟებას გავდა დღეები,
მრავალფეროვან წამთა ფერხულში
წინ მივდიოდით და იმედები
გამარჯვებისა ხარობდა გულში.

ძლიერ მომავალს უმღეროდა მომავლის ქნარი

ამ წიგნში მთელი საუკუნის
ვიპოვე ბინა,
უცხო წალკოტში, სადაც კალთა
გადაეფინა
მზის ელვარებას და უსაზღვრო
ძებნის სურვილებს,
ძველი ელლადით, ძველი რომით
გადაბურვილებს.
აღმოჩენილი სულ შემთხვევით,
ნახევრად მკვდარი,
ძლიერ მომავალს უმღეროდა
მომავლის ქნარი.

ცისარტყელა

წყალს, გადაშვებულს ტბიდან ანაზდათ
ცისარტყელათა დაადგა ზოლი,
გადაფუნგულა ორომტრიალი
ტურბინებიდან გადანასროლი.
მალე მზე ჩავა და დასავალი
ფარშავანგებათ შემოიმწკრივებს
აუწერელად დიად ფერადებს,
ჩამავალ დისკოს ჩამავალ სხივებს.

მე მასთან ვარ ისევ ისე

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო ნისლი და უარეს
ხმით მორევი ბარბაცებდა,
გემზე შენს თმებს მომღელვარეს
ქარიშხალი იტაცებდა.
იგი ნისლში ამართულ მთებს
ერთმანეთში გაურევდა,
აშორებდა მწვანე კალთებს
და შორიშორს აშურებდა.
ქარიშხალო, მომაშუქე
შენი ბრძოლის სიხალისე,
გაგყვა ჩემი სიჭაბუკე,
მე მასთან ვარ ისევ ისე.

ელსადგური ტყეში

დასძარ. დროა. დროა — ინჟენერია.
და ერთბაშად ახმაურდა სადგური.
აგრიალდა დიზელების სერია,
განათებამ ღამე გაანადგურა.
ტყე და მთები საზღაპრო სურათია,
გაჩირაღდნდა შენობათა ბურული,
ცეცხლოვანი ზოლების გზა ანთია
სადაც წინად ტყე იყო დაბურული.

დიდი ზამთარი

პაპას ზღაპრები შემოელია,
დიდედას კიდევ ამბები ძველი;
სიტყვა ეკუთვნის ეხლა პიონერს,
ხვალ რა მოხდება — კარგი თუ მწველი?
მეურმეს გზაზედ წყნარი სიმღერით
წისქვილისაკენ მიაქვს ხორბალი.
კოლექტივებზე ჭრიალებს ღერძი
და ტრაქტორებზე მღერის ბორბალი.
ზამთრის ღამეა. სიჩუმის სახით
გაწითლებული დადის ყინული.
დიდი ზამთარი დაგვიდგაო წელს,
გზა თოვლითაა გადაზვინული.

სალამი ახალ გზით გაერთიანებულ საქართველოს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინად მეტეხის ბურჯი
და ნარიყალა აგეს,
ეხლა მძლავრი და ურჩი,
სიტყვა ეკუთვნის ზაგესს.
სიბნელე? არასდროს, არასდროს!
სიკვდილი წყვდიადის ჩრდილებს,
სინათლეს გაუმარჯოს,
სინათლის ყვავილებს,
დრო მიდის ნათელ გზით
რომ მტრობა დათრთვილოს,
სალამი ახალგზით
გაერთიანებულ საქართველოს.
სიბნელე? არასდროს, არასდროს!
სიკვდილი წყვდიადის ჩრდილებს.
სინათლეს გაუმარჯოს,
სინათლის ყვავილებს.

ღელვას — ფერადები

ღელვას დაფარულს ალისფერ მტვერით
სიმხურვალისგან ასე ფერმიხდილს,
შენ ესალმები წრფელი სიმღერით,
წრფელი სიმღერით წაართმევ სიკვდილს.
ირგვლივ ფერადებს შემოიღერებ,
რომ აღსდგეს მხდალი და დაცემული.
დიდხანს იმღერებ, დიდხანს იმღერებ,
დიდხანს იმღერებ გატაცებული.

უზარმაზარი მსოფლიო ქნარი

ჩვენ ყველას გვიყვარს: უზარმაზარი
როცა გუგუნებს მსოფლიო ქნარი.
სტეხს, ანადგურებს, ჰქმნის, კერპადა ხდის
დაუძლეველი, სწრაფი, მედგარი.
რისხვით ჰქუხს ცივი, ტალღათ გრეხილი,
სწუხს სივრცეებში ფრთა ატეხილი
რად არ უგდებთ ყურს, სიხარული გვსურს,
აღტაცება გვსურს გაუტეხელი.

ალტაცებას იმედისას და მსოფლიო გამარჯვებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს მებაღემ სარებს ვაზი
მიაკონა, მოაკონა.
მზემ მიდამოს მშვენიერი
გაზაფხული მოაგონა.
ახმაურდეს ყველა ჩანგი
და გამძაფრდეს გულთა ძგერა
ვერ დამაცხრობ, ვერ დამძალავ,
ვერ გამისწრებ ვერა, ვერა.
მაინც ვიცი, მაინც ვიცი
ვერაფერი შესცვლის შვებას,
აღტაცებას იმედისას
და მსოფლიო გამარჯვებას.

* * *

პროექტორი
გალტოლვილი,
ფიქალ კლდეზე გაწოლილი,
მაღალ ღრუბელს მოეჩვენა.
დროთა მრავალთ
გამოვლილი,
ვალმოხდილი და მოღლილი
მთვარის შუქი ცას ესვენა.
ორი შუქი. ორი მძივი.
შედარებამ ჩვეულებრივ
ჩემს გულს
მძაფრად გაჰკრა ბრჭყალი
ორმა შუქმა გაიელვა,
მიწა ცას გრძნობს
და ბუნებრივს
ხელოვნური ნაპერწკალი.

მკაცრია ამ დროს

უეცრად ტალღა აღშფოთებული
ქუხს და გრიალებს,
ზღაპრული ნგრევა აგორებული
ფრთებს ატრიალებს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რისხვა ქაფს იყრის და მრისხანებით
ჰაერში არხევს,
ვით ცეცხლის მარცვლებს საზარელ ხმებით
შიშის მთებს არყევს.
გადახვეული აფრა ანძაზე
მიმოფრიალებს,
სტიქიის სული განგაშებს ზღვაზე,
ღრეობს, ღრიალებს.
ვერა, ვერ ითმენს იგი მონობას,
ყოფნასთან აფთრობს,
ომში, გრიგალში, ათავსებს გრძნობას.
მკაცრია ამ დროს.

იგი დრო ენამ ვერ გამოხატა

თუ ყურს უგდებდი ბარიკადის
ხმას ჩასაფრებულს,
თუ ყურს უგდებდი ყუმბარების
სიმღერას მწარეს,
იგი ჰანგები ტალღას სცემდა
გულს გამძაფრებულს,
იგი გვამცნევდა მისაწვდომელ
ჰანგების არეს.
ვერა, ბუნებავ, სუსტი ენა
ვერ გამოხატავს
ცხრაას ჩვიდმეტის სიდიადეს
და აღმაფრენას.
არ შეუძლია მის წინ რამ სთქვას
ენას მომაკვდავს
აღარ აქვს ძალა იმ ძალასთან
უბრალო ენას.
თუ ყურს უგდებდი ცეცხლს და გრიგალს
მრავალ შვენებით,
განა ვერ ამჩნევ რომ მზის სხივი
მიმოიფანტა,
გავიდა ხანა. ეხლა მაინც ხარ
მოსვენებით,
მაგრამ იგი დრო ენამ მაინც
ვერ გამოხატა.

ფ. გ. ტაბიძე.

განთიადზე კი...

როცა დაღამდა —
გადადაღავდა
ტფილისის არეს
ალების კალა;
ფიქრებით ძველით
სუნთქავდა ველი,
მთაწმინდა იგი
და ნარიყალა.
როცა გათენდა,
გადაადენდა
შუქს ნაძალადევს
მზე შემოდგომის,
გაისმა ვრცელი
ქარხნის გუგუნი
და აიმართა
სასახლე შრომის.
მოიხსენ რიდე!
ან კიდითკიდე
მშრომელი კლასის
გაისმის წყრომა;
დროშით ჩვენს დროში
ჩვენს სამყაროში
გუგუნებს შრომა
და მხოლოდ შრომა!

ახალ იმედათ...

უკანასკნელად სხივები მზისა
იჯგუფებოდენ გულგაპობილი,
როცა მცხეთისკენ მიმავალ გზისად
შენი გამოჩნდა ავტომობილი.
მშვიდობით — მითხრა უკანასკნელად
ირისისფერმა ქროლამა შარფის.
გადამავიწყდა ეს განშორება,
ვით მწუხარება დახრილი წარბის.
დაღამდა, მთვარემ ამოანათა,
ტყე შუქითაა გადანალაქი
ახალ იმედათ, მშვიდობით, ეხლა
განათებული მოსჩანს ქალაქი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიდუდუნებენ ზვირთნი მტკვარისა

მიდუდუნებენ ზვირთნი მტკვარისა,
სანამ ტფილისი შორით იგრგვინებს,
სამხედრო გზაზე ოქროსთმიანი
აღფრთოვანება მაწვდის გვირგვინებს.
მე პოეტი ვარ. ვერარა ძალა,
შენს ოცნებაზე ფიქრს ვერ გამიქრობს
„საით წაიღებ შენ ამ გვირგვინებს"?
წარსული ამბობს, წარსული ფიქრობს—
ახალ ეპოქის ვარ მე მხედარი,
დრო საკმარისი მიჩნს უკმარისად,
გზად იშლებიან თმანი ქარისა,
მიდუდუნებენ ზვირთნი მტკვარისა.

ჰყვება ტფილისი სხვადასხვა ჰანგებს

განთიადისა პირველი ალი
ნარიყალისა ნანგრევზე წვება.
ელექტრო ჰქრება და შუქი მზისა
იფეთქებს, როგორც ახალი შვება.
ჰყვება ტფილისი სხვადასხვა ჰანგებს,
ხმა სიშორიდან გულს ღელვად ხვდება.
ჩემი სალამი გიგანტის ჩანგებს,
ბნელს სული ხდება, სიბნელე ჰკვდება.

ჩრდილმა გადაიქროლა

რა ჩრდილი აეროპლანის
ველებზე გადისრიალებს,
გაზაფხულის დღეს დიადი
ტყე საიდუმლოთ შრიალებს.
მთაკლდენი უზარმაზარნი,
შესცქერენ: რა ამბავია?
მთიდან ჩანჩქერი გადმოქუხს
თითქო გრგვინვა და ზვავია.
ველი, მინდორი, ჭალები
გადაიქცევა თვალებათ
და თითქო არაფერია—
ის ჩრდილიც მიიმალება.

უტეხი ხმებით

შენგნით იმედს შეუპყრივარ,
განცდა მომდევს გაბასრული,
ჩემ სიხარულს, აღტაცებას
ეხლა არ აქვს დასასრული.
გრძნობა ლბება უხილავად
უტეხელი იმა ხმებით,
გაღვიძებულ ოცნებითა
და აშკარა განახლებით.

მატარებელში

ორთქლმავალი სტვენს. შენ კითხულობ ტვენს.
გადააგდე ის, გაიხედე წინ...
ბუჩქს შარფივით ბოლს, ორთქლმავალი ჰფენს
და გაისმის თან: რა-რა-რა-რა, ძინ!
ასწლოვანი ხე გაუპია მეხს,
ქორი მიაქვს ქარს, რაღაც მიაქვს ქორს.
შეგვიძლია ჩვენ, გზაზე გავყვეთ გლეხს—
მის ზრუნვას და ფიქრს უბოლოოდ შორს.

შავი ზღვის პირად

ტროპიკულ ხეებს შავი ზღვის პირად,
ვაზებს დახლართულს,
რომ მიყვებოდი ზურმუხტისფერად
ფიქრებში გართულს,
ჩამავალ მზეში მას მხოლოდ სხვისი
ერქვა მ.მული.
ხან იშუქებდა, ხან ნელდებოდა
ცა მეწამული.
თითქო პირველად შენ დაგინახე
ბრძოლის აჩრდილი,
მას სტიქიური შვენოდა სახე
ჩადრგადახდილი,
ცეცხლის შადრევნებს გადასცქეროდენ
თვალები შენი
და შეხთან ერთად თითქო მღეროდენ
მთანი და ტყენი.

ცა, ზღვა და მიწა

ეს ნატვრა იყო უკანასკნელი:
გაჰქრეს ცხოვრება მწარე და ბნელი,
როცა ზღვა აღსდგა და მის ტალღებში
შთაინთქა ბედი გაუტანელი.
გამოლაშქრებამ ქარიშხალისამ
სიცოცხლის ძალა იქ წარიტაცა
და მოელოდენ ახალ ცხოვრებას
გარინდებული ზღვაც და მიწაცა.

* * *

გუშინ ქარმა და გრიგალმა
ტყის ნაპირები დათელა.
ეხლა ღამეა. აქ და იქ
ანათებს ციცინათელა.
გიგანტიური შუქიდან
კილოვატებში ცახცახებს,
გათენებამდე ტურბინის
ძარღვს ეს გრიალი დასძახებს,
დასცქერის მტკვარის ნაგუბარს,
მის ფანტასტიურ მონავეს,
და თვითონ ცისკრის ნათელიც
ამ ძალს ვერ დაიმონავებს.

სწორედ ისეთი როგორიც ვიყავ ოცი წლის წინად

მშვიდი კოლხიდის მდინარეებზე
კვლავ არის მთვარე
სწორედ ის მთვარე, „პოეტები“ რომ
ებრძვიან მწარედ.
სადღაც მომხიბვლელ საოცარ ჰანგებს
სტვენდა ბულბული
სწორედ იმ ჰანგებს, რომელთ სწყევლიან
სულშეგუბულნი.
და მე მივქრივარ მოვერცხლილ გზაზე
უძლეველ რკინად
სწორედ ისეთი, როგორიც ვიყავ
ოცი წლის წინად.

მწვერვალი დაიხარა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწვერვალს ჩრდილი თავს წაადგა,
მთა ღრუბელმა გადმოფარა
და მწვერვალმა შენანების
ცრემლი მშვიდათ გადმოჰყარა.

მხოლოდ როცა ღრუბლების ქვეშ
მწუხარებით ის თავს ხრიდა,
მინდორჭალებს მზე მაღლიდან
უხვად სხივებს უგზავნიდა.

* * *

უზარმაზარ კლდეს მიემსხვრა
მაღალი გემი,
თავისუფლების, წინმსვლელობის
დიდი ემბლემით.
გარემოების გულდახშულ და
უგრძნობელ ზღვაში,
ცხრაას ჩვიდმეტში ჰპოვეს იგი.
მშრომელთ ზეიმით
გამოაცურეს ნავთსადგურისა
მჭუხარებაში.

უნდა ვიცოცხლოთ, უნდა ვიცოცხლოთ!

ვისაც სიხარულს ვუზიარებდით,
ის ისევეა ამაღლებული
მას არ ვერწმუნოთ არ შეგვიძლია
უნდა მივანდოთ სიცოცხლის გული?

უნდა ვიცოცხლოთ, უნდა ვიცოცხლოთ!
ცხოვრების მიზნად ის დავისახოთ,
სულ იმედები უნდა ვიპოვოთ.
სულ გამარჯვება უნდა ვიძახოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალისიანი კრთომა

ქალაქს აღვიძებს დილის
ხალისიანი კრთომა,
ქარხნის დაზგებთან ღვივის
თავგანწირული შრომა.

გადაიტანა დრომა
ბევრი ღელვა და წყრომა,
მინდორს ედება გლეხი
და ასკეცდება შრომა,

აზრმაც დაიწყო შებმა,
ლექსმაც დაიწყო ტყდომა,
მთელ ქვეყანაზე ჰქუხდეს:
შრომა, შრომა და შრომა!

ცეცხლის სახმილი გამოცდის რკინას

დრო გაგაშორებს შეჩვეულ ბინას.
ყუმბარების ხმა. ტყვიების ქროლა.
ცეცხლის სახმილი გამოსცდის რკინას,
ხოლო კაცის გულს — მედგარი ბრძოლა.

ნუ დაგაღონებს, ნუ შეგაწუხებს,
დროებითია ის მწუხარება,
გადმოადუღებს ოქროებს ქურა,
კაცს კი ბრძოლათა ცეცხლში ტარება.

სიცოცხლის მტევნები

ხელში გეჭიროს სიცოცხლის თასი,
მასში მტევნები გრძნობის ჩასწურე.
რასაც არა აქვს სიცოცხლის ფასი,
დალეწე, დასწვი, გაანადგურე.

ხელისშემშლელი გაჰკვეთე ბინდი,
ხავსს განშორების ცეცხლი აპკურე,
გათენებათა იყავ რაინდი —
დასწვი, დალეწე, გაანადგურე.

მხოლოდ ეს გული

მხოლოდ ეს გული,
ჩვენი გული, ისევ მხურვალე
გრძნობდა, რა ნამი
გადასუსხულ ველს ეპკურება—
მას გაზაფხული ენატრება—
და არა ცივი,
საშემოდგომო, უიმედო
დაუძლურება.

არხევს ახალი სიცოცხლის აკვანს

ეს გაზაფხული გამძაფრებული,
პატიმრობისას გაარღვევს საკანს,
გახარებული ხელის კანკალით
არხევს ახალი სიცოცხლის აკვანს.

(გაცოცხლებულა ირგვლივ ყოველი.
მფეთქავი ძალა არეს ჰფენია,
სულ რომ არ იყო ქვეყნად ღიმილი,
შეხედე, ეხლა რაოდენია.)

მჩქეფარე წყაროს, ამოყრილ ხეებს,
მათ განახლებას ეუბნება ბანს.
ეს გაზაფხული უხარებს დღეებს
და არხევს ახალ სიცოცხლის აკვანს.

გზაზე

დრო აღარ დარჩა რომ ახალი
იწყო ცხოვრება?
არა! ყოველი წუთი გზაა
თავისდაგვარი.
ამ გზაზე ბევრი თანამგზავრი
უცდის მომავალს,
ბევრი გადივლის ქარიშხალი
და ნიაღვარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კვლავინდებურად
ირხევიან ალვის ხეები
ცად ატყორცნილი
ყინვის მთები დგანან მეფურად
კვლავინდებურად
შრიალებენ ხშირი ტყეები,
კაცთა სიცოცხლე
კი არ მიდის კვლავინდებურად.

არგონავტები ახალი დროის

იქ, სადაც მთანი დარაჯად დგანან,
ბიბინი გააქვს ზურმუხტის ჭალებს,
სადაც არწივი მწვერვალებიდან
დიად ბუნებას ხარბად თვალს ავლებს,
სადაც ფაზისი მოქუხს და გრგვინავს—
ხან მკაცრი, ხანაც დაღონებული,
დიდი ხანია შრომის სახლი დგას
ძებნათა ეშხით დამონებული,
დრომ რომ წაიღო უბორკტესმა
აქ საწმისია იმ ოქროისა,
მოვდივართ ახალ აღმოჩენისთვის
არგონავტები ახალ დროისა.

სადღეგრძელო

შრომით ისევ აღდგენილი
თვალუწვდენი მინდორ-ველი,
შენი დიდი სიხარული
და შვენება შეუცვლელი,
შენი ხევი და გორები
შენი მთა და შენი სერი —
იყოს მრავალ, მუდამ მრავალ,
კიდევ მრავალჟამიერი.

დაჰკარ, ორკესტრო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჰკარ! ორკესტრო! გული გააპე,
ნაპერწკლებია დღეს ყველას გულში,
ეხლა განათდა მის ჯურღმულებში,
იმის მაისში და სიხარულში.
თვითეულ შუქში, თვითეულ ქვაში,
დაუძლეველი ღაღადებს გრძნობა:
ინტერნაციონალთან, ინტერნაციონალთან,
გვჯერა, აღსდგება კაცობრიობა.

ბრძოლათა თასი

გეყოფა ლურჯი ნაკადი ცისა,
ხალისიანი და გამჭვირვალე,
აი ეს თასი, ბრძოლათა თასი.
თვალი დაჰხუჭე და გამოსცალე!
დაჩუმდი, კმარა! მალე გაიგებ
სხვა ოცნებისა იდუმალ ძგერას,
იქ, სადაც დროშა აღიმართება
იქ, სადაც სისხლი დაიწყებს ჩქერას.

უკმარობის ნიაღვარი

სიცოცხლეო, როგორა ვქნა,
თუ კი ღელავს გულში გრძნობა
არ ავუხსნა სიხარული?
არ შევჩივლო უკმარობა?

ო, დაჰკარი, დაჰკარ ჩაქუჩს,
თავს ნუ იგრძნობ ეხლა ობლად,
რომ აენთოს ნაპერწკლები
აღელვებულ წუთისოფლად.

ცეცხლი ცეცხლზე გადინთება,
დაუბერავს მკაცრი ქარი
და მოიარს ყოველ მხარეს
უკმარობის ნიაღვარი.

მოელვარე გზით

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ გვაშინებდა წვიმა და ქარი.
ჩამობნელებულ ეკლიან გზაზე,
არც ქარიშხალი, არც ნიაღვარი,
არც ბოროტება დედამიწაზე.
არ გვათრთოლებდა შური და მტრობა,
წყურვილთა შვება არ გვეცხრებოდა,
ყველა წაშალა თანდათანობამ
და სიხარული მხოლოდ რჩებოდა.
არ გვაშინებდა ვარდების გრძნება,
დიდება, ღვინო, ალერსი ქალის.
არცა სიმდიდრე და ფუფუნება
და არც გადახდა უძველეს ვალის.
არც წამთა რბენა სხვადასხვაგვარი,
მრავალფერობა, გიჟი ოცნება,
არც გარდასული ყრმობის სიზმარი,
არც მოგონებით აზღვაოსნება.

ფიქრი თვალს აწევს...

გაბრწყინებული სიმშვენიერით,
მახვილით ხელში, დღის განათება
აღმოსავლეთით სდგას ანთებული,
ხალხის ნუგეში და მოსვენება.
აღმოსავლეთით, აღმოსავლეთით!
თავისუფლებას ეძახის ქნარი,
ფიქრი თვალს აწევს ზრუნვით აღვსილი,
იზრდება რისხვა და ნიაღვარი.

გადაეფარა იგი მრავალ ხმას

რისხვიან გზაზე, რადგან მჯეროდა,
მე მძლავრ სიმღერას ყური მოვკარი.
ეხლა მე ვიცი როგორ მღეროდა
მძაფრი ქარი და ზღვა ბობოქარი.
ეს იყო ბრძოლა. გამოდარების
ჰანგებით ჰქმნიდა ჰანგებს მქუხარეს.
გადაეფარა იგი მრავალ ხმას
და მოეფინა უმრავლეს მხარეს...

მიჰყევ, გაუგონე ბორბლებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რკინა, ფოლადები, რკინა, ქვანახშირი,
ქუჩის ხერხემალი, ქარხნის საფეთქელი,
შრომით იბურება სუნთქვა განახშირი,
როგორც მასალები ასაფეთქებელი.

დგანან მშენებლები, როგორც ქვა-პიტალო,
არის ანგარიში მაღალ სართულებით,
მოსჩქეფს ზაჰესიდან ალი მოწითალო,
ბინდში გატანილი მწყობრი მავთულებით.

მიჰყევ, გაუგონე ბორბლებს სიარული,
არის საუკუნე ინდუსტრიალური.

წყალს იქით რომ ერთი სახლია

დავბრუნდეთ ხანდახან ალეებთან.
ჩვენს თვალწინ იგივე ველია,
სადაც ჩვენ ოდესმე ვმღეროდით:
დელია, დელია, დელია.
წყალს იქით რომ ერთი სახლია
და მთების მაღალი ყელია
ის, ისე მგონია, ახლოა —
დელია, დელია, დელია.
ლიხს იქით რომ ერთი ალია,
— ანთია, მზესავით მწველია!
ჩვენ დილას ვეძახით ალიონს,
დელია, დელია, დელია.

გზა ახალ-ახალ გადამთოვრების

გულში ვრცლადაა ჩარიგებული
განცდათა ჯარი,
ქვეყნად კი არის გამეფებული
შრომა მედგარი.

გზა ახალ-ახალ გადამთოვრების
გაიხსნის ღილებს,
ჩემი სალამი ახალ ცხოვრების
ხეს და ხეხილებს.

ახლა — განა ისეთი დროა?

შენ ვაჟკაცი ხარ? გსურს ისევ ტრფობამ
გული აანთოს, თვალი დალულოს;
ეხლა ვაჟკაცი ქალს უნდა უჯდეს
და მუდამ იმას ესიყვარულოს?
არა, გათავდა! შენ არ სწერიხარ
მათში, ვინც ეძებს მოვალეობას,
სწორედ ისინი ებრძვიან ეხლა
გადაგვარებულ სულს და ზნეობას.
უნდა ელვარე შრომის სხივებით
ჩვენი ახალი მოვრთოთ მამული,
ავამეტყველოთ სიცოცხლის გერი,
ჯერ კიდევ ბნელში სულგანაბული.
დაე, ვისაც სურს ტკბილი ცხოვრება,
ნუ გამოგვყვება, დასცხრეს, დამუნჯდეს.
ასეთი კაცი არ გამოდგება,
იგი ვაჟკაცი ქალს უნდა უჯდეს.

სტრიქონები

1

აგერ ვაზები, სიმინდები და ტყე მზიანი,
საღამოს ქარი — მოძახილი იყო ახოთა.
აჩქარებული, მხიარული, თავაზიანი
„უნდა იცოცხლო“ — დედამიწა გაიძახოდა.

2

გათენდა დილა და ალისფერად,
შემოიბურა აღმოსავლეთი,
ყველგან ველია და ჟრიამული,
მხოლოდ ზეცაში არაა ღმერთი.
მხოლოდ ქვეყნების მაცოცხლებელი,
გადმოიღვარა სიცოცხლე — ძალა,
და აბობოქრდა, და აღტაცებით
შრომის სიმღერა დააგრიალა.

3

განახლებისკენ, განახლებისკენ
მიისწრაფოდეს ფიქრი რჩეული
საკაცობრიო გზათა ბრძოლაში
სიმშვიდის სიტყვებს გადაჩვეული.

ყველგან დირიჟორად არის ინჟენერი

ქვეყნად სახლებია, ზღვაზე გემებია,
ყველგან დირიჟორი არის ინჟენერი.
არჩევს ხელსაწყოებს, დაუჩემებია
არტეზიანების გული ნაშენარი.
მისით მანქანები აგუგუნდებიან,
მისით რკინისგზები გადაიხლართება,
მისით ხომალდები შორით ბრუნდებიან,
რთული მექანიკა მწყობრად იმართება.
მიჰყევ, გაუგონე ბორბლებს სიარული,
არის საუკუნე ინდუსტრიალური.

ჩვენ ის გვიყვარს

მინახავს ბრძოლის სიმშვენიერე,
მას არ უდგება ალი მწუხარე,
ცრემლი არ გვამცნევს გადამწყვეტ ჟამად
გადარღვეული ცეცხლი მჭუხარე.
ის ძლიერია... და ჩვენ ის გვიყვარს,
როგორც ათასთა — ათასი ქნარი,
ჩვენს საუკუნეს სხვა ხანათაგან,
იგი გამოყოფს მარად მედგარი.

მაინც სწამდა გამარჯვება

მრავალისთვის მკაცრ ბრძოლის დროს
გაუგმირავთ ტყვიით გული.
გმირს სიცოცხლე შეუწირავს
რომ დაეხსნა ძმა ჩაგრული.
მრავალს სოფლის უკულმართი
ბრუნვა ვერას აშინებდა,
დღით არ სთვლემდა შურისგება
და ღამით არ აძინებდა.
მრავალს ჰქონდა წინათგრძნობა,
რომ სიკვდილს ვერ გადარჩება,
მაინც იდგა ბრძოლის ველზე,
მაინც სწამდა გამარჯვება!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფრაგმენტი

გაწოლილა მხარე ლეკის
და შრიალი ისმის ყანის,
აქეთ შუბლი ყაზიბეგის,
იქით მთები დაღესტანის.
მიყვარს, როცა ხმას იძლევა,
მოგრიალე ხევის წყალი
გველივით რომ შეუჭრია
მოღუშული დარიალი.

მხოლოდ იდეა

განა ჩვენ გვსურდა ქვეყნად სიმდიდრე?
ჩვენ ხომ ვებრძოდით ძალმომრეობას,
ჩვენ ვქადაგებდით ერთმანეთს შორის
მხოლოდ სიმტკიცეს, მხოლოდ მხნეობას.
ჩვენ ეხლაც გვინდა დაუნდობელად
ვკიცხოთ საკიცხი და საძაგები,
ქვეყნის ნათელზე გამოვიყვანოთ
ყველა შარაგზის ავაზაკები.
სარდაფში მუდამ შიმშილი გვდევდა
და არ გვინდობდა სიცივე ავი—
მხოლოდ იდეა გვასულდგმულებდა,
აი რა არის თავი და ფავი.

ჩვენ ავდიოდით საღრჩობელაზე

ო, როგორ გვძულდა ჩვენ ბოროტება,
გვძულდა მტარვალი, გვძულდა მჩაგვრელი,
ვესარჩლებოდით დამონებულის,
დაცემულ მოძმის მწე და მფარველი.
ჩვენ შევებრძოლეთ უსამართლობას,
არ შევუშინდით მტრების მუქარას,
გმირმა არც ერთმა შებრძოლებაში,
არჩეულ გზას არ გადაუხარა.
ამხანაგებო! გვწამდა—თანაბრად
გააშუქებდა მზე სულ ყველაზე,
ამ რწმენით, სულით დამშვიდებული
ჩვენ ავდიოდით საღრჩობელაზე.

არწივების თავდასხმა ჰაეროპლანზე

ეხლა სხვა თემა გადავდოთ განზე,
(კი არ დაღონდე!)
არწივთ თავდასხმა ჰაეროპლანზე
მე მომაგონდა.
ჩვენ მივფრინავდით სისხამა დილით
ჰაეროპლანით,
შემოსილიყვნენ კლდეები ჩრდილით
ლურჯით და მწვანით.
გაჰქრა თუ არა დილის ბინდბუნდი
ღამის ჩრდილივით,
თავს არწივების დაგვესხა გუნდი
მწარე წივილით.
ეს იყო ბრძოლა, რომელსაც მკაცრი
მიეცა აზრი
ნისკარტი ბასრი, კლანჭები ბასრი
თვალებიც ბასრი.
მაგრამ რა ძალუძს ფოლადთან სუმბულს?
მე მომაგონდა
რა ფერის სისხლი ფერავდა ბუმბულს
ქარს რომ გაჰქონდა.
როგორ არ ვიცი, ამგვარი წვიმა
ბრძოლის რას ჰქვია,
ძველი არწივი რკინის არწივმა
გამოარკვია.
კლდეების მშვიდი და ობიანი
მათი ვედრება.
სდგანან. სდუმს თოვლით მშვიდობიანი
გადათეთრება.

ჰქუხდე გულისთქმავ!

ჰქუხდე გულისთქმავ! სული მღელვარებს
გული მწველ ცეცხლით კვლავ გაიმაჭვალა,
გაშუქდი, სანამ მძლავრია გრძნობა,
გაშუქდი, სანამ გეყნება ალა;
გაშუქდი სანამ სიმნი შესძლებენ
და სიღრმეს კიდევ ცეცხლი ეყნება,
მნათობნი სხივებს გადმოგაფენენ...
გაშუქდი, დიდო ბედნიერება!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არის სიცოცხლის დიდი მიზანი
და უფრო დიდი დანიშნულება:
ფერფლი არ იყვეს ადამიანი,
სანამ ახარებს თავისუფლება.
ბედგანათებულს, სჯეროდეს ერთი,
მზე თანაბარი კაცობრიობის,
იბრძოლოს შრომის სუფევისათვის,
იყოს მღერალი მზიური ყოფის.
და პოეზიის სიმაღლეები,
ერთგულ მფარველად დარჩება თანა,
რა არის მასთან სხვა ძლიერება,
რა არის მასთან თვითონ ქვეყანა.

რამდენ ღამეს მოეღო ბოლო

მომაგონდება ძველი ცხოვრება
და განთიადი ჩვენი ბედისა,
ვფიქრობდით, როდის გამოაშუქებს
მზე გათენების და იმედისა,
როდის იქნება ხალხის ტანჯულის,
სამართლიანი ქვეყნად უფლება,
თანასწორობა, შრომა, სიმართლე,
ერთობა, ძმობა, თავისუფლება.
ბოლო მოეღო ხალხის წამებას
და ფუჭ ცხოვრებას, უნაყოფობას,
მაშ, რამდენ ღამეს მოეღო ბოლო,
რამდენ წურბელას, რამდენ ობობას.

როგორ არ იცით თუ რა ძალაა

როგორ არ იცით თუ რა ძალაა—
შრომაში მარად დაუთრგუნველი,
კარგია შრომა ახალგაზრდული,
თავგანწირული და უზრუნველი.
იმედი კიდევ, ბევრი იმედი,
გზა სხივოსანი მომავალისა,
ეს სამუდამო აღტაცებაა
დაუთრგუნველი შრომის ძალისა.
მწარე წარსული, იგრძენი შენი,
გადამტყდარია ბედითი მშვილდი,
აწმყო შრომაა, და მომავალო,
შენ მხოლოდ შრომას დაუმორჩილდი.

დამშვიდდი, ქარო!

კოშკიდან ერთი ნათობს სანთელი,
უდაბურ მთიდან, უდაბურ ტყეში,
რა ცივად მოდის ქარი და თქეში,
რა მძაფრად კვნესის კორიანტელი.
კოშკში კი მყუდრო ანთია კერა,
ნაპერწკლებს ისვრის ყვითელი ალი,
არ შესდგომიან საუზმეს ჯერა,
მთიელი ვინმე და მისი ქალი.
დამშვიდდი ქარო, რა გემართება,
ასეთი წვიმა ნეტა რა არის?
და ქალი სწრაფად მიემართება,
რომ გრიგალისგან ჩაკეტოს კარი.
ყვითლდება ჩალა შესაკონელი
და მეურმეებს ფეხქვეშ ეგება,
ვინ მოგზაური, რა საქონელი
ამ ბნელი ღამით მიირეკება?

თანასწორი

იმ სიმძლავრეს, იმ სიმაღლეს...
ჯერ ძლივს ხედავს ჩვენი თვალი,
რამდენ შვებას და სიცოცხლეს
მოაქანებს მომავალი.
ვერვინ შესძლებს ამ სტიქიას
დაუკარგოს ფეროვნება—
როს თანასწორ მზესთან მივა
თვითეული ეროვნება.

ერთხელ საღამოთი

ბათუმის მზე ჩასავალად ენთო,
მშვიდი ქარი ხმაურობდა ზღვაზე.
ცხოვრებისგან დაღალული „დენდი“
გემს უცდიდა და მიამბო ასე:
მახსოვს, ქალი, ვერონიკა, ლალი,
ორკესტრით და ხალხით ფეთქდა ბაღი,
ვერონიკას მოსწყენოდა შუბლი,
ვერონიკას შუბლზე აჩნდა ზრახვა;

ჩამოსულთა მარტოობის ღრუბლი,
არც შეხვედრა, არც ნაცნობის ნახვა.
მეგობრებში მე ყველაზე ადრე
ფიქრში მყოფ ქალს ახალგაზრდამ, მკრთალი
სალამი და თაიგული ვკადრე
და ვიგრძენი მშვენიერი ქალი.
რა წრის იყო—იკითხავდა ვინა?
ვადარებდით ვერონეზეს ნახატს —
სადმე ძვირფასს გადავკრავდით ღვინოს,
თუ ხელგაშლით ვთამაშობდით ქაღალდს.
შემდეგ მოხდა... პეტროგრადის ხანა:
ახლობელი აქ არავინ მყავდა
მოწყენილი, მღვრიე ყავახანა
ჩემს უმიზნო მარტოობას ჰგავდა.
გამოვედი გზად ბურანში მყოფი,
ნევას ედგა შენისლების ბუნდი .
ერთ ქალს მხარზე გადაედო თოფი
და გარს ერტყა მეგობრების გუნდი.
ვერონიკა, ვერონიკა დადგა!
აჰ, საით სად! იგი გასცდა ხიდეს,
რა თქმა უნდა ვერ შემიცნო, რადგან
კლასი კლასის წინააღმდეგ მიდის.
მე კი ვიდექ წყალთან სალამომდე,
სადაც მღვრიე დამდგარიყო ღვარი
„უცხო ქვეყნად მარტოობას გრძნობდე
ნეტარება არის რაღაც გვარი“.
გავცქეროდი კაფეებს და კინოს,
მივყვებოდი მოგონებათ ნაკადს,
როცა ძვირფასს გადავკრავდით ღვინოს
და ხელგაშლით ვთამაშობდით ქაღალდს.
მეორე დღეს ისევ შემხვდა იგი
და მომესმა საუბარი მისი:
„საქართველო ეს ზღაპრული მზეა,
უკეთესის ბედისაა ღირსი.
ამ მხარეზე უფრო მეტი ვიცი,
იგი უფრო შეიქმნება მშვენი
როცა ძალა და უფლება მტკიცე
დამყარდება იმ მხარეში ჩვენი.
ერთხელ გრძნობა მარტოობის მდევდა,
ასე მოხდა—კაცია თუ ბედი
სალამი და ყვავილების კონა

არავისი მახსოვს, ერთის მეტი!
ის დღე, როგორც ახალგაზრდა მუხა,
საუცხოო, ფრიალოზე ნარგი,
ის დღე ჩემთვის ყველაფერი იყო,
ყოველ დღეზედ უჩვეულოდ კარგი.“
„ვერონიკა!“ მსურდა მეთქვა მაშინ,
მაგრამ გრძნობამ შემაჩერა რაღაც
ჩვენ ხომ... ძვირფასს გადავკრავდით ღვინოს
და ხელგაშლით ვთამაშობდით ქაღალდს.
კლასი კლასის წინააღმდეგ! მკვეთრი
ხმით დაიძრა მესამე დღე რუხი.
რა თქმა უნდა მე ვიყავი თეთრი,
როს თოფების ატყდა ჭახაჭუხი...
ვერონიკა მე ვიცანი გვიან,
რომ იჭექა და ამღვრეულ ბოლში
მკერდში, გულთან გამიარა ტყვიამ
და დავეცი, სისხლიანი, თოვლში.
„ვერონიკა!“— დავიძახე მაშინ
და გაფითრდა ქალის თვალთა ცქერა,
რაღაცასი გახსენება სურდა
და, ვერას გზით... და ვერა და ვერა.
ან კი როგორ? სხვა სახელიც ერქვა
ვერონიკას ხელთ თოფი რომ ეპყრო.
ქარხანაში უწოდებდნენ თურმე:
გაბედული კალუგელი ვერკა.
ან კი როგორ? რომანტიულ სახეს
და ლამაზ ხელს შრომა აჩნდა დაღად.
ჩვენ კი... ძვირფასს გადავკრავდით ღვინოს
და ხელგაშლით ვთამაშობდით ქაღალდს.

მე ვოცნებობ ახალ საქართველოზე

მკათათვის მზე ამწვანებულს უვლის ველს,
აქა-იქ სჩანს დაშთენილი კიდევ ძნა,
გაენთები მოგონებებს უდარდელს,
დავიწყება არ იქნა და არ იქნა.
ხავერდივით ამწვანებულ მდელოზე
ცხენით მივქრი, გული იწვის და დნება:
მე ვოცნებობ ახალ საქართველოზე,
იმ მინდვრებზე ხვალ რომ დაიბადება.

რვა მარტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა მწარე იყო წარსულისადმი
უკანასკნელი შენი თაყვანი,
შენს სიყმაწვილეს სიბერე სცვლიდა—
თავისუფლების შვილის აკვანი.
რა რიგ ბადებდა უიმედობას—
უუძველესი ოჯახის ჟინი,
საკუთარ რწმენას ქმარი გართმევდა
და საკუთარ გულს ბავშვის ტიტინი.
ეხლა (როგორი დაგვიანებით!)
დრომ მოგაგონა შენ შენი ვალი:
ხარ თანაბარი ადამიანი,
უფლებიანი მშრომელი ქალი.

* * *

მატარებელიც მოიჭრა თუჯის,
ბოლს ლეჩაქებად ჯაგებზე სტოვებს
იქ, სადაც მთები ეპყრა ელგუჯას,
სად ვეღარ ნახავ იმავ ფანტომებს,
უცებ ტრიერის გუგუნს მოისმენს
დილა ლაჟვარდი და ნამიანი.
იქ, სადაც ძველად ოდით-ოდესმე
სთვლემდა „კაცია ადამიანი“,
ახალახალ გზად დაიწყებს კრთომას
ავტომობილი ელვათა მფენი,
სად მორბელაძეს, „რაინდს“ სოლომონს,
ერთხელ ბელტებში წაექცა ცხენი
და სად სიკვდილი მოისხა ქოხმა,
ის მწუხარება დარჩება გალმა,
ქარხნების ბოლი ავა გამოლმა,
რომ ელექტრონმა იფეთქოს გალმა.
იქაც, სად სავსე არის მითებით
ნადარბაზევი ან გუბაზეთი,
ჰაეროპლანის გაბედითებით
მივა რადიო, კინო, გაზეთი.
ყველაფერს ძველი ფერი წაერთო,
რაც კი რომ ახალ დროს შეეტოქა,
რომ ყველაფერი იყოს საერთო
ამისთვის იბრძვის ჩვენი ეპოქა.

გულში ცეცხლია

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულში ცეცხლია, ტყეშიც ცეცხლია
მიუდგომელი, გაურკვეველი,
უჩინარია სანამ სიჩუმით
გარემოცული არის ტყე-ველი.
მაგრამ როდესაც ყაჩაღურ სტვენით
აგრიალდება მინდვრებში ქარი,
ცეცხლი იფეთქებს, ტყეს მოედება
დასწვავს, დანაცრავს, დაუდეგარი.
ჰანგთა სისწრაფეს და სიძლიერეს
ნუ მომაგონებ ძველი რიცხვებით,
ჩვენ რასაც ვმღერით—მას გული მღერის,
ისევ ცეცხლოვან თავდავიწყებით.

აჰა, თენდება

აჰა, თენდება! ოქროსფერ სხივით
ენთება შენი შარავანდედი,
მტრედისფერ ცაზე სიხარულია,
მტრედისფერ ცაზე გამოჩნდა გედი.
მზისკენ, ვარდისკენ მისი სხივებით
ანთებული და ფრთა-ნათუთქარი
ამოსაწუწნად მიდის ღრუბელი —
ლურჯი ფუტკარი.
ისარივით ზე აინავარდა
და ახმაურდა ცად პროპელერი,
მზის სადიდებლად გუგუნი ისმის
განახლებული მღერის სოფელი.
ზეციდან ქვეყნად ეშვება ნისლი,
ქვეყნიდან ზეცად მიილტვის გული,
ო, ბუნებაო, რა ჯადო არის
შენს სიმღერებში დამკვიდრებული.

გაუმარჯოს მებრძოლ თაობას.

დიდი ხანია მას შემდეგ განა,
რაც პანსიონის ჰქუხდა კედლები?
რა ფერადებით სჩანდა ქვეყანა,
რა რიგ გვეძახდა სიცოცხლის ხმები.

პოეტის სული ირგვლივ უვლიდა
აბობოქრებულ მშრომელთა მხარეს,
ყვავ-ყორნებს წყევლა-კრულვას უთვლიდა,
მათზე სატირებს თხზავდა მქუხარეს.

შენ ჩრდილოეთში გადაგასახლეს
და წერილებში, გული გწყდებოდა,
გეღირსებოდა ისევ ჩამოსვლა,
თუ არასდროს არ გეღირსებოდა.

მაგრამ იქუხა რევოლუციამ,
შენც გამოჰყევი ხომ მოძრაობას?
მაშ სადღეგრძელო, ავსწიოთ თასი:
ეს გაუმარჯოს მებრძოლ თაობას.

არგონავტები ახალი დროის

ახალი დროის არგონავტები
მიეშურებით კოლხიდის მხარეს,
ოქროვ, შენ მაინც არ ათავდები,
თუ სხვა გრძნობები მიაქვს სამარეს.

ვით ძველი დროის არგონავტები,
ვით ძველი დროის არგონავტები
მიეშურებით კოლხიდის მხარეს
ახმაურებით და აზავთებით.

თქვენ არ გაშინებთ ზვირთების ლავა
დაბრკოლებანი გარემოისა,
თქვენი ოცნება ნაპირზე ავა,
არგონავტებო ახალ დროისა.

„ინტერნაციონალი“

სადღაც სადგურის მახლობლად მყუდრო
დღე ეუბნება „მშვიდობით“ ივლისს.
ორკესტრმა დაჰკრა „ინტერნაციონალი“
და ჟრუანტელი სხეულში მივლის.
მუდამ მაღელვებს ეს ჰიმნი ჩვენი,
ეს ჟრუანტელი ჩვენი დროისა,
ადგილს რომ მოსწყდა კაცობრიობა
და უფსკრულებში მიიმსხვრ-მოიმსხვრა.

ამ ჰიმნმა დასძრა ძველი ტაძრები
და ვარსკვლავები აჰყარა ცაზე.
მწვერვალს მოსწყვიტა სასახლეები
და დააქანა მოლიპულ გზაზე.
მე მომაგონდა არ ვიცი რატომ,
როცა ორკესტრის ჰანგი მინელდა
გამარჯვებამდე ტეროორის მომხრე
მტკიცე რაზმები იაკობი ნელთა;
მე მომაგონდა არ ვიცი რატომ,
სცენა პარიზის საშინელ დღეთა,
ვერსალელების მიერ მხეცურად
კომუნარების რბევა და ჟლეტა;
მე მომაგონდა არ ვიცი რატომ,
ფრანკო-პრუსიის მძვინვარე ომი—
სადგურის იქით უკრავს ორკესტრი
და ემატება ფანტომს ფანტომი.
აი, პარიზის რიგები მუშის,
აი, გამოსვლა ტყვიის ზუზუნის,
ჯერ გამარჯვება სიხარულისა,
სისხლში ჩახრჩობა შემდეგ კომუნის.
ისევ ამძაფრებს გრძნობას ორკესტრი,
სანახაობა აღარ ახარებს.
ლუი-რუ, მამა და კალატოზი
აგებს სახლებსა და ყავახანებს.
კისკისი ისმის უდარდელ ქალთა,
მარჯნისფერ სასმელს სვამენ ფრანტები
აი, ვის უგებს სახლებს ლუი-რუ,
თვითონ სარდაფში განალანდები.
ლუი-რუს რვაას ორმოცდარვიდან,
ახსოვს დღეები მწარე ივლისის,
როცა საშინელ გამძაფრებაში
დაჰხვრიტეს ბევრი და მამამისიც.
ლუი-რუ იღებს ხელში იარაღს,
იგი მიიღო მუშათა რიგმა,
მაგრამ დაეცა მალე კომუნა
და სხვებთან ერთად ის მოკლულ იქნა.
შემდეგ, როდესაც კვლავ ხვრეტდენ ტყვეებს,
ქალმა კისკისამ—მოსილმა შავში,
მოჰკლა ლუი-რუს პატარა შვილი
ის, კომუნარი, ოთხი წლის ბავშვი.

მე მომაგონდა არ ვიცი რატომ,
ჰიმნი მომავალ რევოლუციის,
ჰიმნი მასსისთვის მებრძოლი გულის
და ციხეები, გამოძიება,
სასამართლოთა განაჩენები,
გადასახლება, რბევა, კატორღა,
და შემუსვრილი მუშათ ფენები
თითქო მიწისქვეშ ისმის გუგუნი,
არალეგალურ სტამბათა ბორბლის
ცხრაას ხუთი წლის მღელვარე ფონზე,
საქართველოის მრავალი ორბის;
იშლება პრესნის ბარიკადები
და იღვრებიან სისხლის წყარონი,
ორკესტრი გრგვინავს ვით გიგანტიურ
ბორკილებისა მძიმე ჟღარუნი.
ორკესტრმა დაჰკრა „ინტერნაციონალი“—
ეს ხმა არ არის მშვიდი და ნელი
კოლოსალური, ძლიერი ხმაა,
ეს ხმაა ცხრაას ჩვიდმეტი წელი.
თქვენ მარტო არ ხართ სადარაჯოზე
და თქვენთან ერთად იბრძვის ათასი
ჩვენი და მთელი კაცობრიობის
გაღვიძებული მუშათა კლასი.
წადით პირდაპირ ამ გზით და მუდამ
მაღლა გეჭიროთ წითელი დროშა,
ჩვენ კი ყოველთვის თქვენთან ვიქნებით
გამარჯვებისა და ბრძოლის დროსაც.

მუდამ მაღელვებს „ინტერნაციონალი“,
ეს ჟრუანტელი ჩვენი დროისა,
ადგილს რომ მოსწყდა ძველი ცხოვრება
და უფსკრულებში მიიმსხვრ-მოიმსხვრა.

რევოლუციონურ საქართველოს

რევოლუციონურს, ჯერ არნახულს, არგაგონილს,
უდიდესს თავის ნებისყოფით, გმირულს, უაღრესს
თვალწინ გადაშლილ გარდატეხათ უდიადეს აზრს,
მრავალი ათას მტკიცე ძაფით დაკავშირებულს;

აღფრთოვანებას მასებისას, მილიარდიან
ძლიერ ტალღებად რომ მიღელავს ახალის ძალით,
უსასტიკესი დაჟინებით რომ ანგრევს კარებს
მილიონების უფართოეს ჰორიზონტებთან,
ნგრევას, ო, ნგრევას, დაუნდობელ ნგრევას ძველისას
კარჩაკეტილი ცხოვრებიდან—გავიდეთ მზეზე.
ულმობელ ტრიალს ისტორიის მედგარი ბორბლის
რევოლუციონურ საქართველოს
ნახტომს უდიდესს, უზარმაზარს, განსაცვიფრებელს,—
რევოლუციონურს, ჯერ არნახულს, ჯერ არგაგონილს,
ვაშა, ამ ახალ საქართველოს, ვაშა, შენებას!

თანდათან, თანდათან ახალი ქვეყანა შენდება!

რამდენიც მძლავრი
მკვიდრდება სახლი
და ემატება
აგური აგურს,
თვალი სიახლეს
ჰხვდება სიახლით,
გულიც უჩქარებს
რიტმს ამხანაგურს.
არაფერია
თუ ამ ლექსთა ცვლის
სისწრაფეს ბევრი
თვალსაც ვერ მოჰკრავს.
ცოტათი მაინც
სისწრაფე მისი
ჰგავს ჩვენთა დღეთა
კინემატოგრაფს.
ვინ იფიქრებდა,
რომ ამოდენა
გრანდიოზული
საქმე გველოდა.
ასეა ტემპი, ასეა დენა
რევოლუციონურ
საქართველოსა.
როცა ვიგონებ
ძვირფას სახელებს
სხვა რომ ჰხატავდა,

აწ არც მამშვიდებს
და არც მახელებს...
მორჩა გათავდა!
გათავდა, მორჩა!
საქართველოს
სხვას ველით წრიდან—
ყოველი მხრიდან,
ყოველი მხრიდან,
ყოველი მხრიდან!
წაიღო ცხოვრებამ
ოცნება
მოსილი ლაჟვარდი
კორდებით;
თანდათან,
თანდათან,
თანდათან,
ყოველდღე
იმ წარსულს ვშორდებით.
გზებიდან მიიჭრა
ანძასთან ტრიერით, ბენზინით
ფორდებით...
თანდათან,
თანდათან,
თანდათან,
ყოველდღე
რუტინას ვშორდებით.
ხარაჩოც ქცეული
ლანდათა,
და კერაც რომელიც
ენთება,
თანდათან,
თანდათან,
თანდათან,
ახალი ქვეყნისთვის
შენდება.
სასახლე, რომელიც
სჩანდა თან,
ჩაგრულის
სისხლი და ოფლია,
თანდათან,
თანდათან,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თანდათან,
ახალის
გახდება მსოფლიო.
ვინ იფიქრებდა,
რომ ამოდენა
გრანდიოზული
საქმე გველოდა.
ასეა ტემპი,
ასეა დენა
რევოლუციონურ
საქართველოსა.

ყოველი მხრიდან

სიტყვა არ წამოგცდეს,
რომ შენ დაიღალე,
განზე გადექი და
ტყვია დაიხალე.
გული გაიხელე,
სისხლით გაიხალე
ოღონდ არ წამოგცდეს,
რომ შენ დაიღალე.
განა ცოტა იყო
ჩვენში გატაცება,
ქარში გადავარდნა,
ჯვარზე გადაცემა.
ფიქრობ: არ გაწვება,
დუშმანს დაეწევა,
უცებ ბრუნდება და
სულით დაეცემა.
ბევრჯერ მიზნისთვისაც
შეუკურთხებია.
სახე მწუხარებით
მოუმწუთხებია.
სიტყვა არ გაბედო,
რომ შენ დაიღალე
განზე გადექი და
ტყვია დაიხალე.
გული გაიხელე,

სისხლით გაიხალე,
ოღონდ არ გაბედო,
რომ შენ დაიღალე.
მედგრად მოიმარჯვე
ისევ ის ხელები,
მისწვდი, შეუტიე,
წარსულს გახელებით.

ხმამაღლა! ხმამაღლა! ხმამაღლა!

ხმამაღლა,
ხმამაღლა,
ხმამაღლა,
ისმოდეს გმირული მოტივი
ეს ათი წელია! ეს გახლავთ
რევოლუცია, ისტორიის ლოკომოტივი.
თუ საქართველო, ასეულ წლობით
მბორგავი
კავის, სახნისის ბაზისიდან წინ გაეშურა
რეკონსტრუქციის ფართო გზაზე—
დასცა ბორკილი,
სოციალისტურ ინდუსტრიის ნიადაგს
მიჰყვა
თუჯი, ნახშირი და ფოლადი
ამოაქვს გულით,
და სახელმწიფოს მესაჭე კლასს
აბარებს იგი,
კოლექტივების ენერგიას და ნებისყოფას!
დაჰკარით! ასტეხეთ გრიალი
ხმამაღლა,
ხმამაღლა,
ხმამაღლა!
ჩვენ დავაფუძნეთ კოლექტივი,
მსოფლიო მთელი—
ერთ უძლიერეს კოლექტივად
უნდა შევიქნათ.
რამდენიც დღეა, გვყავდა და გვყავს
იმდენი მტერი.
მაგრამ ჩვენ ვიბრძვით თავდადებით
გარედ და შიგნით!

მხარი მხარს, მხარი მხარს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხარი მხარს, მხარი მხარს,
კოლექტივო, მხარი მხარს,
აბა ჰე, აბა ჰე,
აბა მივცეთ მხარი მხარს.
წავიდეთ, მოვედოთ
თავისუფალ მთა და ბარს,
მივიდეთ, მივუდგეთ
გაერთიანებულ ჯარს.
ჰარიქა, ჰარიქა,
ჩავეჭიდოთ გუთნის ტარს.
ჰარიქა, ბობოლა
ძველ ლობეებს უვლის გარს.
აბა, ჰე, ქალაქო,
ველით მანქანების ღვარს.
მხარი მხარს, მხარი მხარს,
კოლექტივო, მხარი მხარს.
წავიდეთ, მივხედოთ
ცეცხლმოდებულ მთადაბარს!
დროშებით მივუდგეთ
გაერთიანებულ ჯარს,
ვინ ნახავს რამე დარს
ახალ საქართველოს დარს,
მეხი მეხს, ქარი ქარს!
ჩვენ კი მივცეთ მხარიმხარს!

მოგზაურობა ვერცხლისფერი ბილიკით

ჩვენ მოვიარეთ
მიწა და წყალი,
ჩვენ სიხალისით
ვსუნთქავდით დროთი,
სად ათასობით
კაცი და ქალი
გვხვდებოდა, როგორც
შავიზღვის შფოთი.
ყველგან ისმენდენ
მძლავრი ლექსების
რევოლუციონურ
აღფრთოვანებას,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მედროშეები
ახალი გზების
ჩვენ ვასრულებდით
მასსის ბრძანებას.
თუმცა მგზავრობა
ჩვენ გვქონდა ჩქარი,
გემი, ჰაერო,
ავტომობილი,
და თან მოგვდევდა
წვიმა და ქარი
უუძველესი
გზით მონდობილი.
ვიყავით ცისქვეშ,
თუ ახალ სახლში,
ჩვენ ბედნიერი
ვიყავით მითი,
რომ მივცურავდით
განცდათ წიალში,
თუ საქართველო
საითკენ მიდის.
თოვლიან და თეთრ
ქედების იქით,
თოვლიან ფერთა
ზმანება თეთრი,
ვერცხლისფერი და
ლურჯი ბილიკით
ჰაეროპლანიც
მისცურავს ერთი.

მზე თვალებში ჩაგეწვეთება,
და თვალს სინათლე მოემატება!

როცა ხნულები
ეფინება
ველებს სვეტებად
და თვალუწვდენი
ნიავების
ზღვა იბადება,
ცეცხლი რამ მზისგან
კაცს თვალებში
ჩაგეწვეთება,

და თვალს სინათლე
უეცარი
მოემატება!
...გარშემო ისევ
აღტაცება აურზაურობს,
ქართლი, კახეთი,
იმერეთი,
რაჭა, ოდიში,
მსოფლიოს ერთი
მეექვსედის
გულთან ხმაურობს...
ასე ხმაურობს
პოეზია, ვეფხვი და ქარი.

მწვერვალები ახალი მთების

კავკასიის მაღალ ქედზე
მიდიოდენ სვანები,
ეხვეოდენ ბილიკებად
გზები დანაქანები.

შუალამე რომ გადვიდა
ერთი რაზმი, ვეება,
დაეწია დაღლილ მგზავრებს
და სასტიკად შეება:

რა დრო იყო და რა მტრობა
დადგა სისხლის ფეშხუმი,
გადიკიდნენ, აქ სვანეთი
იქით—რაჭა-ლეჩხუმი.

ჰოი, სარგის ჯაფარიძე,
ულმობელო ჯაფარა,
შენმა ჯარმა ყველა გზები
ჩაჰკეტა და დაჰფარა.

შვიდ წელიწადს შვიდი კუთხე
რატომ უნდა ჩაჰკირო,
ველარ მიდის სამუშაოდ,
ველარც საჯამაგიროდ.

შვიდ წელიწადს არ უნახავს
სვანეთს გემო მარილის,
მერე მთლად რომ გაუჭირდათ
მუდამ ასე არ ივლის...

ეს დიდი ხნის ამბავია
იგრძნეს რა ერთმანეთი,
დამშვიდებულ შრომით მოდის,
იმ მთებიდან სვანეთი.

გზები გაჭყავთ. ჟრიამული
ცეცხლად შემოსდებია
ყველგან, სადაც მიუვალი
და უღრანი მთებია.

შეერთებულ შრომას მღერის
ნისლები რომ ეხურა,
ხანისწყალი, გუბისწყალი,
ცხენისწყალი, ტეხურა.

შეერთებულ ძალას, შრომას
მღერის ვით მაყრიონი
ლიახვი და ალაზანი,
ჭოროხი და რიონი.

შეერთებულ შრომას მღერის
ჩანჩქერების მარაგი,
ნატანები, იმერხევი,
ენგური და არაგვი.

მაშავერი, მტკვარი, ქსანი,
ალაზანი, ძირულა,
აქ მრავალი ათასი ხმა
ერთად გადაკირულა.

მთებო! დასწვით ძველი შავი
ახალ დროის სიალეთ,
თავისუფალ მწვერვალების
დროშა ააფრიალეთ!

შეხედე!

შეხედე, როგორ არის ჩასკვნილი
ამ მთების ჩრდილი და ჩაის ჭალა,
ჩამავალ მზეთა უკანასკნელი
და სისხლიანი გზა ჩაიშალა.
ჩემი გულია: მშვენიერ მაისს
ხვეწნად მუხლებში რომ უვარდები,
სიმღერა ჩაის, სიცოცხლე ჩაის
და უყვითლესი ჩაის ვარდები.
რა არის ნეტა ქვეყნად მისთანა,
რომ გამიცივოს გული მისდამი,
მიჩვენოს სადმე აჭარისთანა—
სხვა რომელიმე კუთხე ახალი.
ახალგაზრდობის დღე, საიდანაც
პირველად ზღვაა ნახული,
ივენეთ სადმე ზღვა ამისთანა,
ან მთები, ზღვაზე გადასახული.
ჩაის მინდვრების თვალის გახელა
ეკუთვნის ჩემი ძახილი: ვაშა!
ჩემი კალამი, მზე, მაჭახელა
ხასანბეგურა და ალიფაშა.

კოლხიდის დაბლობზე

მალარია!
ხან სიმინდი უტყვია,
ვით ეს ყანა,
ფარცხა, ფაცხა მეგრული,
გული კაცის
მოკლულია უტყვიოდ,
ხელები აქვს
უბორკილოდ შეკრული.
სასიმინდე,
ნახე, როგორ მოხრილა,
ძლივს იკავებს
ჩამომპალი მორები.
ტაროებიც
როგორ მიყრილ-მოყრილა,
რა სიშმაგით
ღრიალებენ ღორები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არა შორი
და ველური სპილოა,
არამედ სხვა,
სიცხიანი დინება,
რომ გაშლილა—
ეს სოველი ტილოა,
მალარიის
ყვითლად აბიბინება.
აქ აყვავდეს.
უნდა მთელი ფლორიდა,
ბაღზე ბაღი
გესალმება გორიდან—
აქ ასეა.
მალე აშრიალდება
ფორთოხალის
და ლიმონის ბაღები,
დაიქროლებს
სიო კალიფორნიის
და პალმების
აიწევა თაღები
ბურუსში სჩანს
სუბტროპიკის მცენარე
ამ ჭაობზე
ხვალ რომ გადაიშლება.
გაუმარჯოს
აყვავებულს ამ არეს,
პირველყოფილს,
რომ სპობს გადაშიშვლებას!

* * *

საღამოს მთების, დღისით ზღვაური
მოჰქრის ზაფხულის ზეფირი ხშირი—
თვლემს მწვანე კონცხი, მახინჯაური,
თვლემს ქობულეთი და ციხისძირი.

აქ თვითეული მომწვანო კორდი
სდგას მშვენიერი და თავმომწონე,
როგორც მომავლის მქონე კურორტი,
უდიადესი მომავლის მქონე.

ვერ შეაჩეროს მთებმა მაღალმა
გზა მიდის — როგორც სარკე-კრიალა.
და ეს-ეს არის ახალთ-ახალმა
ავტომ მის ხიდზე გაიგრიალა.

ძვირფასო მხარევ! რა დიდებული
ალერსი არის შენი მთაბარი:
დაღლას რომ იგრძნობს პოეტის გული
ხარ მისი მყუდრო თავშესაფარი!

დაუძლეველი

ვერდაძლეული გზით შხამიანი,
სიცხით, ჭაობით და ტრამალებით —
მოდის მედგარი ადამიანი
და გული მისი სძგერს გამალებით.
წინად სიმძიმედ მას თავზე აწვა
ამინდი მთების, ამინდი ზღვისა,
მაგრამ გავიდა მცირე ხანი და
ზღვა შეისწავლა, მთაც შეითვისა.
ადამიანმა სძლია ბუნება
და მისი სუსხი, მტრობა მრავალი
და ეხლა მის გულს ესალბუნება
ცა, სილაჟვარდით ამომავალი.
ადამიანი აქ მოსულა, რომ
მძლეთ შთაისუნთქოს ზეცა მზიანი,
რომ სიხარულად აქციოს შრომა
და იყოს მართლა ადამიანი.

რად გვინდა თავი ცოცხალი!

ორთქლმავალს
სოციალისტურს
მტერი ჰყავს არა მოწყალე.
თუ არ დავუხვდით —
როგორც გვსურს —
თავი რად გვინდა ცოცხალი?!
საყვირმაც
დაჰკრა დილისამ

აჰყარა გარე-უბნები.
ცისკარო,
თვალებ-თილისმა,
რატომ ბანს არ ეუბნები?
შენი ცა
სხვაფერ ოცნებობს,
ღამეც ბევრი გაქვს ნათევი,
აქ კი სხვა
სახელოსნოა
და სულ სხვა ნაძალადევი.
ამქარი
ხიდს გადასცილდა,
ხიდს გადასცილდენ ლანდები,
დაჰკარით,
რკინისგზელებო!
დროვ, ასე გაფოლადდები!
აქ თვითეული
მკრებელი
მებრძოლი არის მედგარი,
რომ დასძრას
მატარებელი
ახალ ლიანდაგს შემდგარი.
სტვენს ორთქლმავალი
ქარ-და-ქარ,
კვამლი ფრიალებს ნაქარი.
საყვირმა დაჰკრა,
შენც დაჰკარ!
დაჰკარი, ცეხო, დაჰკარი!
სამშობლოს
სოციალისტურს
მტერი ჰყავს არა მოწყალე,
თუ არ დავუხვდით
როგორც გვსურს—
თავი რად გვინდა ცოცხალი!

ძველი და ახალი ხიდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცხეთის ახლო, სადაც მტკვარის
მორევია დიდი,
ძველისძველი დაჰყურებს წყალს
ხავსიანი ხიდი,
ხიდი დაბერებულია
ალარ უჭრის თვალი.
ნატახტარზე აწ აიღეს
სხვა გეზი და კვალი.
გააუქმეს ძველი ხიდი,
ღიმი არ სდევს ბაგეს.
ახალ ხიდის ძლიერება
უერთდება ზაჰესს.
ბებერ ხიდეს ძველებურად
სახე უჩანს მშვიდი
ხედავს, მაგრამ ვერა ხედავს:
სდგას ახალი ხიდი.
ხედავს მარა არ სჯერა რომ
გაჰყავთ ახლათ შროშა
და ფრიალებს თავისუფალ
შრომის მტკიცე დროშა.
ხედავს, ხედავს ეს მოხუცი,
არ სჯერა კი, რომა,
კიდევ მრავალ გზას და ხიდეს
შეჰქმნის მძაფრი შრომა.
მაგრამ, როცა ზაჰესს ანთებს
ელვარება დიდი
წყალში თან-თან იყურება
ვენეციის ხიდი.
ჩემს პატარა ბიჭობაში
მივლია ამ ხიდით.
ამხანაგო! ჩვენ ყველანი
წიგნებით აქ ვლიდით.
ჩვენ ყველანი ალებს ვკვესდით,
ვკვესდეთ, როცა ბნელა.
„კომუნისტურ მანიფესტით“
ვიზრდებოდით ყველა.
მოვიტანეთ ისე მრთელი
მოგონება კარგზე:
ყრმობის დღეთა დროინდელი

ენგელსი და მარქსი.
თან გამოგვყვეს სიხალისე,
გამჭრიახი თვალი,
ჩვენთვის წიგნათ ისევ ისე
დარჩა „კაპიტალი“.
ვისაც უნდა ისე ხარჯოს,
გაჰყვეს თავის ტყეებს.
მაგრამ იმ დროს გაუმარჯოს,
იმ გაფრენილ დღეებს!..
მე არ ვიცი, როგორ შეზრდის,
ვინემ დღეებს რიგით—
„კომუნისტურ მანიფესტის“
მღელვარების იქით.
ეს სხვა იყო, ეს ალური
იყო ანათემა
ჩვენი არალეგალური
ყოფნის განათება.
ამ წიგნიდან—კლასის მტრული
ელვარებდა ბასრი
წრფელი იყო ჩვენი გული
და ნათელი—აზრი,
აქ არ იყო შეცოდება
მოკამათე ტოლის,
იყო მხოლოდ მოწოდება
დაუნდობელ ბრძოლის.
და ამ მტკიცე ბრძოლის ხმამდე
ასე მძაფრად, კმარა,
კლასი კლასის წინააღმდეგ
არასდროს არ მდგარა.
ვინ არის რომ გზას არ შესცდეს,
როს წვიმაა, ქარი—
„კომუნისტურ მანიფესტის“
იხსნის თითო ბწკარი.
სხვა რომელი, საბჭოს გარდა.
როცა ცეცხლი ჰღვივის,
ყველა ქვეყნის პროლეტართა
შეერთებას ჰყივის?
სხვა იტაცებს მუშის სარჩოს,
არ გრძნობს შიშს და ძრწოლას,
მედგარ ბრძოლას გაუმარჯოს,
კომუნისტურ ბრძოლას!

ჩვენი ჯარი ძლიერია, მაგრამ სხვა სიძლიერით

ქვეყნად ბევრი არმიაა—
სულ სხვადასხვა ფერია:
ზოგან ლურჯი, ზოგან თეთრი,
ზოგან ყორნის ფერია.
ნისლში მიდის, გზას ვერ იკვლევს
ხეობებს ვერ ეგნება.
რისთვის იბრძვის, რისთვის ომობს
არ აქვს ამის შეგნება.
შეუგნებელ კაცის ბრძოლას
მადლი როდი ექნება,
თუმც სამარის ბევრი სველი
მიწა გადიბეკნება.
ნამდვილად კი მათ დროშაზე
მასის ჩაგვრა სწერია—
თავიდანვე ამ არმიას
ბედი არ უწერია.
ჩვენი ჯარი ძლიერია,
მაგრამ სხვა სიძლიერით
შეგნებული დისციპლინით,
შეგნებული იერით.
იცის, რომელ მხარეს იცავს,
იცავს სისხლით, იარით,
მტკიცედ ესმის დავალება
მხარის შრომისმიერით!
ჩვენი ჯარი ძლიერია
და ბრძოლებში მაგარი,
რომ დაიცოს პროლეტარულ
შრომის ნაამაგარი!

რევოლუციონური საქართველოს ცხოვრების ფურცლებიდან

იყო საქართველო, მძიმე მონობაში—
ბატონი და ყმა.
შრომა უამური, ყოფნაც უამური,
გაწყვეტილი ხმა.
ფლობდა საქართველოს მკაცრი,
დიდმპყრობელი—
რუსთა მეფის დღე,

ციხე-საპყრობილე სუსხი კატორღისა,
საღრჩობელათ ტყე.
მაგრამ მებრძოლები თავისუფლებისთვის
იმაღლებდენ ხმას.
რამდენ აჯანყებას, რამდენ შეთქმულებას,
აქ სწირავდენ თავს.
წარსულ შორეულში, ხალხურ აღელვების
აურიცხელ ჟინს,
ააბობოქრებენ რევოლუციონურ
გრიგალების წინ.
აი, ცხრაას ხუთი, ცეცხლი გურიისა,
ვის არ ახსოვს ის...
როცა მსოფლიოში ქუხდა ეს სახელი:
გმირულ ბრძოლის დღის.

სიმღერა

ვჭექოთ — სიმღერა თუჯის
ვჭექოთ — ფოლადის ჰანგი,
ვჭექოთ — დროშები ქუჩის,
ვჭექოთ — ბრძოლების ბანგი,
ვჭექოთ — მრისხანე ბრძოლა.
ვჭექოთ — მქუხარე ეხო,
ვჭექოთ — ცეცხლისა ქროლა,
ვჭექოთ — სიმღერა, ვჭექოთ,
ვჭექოთ — ახალი ალყა,
ვჭექოთ — ოქტომბერთ რიცხვი,
ვჭექოთ — ცხოვრება ტალღის,
ვჭექოთ — ცეცხლის და რისხვის,
ვჭექოთ — რაც წინად კვნესდა,
ვჭექოთ — ვაღვიძოთ, ვრეკოთ,
ვჭექოთ — შევხედოთ მზეს და
ვჭექოთ — ჰეი, ვჭექოთ, ვჭექოთ.

ოქტომბრის სიმფონია

ქუჩებში ქუხდენ ორატორები:
დრო დადგა... ტყვიის სუნთქვა გროვდება,
და ჩვენს ცხოვრებას არალეგალურს
აღფრთოვანება უახლოვდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვინახავს ციხე, დეენა, კატორღა,
ბორკილის ჟღერა, ბრძოლების ზვავი,
მაგრამ ვერ სძლევენ ორგანიზატორს...
აი რა არის თავი და თავი!
როცა გრიგალი მოეჩვენება
სხვა რომელიმეს, უქმად მოვლენილს—
ზოგს შიშით სძინავს, ზოგს მართლა სძინავს!
ბევრს სძინავს, მაგრამ არ სძინავს ლენინს!
ჩვენ ვიყოთ ფხიზლად, მსოფლიო მალე
საბედისწეროს გაიგებს ხმასა—
ჩვენ გავიმარჯვებთ, რადგან ჩვენა ვართ
მებრძოლი მასა,
მშრომელი მასა!
თვალწინ იშლება სხვა ჰორიზონტი
იმავე ღელვით გუგუნებს ფრონტი:
ფრონტების სიწითლემ ქვეყანა შეღება.
ომს მკაცრს და საზიზღარს ბოლო არ ეღება.
ვინ ნაღვლობს მუშისა და გლეხის რუხ შინელს!
რომელი იყენებს სისხლის ღვარს?
— იყენებს ამ ბრძოლას ბურჟუა ჯალათი
ჩვენ კი ვართ ამ ომში ჩაბმული ძალათი!
რა ვიცი — თხრილიდან ვინ დავსჭერ, ვინ მოვკალ?!
ჩემივე კლასის წინ რად მინდა ვინტოვკა?
— მოვა დრო — იმ ტყვიას ირგუნებს ჯალათი,
რომელმაც ამ ომში ჩაგვაბა ძალათი!
ჩემი და მონაა, ის ქუჩის ქალია,
დედმამა სადღაა? შიმშილმა დალია!
— ეს არის გაყიდვა, ეს არის ღალატი,
რომელმაც ამ ომში ჩაგვაბა ძალათი!
მოდისო ლენინი — ამბობენ — ლიდერი
პარტიის, რომელსაც არ უყვარს მდიდარი,
მდიდარი—რომელსაც სძულს მუშის ხალათი—
მუსრი მტერს, ომში რომ ჩაგვაბა ძალათი!
— ამდენი ჩაგვრა და მონობა გვეყოფა—
საუბრობს ღარიბი გლეხობა.

სოფელს გულმა ღარიბის ირგვლივ ბევრი უარა
ყველას ვეკითხებოდი: „საშველია თუ არა?“
— გვეშველება — მცინოდენ როცა დაგძლევს შეგნება
და სიცოცხლეს არაფრის ხალისი არ ექნება!

სოფლად სადაც თარეშობს ათასი მატყუარა
მეც შენებრ ვკითხულობდი: „გვეშველება თუ არა?“
— რა შველას მოელის გამვლელ-გამოვლელიდან,
თუ რამ მემამულეებს არ წაართვი ხელიდან?
ბევრმაც ჩემი წუხილი ასე გაიზიარა:
— შეიძლება გეშველოს, მაგრამ მალე კი არა!
გზით წამოველ ღარიბი, გარს მინდვრები უხვია —
გულმა კარგა ხანია — იმ გზებს გადაუხვია:
არ მსურს სხვის სატიელო ნახნავი და ნათესი...
მივალ, სადაც ხრამია ბნელი, უწყვდიადესი...
მარჯვნივ კლდეა საზარი, მარცხნივ ტყის ღერებია;
ციხე უზარმაზარი ლაჟვარდს შესჩერებია.
უვლი ამ მიდამოებს, ჟრჟოლამ ტანს დაუარა
როცა კვლავ გავიფიქრე „გვეშველება თუ არა?“
ამ დროს რაღაც ხმაურმა სმენას შორით უწია.
—რა, რა მოხდა?—ვკითხულობ. მითხრეს—რევოლუცია,
მაგრამ რევოლუცია იგი სხვისთვის გამოდგა:
შესდგა მავნე მთავრობა, როცა მეფე ჩამოდგა.
არც ზავია, არც პური და არც თავისუფლება;
ისევ ბურჟუაზიას დარჩა ხელისუფლება.
კარგი დაპირებები იქნა მხოლოდ უარად...
„გვეშველება თუ არა?“
„გვეშველება თუ არა?“
უფრო დიდმა ხმაურმა,
სმენას ახლო უწია
— რას ელით ქალაქებო?
— ნამდვილ რევოლუციას!
მოგვცეს ზავი და პური
და კაცური უფლება,
შრომის უფლებებისთვის
ერქვას ხელისუფლება!
და გლეხობა: — ეს ხსნაა,
ტიტველი და შიშველის!
ის გვიშველის ღარიბებს —
სხვა ვერავინ გვიშველის;
ამგვარად —
ომით გაპარტახებული,
აღარ მქონე თმენის,
მრავალ-მილიონიანი
მასსა უცდის ლენინს!

წითელ დროშის ქვეშ
საომრად მდგარი
მომსწრე მრავალის დღეების ბნელის
ფაბრიკად რიგი, ქარხნების ჯარი—
უცდიან ლენინს.
მილიონობით — დამშეულ რიგებს
ამაოდ ხელი არ გაუწვდიათ,
არ მოელიან არვისგან შველას —
ლენინს უცდიან.
რასა ჰგავს ყანა და ფარეხები!
რამ დაგვიშხამა სიცოცხლის დღენი?
ღარიბ-ღატაკი სოფლის გლეხები
უცდიან ლენინს.
ფრონტიც მზად არის
შეატრიალოს ტყვია სიზუსტით
კლასიურ მტერზე იერიშისთვის—
ჩვენ ლენინს ვუცდით.
ეროვნებათა დაჩაგრულთ ბედი
ბარიკადები ქუჩების ვრცელის,
ჩიხში მოქცეულ რუსეთის ბედთან
უცდიან ლენინს.

ლენინი მოდის!
პროლეტარიატს ექნება გეზი
სად გამოვიდეს, ვისთან და როდის—
იმ მატარებლით ქოხთა მშვიდობა
და სასახლეთა გოდება მოდის!
ლენინი მოდის!
მოდის სიკვდილი ბურჟუაზიულ
ციხე-ბორკილის და ეშაფოტის!
იმ მატარებლით მოდის ნამგალი,
იმ მატარებლით ჩაქუჩი მოდის!
ლენინი მოდის!
თავისუფლება და ზავი მოდის!
ამხანაგებო, ლენინი მოდის!
ლენინი მოდის.
წინ, ამხანაგს, ჯერ არ ნახული
ცეცხლის დანთება გვაქვს განზრახული
წინ! გადაუდექ ბურჟუებს თოფით,
არ დაგავიწყდეს: ამ ნებისყოფით
სამუმებს შევქმნით ჯერ არ გაგონილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასწი — იდეას მიჰყევი გმირულს!
გადააბიჯე მტერს გულგანგმირულს!
გადააბიჯე მოკლულ ამხანაგს!
ბრძოლის სიმწვავე აღწევს უაღრესს...
ჩვენს მაღალ დროშას ვერავინ დახრის—
იგი მიუძღვის ოქტომბრის ხანას,
დაღლილო მხარევ.
ჩვენ გავიმარჯვებთ, აბა შეხედე—
როცა მსოფლიოს ერთ მეექვსედზე
გაშლილ ოქტომბერს შევსძახებთ: ვაშას!
დაჰკა სასახლეს, დაჰკა სასახლეს,
ჰეი, დაჰკარი!
გადმოანგრიე ძველი ლოდები
ნიადაგარი!
ახალს ააგებს მშრომელებისთვის
მკლავი მაგარი...
დაჰკა სასახლეს, დაჰკა სასახლეს,
ჰეი, დაჰკარი!
მშრომელი კლასი ლენინის დროშით
მთელ მსოფლიოში,
მთელ მსოფლიოში დაირაზმება
ლენინის დროშით.
ყოველი ქვეყნის პროლეტარების
გული აქ არი!
მშვიდობა ქოხებს, ომი სასახლეთ,
ჰეი, დაჰკარი!
ყოველ კუთხეში, ყოველ მხარეში
და ყოველ დროში,
განმტკიცდეს ძალა მუშის და გლეხის
ლენინის დროშით.
კომუნა იყოს ამ ოქტომბერის
ნაამაგარი—
დაჰკა სასახლეს, დაჰკა სასახლეს—
ჰეი, დაჰკარი.

არ დახვედრია ოქტომბერს
არც ოქრო, არც განძეული—
დახვდა ოქტომბერს ქვეყანა
ცივი, პარტახი, ნგრეული.

-არ ჰქონდა რამე საზღვარი
შიმშილს და გამათხოვრებას.
ამიტომ შრომა მიეცეს
შენებას, ცოცხალ ცხოვრებას.
კილოვატებში გაეშვათ
მილიონთ მძლეთა-მძლეობა,
ეხლა ჩვენ უნდა ვიკისროთ
ეს დიდი მოვალეობა.
ხე-ტყე, თლილი ქვა, აგური
ცემენტში, კირში ეფლობა.
ქვეყანას უუდიდესი
მოედო აღმშენებლობა.
ახალი ხუროთმოძღვარი
დასძლევს ხე-ტყეს და ხარაჩოს,
რომ ქალაქისას მისწვდეს ხმას
და სოფელს დაუდარაჯოს.
კარგია შრომით ნთებული
ქურების ცეცხლთან სახება
და შემდეგ გამარჯვებული
სიმღერის შემოძახება!
არის საბჭოთა მახვილი—
ნებისყოფა და ძალღონე,
ბევრი ქარიშხლის მნახველი,
ბევრი გრიგალის გამგონე.
იმისი ომი ამჟამად
ქვეყნის აღდგენის ომია.
საკეთებელი ბევრია
და ხმა გაისმის: აკეთე.
მანქანებს. რომ ეფერება,
შრომის გუგუნი ზვიადი,
ეს არის ბედნიერება,
განუსაზღვრელი, დიადი.
თუ როგორც ტოტი ქარისა
მიღელავს შრომის დროება,
იმისი შესადარისი
ჯილდო არ მოიპოება.
სოფელშიაც ვთესოთ
გაზაფხულის თესლი!
დე, ბობოლას ჰკლავდეს
სიყვითლე და გესლი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დარჩეს ოხრად ყანა,
ერგოს ხრამი ეზოთ,
ჩვენ კი თავდადებით
ვთესოთ, ვთესოთ, ვთესოთ.
წინ სვლა როდი ხდება
ხელაღების წესით—
საქმე საქმეს აგავს
მხოლოდ ერთგულ თესვით.
არც მანქანა მოდის
მისით, უმიზეზოთ,
უნდა დროზე მოვხნათ,
უნდა დროზე ვთესოთ.
ხედავ, მატარებელს
ალმართს როგორ უხვევს,
შორი ქალაქიდან
ესალმება მუხებს,
ლეჩაქივით ბოლი
ბუჩქს ედება ლურჯად...
საიდან-სად მოდის
ასე მძლედ და ურჩად?
მატარებელს მოაქვს
იარაღთა ჯარი,
არ აშინებს ხიცხე,
არც წვიმ და ქარი.
მოიფინა მხარე
რკინის გზების ქსელით,
ქალაქის და სოფლის
შეერთებას ველით.
ორთქლმავალი მოდის,
როგორც ჩვენი გული,—
იგიც ბევრჯერ იყო
ტყვიით დაცხრილული.
შიმშილი და ტიფი
მასაც გადაჰქონდა
მიდიოდა სანამ
ცოტა ძალა ჰქონდა.
ვის არ სჭირდა ჩვენი
ორთქლმავალის ჟინი:
სცემდა ინტერვენტი,
ხვრეტდა დენიკინი.

ოო, საზიზღარო,
როგორ მწარედ კბენდი!
მოვსპეთ თეთრი ძალა,
მოვსპეთ ინტერვენტი!
დაგვრჩა ორთქლმავლები,
როგორც ჩვენი გული,
გამხეცებულ მტრების
ტყვიით დაცხრილული.
გაჩერებულ ტრანსპორტს
აღარ ჰქონდა ღონე,
როგორც ქაღალდის ფულს,
ფასდაკარგულ ბონებს.
მატარებელს ჩიხით
ვინ დასძრავდა სანამ
მოაწევდა ჩვენი
აღდგენისა ხანა.
მხოლოდ ოცდახუთში,
ვით შეგვწევდა ღონე—
აღვადგინეთ ომის
წინა დროის დონე.
მატარებელს დაჭრილს
მოეხვია ჯარი,
განუკურნეს
წყლული მრავალგვარი.
აწი მოდის, მოაქვს
მას სალამი ძმური,
მოაქვს ჩვენთან რკინა,
მოაქვს ჩვენთან პური.

როგორც ხის რტოებს
აპრილის დღემდე
ჩამოშორდება თოვლი და ყინვა...
ქვეყნის ხელახლა
აღდგენის შემდეგ
სხვა ლოზუნგების გაისმა გრგვინვა...
ახალ ცხოვრებას
ვაწყობდით ახლად
და ეს დაწყება თუმც იყო ძნელი
ქარხნებში ისევ იქუხა ხალხმა,
რომ ეს ბრძოლაა უკანასკნელი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მხარეს უცებ ვერ
გადააკეთებს
სხვა ვერ-რა ძალა, ვერარა ნიჭი —
ცვლის ფაბრიკებს და მიწის ნაკვეთებს
რევოლუციის
მტკიცე ნაბიჯი...

ძველებურად ქარს არ ატანს
არვინ — თავის შრომას
რკინასა სჭედს თუ თხრის მადანს
არ ივიწყებს, რომ მას
ურჩევს კლასი გაფრთხილებით
მანქანასთან დგომას,
ხელი უწყოს ხარისხების
გადიდების ზომას,
აი, ჩვენი მინდორ-ველი,
იქ აღარ სჩანს მრავალი,
ფეოდალი ძველის-ძველი
მეფეთ შთამოძავალი!
და გაისმის შორით-შორი
იდუმალი ქუხილი.
მოსდებია ველს ტრაქტორი,
არის შრომის დუღილი!..

მორჩა ოთხწლედში გიგანტის მსგავსი,
ჩვენი ხუთწლედი.
ეს არის ჩვენი და მთელი ქვეყნის
მშრომელი კლასის იმედი, ბედი.
ხუთწლედი იყო ბურჟუაზიულ
ქვეყნებისათვის რისხვა და მეხი!
ჩვენი სტალინის მაღალი დროშით
იბრძოდა მისთვის მუშა და გლეხი!
სოციალიზმის საძირკვლის ჩაყრა,
აი რა იყო ხუთწლედის ხაზი,
ამ გენერალურ ხაზზე იბრძოდა
პარტია — მტკიცე და ბუმბერაზი.
„ჯერ დავეპიოთ, მერე გავუსწროთ“
ძველ ი ქვეყანა მუდამ მტერია...
ხუთწლედის ფრონტზე თავდადებულად
იბრძოდა ჩვენი ინჟენერია!

აგრონომები, ტრაქტორისტები,
კოლმეურნეთა მაგარი რაზმი
და დამკვრელების გაისმოდა ხმა,
როგორც მქუხარე ენტუზიაზმი.
ჩვენი ერთგული მასწავლებელი
იყო მანქანა და მისი ტემპი,
ჩვენი ფაბრიკა, ჩვენი ქარხნები,
ჩვენი ეპოქის მონუმენტები.

ქარი

თავგანწირული
მოჰქროდა ქარი
სისინით, შხამით.
კოკისპირული
წვიმა და ღვარი
მოვარდა ღამით.

მივდივარ. მკრთალი
სანთელი გაჰქრა
ჯერ ისევ გზაში;
ელვამ კლდეებზე
სინათლე გაჰკრა
და ჩაჰქრა მთაში.

იქ საარაკო
ქოხის საბური
ხომ არა ჩანდა?
არა! გორაკი
რამ უდაბური,
ელვამ გალანდა.

შორეულ სახელს
მე ვიჭერ სმენით,
ხმამ მიმიტაცა.
ვიღაც მეძახის
მშობლიურ ენით,
მეძებს ვიღაცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ, ო, არა,
ეს მგლოვიარე
ქარი ცახცახებს.
მედგრად იარე
აქ შენ არავინ
არ დაგიძახებს.

კოკისპირული
წვიმა და ღვარი
გადივლის ღამით.
თავგანწირული
ჩადგება ქარი,
ჰგრძნობდე სიამით!

ტბა ალპიურ ზონაზე

მივდიოდი ყვავილების ველით,
გზაზე, ოსტატ ოქრომჭედლის ხელით
ბეჭდის თვალში ჩაჭედილო ტბაო,
შენს ნაპირად ჰშვენის ბზა და ბაო.
სწორი ნაძვი არის ალვის მსგავსი
და ნაძვებს ქვეშ დაყრილია ხავსი.
მწუხარება ველის აქ არ არის,
არ ჰყვავიან ყვავილები ბარის.
სპეტაკია, როგორც სარკის ბროლი,
შარშანდელი, გაუდნობი თოვლი.
სისპეტაკით და სიწმინდით საკვე
ფერადდება მშვენიერი ხავსი.
მომტყდარი ხე ახალ ხავსზე მოწვა,
მეხმა მისი გული ცეცხლით მოწვა.
და გაშალა თეთრ-ყვითელი გზნეპით
მონადირეთ გასავლელი გზები.
ალპიური ყვავილების კონა,
ასეთია მშვენიერი ზონა!
აქ პოეტის მგზნებარების საგანს
ის ფერი აქვს, რაც არაა სხვაგან.
მარად რჩება მოგონება ვრცელი—
მაღალ მთაზე დაფენილი ველი.

*
* *

ჩამავალო მზის ფერადო კიდევ,
ჩემს ხსოვნაში არ დაშლილხარ კიდევ.

თითქო იქ, შორს, სამი დღეა, იწვის
მშვენიერი მწვერვალები წიწვის.

ვეკითხები ხეთა შენთა ფოთოლს:
რამემ ასე უნდა შეგაშფოთოს?

ეს უბადლო საღამოა მთაში,
მართლა ცეცხლი რომ დაინთოს, მაშინ?

ჩამავალ მზის ფერადების მორევს
იგი ცეცხლი შორით უამბორებს!

წარწერა წიგნზე „მანონ ლესკო“

ქეთევან ირემაძეს

მარად ისმის: მარადისი
სიყვარული ძნელია.
ვის ისარი მოხვდა მისი
მუდამ ცრემლის მღვრელია.
ვარდთა კონის, ბნედა გონის,
ტავერნების ნდომანი...
დე-გრიესა და მანონის
სევდიანი რომანი.

დღენი ევრის და პარიზის,
უდაბნოთა ჩვენება,
მწუხარება კიპარისის,
ყვავილთ შემოშენება.
ველად გაჭრას, ხელად რონინს
ცვლიან შემოდგომანი...
დე-გრიესა და მანონის
სევდიანი რომანი.

ყველაფერი იგი გაჭქრა,
ვით სიზმარი გვიანი,
დრომ ახალი ძალით დაჭკრა:
სხვაა ადამიანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რუსოს ხანა, ოხერა რონის,
ტრიანონის ცდომანი...
დე-გრიესა და მანონის
სევდიანი რომანი.

მაგრამ წიგნი მაინც დარჩა
ვაჟისა და ასულის,
როგორც სარკე, როგორც ფარჩა
დროის ფერ-გადასულის,
და იწონის წიგნთა დონეს,
წიგნთა ბრავალ კვდომანი?
დე-გრიესა და მანონის
სევდიანი რომანი.

ავდარი

რა საშინელი ტალღები,
რა საშინელი გრიგალი,
ცასაც ჩაუცვამს თალხები
ტყვიისფრად ჩანარიგალი.
ნაპირთან გადატყდომის დროს
ჭრიალებს ფიჭვი მაღალი,
ელვამ კვლავ უნდა იელვოს,
გრგვინვამ ჰკრას მეხი ახალი.
ტყე ტყვიისფერი ნატბორის,
გაქანებულად მგლოვარე,
ხანდახან ღრუბელთა შორის
გამოანათებს მთოვარე—
და განათდება უეცრად
გაოხრებული, პარტახი
უეზოო და უეწროდ
ოხრად შთენილი ჩარდახი—
სადაც მთებისა და ხევის
გზით წამოვსულვარ ყარიბი—
ელვათა შუქი მეხვევის—
ქარს მეხსნას — ვემუდარები.
ნაპირთან გადატყდომისას
ფიჭვი მეორე ჭრიალებს,
ცა ელვას ისვრის წყრომისას
გრიგალი ისევ გრიალებს.

სადაც ალპებია, ველად

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაც ალპებია—ველად
ცხვარი სვლას არ დაყოვნდება.
მე კი ისევ, განუყრელად
ჩემი მხარე მაგონდება:

მსგავსად ზვავთა და გლეტჩერთა
რომ დაიძრა მთიდან ფარა,
მწყესი ველად ვერ შეჩერდა,
ვერც სად თავი შეაფარა.

ერთს სოფელში ითვლის ორმოცს,
მეორეში ორმოც ათასს
ცხვარს, რომელიც უთხრის ორმოს
ყოველნაირ მგლების მადას.

ფერიც მზესა და ქარს მოჰყავს,
დროც სარკეა, როგორც სახე—
გამარჯვებულ მწყესის ლოყას
გადაეკრა სიამაყე.

არ ეცემა, ხედავს, დოლი...
ემატება ცხვარი ჯაგებს—
აქებს სწორი, აქებს ტოლი
ყველას თავის საქმე აქებს!

ველად — სადაც ალპებია,
სალამურით მოდის მწყესი.
დროს არ გაუყალბებია
ძველებური ხმა და წესი.

ᲘᲔᲠᲘ

იყო დილა მშვენიერი,
დილა ფერადი,
მაგრამ უცებ წამოვიდა
ცაიერადი.
ასე იყო შენი დილაც
ბედისწერამდი.
სანამ ყოფნის არ დაგკრავდა
ცაიერადი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ იქექა, გზა დაჰყრუვდა
სერით-სერამდი,
და მაისის წამოვიდა
ცაიერადი.
ეჰ, წამოდი, ჩემო წვიმავ,
მგონი, მეღირსა,
მოთმინებით მეგრძნო რისხვა
შენი მეხისა—
რომ შენს ელვას შეუერთდეს
ლურჯა მერანი,
ცაიერადს ჩემი ჩანგის,
ცაიერადი.
იყოს ქროლა მარადისი,
მაგრამ ვერრათი
ვერ დააცხროს დროთა ჩვენთა
ცაიერადი.

* * *

მე ხომ სხვა ვარ. დღე ცისმარე
მახვილს ვფერავდი;
შენ კი გქონდა დღეთ სიზმარი
ფერად-ფერადი.

მიყვარს ამ ხმის გაგონება
რადგან ვერრათი—
ვერ წავშალე მოგონება
ფერად-ფერადი.

შემიყვარდა ეგ ხმა ტკბილი
ბედისწერამდი,
სად არ დამდევს მისი ჩრდილი
ფერად-ფერადი.

იყოს ისე, როგორც დარჩა
ამიერამდი
ჩემთვის ძონძი, შენთვის ფარჩა
ფერად-ფერადი.

* * *

ცაზე მიდის ერთად-ერთი
მოლუშული ღრუბელი.
იქ არ არის ეხლა ღმერთი,
ის ორთქლია გუბელი.

აი, ვრცელი მინდორ-ველი
იქ აღარ სდგას მრავალი,
ფეოდალი ძველის-ძველი,
მეფეთ შთამომავალი.

მორბის მთების ნაკადული
და მის კიდეს აწვება
სწორი, ნაბდით ჩახატული
მშვენიერი ნაძვები.

და გაისმის შორით-შორი
იდუმალი ქუხილი,
მოსდებია ველს ტრაქტორი,
არის შრომის დუღილი.

ცელქი ბავშვი მღერის ლილეს
არ სჯის უთამაშობა,
რა კარგია სიყმაწვილე,
რა კარგია ბავშვობა.

ატლანტიით ნიავი ჰქრის,
ის დაება ჯაგებით,
ცას მიეცა ფერი ჯიგრის,
ნაზი მოფარდაგებით.

მე ვუყურებ შემკრთალ შუქებს,
მიდის, ბზე ესვენება
წლოვანებას მიმსუბუქებს
მთა და ბარის შვენება.

ჩქარა მოვრჩე, თორემ რას ჰგავს,
კმარა ველის ტრიალო,
დავუბრუნდე მინდა დაზგას,
ჩარხი დავატრიალო.

გამოვჭედო, მინდა ბედი
მიწას მივსცე მიწადი —
ოცნებები, დასავლეთი,
ეს მთა, ეს წელიწადი.

*
* *

წყალტუბ დან ქუთაისში,
მიმავალო ქარო,
თუ მაისის ქუთაისმა
გკითხოს — ვინა ხარო,
უპასუხე — რომ სუნთქვა ხარ —
არ უთხრა კი — ვისი,
ისეც იგრძნობს ქუთაისი,
ჩემი ქუთაისი!

აწმყოს დიდება დიდი

ჩემო ლექსებო მარად
გქონდეთ მსუბუქი ფრთები...
აყვავებული მდელო,
გასაოცარი მთები!

რუსთაველი და მშვიდი?
დამშვიდება და ვაჟა?
აწმყოს დიდება დიდი
და დღეს მომავალს — ვაშა!

ჩვენი სტალინის მარად
ძლევამოსილი დროშით
წინ, ახალახალ ნათელ
გამარჯვებისკენ, მხარევ!

განადგურებულს ძველი
ყინვით, სუსხით და თოშით
აწ მარგალიტად გთვლიან,
სხვა ქვებში რომ ვერ გარევ!

გალაკტიონი ხედავს,
რა სასწაულებს ახდენს
ის გამარჯვება, რითაც
სუნთქავს მშობელი ერი.

იმ უბოლოოდ მედგარ
და საიმედო საყრდენს —
წინსვლას, რომელსაც ვერ სძლევს
ვერავითარი მტერი!

*
* *

ნიავი, ია, ნარგიზი,
ავტომობილი კრიალა—
დილამ ასფალტის სარკეზე
ნავივით გაისრიალა.
აგერ მზის ამომთოვრება,
მაღლა ღრ ბლების გარდავლა,
მან ერთი ჩემი ცხოვრება
ათას წელს გადაამრავლა.
გადაამრავლა, უმალი
მსგავსი წუთისა, ჩრდილისა
და მესმის ხმა იდუმალი:
წამოდექ, ძეო დილისა!
ო, ძეო დილის! აწ განვლის
გრძნობა სიბნელის ნაფლეთის
ალმოსავლეთის, დასავლის,
ჩრდილოეთის და სამხრეთის.
მზემ, ხმალი რ მ არ დაჭკიდე—
რაც ფერებია, რაც დავლა,
ცხოვრება კიდევ და კიდევ
ათასზე გადაამრავლა!
მზემ, ლაჟვარდში რომ შეზრდილ
თავისი სახე ნახა და—
ეს ყვავილები, ეს დილა
მარადისობად გახადა.

სახლიდან გავიდა
და
ალარ დაბრუნდა

სალამოს სხივები—
ღრუბლებში დაგროვდა,
აიმღვრა, აიმღვრა,
დაიძრა, დაბრუვდა.
და სხივი, რომელიც
სარკმელთან გამრუდდა,
სახლიდან გავიდა
და ალარ დაბრუნდა!
გაჰქრა! წინანდელი—
ჩავაქროთ სანთელი.

გამონაკლისი

ცეკვაში თითქო ფრთებია
შენი ხელების მტევნები;
მე თვალს გადევნებ. მე მხოლოდ
ოცნებით დაგ ედევნები...

ახალგაზრდობა შენს ირგვლივ
ფერად ფერხულში ჩაება,
შენთვის უცხოა დარდი და
გულგამყინველი ვაება.

ახალგაზრდობას შენს ირგვლივ
საამური აქვს მსვლელობა
(სადღაც კი თვალებს აცეცებს
გულგამყინველი მკვლელობა).

ახალგაზრდობას, რომელმაც
შენ აღტაცება დაგარქვა
არ განუცდია რა არის
გულგამყინველი დაკარგვა.

და ფრთები, მხოლოდ ფრთებია
შენი ხელების მტევნები,
ეგ სიხარული, ეგ ღიმი,
ეგ ბაღი, ეგ შადრევნები.

სხვისთვის კი ბედმა არც ვარდი,
არც გაღიმება ინება,
გიცქერ და გულნაღვლიანად
წარსულზე გამეცინება.

რად ვერ ისწავლეს ღიმილი
და თავისთავის დანდობა,
საკუთარ ხ ლით რად მოჰკლეს
თავისი ახალგაზრდობა?

გიცქერ და ვფიქრობ, მზიანო,
გიცქერ და გუ ით ვევნები —
რომ ფრთები, მხოლოდ ფრთებია
შენი ხელების მტევნები.

*
* *

მთაგორების ზემო,
განდგომილთა ახლო
არ გაშენებ ჩემო
მშვენიერო სახლო!

მირჩევნიხარ სადმე
კვლავ ღარიბად მდგარი,
ვით დავთმევი, დათმე
შენაც ზენა-ქარი.

და ვიცხოვროთ ასე,
დაყრდნობილი მარად
მხოლოდ ჩანგის ხმაზე,
მხოლოდ ხალხის კარად.

მთაგორების ზემო —
განდგომილთა ახლო,
არ გაშენებ ჩემო
მშვენიერო სახლო.

*
* *

— ჩვენ დავინიშნოთ ეს ადგილი—
ამბობდი შენა,
ვრცელ უდაბნოში, სადაც ქვიშის
ისმოდა ქშენა.
როგორ გვახსოვდეს? ავიხედეთ
ჩვენს სწორად, თითქო
ცაზე მსუბუქი,
მშვენიერი ღრუბელი იდგა.

— დავიმახსოვროთ ეს ადგილი,
ამბობდი კიდევ,
როს შენს ბაგეებს ვერ მართმევდა
ცისფერი რიდე.
როგორ გვახსოვდეს? იმ ადგილას
ჩვენს სწორად, ნელი
იგივე მსუბუქი, მშვენიერი
იდგა ღრუბელი.

ადგილს, დანიშნულს ასე ნათლად,
და ასე ზუსტად.
ამაოდ ვეძებ... მახსოვრობა
შემექნა სუსტად,
თუ გადინაცვლა არე-მარემ?
გუშინ კი თითქო—
ცაზე ჩვენს ზევით ამ ადგილას
ღრუბელი იდგა.

მაგრამ ყოფნაზე ბევრმა ქარმა
გადაიარა,
გადაიტანა ბევრი დარდი
ბევრი იარა,
და ბევრი რამე, უდარდელად
მჭვრეტი ციდანა,
ღრუბელთან ერთად, ამაოებამ
თან წარიტანა!

გამოცოცხლება

ხარობს გული,
ხარობს გული იმას,
რომ დაშორდა
გრიგალსა და წვიმას.

რომ ლექსთა ცეცხლს
გადაშორდა ფერფლი,
(იყო მსხვერპლი,
მაგრამ მსგავსი მსხვერპლი?).

სევდიანი
თვალს მოშორდა რული,
გამოცოცხლდა,
გამოცოცხლდა გული.

სიხარულით
კვლავ წკრიალებს ქნარი
(იყო მკვდარი...
მაგრამ ?სგავსი მკვდარი?).

ალემატება ყოველგვარ ძალას

ალემატება ყოველგვარ ძალას,
რომ სიხარული დასცალოს ჭიქით;
რაც ამოძრავებს სიზმარულ ჭალას
შორს, სასიმინდე ყანების იქით.
ალემატება ყოველგვარ ძალას —
სთქვა ისტორია ერთი ოჯახის,
სიმაღლე, რაიც აძლევს სიალეს
თავდადებასა და სიყოჩაღეს.
სიცოცხლე დილის სინათლით მიდის
ელექტრონებით ავსებს ფიალას;
სთქვა გაღვიძება მორევის დიდის...
ალემატება ყოველგვ-რ ძალას.

მგზავრის სიმღერა

რამდენ მდინარეს არბევს
ეს დატეხილი მთები,
დემონისას ჰგავს წარბებს
მძლავრი ნიაღვრის ფრთები.
სუნთქვა მაღლიდან მორბის,
როგორც ქარული რაში,
და ბუდეები ორბის
მიჯგუფებულა მთაში.
უუძველესი ციხის
ჩანს ნანგრევები შორი,
ჩქარი მდინარის რიყეს
რგოლებს აზომებს ქორი.
დგება საღამო ჟამი,
მთებს ეპარება რული;
ჩქარა დაეშვი, ღამევ,
და დამიმშვიდე გული.
ჩქარა დაეშვი, ბინდო,
ფიქრი მომეცი წმინდა,
ვისაც ვენდე და მინდო
კვლავ მომაგონდეს, მინდა.
მინდა ახალი გზები,
მინდა ახალი რამე,
გაბრწყინვებული მთები,
განათებული ღამე!

ჩვენი შავი ზღვა

ამ სტრიქონებს ვსწერ...
ზღვა იღვიძებს ვით ფიქრი ჩემი.
მის ხერხემლებზე
ყორნის ფერი ქანაობს გემი.
ზღვა იშმუშნება,
როდესაც ვწერ მე ამ სტრიქონებს
თითქო რაღაცა
აგონდება; და ვერ იგონებს.
უფრო და უფრო
იღუშება ზღვა ტყვიისფერი
ზღვას მრისხანების
ემატება ტალღა ძლიერი.
მაღლა, სულ მაღლა
იწევს მძაფრი ტალღათ კრებული
ღმუის, ნაპირებს
ეხეთქება გააფთრებული.
ღრიალებს, გმინავს
როგორც მხეცი გულგანგმირული,
დაუნდობელი,
უშიშარი და განწირული.
უსაზღვრო არის
ზღვის ბრაზი და თავგამეტება
შორეულ მანძილს
გადამტეხი მეხი ედება.
დაუცხრომელი, შემზარავი
მისი განგაში,
ისმის სახეთა მოღრუბლვაში,
გემთა კანკალში.

ალპები

კარგია, კარგია
მაღალი ალპები,
როს ნისლი ეხვევა,
ან ქარის აფრები,
ან როცა სიმშვიდის
იპყრობს ლეტარგია,
ან როცა იღვიძებს —
კარგია, კარგია!

ასე პოეზიის
მაღალი მახვილი,
იმ მზისა თუ ნისლის
სწორედ ამსახველი—
ღამით თუ ცეცხლია,
მშვიდ დროში სარკეა,
თანაბრად დიდ-ა,
თანაბრად კარგია!

სტანსები

აქ დაიდგმება პოეტის ძეგლი
ბავშვები მოვლენ შენი წიგნებით,
იქნება, ბევრი რამე იქნება —
მხოლოდ ამ ქვეყნად ჩვენ არ ვიქნებით.

ცხოვრებისაგან დაჭრილი ლომი
ეხლა რომ ოხვრით შამბში ვარდება,
სხვა ისტორიის წინაშე მდგომი
აქ სხვანაირად აღიმართება.

ეხლა კი, ხელი მივცეთ ერთმანეთს,
ხომ მოგვივლია ხმელეთი, ზღვები ..
ოხ, მომავალო შენ ერთი მაინც
არ იტყვი, როგორც იტყვიან სხვები!

ფრაგმენტი

ტბა მოდის. ჭია-მაიის
ფერი ფერადი მოყვება,
ამ გაზაფხულზე, ამ მაისს
სამშობლოს ამბებს მოჰყვება.
და გრძნეულ ხიდზე ვჭვრეტ სცენას—
ვაჟი ქალს ვარდებს უწოდებს.
ის წუთის ასეთ გაფრენას
მარადისს რასმეს უწოდებს.
ზაფხულს მთვარიან ფერიებს
სიმშვიდის რული ერევა,
იფერებს, ხავერდს იფერებს
ბინდის და ღამის შერევა!

მატარებლიდან

შორით გამოჩნდა ფოსტა,
იქერს წერილებს მაღლით,
გაჩერებული ხბოსთან
ბიჭი პატარა ძაღლით.

გვიან ყვავილთა რიგით
ბალი თანდათან სცხრება;
აქეთ სადგური. იქით
მშვიდ სოფლელების კრება.

მოდის სოფელი როგორც,
დამსვენებელი ჩრდილი.
რაღაცას მღერის გოგო,
მშვენიერი და ზრდილი.

აჰა, ღამდება. ბიჯი
და აქვე არის სახლი.
მიდის წერილით ბიჭი,
ხბო და პატარა ძაღლი.

* * *

ზღვა წყნარია ნამეტანი,
თითქო სძინავს.
და ბრინჯაო — ბავშვის ტანი,
მზეზე ბრწყინავს.
მებადური მოსდევს ბადეს
ჟრჟოლავს წყალი.
აღტაცებას ბავშვში ბადებს
თევზთ ფართხალი.
გაქანება და დაცემა
ისმის მისი,
ისმის მისი აღტაცება
და კისკისი.
ნაპირებზე თეთრი ნავი
ხედავს კარვებს,
როგორ არხევს წყალს ნიავი,
გულს იქარვებს.

ილრუბლება ეფირები,
ნისლით მთებზე.
„მგონი, ავდარს ეპირება!“
სწუხს მეთევზე.
ქლიავისფრად შლილნი ფრთანი
ჰგვანან მინას,
ზღვა წყნარია ნამეტანი,
თითქო სძინავს.

სანატორიუმში

ო, შრიალით ეშვება
შემოდგომა სნეული.
ჩვენს ბაღს არ მოეშვება
გაყვითლება გრძნეული.
ერთმანეთს ემოძმება
ხანით მხარ-შექცეული,
ავადმყოფი ოცნება
და მზე ლანდად ქცეული.
მოაქვთ ჩემთან ყოველდღე
მშვენიერი ვარდები,
მოკრეფილი ტყედატყე,
ყვითლად ნაფერადები.
თრთიან ხელშეუხები,
ოცნებების კვართები,
ის წაბლები, მუხები—
იმ ტყის მილიარდები!

პოემა ვეფხისა

აქ დასიცხული თვლემით გრძნობენ ვეფხვთა სიარულს
თითქო ცეცხლში ხარ და განწირულ სიტყვას ჰკიოდე:
ცას, დედამიწას, ადამიანურს
ვეფხის-ტყაოსნის სტრიქონებში ვხედავ არეულს.
ვით სულდგმულები ირევიან მცენარეები,
ვეფხვი მოქმედობს ლმობიერი და თან მრისხანე.
ხან მნგრეველების არის ყრილობა:
იფეთქა ცეცხლმა, იბუგება მთელი ქვეყანა—
ზეცით სიცივე და გულგრილობა
ვის სურდა ქვეყნად ჩამოეყვანა?

შეხედეთ: ქვებიც გამომსხდარან მოსმენად მშვიდი;
მშვიდი სამუმი — მათრობელი, მშვიდი ჭავლეთი;
აქ ძველი არის ყველაფერი, როგორც სანსკრიტი,
მაგრამ ახალი მუდამ, როგორც აღმოსავლეთი.
ასეთ ოცნებას ხსნა არ მოელის,
სიმღერა აღარ იგრძნობს დასასრულს,
დაცხრება სული უდაბნოელის
გულცივი ზეცა რომ გადასაზროს.

კიდევ გადავა საუკუნეთ მღვრიე მრავლობა,
მაჯა, დედა მსოფლიოის, მოირხევს დღეებს
შთამამავლობას მოეცლება შთამამავლობა,
როგორც ფოთლები გიგანტიურს, უძველეს ხეებს.
ქარმა ველებზე ძნები დაშალა
და მიმოფანტა ქვეყნის კიდეზე:
შევუნთოთ ცეცხლი რომ იგი ალი
იყოს უვრცესი და უდიდესი!

ან ისევ სამხრეთ-დასავლეთით წავლენ ზენდები,
ან ისევ სამხრეთ-აღმოსავლეთს ინდოთა ჩანგი,
იქ სადაც თვალწინ გაიშლება ხეობა ინდის
სადაც პენჯაბის ხეობიდან ხმაურობს განგი
გადაიშლება კვამლი მხუთარი
და გადიქცევა მზის ვუალებად,
შემდეგ იფეთქებს რომ საკუთარი
ქნარს მისცეს სუნთქვის საშუალება.

მოვარდნილ ღვართქაფს ვერ დაიჭერ მსუბუქი თალხით
ზეციდან მსვლელი გიმალაის მწვერვალთა გზები
შთაჭრილი უფსკრულს, რომ გარეცხოს თავისი ტალღით
სამოც ათასი მეომარის დაღლილი ძვლები.
ავა ზეცამდე — და შეეხება,
იქ, ლაჟვარდებში რომ გემებია.
აჰა, ალისფერ ნალმით შეღება,
თითქო ის ცეცხლიც უგემებია.

ტროპიკის სიცხე. სიყვარული ლაკედემონის,
მეგობარს კიდევ მეგობარი შეურჩენია
შრიალებს ფრთები ელლადათა სიბრძნის დემონის,
ძველი ეგვიპტის აქ ხმიანებს მძლავრი გენია.
ხმათ აიაზმის ნელი პკურება...
ისარი გულზე ვის არა სოდეს?
იყო მრავალი განადგურება
ლექსთა სიკვდილი კი — არასოდეს.

მას რაინდული ჰქონდა სული, სავსე ანთებით,
ლაშქართ მრავალი აღტაცება მისდევდა თანა,
საგანძურებში დაგროვილი ფოლიანტებით,
სადაც იწოდა პოეზიით მდიდარი ხანა.
რაც ამ ხანაში არის მთავარი
და რაც ყველაზე უფრო შორია
ეს: გადამრჩენი წვიმას ყავარი,
რითაც იფარავს ძველს ისტორია.

გაფრინდნენ თვალწინ უდაბნოთა ბედუინები
და ქალაქების სიმდიდრენი გაჰკრთენ ზმორებით,
თავისუფალი და დანარჩენ კაცობრიობას
დაშორებული თვალუწვდენი ქვიშის მორევით.
ახალ მხარეთა გაჩნდა სახელი,
მან არ წაშალა იმ ხმათა დარგი
მუდამ ყველაზე უფრო ახალი
და უფრო კარგი.

თუ აქლემების ქარავნები და ცხვრების ჯოგი,
რომლის მახლობლად იშენებენ მშვენიერ კარვებს,
თუ სიმამაცე და ლანდები სტუმართმოყვარე,
დამავალი დღე ესალმება საღამოს ქარვებს,
შემდეგ ქარცეცხლი, შემდეგ შერყევა.
და პოეზია იქცა ერთ ელვად.
საკვარისია ქაოსის შერხევა—
იფეთქებს ერთხელვე.

დავლიოთ ჩვენ იმ კარგი დროის შესანდობარი,
ოდეს პოეტი იყო არა მარტო პოეტი:
პოეტი იყო ბედუინი და მეომარი,
პოეტი იყო მოსამართლე და უფრო მეტი
იყო გრიგალი, იყო შერყევა,
იყო მსოფლიო ძალა — უგეში.
მისთვის არ იყო რამ შეფერხება—
იგი უყვარდათ როგორც ნუგეში.

ვეფხის ტყაოსანს შეინახავს აღმოსავლეთი,
პერგამენტების შეინახავს ჩრდილი კეთილი
პალმის ფოთლებზე დაწერილი სისხლიან ცრემლით,
ან სპილოს ძვალზე სასოებით ამოკვეთილი
გადაშორდება დღეებს მტვერიანს,
გადაშორდება დროთა ბანაკებს
მას მომავლიდან კვლავ უცქერიან—
რა სხვა დიდება უამხანაგებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რუსთაველს მოჰყვა სიხარული დაუთრგუნავი,
მას შეუძლია ცა გადაჰკალოს.
საუკუნეთა ტყეებს იქით მოსჩანს ბუნაგი:
იქ ესალმება შუქი ნათელს ზოდიაკალურს
ასე მგონია: ეს იმედი მას მოასწავებს,
რომ სულ შემთხვევით ჩამარხულებს და ჩაკალულებს
ჩვენ აღმოვაჩენთ ძველი დროის ძველ წიგნთსაცავებს,
ომიანობის გამო სადმე გადამალულებს.

პრესა

ომი სიმშვიდეს, ომი რუტინას!
ზაჰესი ღამეს ელვარედ ლესავს.
ვარსკვლავებს სძინავთ,
გრიგალსაც სძინავს,
მთებს სძინავთ,
მაგრამ არ სძინავს პრესას.
მანქანასთან ვსწერ.
ღამეა. ზრუნვას
ერთი ლაქაც არ ამეასედებს,
რატაციონის მანქანა ბრუნავს
და ხვალისათვის რაზმავს გაზეთებს.
მწყობრი მანქანა
გრგვინვას მოიღებს,
თითქო ბრძოლის დროს ჰქედეს მხედარი,
თუ ცოცხალი ხარ—ხმა ამოიღე,
სამარეს მიდი თუ ხარ ცხედარი!
ვით ჩქერი მდორეს
სჭრის და ერევა,
მორევს ღამისას სძრავს ეს ჭენება,
ასე შეხვდება ერთმანეთს ნგრევა—
ძველის ნგრევა და ახლის შენება.
პრესა აქ უდრის
მერანზე უმალს...
პრესასთან ვცხოვრობთ, პრესასთან ვყივით...
ძველი ცხოვრების ყოველ სასთუმალს
პრესა აღვიძებს ახალი სხივით.
ყოველი სოფლის მიწას და ტატნობს
გამოფხიზლება უნდა ახაროს
ტემპი! — მოესმის ქარხნებს და მადნებს,
ტემპი! — მოესმის ტყეს და მაღაროს.

ველებზე მისით
ღელავს თივები,
მანქანა მიაქვს სახლის ოდენა
ტემპი! — მიჰყვირის კოლექტივებ
ტემპი! — ძაგძაგებს ელექტროდენა.
აქ წყალვარდნილი
აგავს ნიაგარს,
იქ მძიმედ მიდის ალაზნის არხი,
ეძლევა ბუჩქებს მტკიცეს და მაგარს
ელექტრო ძარღვი, სიცოცხლის ძარღვი.
განა ჯერ ისევ
ათი წლის წინად,
როს პირზე ეკრათ მარქსი, ბებელი
ბურჟუაზიის პრესა და ბინა
არ ჰქონდათ ჩვენში ხელუხლებელი?
ხელუხლებელი
არ იყო განა,
ველად ნაშთები ფეოდალობის?
მემამულეებს ეჭირათ ყანა —
ნიშანი ძველთა მეფეთ წყალობის.
მდიდრებს უმღერდა
პრესა, პოეტიც,
როს საქართველოს გზად გასადები,
ვით კალონიას სწვდენ უცხოეთის
ბურჟუაზიის ავაზაკები.
ელვის სისწრაფით,
ვით კინო-ლენტი,
წინანდელ პრესის გაიჭრენ დღენი.
პრესა, შენ ვითომ სინათლეს ჰფენდი,
მაგრამ რა იყო ცხოვრება ჩვენი?
ანთებდა ხმლის და
დანების წვერი
გაპარტახებულ ქოხსა და კარავს,
ჩამოძონძილი, ავი, მშიერი
ხმა აყრუებდა მიდამო-შარას:
დაჰკარი, დაჰკარ!
ის ქართველია,
ეს სომეხია, ის თათარია.
იქნებ მუშაა, იქნებ გლეხია
რა ვქნათ? სხვა რჯულის ბინადარია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ხანა იყო!
ძმამ, ძმა არ ინდო
მიწის გაჰქონდა პრესას ზანზარი,
როს შოვინიზმის ცეცხლი დაინთო
და ეროვნული შუღლის ხანძარი.
პრესა მდიდრების
იყო მორჩილი,
სისხლში სცურავდა ქუჩა ნაგები...
ვინ ეცემოდა ყელ-გამოჭრილი?
მხოლოდ ღარიბი და ღატაკები!
და შერცხვენილი
გზის მემამულის
იბრძოდა პრესა გაუტეხელი,
რომ მეფაბრიკეს და მემამულეს
მარადის სავსე დგმოდათ ბეღელი.
ისევე მდიდრებს
და მხოლოდ მდიდრებს
თვით პოეზიის ართობდა ჩანგი.
აქ კი მონობა მშრომელთ აფითრებს,
და დიად მიზნებს ედება ჟანგი.
აივსო ციხე
კომუნარებით,
იწვის სოფელი აჯანყებული:
აქ აზიისკენ გაჭრილ კარებით
ორი გზა იყო დაჯახებული.
ნამდვილ პრესას კი
ედო ბორკილი.
ისე გადახდა მტერს ერთი ასად,
როგორც დაღლილი და დაჯორგილი
იხუთებოდა პრესასთან მასსა.
ტალღები მისი არა სცხრებოდა,
დინამიტები ხან იქ და ხან აქ
იმუქრებოდა, ემზადებოდა,
მოუწოდებდა მებრძოლს, ამხანაგს.
ბოლოს მრისხანე
მზემ ამოხეთქა
და გადალეკა
მძიმე სურათი.
ახალმა ძარღვმა დაიწყო ფეთქვა:
რევოლუციონურათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევოლუციონურ
პრესამაც აგრე
მძლავრად შემოჰკრა და მტვრად აქცია
მლიქვნელი პრესის ციხე-სიმაგრე,
შავი ცხოვრება და რეაქცია.
ეს იყო თვალის
დახამხამება?
მომენტი რისხვის და წყევლა-კრულვის,
როცა უფსკრულში მიდის წამება,
და აუწერელს იწვევს სიძულვილს.
ის საქართველო
გაჰქრა მონების,
გზა მისდევს მთაში კლდეებს ფრიალოს,
რომ იქ სიმართლის გაბატონების
წითელი დროშა ააფრიალოს.
მიწა სახალხო
არის ქონება,
სასახლეებიც მისია სერზე.
ერთ ერს ნურას დროს ნუ ეგონება
რომ გაბატონდეს მეორე ერზე.
სჭედს პრესა კედლებს
სვეტებს და თაღებს,
მას მოაქვს რკინა, ფოლადი, კირი,—
დღეებს სიახლით აიარაღებს,
როგორც დამკვრელი და შრომის გმირი.
ეხლა ვერავინ
გაანადგურებს
საქართველოში დარის-დარებას,
ფეროა-მარგანეცს და ელსადგურებს,
მსხვილ ინდუსტრიის განვითარებას.
ღიაა შუბლი,
ღიაა მკერდი,
რომელს აჩნია ბევრი ჭრილობა
მრავალთმრავალი ჰქუხს, როგორც ერთი:
მარჯვედ, პირდაპირ! ძირს გულგრილობა!
ჩვენი პრესა სდგას
ხელალმართული
თავის უსივრცოდ დიდ ასპარეზზე,
უზარმაზარი ააქვს სართული
ინდუსტრიალურ ხე-ტყის არეზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძიმე ბორბლებს რომ
აბრუნებს ღვედი,
მსოფლიოს უნდა გაჰხდეს მფლობელი,
მისით მეტყველებს მშრომელთა ბედი
მისი ქალაქი, მისი სოფელი.
არის სიახლე,
და მოძრაობა
აპობდეს გრიგალს, კლდესა და ღრესა,
პრესას არ უყვარს ტბა და ჭაობი,
მუდამ სიცოცხლით გუგუნებს პრესა.
შრომა ამ ჭაობს
არღვევს მოსილულს,
გზა ახლა ლაფში აღარ ეფლობა,
პრესა აშუქებს დიდს, ძლევამოსილს
სოციალისტურ აღმშენებლობას.
ეხლა ყოველგან, ყოველ კარავთან,
ყოველ დაზგასთან მივიდა პრესა.
ეძებს მინერალს
საგაზაფხულოს,
უკან დახევა მას არ სჩვევია.
გამადიდებელ შუქით ნახულობს,
მასაც, რაც ძნელი შესამჩნევია.

1931 წ.

ქარი ვარდებში

ვარდებში ქარი ფათურებს,
აფეთქებულან ბაღები;
დღეს აღარ აუმადურებს —
გულცივი, წყალწასაღები.

ილიმებიან სახლები,
გაჰქრა შიმშილი, სიცივე,
დამშვიდებული ძაღლები
ქუჩებს ერთგულად იცავენ.

ყველამ იპოვა საფარი,
ვინც ობოლ-უმეზობლოა,
გაჰქრა წარსული ზღაპარი,
ეხლა დამშვიდდი, მსოფლიო.

ფიქრი ზღვის პირას

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვლავ სიჩუმეა გამეფებული,
ზღვა არ ბობოქრობს, ტალღა არ იძვრის.
წყალზე რა ნაზად ფერს ილამაზებს
ლაჟვარდი სახე გაშლილი სივრცის!
ვდგევარ ნაპირზე და იალქანი
ნათლად ფრიალებს, მზის სხივით სტკბება.
ოჰ, აღელდება ნეტავი კიდევ,
თუ არასოდეს არ აღელდება?

ვეგებებოდით ნაცნობ ქარიშხალს
და აღტაცებით გვიძგერდა გული,
მოვა დრო, ისევ მივეგებებით,
დიდიხნით იმას დაშორებული.
საბრალო ნავი! გულშემზარავი
ტალღა შეასკდა იმის სუსტ ნაპირს,
ტალღა გადაჰყვა აბობოქრებულს,
მისთვის უეცარს, შეუცნობს, სხვაფერს!
ცხრაასჩვიდმეტის ზღვა შეხვდა მწარე,
ბრძოლაში მოკვდა სიმშვიდით, წყნარად.

ჩემს სულს, ბრძოლაში, ქცეულს ფოლადად,
კვლავ ასხივოსნებს ოცნება მძაფრი,
იგი, მოვა დრო, ისევ იფეთქებს
დიდიხნის გზნებით უხვად გამთბარი,
გაანგრევს კლდეებს და გადალეკავს
ის სწრაფი ტალღა და ნიაღვარი.

1918 წ.

III

ეროვნული ბიბლიოთეკა

რას იპოვი აქ, საზღვარგარეთ

რას, რას იპოვი
აქ, საზღვარგარეთ,
რომ ის ჩასთვალო
მზეთა და მთვარეთ.
არ ღირს მსოფლიოს
მთელი სიმდიდრე
ერთ გაქროლებად,
სამშობლო მხარედ.

იქ ხომ გზა ცრემლით
არ ინამება,
არც სივრცეებზე
სწუხს შელამება;
ჩვენში არც მწარე
მარტოობაა,
არც სასიკვდილო
არის წამება.

სტუმართმოყვარე
ჩვენ გვაქვს სახლები,
მათ ხალისიან
ღიმს ეახლები;
დეე შორიდან
კივოდეს ჭოტი
და თავგადაკვლით
ყეფდეს ძაღლები.

ჩვენი გზა ცრემლით
არ ინამება,
არც სივრცეებზე
სწუხს შეღამება.
დიდი ხანია
გათენდა, გულო,
დიდი ხანია
გაჰქრა წამება!

1935 წ.

ᲕᲝᲒᲝᲜᲔᲑᲐ ᲛᲨᲝᲒᲚᲘᲣᲠ ᲛᲮᲐᲠᲘᲡ

მისცემია ძილს ბრეტანი,
ალივლივებს ზვირთებს მთვარე:
„ნამეტანი, ნამეტანი
შორი გზები მოვიარე“,

მისცემია ძილს ბრეტანი —
მე კი მახსოვს მსხმოიარე
ჩვენი მთა და მოედანი,
მშობლიური არე-მარე.

იქ ჭაობი იყო. გაჰქრა
უამური, სიმწრის ჯაფა,
შფოთიანი ძველი გაყრა,
უმკაცრესი პაპის-პაპა.

ოცი ათას ჰექტარ მინდორს —
ციტრუსების გვინდა ვარდი,
მილიონი კი არ გვინდა,
მილიარდი, მილიარდი!

ასეთ მიღწევაზე სწუხდა
ხანისწყალი და რიონი,
და ძვირფასად აზურმუხტდა
ხე, მრავალი მილიონი.

გრეიფრუტი, მსგავსი მთვარის,
მისი ფერი და ამინდი,
გრეიფრუტი კი არ არის
ყუმბარაა, დინამიტი!

1935 წ.

ფიქრები სამშობლოზე

ნავთსადგური დიდი, ვრცელი,
ტვირთებს ზიდავს კაცი-მონა.
შორს გაჰყურებს ზღვას მარსელი
და ისტუმრებს გემებს რონა.

გამახსენდა! დაბადება —
განთიადით შუქს აპკურებს,
სხვა ახალი ემატება
ჩვენი ქვეყნის ნავთსადგურებს.

სიყვითლით და დაობებით,
რომ ბორგავდა წინად ფოთი,
შრება ძველი ჭაობები
და რიონის სცხრება შფოთი.

ცხრება მისი მავნე შფოთი,
გადალეკვა ვეღარ ართობს —
გასჭრეს სულ სხვა კალაპოტი
ძველი — ძვირფასს სტოვებს ფართობს.

სად ხვდებოდენ: ზღვა ძლიერი
და რიონი მედიდური,
მშვენიერზე მშვენიერი
დაფუძნდება ნავსადგური.

აქ კი ულონობა ვრცელი...
ტვირთებს ზიდავს კაცი-მონა.
შორს გაჰყურებს ზღვას მარსელი
და ისტუმრებს გემებს რონა.

1935 წ.

იმ დღეს რომ იყო

იმ დღეს რომ იყო
კოხი და თქეში,
პარიზზე ქარის
რომ ჰქუხდა სვეტი,
მძლავრმა გრიგალმა
ბულონის ტყეში
ხე ამოგლიჯა —
ექვსასზე მეტი.

ძირფესვიანად
გულ-ალმა დაწვა
გადალეწილი.
ალვა და წაბლი,
თანაბრად გრძნობდა
სიტყვას: თავდაცვა!
უბრალო ჩიტი
და დირიჟაბლი.

ეერსალისაკენ
განადგურების
აზვირთებული
ტბა მიედინა,
შემდეგ კვეთა
რადიო-სადგურს
და კაბინებს ხმა
გააკმედინა.

როგორც ქალს, შიშველს
სულით და ხორცით,
ბულვარს ის სეტყვა
სცემს კმაყოფილი;
აცურდა ქუჩა
ნაგები ტორცით,
ნიაღვარს მიაქვს
ავტომობილი.

რა საოცარი
ისმოდა მარში,
როს ქარი ჩადგა
და გზები მოშრა.
ამგვარ პარიზში,
ამნაირ ქარში,
ავაფრიალეთ
კონგრესის დროშა.

1935 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრწყინავს დარბაზი;
სინათლე ნაზი
როგორც ნანატრი
რამ ფეერია —
იატაკიდან
ჭერს შეერია
და ელვარების
მისცა სიახლე.

როგორც სიზმარი
რამე ნანატრი
გადაეხვევა
ათასფერ მინას—
ასე დიადი
სასახლე ბრწყინავს,
შეთანხმებისა
ბრწყინავს სასახლე.

რა მორიდება
და დიდი ხათრი,
რა სიყვარული
ხალხის სწერია
გამოძახილში:
მშვენიერია
ბარბიუსის სიტყვა,
მისი — მეტადრე.

ამ გამოძახილს
იმ მომენტს ვადრი
როდესაც ცეცხლი
ადუღებს რკინას;
დიდ იდეებით
თეატრი ბრწყინავს,
გამარჯვებული
ბრწყინავს თეატრი.

პრეზიდიუმში
ჩემს გვერდით წყნარი
და მოღიმარე
ზის ბარბიუსი;

მას აქვს ღიმილი
დაუვიწყარი—
თვალებშიც ნაზი,
ლურჯი ბურუსი;
პარიზთან მჭიდროდ
გადაზრდილია
ბარიკადები
წითლად ნაბანი,
ეს პერ-ლაშეზი,
ეს ბასტილია,
ზარბაზნების ხმა
და ბარაბანი.

გარეთ კი მტერი
დადის იოლად,
სადაც პალმების
მწვანე ქაფია,
მას უნდა არა
კარმანიოლა,
არამედ დუჩეს
ბიოგრაფია.
სახალხო ფრონტს და
ინტერნაციონალს
სურს ხალხში მკვიდრად
გაიდგას ფესვი,
მის ბრწყინვალე და
მზიურ მომავალს
ეხმაურება
ჩვენი კონგრესი.

ამაოდ კი მტერს
სურს დაარბიოს,
ის სიცოცხლესთან
თამაშს ვერ იგებს,
არა ერთს და ორს
ჰანრი ბარბიუსს
დაუკავშირებს
მებრძოლთა რიგებს.

ამაოდ სიკვდილს
სურს დასცეს გმირი
და ამოგლიჯოს
საგულეს გული,
თვით დაეცემა
გულგანაგმირი,
სიცოცხლის ცეცხლით
შემობუგული.

ახალი გზისთვის
ჩვენ მიგვიგნია—
მსოფლიო ცეცხლით,
მსოფლიო ცეცხლით!
წიგნით სტალინზე!
ეს ის წიგნია,
სად დინამიტი
ელავს ნაკვერცხლით.

1935 წ.

ვეზუვი

მხოლოდ მთა იგი...
იდგა მთა იგი
დემონის ხელით
მძლავრად ნახატი;

იწვა კლდე კლდეზე,
იდვა ქვა ქვაზე,
და იყო მხოლოდ
ქვათა ღაღადი.

ქვას გული არ აქვს.
(როგორც შენ არ გაქვს
ამაოებავ,
დაუვიწყარო).

უცებ ქვა გასკდა
და მის სიღრმიდან
ამოჩუხჩუხდა
ცეცხლების წყარო.

ასე, პოეტის
ბედიც: დუმილი
დიდ ხანს აწვალებს
ქვათა სიმძიმით.

უცებ მოსკდება
გრძნობათ ნაკადი
და სიბნელეში
შედის ციმციმით!

უცხოელი პოეტი

უმცროსმა ჩემზე
რამდენიმე წლით
ცხოვრებას ადრე
კვალი უძია.
როცა ჰკითხავენ:
საით, რომელ „გზით?"
ის ამბობს: სადაც
რევოლუცია!

გულით ამტანი
მრავალთა ბედის,
იგი ერთგული
პოეტთა რაზმით,
სამოქალაქო
გრიგალში შედის
ჯერ არსმენილი
ენტუზიაზმით.

როგორ უყვართ ის!
ის ჩვენთან არის,
ის, ვისაც მედგრად
და უანგაროდ
ცეცხლში და წყალში
ახალგაზრდობა
რომ თან გადაჰყვეს—
მზადაა მარად!

1935 წ.

უმუშევარი

შენ ჰკარგავ გრძნობას. ეხლა შენ გძინავს
    დაღლილი ძილით,
რომ სენის ნაპირს, ელვარედ მბზინავს,
    დახედო დილით.
თუ არ გასვენებს ქარის გრიგალი,
    არ უთმობ შენცა.
შენ გესიზმრება დროშათ შრიალი —
    ახალი ზეცა.

1935 წ.

წარწერა ანატოლ ფრანსის სურათზე

კარგი ოსტატი,
    შემომქმედი უმწვერვალესი,
ვინც სიტყვას მისცა
    ყინულის და ცეცხლის ხალისი—
ენა ფრანგული
    ჰქმნა დიადი და სრულყოფილი,
უდარებელი,
    იშვიათი, კეთილშობილი.
მხოლოდ გუგუნი
    იყო მისი ხმის რეზონანსი.
ანატოლ ფრანსი,
    მშვენიერი ანატოლ ფრანსი!
მწარე დაცინვა,
    მოელვარე როგორც მახვილი
მათდამი ზიზღის,
    უმწარესი გამომსახველი,
ვინც მარგალიტით
    და ოქროთი მოავარაყა,
ბურჟუაზიის
    ბატონობის მთელი მარაქა.
ის იყო ციცხვი,
    წინაპარი მოვლენის დიდის,
რომელიც ეხლა
    ახალი გზის ძიებით მიდის.
მხოლოდ გუგუნი
    იყო მისი ხმის რეზონანსი—
ანატოლ ფრანსი,
    მშვენიერი ანატოლ ფრანსი.

ტირიფი

დარგული ალფრედ დე-მიუსსეს სამარესთან

ტირიფი ტირის,
მდინარის პირის
და თავის გმირის
თავგადასავალს.

(აქ მრავლობითი
იდგა კოპიტი
მარადყოფითი
შრიალით სავსე)

ფერმკრთალი მუზა,
შემკრთალი მუზა,
ნამდვილი მუზა
დე-მიუსსესი,

ტირის რომ დღემდე
მიუსსეს შემდეგ...
ოცნებავ, შესდეგ!
აი მიზეზი.

ტირიფი ტირის.
მე ცრემლის ხშირის
არა ვარ მომხრე:
არაა წესი.

დრო ანთებს რკინას,
დროს აღარ სძინავს
და ჰქუხს, და გრგვინავს
ჩვენი კონგრესი.

მოდის

გამოვიდა ომიდან
მკაცრი ცხრაას თვრამეტი.
პოეტების ტომიდან
არ დარჩა მესამედი.

ვინაც შიმშილს, ზამთარის
ძნელ სიცივეს გადარჩა,
ნახევარი რა არის—
ნახევარიც არ დარჩა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ხანა გაიარეს
ცივი და უნდობარი.
მათი, დაღუპულების,
ვინ სთქვა შესანდობარი?

მშვიდი, კათოლიკური
სადღაც გაჰქრა მესია,
მათი მყუდრო სავანე
ეხლა პერ-ლაშეზია.

მაგრამ მოდის მეორე
ურჩი, მძლავრი თაობა
და ახალი ცხოვრების
მოაქვს მიმოძრაობა,

ძალა მოექანება
გულისა და გონების,
არა ერთეულების —
ბევრის, მილიონების.

1935 წ.

პატარა პიერი

სანაპიროს ნაგვის ყუთში
გულსაკლავად სძინავს პიერს;
მოკუნტული წვიმით ბავშვი
სიზმარშია: ერთ მშვენიერ
მინდვრად თითქო სოფელია,
აქ, ქალაქის შორე-ახლო
საცოდავად იყურება
პიერისა სამოსახლო.
ალიონზე ქალაქისკენ
მიაქვს ძველი მას კალათი
იქ არაფრით მიმავალი
შინაც მოდის არარათი.
პიერს ეზოს ბოლოს უდგას
ერთადერთი ძირი მსხალი
მისი ბედი და ნუგეში,
მისი მზე და მარჩენალი.
მსხლის თვისება ზღაპრულია:
ზამთარ-ზაფხულ, ყოველ დილით
მადლიანი ხის ტოტები
იტვირთება მწიფე ხილით.

მით საზრდოობს. პიერისთვის
ხე მფარველი არის ხატი.
მაგრამ ერთხელ სალამოთი
ცრემლით ხვდება ხე მარადი.
ვერა ხედავს მწიფე ნაყოფს,
გაუძარცვავთ მძიმე მსხალი,
ვინ მოვიდა, ვინ დაამხო,
რომ არ დარჩა ნატამალი?
და ყველაფერს მიხვდა პიერ,
ხედავს პიერ, რა ეჭვია,
რომ დღეიდან დაიღუპა,
რომ მას ქურდი შეეჩვია.
გაიღვიძა აქ პიერმა
და წამოხტა ვით შურდული
ბავშვი, როგორც სიცხადეში,
სიზმარშიაც გაქურდული.

* * *

აგერ შემოდგომობის
ცივი გრძნობა ამდორებს,
უმძიმესი ტომების
გენიალურ ავტორებს.

სული სცდება ამ სოფელს,
სიჩუმით და წიგნითა
ვერ პოულობს სამშობლოს,
თუნდაც გადაწიგნვითა.

ამ დროს უცხო ბედიდან
რეკავს ქუჩის ფიქალი—
გისვრის კაბინეტიდან
უცნაური გრიგალი!

გრძნობა ხალხში მიილტვის
გავიწყდება წიგნები,
და ახალ სიცოცხლისთვის
სწრაფად გარდაიქმნები!

ვოლტერის ძეგლთან

ცის კარები ენთება,
დილა შუქმფინარია,
მოხუცს გაახსენდება
ძველის ძველი არია.
ქვეყნად ბევრი არ არის
ვინც ამ ბაღთან იწვალა,
მწარე სუსხი ზამთარის,
სხივით გამოიცვალა.
აქ ბავშვების თითებით
ბურთი გულებს ახურებს
და ვოლტერიც დიდებით
აღმოსავლეთს გაჰყურებს.

მელანქოლიური მოსიმღერე

მშვენიერი მახსოვს ბაღი,
მებაღე მას არ თარგავს
დავკარგე და ვიგრძენი, რომ
კარგი რამ დამიკარგავს.
უნაზესი სიყვარულიც
გულს ვარდებით არ ქარგავს.
დავკარგე და გული მტკივა —
კარგი რამ დამიკარგავს.
ჯანმრთელობა არის განძი
სხვა განძებს რომ არა ჰგავს,
დავკარგე და ვიგრძენი, რომ
ბევრი რამ დამიკარგავს.
მქონდა დიდი ნებისყოფა
მუხას ჰგავდა, კლდეს ნარგავს,
დავკარგე და იმავე დღეს
სიცოცხლეც დამიკარგავს.
აღარ მიყვარს, ო, ქალაქო,
ცხოვრების სიავკარგე —
არ ვამბობ რომ, ყველაფერი,
ყველაფერი დავკარგე!
ნურც ვინ მეტყვის: გულს ნუ იტეხ,
გული ხომ ქვას არა ჰგავს.
არაფერი, ან სულ ცოტა,
ცოტა რამ დაგიკარგავს!

ბარელიეფი

მარჯვენა მკლავზე დაყრდნობით გძინავს,
ვიწრო გვირაბის ქვაზე მჯდომარეს,
აქ არასოდეს მზე არ გიბრწყინავს,
გამოლვიძების ასე მდომარეს.
და მაინც წერაქვს, რომ გდია გვერდით,
ველარ შორდება ხელი მშრომელი;
ძილშიაც მასთან ისვენებ მკერდით.
დღეც ასე მიდის... მაგრამ რომელი?
გამოიღვიძე! გამოდი ბაღში,
მაგრამ იქ, სადაც ჰყვავის იები —
შენ მშრომელი ხარ, შეჭრილი თაღში,
ვით პოეტური ბარელიეფი.

გოტიეს რომანიდან

ჩვენ ვიგონებდით
გოტიეს გმირ ქალს,
ქალიშვილს ლამაზს,
მადლენ-დე-მოპენს,
რომლის წკრიალა
და უდარდელ ხმას
რომანტიული
ჟღერა მიმოფენს.

იცით ეს ქალი?
მან ერთხელ მხოლოდ
და ერთი კოცნა
გასწირა ღამით;
ამით წააგო.
მან საბოლოოდ,
საბედისწეროდ
წააგო ამით!

არვისთვის ამ ქალს
რაც მისმა ხვითომ
სამარადისო
დასტოვა ხსოვნა
არ უკოცნია.
არა იმიტომ
რომ ალერსი არ
ესიამოვნა—

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არამედ მისთვის,
რომ შეუშინდა
განმეორებულ
კოცნათ მოწყენას,
იმ ერთ სიყვარულს
დაარქვა წმინდა,
შეუდგა „მართალს
და გმირულ თმენას.

მან თავის გულში
კოშკი ააგო
და თავგანწირვას
იტანს ქალურად.
რა მოიპოვა
ან რა წააგო,
ასე დიდათ და
ასე მალულად?
მადლენას უყვარს
ჭიქა ციმციმა,
ცეცხლთან იმის ბროლს
უცქერის ლამაზს—
სანამ გულწრფელად
არ გაუღიმა
ოქროს ღვინოში
ნაპერწკლის თამაშს.

ეჰ, ნუ ვიგონებთ
გოტიეს გმირ ქალს
ქალიშვილს ლამაზს,
მადლენ-დე-მოპენს,
რომლის წკრიალა
და უდარდელ ხმას,
რომანტიული
ჟღერა მიმოფენს.

ქიმერა

ყომრალ ღრუბლებში,
ორიოდე წამით
მიმსგავსებული
ცისფერ ფაიფურს.

სილრმით სინათლე
მოიჭრა ღამით,
რომ ისევ ყომრალ
ფრთით დაიბუროს.

ასეთი იყო
შუქი ნოტრ-დამის,
სად ყრუ ქიმერა
ჰგავდა კენგურუს.

დაბრუნებისას

თოვლ-მოუწმენდი
ლექსებს ვუსმენდი—
სად მონუმენტი
სდგას დიდზე დიდი.
მიმყავდა გემი
და ნუგეშ-მცემი,
ოცნება ჩემი
ეფემერიდის.

რუსთაველი პარიზში

ეს წელი ჩემთვის
არის კანდელი
უფრო ელვარე,
ბადრი, წითელი,
უფრო მხნე, ვინემ
გზა შარშანდელი,
თუმც არა, როგორც
შარშანწინდელი!
ეს წელიწადი
და ეს საათი
შარავანდედი არის
მთელ დროთა!
ეს არის შვიდას
ორმოცდაათი
წლის მოზღვავება:
ეს არის შოთა.

უმშვენებს კედელს
სურათი მისი
ერთს პოეტს, ვინაც
ქართლში ყოფილა,
რა საოცრებებს
ფარავს პარიზი,
ქვეყნად ყველაფრით
უკმაყოფილო.

ახალ ცხოვრებას გაუმარჯოს

არ შევხვედრივართ ჩვენ ერთმანეთს
ო, რა ხანია
ეხლა კი შევხვდით
აგერ კაფე „მანჰატანია“.
ეხლა ჩვენ შევხვდით, ნუ უყურებ
დროთ უხსოვრებას,
ახალ ცხოვრებას გაუმარჯოს,
ახალ ცხოვრებას!
გახსოვს ავდრები ნათესების,
და საძოვრების?
ეს იყო სევდა და ბურუსი
ძველი ცხოვრების.
გახსოვს შორი გზა... ცდა მოგების
და საშოვრების?
ეს იყო ბნელი გვირაბები
ძველი ცხოვრების.
გადავივიწყოთ — სილარიბე,
გამათხოვრება —
ახალ ცხოვრებას გაუმარჯოს,
ახალ ცხოვრებას!
არ შევხვედრივართ ჩვენ ერთმანეთს
ო, რა ხანია,
ნამეტანია, მეგობარო,
ნამეტანია!

ის მოგონება გავატანოთ
დროთ უხსოვრებას —
ახალ ცხოვრებას გაუმარჯოს,
ახალ ცხოვრებას!

ვით ხეს ფოთლები

ვით ხეს ფოთლები
დაცვივდენ წლები;
შენ ამბობ: არც გზა,
არც მოგონება...
მაინც იმ გზებით
არ დაბრუნდები.
მშვიდობით, ვარდთა
ნაზო კონებო!
შენთვის ერთია—
ფოთლები, წლები,
დღეთა სიყალბე
უშთაგონებო!

მე მახსოვს მისი სახე

მე მახსოვს მისი სახე
ლამაზი, მიმზიდველი,
მრავალ გაჭირვებისა
და ნაღველის მტვირთველი.
შუბლი ვრცელ-განიერი
და გონიერი თავი,
მხრებს რომ უხვად დაჰყროდა
წაბლისფერი ნაწნავი.
და ცისფერი თვალები
ჰქონდა ისე წარმტაკი—
მშვიდად ვერ შეხედავდა
ვერც ერთი გულქვა კაცი.
მათში გაურკვეველი
თრთოდა ზეცის ნათელი
სულიერი სიწმინდის
უცხოდ გამომხატველი.
თითქო გარინდ ბულმა
სისწრაფით მოჰკრა თვალი,
თუ როგორ ირხეოდა
ალვის დიდი მწვერვალი,
დილის მზისა სხივებით,
ოქროსფერად მორთული
და მწვანე ბზის რტოებით
ლურჯად გარს შემორტყმული.

იქვე ახლო, სულ ახლო,
უცხო, გასაკვირველი
განთიადს უმღეროდა
გაზაფხულის ფრინველი.
თავისუფალს, ბედნიერს
ახარებდა მზის წვიმა,
და ქალმა, ის-ის იყო
იმედით გაიღიმა,
რომ უეცრად საბრალოს
განწირულს მოაგონდა,
წამი სასიხარულო
ბედკრულს რომ აღარ ჰქონდა,
რომ მისი გადარჩენა
ქვეყნად არავის უნდა,
და ოცნებიდან ისევ
თავის ბედს დაუბრუნდა,
ასეთი მახსოვს მისი
მე მიმზიდველი ხედვა,
ეს უცხოეთში იყო,
ეხლა სად არის, ნეტავ?

* * *

მეგონა: ღამე ფლობს იუნგ-ფრაუს
და ვიღაც კვნესის.
მეგონა: კვნესა იმ სასაფლაოს,
მხოლოდ მე მესმის.

მეგონა: ჩვენსკენ არვინ წამოვა
სიბნელის შიშით.
რომ ბნელი ღამე, საფრთხე რამეა
ტალახით, ქვიშით.

რომ მოვიხედე: ვით ჯარი მხლებლად
მწყობრი, დას-დასი
ამ გზით მოჰქროდა მოსაშველებლად
ბევრი ათასი!

*
*

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სადღაც დარჩა, შორს, სტოკჰოლმი
მჭლე გლეხობა, ფიორდები.
ისევ დავფიქრდები ხოლმე:
ჩემს სამშობლოს ვერ ვშორდები.

იქ თვლა არ აქვთ ამანათებს,
სიუხვეა და სიმღერაც,
კოლმეურნის ოჯახს მატებს
სიხალისეს ფერად-ფერადს.

სხვათა მოჯამაგირობით
რომ სწყევლიდა ბედისწერას
თავისუფალს, თავის შრომით
ბედს აწვდიან ფერად-ფერადს.

მშრომელს საბჭოთ ქვეყანაში
ვერ დააკლებს მტერი ვერას,
ათასობით ითვლის სახლში
გამარჯვებებს ფერად-ფერადს.

სიხარულით იწყავს ხორბალს,
გოგრებ , მწვანილს და ჩხავერას,
ატრიალებს ღერძი ბორბალს
მხიარულს და ფერად-ფერადს.

დრო მიდამოს აკამკამებს
შეძლებული სხივით ფერავს
პიანინოს, ფარდებს, დგამებს
და ხალიჩებს ფერად-ფერადს.

და ითვლიან აწ თვითეულს,
როგორც ნანატრ რამე ბგერას,
დღეებს, როგორც ამ ჩითეულს
საამურს და ფერად-ფერადს!

სადღაც დარჩა, შორს, სტოკჰოლმი
მჭლე გლეხობა, ფიორდები,
ისევ დავფიქრდები ხოლმე:
ჩემს სამშობლოს ვერ ვშორდები.

მუშის სიტყვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უეცრად მუშა წამოდგა ერთი
და ჩვენ მოგვმართა:
დეე, გარდიქმნეს ეს უცხოეთი
და ამას გარდა—
თქვენი ქალაქის და თქვენი დაბის
რომ სცვლის სიარულს,
დეე, გაუმარჯოს იმ მტკიცე ნაბიჯს
ინდუსტრიალურს.
ჩვენს სიახლოვეს, მეგობრობას,
არა სიშორეს—
გაუმარჯოსო საბჭოთა კავშირს,
გმირთა უსწორეს.
მოპოებული არაა უცებ,
რაც ხდება ჩარჩოს—
იმ ძლევამოსილ რევოლუციის
აზრს გაუმარჯოს!
ელექტრო შუქი, ისეთია დღეს,
ვით ღელვა რამე.
მაშ გაუმარჯოს თქვენს მილიარდს მზეს,
ძირს ბნელი ღამე!

1935 წ.

* * *

მეტყვი: როგორც ეს გრიგალი
დამივიწყე მეცა.
გაიხსენე შენ სამშობლოს
მშვენიერი ზეცა.

მეტყვი: იგრძენ მუხის ჟრჟოლა
შორი მ ნდვრიდანა,
როგორ მიდის, როგორ მოდის,
როგორ ღელავს ყანა.

მაგრამ ეს ხომ სიზმარია,
აქ ვერ ვხედავ ბალახს.
ქვის სიმძიმე სამარედ ხდის
უზარმაზარ ქალაქს.

*
* *

მზადა ვარ მარად
მღელვარე თვალით
გათენებამდე
ვუცქირო რუბენსს,
ამოსვლას მზისას
მგზნებარე რკალით,
საოცარ ფერებს,
მშვენიერ ღრუბელს,
კარგია უბის
გარღვევა ალით,
ლუვრი საყვარელს
მაგონებს უბეს.

პუშკინი პარიზში

პარიზი. კაფე. პალმების ბუჩქის
ტოლის და სწორის
პოეტი ამბობს: ვუსმინოთ პუშკინს,
რომ დგას ჩვენს შორის:—

„გადავერიოთ ბახუსის ალებს
შორს სევდა-დარდი.
ეს გაუმარჯოს მშვენიერ ქალებს,
ჩვენ რომ ვუყვარდით!

„სავსე თასების ცბიერ ძალაში
ნუ დაეჭვდებით,
ჩავუშვათ ღვინის სიანკარეში
ჩვენი ბეჭდები:

„ასწით თასები, გადავკრათ უცებ
გადავცდეთ ჩარჩოს,
ეს გაუმარჯოს მგოსნების მუზებს,
აზრს გაუმარჯოს.

„იბრწყინე მარად დიადო მზეო,
იბრწყინე მარად,
ვით ეს სანთელი ჰქრება უმწეო
მზის შუქის კარად.

„ისე—ცრუ სიბრძნე უკვდავ აზრის ბჭეს,
ვით ნისლს რამე,
იხრწნება, ჰქრება. გაუმარჯოს მზეს,
ძირს ბნელი ღამე!“

მომეცით ჩრდილი ვარდების ბუჩქის,
მომეცით—თასით.
ეს გაუმარჯოს ჩვენს ძვირფას პუშკინს!
თამამად ასწით!

მოხუცი მწიგნობარი

დადის უბის წიგნაკებით,
დადის ძველი რვეულებით,
თან მიჰყვება მოგონება,
მოლხენით თუ სნეულებით.

ეგულება იმედები
მშვენნი რიდე-ხვეულებით,
გულგაშლილნი მარტოობით
და მარტონი წვეულებით.

და ძილშიაც ესიზმრება
წიგნი მძიმე ტანიანი:
ოდისეი, ილიადა,
ბოკაჩიო, ან ყურანი.

ლუმანიტე

მეტი გზა არა
დარჩენია-რა!
თვეზე მეტია
სად არ იარა,
სამუშაო კი
ვერსად ვერ ჰპოვა,
გულის სიმხნევემ
ის მიატოვა.
მზადაა ეხლავ
წყალს მისცეს თავი,
მან გადასწყვიტა.
და უცებ ზვავი,
ხმათა მოვარდნა:

„იყიდე!
„ლუმანიტე!
„ლუმანიტე!
„ლუმანიტე!
„იყიდე
„ლუმანიტე!“
და შეიცვალა
დღე სულ სხვაგვარად,
ახლა იმედთა
მძლე ნიაგარად.

როგორც დაცემის
და ავზნეობის
რცხვენია თავის
სულმოკლეობის.
მეტი გზა არა
დარჩენია რა
ბრძოლით დააცხროს
გულის იარა.

1935 წ.

ჭუჩის მოამღერალი

მან ეზო-ეზო
კარიდან კარად
ბევრი ლამაზი
სიმღერა ხარჯა.

მაგრამ არავინ
ჩასთვალა არად:
მას ძონძი მოსავს,
მდიდრებს კი ფარჩა.

ქამანჩა, ქმნილი
ცრემლების ღვარად—
აი სულ—რაც მის
ცხოვრებას დარჩა.

ქალაქისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წავალ—იფიქრა და ამ ფიქრთან
გრიგალმა უმალ—
სიცოცხლის ახლო გაიარა
წყნარად, იდუმალ.

ის გამოვიდა ძლიერ ადრე,
ვით სიყვარული—
მთვარიან ტყეზე მიდიოდა
გზა დაცვარული.

ბური. ოცნებას სიხარული
გადადნობია,
გარშემო ტყეა, ზევით ვრცელი
ცის ტატნობია.

ყვითელ ხაზების სინაზეში
სულ ნელი ქარის,
ნელი სიგრილის მოქროლებით
მიმოიჩქარის.

უცებ გამოჩნდა ქვაფენილთა
და სახლთა ლანდი
ყველას მიესწრო: „ერთად-ერთი
მე დავგვიანდი.

„ცხელმა ქალაქის ქვაფენილმა
მე ვერ მიშველა
შუადღის მტვერში, როს უქუდო
და ფეხშიშველა

მივდიოდი და გამწარებით
ვიმტვრევდი თითებს,
ვინ გაგიგონებს, ვინ მოგხედავს,
ვინ დაგამშვიდებს.

მაინც აღმომხდა: დედამიწავ,
ო, მერამდენჯერ
უნდა დავემხო, გეამბორო,
რომ ასე შემჭერ,

ჩემთვის უცნობ და მიუღებელ
ცხოვრების ზვავში—
ოდესმე ნაზი, ზამბახივით
ულრუბლო ბავშვი.

ო, მერამდენედ უნდა გითხრა
კიდევ მადლობა
ცისკრისთვის, რასაც დილის ჰქვია
მოსინათლობა.

იარებისთვის, ჩემს დასისხლულ
ფეხს რომ აჩნია,
ყველაფრისათვის, რაც არა მაქვს,
რაც გამაჩნია.

ჩემო ძვირფასო დედამიწავ,
ძვირფასო დედა,
მხოლოდ შვილურმა სიყვარულმა
აქ მომახედა.

პირქვე ვემხობი, ვიყრი მუხლებს
და ასე ვამბობ:
გმადლობ, დედაო, ყველაფრისთვის
უზომოდ გმადლობ.

რომ აშრიალდენ ჩონგურები,
როგორც ტყეები,
მიტოვებული, დავიწყებით
სავსე ტყეები.

რომ მიჰყავს სიმთა ოქროს ნავებს
სიმსუბუქეში
ჩამავალ მზეთა ნაყოფიერ
მინდვრის ნუგეში.

რად მინდა გავყვე შენს ეთერის
უბეში ტრიალს,
იქ, სადაც ქარი თავისუფალს,
მღერის ხეტიალს.

მივალ უცნობ და მიუღებელ
ცხოვრების ზღვაში,
ოდესმე ნაზი, ზამბახივით
ულრუბლო ბავშვი.

ბური. ოცნებას სიხარული
გადადნობია
გარშემო ტყეა, ზევით ვრცელი
ცის ტატნობია.

სიკვდილი უმუშევრისა

შენი ცხოვრება
(არა სიმაღლე!),
რომელიც ჰკვდება
ცივი, ბებერი.
მისთვის არ არის
ამ ქვეყნად სახლი,
არც კარებია
შესაღებელი.
შენი ცხოვრება
არის ეს ბუჩქი,
ჩამოფლეთილი
ყოფნის კარამდის,
სადაც სიკვდილი
და სადაც ჭუჭყი
განუყოფელად
მიდის მარადის.
შენი ცხოვრება
ღონემიხდილი
არის ტალახი,
ბოსელი, ქართა,
ვერ შეგაშინებს
თვითონ სიკვდილი.
გრძნობ, არვინ მოვა
შენთან, მის გარდა.
სადმე ვერაგი
გადიხარხარებს,
როცა გაიგებს
სიკვდილის ხველას.
შენი სიკვდილი
იმას ახარებს—
როგორც ცხოვრება
ახარებს ყველას!
ამის მნახველი—
ვით არ ვიქნებით
უკმაყოფილო—
შექმნილი წესით?
წავალთ დროშებით,
წავალთ წიგნებით,
წავალთ მქუხარე,
ჩვენი კონგრესით!

1935 წ.

უბინაო დედა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როს შეგხედე,
გულს მოედო სევდა.
რალაც მწარე,
თვალს ბურუსი ხვევდა.
იმ ყოფაში
არ მენახე, ნეტა,
ბავშვის დედა,
უბინაო დედა!
მთელი ქვეყნის
რას გიზამდათ მტრობა,
რომ გქონოდათ
ერთი მტკიცე გრძნობა:
საარაკო
ბრძოლის ნებისყოფა,
ბავშვის დედა,
უბინაო დედა!

1935 წ.

უცხოელი ბავშვი

შორს გაფენილო
მინდვრების ტილო,
გიგანტიური
ღრუბლების ჩრდილო!

ნისლების მძიმე
მტევნები მთაზე
რა სიმდიდრეა,
რა სილამაზე.

ნარინჯის ვრცელი
და ფართო ხალი
თურინჯი, თუთა
თუ ფორთოხალი.

მძივები ნაზი,
ცვარი კამაზე...
რა სიმდიდრეა!
რა სილამაზე!

ეს ოცნებაა
ოცნება ლაღი.
შენ რა, პატარავ?
სხვისია ბაღი.

სხვისია მძიმე
მტევნები მთაზე
შვება, სიმდიდრე
და სილამაზე.

მისტერია წვიმაში

დღეს ნოტრ-დამთან (სნებიან
ფანტაზიის ნახატი!)
კალენკორის ფრთებიან
ანგელოზებს ნახავდი.
ლია ცის ქვეშ—მტვერია,
კარებს აღებს მისანი—
და მიდის მისტერია:
ვნებანი უფლისანი.
სცენა გამოხატავდა
სამოთხეთა შვენებას
და გარშემო ფანტავდა
რაღაც საშინელებას...
მაღლა ტიტანიური
იყო ღრუბელთ თეთრობა,
საიდანაც ციური
ეშვებოდა მხედრობა.
მარჯვნივ უზარმაზარი
დევი მწვანე თვალებით,
კოშკი, როგორც ტაძარი,
ედგა ზურგზე ბრჭყალებით.
და კოშკის კბილებიდან
ცბიერი და ხელ-შმაგი,
როგორც შორი მთებიდან
იზრდებოდა ეშმაკი.
კოშკიდან კი დროდადრო,
კრთოდა ცეცხლის ენები,
თითქო ცეცხლმა დაათრო
ჯოჯოხეთის ფენები.

ირეოდა გალობა
შორი, ხმა დაბუგული
ორგანოთა მკრთალობა
და ზარების გუგუნი.
წაიშალა ეს გრიმი,
არც თუ ისე გმირული
წამოვიდა რა წვიმა
ჩქარი, კოკისპირული.
ამიდი გაკვიმატდა,
დამამ ქოლგა გაშალა,
წვიმამ უფრო იმატა—
მისტერიაც ჩაშალა.
და შემდეგ კი (სნებიან
ფანტაზიის ნახატი!)
კალენკორის ფრთებიან
ანგელოზს ვერ ნახავდი.
მაღლა ტიტანიური
გაჰქრა ღრუბელთ თეთრობა—
საიდანაც ციური
ეშვებოდა მხედრობა.

მონ-პარნასი

თქვენი დროის ზღაპარი
ძველებურად ნაზია,
თქვენი თავშესაფარი
ისევ „მონ-პარნასია“.
ბროლში ელვის კამკამი
ელვარება იმ ღვინის,
პროვანსი და შამპანი
მშობლიურად გიღიმის.
თმახუჭუჭა თუთუნის
ბოლი თვალებს ედება,
ისმის ჩუმი დუდუნი—
ძველი შემოქმედება.
ლანდი. შეფარებული
იმა დროთა ყოვნებას,
უნებურად გაგონებს
უკანასკნელ ომნიბუსს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორნი ძმანი ვიყავით,
მე მჯობნიდა პირველი,
სიმამაცით, გატანით
შრომით გასაკვირველი.
მე ვიყავი კეთილი,
ის—სხვა სულისკვეთების,
მკაცრად ჩამოკვეთილი
რისხვა მძლავრი ქედების.
ძმა წამართვა ზუზუნმა
მომხდურ მტერთა ტყვიების,
აწ გულს ცეცხლად ედება
გრძნობა შურისძიების.
ვისიც სისხლის დალევის
სურვილი მაქვს ძლიერი
მხეცი, დაუნდობელი
არის იტალიელი.
დაიღუპა ჩემი ძმა,
სოფლებსა და სადგურებს,
ცეცხლი უფრო და უფრო
ლეწავს და ანადგურებს.
ბრძოლა, თუნდაც გათავდეს,
ვინ რომელს გაასვენებს,
მე კი სისხლის აღების
ფიქრი არ მომასვენებს.
მე დროს ვუცდი შესაფერს,
ის დროც მალე დადგება,
ჩემი თოფ-იარაღი
მაშინ გამომადგება.
დაიღუპა ჩემი ძმა,
ცა მას ცრემლებს აპკურებს,
სისხლიანი გრიგალი
სამშობლოს ანადგურებს.
ვისიც სისხლის დალევის
სურვილი მაქვს ძლიერი—
მტერი, დაუნდობელი,
არის იტალიელი.

1935 წ.

ავტო-მოტო-ველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტო-მოტო-ველო
შენ მიჰქრიხარ, ქალო,
დარჩა სადღაც ლელო,
ქორი, მთვარე, კალო.

—

უზრუნველია
ყვავილები მდელოსი
აქაც
მწვანე ველია
ავტო-მოტო-ველოსი.
რა ბევრი რამ ითქვა
სიტყვა, ფიქრო ძველო,
სიმბოლოა თითქო.
ავტო-მოტო-ველო.

—

სისწრაფის და სივრცის
არის სამფლობელო.

—

ავტო-მოტო-ველო!
ავტო-მოტო-ველო!

* * *

ეხლა, ძვირფასო მოგონებავ,
გიამბო მინდა,
გაგიზიარო ყოველივე
მინდა, გულახდით.
ჩვენში როგორ რთავს გაზაფხული
ქალაქს და მინდორს
თუ როგორ ბრწყინავს აღტაცებით
და შრომის ტახტით.
მსოფლიო გლობუსს საგულეში
თამამად ვიტევ
გული არა მაქვს უდარდელით
სავსე სიმღერით...
წყნარად, ნოტრ-დამო! თითქმის ორმოც
წელზე მეტია
ღმერთს გავეყარე, რას მაშინებ
ეხლა ქიმერით?

ეიფელის კოშკზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის მთასავით
კოლოსალური
მარსის მინდორზე
მდგარი შენობა:
მე ავდიოდი
ვით მოხარული
სვეტებზე ადის
შუქთაფენობა.
ოთხკუთხიანი
ეს პირამიდა
პარიზზე ასე
განით მჭვრეტელი,
ეხლაც იგონებს,
როგორ ავიდა
ამ სიმაღლეზე,
აკაკი წერეთელი!
(ვიღაცა სწუხდა
მგონი ლექსებით,
რომ გვიან შეხვდა
უეცარ ალებს,
რომ დაუძლურდა,
რომ ექსცე'ებით
ველარ გააოთობს
პარიზელ ქალებს).
მე ამ კოშკს ჩემი
შევსწირე მსხვერპლი
და შევიწ'ირე,
ვით სახსოვარი
ზრუნვის საათი,
ჩუმი საფერფლე,
ერთიც იდეა
სწორუპოვარი:
რომ ეიფელის
მწვერვალზე დადგმულს
რადიო სადგურს
უსმენს პარიზი:
უთანაბრობა
დროებამ შთანთქა,
ეხლა ჩვენია
ეს ასპარეზი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

ულრმეს, ურთულესს,
მწველს შეეჩვია
განცდებს მახვილი
და მკვეთრი ჩანგი;
სხვისთვის რომ შრომა
მხოლოდ ეჭვია,
ჩემთვის ქმედითი
არის უზანგი.

ახალი გრძნობა
მოვარდა მიწად,
ახალი ქვეყნის
შენების გრძნობა,
მე უფრო ნათლად,
და უფრო მტკიცედ
მესმის დიადი
სიტყვა: გმირობა.

ამ გრძნობას მოაქვს
რაც დიდხანს მალა,
თავისუფლების
დინება დიდი—
შეუჩერებლად
მბორგავი ძალა:
ძალა უძლევი,
ძალა ქმედითი.

* * *

თუმც ცოცხალი ვარ,
არა მჯერა რომ სული მედგას,
ჩემი ცოდვა მას,
ვინც მომიხმო ასეთი მტერი,
ბედითი მტერი,
ცუდი მტერი: სიკვდილის ნატვრა!
ექიმო, გული
ძველებურად თუმც ისევე ფეთქს,
დაკარგული აქვს
ძველებური სიმრთელის ფერი,
ეს ყველამ იცის
მაგრამ ამბობს: სიმღერით დათვრა!
ათასი ჭირი გავიარე,
ექიმი, ჩქარა!
უხარბო იყოს
პირ-მართალი, მისანდობელი.
ოსტატი ჩქარი,
უნუკვარი და არა ზანტი
და უიმისო
თუ იქნება, მაშინ იარამ
დეე, ძალლივით
დაღრღნას ჩემი დღე და სოფელი,
უბრალო მუმლმა,
წააქციოს მუხა გიგანტი.
ო, ჩემი გული
იყო მტკიცე ციხე-ქალაქი,
ბუნება ტანის
იყო მისი მცველი ძლიერი.
ასაოხრებლად
მოკის მათზე ურიცხვი ჯარი:
მტერი—ეს არის
ათასგვარი ცხოვრების ჟანგი,
წამალი ჩემი
ბუნებისა, წამალი მწველი
ცხარე ომის დღეს
სანდობარი არის აბჯარი.
ექიმი მინდა,
ვით მეაბჯრე და ამხანაგი,
რომ სიკვდილს ხელ თგან—
გამოსტაცოს პოეტის ჩანგი!

დღიურ პროზიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეოცნებესთვის ბედმა მოზიდა
ახალი ქარი ცვალებად-მქროლი,
შენ ამხანაგო დღიურ პროზიდან
ეფემერებში ხარ ასროლილი.

შენ საიდუმლო გადასაგები
უფრო გიტაცებს ნისლში გამქრალი,
ვინემ ახსნილი და გასაგები
სიბრძნე დიადი და სიტყვა მშრალი.

შენ მელოდიას უფრო იგონებ
საქართველოზე თქმულს მზიერებით,
ვინემ წიგნების უღრმეს სტრიქონებს
ვერდატეული მეცნიერებით.

სიტყვა ნაწყვეტი გამოგიცხადებს
უფრო მეტს, ვინემ დიდი მსჯელობა:
დღის სინათლე ჰკლავს ღამის სიცხადეს
და სიყვარულს კი მეერმეტყველობა!

და ჟრუანტელით ისე, ვით ბავშვი
შენ საუკუნე გიცქერის შიშით,
მიექანება ის ბრძოლის შვავში
ფხიზელი მიზნით და ანგარიშით.

* * *

როგორც მენავემ ძველი სანავე,
ვით გულმა გული და მკლავმა მკლავი,
ისე პირველი ნახვისთანავე
ვიცანი ჩვენი მდინარის ნავი.

ჩემი ყრმობის ხნის, დიდი ხნის წინედ
ამ ნაპირებმა, საესემ მწვანეთი
იცოდა საქმე, რა გულმოდგინედ
დავიმეგობრეთ ჩვენ ერთმანეთი.

ნეტა ამ ნავში დამაძინა და
გამომაღვიძა ასი წლის გარე—
მანახვა: რა მხრით, როგორ ინათა,
და როგორ ნათობს აქ მზე და მთვარე.

ხელი იმ წამების დროს
რომ არ გამოგიწოდეს

ღრმაა გულის ზიანი,
დაიბინდენ ზრახვები,
მაგრამ თვალცრემლიანი
არვის დაენახვები.

არვის ეტყვი საყვედურს,
მაგრამ გახსოვს, იცოდე,
ხელი იმ წამების დროს
რომ არ გამოგიწოდეს.

გრძნობა, ბედი, წვალება,
რასაც ძალა ჰქონია,
ყველა უცხო თვალების
სისასტიკე გგონია.

წამი სანთლად იქნება
მღვრიე, ცეცხლის-ტოტება
ო, რა მწარე იქნება
ღელვათ გაბოროტება.

როგორ ებრძოდენ
ზარებს ზარები

ეს მე ვარ, ქარი, ეს მე ვარ ქარი,
დავჰქრიავარ ბარად, ვოცნებობ მზეზე...
ერთმეორ ფერი ყვითელ არეებს...
მე დაჭრილი ვარ, როგორც აფთარი.
აცივდა გარედ, დაცვივდა ფარჩა,
აწვიმდა ყველგან, შაამთა მიზეზი:
მანტიით მხრებზე, თეთრი გვირგვინით,
ელვარე გზებით მოდის ზამთარი!
დამჭრეს! ეს მე ვარ! ეს მე ვარ ქარი,
გამიღეთ კარი, გამიღეთ ჩქარა!
მე მომდევს ცივი საშინელება,
მე მომდევს ჩემი ცოდვილი გული;
ჩემთვის უცხოა სითეთრის რკალი
და ნათელივით არის აშკარა,
იუდას სახე, კაენის ლანდი
და ღამეების შავი გუგუნი,
მოდის ზამთარი, მოდის სიცივე,

მოდის სიკვდილი... ჰეი, ლურჯა რაშო,
მედგრად, კივილით მოედე ტყეებს...
უსწორო იყოს შენი ავდარი,
შენთვის სამოთხედ გადაიშლება
ღამე უვნებო და ურიჟრაჟო,
ეს მე ვარ, მე ვარ, ეს მე ვარ ქარი...
მე დაჭრილი ვარ, როგორც აფთარი.
მე ისევ მიყვარს დაღლილთა ცრემლი
და ბრძოლა, ბრძოლა მოუსვენარი,
ქარიშხლიანი მეხი დაჭელვა,
რისხვით მრისხანე ტალღებთან შებმა,
ყელამდე მოსულ ვარდების გროვა
და დამსხვრეული სწორი კენარი;
სხვა სიყვარულის მოგონებები,
დაე ალმინთონ მოგონებებმა.
სანამდე დროშებს ეძებდა თვალი,
დროშები ქარში გაშალეს უცებ!
დღითა და ღამით, დღითა და ღამით,
გრგვინვით ებრძოდენ ზარებს ზარები.
მოსკდა კიდეებს, გასცდა ნაპირებს
და გრიგალივით მოედო ქუჩებს,
სისხლის, ტალახის, ცეცხლის და წყალის
ზვირთი ყველაფერს ნაზიარები,
იდუმალ ფიქრთა ჯაჭვ-აწყვეტილი,
აღელვებული მორევის ქაფი,
არეულ ჯურღმულთ აღმოჩინებით,
სავსე საზარლად მცურავი მკვდრებით
მოედო ქალაქს, მოედო სოფლებს,
ისევ მონახა ბნელი სარდაფი.
შებოჭა ერთი მძლეველი ძალით
და გადალეკა აღფრთოვანებით.
დაეცა კრემლი! და ნაფოტებათ
იქცა წარსულთა ტანჯვათ მიზეზი.
მე ვალმიხდილი ისევე ველი,
როგორ მოყვება ავდარს ავდარი.
ეს მე ვარ, მე ვარ, ეს მე ვარ ქარი,
ვისვენებ ახლა, ვოცნებობ მზეზე.
ერთმევა ფერი ყვითელ არეებს
და მოკლული ვარ, როგორც აფთარი.

1917 წ.

ქარი არხევდა იტალიანურ შოგბის ხეს ტრიპოლისში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდის ახალი წელი,
თოვლით მოსილი ღამე,
მიწას ედება ცელი
ფანტასტიური რამე...

ღამით ფერდობებს ფიქრის
ესხა ღვარი და თქეში,
აწ პროპელლერი მიჰქრის
და დუმილია ტყეში.

ამოზიდულო დილა.
მკრთალო დღიურო მთვარე!
ლურჯად ელვარებს სილა,
გაყინულია მხარე.

მე მეზმანება პალმა,
შობის ხეებში რგული,
ერთმა ბოროტმა რკალმა
მაზედ დაჰკიდა გული.

იგი ხე არის თალხის
მწარე მირონის ცხება,
მშვიდობიანი ხალხის
მასზე ჰკიდია წყება.

გაწყდა მრავალი ტომი,
გული რკინის და თუჯის,
მოდის მსოფლიო ომი
და კანონადა ქუჩის.

მოდის მედგარი გრდემლი
ცეცხლით, ტყვიით და რღვევით.
ვის არ უგრძვნია ცრემლი
შობის ხეების რხევით?

მიწა მოიცო ალმა,
თოვლიც მოვიდა თეთრი.
ფანტასტიური პალმა
დგას შემკობილი ცხედრით.

სული ომებით ბოდავს,
სული სავსეა სისხლით,
კაცთა თვითეულ ცოდვას
ითვლის თვითეულ მისხლით.

რა საჭიროა თალხი,
თუ უგულოდ და ძალათ
მშვიდობიანი ხალხი
დაემსგავსება ჯალათს?

ვისაც უნახავს ნისლი
და არ ჰქონია სახლი,
მას გულიდან ჰჩქეფს სისხლი
და სისხლს ულოკავს ძაღლი.

გაფითრებულო დილა,
გაფითრებულო მთებო,
ცას გადასცილდა ლილა
და ნისლიანი თებო.

ძარი, ამწევი ფარდის

სიკვდილის პირად ოდეს ვიქნები,
მე ჩემს დემონებს
ვსთხოვ, რომ დახურონ ყველა წიგნები,
სადაც არა ერთს გავიხსენებ ნანგრევ შენობას.
მათ მხოლოდ ერთი ასწიონ ფარდა
მზის დამფარავი,
სადაც შენს იქით, სადაც შენს გარდა
არ სჩანს არავინ.
ერთი წამია ნგრევის შეგნება,
წამი ღვარული,
იქ სიბრალული სულს არ ექნება
არც სიყვარული.
გონება ჩუმობს და ჯადოს ილეკს,
სხივს მომაკრძალებს,
მხოლოდ შორეულ თოვლიან ბილიკს
მივაპყრობ თვალებს.

მღვრიე ქუჩები, ხიდეები,
ნისლი, ზარები
ჩემს დაფიქრებას ხმაურობით
ფარავენ მარად;
ისტიოზავრის გაღვიძებას
ესადარები,
ოდეს ქარები გრიალებენ:
მსოფლიო, წყნარად!
თმაგაწეწილი ორატორის
მძაფრი ძახილი
მიეშურება აღელვების
ზღვად და სამუმად.
ჯერ არნახული, ჯერ ართქმული,
ჯერარსმენილი
ხმით გუგუნებენ მოედნები:
მსოფლიო, ჩუ'ად!
ხმა იყოლიებს ტრიბუნებზე
ამართულ ლანდებს,
უეცრად მასის გადარევა
ელვაზე ჩქარა
შესძრავს პეტერბურგს, ასწევს ლავრებს,
მანიფესტანტებს.
აღფრთოვანება, გაგიჟება,
წყევლა, მუქარა
ჩემს თვალწინ მიდის შეღამების
ელიზიუმად...
წყნარად, მსოფლიო! წინ, მსოფლიო!
მსოფლიო, ჩუმად!

ლუარჯა ცხენები

როგორც ნისლის ნამქერი, ჩამავალ მზით ნაფერი,
ელვარებდა ნაპირი სამუდამო მხარეში!
არ სჩანდა შენაპირი, ვერ ვნახე ვერაფერი,
ცივ და მიუსაფარი მდუმარების გარეშე.
მდუმარების გარეშე და სიცივის თარეშში
სამუდამო მხარეში მხოლოდ სიმწუხარეა!
ცეცხლი არ კრთის თვალებში, წევხარ ცივ სამარეში,
წევხარ ცივ სამარეში და არც სულს უხარია.

შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით
უსულდგმულო დღეები რბიან, მიიჩქარიან!
სიზმარიან ჩვენებით—ჩემი ლურჯა ცხენებით
ჩემთან მოესვენებით! ყველანი აქ არიან!
იჩქარიან წამები, მე კი არ მენანება:
ცრემლით არ ინამება სამუდამო ბალიში;
გაქრა ვნება-წამება—როგორც ღამის ზმანება,
ვით სულის ხმოვანება ლოცვის სიმხურვალეში.
ვით ცეცხლის ხეტიალი, როგორც ბედის ტრიალი,
ჩქარი გრგვინვა-გრიალით ქრიან ლურჯა ცხენები!
ყვავილნი არ არიან, არც შვება-სიზმარია!
ეხლა კი სამარეა შენი განსასვენები!
რომელი ცნობს შენს სახეს, ან ვინ იტყვის შენს სახელს?
ვინ გაიგებს შენს ძახილს, ძახილს ვინ დაიჯერებს?
ვერავინ განუგეშებს საოცრების უბეში,
სძინავთ ბნელ ხვეულებში გამოუცნობ ქიმერებს!
მხოლოდ შუქთა კამარა ვერაფერმა დაფარა:
მშრალ რიცხვების ამარა უდაბნოში ღელდება!
შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით
უსულდგმულო დღეები ჩნდება და ქვესკნელდება.
მხოლოდ ნისლის თარეშში, სამუდამო მხარეში
ზევით თუ სამარეში, წყევლით შენაჩვენები,
როგორც ზღვის ხეტიალი, როგორც ბედის ტრიალი,
ჩქარი გრგვინვა-გრიალით ქრიან ლურჯა ცხენები!

მთაწმინდის მთვარე

ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი!
მდუმარებით შემოსილი შეღამების ქნარი,
ქროლვით იწვევს ცისფერ ლანდებს და ხეებში აქსოვს...
ასე ჩუმი, ასე ნაზი ჯერ ცა მე არ მახსოვს!
მთვარე თითქო ზამბახია შუქთა მკრთალი მძივით
და მის შუქში გახვეული მსუბუქ სიზმარივით
მოჩანს მტკვარი და მეტეხი თეთრად მოელვარე,
ოჰ! არასდროს არ შობილა ასე ნაზი მთვარე!
აქ ჩემს ახლო მოხუცის ლანდს სძინავს მეფურ ძილით,
აქ მწუხარე სასაფლაოს ვარდით და გვირილით
ეფინება ვარსკვლავების კრთომა მხიარული,
ბარათაშვილს აქ უყვარდა ობლად სიარული...

და მეც მოვკვდე სიმღერებში ტბის სევდიან გედათ,
ოღონდ ვთქვა თუ ღამემ სულში როგორ ჩაიხედა,
თუ სიზმარმა ვით შეისხა ციდან ცამდე ფრთები,
და გაშალა ოცნებათა ლურჯი იალქნები,—
თუ სიკვდილის სიახლოვე როგორ ასხვაფერებს
მომაკვდავი გედის ჰანგთა ვარდებს და ჩანჩქერებს,
თუ როგორ ვგრძნობ, რომ სულისთვის, ამ ზღვამ რომ აღზარდა,
სიკვდილის გზა არ-რა არის ვარდისფერ გზის გარდა.
რომ ამ გზაზე ზღაპარია მგოსანთ სითამამე,
რომ არასდროს არ ყოფილა ასე ჩუმი ღამე,
რომ, აჩრდილნო, მე თქვენს ახლო სიკვდილს ვეგებები,—
რომ მეფე ვარ და პოეტი, და სიმღერით ვკვდები,—
რომ წაყვება საუკუნეს თქვენთან ჩემი ქნარი...
ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი!

1915 წ.

ეს მშობლიური ქარია

I

შავმა ნისლმა დანისლა
მთები დაღესტანისა,
აიმართენ კოშკები
ცისა და ნესტანისა.
გახსოვს? ტოტი ქარისა
აქანებდა მთვარესა...
„ნეტა ეხლა სადა ხარ
და რომელსა მხარესა“.
მგლოვიარე ბინდებით
იბურება ყვარელი,
ვაზით და სიმინდებით
მიდის გზა საყვარელი,
სჩანს შორეულ ჩრდილების
კიდეებზე მონთება
და ომ გადახდილების
ოხვრა მომაგონდება.
შავმა ნისლმა დანისლა
მთები დაღესტანისა
ეცემიან კოშკები
ცისა და ნესტანისა:

II

ეს მშობლიური ქარია,
ეს სოფელია მძინარე.
არ ვიცი, რად მიხარია
ვაზი, ყანები, მდინარე.
დღემ ნისლი შემოიხვია,
გზაც სიარულმა დალია
ის—ძველისძველი ციხეა,
იქ კიდევ წინანდალია.
წინანდალს ვაზი აშვენებს,
ახმეტას—ვაშლი წითელი
როგორ რთავს, როგორ აშენებს
აკიდოების მკიდელი.
იქ ტუეა მთვარით ქსოვილი,
ვით ლოენგრინეს სიზმარი,
ლაჟვარდით გადათოვილი
და ვერცხლით ნათილისმარი.

III

შუქი გაიშალა,
წყალი დაიფერა,
სიო დაიბერა,
ჩალა გაიჩალა.
სიზმარს აბარია
ველი შენაფერი...
ეხლა ყველაფერი
ოქროს ზღაპარია.
არც ხმა, არც ჩურჩული,
ბინა—მინაგნები,
თვალებ-დალურჯული
თრთიან იალქნები.
ძილი მეგონება
უცებ ქაოსიდან,
მთვარემ ამოზიდა
ლურჯი მოგონება.

აგვისტო, 1922

კახეთის მთვარე

ცა ვარსკვლავების ჭიქით
გადაფარული არის—
აი, ტყეების იქით
მოსჩანს ბუნაგი მთვარის.

ჩვენ მივდიოდით მთაში,
ვერხვი ღელავდა კოხტა,
სულ დაგვავიწყდა მაშინ,
რაც წინალამით მოხდა.

გრძნობა, პირველი ტემა...
გრძნობა პირველი დღისით,
მოგონებები ჩემი,
მოგონებები სხვისი.

გრძნობა, ცხოვრება ზღვაა...
გრძნობა, იცვლება მხარე,
მთვარე კახეთში სხვაა,
სხვაა ტფილისში მთვარე.

ალაზანთან

მთვარეში შავი შრიალებს ჩალა.
შავი ლეჩაქი დაეცა შარებს.
დამშვიდდი. სძინავს ალაზნის კარებს
მთვარეში შავი შრიალებს ჩალა.
შენს მოგონებას, როგორც ეს ჭალა
მთების დუმილი ამინანქარებს.
მთვარეში შავი შრიალებს ჩალა
შავი ლეჩაქი დაეცა შარებს.
დამშვიდდი. ტალღებს მიანდე ნავი
რაც დაიკარგა, ის აღარ მოვა.
აქვითინების დრო მერე მოვა.
დამშვიდდი. ტალღებს მიანდე ნავი
განწირულებას არ მისცე თავი
არ მოიზიდო ცრემლების თოვა.
დამშვიდდი. ტალღებს მიანდე ნავი.
ის—დაიღუპა. ის—აღარ მოვა.

მივდიოდით ალაზნის ველად

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაფიქრებული მივდიოდით ალაზნის ველად
და აი თვალწინ გადიშალა ლურჯი იორი:
მიეშურება ველთა შორის გაწოლილ გველად—
უფრო დიადი არ მინახავს რამ მაგიერი;
მაგრამ შვენებათ ციურთათვის მე არ მეცალა,
ვეშურებოდი თელავისაკენ, რომ გაძარცული
ციხეკოშკიდან საბურავი გადამეცალა
და ნანგრევებში დამენახა ჩვენი წარსული.
ვხეტიალობდი მთელი ღამე განწირულებით
ჩუქურთმა თითქო სიძველეთა იყო ხუნდები.
შორით მოსჩანდა დაღესტანი ნისლის ქულებით,
სამი დღის შემდეგ ისევ ტფილისს დავუბრუნდები.

* * *

წინანდალელი ნათელა
ულამაზესი ქალია.
ო, ჩემო ციცინათელა,
ჩემო ციხე და გალია.
მთელი საღამო შევჯერდი:
რა არის ქალის სინაზე,
მაგრამ უეცრად შევჩერდი
მშვენიერ თინათინაზე.
გრწყინავდა საარაკო ცა,
მთვარე დაბრუნდა ბინაზე,
როს შუქმა ღრუბელს აკოცა,
ყველა ქალების ჯინაზე.

მხოლოდ გული...

მხოლოდ გული, ოჰ, გული!
ახსოვს დიდი ხანია,
რომ იქ დღეა ორგული
და იქ ალაზანია.
მხოლოდ გრძნობამ, ოჰ, გრძნობა.
მოგონება შორისა—
ოცდ ორი აგვისტო
ცხრაას—ოცდაორისა!

გახედე: კახეთი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახედე: კახეთი! დამსკდარა ატამი.
რა მალე მოვიდა აგვისტოს პირველი.
გარეულ ჭალებში ტრიალებს ქათამი,
ჭაობში იხვია მოწყენით მზირველი.
პირველ სექტემბრიდან სასარაკ, სავათა.
იქ თმაზე მეტია გნოლი და კაკაბი
თხუთმეტი: ახალი იმედის სათავე
სადაც კი ნისლია და ტყეა საკაფი
თოფის ხმა, კივილი სისწრაფით მტევარი.
„დაეწი, ალბორა“ და მიჰქრის მწევარი.
ალაზნის ველი სჩანს. დილაა მზიანი.
გარშემო ბურია ღამენათევარი.

თეთრი პელიკანი

გადმოფრენას ეს ყორანი
მადათოვზე აპირებს
გაანათებს რესტორანი
ტივებიან ნაპირებს.
ასე მიდის ეს ზამთარი
სიზმარივით მდევარი,
ასე რეკავს საზანდარი
უქმი შემაქცევარი.
რომ ისმოდეს საადათნოვას
დაჟანგული ჰანგები
მიეთოვოს, მოეთოვოს
კედლებს ფარშავანგები,
სული ტირის და როს ნანას
კოჭლო საჰაკ, ჰპირდები
დაანებე ფიროსმანას
სევდიანი ტვირთები,
რომ წავიდეს ეს ზამთარი
სიზმარივით მდევარი,
რომ რეკავდეს საზანდარი
უქმი შემაქცევარი.
ოცნებაო, ჩემო ძველო,
ვართ ღამეთა მთეველი.
კიდევ ბევრი სადღეგრძელო
დაგვრჩა დაულეველი.

საღამო

„ახლა ასეთი სიმართლეც კი არვის აშინებს,“—
მხრების აწევით ამბობს ქალი და მიუთითებს
სასაფლაოზე დაფენილი ვარდების წყებას—
შავებით მოსილ ქალთა შორის დაცემულ ძალებს.

ქალ-ვაჟი რაღაც იდუმალად უცქერს ერთმანეთს
უცხო ენაზე ლაპარაკობს ლამაზი ქალი.
„ილაპარაკეთ, მე თქვენა გთხოვთ, ეხლა ქართულად!“
„მე ისედაც ბევრს ვლაპარაკობ ასე მგონია.

ასე მგონია, შეგაწყინეთ კიდეევაც თავი.“
„არა მე თქვენთან საუბარი არ მომწყინდება“.
„ნუ თუ თქვენ ეხლა შეგიძლიათ გულდამშვიდებით,
საუბრის სმენა? განა ეხლა ასეთი დროა?“

„მე გიგდებთ ყურს, თუნდ მთელი დღე და მთელი ღამე...
მე გიგდებდი ყურს თვეობით და წელიწადობით—
ილაპარაკეთ, გევედრებით.—ოღონდ ქართულად...
ოღონდ ქართულად ილაპარაკეთ“...

სანთელი

ღამის ნათელში, მტვერში, მთვარეში,
მიყვარდა სულის შეხება შენი,
თბილისის დაღლილ ქარის თარეში,
კოშკები ძველად ნაგებ-ნაშენი.

მსუბუქი ალით გზებს ეკიდება
ტალღები ნელი და სურნელება,
მე მახსოვს შენი ძველი დიდება
და განშორება აწ მეძნელება.

ყოველდღე მოდის ახალი ტალღა
მყვირალა, სუსტი და დღეევანდელი,
და დროშასავით მე მიმაქვს მაღლა
სანთელი... შენი სული, სანთელი.

1915

ტფილისი

ქალაქზე ნელმა ალმა იფეთქა,
სახლებზე ადის ფერადი ბოლი
და კიბეებზე ვით ვინიეტკა
დაფენილია დაფნის ფოთოლი.
ჩნდება სინათლის ჩქარი ქაფები
გზებზე ქარივით მოქარავანე
და აიმართენ ვით ჟირაფები
მთა არსენალის და მთა საკანე.
სიონი ჩემი ნათელს დამათოვს,
მტკვარიც დაანთებს ნათელ ხარებას,
ათოვს ხიდეებს, ათოვს მადათოვს,
ათოვს ზმანებებს და მუხარებას.
და მესიზმრები შენ, ვისაც ქერა
სამოსი გმოსავს სნეულ ოცნებით
და არ მშორდება ღვთისმშობლის ცქერა
სავსე ქართული პატიოსნებით.
შემდეგ არაა არსად ახალი
ცა-ოკეანე, მთვარე-ნაფოტი,
ტფილისი ჩემთვის არის მაღალი
გილიოტინა და ეშაფოტი.
ნერონის ცეცხლზე იფიქრო კაცმა
მადონას გწვავდეს მზე უვედრები.
და განიცადო ასეთი ჯვარცმა
უბედურება, რღვევა, ცხედრები.
დახავსებული კარებით შევლა
სად ყვავილების ჩუმია შფოთი
და განიცადო ასეთი წყევლა:
გილიოტინა და ეშაფოტი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისის ზეცა მოწამეა

ტფილისის ზეცა მოწამეა იმ შეკრთომისა.
იყო ახალი ქროლვის ფერები
იყო გრიგალი ადრიანი შემოდგომისა
და შემოდგომის ჩალის ღერები.
გადაიჩეხა ქაოსებში მშვიდი ბუნება
უეცრად შეკრთა ღამე კივილით
გასწიე! ფიქრებს არაფერი ესალბუნება
დამშვიდობების გულისტკივილით.

ქრონიკა ერთი დღის

თოვლქუაპიანი ქარი,
სამი სიკვდილი—ღამის,
სადღაც ხმაურობს მტკვარი,
აი პორტრეტი სამის.
გზები ცივი და სველი
ელექტრონების შხამი
მიწერ-მოწერა ძველი
და უბედური წამი.
დღის არ გეღირსა ნახვა.
უდაბურება. სისხლი.
მწარე წელიწადს გაყვა
ხედმეტ ცხოვრების ნისლი.

ალვანზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუვიწყართა დღეთა თილისმა!
ბალში მოსილში ჩვენი ფანტაზმით
კოჯრით დააქროლა ქარმა დილისმა.

აქ მშფოთარებდა გული ხანდაზმით
როს ხმა მესმოდა ჩანგთა ელერისა
დრო მოწვდეხილი შხამიან სასმით.

მითხარი, გულო, რა ფერისაა
ეხლა რომ შავი ჩრდილი ავლია
დავიწყებული ბალი ვერისა?

ბილიკების გზა შემისწავლია
ფოთლები დროსთვის გვიდარებია
ამ ბილიკებით დრონი წავლიან.

ამ სასახლიდან მიტარებია
ფეერიულია მერნის სადავე,
სად არც წვიმაა, არც დარებია.

მანსარდაზე დგას შენი მხატავი
პოეტი, სული ირმიგალისა:
აი, რა არის თავი და თავი!

•

ოპერის თეატრთან

იყო გრიგალი, იყვენ ნგრევანი,
მაინც გადარჩა ჩრდილი ამხელა,
იქ ალარ რეკავს ის შადრევანი,
იმ იდუმალთა მხარეთ გამხელა.
გარინდდა დღეთა გადარხევანი
ოცნებათ, რამაც ასე დამღალა,
ღამით მაღლა დგას ვით ტახტრევანი
ბედმა რომ ტფილისს გადმოახალა.
წავლიან დრონი—მაგრამ ნობათად
დადაღულ გულებს, ღამის ნიავებს
ალერსად ალარ მიუღიავებს.
სადღაა მხარე იმა გრძნობათა?
იქ ერთად-ერთი, გრძნობა შიშველი
ალარ გაჰკივის სარაჯიშვილი!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი მზე

ვარდით ნამებს იტაცებდა ხმირი მზე,
მე ვფიქრობდი ახალგაზრდა ირემზე,
შენს ნათელზე ვოცნებობდი, პირიმზე,
გულში ცეცხლი ელვარებად იქნება,

სადაც ჰყრია დამსხვრეული ლოდები,
რომ მიჰფინოს სვეტს დაფნების ფოთოლი,
სადაც ღელავს ნიმფა და ასფოდელი,
ახალი მზე სურვილს გადეწიგნება.

აი, რა მზის სიზმარია

აი, რა მზის სიზმარია
ირევი ივერია...
აი დროშა, აშორდია,
ჰაერების სიბერეა.

მეტეხი იდგა რუხი, პიტალო

ცა—დასავლეთი აღვივებდა ღრუბელთა ღუმელს—
მეტეხი იდგა რუხი, პიტალო.
შემოდგომის დღე მისცემოდა უსაზღვრო დუმილს—
მთაწმინდა—მშვიდი და მოყვითალო.
წიგნის გვერდები ჩამოშლილი და არეული
ინახავს ამ დღეს ჩუმი, ცბიერი.
მასში მარხია მოჩვენება სიზმარეული,
სული შეშლილი და ბედნიერი.

უცნობი ქუჩის დასასრულთან

უცნობი ქუჩის დასასრულთან მკვნესარ სიმებით
ძლივს ჩურჩულებენ მშვიდი ბაგენი,
შემოდგომის დღეს ვუპასუხებ მე გაღიმებით,
უნაზეს ბაგეს აქ მივაგენი.
ჩემი ოცნება შენ გეკუთვნის. მინდა ნუგეში,
გაქრა სიზმრები იმ მწარე დღეთა.
რამდენი მახსოვს სიხარული აქ, დიდუბეში
რამდენი მზე და სასოწარკვეთა.

მთაწმინდის იქით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთაწმინდის იქით დასისხლულმა მზემ ბინა ჰპოვა
არ არის შველა. ბნელი ჩრდილები
მრავლდება, როგორც სიბნელეში დინგების გროვა
შავი და ჩუმი დღის ყვავილები,
თვითონ მსოფლიოს მწუხარება აქ შედარებით,
მხოლოდ ლანდი და მხოლოდ ჩრდილია,
მოშხამულ სინდისს ეფარება მკვლელ ნეტარებით
მსუბუქი ოხვრა და იდილია.

15 საუკუნე

შენი სიბერე,
სიახლე ორბის,
15 საუკუნე
ელოდა წინამორბედს.
15 საუკუნე
გიკლავდა დღეისს,
ქალაქო ფენიქსო,
ყრუ ღამეები
ვარფოლომეის.
15 საუკუნე
ჯვარზე გაკრული
თითქო განგებით
ჯალალ-ედინებით,
თემურლენგებით.
15 საუკუნე
ხსოვნას აზარებს
ზღვა არაბების
სკვითი, ბერძენი,
ცვლიდენ ხაზარებს.
შენ ოცდაათჯერ
გადაცდი იმ ფონს,
სწვავდი ხიდეებს
ცვლიდი რუბიკონს
შენს სისხლიან თასს
ლიდაც შაჰ-აბას
და ვერ დასცალა.
აწ აღსადგენად
მოვა სხვა ძალა!

*
* *

როცა დაეცა შური ბინდისა,
დამძიმებული მუქი ხავერდით
ამართულიყო ის მთაწმინდაზე
სიკვდილის გვერდით.
სვამდა ამ წვიმას მრავალი თესლი,
რომ გაზაფხულზე ყვავილთა ველათ
ამოსულიყო ზღვა ულეველი,
ახალ მთესველათ.

ადრიანი გაზაფხული

როგორც შეოქმულებს, ჩვენ არ გვაშინებს,
რომ არ ეტყობათ რტოებს რტოობა.
სულს დიდი ხნიდან აშალაშინებს
სხვა მარტოობა.
გაზაფხულია მაინც ასეთი,
კეთილი, როგორც კარგი ხარება
ახალგაზრდობით მოკისკასეთი
ახარხარება.
მალე გადნება ყინული ლოდის,
მტკვარი ღრიალებს ტიეების ტევით
ამოდის მთვარე... ჰეი, ვინ მოდის?
ხელები ზევით!

*
* *

სდგას ხეივანი სასახლის წინ. მთვარიან ღამით
მას აგონდება დამსხვრეულთა დროთა რხევანი,
ადამიანთა ტალღა მიდის, წამითი-წამით.
ომები, ჯარი, ავსებული სხვადასხვა შხამით,
სხვადასხვა მხრიდან მოგონებათ სცემს შადრევანი,
მაგრამ მას ახსოვს: დაიბეწყა ღამის თევანი,
მოვიდა ქალი ცისფერ ლიფით, თვალებზე ნამით
და მასზე ფიქრში მთვარეული წამოსასხამით
სდგას ხეივანი.
გაშლილი თმები. მწუხარება გრძელი წამწამით
უეცრად შემკრთალ შუალამის—მლვრიე მტევანი.
„მკაცრო დღეებო, ამბობდა ის, თქვენ გამაწამეთ“...
სდუმს ხეივანი.

ტფილისს სძინავს მძიმე ძილით

ტფილისს სძინავს მძიმე ძილით,
მხოლოდ მტკვარი ხმაურობს
ვარსკვლავების თეთრი თრთოლვით
ქარს სურს გვამოგზაუროს
და ჭრიჭინა ჰაერს ბზარავს.
მკათათვეა. ლანდები.
არც ვოცნებობ, არც არავის
ზრუნვას ვუგვიანდები.
სულში კოშკი არ შენდება,
ეხლა აღარც ღმერთია
საცა არის გათენდება:
ყველაფერი ერთია.

ქაქლის ხე მთაწმინდაზე

თითქო დაეშვა შავი ფარდები,
ღამის წყვდიადში ისე მწარდები.
ცივია გული? არ შეუყვარდი?
არაფერია, შეუყვარდები.
თითქო რაიმეს ნიშნავს რომ ბნელი
ღამით იმავე მეგობარს ელი
არაფერია, არაფერია —
მოვა სხვა, უფრო დაუძლეველი.
წარსულზე ოხვრას რისთვის უნდება
ყოველი დღე და შებინდბუნდება?
თითქო ბერდები? არაფერია!
ათასი წლისაც არ დაბერდები.

* * *

დღეს მაისი ფერში ნაირ-ნაირშია
თუ დრო არის, დროს ისევ შენ შეფერი.
და ვით ქრისტემ გალილეა აირჩია,
მე ტფილისი ავირჩიე ბებერი.

მაგრამ ქრისტეს გოლგოთა ხვდა წილადა,
მე კი ჩვენი დამიფარავს მთაწმიდა.
მანდილი სჩანს ისევ იმ მანდილათა:
შხამსაც შევსვამ შენგნით მოწვდილ სასმითა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირიმზე

დავიწყებული ჭიშკრის კარებზე
ხავსი, ყავრები და წვიმის წვეთი!
გაქრა ათასი თეთრი დარბაზი,
გადარჩა მხოლოდ ცამეტი სვეტი.

კუბო კი ღამით სავსეა იით
და წაქცეული სვეტები დგება:
ამოდის მთვარე და სამაიით
ფერმკრთალ ქალების მიმოდის წყება.

ცეკვავს სამეფოდ ნაქარგი ქოში
და ხელსახოცთა ქრიან ზღაპრები
და მეძახიან მშვიდ სამეფოში
მთები, სიზმრები და წინაპრები.

დილით დამჭკნარი არის ბალახი...
ზედიზედ ისევ ეცემა სვეტი.
გაიყვეს ძმებმა მოხუცი ბაღი
და მწუხარება დამრჩა ასეთი.

უნაზესი ხელნაწერი

როცა დიდი ხნით დახურული გავხსენი ყუთი—
ძველ ბარათებში ალარ იყო სიახლე ძველი,
მხოლოდ ზაფხულის სურნელება ვიგრძენ სათუთ
და შემოდგომის სიახლოვე ბურუს-დამსხმელი.

აქ მეთორმეტე საუკუნის მძიმე წიგნები
ყვითელ ქაღალდზე დაღალული ხელით ნაწერი!
ვიცი: მე მათთან მორევიან ნისლში ვიქნები,
როგორც ავდარში შუქი მკრთალი და ალმაცერი.

გაჰქრენ ძვირფასი ანბანები: „ჩვენი ქვეყანა
მშვენი თვინიერ, ჰოი, ზღუათა და ხმელთა ზედა“,
მათში მარტოდენ ჩაქსოვილა მძინარე ნანა
ალმოუთქმელთა მწუხარებათ და სინაზეთა.

სერაფიმის ფრთა, სევდიანი ჩემი სანთელი
ამ ბარათებზე საუკუნო ალად ენთება!
გადივლის თვალწინ დროთა ბნელი კორიანტელი
ჩუმად ვმლი ფურცლებს, სარკეებში ჩუმად თენდება.

ზღაპარი

მდინარის პირას ხეივანში ყოველ საღამოს
ორი ქალწული მემორეევე ჩრდილად გახდება,
ისინი ჩუმად გადიხდიან ლეჩაქთა სამოსს,
თვითონ მდინარეც და დუმილიც გალეჩაქდება.
ტყის პირად სხედან ნაზნი, წარბებ-გადახატული
და თავს ადგანან თავადები ნაბდიანები.
ეცემა თმები ლურჯ სარკეებს, ვით ნაკადული;
სჩანს, სასიკვდილოდ ამ სიყვარულს არ ვენანები!

იშლებიან ყანები

მოფენილი ქალებით,
სავსე იდუმალებით,
ქარვად მონაზმანები,
სივრცით დანათავები
იშლებიან ყანები,
როგორც ვეფხვის ტყავები.
სამხრეთივით ვნებიან
მხარეს ეშურებიან
ჭაობების იხვები,
სიმაღლეებს მიყვება
ფიქრი, ოქროს ნავებით.

პირიმზეს

მთელი ღამე ერთი ოხვრა ექსპრესის.
გახედავ: ძველი ციხე-ტაძრები
გაბზარულ ზარში არავინ კვნესის:
ეს ქარი ჰკივის და იკაწრება.
დილით სერებზე მივდივართ ცხენით,
აქ ვერ მიატანს ზარი ტრამვაის
მე სიხარულით და გულის ტკენით
ვემშვიდობები მშვენიერ მაისს.
მთებზე ნისლები არის ფენილი,
და ყვავილები თვითეულ სიმზე
სიზმრები ასე აუხდენელი
და მწუხარება შენი, პირიმზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაგვი

თან მიმყოლი ჩრდილები, აუხსნელი ქარაგმი,
სადაც მწვანე ველია და მჭუხარე არაგვი.
სადაც მოკლულ ოცნებით ღიმილისთვის ჩავედი,
სადაც ხევსურეთია, თუშეთი და ფშავეთი.
ერთხელ შვიდ წელიწადში შენი ცა გაიხსნება,
რასაც მაშინ ისურვებ—ყველაფერი იქნება.
გარინდდება მდინარე (ეს არაგვი, ზმანება),
ყველაფერი უცნაურ მოსვლას დაეგვანება.

გამოსალმება

პირიმზე, რისთვის ჩაფიქრებულხარ,
პირიმზე, ჩრდილი რაზედ გფენია?
მტკვარო, შენ მაინც მითხარ, რას სწუხარ
შენ მაინც რაზედ მოგიწყენია?
ნუ თუ გგონიათ რომ ჩემი გული
ეხლა სავსეა მწამვლელ გრძნობებით?
რომ ვერასდროს კვლავ ვეღარ გიხილავთ
და სამუდამოდ გემშვიდობებით?
დამშვიდდით! მუდამ თქვენთან იქნება
ჩემი სიმღერა და წრფელი ნანა
შემოგწირავდით ერთად ყველაფერს
მაგრამ სხვა რაა სიმღერისთანა?

1910 წ.

ზღაპრებიდან

ქართული ოდის აივნის გვერდით
მე მახსოვს მუხა,
მუხიდან ტყისკენ ბილიკი ფერდათ
ვერხვები სწუხან.

ტყიდან ოდისკენ ბილიკი მოდის
ახლოა მოლი.
ამოდის მთვარე, და ძველი ოდის
იშლება ზოლი.

სდგას აივანზე ლამაზი ქალი:
მოწყენით ნუ ხარ.
ტყე შრიალებდა—იყო ტყის ძალი,
შრიალებს მუხა.

პირიმზე, ჰაა? ხედავ, პირიმზე!
ამოდის მთვარე.
ტყე განათლდება ქედზე, ირემზე,
ვერცხლდება არე.

რა საოცარი, რა საუცხოვო
ღამეა, გესმის?
ვერხვის შრიალი ამო და უცხო,
შრიალი გესმის?

ო, ვარსკვლავებო, ო, თეთრო მთვარევ,
მამა და დედა,
გესმისთ თუ არა ჩემი მწუხარე
ოხვრა დღეზედა?

ო, დამიბრუნე მე ჩემი გული
მშფოთარე ქარო,
ჩემო მძლავრო ძმავ, შენი ერთგული
ვიქნები მარად.

ო, გაიგონეთ ჩემი წუხილი
ვარდებში რგული,
ო, დამიბრუნეთ საბრალო გული,
მოკლული გული,

აღმოსავლეთო და დასავლეთო
ზღვებო, მიწებო,
შენ სამხრეთო და შენც ჩრდილოეთო
ჩემო ბიძებო.

ხედავთ თუ არა წამებას ჩემსას?
დაღლილ თვალებით.
ო, შემიცოდეთ, ო, შემიცოდეთ.
არ გებრალებით?

ოკეანენო, მდინარევ, ზღვებო,
შორო და ახლო
მოსიყვარულე ნათესავებო,
მე მინდა ვნახო...

ველმინდვრებისა და მთების ზოლო,
ველი ნელებას.
მომეცით გული, მოეღოს ბოლო
საშინელებას.
სნეული ვერხვი ოხრავს,
სნეული, სნეული ვერხვი.

საღამო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთის გაგიჟებულ ტუებს
ღვიით, ძენძით და ქვიშით,
გრიგალი დააყრუებს
მაცხოვრისადმი შიშით.

და დედოფალი ალვა
ელვამ დაღუნა ცივმა.
ასე გავიდა გვალვა,
ასე მოვიდა წვიმა.

ჯვარი, ლომი და კურო
ფარშავანგების არის.
თვალთა ანგელოსთ შურო,
შენ, ღვთისმშობელო კარის!

ზარით ატეხილ გრიგალს
დავით ნარინის ჯვარი,
მარმარილოთა ფიქალს
გადააფარებს მძლავრი.

ან გაოცებას, რასაც
მარად ანათებს ძელი,
ისევ დაადებს რაზას
შემოღამების ცელი.

ან როგორც ასომთავრულს,
მუდამ შევამჩნევ ცაზე,
სხვისთვის უხილავ—ფარულს
მე რად გელოდი ასე.

ჯვარზე გაკრული ელვა—
ეს ჩემი დაა ლურჯი,
ლურჯ ყვავილების თელვა,
ახალგაზრდობა ურჩი.

ჯვართან მისული სურო,
მარტოობაა ქნარის...
თვალთა ანგელოსთ შურო,
შენ, ღვთისმშობელო კარის!

მამული

ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა
არ გავიარე—რაა მამული!
წინაპართაგან წავიდა ყველა,
სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული.

გაშალა ველი ნელმა ნიავმა
და მელანდება მე მის წიაღში,
მოხუცი მამა, მოხუცი მამა
სასხლავით ხელში დადის ვენახში.

აქ თითო ლერწი და თითო ყლორტი
მასზე ოცნებას დაეგვანება,
ისევ ამწვანდა მდელო და კორდი!
დავდივარ... ვწუხვარ და მენანება!

სერენადა

რად მინდა იგი, ჩემო პირიმზე,
ჩემის ჰანგით თუ ვერ დაგაღონებ?
რად მინდა ქნარი, თუ იმის ხმაში
სამოთხის ჰანგებს ვერ გაგაგონებ?

ან რად მიტაცებს კარგი ოცნება
და გულს ალერსის წყურვილით ავსებს,
თუ ეს ოცნება დაუღალავი
შენც ჩემთან ერთად ვერ აგიტაცებს?

გული სავსეა წყნარი სიმღერით,
სულში ვარსკვლავი ბედის გაბრწყინდა.
ვმღერი, ვით არვის არ უმღერია,
წყურვილსაც მოვკლავ... მაგრამ რად მინდა?

ჭარხალი

ეზოში ყეფდა ბამბურა მურა,
ეზოში მწვანე ყვაოდა ბაო.
ვაზის ბარდებში სცურავდა სურა,
შენ ბანცალებდი, ბურულო ცაო.
ბობრი ბელავდა კახამბალს, ჟოლას,
ბირკვილს ბატები ქარმა მ ორეკა,
ცა წამოიწყებს მსხვილ წვიმის სროლას
და აბლაბუდას კრებს ბობორიკა.
ჟვერი, ჟალტამი! მოჭრილი სამხარს
ნახირი მოდის საღამო დროის,
უცებ მოყვება ჭარხალი ხარხარს
და ქალი ჰკივის იმ „დოი-დოი“-ს.
ეკვეთა ქარი ბურდებსა და რტოს,
უცებ აშფოთდა ისლი, ჩელტები.
ო, სიყმაწვილე! აწი არასდროს
იმგვარად აღარ ამეტყველდები.

არწივებს ჩასძინებოდათ

ჩასძინებოდათ არწივებს,
სთვლემდნენ მუხათა ტოტები
ბნელ ღამეს ააქარცივებს
მკივანი მიკოტები.
არწივებს ჩასძინებოდათ:
ბედი არ სთვლემდა ცბიერი,
შორითშორს ალი ჩნდებოდა,
ცეცხლი გორავდა ძლიერი.
ტყეს ცეცხლი ეკიდებოდა,
როგორც ძნას შემოდგომისას.
არწივებს ჩასძინებოდათ,
სიზმრებს ხედავდნენ ომისას.
ცეცხლი ხავსებით დახალულს
გზებს ალით შემოამძვებს,
იქ გაჩნდა, სადაც დაღალულს
ჩასძინებოდათ არწივებს;
გამოეღვიძათ არწივებს...
ცეცხლი!—შესძახეს წივილით,
ცეცხლი!—მიდამოც გასწივის,
ცეცხლი!—ტყე ამბობს ტკივილით,

არწივებს გაკიდებული
ფრთებს ცეცხლი გადაეყარა,
ფრთებზე ცეცხლ-წაკიდებული,
შორით გაფრინდნენ ვეღარა.
იქვე დაეცნენ სამზირად.
გულს თუმც გაფრენა სწადიან.
დაღლილნი არაგვის პირად
ფრთადაკიდულნი დადიან:
„არწივი ვნახე დაჭრილი
ყვავ-ყორნებს ეომებოდა,
ეწადა ბეჩავს ადგომა,
მაგრამ ვეღარა დგებოდა.“

1916 წ.

ომნიბუსით

ეზოს ახსოვს ყოველ წუთის
შარაგზა და გადაღმა.
ისევ იქ დგას ჩრდილი თუთის,
ცაცხვები კი გადახმა.
და ტირიფიც მაღლარ ტევნით!
სასაცილო ტირიფი.
გადახრილი ზედმიწევნით,
მსუბუქი და ირიბი.
დაფენილი, თითქო ომში,
ფშანია თუ ჟალტამი?
ველად ყრია ლურჯი კომში
და ცისფერი ატამი.
ალუბლები ისევ ქრიან—
სევდიანნი სიონი,
და სახელად რიონს ჰქვიან
ისევ იგი რიონი.
ისევ ჩნდება მწყერით ველი,
ღალღა თვალს ეცეცება.
ღამღამობით მოდის მგელი
და საქონელს ეცემა.
დარჩენილი მინდვრად ჩალა,
დანისლული კოპიტი.
განადგურდა მეფის ჭალა—
ჩრდილი შემოდგომითი.

ომნიბუსო, მახსოვს შენი
შარაგზებზე ჟღარუნი,
ძველი დაბა ახალშენი
და ქვიტკირის წყარონი.
ბარს ედები, ცას ედები,
წყალს, დაღარულს დამბებით
მოგაქვს თეთრი გაზეთები
მუდამ ძველი ამბებით.

1916 წ.

ღვინოს დააბრალებენ

სადაც უნდა მივდიოდე
უცხო ქვეყნად მარები,
უკანასკნელ შვიდიოდე—
წლის თან მომდევს ქარები.
სადაც უნდა შევიარო
ღვინოს დამაძალებენ,
მწუხარება ვერ დავფარო:
ღვინოს დააბრალებენ!
ო, ძვირფასო! ჯვარზე მაგეს,
გაჰქრა გიჟი ოცნება.
ვკოცნი, ვკოცნი მე შენს ბაგეს,
მაგრამ რა მეკოცნება?

ეს მძინარე მთა და ველი

მწუხარება, როგორც გველი
ხშირად გულში გამიარ,
ეს მძინარე მთა და ველი
იყოს მრავალ-ჟამიერ.
შენ მეღვინე, ღვინო გვასვი
თვალს ნუ მიეძინება
ფიქრები გვაქვს ასჯერ-ასი,
როგორც ღრუბლის დინება.
ნუ თუ არსით არის შველა
უჩვევი თუ ჩვეული?
გადღეგრძელოთ, ყველა, ყველა
ამ სუფრაზე წვეული,
მწუხარება, რ-გორც გველი
ხშირად გულში გამიარ,
ეს მძინარე მთა და ველი
იყოს მრავალ-ჟამიერ!

1916 წ.

წერილი სოფლიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომინდა თქვენი სპეტაკი ბინა;
აქ სოფელია, წვიმა, რუტინა.

შემოდგომაა. წვიმამ მოლია
ტყეთა მსუბუქი მელანხოლია.

ზაფხულის დღეთა ის ქაფი ჰქრება
არის ცეცხლის ხმა და ჩაფიქრება:

იშლება თვალწინ ფერადი ნოხი
თქვენთა მშვენიერთ წამწამთა ქოხი.

იმ დარდათ ჩემს გულს ხშირად სწოლია
ტყეთა მსუბუქი მელანხოლია.

არ გებრალებით? მე მქონდა გული
ეხლა ის არის როგორც ყინული.

თქვენ კი ჯერ ისევ მაისს ედრებით,
მომწერეთ რამე, ოჰ, გევედრებით.

ვინ იცის, იქნებ გალხვეს ყინული
ღრმა მწუხარებით შემორკინული.

1915 წ.

შინდისის ბადრეებს

ორო ბადარო, წყვილო ბადარო,
შემო ვეულნო შუქთა ბადრებით
ო, მე არ ვიცი რას შეგადაროთ,
ან უცხოეთში რად მენატრებით?
კვლავ გახვევიათ ოქროს ზეწარი
და შემოდგომის მკრთალი ბლონდები?
მე, უთვისტომო და გარეწარი
თქვენ გაგიხსენებთ და დავღონდები.
თქვენთან რბიოდენ ნათელნი დღენი
ლოცვა ბავშვური, ფერი გედური,
ეხლა რად მესმის შრიალი თქვენი,
როგორც ტირილი და საყვედური?

ალვის ხის გადარჩენა

ო, ალვის ხის შვენება,
ისევ იგი შთენია.
ყოველ დღის გათენება
მისთვის მოსალხენია.

მოდის, ფეთქს და იზრდება
სული მისი მხრჩობელი
ფოთლებს ამეტისტებით
ფარავს შეუცნობელი.

ტბის გულს გადახვევია
მდუმარება ტოტების
ოცნება არ სჩვევია
ქვეყნის გამოცოდების.

არც შხამიან ლანდებათ
უცემს წყალთა გუბება.
ის არ ჭლექიანდება.
ის არ დაიღუპება.

შენ რაღას იტყვი?

ატყდა ვაზების კვირტი
ცრემლის დაგუბდა წყარო.
სწუხდა ლიახვის ზვირთი—
შენ რაღას იტყვი, მტკვარო?

იყო ზვირთების შეხლა,
თერგის ნგრევის და რიხის.
შენ რაღას იტყვი ეხლა,
მთებო, მშობლიურ ლიხის?

მთიდან დაეშვა ღამე
და დაიბინდა მდელო.
შენ მაინც მითხარ რამე
ვრცელო ალაზნის ველო!

თრიალეთიდან ვნახეთ
ღამის მსუბუქი ჭვარტლი,
მე ვეკითხები კახეთს
თუ რაზე ფიქრობს ქართლი.

იქნებ მოისმენს გმინვას
ვინმე ჩუ[illegible]ი და ავი.
ასე დაბინდულ მყინვარს
ზღვა რად შეღელავს შავი.

რაზედ ღრიალებს ფაზი
და ისტორიის ჩრდილის
მზე ეფინება ნაზი
ქუთაისსა და თბილისს.

მაგრამ, თენდება. ყავრად
მთებს ეფინება თებო.
ჩემი სალამი მძლავრო,
კავკასიონის მთებო!

ძველის ძველ ღვინოს

ძველისძველ ღვინოს და მძიმე მტევნებს,
ფეერიულად მკრთოლავ აკიდოს—
სვამს და თავისთვის თვალყურს ადევნებს,
რომ თვალებს ღვინო არ მოაკიდოს,
გამოფხიზლება მისი უდაო
სხვა მოგონ ბებს უტოვებს სირცხვილს,
რადგან წარსულმაც მას დაუტოვა
გადაუხდელთა იმედთა რიცხვი.
არც ვალებს იხდის, და არც უდგება
მევალეებთან ვისმეს თავდებათ,
იმათთვის გ[illegible]ლი არ ეთუთქება
არც ოქროები აუთავდება.

* * *

ო, მეგობრებო, ჩვენი სერობა
იქნებ მომავალს შვ[illegible]ბას მიუტანს?
იქნება ღამის ალმაცერობა,
მე ეხლავ ვამჩნევ ერთგულ იუდას.
ვინ უ[illegible]ებს ბოგემის სუფრას?
ღვინო სტიქიის არის საგანი
ერთი ამ რჩეულ თორმეტთაგანი
სამარადისოდ გაი[illegible]ანს უფროსს.

მივაშუროთ!

სიცოცხლის ჩანგებს მივაშუროთ ისევ თასებით
მრავალ წყურვილთა, გახელებათ გაათასებით.
ტკბილი და მწარე... სულ ერთია... ცეცხლი მაგარი
საქართველოსთვის გრიგალია და ნიაგარი...
მაგრამ ისინიც... ცეცხლი იყო მათი თვალები...
ყველა ისინი მშვენიერნი იყვნენ ქალები!
ვთქვათ ამომსკდარი მიწებიდან ზღვა დარხეული
თასი დღის ხმათა და კვლავ თასი ზამბახეული
ვთქვათ ბრძოლა, ომი, ქარიშხალი, სახლი, ვაგონი,
ჩვენ ვთქვათ რადიო და რენტგენი გამონაგონი,
მაგრამ ისინი... ცეცხლი იყო მათი თვალები...
ყველა ისინი მშვენიერნი იყვნენ ქალები!

დროა

ღვინის გადაჰკარ თასი,
ასი ათასი, ასწი!
ეს ადვილია ვინემ
შველად მოვიდეს ვინმე.
ეს ადვილია უფრო —
ვინემ ღამეა კუპრი,
დროთა სიკვდილი როა;
ასწი, გადაჰკარ, დროა.

იქით ნუში, აქეთ ნუში

იქით ნუში, აქეთ ნუში
დახეთქილი ბროწეული
ისევ ალუჩების ბუში
და ატმების ძოწეული.
გადაუგდე ნიავს ყელი,
სიო მოქრის შებინდების,
მოისმინე წინანდელი
გაჟრჟოლება სიმინდების.
შორით ელავს ჩვენი თეთრი
კოშკის ძველი გალავანი,
წინაპართა ჩვენთა ხვედრი
მათი მიწა და სავანე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავუბრუნდეთ. უნდობარ სულს
თითქო კარი დარაზოდეს
შენ ნუ მკითხავ მაინც წარსულს,
არც მე გკითხავ არასოდეს.

სადღეგრძელო იყოს მისი

სადღეგრძელო იყოს მისი,
ვინც ოცნებით იწოდა,
ვინც პოეტის მარადისი
აღტაცება იცოდა.
მოდიოდა ერთზე ასი,
გზა გვშვენოდა დიდების,
ჩვენ დავცალოთ ყველამ თასი
ბედთან არ დარიდების.
სადღეგრძელო იყოს მისი,
ვინც შიშმა ვერ დაჰხარა.
ავდგეთ ფეხზე! ჩვენ ტფილისი
ვადღეგრძელოთ ჭაღარა.
აქ სიცოცხლე და ხალისი
ვის სხვად არ ესვენება,
სადღეგრძელო იყოს მისი
და დიდებით ხსენება!

ალის თასი

ცეკვავს ქალების დასი,
მთვრალი მუსიკის ჟინით.
ალის მომეცით თასი
სავსე ძლიერი ღვინით.
მე იმ დაღუპულ სულთა
ერთ სადღეგრძელოს ვკივი.
მისას, რომელსაც სძულდა
მშვიდი დღეების ტივი.
იყოს უფსკრულის პირად
სტვენა, გრიგალი, ზარი...
ოჰ, სასტიკია ხშირად
მათი სიცილის ქარი.
ჰიმნი უგონო დღეებს!
აქ იბადება რკალი
უცნობ გენიის ბედი
და განწირული ქალი.

მოდის ჭალების სული მცურავი

შენ არ იგონებ ეზოებს, ფაცხებს,
არ გახსენდება დიდი შარაგზა.
შენ არ დაუწყებ საუბარს ცაცხვებს,
აღარ გაუბამ მთებს ლაპარაკსა.
არ გაგონდება ჩვენი თუთები,
არ გაგონდება ჩვენი ფშანები.
არც შორი სახლი, ნასათუთები,
არც ლრუბლიან დღის კაეშანები.
ტყე, შემოსილი ჩქარი ფშატითა
ჩუმი შრიალი ნეკერჩხალისა
მდინარემ წყალი შემოადიდა,
კოპიტებთან დგას ზვირთი წყალისა:
დაფარულია მთელი მინდორი
თანდათან მღვრიე რიონი მოდის,
მოაქვს ხაბო და ნასიმინდარი,
მოაქვს ამინდი წვიმის და შფოთის,
მოაქვს ხეები, მოაქვს მორები,
მოაქვს ჭალების სული მცურავი
მიუახლოვდა სახლებს მორევი,
მდინარის რისხვა და სამდურავი.

შავი ყორანი

გზა გავიარე... მსურს მოვიხედო
და დავინახო მთისა ქედები—
შავი ყორანი გზაზე მომჩხავის:
„ნუ იხედები... ნუ იხედები!“
გზაზე მივდივარ... მსურს გავარკვიო
გასავლელი გზის სივრცე უცვლელი,
შავი ყორანი ისევ მომჩხავის:
„შორს ნუ გასცქერი... შორს ნურვის ელი!“
მაგრამ სადა ვარ? გზა აღარა სჩანს,
ამ სიბნელეშიც გაჭირდა გავლა;
შავმა ყორანმა ფრთა ფრთას შემოჭკრა,
შავმა ყორანმა თავზე დამჩხავლა.
გადაიფრინა და მომაგონა
დრო, უბედობის გვერდით მხლებელი,
ჟამი, ყველაფრის მქნელ-გადამქნელი,
სივრცე, ყველაფრის მიმტევებელი.

„ჩემო იარალი“

ჩემო იარალი! — ასე ქადაგებდა
ყაბახის გმირი ნზგავსება ლომის
ორბელიანი, რომელიც აქებდა
ღვინოს და სალომეს.
ის დრო წავიდა! ტფილისი ძველი
მიინგრ-მოინგრა, სცივათ კახურებს,
და ნარიყალა ცრემლებით სველი,
მატარებლების კივილს გაყურებს;
მე ვდგევარ მთაზე, მე ვდგევარ მარტო
დამთვრალი ახალ სანახავითა,
რითი გაგართო, როგორ გაგართო?
ჩემო იარალი, ის დრო წავიდა!

მესაფლავე

მესაფლავე, შენ ამბობ რომ ქვეყანაზე ვინც კი კვდება,
იმ წუთშივე მისი ჩრდილი ყველა ჩვენგანს ავიწყდება?
ეჰ, არ მჯერა მე ეგ რაღაც... მომაბეზრე კიდეც თავი,
და შესწყვიტე, თუ ღმერთი გწამს, ეგ დაცინვა გულსაკლავი.
ვარდის თვეა, მაისია, ნორჩ ბალახებს სიო არხევს,
ხეებს ყვავილთ თეთრი გუნდი, როგორც თოვლი ისე აწევს,
მზე ნარნარი სხივებს აფრქვევს და სითბოში მთა-ბარს ახვევს,
ყვავილებით მოქარგულა არე-მარე მომხიბლავი.
ვერა ხედავ, იმ საფლავზე, როგორ სტირის ობლად ქვრივი?
რა რიგ შვენის ახალგაზრდა ქალს ეგ სევდა ღვთაებრივი!
განა გუშინ არ იყო რომ, ამ მოკლულმა დარდით ქალმა
ცრემლი ღვარა, როცა სატრფო ცივ სამარეს მიესალმა?
დღესაც იგი, იმ სამარეს გულმოკლული დაქვითინებს,
დღით არ იცის მოსვენება და ღამითაც არ იძინებს.
მოვა ხოლმე და დაჯდება ცივ სამარის გაშლილ ქვაზე,
დარდით არის გაქღენთილი მისი ულვთო სილამაზე,
თმას გაიშლის, დაემხობა და ცრემლები სცვივა, სცვივა...
სულს მიშფოთებს ეგ ქვითინი, გული მტკივა, გული მტკივა.
მაგრამ რა ვქნა? მესაფლავევ, ჩუმად იყავ, უგდე ყური...
გესმის? გესმის, როგორ კვნესის დაღლილი და უბედური?
—გავქრე ისე, როგორც ნისლი, როგორც ღამის მოჩვენება,
არ მეღირსოს კვალ-არეულს სიმშვიდე და მოსვენება,
შენი სახე გულს კაწრავდეს, როგორც ვიყო, სადაც ვიყო,
თუ როდისმე არ მახსოვდე... თუ როდისმე დაგივიწყო!

მესაფლავევ! კიდევ იტყვი, რომ ამ ქვეყნად ვინც კი კვდება,
იმ წუთშივე მისი ჩრდილი ყველა ჩვენგანს ავიწყდება?
აი, თუნდაც, გალავნისას მესაფლავე აღებს კარებს,
ახალგაზრდა ვინმე ვაჟი კიდევ სატრფოს ასამარებს.
გულმოკლული ძვირფას კუბოს არ ცილდება, არ შორდება,
განა როსმე სხვა ამგვარი სიყვარული მეორდება?
უსაზღვროა მისი სევდა, უსაზღვროა მწუხარება
და გადმოსჩქეფს გულმოკლულ ვაჟს თვალთგან ცრემლთა მდუღარება.
ფიცით ამბობს: „ო, შეშფოთდეს სამარეში ჩემი ძვლები,
არ ათბობდეს ჩემს სამარეს გაზაფხულის მზის სხივები,
გავქრე ისე, როგორც ნისლი, როგორც ღამის მოჩვენება,
არ მეღირსოს კვალ-არეულს სიმშვიდე და მოსვენება,
შენი სახე გულს კაწრავდეს, სადაც ვიყო, როგორც ვიყო,
თუ როდისმე არ მახსოვდე, თუ როდისმე დაგივიწყო!“
მესაფლავევ, კიდევ იტყვი, რომ ამ ქვეყნად ვინც კი კვდება,
იმ წუთშივე მისი ჩრდილი ყველა ჩვენგანს ავიწყდება?
ის ქალი კი, წეღან რომ ვთქვი, ისევ მოდის თმა-გაშლილი
და სამარეს დაუვიწყარს თავს ადგება, ვით აჩრდილი,
ხელში ვარდის მთელი ბუჩქი, ჯერ ისევე დაუმჭკნარი
მოაქვს, რომ მით დაამშვენოს სამარისა თეთრი ჯვარი.
ოჰ, ეს ქალი ალბათ დარდით, ყვავილივით ჭკნება, ჭკნება...
სევდას სახე დაუფარავს და სიყვითლე ეპარება.
საცოდავი! თვალებსაც კი დასჩნევია უძილობა,
ასე ხდება, როცა ღამით მოგონებებს იწვევს გრძნობა!
ეხლა? ეხლა კიდევ იტყვი, რომ ამ ქვეყნად ვინც კი კვდება,
იმ წუთშივე მისი ჩრდილი ყველა ჩვენგანს ავიწყდება?
და ის ვაჟიც გუშინწინ რომ მიაბარა სატრფო საფლავს
არ სცილდება სასაფლაოს სევდიანს და გულმოსაკლავს,
სახე თაფლის სანთელს უგავს, სანთელივით დნება, დნება,
თავს დასცქერის დაუვიწყარს, გლოვის სიტყვას ეუბნება,
მის თვალებსაც დასჩნევია ღამის თევა, უძილობა —
ასე ხდება, როცა ღამით მოგონებებს იწვევს გრძნობა!
მესაფლავე, ეხლაც იტყვი, რომ ამ ქვეყნად ვინც კი კვდება
იმ წუთშივე მისი ჩრდილი ყველა ჩვენგანს ავიწყდება?
დღეს იმ ქალმა გულმოკლულ ვაჟს უნებურად მოჰკრა თვალი;
გაიფიქრა: „ისიც ჩემებრ სტირის ცრემლებ შეუმშრალი;
უძიროა კაცის სევდა, უძიროა კაცის გული,
რას არ ითმენს სიყვარულის ცხოველ ნათელს მოკლებული“.
ასე ამბობს სევდიანი ქალის ცისფერ თვალთა ცქერა,
ალბათ ვაჟსაც ამ უსიტყვო ცქერამ გული აუძგერა...

ასე იცის თანაგრძნობამ... შენ კი ისე იღიმები,
თითქო მართლა იბმებოდეს იმათ შორის ის სიმები,
რომლის ძალით ორი გული სამუდამოთ შეერთდება,
ეჰ, არ მჯერა მე ეგ რაღაც, ქვეყნად ეგრე როდი ხდება.
როცა ფიცით აცილებენ მიცვალებულს სამარემდე,
ფიცს არ სტეხენ... ფიცს არ სტეხენ უკანასკნელ ყოფნის დღემდე.
გამიგონე, მესაფლავე, შენ არ იცი კაცის დარდი,
თორემ რაა ჩემს თქმაზე რომ სულელივით ახარხარდი?
რა ვუყოთ რომ იმ ვაჟმა ქალს მოუტანა ნორჩი ვარდი
და მწუხარედ წასჩურჩულა: „შემიყვარდი, შემიყვარდი.
ჩვენ ერთი გვაქვს მწუხარება, შევაერთოთ სულთან სული...
გამომყევი, ქალო, ცოლად... ძლიერი მაქვს სიყვარული...
მართალია, ის სატრფონი არც შენ, არც მე აღარა გვყავს,
მაგრამ მათი მოგონება ვერ გაარღვევს უხმო საფლავს.
დავივიწყოთ ის წარსული, სატირალი, სავალალო,
და ახალი შევქნათ ყოფნა... გამომყევი ცოლად, ქალო!“
დაუცადე, მესაფლავე, თუ რა პასუხს მისცემს ქალი,
შენ გგონია—რაკი ვაჟმა დაივიწყა თავის ვალი
ქალიც ასე მოიქცევა? მე მგონია არა, არა...
განა გუშინ არ იყო რომ სატრფო მიწას მიაბარა?
მკვდრის აჩრდილთან ვინ იცინის, მკვდრის აჩრდილთან ვინ იხუმრებს?
აი ნახავ—აბეზარ ვაჟს—რა პასუხით გაისტუმრებს!
მაგრამ ქალი, ღმერთო ჩემო, მორცხვად თავს ხრის და ჩურჩულებს:—
„თანახმა ვარ! ერთად ერთი მომავალი მასულდგმულებს...
ჩვენ ერთი გვაქვს მწუხარება, ნუ ვიგონებთ დროს უბედურს,
მე შენი ვარ სამუდამოდ... წამიყვანე, სადაცა გსურს“...
მესაფლავევ, ეხლა კი გაქვს ნება რაც გსურს კვლავ იგი სთქვა...
სამუდამოდ ასამარებს კაცთა ხსოვნას სამარის ქვა.
ალბათ ქალ-ვაჟს დღეს ერთი აქვს ბინა... ხედავ, გადის ხანი,
არ ნახულობს სასაფლაოს დღეს არც ერთი იმათგანი,
საფლავთაგან მტვერს და ბალახს დღეს არავინ არ აცილებს
და მოვლასთან ერთად ფერი წართმევიათ ვარდ-ყვავილებს...
განისვენეთ, განისვენეთ დავიწყებულ არსთა ძვლებო...
თქვენს ყოფნაში არ ერევა ცოცხალთ ფიქრი საარსებო.
განისვენეთ, ძლიერი და უკვდავია თქვენი ძილი...
რაღად უნდათ, რად სჭირიათ თქვენს საფლავებს ვარდ-ყვავილი?
ან რას გარგებთ მოკვდავ კაცთა სამუდამო ცრემლთა ფრქვევა?
ძილით ვეღარ გამოგარკვევთ ვერრა ძალა, ვერც შემთხვევა...
ასე ხდება ქვეყანაზე, ყველა ცოცხლობს, ყველა კვდება,
და ვაი მას, ვის სიკვდილი სიცოცხლეშივ ავიწყდება...

ზარსა სცემენ... იმ ორს, რომელთ დაივიწყეს ბედი მწვავე,
იმ ორს ერთად გადავერცხლილ კუბოში სჭედს მესაფლავე...
სჭედს და რაღაც მწარე ფიქრზე თან ველურად იღიმება,
იცის, იცის მესაფლავემ, როგორც უნდა... როგორც ხდება...
განისვენეთ, განისვენეთ დავიწყებულ არსთა ძვლებო,
თქვენს ყოფნაში მე ბევრი მაქვს მწუხარე ჟამს საოცნებო!

1914 წ.

ცხოვრება ჩემი

ცხოვრება ჩემი უანკარეს ღვინის ფერია,
იგი ელვარებს საბოლოოდ დაშრება ვიდრე
მასში დიდება პოეტისა მე დავიმკვიდრე,
რომლის გარეშე—უკვდავებაც არაფერია.
თეთრი დღეების ისევ ისე მიყვება დასი,
არ მომწყინდება სადღეგრძელოდ ავწიო თასი
თქვენი, რომელთაც გატაცება... მხოლოდ ჟინია.
მე არც წარსულის, არც მომავლის არ მეშინია.

მივარდნილი აივანი

ამპარტავანი თათარი,
ეზოში დადის მამალი,
მახსოვს მოხუცი ჭადარი
და ძველი დასტურ-ლამალი.

მახსოვს მივარდნილ აივნის
ჭრელ-ჭრელი მანდილ-საკაბე.
ეხლაც ხანდახან გაივლის
ჩვენი კნეინა, კაკაბი.

სიმინდის ანაქურჩალით
კოკა, შედგმული გაროზზე:
მაღალ ტანით და ჭურჭელით
კაკაბი მიდის წყაროზე.

გახმა ბოსტანში მწვანილი!
და ოხრავს ჭმუნვით მოცული
თავადი ვაშლოვანელი
ხანდახან ჩემთან მოსული.

„რა უბედური ქარია!
„წამოველ... ვიცი, მელოდი!
დავლიეთ, გაგიხარია...
(ვამაყობ საქართველოთი!)

ოკტავებით ვწერ პოემას:
(ესეც საქმეა თუ არა?).
და სოფლის უდაბნოებას
ამ ზარმაც გადაუარა.

და მეგობარიც ხანდახან
უთუოდ მოვა, თუ ,ლი:
ტფილისში მეფობს თათარხან,
ღვინო, დუელი, დუელი!

სასახლე გახდა ,ილისმა!
არ არის არც საშინელი:
კარგად გაიცნო ტფილისმა
ჩინებულება ჩინელი.

„რა უბედური ქარია!
„წამოველ... ვიცი, მელოდი!
დავლიეთ, გაგიხარია...
(ვამაყობ საქართველოთი!).

ტყე დაბურული

ტყე დაბურული, შავი, ზღაპრული,
გარინდებულა ნაძვის სვეტები,
მთების გამოჩნდა სილუეტები
გაფითრებული და დაზაფრული;
ჰოი, არაგვო, მთაწმინდა, ზინდის!
არის ძახილი ეფემერიდის.

როგორც წუხილი არაგვის კიდის

როგორც წუხილი არაგვის კიდის
იყო ზვირთები ფაზისის ჩქარის,
გაჩნდა წუხილი ეფემერიდის
და რუსთაველიც იმ დღის არ არის.
სანახაობაც შეიცვლის რიდეს
ძველი თაობა თანდათან მიდის,
როგორც წუხილი არაგვის კიდის,
როგორც ძახილი ეფემერიდის.

ხელოვნება

ვის უნახავს შავი წიგნი, წიგნი წითელ ასოებით,
დაწერილი სისხლის წვეთით, დაწერილი სასოებით?
გადიარეს გრიგალებმა, დღეს ის წიგნი არვინ იცის,
და ჟამთ მტვერით იფარება წიგნი ცის და დედამიწის.

დიდხანს ვწერდი, დიდხანს მწვავდა შთაგონების ცეცხლი მწვავე,
ვწერდი ჟინით, ვწერდი ვნებით... და ჰა, იგი დავათავე,
და ვფიქრობდი: ჩემს შავ წიგნში თუ არს-მეთქი რამ ისეთი,
რომ არ აჩნდეს მწარე გესლი, რომ არ აჩნდეს სისხლის წვეთი?

და მეწვია შემდეგ იჭვი, და მომწყინდა იგი მკნება.
ვთქვი: სხვას რას აქვს ფასი ქვეყნად —რომ არ იყოს ხელოვნება!
მაგრამ ჩემში საუბრობდა მეორე ხმა, ხმა ფარული: —
„ხელოვნება—ეს ოქროა მიწის გულში დამარხული,

„ხელოვნება მარგალიტს ჰგავს, მას ზღვა ფარავს შეუცვლელი,
„რას იშვიათ თუ მისწვდება კაცის გული, კაცის ხელი...
„არის წმინდა პოეზია და მუსიკა არის შორი,
„მაგრამ ქვეყნად არ არსებობს—ის ალერსი, ის ამბორი.

„არის საღვთო ბილიკები ამ სივრცისკენ მიმავალი.
„აირჩიე მათგან ერთი, აირჩიე ერთი კვალი!“
შავი წიგნი არ თავდება, შავი წიგნი შუაწყდება...
მას იქით კი კაცის გრძნობა და გონება ვერას წვდება.

როდესაც მთვარე ანათებს დღისით

ცაზე მსუბუქი გიგანტის ტვინი,
თეთრი ღრუბლების მიგორავს ზვინი
განათებული ნათელით მზისით,
რა საოცარი ჩნდა მთვარე დღისით
თავისით ჰქროდა ხეიდან ზენა—
ქარი ნიავით მოჰქროდა მისით.
მარაგ მკრთალია ლაჟვარდთა ფენა,
როდესაც მთვარე ანათებს დღისით,
როდესაც მთვარე ანათებს დღისით,
და სიხარული სცემს გრძნობით თვისით,
არ არის ღამე დედამიწაზე,
როდესაც მთვარე ანათებს დღისით.

შუადღის გულმოდგინება

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულმოდგინებას შუადღე იჩენს
იფენს რა ენებს, ვით წითელ ინას.
იწყებს ათასი ჭრიჭინა ჭრიჭინს
და ჰფხაჭნის ჰაერს, გაბზარულ მინას
განუწყვეტელი მათი კვარტეტი
შუადღეს ათრობს მაისის ღვინით.
ცის ულმობელი მშრალი ვარდეთი
გადაფარულა თეთრი პინგვინით
და დასავლეთით ანთებულ ფერადს
მალე საღამო აავსებს ლილით,
ჩემი სალამი ახალ ქიმერას,
თვალებამღვრეულს დასიცხულ ძილით.

ბალახები

ისევ აფშვენენ სურნელებას ბალახნი ველად,
მაგრამ არავინ მათ არ აგროვებს შესალოცველად
ჰარტახი. გზებზე იფინება შქერი. რა გინდა?
ვაზებში ფშატა გადაბიბინდა. და წყალი წმინდა
ათას შხამიან ბალახებით გადაიხატა.
მაგრამ მე სულ სხვა შთავისუნთქე ხალისით ზეცა,
ვარდის ღრუბლებად სივრცეზე რომ გადაილეწა.

ყანები

გამოჩნდა რხევა მაღალი ტანის,
ნამგალით მკლავზე, მავალი ობლად
მისი სიმღერა ხმა არის ყანის,
სადგურის ახლო მივარდნილ სოფლად,
სიმღერა სულით ემშვიდობება
გადამწკრივებულ ზღვისკენ წეროებს.
მზე ეხუჭება, როგორც ობობა
ზინდის დაქსელილს ხის კენწეროებს.
სულმა არ იცის რა არის მონა,
გზებზე ნახირი ისევ ბრუნდება,
კრავებს მირეკავს სოფლის მადონა.
მადონა ქოხებს დაუბრუნდება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გზაში

I

ლურჯი აჩრდილი ცხელ ჰაერში დგას.
ისმის ნაცნობი ჟრჟოლა სიმინდის,
ზუზუნი გააქვს უბინაო სკას,
ოჰ! სამუდამოდ დაწყევლილ სინდისს.

სულს ენატრება ძველი ზღაპარი!
წარსული წმინდა იყო ამ ქალის—
როგორც სოფელში სამრეკლოს ზარი,
როგორც ყანებში ელვა ნამგალის.

როდის მოვიდა ცოდვების გროვა
და ჯოჯოხეთი... მითხარი, როდის?
დაბრუნდა სული და ველარ ჰპოვა
რამე. გარდა გზის და ცივი ლოდის.

II

მინდვრები, მთები და ზღვა ყანები
მზეზე ელვარებს ნამებით სველი
კვლავ უზრუნველად მიეექანები
უჩვევად კარგი და ფეხშიშველი.

მოკლული ვიყავ უცხო ზმანებით,
დამწვარი ვიყავ ქალაქის ქაფით—
ხელები არ თრთის ხელთათმანებით!
სული არ ტირის შავი ნიღაბით!

III

მწვანე ჭალებში აფრინდა მწყერი,
გაფრინდა ღალღა, მიჰქრის ტოროლა.
მწვანე ტალღების მიდის მეწყერი,
ისმის ჯეჯილის მარაო-ქროლა.

სადმე ყრუ ადგილს დავესახლები
სხვა საუკუნის მგზავრი გვიანი,
სადაც იქნება ცოფი ნაკლები
და უფრო ნაკლებ ადამიანი.

ცა ლაჟვარდია... დღე არის თბილი,
მზე არის მწარე... გზა არის ცხელი.
კმარა! მოვშორდი შფოთიან ტფილისს!
არც მსურს მახსოვდეს მისი სახელი!

IV

და ერთად ერთი, ნაზი დარაჯი,
გადიფრენს თვალწინ აჩრდილი მერის!
არ-ამქვეყნიურ უზუნდარაში
გაიყოლიებს სულის სიბერეს.

არ დაბრუნდება ამ მხარეს ცეცხლი
წარ-ულთა დღეთა სხვანაირ მხარის;
ეხლა უმიზნოთ მიდის სიცოცხლე
და დაბრუნება მაინც მიხარის.

მხოლოდ ხანდახან ქარი შეარყევს
ოდნავ გაღებულს კარებს ბაღისას,
შრიალი გააქვთ ძველებურ არყებს:
სხვა ცხოვრებისთვის თითქო მაღვიძებს!

V

აქ მრავალია ცისფერი ფერი!
ეს ფერი მარად თვალს ეყვარება,
როგორც ქალწულის სახელი: მერი—
არის ცისფერი და მწუხარება.

გახედე შორს მთებს! გახედე სერებს!
გახედე ტალღებს ჩაქსოვილს ტბაში.
ცისფერი ისე უცხოდ იფერებს
სამოსელს დღეთა ელვარებაში.

სული ეშახის იმ უჩინარ ტყვეს
ვისაც სიზმრებში უხსნიან ბაგეს,
იისთვის ეძებს იისფერ სიტყვებს
და ცისფერ სიტყვით ეძებს ციაგებს.

ძველი რვეულიდან

მიყვარს შენი სახელის უცხოეთში ხსენება,
მოგონება ღრუბლების—მზე რომ ჩაესვენება.
რაღაც შორეულია შენი კარგი სოფელი,
ალუბლების ღიმილი და მზე დაუნდობელი.
და ანთებულ თეატრში, სადაც მე ვარ პირველი,
ხშირად აშრიალდება ტირიფების მწვერვალი.
და მეძახის, მეძახის! და არ არის საშველი!
და დაჰქრიან ფარდებში ოცნებებათ აშლილი.

შენ რაღას იტყვი, ყანა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალით ვეღარას ვხედავ,
გული მოელის დანას
რისთვის გამზარდა დედამ,
რისთვის მეტყოდა ნანას?
გადაქცეული ახოთ—
გრძნობაც ისეა, განა?
ჭალის ყანები ვნახოთ:
შენ რაღას იტყვი ყანა?
თვალი წაიღო სევდამ,
როგორ აჟრჟოლებს ყანას...
რისთვის გამზარდა დედამ,
რისთვის მეტყოდა ნანას?

*
* *

გაგონდება თუ არა,
კარალეთის დღეები
მთების ლურჯი კამარა—
უცხო სამოთხეები!
კიდევ შეგრჩა თუ არა
მხიარული თვალები?
თუ დრომ გადაუარა
და ჩაუქრო ალები?
მივდიოდით მხარდამხარ
და დრო გვეუარესა,
აწ არ ვიცი სადა ხარ
და რომელსა მხარესა.

ეს წინად იყო

ეს წინად იყო. მდინარეს თოთქო
ვერცხლის ეკინა მძინარე ჩადრი
და კიდეებზე მდუმარედ იდგა
შეუცნობელი შრიალი ჭადრის.
შრიალი ვერხვის, შრიალი ყანის,
უდარებელი სამშობლო მხარე!
რა უწყალოა, რონინი ხანის
აუსრულებელ იმედთა გარე!

მუხები

ვაზები გახმა, აღარ მოაქვს ნაყოფი ხეხილს,
გადაუვლია აქაც ქარტეხილს,
მაგრამ შეხედე: ძველისძველი დგანან მუხები,
რაც ბერდებიან ემატებათ თითქო სიახლე.
მომავლისათვის სიახლე აქვთ ხელშეუხები
ახალ ქართათვის აგებული მძლავრი სასახლე.

ცელი ჰკივის

ცელი ჰკივის და ველები,
სურნელება დადგა თივით,
თივას თიბვენ მთიბველები,
ცა ლურჯია გუმბათივით.
დროს არ უყვარს დიდხანს დგომა
და ყვავილებს ართმევს დიბას,
მალე მოვა შემოდგომა
და ყველაფერს გადათიბავს.

აყვავილებულ ველებს სალამი

აყვავილებულ ველებს სალამი!
აქ ნაცნობია ჩრდილი ყოველი
ტბების ვარდები, ფშნების წალამი
სიტყვები გულზე დასაქსოველი.
უფლება აქვთ, რომ თვლიდენ თავისად,
როცა არ უნდა ჰქონდესთ უფლება,
მაშინ მთებს ისევ უუკვდავესად
შუბლი მოწყენით მოეღრუბლება.

მოგონება ჩვენი ჭალისა

სალამოს ხანად ჩალანდრის ცხენი
მე მაგონდება გორებს შორებელს,
ფშანში ლანდივით დაცქერდენ ხენი,
ბინდის მეგობარს მოუშორებელს.
ცამ მოგონება გადუხალისა,
მას, ვისაც სწამდა ღამის ფერები,
ეს იყო ქარი ჩვენი ჭალისა
და შემოდგომის ჩალის ღერები.

ძველი წისქვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცნაურ ბინდში გუთნეული მიყვება ჭალას,
ქარი არ არხევს ოქროსფერი მინდვრების ჩალას.
ამოდის მთვარე, სადღაც ქოხში იელვებს კვარი,
იქ, სადაც არაგვს უერთდება მდინარე მტკვარი,
სადაც ცვარი სვამს ზამბახების სავსე ფიალას—
შეგვიანებულ გზით გაივლის ხევსური მწყემსი,
და მისი სული ვარსკვლავების სულზე უვრცესი
ოცნებობს მთვარის სითეთრეში ვით ქანდაკება,
მას თან მიყვება უბრალოთა მშვიდი განგება,
ლურჯ ზღაპარივით ხავსი ფარავს დაწეწილ წისქვილს,
წყალი იმტვრევა გადაკეცილ ბროლის რკალებად
და სინათლეში სილამაზით სავსე ალები
კოჭამდე თმებით შადრევანზე აირევიან—
არის კივილი, მღელვარება, ცეკვა, სიცილი
ასიათასი და მრავალი ათასი ალის.
ამაოდ შიშით შეიშლება გვიანი სული.
აღფრთოვანება-გაგიჟების ხმა არ შეწყდება—
სანამდე რაძით არ წამოვა წმინდა გიოგი!
ხმობა ნელდება, ცა ფითრდება და მზე ამოდის,
წელში მოხრილი ზვირთივით დგას ძველი წისქვილი.

პირველ თაველებს

ვდღესასწაულობთ პირველ თაველებს,
მოსასწაულე ვარდთა დაგებით
აივნებს მალე ააყვავილებს
რტოების ნოხი და ფარდაგები.
ქალები ღამით წავედით ტყეში,
თვალებში ფეთქდა ელვა წყაროთა,
ყვავილს, რომელსაც ჰქვია ნუგეში
ჩვენ დავეძებდით და გვიხაროდა.
ვაჟნი ეძებდნენ მთებში ხაზინას,
თოფების ბოლი ცრემლებს გვადენდა
არ დაგვასვენეს, არც დაგვაძინეს
და ასე კიდეც შემოგვათენდა.
ავშალეთ მთაში მტევნები ფუტკრის
ვაჟები ირმებს სდევდენ ჯირითით.
უცებ... მახლობლად დაჭრილი ნუკრის
მოგვესმა კვნესა და ჩვენ ვსტიროდით.

გზად ვეშურები მგზავრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზად ვეშურები მგზავრი.
ტყეს მიფენია თებო
ჩემი სალამი მძლავრო
კავკასიონის მთებო.
დარიალიდან გუშინ
ღვარმა მოყარა ხერგი,
სალი კლდეების ღრუში
მღვრიედ გრგვინავდა თერგი
გაქრა ფიქრების ზვავი,
მზიან ამინდსაც ველი.
მთიდან ჩამოდის კრავი,
მთისკენ მიილტვის შველი.

აგერა! აჰანდე!

აგერა! აჰანდე! სულის შემხუთავი ქარი, უწყალოდ კენესის
დასასვენებელ კუთხეს ეძებს თავგადაკლული.
მიაქვს იერიში, მედგრად ეხეთქება, რომ შეიჭრას და შეანგრიოს,
ბზრიალებს თითისტარი... აგერა! აჰანდე! ნაკვერცხლებმა გადიკრეს
ფერფლი,
„დაილოცა სოფელი! სოფლის ჭირიმე! რაა ქალაქი?“
-ქალაქი? მჭამელი და მაინც მშიერი. აგერა! აჰანდე!
ბუხარში ცეცხლი გრიალებს. ისმის სიმღერა:

კაცის გული ისეთია,
ვით მორეული შავი ზღვისა,
რაგინდ კარგი ცოლი ჰყავდეს
მაინც ენატრება სხვისა.

მთვარე ჭაში

დალალვით ხეზე მიწოლილა მოხუცი რაში,
მის წინ დევები ილერებენ ეშვებს და დინგებს
და თეთრი მთვარე საიდუმლოდ ჩასული ჭაში
განცვიფრებული უყურადებს მიმავალ ჭინკებს.
ამ სიჩუმეში ვინ დათვალოს გზანი ჭუნენი?
აქ წარსულშიაც და მომავალშიც
შეჩერდებიან საუკუნენი.

ქალავ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულო, ოცნებას მალავ.
ცაო, ლურჯდება ზოლი.
ვაჟი: დაიცა ქალავ!
ქალი:—დაგიბრმა თოლი!
შორით ბრუნდება წყალი,
ნისლი იცრება მთაში.
არა:—ჩურჩულებს ქალი.
—კარგი! ამშვიდებს ვაჟი—
თუნდა წაიყვა ჯოგი,
კიდენ დამრჩება მრავალ,
ბროლ-ღიკილასაც მოგი,
როცა ქალაქში ჩავალ.

შორი ყინული კავკასიონის

გააფთრებული ქაფი რიონის.
ცაზე აცურდენ ლურჯი ტივები.
შორი ყინული კავკასიონის
ნათლდება, როგორც ნეგატივები.
გააფთრებული ჭდინარე ყვირის,
ის ელოდება შხამიან წარბას,
და ნანგრევები ჭარადის პირას,
უკვდავებაში პოულობს დარბაზს.

ქალს მთიგბიდან

როდესაც ვუცქერ მე შენს თვალთა უძირო ლაჟვარდს,
როცა თვალი-თვალს უსწორდება ისე, შემთხვევით,
დატოვებული, შორი კუთხე მომაგონდება,
მოგონებები თვალწინ რბიან სევდიან რხევით.
ოჰ, რაოდენი სისპეტაკე მარხია შენში,
რამდენი წმინდა ვარსკვლავები თრთიან შენს სიყვარულში.
მე მაგონდება ჩვენი ძველის-ძველი სასახლე
გვერდზე მოხრილი, შავი ყავრით გადახურული,
და ბალი შორი, სავსე ვადრით, ცაცხვის ხეებით
მარჯვნივ და მარცხნივ დაქსელილი და დაბურული.
რამდენი ღამე მითევია შენს მოლოდინში,
ცას ვარსკვლავიანს შუქს მატებდა ელვარე მთვარე...

შენს მოლოდინში ოჰ, ვინ დათვლის თუ რაოდენი
გამოუცნობი მღელვარების ცრემლი დავღვარე.
ოჰ, იმ ცრემლებით ირწყვებოდა ჩემი ვარდები,
და იმ ქვითინით იზრდებოდა მომავლის ნანა.
შენ არსით სჩანდი, მაგრამ ჩემთვის უცხო არ იყო
შენი თვალების იდუმალი, წმინდა ქვეყანა.
და დღეს, როდესაც შენ აქ გხვდები უმადლო ბრბოში,
თუ რას განვიცდი ცამ, სინდისმა იცის მარტოდენ;
ვინ დააფასებს მაგ სიწმინდეს
ვინ დააფასებს, თუ მაგ გულში რა ფიქრი თრთოდენ?
მე ვგრძნობ შენს ირგვლივ მხიარულ და უდარდელ ქალებს,
ვიცი რას ფიქრობს გიჟ ფერხულში აქ თვითეული.
მათ მხოლოდ სახეს არ უშიშვლებს შავი ნიღაბი,
თორემ იქ... გულში... რა ქარია გადარეული.
ხანდახან განცდის სურვილებით შენ მათ შორდები,
და გეწამლება გული რაღაც უმიზნო ხმებით.
დგეხარ კუთხეში, სიბნელეში, უცქერ შორიდან
და გსურს იტირო მწარე კვნესით, მწარე ცრემლებით
განკიცხვის ლექსი იბადება მაშინ ჩემს გულში
და ილესება როგორც დანა გლადიატორის,
და ვწუხვარ, ვწუხვარ, რომ დღეს თუ ხვალ ეგ მძლავრი ტალღა
შენც გადაგითრევს მოლივლივე ტალღათა შორის!

მცხეთიდან

სვეტიცხოველში ხვალ იქნება დიდი მცხეთობა,
მაგრამ, შეხედე, სად დამდგარა ძველი დიდება.
ვინ ააშენა იმ სიმაღლეს? რა პოეტობა
შესძლებს გადმოსცეს იმა დღეთა გაბედითება?
ეხლა ვიღაცა გულმოდგინეთ იქ გზას აკეთებს
გამოქვაბული ქალაქები რომ ისევ ნახოს.
ქვევით კი, ქალი ახალგაზრდა, როგორც ნაკვეთებს
შავით მოსილი, მწუხარებით მიყვება ახოს.
ჩვენ გავიარეთ შიო მღვიმის ვრცელი ბაქანი
მტკვარზე შორიდან დავინახეთ, მიდის ტივები
და ისევ მთები... მეჩვეთია ეს თუ საკანი?
თუ მოგონებათ დაკარგული ნეგატივები?
ასულა კორდი, როგორც ქუდი რუსთაველისა
მე შევაჩვიე კიდეც თვალი აქაურობას,
მატარებელში თვალს რომ ხუჭავ, გრძნობა ველისა,
ასე გგონია, თითქო ისმენ ზღვის ხმაურობას.

მხოლოდ ნანა

ნანა, მხოლოდ ნანა,
ყოველთვის ნანა,
რომელიც აყუჩებს
აუტანელ ტკივილებს
იფარავს სასიცოცხლო
ძალას.
ასეთი სიმღერები,
უნდა გაუგზავნო
მე მას.
ნანა, მხოლოდ ნანა,
ყოველთვის ნანა.

იცვალნენ დრონი

იცვალნენ დრონი. წარსულის დიდის
დიდებას ვხედავ არა საკმარისს,
ღელავს ფაზისი და მტკვარის მშვიდის
ამოოხვრაა მიდამო არის;
ძველია ჩარჩო ჩატეხილ ხიდის,
გული ერევა ზვირთების რონინს
რაი-ღა დარჩა წარსულის დიდის?
იცვალნენ დრონი.
იცვალნენ დრონი.

სასახლე ძველი

სასახლე ძველი ადგას ხეობას
თითქო ჰაერში—ბაღი ჰკიდია,
და თვლის წუთების ერთსახეობას
როს მშვიდობიან დღის ამიდია.
ზის აივანზე თავხედი ყვავი
ერთი მათგანი, ვინაც სნებიან
და გამჭვირვალე ჰაერში შავი
ზმანებებივით იფანტებიან.
მოაქვს გაზეთი მოსამსახურეს,
შორეულ ომის მოაქვს ცნობები.
სალამოს წიგნი მთებმა დახურეს
მე მშვიდ არეებს ვემშვიდობები.

1915 წ.

დაგიფარავენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივეჩქარები იქ ხელაღებით,
სადაც არაგვი მოჰქრის გიჟური,
სადაც ბაღებით და ვენახებით
ციხიდან შუქი გამოიჟურა.
ვარსკვლავი მოსწყდა. როგორც ფარვანა
ძვირფასო მთებო. აღაც იშვიათ
ძალით მწვერვალნ, დაგიფარავენ
ვარსკვლავები რომ ცად გაგიშვიათ.

*
* *

აქ მარმარილოს მაღალი სვეტი
დაუმსხვრეველი იდგა დიდებით,
ეპოქის გედი
ოცნებას მღერის გაბედითებით.
კედლებს რომ სინჯავს გრძნეულ თითებით,
უკვდავებისთვის შეშლილი გონი
ჩრდილი მოსილი მარგალიტებით.
ვაჲ, დრონი, დრონი!

ციხე-გალავანს სჩქეფს სისხლის წვეთი,
დღე შემმუსვრელთა ალთა კიდებით.
ვინ იყო ქვათა ამათა მკვეთი?
იგი არ ჰკვდება გულდამშვიდებით.
სურო და ხავსი ღალღით, გვრიტებით.
ვამჩნევ თაღებზე ღრუბელთა რონინს
გაშლილან ნისლთა პირამიდები.
ვაჲ, დრონი, დრონი!

ო, ნანგრევებო, თქვენ გეზიდებათ
ყრმობისა ჩემი პირველი ბედი.
უამიდობით თუ ამიდებით
დიდება მერგო მე სხვაზე მეტი;
ახლაც ანათებს ძველი მითებით
იგი ქარს ებრძვის გაბედითებით.
ვაჲ, დრონი, დრონი!

აქ შევხვდი პირველ — ვისაც მითებით
გესალმებოდა მძაფრი რიონი
იყო სალამი, იყო მშვიდობით...
ვაჲ, დრონი, დრონი!

დღე გაფითრდა
იაგუნდის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დღე გაფითრდა იაგუნდის,
დგას ღრუბლების ჯგუფები.
რაგინდ დიდი გული გქონდეს
მაინც დაიღუპები.

საშინელი მოსკდა წვიმა,
როს მცხეთაში წავედი,
სად აზიდა სერაფიმმა
მწირის ცა, ვარსკვლავები.

არ გადიღო წვიმამ გზამდე,
ტალახებს ვერ დავზელდი,
და თავიდან ფეხებამდე
მასხა, ძლიერ დავსველდი.

მე გავცივდი. ავადა ვარ,
ძლიერ, ძლიერ ავადა.
ისე მწარე დღე, გსურს თუ არა
მოვა თავისთავადა.

დღე გაფითრდა იაგუნდის,
დგას ღრუბლების ჯგუფები,
რაგინდ დიდი გული გქონდეს,
მაინც დაიღუპები.

*
* *

კარს გაუღებენ მას წინაპრები
გიცდიდით, ვიცით.
ხომ მიატოვე ის ნაპირები,
ჩვენი სიმტკიცით?
მიეგებება არაგვის პირი,
და ხმა ძლიერი:
შენ უსათუოდ, კაცი ხარ გმირი
და ნიჭიერი.
ჩვენ თვითონ ვიცით შენი ამბები
სადმე, სხვა მხარეს
ნანგრევთა ძველთა მტკიცე დამბები
პოებენ მთვარეს.

ციხის ნანგრევებთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალამო წყნარი, არე მშვიდი და იდუმალი
უკანასკნელი შუქები ურჩი,
გარინდებული ბილიკები და ? ლუბალი
ცა ლურჯი, ასე უსაზღვროთ ლურჯი.
გემშვიდობებით მშობლიურო ჩვენო გორებო,
თქვენც ნანგრევებო ბაგრატის ტაძრის
გემშვიდობებით! მეძნელება ეს განშორება
როგორც ლოდინი ბრძოლების მკაცრის...
შენ რაღას მეტყვი, მქუხარეო ზვირთო რიონის!
ყურს ვუგდებ ხმათა შენთა ჟღერებას,
რა ამბავს გატანს ჩემთან მთები კავკასიონის
უბედობას თუ ბედნიერებას?
არ ვიცი იგი, მომავალი რას მექადება...
რაზე საუბრობს ქარი ზეკარის?
სამშობლო მხარე მე ბურუსში წინ მეხატება,
ადამიანი ზეცას შეხარის.
შორით მოისმის ცეცხლის ხმა და ხმალთა წკრიალი
და შეშფოთდება ოცნება—სული;
გადივლის თვალწინ ამღვრეული დროის ტრიალი
აღქაფებული, აზვირთებული.

*
* *

ჩვენ ავაშენეთ მაღალი კოშკი,
და დავასახლეთ მასში ლანდები,
მაგრამ გამოჩნდა ქიმერა ოშკის
და მოიტაცა ანდამატები.
დავიღუპებით? ეს სულ ერთია,
სიცოცხლეს არ ვთვლით ჯერეთ შემდგარად,
ვის შეუძლია გვითხრას—ბრძოლაში,
იგი სიცოცხლე დასწვა ჩვენგვარად?

დაბრუნება

ლიხს აქით და იქით, მტკვარს, ლიახვს და ფაზისს,
არქმევენ უდაბნოდ გადაშლილ ოაზისს,
სადაც მზე მწველია, ცხელია დარები,
მცხეთაში გრიალით მიჰქრიან ზარები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუგუნებს იტრიის ხეობა ულრანი
და ოხრავს წარსულზე ნანგრევი მუხრანი.
ყოველგან უჩინრათ ტირიან დანაკლისს
თამარის ტაძრები და ძვლები ირაკლის.
და
ყოველ საფლავზე, მზის ყოველ ღეროზე
ხაზებად იშლება ეროსი,
სიონი მთაწმინდათ, გეგუთი გელათად,
არაბთა თვალები, ქცეული ელადათ,
აზია, —
აღელვებს ოცნებას.
საღამოს ლანდები, ვით ბინდი ნიავის
მიდამოს სდებია.
გინახავთ თქვენ ფერი დაბინდულ ქლიავის?
ეს ჩემი სამშობლო მთებია!
მე რაღაც იდუმალ მოლოდინს ვუნდები...
ირგვლივ ზვირთებია
და გემი „დალანდი“ რომლითაც ვბრუნდები!

ბორიდან

მე არ მეცალა. ბორში დავრჩი სულ ერთი ღამე—
როგორც კი ლიახვს მოედინა დილის ნიავი
გზა ტირძნისისკენ... ვრცელი ველი ტირიფონისა.
საითკენა გსურს, რომ გინდოდეს, წავლენ სიონი,
მაგრამ რა კარგი სანახავი იშლება არეთ—
სულ ახლო არის თეთრი მთები კავკასიონის.
მთები, რომელზეც ლეგენდების თქმით რა ხანია
მუდმივ თოვლი და მიჯაჭვული ამირანია.

ავჭალის იქით

ავჭალის იქით კიოსკივით მაღალი სახლი,
რომ დგას, ეს იყო უნაზესი ჩემი ოცნება
მე შემოდგომა გავატარე აქ ვით სიახლე
ოდეს წარსულთა დღეთა მსურდა მე გამოცნობა.
მიდიან ძნები, უცნაური შენობებია
მთაზე კრავებით ბრუნდებიან მწყემსის ბალღები.
და აი, მწვირთან!—სიმაღლე რომ შეომებია
და სადაც უფრო იმღვრევიან მტკვარის ტალღები.

გახსოვს? რა დრო
იყო ის დრო!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მტკვარი ამღვრეული ფიქრს რომ მიახვია
და წამს გაინაბა, იგი—ლიახვია...
მას ვერ მოასვენებს კლდეთა არტახები.
მათზე დანგრეული ციხის ჩარდახები.
მისი ადიდება შიგნით, გარეთაცა
ახლო ნაპირიდან სანთლებს წარეტაცა.
გახსოვს? რა დრო იყო, ის დრო... ო, მანანა.—
მე რომ აღტაცება იგი დამანანა.—
ისევ შეხვედრაზე—ჩვენი ფიქრს უნდება—
ის დრო დაბრუნდება, თუ არ დაბრუნდება?

მცხეთამდე

თვალწინ იშლება მუქ ხავერდის მთების ზონარი,
როგორც ადგილი ძველი წარღვნით გადასერილი
სახეზე ვარდათ დაფენია ნაბატონარი.
აგერა მტკვარი—სევდიან მზით გადაფერილი.

მის ნაპირებზე ვესალმები მშვენიერ ბაღებს
ქალი თავისი ბავშვით მოსჩანს როგორც წერტილი,
კიბეებივით მიდის მტკვარი—და კარებს აღებს,
სადაც ტრიალი მინდვრებია გადაფერდილი.

***

ელვარე და ლომ-ფერი
იყო ცხრა ოქტომბერი,
მაგრამ თვალმა დათვალა,
მზე ბევრი და ცხრათვალა.
ო, მზით გადანაცხარო,
ცხრა მუხა და ცხრაწყარო.
რუსთაველი ხანია
ისიც ცხრა ანბანია.
ვნება იყო ღვარული,
ჩემი ცხრა სიყვარული.
ოდეს გნახე, ლომ-ფერი
იყო ცხრა ოქტომბერი.

რა მშვენიერი მინდვრებია

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა მშვენიერი მინდვრებია, რა მოსავალი,
რა ყურძნის ტბები, რა ხორბალი და კაკალი.
მეტეხის ახლო არწივები ვნახე მრავალი,
მაგრამ ჯერ კიდევ უტეხ პურში არის გრაკალი;
შემოდგომის დღეს მისცემია მშვიდი ხეხილი
აქ მომავალი გაანათებს ისევ ცისფერად,
უფლის ციხესთან ერთი ხეა გადატეხილი,
იმ სალამოზე მოწყენილი ეგდო გზისპირად.

გავსცდით ხანდაკს

გავსცდით ხანდაკსაც ეს ბაღებში მყოფი ხევია,
მაღალი კოშკი გადაჰყურებს ქსანიდან ახოს...
და ის ქალი კი (ეხლა მალე კავთისხევია),
იმავე მღვრიე გულგრილობით მიყვება ახოს.
დედაენიდან კალოობას და დღეთა ამბის
კასპის ერთ დიდ კლდეს, ვერავისი კლდე ვერ სჯობია,
შევხვდი მეგობარს: ვარდის ნაცვლათ კუკური ბამბის
გულზე ბნეული, ჩვენი დროის თანამგრძნობია.

სამხედრო გზაზე...

განთიადისას საქართველოს სამხედრო გზაზე
მიეშურება ქალაქისკენ ზანტი ურმები;
მოაქვთ კაკალი, მოაქვთ ღვინო, მოაქვთ ხორბალი
სიმძიმით მწარედ იგრიხება ურმის ბორბალი,
გამოიარეს წყალთ ნაპირად სიმწვანე ტყეთა
გამოჩნდა მცხეთა.
ე, რამოდენა სახლებია,
ვინ ააშენა ამდენი სახლი
. . . . . .
უცებ ქალაქის გზიდან მოჰქრის ავტომობილი,
ჰკივის და ანჩხლობს, კამეჩებს აფრთხობს,
რამ გადარია . . . . . .
უცებ მოისმა სიშორეში მძლავრი ზუზუნი,
ეხლა მაღლა ფრენს არა ჩიტი, არამედ სახლი
. . . . . .
გათენდა კიდეც. საშიმროება შორს გადითესა,
მაშინ ამღერდა ჩვენებიანთ ბიჭი ქიტესა.
. . . . . .

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დედამიწა ბნელდებოდა. იძირებოდა.
თითქო არა აქ, არამედ შორს, სხვა ქაოსებში.
მახლობელ სოფლად კივის ჭოტი, ყეფენ ძაღლები.
შარაზე მიდის სხვა მეურმე დაგვიანებით.
გაიხმაურეს ერთხელ კიდევ ურმის ბორბლებმა.
და ყველაფერი მიინაბა. დადგა სიჩუმე:
ო, რას ნიშნავს ეს... ეს სიჩუმე, ეს გაოცება?
ეს უხილავი, მშობლიური ჩვენი სიჩუმე?
რისთვის არიან გაყინულნი მაღალნი მთანი,
რამ დააყრუა შარა-გზები, სადაც ოდესმე
ექანებოდა მძაფრი ცხენი მაკედონელის?
ო, როგორ მესმის მე სიჩუმე ამ ნანგრევების,
როგორ მაღელვებს მე ყოველთვის იგი სიჩუმე...
მასში იდუმალ ძილით სძინავს ახალ ქაოსებს,
იგი ღელვაა დაფარული, უჩინარ ცეცხლის.

* * *

ჩვენი დღის ამბებს—ძალიან მწყრალი
თვალებით უსმენს ჩემი გადია
კეთილი, ძველი ქართველი ქალი
ვისიც გზა სულის სიდიადეა,

არა, აქ უნდა ნახოთ, არამედ
იქ, სადაც ლოცვა და ზარებია
და შორეული ეპოქის ღამედ
კანკელი ფერებს შეფარებია.

სვეტიცხოველში ეშვება მაშინ
გაოცებული ლანდი—აგატი
და უძველეს მიწაში ნაშენ,
სხივები ცვივა ბროლთა ნაკადი,

ფანტასტიური, ოცნებიან დღეს
ქერუბიმების მოესმის კვდომა
მას შეუყვარდა ყოველივე ეს
ფერისცვალება, ბზობა, აღდგომა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადია! ლაჟვარდ სირმარეული
გუმბათების ქვეშ ხატებს ევლები
მთვარეული და სიზმარეული
გეჩვენებიან სასუფევლები.

კვლავ გუმბათიდან უნაზეს ლილას
განგიალებენ სნეულ ფერებით
შავ მარმარილოს, თეთრ მარმარილოს
და მარმარილოს ვარდის ჩქერებით.

გწყურია, ოდეს სანთლები ელავს
წაიღო სულით აურზაური,
ბაგით შეეხო მადონას ხელებს
და იგრძნო სუნთქვა არ აქაური.

გვირაბებიდან

გვირაბებიდან, ვით მიმპარავი,
ამოდის შავი მუშების ლანდი
ცაზე ანთია ვარსკვლავთ კარავი
მთებში ღრუბელი მიცურავს ზანტი;
სადღაც კივილი ისმის ტურების,
გადაირბინეს დათვებმა მხარე
მძინარე შავქვას ჭიათურისას
ბეწვივით წვრილი ანათებს მთვარე,
შავ ქვას ეს მხარე.
მივდივარ ისე,
ვერ ვასწრებ სალამს და კალმის მოსმას
შენზე წუხილით დავღრღნი ამ მიწას,
ჩავაცივდები კბილებით კოსმოსს.

ღამე ხეობაში

თეთრი და მზიანი გათავდა დღეობა.
ახალი გრიგალი მთებიდან ტრიალებს.
ლანდები გვიანი ავსებენ ფიალებს,
სივრცეა მაღალი და სულის ტყვეობა.
იალებს და ჰქრება და ისევ იალებს.
ასე რომ ჰკივიან რა უნდათ ტიალებს?
მომაკვდავ დემონის ხრიალით ხრიალებს
გრძნეული ხეობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღამეა. მთვარე. ხეივანი.
—ოჰ, მეგობარო!
მომჯადოებელ ვარდს ვეძახდი
გუშინ რუსუდანს.
—მაშ ეხლა უნდა მოგილოცო.
—თუ გსურს მართალი
მე მშვენიერი მირჩევნია
ყველას თამარი!
რაც შეეხება ლამაზ ნინოს...
(დაბოლოება წარმოითქმის
სავსებით წყნარად:
ხელი მეგობრის დაეჭდობა
მოსაუბრის ხელს)
—დეე, იყოს ასე! მაგრამ შერიფს...
ოჰ, ეს შერიფი!
(ორივე ერთად ხეების გზით
გაისეირნებს.
ლურჯდება ჰაერი.
ენთება ღამე).
—მე ველი ამელამ
ისე, როგორც კახაბერი.
თუმცა ეს კაცი
გად ცდა ჩვენი საუკუნის
გადამწყვეტ საზღვრებს.
რაც შეეხება ჩემს ოცნებას...
დღეს გონებაში
სამი სახელი ღვთაებრივი
უძველეს დროის
ისევ მინათებს.
უპირველესად რუსუდანი
სს...
შემდეგ თამარი იტრიიდან.
—ჩუ...
—უკანასკნელად ქეთევანი.
—..!
—იცი: მე მზად ვარ ვაღიარო
ძვირფასი „მაშინ“.

(ხან ალისფერი, ხან წითელი
ხის რტოებში
ჩნდება სინათლე
ჩამავალი მზის)
ასე ჩურჩულით
მოდის ეს ორი, ხეივანის
დახვეულ გზებით.
სახლის ფარდებზე თეთრად ჰქრიან
ნაზი ფარდები.
ჩამავალ მზეზე
კანკალებენ მათი ჩრდილები.
ყველა მათ ჩრდილებს
სიყვარულით გადახვეული,
რომელთაც მათი მოგონება—
ეალერსება
მე-XII საუკუნიდან.

მშობლიური ეფემერა

ველარ ვცნობილობ მშობლიურ ხეებს,
ზამთარს ბილიკი დაუტანია...
„დიდი ხანია?"—მივმართავ ტყეებს
და ტყე გუგუნებს: დიდი ხანია...
შეხავსებია კლდეები კლდეებს,
იქ ვიღაც კვნესის დიდი ხანია.
„ამირანია?"—მივმართავ ტყეებს,
და ტყე გუგუნებს: ამირანია.
ეს მძაფრი კვნესა მიწამლავს დღეებს,
ის გული ისევ ჩემი გულია...
დაკარგულია? მივმართავ ტყეებს
და ტყე გუგუნებს: დაკარგულია.
გუგუნებს თერგი, ხმაურობს თერგი,
მზე ჩავა, ჯერ კი შორსაა ბინდი...
ფერები ქევრი ირევა ბევრი,
ლალების ტევრი—ლილა და შვინდი.
ყაზბეგის შუბლი შემოსეს ღრუბლით
და ცა ალუბლით სავსეა.. კმარა.
ყვავილთა ციდან კალათებს ცლიდენ,
დარიალიდან ზარავდა ზარა.

სულ ერთი წამით განსაცდელ ჟამად,
შეხვედრა ჩუმი მე შენად მერგო.
მოგონებებით რაც ჩემს გულს ანთებს
იმ ძვირფას ლანდებს გადაეც, თერგო!
შეხავსებია კლდეები კლდეებს,
იქ ვიღაც კვნესის დიდი ხანია.
„ამირანია?"—კვლავ ვკითხავ ტყეებს
და ტყე გუგუნებს: ამირანია.

პოეზია — უპირველეს ყოვლისა

სული გვქონდეს უსპეტაკეს თოვლისა!
მეგობრებო, სიკვდილამდის მექნება—
მხოლოდ ერთი სიხარულის შეგნება—
პოეზია—უპირველეს ყოვლისა!
თავდადებულ ბრძოლებისთვის ნახევარ
გზად დაღლილი არვის არ ვუნახავარ—
მაგრამ მანათებს შუქი სვეტიცხოვლისა:
პოეზია—უპირველეს ყოვლისა.
სიკვდილივით მარადია სურვილი—
მთელი ქვეყნის სიმღერებით მოვლისა—
ყველაფერში შუქით შემობურვილი:
პოეზია უპირველეს ყოვლისა!
თუ სამშობლო მაინც არ მომეფეროს,
მე მოვკვდები—როგორც პოეტს შეჰფერის—
სიმღერები ხალისის და ბროლისა,
პოეზია—უპირველეს ყოვლისა.

წელიწადები წავლიან ძველნი

დღეები ბრუნავს, ვით კამათელი
და ყვავილების არის მრავლობა.
ჩემთვის დღესავით არის ნათელი,
რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა.
წელიწადები წავლიან ძველნი,
შეიცვლებიან ქარით სიონი,
როგორც ერთია ქვეყანა მთელი
ისე ერთია გალაკტიონი.

მგლოვიარე სერაფიმები

მარმარილოს ქვეშ (მწუხარება უამრავ დროთა!
მე პოეზიამ დავიწყების ცელს ამარიდა);
საუკუნეთა სათვალავი მეკარგებოდა;
ერთხელ ზმანებით მე ამოველ ბნელ სამარიდან.
მე მოვდიოდი სამშობლოსკენ გზებით ირიბით,
ჰაერში კვნესდა დაწყვეტილი წვიმის სიმები.
და სასაფლაოს ძეგლებიდან მწუხარე რიგით
მე მიმყვებოდენ და სტიროდენ სერაფიმები.
ასე სტიროდენ; ოჰ! შეხედეთ! აი, ეს არი!
„იყავ ნაზი და ახალგაზრდა—როგორც მაისი,
„დადაფნულ გზაზე მიდიოდი ვით კეისარი,
„შენს მოვლენაში კრთოდა ცეცხლი უზენაესი.
„ცხოვრება შენი იყო მწველი ალერსი ქალის,
„თვით ბოროტება საქართველოდ ნაანდაზები
„შენში ბადებდა სიმხურვალის დაუმქრალ ხალისს,
„და შენ, მწყურვალემ, გამოსცალე ყველა თასები!
„ყოველი წვეთი სავსე იყო უმძაფრეს შხამით;
„ლურჯა ცხენებით თუ გაფრენდა გრძნობათ სინაზე,
„იყავ საოცრად მოხიბლული ასეთი ღამით
„და უაილდის ყვავილივით დაეცი გზაზე.
„ცაცხვები დგანან შენს საფლავთან ვით ცენტავრები,
„მათ სიბნელეში ნისლიანი და უეცარი,
„გამოჩნდებიან პოეზიის თანამგზავრები,
„სდგანან მწუხარედ და იტყვიან: აი, ეს არი!

შენ ერთი მაინც

საქართველოში შენ ერთი მაინც
არ იტყვი, როგორც იტყვიან სხვები,
შეგებრალება თვითონ კაენიც—
თუ კი პოეტის ჰქვია სახელი.
ოჰ, ჩემი სული ბევრს დაიმონებს,
მეგობრები კი არ მეყვარება—
სხვაგვარ თიბათვის დღეებს იგონებს
ჩამავალ მზეთა მგლოვიარება.
გიგზავნი ამ წიგნს... როგორც ოდესმე
მომქონდა შენთან წიგნი პირველი,
შენმა ღიმილმა უბოროტესმა
დაინდოს წიგნი და შემწირველი.

* * *

მიყვარდა ჰანგი გრძნობით გამთბარი
ყვავილებივით ნაზი და ჩუმი—
ხან მოშრიალე ვით აბრეშუმი,
ხან მოთამაშე ვით ნიავქარი,
სიმღერა გულში დაგუბებული,
ხან ნიავივით, ხან შეშლილივით
როს—სიღრმეში ვერ იტევდა გული
გადმოდიოდა ფერად ლივლივით.
ვმღეროდი დამთვრალ ყვავილთა მტვერში
ვმღეროდი ტრფობის ან მტრობის ხმაზე
მსურდა ყოველში და ყველაფერში
მუსიკა, გრძნობა და სილამაზე.
მუსიკა, იგი! ჰოი, მგოსნებო,
მართალი არის იგი თქმულება,
რომ უფრო ლიდი და საოცნებო
უფრო მაღალი დანიშნულება,
არ არის როგორც განწმენდის ხმაში,
ვით ცეცხლის ალში დააცხრო ვნება
რასაც არ ჰქვია რითმათ თამაში,
და განცდათ ტანჯვა-შვენიერება.

როცა აკტეონი, ძეჲ არისტეას

როცა აკტეონი, ძეჲ არისტეას
ლაღად მიდიოდა ტყეში სანადიროდ
უცებ დაინახა თეთრი აფროდიტა,
თავის ნიმფთა შორის იგი ბანაობდა,
ძველი პართენონის მსუბუქ ნაკადებში.
შედგა აკტეონი. თვალნი დაებინდენ.
იგი მოჯადოვდა უცხო სანახავით.
მაგრამ ის დასაჯა—იმავ ღვთაებამა:
იქცა აკტეონი ირმად მშვენიერად,
ძაღლებს აკტეონი მსხვერპლად შეეწირა,
იგი დაეფლითათ—ძაღლებს იმისსავეს.
ვიცან, გალაკტიონ, შენში აკტეონი.
შენ გსჯის ყოველივე, როგორც სიყვარული.
შენგნით დაწრთვნილები, ყეფენ მოუსვენრად—
ისევ შენთვისავე—ავი ძაღლებია.

უნაზესი ხელთნაწერი

როცა დიდი ხნით დახურული გავხსენი ყუთი—
ძველ ბარათებში აღარ იყო სიახლე ძველი,
მხოლოდ ზაფხულის სურნელობა ვიგრძენ სათუთი
და შემოდგომის სიახლოვე ბურუს-დამსხმელი.

აქ მეთორმეტე საუკუნის მძიმე წიგნები
ყვითელ ქაღალდზე დაღალული ხელით ნაწერი!
ვიცი: მე მათთან მორევიან ნისლში ვიქნები,
როგორც ავდარში შუქი მკრთალი და ალმაცერი.

გაჰქრენ ძვირფასი ანბანები: „ჩვენი ქვეყანა
მშვენი თვინიერ, ჰოი ზღუათა და ხმელთა ზედა“.
მათში მარტოდენ ჩაქსოვილა მძინარე ნანა
ალმოუთქმელთა მწუხარებათ და სინაზეთა.

სერაფიმის ფრთა, სევდიანი ჩემი სანთელი
ამ ბარათებზე საუკუნო ალად ენთება!
გადივლის თვალწინ დროთა ბნელი კორიანტელი
ჩუმად ვშლი ფურცლებს. სარკეებში ჩუმად თენდება.

იქ პოეტების ფრიალებს დროშა

ზღვაში გადვისვრი ბედითი ბადეს,
რომ ოქროს თევზი მოჰყვეს ცბიერი
მისი დანახვა მრავალჯერ სცადეს,
მე კი ნამდვილად ვარ ბედნიერი.
ზღვაში ჩავაგდებ საოცარს ანკესს,
აჰა, სირენას ამოჰყვა გული,
იგი მომასმენს მშვენიერ ჰანგებს
და მე ნამდვილად ვარ მოხიბლული.
დღე გაჟღენთილა ქროლვით მზიანით,
სადღაც, სხვა მხარეს გადანატანი
ზღვა ღელავს ისევ ხალისიანი,
დღე ელავს როგორც ცეცხლის მადანი.
მისცურავს გემი, ტრიალებს ზვირთი,
ჩვენ გავაყოლეთ ხომალდებს კვალი
იქ პოეტების ფრიალებს დროშა,
და დროშებს შურით გასცქერის თვალი.

წიწამურში რომ მოკლეს ილია

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიწამურში რომ მოკლეს ილია, მაშინ ეპოქა გათავდა დიდი.
ძველი სიმღერა და იდილია. ფანტასტიური გამოჩნდა ხიდი.
მოჰქონდათ წინად პასტორალები, ბაღთა მნათობით
გადამთოვრება,
როგორ ოხრავენ მათზე ქალები, რა მშვიდი იყო მათი ცხოვრება.
დრო იყო: ომით აუსახველი. დღეებს იმედი ესაკიდება.
რა მძლავრად ქუხდა მათი სახელი, რა დიდი იყო მათი
დიდება.
დადგა ცხრაას რვა, ახალი ლანდი. ჩემთვის სიზმრებში
უცნობია ჯერ
მოვიდა წვიმა, ქარი, დალანდი და მთელი ხანა წიგნის: „Crâ-
in aux fleurs".

შემრიგება

ტოტებს ქარისას გადაჰყვა მარტი,
თეთრ ტანსაცმელში მე მოვირთვები
და წავალ ქარში, როგორც მოცარტი,
გულში სიმღერის მსუბუქ ზვირთებით.

დღეს ყველგან მზეა. ეხლა ამ ბაღებს
და მყინვარს მაღალ ზრახვათა მეფეს,
მაისი ალით ააზამბახებს,
ვით შეყვარებულს და მეოცნებეს.

ჩვენ გვირგვინები გვაქვს ოდნავ მსგავსი
ლამაზი შუქთა მარადი ნთებით:
მე მსუბუქ დაფნის ფოთლებით სავსე
მყინვარს უმძიმეს იაგუნდებით.

ამაღლდი, სულო, თეთრ აკლდამაზე
მშვენიერების ლექსით მქებელი:
დღეს ყველგან მზეა და სილამაზე
სიკვდილთან ჩემი შემრიგებელი!

1915

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცი, რომელმაც გაბედა

რაღაც გრძნეულად და უცაბედათ—
ამ წიგნში არის და მიხარია
კაცი, რომელმაც ასე გაბედა
და ის, რაზედაც ჩუმად არიან.
ამ წიგნს არა აქვს არც ერთი ნაკლი,
ერთია ქვეყნად მისი წვალება.
მხოლოდ შენ იცი, ძმაო ირაკლი,
უცნობი ქუჩის იდუმალება.

მე არა ერთხელ მქონია ფრთები

მე არა ერთხელ მქონია ფრთები
თავბრუდამხვევი სიმაღლით მქროლი,
ლურჯი ტრიალით ბრუნავდენ მთები
და ირყეოდა ლაჟვარდი ბროლი.

და არა ერთხელ მიგრძვნია მაშინ,
რომ ის მიწები სხვა მიწებია,
დამვიწყებია მოწამლვა შხამით,
მაგრამ კივილში გამღვიძებია.

ვყოფილვარ ბევრჯერ სიკვდილის პირად,
ომში მინახავს ცეცხლის ვარდები,
იმ სიმაღლეებს ვიგონებ ხშირად:
არ მავიწყდება ის ლაჟვარდები.

გააფთრებული რომ იყოს ვეფხვი

გააფთრებული რომ იყოს ვეფხვი,
მკაცრ თვალთაცქერას გაექცეს ვერსით
და გაგიწვება ფეხებთან კვდომით,
დამონებული მშვიდი ალერსით.
გულში ტროპიკის შუადღით ცხელა,
ოცნება მიჰქრის ველურ ცხენებით
და მოკლულია ყოველგან ყველა,—
დაუნდობელი გადაჭენებით.
ცხოვრება ბედთან გადიქცა ბრძოლად.
სულს კი მარადის სურს ციერება.
გამარჯვებათა მე ვიგრძენ მხოლოდ
ეს უდიდესი ბედნიერება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდუმარე მხარეს შორი მთებისას,
დახარის ღამე და ანდამატი.
იქ, როგორც ლანდი მწუხარებისა
გამოჩნდა მაღალ პოეტის ლანდი!
თეთრი ჭაღარით მოსილი თმები
ელავდა ელვის ელვა ციმციმით,
და მოხიბლული იყო მთიები
დიდებულ სახის ღვთაებრივ ღიმით.
მძიმე და დაღლილ ფეხის ხმას გრძნობდა
ნელი-ნელ მსვლელი ღრუბელი ჩუმი,
და მოძრაობდა ღამის მნათობთა
აღელვებული ელიზიუმი.
გრძნობდა თანაბარ მოახლოებას
განცვიფრებული და დიდი მთები,
შეუცნობ-ხშირი შრიალით შეკრთა
მშობლიური ტყის მწვანე ზვირთები.
მაშინ ბავშვივით მიჩუმდა შქერი,
შეწყდა მდინარეთ ზვირთების მღერა—
მხოლოდ გრიალმა გზა მრავალფერი
ნაპერწკლის დროშით ააელფერა.
და საიდუმლო შუქით შემოსა
მიწყნარებული გზა იშვიათი:
ჩუმად... დაღლილი სანთლებით მოდის
მწუხარე ლანდი... მაღალი ლანდი.
ოჰ! ასეთია დღეს განსაცდელი
და არ დაგვტოვებს პოეტი ობლად,
რომ არ აანთოს ისევ სანთელი
დავიწყებული ხატის მახლობლად.
იქნება ჩვენთვის, იქნება ჩვენში,
იქნება ჩვენთან მარად და მარად!
ჩვენის სიზმრების სიდიადეში
ჩვენი ფიქრების ლურჯ ნიავ-ქარად.
არ მოგვაკლებს მადლს და შუქს უსიტყვოს
მისი, პოეტის მადლით ანთება.
კურთხეულ იყოს, კურთხეულ იყოს,
კურთხეულ იყოს ეს მოლანდება...

1915

ᲨᲘᲨᲕᲔᲚᲘ

ᲡᲘᲛᲐᲦᲚᲔ ᲚᲐᲟᲕᲐᲠᲓᲗᲐ,
ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲗᲐ ᲡᲘᲛᲐᲦᲚᲔ,
ᲡᲘᲛᲐᲦᲚᲔ ᲖᲐᲛᲑᲐᲮᲘᲡ!
ᲧᲔᲚᲘ ᲒᲐᲥᲕᲗ ᲒᲔᲓᲘᲕᲘᲗ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲬᲝᲠᲘ!
ᲝᲰ, ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲗᲛᲔᲑᲡ ᲨᲔᲰᲤᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲤᲜᲐ ᲓᲐ
ᲐᲛᲑᲝᲠᲘ!

ᲔᲚᲐᲓᲐ, ᲔᲚᲐᲓᲐ!
ᲐᲥ ᲡᲣᲚᲘ ᲐᲢᲐᲠᲔᲑᲡ ᲗᲕᲘᲡ ᲛᲡᲣᲑᲣᲥ ᲡᲐᲛᲝᲡᲔᲚᲡ
ᲐᲡᲔᲗᲘ ᲡᲘᲜᲐᲗᲚᲘᲗ ᲨᲣᲑᲚᲘ ᲣᲔᲚᲐᲕᲓᲐ
ᲕᲔᲜᲔᲠᲐ ᲛᲘᲚᲝᲡᲔᲚᲡ!

ᲕᲘᲒᲝᲜᲔᲑ ᲠᲐ ᲘᲛ ᲛᲘᲥᲔᲚ-ᲐᲜᲯᲔᲚᲝᲡ

ᲕᲘᲒᲝᲜᲔᲑ ᲠᲐ ᲘᲛ ᲛᲘᲥᲔᲚ-ᲐᲜᲯᲔᲚᲝᲡ,
ᲐᲠᲐᲐ ᲫᲜᲔᲚᲘ ᲛᲗᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲓᲜᲝᲑᲐ,
ᲠᲝᲛ ᲪᲘᲡᲙᲐᲠᲘᲡᲙᲔᲜ ᲛᲐᲦᲐᲚ ᲐᲜᲯᲔᲚᲝᲖᲡ
ᲔᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲝᲡ ᲚᲐᲚᲘᲡ ᲢᲐᲢᲜᲝᲑᲘ.
ᲕᲔᲠ ᲨᲔᲐᲛᲩᲜᲘᲔᲡ ᲛᲖᲔᲗᲐ ᲢᲘᲢᲐᲜᲘ
ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲔᲡᲘᲐ,
ᲛᲔᲓᲒᲐᲠᲘ ᲛᲮᲠᲔᲑᲘᲗ ᲠᲝᲛ ᲐᲘᲢᲐᲜᲐ
ᲛᲗᲐᲖᲔ ᲓᲘᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲞᲝᲔᲖᲘᲐ.

ᲝᲑᲔᲚᲘᲡᲙᲘ

ᲝᲑᲔᲚᲘᲡᲙᲡ ᲗᲔᲗᲠᲘ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲢᲐᲜᲘᲚᲡ,
ᲩᲕᲔᲜ ᲨᲔᲕᲪᲥᲔᲠᲝᲓᲘᲗ ᲫᲐᲮᲘᲚᲘᲗ: ᲓᲐᲰᲒᲛᲔᲗ!
ᲔᲩᲕᲔᲜᲔᲑᲝᲓᲐᲗ ᲥᲕᲘᲡ ᲗᲚᲘᲚᲘ ᲢᲐᲜᲘ
ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲪᲮᲝ ᲓᲐ ᲑᲜᲔᲚ ᲥᲐᲠᲐᲒᲛᲐᲗ.

ᲬᲧᲐᲚᲘ ᲨᲐᲕᲘᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲔᲚᲐᲜᲘ,
ᲨᲐᲕ ᲬᲧᲐᲚᲖᲔ ᲧᲐᲚᲧᲖᲔ ᲨᲔᲓᲒᲐ ᲛᲔᲠᲐᲜᲘ,
ᲓᲐ ᲡᲐᲡᲐᲤᲚᲐᲝᲡ ᲛᲮᲐᲠᲘᲓᲐᲜ ᲫᲔᲠᲐ
ᲗᲐᲕᲡ ᲓᲐᲡᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲡ ᲕᲘᲗ ᲑᲔᲓᲘᲡᲬᲔᲠᲐ.

ჩვენი დრო ისევ რუსთაველს ელის

ძველ სასახლეში ვეფხის ტყავებით
ფარავდა ვინმე გობელენს, მანდილს.
შვენოდა იგი ფერაყვავებით
აქ სადარბაზოდ მოსულ ავთანდილს.
ელავდა როგორც ზმანება წუთის
ზურმუხტი, ლალი და იაგუნდი
ძველი ნანგრევი ვნახე გეგუთის
და, უხმო დროო, შენ მომაგონდი.
გამოჩნდა მაღალ სვეტთან თამარი,
რეტროსპექტივი, ლანდივით ჩუმი
გამშრალთა ცრემლთა ნაწამწამარი,
მოეფინება მთელი სამუმი.
არაბეთიდან მოსული მონა
სდგას, მოიტანა შორით ფარისი
და სპარსეთიდან ლექსების კონა,
მიმოდის როგორც ტოტი ქარისი.
შორეულ დღეებს მახლობლად უზის
მცოდნე ჰაფიზის, მცოდნე გაზელის
ცივი ოცნება შხეფავს აუზის.
ჩვენი დროც ისევ რუსთაველს ელის.

ის დირიჟორი

ოჰ, ცრემლი მისი იყო მისივე
ეს ფარვანები მოცისფერო,
ღამით საწყლები რომ მოისევენ
და იწვებიან საბედისწეროდ.
იყო უბრალო, მაგრამ მართალი
მისი სიმღერა და სიარული,
და სამუდამოდ იყო ქართული
მისი ჰიმნები გენიალური.
ის ახლობელი იყო სულ შორი
გამბედაობით სავსე ძლიერი,
უნდა გენახათ ის დირიჟორი,
უდარეგელი და მშვენიერი.

1919

ვაგნერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე მხიბლავს ეს ქანდაკება, ზღვა-აღმაფრენით ტყვემქნელი—
ვაგნერი, წმინდა ვით ზეცა და ბნელი როგორც ქვესკნელი.
ვაგნერი, დისსონანსების მშვენიერებათ შემქნელი
ნელი-ნელ მატყვევებელი, ამღელვებელი, მვნებელი.
მე მესმის წყნარი შრიალით ქაოსი ქვეყნის შექმნის დროს
და აღმაფრენა შემქნელის რომ ზე-შთამგონელ წამს უსწროს
და სახე მელოდიების განცდით წამებულ-ვნებული'
და მესიზმრება გრიგალი ბოროტად მიძინებული.
წარვლიან საუკუნენი და ყოველივე რაც ხდება
ისევე წყნარი დუმილით დავიწყებაში გაჩნდება
მარა დამწველი ჰანგები ლოენგრინესი ცად მყვანის,
მწუხარე ამონაკვნესი იზოლდასი და ტრისტანის,
ამონაკვნესი, რომელსაც მომხიბვლელად ქმნის ზღვა-ვნება
ჰანგი ახალის ძიების,
სიმღერა ვალკირიების—
სამარადისო, დაუჭკნობ და წმინდა ძეგლად დარჩება.

1915

მარმალილო

აჰყვე კიბეებს—სადაც სფინქსი ქვებს ეფერება:
და შიშში გრძნობდე, რომ ახლოა ბედნიერება.—
ოჰ! რამდენია სიცოცხლეში ასეთი წამი!
სულში გენიით ატეხილი რეკავს ლერწამი,
და ვან-დეიკის ლანდებივით მწვანდება ღამე,
ოჰ! რამდენია, რამდენია ასეთი რამე!

აჰყვე ვარდისფერ საფეხურებს და აჰყვე ისე,
რომ შენს წინ სხივზე ლანდად იდგეს ყრმა დიონისე;
გრძნობდე, რომ ისევ უკვდავია თქვენი მსგავსება:
ერთნაირ სულში ერთნაირი მზის მოთავსება;
ერთგვარი სახე, ერთი ცეცხლი და სითამამე ..
ოჰ! რამდენია, რამდენია ასეთი რამე!

აჰყვე ოცნებით მარმალილოს თლილ საფეხურებს,
სადაც ყოველ მხრით პრაქსიტელის თვალი გიყურებს,
ცა სიყვარულის და სიცოცხლით ძვირფასი თასი
და ყოფნა ასე, მოლანდება ასიათასი,
რომ შენს გვირგვინზე წაშლილია შავი ნაპრალი,
ოჰ! რამდენია, რამდენია ამგვარად მთვრალი!

აუჩქარა ცხენმა გზაში

აუჩქარა ცხენმა გზაში,
ქიმერებმა დაჭკრეს ტაში,
დაიკივლა ელვამ ცაში,
და ღრუბლები შეაჯერა
აჰა, ბრძოლა დაათავა,
ნაპოვნია მზის სათავე,
დაუჭირა რაშს სადავე.
ხედავთ? იგი შეაჩერა!

ედარებოდა შეშლილს

მაშინ ტოვებდა ყველას და ყოველს
და ფეერიულ ალში მცურავი,
ედარებოდა შეშლილ ბეთჰოვენს
დაუნდობელი და მომდურავი;
და მიდიოდა უბედურ ქარში,
რა იყო ქარი ერთად ერთისთვის,
სამგლოვიარო მან შეჰქმნა მარში,
რომ წყევლა-კრულვა ეთქვა ღმერთისთვის.

1915

* * *

მალე ფერ-გადაშლილი,
ამწვანდება ტყე-ველი,
გაიშლება ყვავილი,
სურნელების მფრქვეველი;
გაცოცხლდება დაფნარი,
მთის მწვერვალი, ტყის პირი,
და დაივლის ნარნარი
გაზაფხულის ზეფირი.
წყნარი სევდა მეწვევა,
წამიღებს სიმთა ჟღერა;
ნისლით გამოერკვევა
ჩემი გულის სიმღერა
ქვებს, ბალახებს დაატკბობს
ჰანგი თავისებური,
მკაცრი მაგრამ ლამაზი,
ნაზი, მაგრამ ველური.

როდი მიყვარს გულის თქმა
თუ ნაღველს არ ერევა,
ათას ხმაში ჩემი ხმა
ამ ხმამ განაცალკევა.
როდი მიყვარს გულის თქმა
თუ გულმავე არ ჰპოვა,
ათას ხმაში ჩემი ხმა
ამ ხმამ განამარტოვა...

სტიროდა სული ცისფერ ღვინოებს

სტიროდა სული ცისფერ ღვინოებს,
ღვინო ეძებდა სულ სხვას პირ იქით
და, შემდეგ უცნობ პიანინოებს
ატრიალებდა ტანჯვის ლირიკით,
როგორც მრავალი ვარდების მფენი,
მას სული ჰქონდა ციური,
მასში მრავალი იყო შოპენი
და პაგანინი ფანტასტიური,
მას საქართველომ გადაუზნიქა
ვერხვები შორი ალაზანისა
და აი, ეხლა მისი მუსიკა
ჩვენი ისლების რხევამ დანისლა.
და იდარება ეფექტი მისი
იქ, სადაც სიტყვა ტყავდება ძველი,
მაგრამ არაფრის და არაფერი
ცრემლებით თვალი არ ჰქონდა სველი.

1919

* * *

როცა გარშემო ღამე ბნელია,
თეთრო ყვავილო უცხო მდელოსი,
გგრძნობენ, გფიქრობენ და მოგელიან
შენ პოეტები საქართველოსი.
უცხო ასულო, ვიქნებით თქვენი
პალლადინი და მარად ძმობილი,
მხოლოდ გიყვარდეთ ამდენის მთმენი
ოცნება ორად გულ გაპობილი.

აჰა, ბინდდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჰა, ბინდდება, კვლავ დამესია
მწყურვალებათა ფიქრი-ობობა,
ყოველგვარ შხამზე უშხამესია
შეღამებებით ავადმყოფობა.
თითები ელის საყვარელ თითებს,
როს ფარდებიდან მიდის ზმანება,
და ყოველ სახლში ღამეებს ითევს
პიანინოთა ახმოვანება.
რამდენი ქალი, მღერალა ქალი
შეიმოსება ბინდით — დათვალე.
აშრიალდება მრავალი ხალი
და გატაცებით ცა მოშავთვალე.
რამდენს უეცარს ველოდი ამბორს,
რამდენს ველოდი ფრთეებს აღსავალს
მხოლოდ ახალწლის ბინდებში ამბობს
მუსიკა თავის თავგადასავალს.
წელს გადაიწვენს ხელი მინაში,
თვალს მოულოცავს კოცნის მკვეთრება,
და როგორც ლანდი ლოენგრინეში
ლანდს სიჩუმეზე შეევედრება.

1918

მუსიკა — უეცარი

ახალი ხმა შემოიჭრა, ვით ღრუბლიდან მთვარის შუქი,
და ჰანგებად დაიღვარა ვით სურნელი, ვით ქარბუქი.
ღამის თრთოლვა იდუმალი გარინდებით ამ დროს სთვლემდა
და ნაზი ხმა მის სივრცეში ლივლივებდა, ლივლივებდა!
თითქო ორთქლად ეფრქვეოდა არე-მარეს ეს ცის ხმები,
და სცურავდენ ამ ლურჯ ორთქლში ვარსკვლავები, ყვავილები!
მაგრამ ჰანგი გაიზარდა და თანდათან შეიცვალა,
ახმაურდა მასში გრგვინვა და სტიქიის რაღაც ძალა,
ამ დროს თვალწინ იშლებოდა ჯურღმულები და ხევები,
იმედთა და რწმენის ზღვაზე მოცურავენ ნამსხვრევები.
ჰანგთ ნაკადში ინთქმებოდა კაცთა გული, კაცთა თვალი,
იყო რაღაც საშინელი, იყო რაღაც იდუმალი,
ტბათა ბსკერზე თითქო ელვის დაიკლაკნა ბილიკები,
მაგრამ აჰა, სულ უეცრად შეიცვალა ისევ ხმები:

ლაჟვარდოვან ტბის სარკეზე გასრიალდა ვერცხლის ნავი,
ოდნავ დასწვდა წყალს ნიჩაბი ვით ნიავი, ვით ნიავი...
მთიდან ნისლი ჩამოცურდა, ნისლი ბნელი, ნისლი შავი,
და გაშალა ტბის სივრცეზე თმა-გიშერი, თმა-ნაწნავი.
და ისმენდა ამ სიმღერას, და ტოკავდა როგორც ნავი,
სანამ კვლავ არ შეიცვალა ჰანგთა ტალღა მომხიბლავი:
ეხლა თითქო ღრუბელთ ზევით დაოცნებობს ფიქრი წყნარი,
ცის ვარსკვლავებს აგროვებს და ზღვას სთავაზობს ნიავ-ქარი.
მდუმარე ზღვის ლაღ სივრცეზე ნისლად იდგა ის სიმღერა
და ტოკავდა ზღვის ქალწულთა მოხიბლული გულისძგერა.
მწველი იყო ის სიმღერა ვით შუადღის ბრწყინვალება,
სადაც გრძნობა გზას პოულობს, სადაც ცეცხლი იმალება,
და ისმოდა ეს სიმღერა, და ღვივოდა თვით ამ ხმაში
და ნარნარად იკაფავდა გზას უსაზღვრო ქვეყანაში,
იკვალავდა გზას და თრთოდა უსაზღვრობის სიღრმე წყლულში.
იკვალავდა გზას და რეკდა გარინდებულ ცის ჯურღმულში.
ერთხელ კიდევ ჰანგთ კამარა მიძინებულ ქვეყნის გულში
მიატარა-მოატარა და გაიბნა შორს, უფსკრულში!!

1909

ბოტიეს

თქვენს მშობლიურ სავანეს დაარქვით: პიმოდანი.
იგი მარად ფერობდა დელაროშის ფერებით
ჩვენ ნათელი გველოდა, არამცირეოდენი,
არამცირეოდენი დაფნით და დაფერებით.
ბედნიერი იგი დრო, ეხლა უფრო ანკარა!
თვითეულში ელავდა ბრჯმელი ან ლოზენი.
ნეტავი სად არიან ყველა ეს უანგარო
პოეტები, მხატვრები, ქალნი მომიმოზენი.
ირგვლივ მოგონებების თეთრი ნაკადებია,
ირგვლივ ნაკადებია მსუბუქი და ფარული,
მყუდრო ბინა ბრწყინავდა, როგორც აკადემია,
გამოთქმებით ცხოვრება იყო ლეგენდარული.
ჩვენ ვეძებდით რაიმე ღრმას, გვსურდა რამე ქართული.
რითმა—ნჯუანსები, რიტმიული ლანდები
სად არიან ყველა ამ მორევებში ჩართული
მენადები-გედები და ფრთები-ინფანტები?
ეხლა კი გზა ეკლებზე უფრო უეკლესია,
არავისთვის არ არის სული უფრო სათელი.
ეხლა მარტოდ-მარტო ვარ, როგორც მთის ეკლესია
და საკვდავად მიღიმის ჩამავალი ნათელი.

* * *

ორი ზღვა შეხვდა ერთი მეორეს
ერთი—ქარიშხლის, მეორე—მშვიდის
მათ აღტაცებით განიმეორეს,
რომ დრო ახალი იმედით მიდის.
ფეერიულ ნავს სცილდება კორდი
ამაყი ლორდი სდგას. დროა ძველი.
ბაირონს უსმენს მერი ჩავორტი
და. ფერადებში მისცურავს შელლი.
ტალღები სთვლემენ, ვით შორი ბედი
და ნაპირებთან მისული ნავი,
ზვირთებთან ერთად ოხრავს მილედი
და პოეზიის დაიძრა ზვავი.

რუს პოეტს

ნიაღვარივით მოსკდა ზღაპარი
შორეულ ქალის, მომაკვდავ გედის.
ჩვენ სივრცეებში ვართ თანაბარი,
პალადინები ერთი იმედის.
თითქო ერთგვარად ხედავდა თვალი
დაბინდებული ნისლით და ყინვით
და ერთნაირად ვიყავით მთვრალი:
შენ შენი თოვლით, მე ჩემი ღვინით.
მივმართავ ბალმონტს, მივმართავ შელლის,
რომ არ გვაშორებს მხოლოდ სართული,
უდაბურება კალუგის ველის
და მწუხარება ჩვენი ქართული.

ალარ არის მენესტრელი

ეს ოცნება არის ჭრელი
ფიქრი ბნელი ღამისა,
ალარ არის მენესტრელი
უნაზესი დამისა.
იყო ირეკლივ ზიანება
და ყორნების ჩხავილი,
თოვლმა სილას მიანება
ნოვალისის ყვავილი,
მაგრამ გულში დარდს ნუ ისევ,
ოცნება ნუ გშორდება,
ყოველივე იგი ისევ
ისე განმეორდება.

წერილი მეგობრებისადმი

ო, როგორ მინდა, მეგობრებო, რომ თქვენთან ერთად
მივიღო ჩვენთა წინაპართა ელვარე თასი—
ბევრი რამ არის მათ გრძნობაში კეთილშობილი,
მათი მხურვალე ოცნებით მსურს ვიამაყო.
მაგრამ სხვაგვარად ჩვენი დროის მემატიანე
ფოლიანტებში სტრიქონების გროვას შეიტანს,
რომ ათასწლოვან ადგილიდან მოსწყდენ კლდეები,
საქართველოზე სამუმებმა გადაიარეს.
და სამუმებთან იყო ქნარი გიგანტიური
ქართული სულით მეოცნებე პოეტის ქნარი.
ო, როგორ მინდა მეგობრებო, თუნდაც ერთი დღით
ჩვენთვისაც იყოს უმაღლესი თავისუფლება.
ო, როგორ მინდა უფრო მძლავრად გავშალო ფრთები,
განა არ არის საშინელი საოდავობა
ისეთ ქვეყანას—როგორც ჩვენი საქართველოა
რევოლუცია არ აძლევდეს სიმშვენიერეს?
ვულკანიური ორკესტრივით უნდა ისმოდეს
გრძნობათა ჩვენთა და ოცნებათ ძლიერი ქნარი.

1916

ქალი და ხელოვნება

ხავერდოვან მინდვრის ბალახს მობიბინე არხევს ქარი.
თითქო ალერსს ეეფერება და ჩურჩული ისმის წყნარი.

მაგრამ მალე დაღლილ ყვავილს გაშორდება ცელქი ქარი,
გაიტაცებს ობოლ ყვავილს სწრაფ-უმიზნო ნიაღვარი.

გატაცებულ მგოსნის ჰანგებს გაგიჟებით ისმენს ქალი,
თითქო სურს რომ ამ ჰანგებში გარდაიქმნეს ძილგამკრთალი.

მაგრამ მალე ცელქი ქალი, ვით ყვავილებს თეთრი მტვერი,
გაშორდება დაღლილ მგოსანს, მობეზრდება ყველაფერი.

მე მინახავს ყვავილებზე მონავარდე თრთის პეპელა,
აშრობს და სცლის ყვავილის გულს ისე ნაზად, ისე ნელა...

მაგრამ მალე ყვავილის მტვერს კმაყოფილი მოსცილდება,
ყვავილი სულს განუტევებს, პეპელა კი პეპლად რჩება!

ასე, მგოსნის წრფელ სიმღერას ქალის ნაზი სევდა ბურავს,
სულ ქალი სვამს ამ სიმღერას, სანამ მთლად არ ამოწურავს.

1916

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პარალელი

იასამანთა გროვად გროვდება
გულში ვედრების ზღვა ნელი-ნელი,
როცა ერთმანეთს უახლოვდება
მყუდრო საღამო და ღამე ბნელი.
განწმენდის შუქი სულს ეფარება,
როდესაც პანი დაჰქრის ტყე-ველად
და ღამე სწრაფად მიეჩქარება
დღის ელვარების მოსახვეველად.
და აი, ფერთა შეზავებაში,
როცა შურივით იძვრის ოცნება,
ასე გადადის უკვდავებაში
სივრცე, დუმილი და გაოცება.
ასე, ნელობა ზაფხულის ველის
და ქარიშხალთა ცივი შვენება,
მწვავს როს გოიას და ბოტტიჩელის
სხვადასხვა ლანდი მომეჩვენება.
სულ სხვაა, მძლავრი გუგუნი ზარის
და მზის სხივებზე დამჭკნართა ია,
დემონი იჭვით სავსე მხატვარის
და სეგანტინის „Ave Maria".

შემოქმედება

მოხდება ხოლმე, ცა მიზიდავს
განუსაზღვრელი
ვარსკვლავთა შორის, სხივთა ტბაში
არა მყავს ტოლი.
ვბრძანებ: ტყის შქერში გაჩუმდება
ნიავი ნელი.
ვიტყვი და თრთოლვად გადიქცევა
ვერხვის ფოთოლი.
მზე ჩემთვის ბრწყინავს და მეფე ვარ
ყოვლის მოქმედი,
არე-მიდამო ნეტარების
ცრემლით ივლება,
ჩემს ხელში არის მაშინ ჩემი
მძვინვარე ბედი
ქვეყნად ყოველი არსის სული
მემორჩილება.

ეს მაშინ არის როცა აზრი
მიჰქრის შორს, შორს, შორს
და ლტოლვა გულში დაგუბებული
ეძლევა შვებას,
ირგვლივ ვერ ვხედავ ჩემს თანაბარს
და ვისმეს ჩემ სწორს,
რომ ამგვარადვე ეძლეოდეს
ტკბილ-ნეტარებას.
ვხედავ მიფრინავს იქ, სადღაცა,
ნისლი უსაზო
ვგრძნობ რომ მის ტალღას, ერთხელ ჩემს მძლევს
გააპობს მკერდი.
ო, უძლეველო დიდო წამო
შემოქმედების,
ეხლა ყველაფერს... ყველაფერს ვქმნი
ახალი ღმერთი.

ვუალისა და ვიოლეს შესახებ

ვენერა სარკესთან. ეგონა ფრაგონარს
პალაცცო პიტტი და პერუჯი, ვენეტა.
ფერები მიენდო მშვენიერ საგონარს,
რომელსაც იძლევა ხმები მასსენეთა.
გათავდა, განელდა, გაჩუმდა ზღაპარი!
ოცნება! შენ წარსულს ვედრებით შესძახებ,
რომ ისევ აინთოს უცნობი ლამპარი
ვუალის, ვიოლეს და სხვების შესახებ.

ისევ ეფემერა

რა ამოძრავებს კიპარისის ტანს,
ჩუმი შრიალი საიდან არი?
ქარი არა სჩანს, ქარი არა სჩანს:
მაინც მწვერვალებს ედება ქარი
დუმილი გახდა ვიწრო გალია,
დაუძინარი და უჩინარი,
მხოლოდ იმიტომ რომ მაღალია
მარად და მარად ტყდება ჩინარი.
როგორც ჩინარი—ისე პოეტი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისთვის სიმაღლე არის წამება—
არა ღიმილით და ალოეთი
დაფარავს მტერთა ცილისწამება.
ის—მაღალია, დიდია მაინც!
მისთვის მოისმის ზარების ზარი:
ქარი არა სჩანს, ქარი არა სჩანს—
მაინც მწვერვალებს ედე'ა ქარი.
პოეტს მაისის სიზმრების ხილვით
ესარკებოდა პარიზის რკალი,
მაგრამ უეცრად ქარტეხილივით
მის ცხოვრებაში შეიჭრა ქალი.
დემონიური არევ-დარევით
ყოველი მხრიდან ავარდა ალი,
სულში დაჰქროდა ქალი ქარივით
და შეშლილივით კივოდა ქალი.
ჰო, ლელიანი მაშინ დაქანდა
ვით მწვერვალიდან მერანი მალი.
კუბო მიჰქონდათ, არვინა სჩანდა
და არ ტიროდა არც ერთი ქალი.
ოჰ, სიყვარული ზღვების ქაფია!
მიეცით წარსულს ელვა ან ხმალი
რომ ამოკვეთოს ეპიტაფია:
„მის ცხოვრებაში შეიჭრა ქალი!"
და პაგანინიც... ორგიის ბადეს...
მაესტრო თასით გადაკრავს ღვინოს;
ესტრადა ნათელ იმედათ ბადებს
აშლილ ვოლტორნებს და პიანინოს.
ის დანდობილი იღებს ჭიანურს,
და სასახლეებს ჰაერში მოდებს,
რომ მხრეები შეაჭიანოს
და ლეგენდები შორით ისმოდეს.
არა! არაა იმედი სიმათ
ქალნი ლანდობენ თღილი თითებით,
სიმებთან ერთად ატირებს იმათ
თვალების ნაზი ხრიზოლიტებით.
მათ მეოცნებეს რომ ვარდი არგეს,
ის ნებას აძლევს სულს ითარეშოს,
არ ხედავს ახლო გაბზარულ სარკეს
და უიმედო საპირფარეშოს.

როცა ქარხნები ისვრიან დორბლებს
ვერჰარნი, დროის ახალი დანტე,
თუჯის ხელებით სძრავს მძიმე ბორბლებს,
გიგანტი ცეცხლით მოანდამანტე.
და ტრიალებენ ბორბლები ჩქარა
და, ინთქებიან ორთქლში გვერდებით
ვერჰარნ! გაისმის მათი ხარხარი,
ნუ თუ არასდროს არ შევჩერდებით?
დადგა დრო, რკინამ აიდგა ენა!
ის ითხოვს პასუხს, როგორც მკვლელობა,
და სასტიკია როგორც გეენა,
მისი სისწრაფის ულმობელობა.
და ახრჩობს თავის ცხელი თითებით
მასვე, ვინც იმას სული შთაბერა,
მოჰკლეს ვერჰარნი! მაგრამ დიდებით
მას მოიგონებს ბედის სხვა წერა.
და დოსტოევსკიც... მას თითქო ასჯერ
ნისლიან ღამით, ნისლიან ღამით
მას მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა
და ის ელოდა წამითი-წამით
ჯალათს შემოსულს ციხეში წყნარად.
რალაც ამაზე ღრმა, უფრო მეტი,
გაუშუქებლად დარჩება მარად,
ასეთი არის მისი პორტრეტი.
იგი არ შინჯავს გამომხსნელ საჭეს,
ეფინებოდა რა სახეს ჩრდილი,
სიკვდილით დასჯა მას მიუსაჯეს,
ვინ იგლოვოს ის! რაა სიკვდილი!
ეშაფოტიდან უყურებს შორს პანს
დღემდე თვალების გამხდარი რეტი.
ასეთი არის მისი პორტრეტი.
ქარი არა სჩანს, ქარი არა სჩანს ..

ათოვდა ზამთრის ბაღებს

ათოვდა ზამთრის ბაღებს.
მიჰქონდათ შავი კუბო
და შლიდა ბაირაღებს
თმა-გაწეწილი ქარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გზა იყო უდაბური,
უსახო, უპირქუბო.
მიჰქონდათ კიდევ კუბო.
ყორნების საუბარი:
დარეკე! დაუბარე!
ათოვდა ზამთრის ბალებს.

ოფოლრტი

ელვარე თოვლში მიჰქრის მარხილი
რომ მოიხვიოს თეთრი ავდარი,
ამ სივრცეებში მყავს დამარხული
ზამთარი ცივი და ნაზავთარი.
მისი ელამ მზის თვალის ხილება
ეშორეება ჰაერს არეულს,
მხოლოდ ტყემლების აყვავილება
ხეებს რიდეებს ფენს სიზმარეულს.
ფერუმარულის სახით ცხედარი—
მარმარილო დგას როგორც მუმია,
გაყინულია თითქო მეედარი
და იდუმალ წუხს: რა სიჩუმეა!
რა სიჩუმეა! როგორ აჩნია
გზებს ხაკვალევი არ საამსოფლ ი,
რომ სხვა სამშობლო არ გამაჩნია...
რომ ეს თოვლია ჩემი სამშობლო.

გადია

გადია ჩემი სიზმრის სიალით
ასე არასდროს არ დაისრულა.
ის ირონიამ ფრთით უშუალოთ
წარსულ დღეებში გადაისროლა.
ის, დაყრდნობილი ულონო ხელებს
სიყმაწვილისას დაყურებს სურათს
და ჩარჩოებში ძვირფას სახელებს
ითვლის ბავშვივით და უსუსურად.
ბზა, სახარება, სარკე, საათი...
სარკეში თეთრი თმები თოვდება
და საათიდან სამოცდაათი
წელი, გადია, გიახლოვდება.

*
* *

ობილ ბალიშებზე ისვენებს კატა—
ნებიერების ბნელი ასული,
ცეცხლმა კანკალით შემოახატა
კედელს მოხუცი წრიდან გასული.
მე კი მოღრუბლულ დღით მოწყენილი
ავიღებ მანონს, სადაც ზონარად
მჭკნარი ალოე არის შთენილი
უკეთეს დროთა მოსაგონარად.

*
* *

ხომალდს მიყვება თოვლის მადონა
და ყვავილები გაიიადონა.
შენთვის გაეკრა ჯვარზე იესო
სულო, ჭაობზე უნოტიესო.
იდუმალია ჩვენი სეროობა
და ღამეების ალმაცეროობა,
რომ ოცნებები ცეცხლით გალესო
სულო, იმ ცეცხლზე უმხურვალესო.
დღეთა სინაზეს ედება კორძი...
ესე არს სისხლი, ესე არს ხორცი
და იდუმალი ლოცვა ბაგისა,
სულო, ლაჟვარდზე უსპეტაკესო.
ვარსკვლავი იგი—ფიქრთა საგანი
ერთი უმრავლეს ვარსკვლავთაგანი
აელვარებდა ცაზე ოდესმე,
სულო, დემონზე უბოროტესო!

ზამთრის მოტივებიდან

ქვეყნად კვლავ მოდის დაფარულთა ფერთა ხსენება,
მტრედისფერ გზებზე უთეთრესი გედით რხეული.
იქ, სადაც მეფობს მისი ძილი და განსვენება
სიმაღლეების სიზმრებია ზამბახეული.
თოვლზე უთეთრესს მე არ ვიცი მას რა დავარქვა,
მისი მოვლენის ზმანებისთვის მეპოვა დარდი
იყო ახალი ყვავილების ცეცხლთა აქარგვა,
და იგი მხოლოდ ქვეყანაზე დარჩა წარმართი.

თოვლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის
ქალწულებივით ხიდიდან ფენა:
მწუხარე გრძნობა ცივი სისოვლის
და სიყვარულის ასე მოთმენა.
ძვირფასო! სული მევსება თოვლით:
დღეები რბიან და მე ვბერდები!
ჩემს სამშობლოში მე მოვვლე მხოლოდ
უდაბნო ლურჯად ნახავერდები.
ოჰ! ასეთია ჩემი ცხოვრება:
იანვარს მოძმედ არ ვეძნელები,
მაგრამ მე მუდამ მემახსოვრება
შენი თოვლივით მკრთალი ხელები.
ძვირფასო! ვხედავ... ვხედავ შენს ხელებს
ულონოდ დახრილს თოვლთა დაფნაში.
იელვებს, ქრება და კვლავ იელვებს
შენი მანდილი ამ უდაბნოში...
ამიტომ მიყვარს იისფერ თოვლის
ჩვენი მდინარის ხიდიდან ფენა,
მწუხარე გრძნობა ქროლის, მიმოვლის
და ზამბახების წყებად დაწვენა.
თოვს! ასეთი დღის ხარებამ ლურჯი
და დაღალული სიზმრით დამთოვა.
როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი!
როგორმე ქარმა თუ მიმატოვა!
არის გზა, არის ნელი თამაში:
და შენ მიდიხარ მარტო, სულ მარტო!
მე თოვლი მიყვარს, როგორც შენს ხმაში
ერთ დროს ფარული დარდი მიყვარდა!
მიყვარდა მაშინ, მათრობდა მაშინ
მშვიდი დღეების თეთრი ბროლება,
მინდვრის ფოთლები შენს დაშლილ თმაში
და თმების ქარით გამოქროლება.
მომწყურდი ეხლა, ისე მომწყურდი
ვით უბინაოს—ყოფნა ბინაში...
თეთრი ტყეების მიმყვება გუნდი
და კვლავ მარტო ვარ მე ჩემს წინაშე.
თოვს! ამნაირ დღის ხარებამ ლურჯი
და დაღალული ფიფქით დამთოვა.
როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი!
როგორმე ქარმა თუ მიმატოვა!

ალვები თოვლში

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაათრობს მთვარე თოვლიან ალვებს,
ივლისის ფერი ყინვის თასებით!
სითეთრე შვენის მაღალ მწვერვალებს,
ვით სასძლოს ფარჩა და ალმასები.
მოკრიალებულ ჰაერში ოდეს,
გულცივად ბრწყინავს ფარჩა ნათელი,
ოჰ, ნეტავი არ შეირხეოდეს
გადაზნექილი სიზმრების წელი!
მკრთალი ვარდები დაცვივა ხელებს,
ჩამოიშლება შუქი-პირ-ბადე
და უცნობ ღამის შორ საკურთხეველს
უნდა ვუხმობდე განთიადამდე.
სდგას გაყინულთა ოცნებათ კრება:
მთა თეთრი, როგორც მაღალი რაში...
და უჩვევ ნათელს ეალერსება
ჩვეულ სიცივის მძინარებაში.

თეთრი ქარები

დადგა თეთრი ქარები,
დაითოვლა მთა-ბარი,
ქარის გამოძახილი
ისმის, როგორც ზღაპარი.
იგი ოთხი დობილი,
ოთხი ქარით გამხდარი.
გაზაფხული, ზაფხული,
შემოდგომა, ზამთარი.
ამბობს თეთრი გადია,
ახსოვს ასი ზამთარი,
ასი წელიწადია —
თოვლით დახრილ ტოტებზე
კანკალებდა ბელურა,
მიწას თოვლი ფარავდა
ცის ფანტელი ეხურა.
გაჰქრა იგი ბავშვობა,
და ოცნებებს ედება,
არც შენა ხარ-ცოცხალი,
არც სხვა მეიმედება.

თოვლი იყო ირიბი, ალმაცერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოვლი იყო ირიბი, ალმაცერი.
დიკენსის გმირივით ცეცხლთან ჩაფიქრება.
ელვარებს ღუმელი. ვფიქრობ, საცაა ცეცხლიც ჩამიქრება.
გაიღო ფანჯარა: თოვლი იყო ირიბი, ალმაცერი.
იფანტება თეთრი ფიქრები, იფერფლება ხელნაწერი
ნუ ჩამიქრები... და იქაც, შიგნით, სულში...
თოვლი იყო ირიბი, ალმაცერი...

* * *

თეთრ თოვლის ქვეშ სიზმრებს წაპყვა მთის გრეხილი უხმო, შორი
და, მღელვარე გაზაფხულზე, ფიქრს მიეცა ველმინდორი.

თოვლის ფიფქით შეიმოსა ნაძვი ტოტებ-დახლართული
და, მღელვარე გაზაფხულზე, გაიყინა ნაკადული.
გაიყინა ცის ლაჟვარდი, გაიყინა ქვეყნის გული,
და, მღელვარე გაზაფხულზე, ტყე გარინდდა დაბურული.

სად, სად გაჰქრა მშვენიერთა ყვავილთა და ფოთოლთ კრებაზ?—
იქ, სად მეფობს გაზაფხულის ოცნება და მოსიზმრება.

ზამთარი ძნელი

ზამთარი ძნელი, ყინვა ფიცხელი,
გამწარებული სულის სიცხელე,
ამაოდ ყინვის განგულებას გლოვს,
გადაუღებლად თოვს.
სახლები აივსო თოვლით,
ქუჩები აივსო თოვლით,
შუშაბანდს ცვივიან კეცები,
სიცივისაგან დღე იკეცება.
მოკლული ეცემა ფრინველი,
მე შენზე მაწუხებს წუხილი,
გულიდან გრიგალი
ყვიროდა წუხელი:
შენ არ გაქვს სენაკი, შენ არ გაქვს სართული
სადა ხარ ვინ იცის,
არც ტკბება ჰაერი,
არც ცხრება ჟინი ცის
თავისი უჟინო სიმძაფრით გართული.

*
* *

დგება თეთრი დღეები,
რიდეების სეზონი;
გაჩდენ ორხიდეები
ყოვლად უმიზეზონი.
ლაჟვარდების კიდეო,
დაბურულო ზმანებით,
ლურჯო მონტევიდეო
ვიწრო ხელთათმანებით;
სულში ნისლის ტბებია
და ქაოსის მხატვარი,
სადაც ველარ თბებიან
ფრთები ნამკათათვარი.

მწუხარება შენზე

მე გარს მეხვევა მუდამ, იგივე
შენ მიერ ნაზად ნაქსოვი რიდე.
ხალხს მოვშორდები, მაგრამ ღამეებს
სად დავემალო, სად წაუვიდე?

ღვინით თასები ისევ ივსება,
ისევ მევსება დარდით თვალები.
შორით მომესმის ყრუ ტაშისცემა,
მაგრამ იქ ვისძეს შეკებრალები?

მე ვიხდი ნიღაბს! მომგვარეთ რაში!
შენთან! ნუგეშთან! ო, ჩქარა, ჩქარა,
მე მომდევს განთქმულ სახელის ტაში,
დიდება, ცრემლი, ღელვა, მუქარა.

სინამდვილეში ოცნებისას

დაე, ვცდებოდე, მატყვილებდეს ოცნება ჩემი
აუსრულებელ იმ ოცნებებს კვლავ მივეცემი.

ჩემს შორ გაზაფხულს უდარაჯებს სიცოცხლის ვნება,
იმ შორ გაზაფხულს, ძლიერად რომ გამობრწყინდება.

სინამდვილეშიც ოცნებისას ავანთებ კანდელს,
იმ შორ გაზაფხულს, ფეხქვეშ ვუგებ ყოფნას დღევანდელს.

თოვლი

ხეები თოვლით დაფენილია,
ფერდობებს ფენენ თოვლის კრავები,
ზამთრის საღამოს მკრთალი ჩრდილია
ტფილისის სახლის სახურავები.

გულშიც პეპლები აუარება,
არა თეთრები, არამედ თალხი
გადაბურულა ტროტუარები
და მიმავალი ქუჩაზე ხალხი.

ხეებში მოსჩანს ქაშვეთის ზოლი,
როცა მოწყენილ გზაზე გავედი
მე დავინახე სახლებზე ბოლი,
და სულ არ სჩანდა მამა-დავითი.

რაც უფრო შორს ხარ

რაც უფრო შორს ხარ—მით უფრო ვტკბები!
მე შენში მიყვარს ოცნება ჩემი
ხელ-უხლებელი—როგორც მზის სხივი,
მიუწდომელი—როგორც ედემი.

—

და თუ არა ხარ ის, ვისაც ვფიქრობ—
მე დღეს არ ვნაღვლობ, დაე ვცდებოდე!
ავადმყოფ გულს სურს, რომ მას ოცნების
თეთრ ანგელოსად ევლინებოდე.

—

დაიწვას გული უცნაურ ტრფობით,
ცრემლით აივსოს ზღვა-საწყაული—
ოღონდ მჯეროდეს მე ჩემი ბოდვა
და სიყვარულის დღესასწაული.

ვინ არის ეს ქალი?

Le charme inattendu d'un bijou rose
et noir,—

B a u d e l a i r e

La demoiselle bleue aux bords frais
de la source,—

T h. G a u t i e r

La melancolie des soleils couchants,—

P a u l V e r l a i n e

...et les ro es trop hautes.

H. d e R è q n i e r

მიმაფრენდა ნაპრალებზე ლურჯა ცხენი,
გადვიჩეხე,
უკურნებლად დაჭრილი ვარ...
დამეხსენი!
შეკიდებიან მთვარეს—როგორც მძიმე მტევნები
თეთრ-ვარდისფერი ალუჩები და შადრევნები.
ქანდაკებებმა ჩაიარეს მოხდენილ წყებად.

სადღაც შორს მუსიკა ქარივით კითხულობდა:
ვინ არის ეს ქალი, ვინ არის ეს ქალი
ასეთი ცისფერი?

ჩახმახის წუთი. ბნელ სივრცეში აშლილი ბოლი,
შავი ყვავილის სამუდამოდ მკვდარი ფოთოლი.
ლაჟვერდისფერი:—
ვინ არის ეს ქალი, ვინ არის ეს ქალი
ასეთი ცისფერი?

გავიდა ხანი

ხანი გავიდა, გადამავიწყდა
სიმღერა სადღაც, ოდესმე თქმული,
სანამ არ ვპოვე მეგობრის გულში,
ღრმად ჩაქოვილი და შენახული.

ერთხელ, როდესაც გზად მივდიოდი,
მე მოვისმინე იგი ნაღველი,
პირველ ოცნებით გატაცებული
ყმაწვილურ ვნებათ გამომხახველი.
და, ვერ ვივიწყებ ქალწულის სახეს
სადღაც, ოდესმე ფიქრში ზმანებულს,
შემდეგ ახდენილს სინამდვილეში,
მაგრამ... რა ძლიერ დაგვიანებულს.

ის

ღამემ მოვერცხლილ ძაფების გროვა
გადააქსოვა სარკის მწვანე ბროლს,
სარკეს ანათროლს დაუახლოვა
და დაათოვა სურათებს, საწოლს.
მე დამავიწყდა ძველი წვალება
და ვალალება გრძნებათ დამხობის,
და მახსოვს მხოლოდ ცისფერ თვალება
იდუმალება შორეულ ტრფობის.
მომიახლოვდი ვით მთვარის შუქი
მითხარ, მაჩუქე ოცნებათ კრება.
უჩინრად ჩნდება ვნებათ ქაო-ბუქი...
ეს მართლა ხდება თუ მესიზმრება?

სიშორით შენით

სიშორის შენის სიახლოვე, მარადის მძაფრი
აბრუებს ყნოსვას ვარდო ტყიურო!
მესმის ბილიკთა სიხარულით გადანაზაფრი
უვერტიურა.
და სიახლოვის სიშორეში, კვლავ უფრო შორი
მისვლა ყელამდე, მიწვდომა ყელის...
არის ნანატრი ედემები, სიკვდილის სწორი—
მზე მთა და ველის.
ო, იგი წამი, მშვენიერო, ო, იგი ბაგე!
ო, ეს წყეული სისხლის დუღილი.
ძეგლთა სიმაღლით, სივრცეებში! მე იქ აღვაგე
სულის წუხილი!

ნუგეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის დღეს ჩემთვის ნაზი ნუგეში
ვიყო უმშვიდეს წარსულის მტერი:
შევიდე უცხო სიმსუბუქეში,
გამომყვეს ლურჯა ცხენების მტვერი.

ვიცი: ეს მხოლოდ ისე იქნება,
როგორც ყოფილა ოდესმე ღამით:
დათვლა ნაბიჯის და დამიზნება,
ნისლიან ამიდს, ნისლიან ამიდს!

მაგრამ ნაცნობი ზმანება ბროლის
მოვა: სალამი თანამგრძნობ თვალებს!
მას მოიზიდავს ხმობა გასროლის
და შეჩერებას მე დამავალებს.

ვიცი: პოეტის გატეხილ სახელს
ბრბო არ დაინდობს გასათელავად,
მაგრამ შენი მზე სიბნელეს გახევს
და დაადგება შუბლს ნათელივით.

ძველი მოტივით

თქვენი სასახლის ძველი მოტივით
გული მისცურავს წყალზე მოტივეთ
იქ, ლურჯ კუნძულებს დაენახვება
ხან სიზმარივით, ხან ნაფოტივით.

და გარს ყოველი არის მწუხარე,
რომ იისფერ გზას არ გადუხარე,
ძველი ხალები და მაგიდები.
აალებული ძველი ბუხარი.

გარედ თოვს. ცანო, მიწას დაჰხარით.
ჭალარით მხრებზე გადანახარით
შორით შორს, გზ ნი იშურებიან
უდაბურებით და ზენა ქარით.

მესმის თქვენი ხმა. ბინა დაღონდა
მოსამსახურეს ვაზა დაჰქონდა,
სად გნახეთ! როდის? რაა ეს გრძნობა?
ვიგონებ, მაგრამ არ მომაგონდა.

შენ ზღვისპირად

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ ზღვისპირად მიდიოდი მერი,
სხივქვეშ თრთოდა შენი ნაზი ტანი,
და გფარავდა მწვანე სუროსფერი
ცაცხვისა და ალვის ხეივანი.

შენს ღიმილში მწუხარების ჩქერი
მოულოდნელ სიყვარულად ვსცანი,
როგორც მთვარის შუქი ალმაცერი,
როგორც სიოს უცხო მიმოხვრანი.

ამ ღიმილში კარგი, მშვენიერი
გამოკრთოდა სევდა-კაეშანი,
როგორც სხივზე ყვავილების მტვერი,
ცისკრის ნამით თრთოლვილ-განაბანი.

იმ ღიმილზე, იმ სევდაზე ვმღერი
ბანს მაძლევენ ყვავილნი და მთანი.
მერი, ჩემო შორეულო მერი,
შენსკენ მოჰქრის ბედის იალქანი.

VOILES

საიდუმლო ალები ზღვათა იდუმალების,
სადაც რომ იმალება იაგუნდი, ლალები!
საიდუმლო მღერალი, კიდევ მრავალფერ ალით:
ასეთია მფარველი—საყვარელი თვალები!
საიდუმლო ალები! ისევ მომემალება
უმიზეზო წვალება და ლურჯი მწვერვალები!
ვარსკვლავებით მწირველი, ლოცვა გასაკვირველი,
ასეთია პირველი ტრფობის ინტერვ ლები!
სერაფიმთა ბაგეზე უნაზესი, ფაქიზი—
რაინდობად მაქეზებ შთ-ით უმხურვალესი!
საიდუმლო ალები ზღვათა იდუმალების,
სადაც რომ იმალება შორეულთა ალერსი!
ქრება ქარში შანდალი (ოცნება შარშანდელი)
და თამაში მანდილის ჰქრიან თებერვალები!
საიდუმლო ალები! ისევ დამევალება
უმიზეზო წვალება და ლურჯი მწვერვალები!

*
* *

ო, დღეს შემოდგომაა...
შემოდგომა...
სულს
აღარ სურს არავინ...
ნაზი ფერების კვდომად
ნაზო მერი,
დაჰქრის ლანდი ცისფერი...
შემოდგომა
შენს ბაგეებს მაგონებს...
ვწუხვართ...
ბშვიდობით...
მერი...

შენი სადღეგრძელო

კაფეში შევალ სრულიად მარტო
და ორს ავივსებ სასმელით ჭიქას
ერთი შენია (უნდა ვიდარდო
ასეც და ისეც, აქაც და იქაც).

შენს სადღეგრძელოს ჩუმად ჩამძახებს
ჭიანურები, ვსვამ: ალავერდი!
მაგრამ შენს ჭიქას ხელს არვინ ახებს,
პასუხს არ მაძლევს ხმათა ხავერდი.

და გაფითრებულ სარკეში მცურავს
ეს მწუხარება ვინ დამიფასოს?
მე გეუბნები ასე სამდურავს,
მაგრამ შენ მაინც არ მაძლევ პასუხს.

სადღაც მინახავს

სადღაც მინახავს ქალის სახე, კარგი და წრფელი.
არ მშორდება ის დღეა ბადრი თუ ღამე ბნელი.

ალერსის სიტყვებს ჩამჩურჩულებს ახლო მდგომელი,
მაგრამ მარადის დაფარული, მიუწდომელი.

ო, დიდხანს, დიდხანს ვძებნე იგი და ვერსად ვპოვე,
ვიცი შორს არის, მაშ, რად მტანჯავს ეგ სიახლოვე?

მერი

შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს, მერი!
მერი, იმ ღამეს მაგ თვალთა კვდომა,
სანდომიან ცის ელვა და, ფერი
მწუხარე იყო ვით შემოდგომა!

აფეთქებული და მოცახცახე
იწოდა ნათელ ალთა კრებული,
მაგრამ სანთლებზე უფრო ეგ სახე
იყო იდუმალ გაფითრებული.

იწოდა ტაძრის გუმბათი, კალთა!
ვარდთა დიოდა ნელი სურნელი,
მაგრამ ლოდინით დაღალულ ქალთა
სხვა არის ლოცვა განუკურნელი.

მესმოდა შენი უგონო ფიცი...
მერი, ძვირფასო! დღესაც არ მჯერა...
ვიცი წამება, მაგრამ არ ვიცი:
ეს გლოვა იყო თუ ჯვარისწერა?

ლოდებთან ვიღაც მწარედ გოდებდა
და ბეჭდების თვლებს ქარში კარგავდა.
იყო ობლობა და შეცოდება
დღესასწაულს კი ის დღე არ გავდა.

ტაძრიდან გასულს ნაბიჯი ჩქარი
სად მატარებდა? ხედვა მიმძიმდა!
ქუჩაში მძაფრი დაჰქროდა ქარი
და განუწყვეტლად წვიმდა და წვიმდა.

ნაბადი ტანზე შემოვიხვიე,
თავი მივანდე ფიქრს შეუწყვეტელს;
ოჰ! შენი სახლი! მე სახლთან იქვე
ლონე-მიხდილი მივაწექ კედელს.

ასე მწუხარე ვიდექი დიდხანს
და ჩემს წინ შავი, სწორი ვერხვები
აშრიალებდენ ფოთლებს ბნელ-ხიანს,
როგორც გაფრენილ არწივის ფრთები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შრიალებდა ტოტი ვერხვისა
რაზე—ვინ იცის! ვინ იცის, მერი!
ბედი, რომელიც მე არ მეღირსა—
ქარს მიჰყვებოდა როგორც ნამქერი.

სთქვი: უეცარი გასხივოსნება
რად ჩაქრა ასე? ვის ვევედრები?
რად აშრიალდა ჩემი ოცნება,
როგორც გაფრენილ არწივის ფრთები?

ან ცას ღიმილით რად გავცქეროდი,
ან რად ვიჭერდი შუქს მოკამკამეს?
ან „მესაფლავეს“ რისთვის ვმღეროდი,
ან ვინ ისმენდა ჩემს „მე და ღამეს“?

ქარი და წვიმის წვეთები ხშირი
წყდებოდენ, როგორც მწყდებოდა გული
და მე ავტირდი—ვით მეფე ლირი,
ლირი, ყველასგან დატოვებული.

მოვა... მაგრამ როდის?

შორეული ქალის ეშხი
მოვა... მაგრამ როდის?
სიყვარული სასახლეში
მხოლოდ ერთხელ მოდის!
ასეთია ნაზი ბედი,
ბედი რჩეულ ფერის;
სიცოცხლეში თეთრი გიდი
მხოლოდ ერთხელ მღერის!
ყვავილები უხვად არის,
დენდის... მეფე მონის.
ქარში ათრობს არე-მარეს
ოხვრა ტრიანონის.
და ლანდებად თეთრ სარკეზე
ჩნდება სახე მკრთალი
შუაზელი, ესტარგეზი
და თვით დედოფალი.
ზრდილი, ნაზი და მეფური
ჩემი ძველის-ძველი
ლექსი არის უნებური
სიზმრით შემმოსველი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მხოლოდ თეთრი შადრევნებით
მე ვერსალის ბროლი,
მაცდურ თვალის გადევნებით
მტანჯავს მსუბუქ-მქროლი.
დედოფალო! ლურჯა რაში
მიჰქრის საშიშ-ჩქარი,
და ბილიკთა ლურჯ ქვიშაში
მიაქვს მძაფრი ქარი!
მიჰქრის დალალ-გადაყრილი
დოვინ—დოვენ—დოვლი:
თოვლი, ფიფქი და აპრილი,
ვარდისფერი თოვლი.

1916

არ-დაბრუნება

აი: გრიგალმა გაიტაცა წითელი ლერწი
ვაზის—ბუნების!..
მერი! მე ისევ მენატრება ჩუმი ალერსი
არ-დაბრუნების!
წყვილი ცხენები, ეტლი სწრაფი, ზრუნვა მზიანი!
რაღაც სხვაგვარი.
მოსვლა ფერების: ვერონეზი და ტიციანი
და ნიალვარი.
ვიცნობ ბაგეებს, ვიცნობ ხელებს! ათასი მხვდება
ბაგე და ვარდი...
ნუ თუ, ზეცაო, ვით მე მიყვარს შენი დიდება,
ისე გიყვარდი?

***

ეს იყო ოქტომბრის დამლევს,
იმ დროს, როდესაც თვითეული ღრუბელი
ცაზე ვერსალსა ჰგავს.
დალალული მზე ვეღარ ათბობს მათ:
შემოდგომაა.
გარინდებით იდგენ ხეები,
ისეთი გარინდებით!
თავისით, როგორც ცრემლი,
ხანდახან წყდებოდა უიმედო ტოტს ფოთოლი,
ყვითელი, ყვითელი,
ყვითელი ქარვა, გროვდება ბაღის ბილიკზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადამხმარი ტოტები და ფოთლები
მათში რაღაცას ფუსფუსებს...
და ერთად-ერთი:
ეს შრიალია, რომ იწვევს
მთელს იდუმალებას შემოდგომისას.
ბაღში არავინაა
და
დაცალიერებული ხის სკამები
იწვევენ ილიუზიას
წარსული ზაფხულისას;
აუზიც დაშრა, დაობლებული ბრინჯაოს ამური
ამაოდ მოელის
შადრევანის აბუტბუტებას.
გაჰქრა ზაფხული,
ოცნებიანი ახალგაზრდა ქალი,
ირისისფერი ტანსაცმელით,
ოქროსფერი თმით,
ვერონიკას სახით
და ცისფერ ყდიანი წიგნით ხელში
(შელლი, ეწერა წიგნს)
ნელი ნაბიჯით მიდის ბილიკზე.
ცაცხვებთან მან ჯიბის დანით
ხეზე ამოსჭრა:
მერი.
ეს მისი სახელია.
სადღაცა აპობენ შეშას.
ჰაერი სპლინითაა გაჟღენთილი.
უეცრად ცაზე
მელანქოლიურად გაწოლილი
ღრუბელი სწრაფად აირია.
მზე სრულიად დაიფარა.
შეირყა გარინდებით მდგარი ხეები,
დატრიალდა ჰაერში
ყვითელი ფოთლების სვეტი,
ახმაურდენ ხმელი ტოტები.
პატარა ბრინჯაოს ამური აუზთან
ფოთლებისა და მტვერის
ბურუსში გაეხვია.
ქარმა გადაშალა პოეტის
შელლის წიგნი
სწორედ იმ ადგილას,

სადაც იწყება საუკეთესო სტრიქონები
„გაფრენილი დღეებისა“.
ყოველი ახალი წლის ღამეს
გამახსენდება ეს, გამოვიღებ მიუსსეს წიგნს,
იქ ერთი სონეტი მეთორმეტე გვერდზე
ასე თავდება:
ოჰ, არ ველოდი, ქალბატონო,
მე თქვენგან ღალატს!
განა ეს სტრიქონი
არ ღირს მთელ პოემად?
მე თვით არ ვიცი რა მემართება.
ვერ ვისწავლე ერთი წამით მაინც დაცხრომა!
მინდა გადმიშვას ნისლ-მოხვეულმა
მთებმა, რომ დავინახო ქვეყნის
ყველა პოლიუსები:
მე მოვითხოვ სიტყვას,
მე გადავხედავ ქვეყნებს
და ხმა მაღლა ვამბობ:
უარგყოფ!
მიყვარხარ!
ორი მილიონი თვალებით
ვუცქერი ახალს
ათასცხრაას ოცდასამს წელს
და ვამბობ:
გაუმარჯოს მომავალს!

მე და ღამე

ეხლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ, შუაღამე იწვის, დხება,
სიო სარკმლით მონაჰქროლი, ველთა ზღაპარს მეუბნება.

მთვარით ნაფენს არე-მარე ვერ იცილებს ვერცხლის საბანს,
სიო არხევს და ატოკებს ჩემს სარკმლის წინ იასამანს.

ცა მტრედისფერ, ლურჯ სვეტებით ისე არის დასერილი,
ისე არის სავსე გრძნებით, ვით რითმებით ეს წერილი.

საიდუმლო შუქით არე, ისე არის შესუდრული,
ისე სავსე უხვ გრძნობებით, ვით ამ ღამეს ჩემი გული.

დიდი ხნიდან საიდუმლოს მეც ღრმად გულში დავატარებ,
არ ვუმჟღავნებ ქვეყნად არვის, ნიავსაც კი არ ვაკარებ.

რა იციან მეგობრებმა თუ რა ნაღველს იტევს გული,
ან რა არის მის სიღრმეში საუკუნოდ შენახული.

ვერ მომპარავს ბნელ გულის ფიქრს წუთი წუთზე უამესი,
საიდუმლოს ვერ მომტაცებს ქალის ხვევნა და ალერსი;

ვერც ძილის დროს ნელი ოხვრა, და ვერც თასი ღვინით სავსე,
ვერ წამართმევს მას, რაც გულის ბნელ სიღრმეში მოვათავსე.

მხოლოდ ღამემ, უძილობის დროს სარკმელში მოკამკამემ,
იცის ჩემი საიდუმლო, ყველა იცის თეთრმა ღამემ.

იცის—როგორ დავრჩი ობლად, როგორ ვევნე და ვეწამე,
ჩვენ ორი ვართ ქვეყანაზე: მე და ღამე, მე და ღამე!

უხილავი

მზე დასავლეთით იღვეღფება, ღამის ბინდი ხლართავს ჩოდრებს,
ლურჯ ცის ფსკერზე სხივი ჰკვდება, სალამს აძლევს ჩონჩხებს და
მკვდრებს,

ფიქრში თავი დაუხრიათ სასაფლაოს დარაჯ ჭანდრებს,
და ხმა ესმისთ უხილავის სურნელოვან ალეანდრებს...
„მე სული ვარ შემომქმედი შეუზღუდველ სულთა თანა,
სამუდამო—როგორც ღმერთი, დაუძლევი ვით სატანა,
ყოფნამ ყოფნას უკვდავება უხილავათ დაატანა,
თქვენ, მიწაზე, უკვდავება გიკვირთ განა, შეგშურთ განა?
ერთი ხელით ხომლს დავხატავ, მთვარეს მოვხვევ ოქროს სხივებს,
სიბნელისგან მზის შუქს გავყობ ოქროსფერად ანამძივებს,
ერთის სუნთქვით დედამიწას გადავაფრქვევ ნაზ ყვავილებს.
მთას გრიგალი დაუბერავს, ააკვნესებს, ააკივლებს...
უხილავი ყველგან სუფევს, უხილავი ყველგან გეძებს,
უხილავი გაგახარებს, უხილავი აგაკვნესებს,
დედამიწავ! სული არის შეუზღუდველ სულთა თანა,
სამუდამო—როგორც ღმერთი, გაბედული ვით სატანა“.
დედამიწას გარინდებულს მოხვევია ფიქრთ სამოსი,
რაღაც სევდით გამსჭვალულა მშვიდი სუნთქვა მიდამოსი.

სიჩუმის ანგელოზი

ეძინებათ ცის ვარსკვლავებს... ეძინებათ ტბის ფერიებს.
მთვარის სხივი ცაზე ღელავს, თითქო ღრუბლებს იგერიებს.
ეძინება ყვავილთა გუნდს, არე-მარეს ეძინება...
დაქანცულ ველს, მდუმარე მთებს ღამის სუნთქვა ეფინება.
დაიძინე, ტყის ფოთოლო, დაიძინე, ქვეყნის სევდავ...
დაიძინე, არემარევ, დაიძინე, შემოხედვავ.
დაიძინე შენც, ცის ღმერთო, შენც, ყვავილის ცელქო მუმლო...
დაივიწყეთ ხევ-ხუვებში მიმალული საიდუმლო...
დაიძინე—დაიძინე, ფიქრთა შორის—შავო მთაო!
ნანას გეტყვის ანგელოსი და მდუმარე სასაფლაო...
შენ არ იცი, რისთვის სცოცხლობ, რად არსებობ, ვისზე ფიქრობ...
ამ სიჩუმის მტანჯავ ძალას ვერ გაფანტავ... ვერ ჩაიქრობ...
როცა ნისლი დაგაწვება, არ დაღონდე, ჩემო კარგო!
მარადის მსურს სხვა სიჩუმეც შენს სერებზე შემოვქარგო.

სიხარული ბრძოლაში

თვალებს აღარ უქრება ცეცხლიანი ბუგრები,
ვიცი რად მემუქრება, ვიცი რად ვემუქრები,
ციდან იასამნამდე ღამე უცდის ალიონს,
ვეუბნები დამნებდეს, დაცხრეს, მოინანიოს.
ვკლავდე, სისლით ვღებავდე—მაინც უნდა შემებას,
მაინც გათენებამდე არ ვგრძნობ უედემობას.

*
* *

ხშირად ვოცნებობ და შევსცქერი ცას,
ვეძებ უხილავს, ვუცდი ვიღაცას.

მე ვმღერი მაშინ და მთრთოლვარე ხმას
სევდით ვუერთებ ჩამქრალ გულის თქმას.

ჩემს გულში ვეძებ ვარსკვლავებს, მთვარეს,
მეგობრებს, სატრფოს ეშხით მღელვარეს;

არ ანათებენ ისინი ჩემს გულს,
არ-ღა მომფენენ შვებას, სიხარულს.

ბნელდება მთვარე, თრთის ვარსკვლავი ცის
და ძირს ეშვება ოცნება სივრცის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალ ცისკართან

განთიადს სძინავს ლურჯ სარეცელზე,
ჯერ დილის სიო არ მოხვევია,
არ დასცემია ყვავილებს ნამი
და მათ მკერდს ვნებით ჯერ არ მთხვევია.
მთვარის რბილ ნათელს ფერი ელევა,
ვარსკვლავთა გუნდი კლდის ირგვლივ დნება,
და დამძიმებულ ნისლთა თეთრი ზღვა
მთის კალთებიდან დაბლა ეშვება.
დარჩი, ღვთაებავ! სულს ღონე-მიხდილს
სურს აღმადგენელ ოცნებად სწამდე,
დარჩი! მსურს ჩემი უსაზღვრო ვნებით
(მომეცი მე ის უკანასკნელი,
რომელსაც შენი მხურვალე გული
ჯერ ვერ იცილებს... მომეცი იგი,
გთხოვს, გევედრება შეყვარებული.
და დავრწმუნდები მე მხოლოდ მაშინ,
რომ ჩემს გარეშე ღმერთი არა ჰყავს
მას, ვინაც სულის დაუნანებლად
ახალ ცისკართან ყველაფერს ჰკარგავს).

ვარსკვლავიანი კამარა ბრწყინავს!

ვარსკვლავი იწვის, ვარსკვლავი ბრწყინავს,
ვარსკვლავიანი კამარა ელავს,
მოდის, მოსცურავს შუაღამის ბინდი
და ჩრდილი ჩრდილზე მიდის, მიღელავს.
რძისფერ სინათლით გარს შემოხვეულს
ბავშვური ძილით ქვეყანას სძინავს.
ვარსკვლავიანი კამარა ელავს,
ვარსკვლავიანი კამარა ბრწყინავს.
მომხიბვლელ ჯადოს მყუდროებისას
ქვეშ მოჭყოლია მაღალი მთები,
და მუდმივ თოვლით გადაფარულნი
სხედან ამაყად, როგორც მდევები.
და ყინულისგან ქანდაკებული
მათი გვირგვინი ბრწყინავს და ბრწყინავს,
სიჩუმეს არღვევს მხოლოდ ნიავი
ტყისა ფოთლებში როცა დაჰფრინავს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მისი სუნთქვა—ვით დედის ნანა
მძინარე სოფელს თავზე ევლება,
ალერსიანი ნიავი დაჰქრის,
ალერსიანი ნიავი ჰკვდება.
ვდგევარ მთის წვერზე განმარტოებით,
გულშივ ვიკავებ მომსკდარ სიმღერას.
ვარსკვლავიანი კამარა ჯაჭვავს
სმენას, სიმღერას და თვალთა ცქერას.

სულ ადვილია რწმენა

გავს შემოხაზულ ვაზას შებინდებული ჭერი,
სად მცენარეებს ხაზავს სწორ ირისების ფერი.
სულ ადვილია რწმენა და დაჯერება იმის:
არის ვარდების ფენა, ფენა მთვარეულ წვიმის.
მოვა ახალი სმენა აქარიშხლების მძაფრის.
სულ ადვილია რწმენა აუხდენელი ზღაპრის.

დუმილი

ნიავმა წყნარად წაისისინა,
ხევში შეიჭრა და მიიძინა;
შესწყდა, ნუგეშო, ბულბულის სტვენა,
მზე ჩაესვენა.
მარტოკა ერთი, იდუმალ ვნებით
მთის ხრიოკებში რაკრაკებს წყარო,
გაჟღენთილია ტკბილ სურნელებით
მთელი სამყარო.
დღე დაქანცული, ღონე-მიხდილი,
ასავარცხლებელ მთებს იქით კვდება,
გაფერმკრთალებით, ცა მოწმენდილი
ტბაში ფერფლდება,
და გამჭვირვალე ბინდ-ბუნდი ღამის,
ქვეყნად მოსცურავს მსუბუქი ფრთებით,
ჯეჯილი ველზე ისე სდგას, ლამის,
ბინდში გადადნეს იდუმალებით.
თავჩაქინდრული არ შეირხევა
არც ცაცხვის ტოტი, არც ალვის ტანი,
გარინდებული ტყე არ ირყევა,
არც კაეშანი.

შეჯადოებულ მიდამო-არეს
წამწამზე უთრთის ნეტარი ძილი,
კიდით-კიდემდე მიწას მთვლემარეს,
იხვევს დუმილი.
აცურდა მთვარე, აცურდა წყნარი;
ვერცხლისფერ შუქში გახვია ველი,
ტბას დააფრქვია შუქი ნარნარი,
შუქი შიშველი,
თითქო მიწიდან სურს ამოაშროს
უმჩნევი ფიქრი და ცრემლთა ფრქვევა,
და ეს დუმილი, ვფიქრობ არას დროს
არ დაირღვევა, გამოერკვევა.

კორდზე

რა სიწყნარეა! მთვლემარე კორდზე
მე შევაყენე დაღლილი ცხენი.
ღელეთა შორის აცურდა ნისლი
ნაპრალთა მკერდზე გადანაფენი.
და მთვარის შუქი მინელებული,
ტყეებს და ველებს უვლის გარშემო.
არც სიო დაჰქრის, არც ხის რტო იძვრის...
რა სიწყნარეა, ოჰ, ღმერთო ჩემო!
ჰეი, გაიღვიძე ქარო ძლიერო,
გამოაღვიძე მიდამო მკვდარი,
გასწი, უამბე ადამიანებს—
ჩემი ოცნება მიუსაფარი;
და თუ მათ შორის აღმოჩნდა ერთი
უუშორესი თანამგრძნობელი,
ისიც დიდია მისთვის, ვისთვისაც,
ზღვა-უდაბნოა მთელი სოფელი.
ჰეი, გაიღვიძეთ, ტყისა ფოთლებო,
და თუ ოდესმე დაღონებული
მოვიდეს აქ ის, ვისაც
ჩემმა სიმღერამ დასწყვიტა გული,
უთხარით, რომ მას დიდხანს ველოდი,
დიდხანს ველოდი ყმაწვილურ ჟინით,
და ცივ სამარეს ამოვეფარე
ამ მოლოდინით!

კვნესის ვოლტორნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვნესის ვოლტორნი.
სადღაცა სტირის
ვიოლონჩელი.
ვიყავით ორნი
იქ, სადაც ირისს
იგრძნობდა ძველი
რაშელი, შელი.

მოცურავს ბინდი
მდინარის პირის
ნაზი და ნელი.
მე აღარ მინდა
დღეები წმინდა,
ვიცი, რას სტირის
ვიოლონჩელი.

ქროლვანი შორნი
ღამის გულ-ძვირის
ფიქრები ძველი...
ტირის ვოლტორნი,
დაკარგულ გმირის,
იმედებს სტირის
ვიოლონჩელი.

დასძინებია ალერსიან ბალს

სთვლემს ტყის ნაპირი თავჩაქინდრული,
უხმო ალერსით ეკვრის ტოტი ტოტს,
დასძინებია ალერსიან ბალს,
დასძინებია სევდიან წალკოტს.
ვარსკვლავიანი შუალამე ბრწყინავს,
შუალამე იწვის, დნება ნელნელა,
მოგონებათა ელვარებს სარკე,
მაგრამ ჩემს გულშიც ისევე ბნელა.
ვეძახი სულს და ხმას არვინ მაძლევს,
უხმო ალერსში ეკვრის ტოტი ტოტს,
დასძინებია ალერსიან ბალს,
დასძინებია სევდიან წალკოტს.

ხომლი

ნათელი ღამე, გაშლილი ზღვა, ცის დასავალი
სდარაჯობს ეთერთ სიმშვიდესა და მყუდროებას.
მარტოდენ ზვირთი მოვერცხლილი და ძილ-გამფრთხალი
დრო-გამოშვებით გაიტაცებს საწუთროებას,
თავის სიზმრებით, თავის მწარე მოგონებებით,
დაღლილ-დაქანცულს უსაფუძვლო სიცოცხლის ვნებით.
მე მახსოვს და არ მავიწყდება ვარსკვლავთ კაშკაში,
შუქთა ფერხულში ისე ნაზად გადაშლილიყო,
და მხოლოდ მარტო ვარსკვლავებმა იცოდენ ცაში,
რომ ქვეყნად ჩემზე ბედნიერი არავინ იყო.
ღამე რბიოდა... ვერ ასწრებდა შეხედვას თვალი
და შეეჩვია გული სევდას, ურწმუნოებას.
ნათელი ღამე, გაშლილი ზღვა, ცის დასავალი
ისევ სდარაჯობს სიმშვიდესა და მყუდროებას.
ვარსკვლავთა ხომლი ისევ დნება შუქთა ფრქვევაში,
ზღვისა ყვავილებს უალერსებს სამხრეთის ქარი,
ეხლაც კი. მხოლოდ ვარსკვლავებმა იციან ცაში,
ჩემი ფიქრები და წარსულის მწარე ზღაპარი.

ცა თოვლით ფენილი

ცა ვარსკვლავების თოვლით ფენილი
აქანებს თვალებს.
ოჰ, რანაირად ხარ მოწყენილი,
რა ეფემერა გკლავს და გაწვალებს.
ბალი ლანდებით ანადევნები
მთვარეულ სიზმრით ავ ებენ მაისს
და შადრევნების მძიმე მტევნებით.

* * *

აჩრდილი ჩუმი და მოთარეშე
უცნობი მზისთვის,
ყოველ ქვეყნის და დროის გარეშე
ცხოვრობს თავისთვის.
საღამო მშვიდი აძინებს მხეცებს,
ეხლა თავიდან
აჩრდილი მზიან ადგილებს ეძებს,
მზე კი ჩავიდა.

ღამეს, რა მოგბივიდა?

ო, ყოველდღე ნზეები
ქიმერებში ვარდება,
ქარავანი დღეების
მძიმედ მიემართება.

ის ოცნებაც ქაოსის
ნაპირამდე მივიდა.
ღამეს, რა მოგივიდა?
ქარო, რა გემართება?

ამ ბნელი ღამით

ამ ბნელი ღამით ვიღაც დადის საქართველოში.
ამ ბნელი ღამით ვიღაცა კვნესის.

ვახსენოთ ჩვენ ის, უკანასკნელ სადღეგრძელოში.
სადღეგრძელოში ვახსენოთ ჩვენ ის.

ამ ბნელი ღამით სადღაც ისმის ხმა დაირისა.
თვალი მევსება ცრემლების ნამით.

უკვე ცისკარმა შორი მთები დააირისა...
ის კი... კვლავ კვნესის ამ ბნელი ღამით.

ეს იყო ძველი, ნაცნობი აზრი

ეს იყო ძველი, ნაცნობი აზრი,
რომ ვერ გაფანტა ღამის ბურუსმა
დაუნდობელად მკაცრი და ბასრი,
შუბლს შთაჭედილი, როგორც ლურსმანი.
ასე! აღარ აქვს მას ეხლა გული.
სულში იშლება სიცივე მკვეთრი —
მაგრამ ის მიდის დამშვიდებული,
როგორც პოეტი და გეომეტრი.
მან შეამჩნია ყვითელი ძაღლი
ლრმა, მშვენიერი, დიდი თვალებით.
ადევნებოდა ღამეს... დაღლილი
წვიმით, გრიგალით და გაწვალებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთვარე მთას ამოეფარა

მთვარე მთის ხრიოკს ამოეფარა,
სიცხე მინელდა, მტვერს მიეძინა.
მეურმე მღერის, და მოგონებით
აჩრდილს სურს ზისცეს მსუბუქი ბინა.
შორს ბალი მოსჩანს, მოსჩანს ჯეჯილი,
და ისევ ბალი, ისევ მთის ქარი,
მე ვდგევარ, როგორც ტყვე უცხოეთში,
როგორც სიზმარში უცხო სიზმარი.
როგორც სიზმარი დავიწყებული
თრთის და კანკალებს ცაზე ვარსკვლავი.
მე კი, კაეშნის მხარეში მიწვევს
სევდით მოცული ოცნება შავი.

უდაბნო

სიყმაწვილეში მე ვჭკნებოდი, როგორც ფოთოლი,
ობოლი ვიყავ მე მაშინაც, სულით ობოლი,
ჟამი მიჰქროდა ახალი დღით განრინებული,
არ მშვიდდებოდა ჩემში მაინც გული ვნებული.
დღესაც მარტო ვარ, სიყვარულის არ მესმის ნანა.
ჩემთვის მარტოდენ უდაბნოა მთელი სოფელი.
მოვკვდე და გული ვის დავსწყვიტო, ვინ დავაობლო?
ჩემთვის მარტოდენ უდაბნოა ჩემი სამშობლო.
რად მინდა მივსწვდე მიუწვდომელს, ვრცელს და უსაზღვროს?
ჩემს უდაბნოს ვერ გავსცილდები მაინც ვერას დროს.
მეგობრობაში, სიყვარულში, შურში, მტრობაში,
მარტო ვიქნები, და რა ვპოვო მარტოობაში?
ვიმღერო? მაგრამ ჩემთვის რაა, ჩემი სიმღერა?
წუთით მიტაცებს, სამუდამო წყლულს კი ვერ შლის, ვერა!
და თუ შორს ვინმე ტკბება ჩემი სევდიან ხმებით,
ის ჩემს ხმებს მიჰყავს... მე ვის წავყვე ჩემის წამებით?
ან მეგობარის თუ მომესმას ნეტარი ხმობა,
შემეძლება კი, სიყვარული და მეგობრობა?
არცა თუ მცირედ შეუდგა გულს სევდა-ნაღველი,
რომ კვლავ შემეძლოს ხეცისაკენ აღვაპყრა ხელი.
ო, სად ხარ, სადა, უჩვეულო რაიმე ძალო,
სიცალიერის შავი ნისლი რომ გამაცალო!

პრიმიტივი

ყოველ თეთრ ღამეს, მთვარიან ღამეს
ვიღაც სალამურს გრძნობით ატირებს,
ვარსკვლავნი რთავენ ამ დროს მიდამოს:
უცხო ღელეებს, ცისფერ ნაპირებს.
გამჭვირვალე ცა თვალებს იტაცებს
და მთვარე რონინს უფრო ახშირებს
და გულიც ამ დროს, უფრო ხშირად სცემს
და ცრემლი თვალთგან რბენას აპირებს.
მთებს სძინავს. სძინავს, სძინავს მდინარეს
შორი სივრციდან ვერცხლივით მბზინავს.
აფრთოვანება აგიჟებს თარებს
და ისარის ფრთით ფიქრი მიჰფრინავს.
და მჯერა: ვინმე განთიადამდე,
ისმენს ამ ოხვრას და მწარე გმინვას,
კივის... დაეძებს ნათესავს, ლანდებს
და ყველას სძინავს, სძინავს... ოჰ! სძინავს.

კვლავ აელვარდა ირმის ნახტომი

კვლავ აელვარდა ირმის ნახტომი
და აირია ზეცათა რუქა,
იქ, საიდუმლო სულ-ანახდომი
სამარადისოდ გადაილუქა.
აქ კი ნამდვილი, ჩუმი, ზღაპრული
გარინდებული მთების სვეტები,
სადაც მდევების სილუეტები
დგას ხან მრისხანე, ხან დაზაფრული.

როგორც სინათლე მოხეტიალე

როგორც სინათლე მოხეტიალე,
გადივლის თვალწინ ოცნება გუნდი,
მოჩვენებებში და სიზმარცხადში
ჩაახვევს ფიქრებს ღამის ბინდბუნდი.
ამ ბინდბუნდშიაც ნაზ ფრთა-შეხებით
სიცხადის შვილი, ტკბილ დღეთა კრება,
როგორც სინათლე მოხეტიალე,
ისე გადივლის, ისე გაჰქრება.

ცად აზიდულა ვით მარმარილო

ცად აზიდულ, ვით მარმარილო,
    მყინვარის თეთრად ნაკვეთი თავი;
სცურავს მთვარე, სცურავს მუქ ცაზე,
    ვით ოკეანეს სივრცეზე ნავი.
დარიალისა ვიწრო კლდეებში,
    ბნელ ღამეს ითევს ბურუსი შავი
და ისმენს თერგი, თუ ცაზე როგორ
    ესაუბრება ვარსკვლავს ვარსკვლავი,
მყუდრო ღამეში მოხეტიალე
    ბედუინს სიზმრად მინახავს მხარე,
სადაც მუდმივი, დაუჭკნობელი
    სილამაზეა და სინარნარე.
სადაც, ქვეყნიდან უცხო საზღვარზე
    სწყდება კაცთ ოხვრა გულმოსაკლავი,
სადაც იდუმალ-მარადიულზე
    ესაუბრება ვარსკვლავს ვარსკვლავი.

ჩუმი შრიალით ხის ფოთლები მეგებებიან

ჩუმი შრიალით ხის ფოთლები მეგებებიან,
    უსიზმრო ძილში ღრმად გართულან ალვის ხეები;
მტრედისფერ ცაზე მიბნედილნი ვარსკვლავნი თრთიან,
    განსასვენებლად მთებს დართხმიან ცის კიდეები.
ცხოვრების ზვირთთა დაუცხრომელ ტრიალის შემდეგ,
    ყრუ სასაფლაოს მომაგონებს სოფელი მთელი,
სადაც სულდგმულნი არ იძვრიან გრძნეულ ძილიდან
    მყუდროება და სიმშვიდე შეულეველი.
ბუნებავ ტკბილო! ვურიგდები ჩემს ამნაირ ხვედრს,
    შენ შეითვისე და შეიტკბე მწუხარე შვილი!
უთხარი ნანა, როგორც დედა ეტყვის თავის შვილს
    და მოასვენე შენს გულმკერდზე ღონე მიხდილი,
რომ მარტოობის დამთრგუნველ და დამღუპველ ჟამად,
    ჩემს სულს იდუმალ და შეუმჩნევ სიამეს გვრიდე:
განსაცდელშია დამსხვრეული და ცივი სული,
    მიუალერსე ავადმყოფ გულს და დაამშვიდე.

დღეს დღეები ეცლება

დღეს დღეები ეცლება მშვიდი და მოავკარგე,
გაჰქრა ის ქარიშხალი — ის სიცილიც დავკარგე,
ღამით რომ დასცქეროდა მარტოობის სანთელი
ის რითმები, ის ცეცხლი, ის წიგნები დავკარგე,
დავწვი ხელნაწერები! სუსხი და ჟრუანტელი,
იმ ედემთან არასდროს არ ვიქნები... დავკარგე.
გრიგალმა გაიტაცა პოეზიის მანდილი
ძვირად მოპოებული, მწარე მიგნებით — დავკარგე,
ყველაფერი დავკარგე... უცებ გაკრთა სანთელი,
მოვიპოვე ყოველი, რაც იქნება, დავკარგე.

სარკმელთან

სარკმელთან ვდგევარ. მალე, სულ მალე
სევდიან ჰანგებს დავუგდებ მე ყურს.
მოვა მოხუცი ძალმილეული
და ააკვნესებს ჩემს კართან ფანდურს.
გადიფრენს თვალწინ ძველი ოცნება,
შეიკუმშება მღელვარე გული,
რომ არას დროს არ განმეორდება
დრო ბედნიერი, დრო დაკარგული,
ამ საშინელი მარტოობის გზას;
სამარისაკენ მიმავალ გზამდე
გავყვები დაფნით და ყვავილებით,
მაგრამ როდემდის, მაგრამ სანამდე?
სარკმელთან ვდგევარ. მალე, სულ მალე
სევდიან ჰანგებს დავუგდებ მე ყურს;
მოვა მოხუცი ძალმილეული
და ააკვნესებს ჩემს კართან ფანდურს.

მე მოვალ

ძვირფასო, ძვირფასო, ბედი კლავს ჩემს სხეულს,
თვალებში ყორნების მქენჯნიან კლანჭები,
ამირანს მიჯაჭვულს და მგოსანს წაქცეულს
ვიღაც ფრთებს მიკვეცავს... ეჰა, ვიტანჯები!
ამაოდ მომესმის დედოფალთ გროვიდან
ძახილი უცნობი, მსუბუქი ცისმარი:
„მე მოვალ და მრავალ ყვავილებს მოვიტან,
„მე მოვალ, მე მოვალ, მე მოვალ — სიზმარი!

განწირულება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაღალ სართულში როიალის ხმას
აჰყვა ქალის ხმა მშვიდი და ნელი...
მივჰყევარ ფიქრებს... აგერ ქვითინით
მისწყდა აკორდი უკანასკნელი,
იგივ სიჩუმე მეფობს ქუჩაში,
დაჰქრის, სისინებს ნიავი გრილი,
ცაცხვი ირხევა მთვარის ნათელით
მოთეთრებული და მოვერცხლილი.
რას ვეძებ ნეტა ამ ხეტიალში?
ბედნიერებას? ოჰ, არა, არა!
სიყვარულს? — განა ამ სიყვარულმა
მე ოცნება არ დამისამარა?—
მე საფლავს ვეძებ რომ დამიამოს
და დამავიწყოს გულის ღრმა წყლული,
ეს კი არ არის ბედნიერება,
არც მეგობრობა, არც სიყვარული.
მწარე ნაღველი დაგუბდა გულში,
სიცოცხლის ძგერა იდუმლად ჰქრება,
მის დავიწყებას დავეძებ მარად,
და არსად არის ეგ დავიწყება.
ისევ სიჩუმე მეფობს ქუჩაში...
დაჰქრის, სისინებს ნიავი გრილი,
ცაცხვი ირხევა, მთვარის ნათელით
მოთეთრებული და მოვერცხლილი!

სიზმრები

შელამდა. მე წაველ იქ, სადაც სიზმრები
წიგნებში დარდობენ დახუჭულ თვალებით,
ჰანგები დაჰქრიან, ვით ქარში ისრები,
და სული ფითრდება ნათელის ცვალებით.
წავიდენ ლანდები, მეორე, მესამე...
და ღამე დაჭრილი ფრთებივით დაქანდა,
შენ იცი? შენ იცი — მე როგორ ვეწამე?
როდესაც მე მოველ—არავინ არ სჩანდა!
მე მქონდა ვაზაში ვარდები მრავალი
უცხო და შორეულ მდინარის ნაპირთა,
არ იყო იქ, მხოლოდ ნაცნობი ყვავილი,
იდუმალ ძახილმა ღამით რომ დამპირდა.

უკანასკნელ დღეს

სად არ ვძებნიდი უკანასკნელ დღეს,
დღეს სიცოცხლესთან დათხოვებისას...
მაგრამ ბინდ-ბუნდი ზეცას ფარავდა
და შავი ნისლი ბურავდა მიწას...

არსით არ სჩანდა ჩემი სიკვდილი,
მწუხარე იყო თვით ჩემი სული,
და მას სწყუროდა თავ-დავიწყება
და არსად იყო ის დასასრული.

დღეს კი, როს შავი სახე სიკვდილის
შავბნელ უფსკრულში მიცდის და მიცდის,
მინდა ვიმღერო გამარჯვებისა,
მაგრამ მომწყინდა — არ ვიცი რისთვის.

რაც მოხდა იგი ნისლს ეფარება,
ხსოვნა იდუმალ საზღვრებს შორდება,
არ განახლდება შავი დღის ძებნა
და სიცოცხლეც არ განმეორდება.

სიკვდილი მთვარისგან

წაკითხულ წიგნთა საღამოის მსუბუქი ბინდი
არეებს მშვიდათ, უდარდელად კვლავ ეფარება,
მდინარეთ ლურჯი, ქაფიანი და მძიმე ზვირთი
შავი ზღვისა და კასპიისკენ მიეჩქარება.

ასეთ ფერებში შეერია მთების კალთები
და სიბნელეში აიმართენ ბასრი კლდეები,
დაიმსხვრა სადღაც იმედები და ხომალდები,
შთაინთქენ მაღალ კუბოებში ცის კიდეები.

მაგრამ უეცრად ყვავილივით გაიხსნა მთვარე:
საამო, ნაზი, უხავერდო და უვნებელი,
ჯერ დააგუბა თეთრ ღრუბლებში იების ღვარი
და გადაღვარა ვით სირიის ნელსაცხებელი.

წითელი, თეთრი და ყვითელი ფერების ტვირთით
ერატოს მარად გაფითრება და მდუმარება,
მდინარეთ ლურჯი, ქაფიანი და მძიმე ზვირთი
შავი ზღვისა და კასპიისკენ მიეჩქარება.

გუშინ, მთელი დღე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუშინ, მთელი დღე, მე ქალაქ გარედ
ვხეტიალობდი, ღრმა იყო წყლული.
ჩემს ბინაზე კი, ღამით დავბრუნდი
ისევ იმ ფიქრით აღელვებული.
არ მსურდა სანთლის გაჩირაღდნება:
საკმაო იყო მთვარის კაშკაში.
ნათელი უხვად შემოდიოდა
ღია სარკმლებში და ფანჯარაში.
სარკის სიღრმეში მე დავინახე
მოგონებისა სახე ვნებული,
ვით მოჩვენება — მთვარის ნათელზე
ღიმ-წაშლილი და გაფითრებული.
დიდხანს ვუცქერდი ჩემს მეორე ჩრდილს,
დიდხანს მის სახეს ვუკვირდებოდი;
ვიტანჯებოდი, ო, მშვენიერო,
და იმა ტანჯვით იქვე ვსტკბებოდი!

ის მიდიოდა ქუჩაში ერთი

ის მიდიოდა ქუჩაში ერთი,
მას მიჰყვებოდა წვიმა და ქარი;
მისთვის იმ წამში არ იყო ღმერთი,
მისთვის არ იყო ქრისტე და ჯვარი.

იგრძნო რომ მაინც საოცრად ცხელა
გადიძრო ქუდი. მხურვალე შუბლი.
წვიმის წვეთები მარცვლების ხელა,
სიამოვნება ამ გრილი ღრუბლით.

თითქმის არ გრძნობდა სახლებს და კედლებს,
ძილით დაბურულს არ გრძნობდა მხარეს,
ეტლები ცვლიდენ მიმავალ ეტლებს,
როგორც სიზმარში მხარე ცვლის მხარეს.

როგორ, საიდან... არ იცის თვითონ.
ის უცნობ ხიდზე დგას. სხვაა ხიდი.
მძიმეა ტვირთი? მაშ სხვებმა ზიდონ,
ის ეხლა გახდა წყნარი და მშვიდი.

იდუმალი მეორე სახე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუალამისას, მარტოობის საშინელ ჟამად,
მეწვევა ჩემი იდუმალი მეორე სახე.

გამოუცნობი მღელვარებით ვდგევართ პირდაპირ:
მშვიდი სიცოცხლე — რა ამაოდ მე განვიზრახე.

თვალწინ მეშლება დღეთ წარსულთა მწუხარე რიგი
და უნაყოფო ჩემსა ბრძოლას მაგონებს იგი;

და მსურს მე ამ დროს, მსურს უსაზღვრო თავისუფლება,
რომ ჩემს მახლობლად არ სუფევდეს წამების ღმერთი,

მსურს არ დამდევდეს იდუმალი სახე მხილების
და ვიყო ერთი, ყველგან, მუდამ მსურს ვიყო ერთი.

სამრეკლო უდაბნოში

ზღაპრების თეთრი კვამლით
ქალთა სუნთქვაში დაფარული
ყვავილთა სუნი.
ოჰ! მე მომესმის შეყვარებულ
წამწამთ კანკალი
და მიყვარს ქარი!
თან ფოლადივით ცივი სიტყვებით
ვეტყოდი ყველას:
იანვრის თოვლი, იანვრის თოვლი
აჭკნობს ჩემს სულში ნაადრევ იებს.
და ჩემი სული, როგორც სამრეკლო
სწუხს:
ცოდვილ ხელებს,
დაფარულ ცოდვებს,
დამალულ ღალატს,
ნაზი ფრჩხილების გრძელ ზამბახებს.
სწუხს
სხვაგვარ ცრემლებს,
თეთრ ბეჭდების თვლებს —
შიშველს, თეთრ ყვავილს...
სწუხს ჩემი სული — ვით სამრეკლო
ცის უდაბნოში.

სიბერე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე მიღალატეს ძველმა რითმებმა
(ძველ მეგობრებსაც ვამჩნევ მე ღალატს),
თუმცა მე მასთან მიყვარდა შებმა—
ეხლა რა ვუყო სპლინს, უხმო ჯალათს!
ეჰა! მე ვამბობ: სად შემიძლია
ვებრძოლო ქალთა წყევლას, სიბერეს?
წვიმები წვიმებს სიცილით ცვლიან
და შლიან შემკრთალ სურათის ფერებს.

ჰიანურები

მიდის ოპერა „ლაკმე“,
ბუტაფორიის შეხლა!
განა ეს არის საქმე?
მე სულ სხვას ვფიქრობ ეხლა:
მწარე ფიქრებში გართულს
მესმის სიცილი მთვრალი;
სადმე მეხუთე სართულს
მთვარე უღიმის მკრთალი.
ოჰ! როგორ მღუპავს გრძნობა
ძველი, მოსისხლე მტერი!
მჯერა მე შენი ძმობა,
შენი შეშლილი ფერი.
განა მეხუთე სართულს,
განა მეათე მთვარეს
უხმო, მჭვარტლიან სანთელს
გადავალევდი თვალებს?
მგზავრი, მწუხარე ხმობა:
„მცივა! მომეცით ჭერი!“
ოჰ! როგორ მღუპავს გრძნობა
ჩემი მოსისხლე მტერი.
ხშირად ვიგონებ ვერლენს,
როგორც დაღუპულ მამას,
დაღვრის შეშლილი ცრემლებს
მოგონებათა გამმას.
ხშირად ვიგონებ პარიზს...
ნახე იგი და დაგმე!
ნისლის, სულის და ქარის
ლაკმე, სადა ხარ ლაკმე!

* * *

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეძებდი ყველგან... მახრჩობდა სიცხე
და მწვავდა ჯვარის მხურვალე რკინა,
მე ყველაფერი გადავივიწყე,
არ არის ზეცა... არ არის ბინა.

არის ჩვენ შორის მთელი კედელი,
და ბრძოლა მძაფრი, ცეცხლის მდებელი
ჩემში აღმოჩნდა ბედის მკვეთელი,
ჩემში აღმოჩნდა ამფეთქებელი.

ო, მე იმედი დავკარგე ზეცის;
არც მინდა შენი ყალბი ტახტები,
მსხვერპლი ქვეყნიურ ძალის ასკეცის
მტვერი იყავი, მტვერი გახდები.

არის სიჩუმე, ბნელი ცხედარი,
მის ტანზე შავი ცეცხლის გაჩენა,
აპოკალიპსის მძაფრი მხედარი,
ვინც ქაოსებში შემოაჭენა.

ავდრის მოლოდინი

წარსულმა ღამემ შენს ფანჯარაში
დათოვა თოვლი ია-ზამბახის!
შენი ალვა დგას როგორც დარაჯი
მზეთუნახავი და მკრთალი სახის.
სისხლივით ელავს ფოთლები ვაზის,
ბროლი, მარჯანი და ნელი რვალი,
ხალივით მთვრალი ხაზი შირაზის
ალვაში შედის მრავალთ-მრავალი.
ნელ ლერწებით და ვაზის მტევნებით
მიყვარს ქალწულის დაგვირგვინება.
წარსულს ჩვენ აღარ დავედევნებით
და არც ცრემლები დაგვედინება.
ამ მწიფე მტევნებს დალეწავს ქარი,
თუ მწიფობისთვემ შესცვალა დარი—
მებაღემ მოსვლა თუ არ ინება!
შენ სული გქონდა ისე კეთილი,
ოჰ! სერაფიმის ცისფერი სული!

ეხლა დაღლილი და დაფლეთილი
არის ქსოვილი ფერ-მიღებული.
ვის დაიფარავს სუსტი ქსოვილი?
ვერც შენ, და ვერც სხვას... ცივია წვიმა!
ქსოვილი წვიმის ცვრებით სოველი,
წაიღო ქარმა, ქორმა, არწივმა.
ფიქრები ქარის ქვითინში კვდება,
ფიქრები კვდება ნისლში და ქარში:
არ არის არსად ბედნიერება!
ფიქრები კვდება ნისლში და ქარში.
ეს მწუხარე და მწველი ზუზუნი,
მიჰყვება ფიქრებს ნისლში და ქარში!
ძველ გაზაფხულის მღელვარე სუნი
მიჰყვება ფიქრებს ნისლში და ქარში.
ჩამავალი მზის მომაკვდავ ალებს
ისვრის ღრუბლები და დაღლილობა:
მთებს, ირმებს, შველებს, ხევს და ნაპრალებს
აწუხებთ ღრუბლის მძიმე ჭრილობა.

სად?

საით მივყავარ ჩემს მოწყენილ გზას,
სად ვპოვებ შვებას მიუსაფარი?
რას მომცემს ისეთს მე საქართველო,
და ან რას მისცემს მას ჩემი ქნარი?

არ ვიცი! მაგრამ უმიზნო დღეებს,
ვითვლი და ვითვლი ყმაწვილურ ჟინით,
ყოველ დღეს გულის ტკივილით ვხვდები
და ვეთხოვები მწარე ქვითინით.

მარტოდ-მარტო ვარ... ვისაც ოცნება,
ედემის ციურ ხატებად სთვლიდა,
ვისაც სიყრმითვე მე თაყვანს ვსცემდი,
ყველა მომცილდა, ყველა წავიდა.

აუხდენელ ფიქრს ვინ არ იგონებს,
ძველ ოცნებებზე რომელი არ სწუხს?
ვწუხვარ, ვეძახი ჩემს სიყმაწვილეს,
მაგრამ არავინ იძლევა პასუხს!

საით მივყავარ ჩემს მოწყენილ გზას,
სად ვპოვებ შვებას მიუსაფარი?
რას მომცემს ისეთს ჩემი სამშობლო,
და ან რას მისცემს მას ჩემი ქნარი?

არ ვიცი... მაგრამ უმიზნობაში
ფიქრს ვერ ვაკავებ ცრემლად მონაქუხს...
ვწუხვარ... ვეძახი სიცოცხლის მიზანს,
მაგრამ არავინ იძლევა პასუხს...

1914

რომელი საათია?

ეხლა, რა თქმა უნდა, ძლიერ გვიანაა.
გულში მწუხარებამ ღამე გაათია...
მაინც არ მასვენებს მწარე სინანული
რომელი საათია? რომელი საათია?
ვდგევარ ფანჯარასთან, ღამე არ იცვლება,
მთელი შემოდგომა თავზე დამათია.
ეხლა მხოლოდ სამი იყოს, შეიძლება?
რომელი საათია? რომელი საათია?
სამის, შეიძლება, არის მესამედი,
მაგრამ გაიხედავ, მაინც წყვდიადია.
კივის სადგურიდან ზარი მეცამეტე—
რომელი საათია, რომელი საათია.
ფიქრში გახვეულა ბნელი დერეფანი,
ღამის მეეტლე, რომ ვეღარ დაატია.
ისევ ნერვიულად რეკავს ტელეფონი,
რომელი საათია, რომელი საათია.
ღმერთო, როგორ მოხდა. წვიმა მოსისხასი
თითქო შეუწყვეტი კუპრის ნაკადია,
აღარ გათენდება ღამე საზიზღარი!
რომელი საათია, რომელი საათია!
იყო შარლ ბოდლერი: „მწარე და ძვირფასი
თრობის საათია, ღვინის საათია“
ასე იძლეოდა პასუხს შეკითხვაზე
რომელი საათია?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამშვიდობება

ეტლს თან მიჰყვება მყუდრო სოფელი
და შემოდგომა შეუდარველი:
ქალწულთა ბედი და ღვთისმშობელი
იყოს მარადის შენი მფარველი!
ნურავინ ქვეყნად ნუ დარდობს შენზე,
ბედნიერებას შენ აღარ ელი.
უფალი იყოს ცოდვილის შემწე,
მადდონა იყოს მისი მფარველი.

ატმის ყვავილები

რტოებში ავობს ბებერი ქარი,
ყვავილთა ჯარი ფიფქით ბანაობს.
ტყდება, ნანაობს ეთერი ჩქარი,
ნანაობს ქარი და მიქანაობს.
და ქარი შეხვდა ატმის ყვავილებს,
ვარდისფერ ღილებს შეატყო ჟრჟოლა,
ფრთა დაატოლა გაუშლელ ღილებს,
დაწვდა ბილილებს და აათრთოლა.
ატმისხე იდგა თაიგულივით,
იქ მას მილევით უთრთოდა სული!
შორით მოსული გაზაფხულ სხივით,
და ნამთა მძივით გარემოცული.
ატმისხე იდგა ვით ნაზი ქალი,
ვით დედოფალი უცხო მხარეში:
სინარნარეში სწვავდა მზის ძალი,
და გრძნობათ ალი სიმწუხარეში.
ატმისხე შლილი ოცნებას ჰგავდა,
როცა ღელავდა მზით აღფურვილი,
მე მისი ჩრდილი ხშირად მხიბლავდა
და ხშირად მწვავდა ტრფობის სურვილი.
მაგრამ ეწვია ატმის ხეს ქარი
და ფრთა მედგარი შემოახვია,
ახლაც ატყვია ხეს განაბზარი
ყვავილთა ღვარი რომ დააფრქვია.
როგორც პეპლები მშვიდი და ფრთხილი,
შემდეგ აშლილი და აფრენილი—
გადაცვენილი ატმის ყვავილი
იყო დაღლილი და მოწყენილი.

ოცნებათ რიგი თვალს მიეფარა!
მტვრით გაისვარა წყალთა ლიკლიკი,
ყვავილი იგი მოჰკვდა და ჩქარა
წითლად დაჰფარა ბაღის ბილიკი.
ბაღის ბილიკზე მივდივარ და თან
გაძრცვნილ ატამთან ზღვები გროვდება,
საღამოვდება და მზის ჩასვლასთან
თანდათან მწუხრი მიახლოვდება.
მე აღარ ვდარდობ... რა მსურს, რას ველი?
ვით მზის ნათელი და ღამის ჩრდილი
მეფობს სიკვდილი—ჭკნობის მსურველი!
გაჰქრა სურნელი, დასჭკნა ყვავილი!

1916

ბედს იქით!

დავხუჭე თვალი, გულის სიღრმეში,
რომ დამენახა რამე ნათელი
და მოვიგონე ნეტარნი დღენი
და გაზაფხული უკანასკნელი.

რა ადრე მოჰკვდა, რა ადრე მოჰკვდა!
ეხლა ღამეა... ქვითინებს ქარი
რომ გამახსენოს ტკბილი წარსული
და მოგონების სახე ნეტარი.

მაგრამ ვის ველი ან რად ვღონდები,
განა არა მაქვს წინ მომავალი?
რად ჩავიგონო გზის უმიზნობა,
რად ავარიდო სიცოცხლეს თვალი?

ვის შეუშინდე? რას შევუშინდე?
დავიწყებული სად არის ჩრდილი?
დაბრკოლებები?—უამისოდ ხომ
არც გმირობას აქვს ქვეყნად ადგილი!

წავალ, გავყვები ამ სევდიან გზას,
ზღვათა ქუხილით, წყალთა ლიკლიკით...
და დავამკვიდრებ დაღლილ სიცოცხლეს
შორს, სხვა ედემში! შორს, ჩემს ბედს იქით!

იმ ატმებს გაუმარჯოს, იმ ატმის ყვავილებს!

ვარსკვლავების თოვლი ცას შელეკია,
მესმის რულში, როგორც ყრუ ელეგია,
მატარებლის დამღალველი ხმაური,
რაღაც მღვრიე, რაღაც არ აქაური.
მე ვიგონებ ვნებას სიყმაწვილის დროს,
მე ვიგონებ ატმებზე მთვარის ჩრდილებს,
იმ ატმებს გაუმარჯოს,
იმ ატმის ყვავილებს.
ყველაფერი სიზმარივით გათავდა,
რასაც გული სიყრმით დამიხატავდა.
მესმის რულში, ერთხელ გაიბზარა-რა.
მატარებლის: რა-რა-რა-რა, რა-რა-რა.
არა არას—მე ვისმენდი მხოლოდ ჰო-ს,
მე ვიგონებ ატმებზე მთვარის ჩრდილებს,
იმ ატმებს გაუმარჯოს,
იმ ატმის ყვავილებს.
სარკმელიდან—მთების უბეში ნიავს
არვინ ეტ:ვის: იყავ, ნუ გეშინია!
იყო ღამე, იყო უდაბნოეთი,
ოდეს მშვიდი და უცნობი პოეტი
თვითეულ ჩრდილს შევხაროდი, თიო:ო რტოს,
და ვიგონებ ატმებზე მთვარის ჩრდილებს
იმ ატმებს გაუმარჯოს,
იმ ატმის ყვავილებს.

ატმის რტოო, დაღალულო რტოო

ატმის რტოო, დაღალულო რტოო.
ატმის რტოო, სიმშვიდეა შორი.
ქარიშხალი მოდის საიმდროო
ყვავილების ქარში მიჰქ:ის ტბორი.
მოცდა არ ღირს, თუ ისევე უცდი
ამ გრიგალში დრო არ არის სხივის
დაღალული ყვავილი ხარ, სუსტი.
ქარი ჰკივის, ქარი ჰკივის, ჰკივის.
ნაპრალებზე გადაიმსხვრა ნარგი,
ეხლა ზღვაა, ეხლა სისხლის დროა,
თუ გადარჩი, ხომ გადარჩი, კარგი...
ატმის რტოო, დაღალულო რტოო.

1916

* * *

იმ ვარდისფერ ატმებს მოვიგონებ კვლავ...
იმგვარათვე მდევ... იმგვარათვე მკლავ.
ო, როგორ მომწყურდი! მწუხარეა დღე.
იმგვარივე ცა. იმგვარივე ხე...
იგივ ქარი დაჰქრის. იღუნება ბზა.
იმგვარივე მზე. იმგვარივე გზა.
ძლიერ... ძლიერ... ძლიერ... ვეტყვი ზენა ქარს.
იმგვარივე ხმით. იმგვარსავე ზარს.

* * *

ის წაიყვანა ოცნებამ მისმა,
სადაც ჰაერი ზღვის ფერისაა.
ის წაიყვანა იქ ფანატიზმმა.
იქ ხომალდები ჰომერისაა.
იყო ფიქრები ასე სხვადასხვა.
ახალგაზრდობის იყო ეს ვადა.
ოქროს დროებამ იგი გადასვა
იქ, სადაც ძველი არის ელლადა.
ის სიყმაწვილე აღარ მოვიდეს,
დროთა სიავეს მიაქვს ფაფარი—
ერთად ვთარგმნიდით მაშინ ოვიდეს,
შენ წიგნი გქონდა და წინსაფარი.
გამოიცვალა ის ზნე და ჰავა.
შავი არშია დღეებს ავლია.
ზღვაზე ზვირთები მოვა და წავა
ცხოვრება ასე შემისწავლია...

დიმინო

შევდივართ სასახლეში.
წმინდაო დამიცევ! სუროში საშიშრად მივარდნილ კედლებით
ეს სახლი მაგონებს დაწყევლილ სამარეს:
აქ მკვდრები დაჰქრიან ზღაპრული რაშებით და ბედის ეტლებით.
ჰაერი სიკვდილით დაფარეს...
განდეგილ ცხოვრებით დღეგრძელი მოხუცი ცხოვრობდა აქერთ დროს.
ვინ იყო? სახელი არავინ იცოდა.
ათასგვარ წამლით და შელოცვით ეძებდა ბედნიერ სამკვიდროს
და მუდამ ფარული ღელვებით იწოდა...

შის თვალწინ ქარივით დგებოდენ ყოველღამ ფერმკრთალი ქალები:
სანთლების, წიგნების წყევლა და ვედრება!
ისინი ტიროდენ, ისინი რეკავდენ თვალების რკალებით.
რისხვა! ამხედრება!
აქ ხშირად ვხედავდი საყვარელ აჩრდილებს:
უეცარი გახელა, საოცარი შენობა,
როგორ მოვანდომინო.
მესმის უცხო სახელი, მტანჯავს მე უშენობა
იდუმალო დომინო!
არაფერი ეშველა: ნიღაბები წითელი,
ნიღაბები ათასი!
მაგრამ მე მომეჩვენა ჩემი ცა უწინდელი
უფრო უდიადესი.
ლანდად სჩანდა ხელები და გეძებდი თვალებით,
დაღალული თვალებით!
რეკდენ ცისარტყელები ფერის ჩუმი ცვალებით
და მძაფრი გამალებით.
წმინდაო დამიცევ! სუროში საშიშრად მივარდნილ კედლებით
ეს სახლი მაგონებს დაწყევლილ სამარეს,
აქ მკვდრები დაჰქრიან ზღაპრული რაშებით და ეტლებით,
რომელთაც ჰაერი სიკვდილით დაფარეს.
თეთრი კვამლი ზღაპრების,
ამართული კანკელი.
მესმის ამ გამძაფრების
წამწამების კანკალი.
ქალთა ხმაში ფარული
ყვავილები სუროთი,
თოვლის ფერ-უმარული —
გაფითრების სურათი!
და თვალების წყვდიადი
და სიცილის ფერება —
როგორც ყრუ ბაიათი
ფიფქით დამემტერება.
ოჰ! ვიცი: სიცივიდან
ტერფამდე ვარ: დიდება!
მასთან ალებს მივიტან
ვეტყვი... არდარიდება!
ვიცი: ფრთასაც ვერ ახებს
იდუმალად ბეჯითი,
თითების გრძელ ზამბახებს
დარდილული ბეჭედი.

ლანდივით მაქვს ნახული
ბეჭდის თვალში მოლები:
მოტეხილი ზაფხული
და ოხვრის პაროლები.
წმინდაო დამიცევ! სუროში საშიშრად მივარდნილ კედლებით,
ეს სახლი მაგონებს დაწყევლილ სამარეს!
აქ მკვდრები დაჰქრიან ზღაპრული რაშებით და ბედის ეტლებით,
რომელთაც ჰაერი სიკვდილით დაფარეს.
დარბაზში ისმოდა:
დომინო! დომინო!
გამოჩნდა **დომინო**.

1916 წ.

უცნაური სასახლე

ამნაირი დარებით,
კიდითკიდე დარებით,
ფერის ფერთან დარებით.
დღემ კოშკების ამალა,
ხან ეთერში ამალა
და ქარიგით ამალა.
ცვივა ლურჯი ფარული,
მოგონება ფარული,
ფართან ლანდი ფარული.
ყველაფერი სადაა,
მაგრამ მითხარ, სადაა
ის, რაც ალერსადაა?
ველი წამით ნაწამებს,
პოეზიით ნაწამებს,
რასაც იტყვის ნაწამებს:
დასთა უცხოთ დასობას,
თვალთა ქროლვით დასობას
ხანჯლის გულში დასობას.
მარმარილომ და თასმა,
შადრევნებმა ათასმა
ლაჟვარდები ათასმა.
აჩონჩხილო შენობა.
მშვენიერო შენობა,
მომკლავს მე უშენობა!

ჰორიზონტიდან ზენიტამდე

ჰორიზონტიდან
ზენიტამდე მხოლოდ ვარდებით,
წითელ ვარდებით
შენი კვალი დაიფარება...
გზას, სევდიან გზას
მოვხიბლავთ და შევუყვარდებით,
ჩემი სიცოცხლე, ჩემი ქნარი
თუ გეყვარება!
ჰორიზონტიდან
ზენიტამდე შენს წარმტაც სახელს,
ყოველი სული და სიცოცხლე
გაიმეორებს,
მყინვარი დახრის შუბლს ამაყს და
ფიქრთ გამომსახველს,
შენის სახელით ამოსჭედავს
მთებსა და გორებს.
ჰორიზონტიდან
ზენიტამდე ღრუბელთა გუნდი
ძირს დაეშვება, ლბილ საწოლად
რომ გაგეშალოს...
მე იალქანად გადვიქცევი,
ოღონდ დაბრუნდი...
ცეცხლს ნუ მისცემ სულს,
რომ იწვალოს და ივალალოს!
ჰორიზონტიდან
ზენიტამდე ალვის მწვერვალებს
წაუჩურჩულებს შენსა სახელს
ზღვის ნიავ-ქარი,
და ის სახელი დასწვავს ზეცის
მიბნედილ თვალებს...
ოღონდ დაბრუნდი... ოჰ, დაბრუნდი
და სთქვი ზღაპარი!
ჰორიზონტიდან
ზენიტამდე მნათობთა კვალი,
შენს ლამაზ ფეხთა საბილიკოდ
გადიჯაჭვება...
ოღონდ მასმინე კვლავ შენი ხმა
წყლულთა დამცხრობი,
ოღონდ მაღირსე შენი ნახვით
ის ტკბილი შვება.

ღამე დღეს შეხვდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღამე დღეს შეხვდა აღდგენილს მკვდრეთით
და გადაჰკოცნა აღმოსავლეთით.
დილით გაწითლდა მორცხვი სახე დღის,
მას შემდეგ იგი ღამის ჩრდილს უფრთხის.
ასე, მე მახსოვს კოცნით ნაალი
შენს ლოყის ძირში წითელი ხალი.
პატარა ხალი. სულ უეცრად რომ,
დააჩნდა სახეს და წაშალა დრომ.
კოცნების გროვით გადიდდა ხალი,
ბაგეს ძლიერი სცემს ნაპერწკალი.
მოედო ასე თვით უმაღლეს მთებს
ავრორა ძლიერ ცეცხლით აანთებს
და შემდეგ ოხვრით უგონებს გზნებას
განცდილ უდიდეს ბედნიერებას.
ღამე დღეს შეხვდა აღდგენილს მკვდრეთით
და გადაჰკოცნა აღმოსავლეთით.

უსიყვარულოდ

უსიყვარულოდ
მზე არ სუფევს ცის კამარაზე,
სიო არ დაჰქრის, ტყე არ კრთება
სასიხარულოდ...
უსიყვარულოდ არ არსებობს
არც სილამაზე,
არც უკვდავება არ არსებობს
უსიყვარულოდ.
მაგრამ სულ სხვაა სიყვარული
უკანასკნელი,
როგორც ყვავილი შემოდგომის
ხშირად პირველს სჯობს,
იგი არ უხმობს ქარიშხლიან
უმიზნო ვნებებს,
არც ყმაწვილურ ჟინს, არც ველურ მებს,
იგი არ უხმობს...
და შემოდგომის სიცივეში
ველად გაზრდილი,
ის გაზაფხულის ნაზ ყვავილებს
სულაც არა ჰგავს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიოს მაგივრად ქარიშხალი
ეალერსება.
და ვნების ნაცვლად უხმო ალერსს
გარემოუცავს.
და ჭკნება, ჭკნება სიყვარული
უკანასკნელი,
ჭკნება მწუხარედ, ნაზად, მაგრამ
უსიხარულოდ.
და არ არსებობს ქვეყანაზე
თვით უკვდავება,
თვით უკვდავებაც არ არსებობს
უსიყვარულოდ!

თვალები

თითქოს სიოს ფრთის შეხებით ჩამოსცვივდა ყვავილს ნამი,
დაიძირა ლაჟვარდმა ტბამ დაზნექილი ტბის ლერწამი.

თითქო ბნელი შემოდგომის წვიმის ზურმუხტ-მარგალიტმა,
ღამის ნისლში ააკვნესა დადუმებულ ქნართა რიტმა.

თითქო მთელი უკვდავება, ტრიალებდა ლაჟვარდ ცაზე
და ლაჟვარდის ამოკვნესით კრთოდა თვალთა სილამაზე.

ო, თვალები! არ მინახავს მე თვალები უკეთესი,
მათში კვნესდა კაეშანი, სიხარულის ცეცხლის მთესი.

მათში ფეთქდა უკვდავების უხილავთა ტალღათ კრება,
რაც არასდროს არ მოკვდება, რაც არასდროს არა კვდება.

და როდესაც, მე ტყვედ ვყავდი იმ თვალების ჯადო გრძნობას,
მწარე კვნესით ვიგონებდი, რაღაც უცხო მოგონებას.

ჩემი ვარსკვლავი

ჩემი ვარსკვლავი, სატრფოო, ცის თაღზე შუქად რომ ადის,
შენი ღიმილის შუქია, გამათბობელი მარადის.
ჩემთვის სიმღერა, შვენებავ, შენი ხმა არის ნარნარი
დიდება სიყვარულისა, ცის სამსხვერპლოზე დამდნარი.
და მე, შენს მგოსანს, იქ ძალმიძს მარადჟამს ვიბედნიერო,
იქ ძალმიძს მხოლოდ ვიცოცხლო, სადაც შენა ხარ, ციერო.
და, რაც კი ქვეყნად ამ ჩემს თვალს უეცრად მოეჩვენების,
მარტოდენ ანარეკლია მაგ ღვთაებრივი შვენების.

ნიალვარი

როცა მზე მწვერვალს გადმოანათებს
    და სხივს დაადნობს თოვლიან მთაზე,
უკვდავებაა, მაშინ მნათობის,
    მშვენიერება და სილამაზე.
მაგრამ როდესაც აღქაფებული
    ზვირთი გზას ურხევს მომსკდარ ნიალვარს,
ვინ გამოხატავს ამ მრისხანებას,
    რა სული შექმნის სტიქიას ამგვარს?
დაადნე სხივი, სულო ციერო
    ამ სიცივისგან გაყინულ გულზე
ტკბილი მორევი შემიგუბდება,
    ჩვენს ყვავილებზე, ჩვენს სიყვარულზე,
და თუ ოდესმე ვით ნიალვარი,
    გულის სიღრმიდან გრძნობა მოსკდება—
ვფიცავ რომ მევე მომკლავს, დამღუპავს
    ჩემი ნაღველი, ჩემი ოცნება.

რა რიგ მწყურია

რა რიგ მწყურია შენს შორეა-ახლოს
    განახლებისა მოვიკლა ჟინი,
და ვუცქეროდე თუ როგორ ბრწყინავს
    ღვთაებრივობის შენის გვირგვინი.
რამდენი ღამე გამითევია
    მზის ამოსვლისთვის რომ შემეხედა,
მე ვერ ვამჩნევდი თუ როგორ რთავდა
    მთვარე ვარსკვლავებს, როგორც შვილთ დედა.
ასე, არ მინდა ვუცქირო წმინდანთ,
    გარს რომ გარტყიან, ყველა ბნელდება,
და თვალწინ მხოლოდ შენი აჩრდილი,
    უხილავ ძალით ხორციელდება.
ეხლა აღარ ხარ და ქმნის ოცნება,
    უკვდავი სახით უბრალო ტილოს,
რომელსაც ძალუძს თვით ველურიც-კი
    დაატყვევოს და დაიმორჩილოს.
შვენება, სული. შენს ცქერაშია,
    ჩვენს თვალებშია მუდამ რომ ჰგიებს
და ყოველშივე, რაშიც ტყვე ქმნილი
    ადამიანი ქვეყნად ეძიებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აუსრულდა სიოს ნატვრა,
ის ყვავილთა ვნებით დათვრა
გაფითრებულს,
ვარსკვლავთ კრებულს
სევდიანი მისცა კითხვა,
თუ სოფელი ვით ცივი ზღვა
რად კანკალებს,
რად ვალალებს,
რატომ სწამლავს ყოფნის რისხვა?
დაქანცული იდგა ფიჭვი,
ხორცზე იჭვი, სულზეც იჭვი,
ოცნებით წუთს
ფრთხილს და სათუთს,
უშხამავდა შესაზარი—
და ფიქრობდა თუ რათ არი,
ქვეყანა რომ
უგრძნობმა დრომ
დააბერა უსაფარი?
სიო მიწვდა სევდის წალკოტს,
ზედ დააკვდა ფიჭვის ნაზ ტოტს.
და ფიქრის დროს,
ობოლ წყაროს,
სევდიანი მისცა კითხვა,
თუ სოფელი ვით ცივი ზღვა:
რად კანკალებს,
რად ვალალებს,
განა არ სჯობს—
შეგვიყვაროს?

* * *

ველთა შორის გამოისმა ხმაურობა მშვიდი, წყნარი,
და ყვავილებს ზედ აკვდება მონავარდე ცელქი ქარი.
ო, რა ტკბილად ეძინება ღამეს მდუმარს და ფერმიხდილს,
მარტონი ვართ, ჩემო კარგო, ყური უგდე ჩემ სუნთქვას ფრთხილს.
შემიძლია დაგივიწყო?—მიპასუხე, ამიხსენი,
სულით, გულით მე შენი ვარ... სამუდამოდ შენი, შენი.

მივალ, გადავკოცნი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივალ, გადავკოცნი
ჩემსა მთვარესა,
სიტყვებს გადავტყორცნი
მწარე-მწარესა.
გიშრის კაკანათებს
ნუ ჰფენს ქარებსა,
ასე ნუ ანათებს
ჩემს ბნელ ღამესა.
მივალ, გადავკოცნი
ჩემსა მთვარესა,
უარესს გადავტყორცნი
სიტყვებს მწარესა.

ღელავდენ...

ვარდებში ღელავდენ ლამაზი ქალები,
მათ უყვართ ჩურჩული და მიეთ-მოეთი...
ამბობდენ: ამურებს ვერ დაემალები,
თუნდ იყო პირველი და დიდი პოეტი.
ძვირფასო ქალებო! არ მოგერიდებით
ერთს თქვენგანს ეკუთვნის სულ ჩემი წიგნები,
ნეტავი დამათრო მის ბროლის თითებით:
პირველი და დიდი გენია ვიქნები!

მერის თვალები

ეს რამდენიმე დღეა და რამდენიმე ღამე
დახურულია გული, როგორც საკანი რამე.
თითქოს უმძიმეს კუპრის დაედო ლუქი,
გულში ვერც ზეცა ატანს, ვერც სიხარულის შუქი.
გაუდაბურდა ჩემი ყოფნის ყოველი წამი,
ეს რამდენიმე დღეა და რამდენიმე ღამე.
აჰ, მომეცალეთ, კმარა! მხოლოდ სიკვდილი მინდა
არც პოეზია მატკბობს, არც მეგობრობა წმინდა.
ეს რამდენიმე დღეა და რამდენიმე ღამე—
არე-მიდამოს შხამავს ღრმა მწუხარების შხამი.
ჩამოიბუროს ზეცა, მისიც აღარა მჯერა.
მერის თვალებით იგი ვერ გაბრწყინდება, ვერა!

ქალმა დამწყევლა ლამაზმა

ქალმა დამწყევლა ლამაზმა
მხურვალე ლალის ბაგეთი,
ღმერთმა ვერ მითხრას ათასმა
რა ჩავიდინე აგეთი.
მაგრამ, იმ წყევლამ როგორ სთქვას
გული სიცოცხლით დანამა,
თუ ვინმემ გული მოიკლას
ისევე იმისთანამა.

თვალს ნაზი და მთვარეული

თვალს ნაზი და მთვარეული
აღელვებენ ლანდები,
ვიყავ ლხინში ჩარეული—
ღვინით თვალ-ანანთები.
უცებ გაჩნდა ტრიანონის
კოშკში გულის ნდომანი,
დე-გრიესა და მანონის
სევდიანი რომანი...
მივაფრენდი ამაყ მერნებს,
ჭიხვინებდენ მერნები—
სასახლეებს და ტავერნებს
ცვლიდენ სხვა ტავერნები,
და ვხედავდი როგორ იღებს
სულს ვედრება ხალისის,
და ვხედავდი ცისფერ ნიღაბს
მხოლოდ ერთი ქალისას.

ღვინისფერო მდინარე!

მიდიოდი ველად როგორც,
ღვინისფერი მდინარე,
რომ მოვედი სიახლოვეს
თავი მოიმკვდინარე.
გაიღვიძე! გულზე გედვა
რაც არაფერს აქ არ გავს;
ერთი შენი გამოხედვა
ათას ხედვას დაკარგავს.

ცამეტი წლის ხარ

ცამეტი წლის ხარ და შენი ტყვეა
ჭაღარა გულის ზმანება ავი—
ჩააწყვეთ რიგში ცამეტი ტყვია,
ცამეტჯერ უნდა მოვიკლა თავი!
გაივლის კიდევ ცამეტი წელი,
მოახლოვდება გზა ოცდაექვსი,
მოცელავს მაღალ ზამბახებს ცელი,
ატირდება დრო და ჩემი ლექსი.
ოჰ! როგორ მიდის ახალგაზრდობა,
დაუნდობელი სურვილი ლომის!
და ყოველივე როგორ ნაზდება,
როცა ახლოა მზე შემოდგომის.

მთელი დღე ვგრძნობდი

მთელი დღე ვგრძნობდი, რაც უნდ ათოვოთ
და ქუჩა ავდრით გადაიხაროს,
დღეს უსათუოთ, ო, უსათუოთ,
მე სასახლეში ვნახავ სიხარულს.
საიდან, როგორ, მე არ მეგონა
უეცრად გაჩნდით ჩემი ზმანება,
თქვენ მე გამიგეთ, მომეცით ხელი
და აწ სიცოცხლე არ მენანება.

დამწველი თავის სიმშვენიერით

დამწველი თავის სიმშვენიერით,
დაშვენებული უხვი განგებით—
ფეხთან პერანგი იწვა ცბიერი,
როგორც ელვარე ფარშავანგები.
შიშველი, წმინდა, როგორც ნაკადი!
დიდხანს საჭირო არ იყო ხვეწნა,
უცხო სახეზე შემონახატი,
წარბები—მშვიდი და თმები ძეწნა.
მე სხვა ქალებს ვერ დავემალები,
მათში ბევრია პროზა, ქრონიკა,
მაგრამ სხვა იყო შენი თვალები
და შენი კოცნა... ო, ვერონიკა!

ზღვაზე სცურავს ნაფოტივით

ზღვაზე სცურავს ნაფოტივით
შენი მონა—გული,
დაკარგული იმ მოტივით,
ისევ მონახული.
გადიშალა ზეცა ბროლად,
მზე მოიყრის ლალებს,
შენი კარგი გამოქროლა
ისევ სწყურის თვალებს.

ორი ასული ნეტარი

ორი ასული ნეტარი,
ორი სხვაგვარი წამება,
აქ შორეული მხედარი
გული გულს ესაბამება.
იქ, ვარსკვლავები ზედაშე,
აქ მეოცნებე ციარი,
და სიყვარული მე და შენ,
ნეტა რად გვქონდა ზიარი.

ვისმენ დანატრულ ხმას

ალვა მწვერვალსა ხრის,
ნაზი ტანივით სწორს,
მთიდან ნიავი ჰქრის
შორს, უბოლოოდ შორს.
შევხვდით ისევე ჩვენ,
გზით მიმავალი გზად
კვლავ მოგონებებს მფენ,
მაგრამ არ ვიცი: რად?
მზე გიოქროვებს თმას,
ვით მონიავე რულს,
ვისმენ დანატრულ ხმას
და ვერ ვიმშვიდებ გულს.
ფრთა დაღალული დღე,
ცდება დასავალ ცას.
გარინდებული ტყე
ფიქრობს არ ვიცი: რას?

როდესაც მთვარით

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც მთვარით დაპყრობილვიქმენ,
მე შემომესმა შენი კისკისი.
მოვარდნილ ელვის გადაიზნიქენ
ხეები, წყალი და ბილიკიც-კი.

გულში იგივე ცეცხლი დამირჩა,
შენ გაზაფხულზე მოხვალ ასევე,
მტრედი, რომელიც მე გადამირჩა,
ლექსთა გუნდებათ შემოგასევენ.

ალვის ხეები მშვილდისარს ხრიან

ალვის ხეები მშვილდისარს ხრიან,
მთვარე ანათებს ვარსკვლავთა ცხრიანს,
ჰქრის მეტეორი ციერთა უბნის—
ღრუბელიც მიდის, ღრუბელი ბუბნის.
აჰ, ეუბნება—ცრემლების ნამმა,
გთხოვთ მოისმინოთ, ძვირფასო დამა,
ვით სიყვარულის გამქრალი სხივი
დაუბრუნებელ დროთა მესსივი.

არსებობის გული

იყო ფიქრების ვალსი,
იდგა რკალები წყალზე,
არ ასვენებდა ღამეს
ფიქრი ერთ ლამაზ ქალზე.

თვალს არ ეკიდა ძილი
მზეთა ვიყავით შვილი,
რისთვის დაგვარქვეს ნეტა
დემონიური წყვილი?!

მაგრამ ეს იყო სრული
ყრმობის სევდა და რული,
იმ სიყვარულის ცეცხლი,
იმ არსებობის გული.

ხელები

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყვარელ ხელებს შეშლილივით დავეწაფები,
ბროლის თითები, მზისგან საავსე ალისფერ ღვინით,
მე დამათრობენ:
გავეგები,
გავენაბები!
პოემას უვრცესს
დაერქმევა:
ალვა და სურო.
იქ შორეული მხარეები
უნდა გამეფდეს!
ოჰ!
ეს იქნება აღტაცება ჩემი ნამდვილი,
რომელიც დათვლის შენს თითებზე
დამსხვრეულ ბეჭდებს.

აუზისაგან

ჭოგრიტით მხერა, ხელთათმანი... შენ აისრულე
სურვილი დიდი და დაბურულ ბაღის დარდები,
ლაღი ირემი სიყვარულით ხარ დაისრული,
წყურვილმოკლული აუზისგან მიემართები.
შენ მოგდევს კოცნის გამძაფრება და თვითეული
ძარღვი ხელების... შავი ხალი მაღალი ყელის.
შენ გელის დაფნა, შენ დიადი დიდება გელის
პოეტო! არვინ არ ყოფილა ესდენ ძლეული.

მთვრალია ყოფნით, მთვრალია ცეცხლით

ვარდების ფენით ტრიალებს ჟინი,
მთვრალი ვარ შენით, მთვრალია ლხინი.
ოცნებას შვენი, ვით თვალნი შენი,
შოპენი, ვერდი და პაგანინი.
პოეტის ახლო გედება ალი;
იგი, უსახლო, გიცქერის მკრთალი,
მთვრალია ყოფნით, მთვრალია ცეცხლით
და მაინც ღვინით ჰგონიათ მთვრალი.

მოგონება

ტყის ფართო გზაზე, მახსოვს, ეტლი მიგვაქროლებდა,
შენს სუნთქვას ვგრძნობდი ბედნიერი შენსა მახლობლად.
მე გიამბობდი ჩემს მრავალგვარ თავგადასავალს,
სიყმაწვილეზე გიამბობდი შთენილი ობლად.
საღამო იყო... მზე დასავლით ესვენებოდა,
ტყეს ედებოდა გამჭვირვალე და ლურჯი ბინდი,
ამ დროს ვიგრძენ რომ შენ სრულიად ყურს არ მიგდებდი,
ეტლის სიღრმეში გადავემხვე და ავქვითინდი.
წამოვიწიე და მათრახი გადავკარ ცხენებს,
ელვის სისწრაფით გზას გაეკრა ბუქ-ბუქად მტვერი.
როგორ უგონოდ მივაფრენდი გზაზე ჩემს სევდას,
როგორ უგონოდ ტრიალებდა გარს ყველაფერი.
ტყე გზას გვიცლიდა და ბინდ-ბუნდში თვალს ვერ ვასწრებდით,
ხეების გუნდი იქ, ეტლს უკან როგორ რჩებოდა,
ისე მწყუროდა ამ დროს ლტოლვა განუსაზღვრელი,
ისე მომნატრდა, რომ გზას ბოლო არ ჰქონებოდა.
და ერთად ერთი ცის ღრუბელი ვრცელ უდაბნოში
მოხეტიალე, უთვისტომო, მიუსაფარი,
თან მიგვყვებოდა—განუყრელად, განუშორებლად,
მსუბუქი, როგორც განვლილ დღეთა შორი სიზმარი.
მეჩვენებოდა—თითქო ტყეში ვიღაც კვნესოდა
და მე ეგ კვნესა უსასოო გულში მწვდებოდა,
ცრემლი მდიოდა—რადგან ჩემი უკანასკნელი,
ჩემი მწუხარე სიყვარული მაგონდებოდა.

ეს იყო თხუთმეტი წლის წინად

ეს იყო თხუთმეტი წლის წინად,
ეს იყო თხუთმეტი წლის წინად.
დიკკენსის გმირივით ცეცხლთან ჩაფიქრება.
ღამეა, საცაა სანთელი ჩამიქრება.
ოცნება წარსულზე და ღვინის ფარები,
საცაა სანთელი ისევ ჩამიქრება.
უეცრად გრიგალმა დააღო კარები
და ბინა პოეტის გადიქცა ქვითინად,
ეს იყო თხუთმეტი წლის წინად,
ეს იყო თხუთმეტი წლის წინად.
მე თვალით ვეძებდი ზამბახის პრინცესას,
მწყუროდა ცისფერი ვარდები.

ლანდი — არა-ქვეყნიური

როცა შუქი ვარდისფერი, ვარდისფერი, მორცხვი, ნაზი,
დაიღვარა განთიადზე,
როცა სხივმა ოქროსფერად მთა აანთო ბუმბერაზი,
და ბაღს ახლად აყვავებულს გადააქცია ოქროს ხაზი,
და ყვავილებს, მორცხვ ყვავილებს მოახვია ოქროს მტვერი
და წერწეტა ხის მწვერვალებს ფრთა შეახო ოქროსფერი,
და ტოკავდა დილის ხმებზე წვეთ-ანკარა ოქროს ჩქერი,
მაშინ, ტურფავ, გადაბურულ ხის რტოებში ისე სჩანდი,
ო, საოცრად შემიყვარდა შენი ლანდი, შენი ლანდი.
ვერ ვარჩევდი, სიცოცხლეო, მე იმ გვარად გარდაგქმენი,
რომ მეგონა თუ ხორცსხმული იყო ლანდი იგი შენი.
მაგრამ რისთვის გამჭვირვალედ გახდა ლანდი, ჩრდილი, ან და
რისთვის შორად, ზეციურად, მიუწვდომლად მომელანდა?
ხელუხებელს, ჰაეროვანს სხეულს ხელი ვერ შევახე,
და ვიგრძენი რომ თანდათან იშლებოდა ლანდის სახე
და ვიგრძენი რომ როდესაც მომეხვია მსურდა ხელი,
მხოლოდ ეთერს უსხეულოს ჩრდილი რთავდა შეუცვლელი.
დნება, დნება ოქროს ლანდი!
დნება ლანდი,
ჰქრება ლანდი,
ვდგევარ გრძნობა მორეული,
მოგონება სევდას მაქსოვს,
მაგრამ მახსოვს, მუდამ მახსოვს
ლანდი წმინდა, მოწყენილი,
ლანდი არა-ქვეყნიური, ლანდი უცხო, შორეული!

ვერსად, ვერასდროს...

ვმოგზაურობდი... მე მინახავს მუდმივი თოვლით
შემოსულდრული კავკასიის ამაყი მთები,
იმათ ალერსში მსურდა შენი გადავიწყება,
მაგრამ აჩრდილო, წუთითაც კი არ მავიწყდები!
თერგის მშფოთარე ხმაურობას მე ყურს ვუგდებდი
და შევაჯერე დარიალის ბილიკ-კორდები,
განშორებითა მსურდა შენი გადავიწყება,
მაგრამ შენს აჩრდილს, სიცოცხლეო, ვეღარ ვშორდები!
...და ვმოგზაურობ... კიდით-კიდე, ზღვა-და-ხმელეთზე
მიჰქრის, მიტაცებს მწუხარების ამაო ფრთები,
მაგრამ ვერასდროს ვერ გივიწყებ, და ისიც ვიცი,
ვერსად, ვერასდროს, ვერც ერთი გზით ვეღარ შეგხვდები!

მაინც დავიმსახურე

მთვარემ ღამე გაათია, კრთება შუქთა დინება,
ღამის სამი საათია, შენ კი არ გეძინება.
გავაცურეთ სადღაც ნავი სავსე ლურჯ ექსცესებით,
შეგაყვარე კიდეც თავი ამ უბრალო ლექსებით.
ეფინება გზებს სიმებად ლალთა ცეცხლი, საყურე,
შენი კარგი გაღიმება, მაინც დავიმსახურე.

სანამ შორს იყავ

მე შენით ვქმნიდი განთიადის, ძლევის სიმღერას,
შენით ვხატავდი ელვარებას უსაზღვრო ცისას,
მწყურვალე გული შენში გრძნობდა აღელვებული
სრულ ჰარმონიას ჭკუისას და სილამაზისას.
სანამ შორს იყავ, და როდესაც ახლო შეგხედე
სულ არ აღმოჩნდა შენში იგი მიმზიდველობა.
აღარ არსებობს ეს ოცნება უკანასკნელი,
არსებობს მხოლოდ სინამდვილით მოკლული გრძნობა.
თუმცა... ვიცოდი. მე წინადვე ვიცოდი ეგა
და მაინც მსურდა იმ იდუმალ სახესთან დგომა,
ამაოდ შექმნილ ციურ სულთან—მხურვალე ლოცვა
და ქვეყნიურად შექმნილ კერპთან—მწარე შეცდომა.

ხალხური მოტივებიდან

შენი თვალები—მაღლები
სამხრეთის ზღვების ფერია,
კბილები—თეთრი ძაღლები
მილრენენ: არაფერია.
მოგონებებში წასული
შენს ბაგეს დავეხარბები,
ოცნების ორი ასული
გადაწოლილან წარბები.
გადაუთიბავთ თივები,
რომ გითხრა—დამემდურე!
გულალმა წევან ტივები
და მთები უდაბურები.
მთვარეს ჩვენი ხმა გაეგო,
თითქო შუქ-აკანკალებით,
ჩვენს აივანზე დაეგო
რჩეული ოქროს ხალები.

დადგა აგვისტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგა აგვისტო. ცა რიდეული
დაისიცხება ისევ დილდილით;
ქალაქს ედება მზე თვითეული
ყაყაჩოებით, ტუხტით, პილპილით.
ისევე ჩქარი და უძლეველი,
ვიცი რადა ვარ ასე ქარული,
ჯერ ყველასაგან მიუკვლეველი
აღმოვაჩინე მე სიყვარული.
ეს სიხარული დააცხრობს გოლვას
და გაგიჟებას უფრო უარესს,
სურვილი ისევ უშენს რევოლვერს,
ცას რომ ღრუბლებმა გადაუარეს.
ღრუბლებო შავო, მზეო საპყარო,
მე აღტაცების ზღვაში შეველი,
აღმოვაჩინე მთელი სამყარო,
ქვეყნისთვის ჯერაც მიუკვლეველი.

ერთ დროს

ერთ დროს იყავი შენ ძლიერ კარგი,
აწ დრო სხვაგვარად მიემართება,
ვინ გაგიბზარა მზიური სარკე,
ან სიმღერის დროს რა გემართება?
მაგრამ სიცოცხლეც არ არის მეტი
ძველი ბრძოლების გარე შთენილი,
მარად შენი ხმით ტიროდეს გედი,
შენითვე მკვდარი და აღდგენილი.

შენ თუ მოელი?

შენ თუ მოელი ჩემგან ისევ ლოცვა-ვედრებას,
მე აღარა მაქვს საიმისოდ ძალა და ღონე,
მხოლოდ იმიტომ გაგიხსენე და მოგიგონე,
რომ შენში ვმარხავ მთელ არყოფილ ბედნიერებას.
შენ ნუ მოელი ჩემგან ცრემლებს, არ არის ცრემლი!
რაი-ღა დარჩა საოცარი სანახავიდან?
შეცდომებს გული გულსაკლავად ეხლა დასცინის:
აღტაცების და სიწრფელის დრო გაჰქრა, წავიდა.

მე ვინც მიყვარდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე რომ მიყვარდა ის არი
ოცნება გამიდიადა,
იმისთა თვალთა ისარი
გულზე მაჩნია ტყვიადა.

საგულეს ის არ ჩადგება,
სხვადასხვათ თანატოლობა,
იმას რად გამოადგება
მონადირისა ცოლობა.

ბევრი მოგიკლავს ტახები—
ყვირილი გახსოვს ირემის,
ეხლა მეც გაგეძრახები
შენ, ჩემო თოფო ყირიმის.

ათი ქალწული

სასუფეველით მსგავსება მათით
ოცნებამ იცის,
ათი ქალწული სანთელით ათით
ელოდენ სიძეს.

მათგანი ხუთი იყო გონიერ,
ხუთი—სულელი;
სულელთ ვერ ჰპოვეს ჭურჭელთა მიერ
ზეთი სურნელი.

და ღამით ოდეს სძინავდა ყოველს
ზარით, ებანით
ხმა ისმა: აჰა, ესერა, მოვალს,
მიეგებენით.

აღსდგა წამშივე ქალწული ათი—
ჰპოვა სანთელი,
ხუთს ჩაჰქრობოდა სრულიად მნათი
იმ წუხანდელი.

წარვიდენ სყიდვათ. მას ჟამსა შინა
გზად იდგა ქარი,
მოვიდა სიძე. განაღო ბინა
და დახშა კარი.

ოდეს დაბრუნდა წყებანი სხვანი
მშვენიერ ქალთა,
დააგვიანდათ. ისინი დგანან
დახურულ კართან.

მათ ხელში ობლად კანკალებს ზეთი
მწუხარე ლანდათ.
გარედ ქარი ჰქრის. არ-არის ბედი.
დააგვიანდათ.

10 წლის წინად

რომ ყოფილიყავ ათი წლის წინად,
რომ მომვლენოდი ათი წლის წინად,
მე მხოლოდ შენ ერთს, შენ დაგსახავდი
ოცნების მეფედ, მზიურ გვირგვინად.
მაშინ ალერსი ისე მწყუროდა,
ისე ველოდი შენს თანაგრძნობას,
ეს იყო მაშინ... ეხლა კი ვწყევლი
და ვწყევლი, ვწყევლი, ვწყევლი მე ტრფობას.
სადღაა ეხლა სანთელი იგი,
ღამით რომ ენთო ოცნებას ნაზი?
ის ჩამქრალია და ღამის სივრცეს
შავი ზოლების შთენია ხაზი.
რა დამავიწყებს იმ მწარე დღეებს,
ლგონო განცდებს და ფიქრებს ფარულს,
ან გვიან არის. ეხლა მე ვწყევლი...
და ვწყევლი, ვწყევლი, ვწყევლი სიყვარულს.

ფერილიდან მისდამი

როს დამვარდება ხელით სადავე,
გაჰქრება სული და სისადავე,
როს იმ ყვავილებს ცრემლებს ვათოვებ,
გთხოვ: სასიკვდილოდ ნუ მიმატოვებ.

როს გამიმეტებს ჩემი დიდება
და საქართველოს გაბედითება,
როს წაერთმევა სუნთქვა იმედებს,
გთხოვ, შენი ხელი ნუ გამიმეტებს.

ხიდი რიალტო მთის მდინარეზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მან გადალანდა წყალში საყურე,
ლურჯი ზღვა იგრძნობს ტანს ზამბახეულს
და ეხლა სამი მოსამსახურე,
შეუმშრალებენ ნებიერ სხეულს.

მეოთხე მხევალს მიმოაქვს ფრთხილად
სურნელებებით სავსე ფეშხუმი,
და ეხვევიან ფეხებს დაღლილად
თმების სინელე და აბრეშუმი.

მარჯვნივ, ჰაერში სასახლის კალთა
დაიფარება ლალების ძგერით
და აბინდდება ხიდი „რიალტო“,
მოჯადოებულ სარკეში ცქერით.

სიმაღლის შიშით ხიდი დანებდა
მას, რასაც ჰქვია ბედი, ზმანება,
რაც მას მოწყვეტით დააქანებდა
და სწრაფი იყო ეს დაქანება.

ის შეშლილივით დაეცა ქალთან,
როცა ლანდებით მოვიდა მთვარე
და კვლავ ამაღლდა ხიდი „რიალტო“,
და ძილს მიეცა ისევ მდინარე.

გული

მის სუფევას ვგრძნობ, როცა თვალთაგან ცრემლები მდივა:
მეგობრად მყავდა დასახული მოსისხლე მტერი,
ფარულ ჯადოთი გზას რკალავდენ, როგორც ეკვდერი,
დალილას ლანდი, ვიქტორია, ლედი გოდივა.
მათი ხელებით დასრესილი ოცნებას სცვივა
გაზაფხულებად აფოთლილი ხშირი ჩანჩქერი.
დაწყვეტილ ვარდებს ძალა-მოკლულ თვალით დავცქერი.
ო, რანაირი გულდაწყვეტით ბაღში მივდივარ!
აღმოხდა მთვარე! გაანათა უსივრცო ბაღი,
მაღალ ღეროზე გაიშალა გრძელი ზამბახი,
მაგრამ მის გაშლას სიხარულით არ ვეგებები:
ზამბახთა შორის ყრია თეთრი ქ ნდაკებები,
თეთრი ძეგლები, და იმათ ქვეშ ობლად მარხია
გული, უგონო სიყვარულმა რომ შეარყია...

ისევ ოცნება და სიყვარული

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაღალულს ვხედავ იმ ამაყ ირემს.
მიყვარდა როგორც დიკკენსის გმირებს.

ცეცხლთან ღვინის სმა და გაფიქრება,
რომ გულში ცეცხლი არ გაგიქრება.

მრავალი ფიქრი მას შემდეგ ახდა,
ვნების ისრებმა დაცხრილეს გული,

ისევ მაისი მშვენიერ ბალთა,
იყავ ოცნება და სიყვარული.

შენ ალტაცებით ისევ ენთები

შენ ალტაცებით ისევ ენთები,
ძველი ტაძრები ისევ შენდება,
ეფემერიდებს გამოენთები
და სადმე მაინც გაგითენდება.

მთები სჩანს, როგორც გიგანტი გრდემლი,
ჩქარი მდინარის რბიან ზვირთები,
მოგენატრება ბავშვური ცრემლი
ეცდები, მაგრამ ვერ ატირდები.

მწოლარე

იყო ის მწუხარება—ბალახებში მწოლარე
და ეფინა ალვათა ხეივანის სუმბული,
მიდიოდა მდინარე, როგორც ლურჯი ოლარი
და მახლობლად კიოდა მეთორმეტე ბულბული.

და ფოთლების შრიალი იყო როგორც ოპერა,
შორეული ბალები, მედეას ხნის კამარა,
უცებ ქარმა ზვირთები დასავლეთით მობერა,
მიეფარა დაღალულს და ზღვებს გადააბარა.

კითხულობდა პოეტებს: ედგარს, ჰანრი რენიეს—
და ლანდები ჩქაროობდენ ოცნებების კიდეზე
და ვერ წარმოედგინა ბედნიერს და მშვენიერს
ცა უფრო უმაღლესი, ცა უფრო უდიდესი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღამეს ელვარე დღე შეუცვლია
თქვენი თვალების ღრმა სიბნელეთი,
ამნაირ გრძნობას ხომ შეუძლია
დაიმორჩილოს მთელი ხმელეთი,
მომკალით! ყოფნა მაინც შუქია
თქვენზე ამართულ სადღეგრძელოთა,
შეხვედრა ენას ვერ შეუქია,
შეხვედრა განა ასე გველოდა?
თქვენ გაიხსენეთ, ო, გაიხსენეთ,
ო, გაიხსენეთ ამ სიტყვებს იქით
რამდენი რამე ვერ აგიხსნიათ
ვერც ჩუმი ცრემლით, ვერც ლალის ჭიქით.
რისთვის მიყვარხართ? მე არ მაქვს ნება!
მაგნაირ გულით და სინაზეთი...
არის ამ ქვეყნად დაგვიანება—
მაგრამ ამდენ ხნით? მაგრამ ასეთი?
არის ამ ქვეყნად ვერხვი და სვია,
არის ამ ქვეყნად სიკვდილი ქალით,
ამ რევოლვერშიც არის რვა ტყვია,
ერთს გაიმეტებთ: მე გთხოვთ მომკალით!

*
* *

მზეო თიბათვისა, მზეო თიბათვისა,
ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს შევედრები.
იგი, ვინც მიყვარდა დიდი სიყვარულით
ფრთებით დაიფარე—ამას გევედრები.
ტანჯვა-განსაცდელში თვალნი მიურიდენ,
სული მოავლინე ისევ შენმიერი,
დილა გაუთენე ისევ ციურიდან
სული უმანკოთა მიეც შვენიერი.
ხანმა უნდობარმა, გზა რომ შეეღება
უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები,
მძაფრი ქარტეხილი მას ნუ შეეხება
მზეო თიბათვისა, ამას გევედრები.

შემოდგომა „უმანკო ჩასახვების“ მამათა სავანეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ მაისს, ამ ივნისს, ამ ივლისს
გადირეკს ნოემბრის ბაღები.
მხურვალე ვნებები გამიელის,
სასახლის ჩაქრება ჭაღები.
დარჩება აუზთან სანდალი
და ძველი ფოთლები, ყვითელი...
რომანზე ისვენებს შანდალი,
რომანში შეშლილი სკვითელი.
ვეწვევი განდეგილ მამათა
„უმანკო ჩასახვის“ სავანეს:
იქ შავი თოვლივით დამათოვს
ჭვარტლი და ბურუსი თავანის.
სიმკაცრით შემხედავს საშვენი
თვალები შეკრული კამარის:
ჯვარს ეცვი, თუ გინდა! საშველი
არ არის, არ არის, არ არის!
დაჰქრიან უდაბნოს ქარები,
მტანჯავენ და ვიცი: გახსოვარ!
სამრეკლოს ანგრევენ ზარები...
წმინდაო, წმინდაო მაცხოვარ!
გრიგალთა სადაურ შებერვას
მისდევენ ფოთლების ზვავები...
თებერვალს უხმობენ, თებერვალს
სამრეკლოს ჯვარიდან ყვავები!
და ვიცი ღელვათა საგანი,
როდესაც ღამეა უკუნი,
და ჩემი მდუმარე საკანი
და ცეცხლის მფარველი გუგუნი.
ერთგვარად მიიტანს ამ სახის
ლოცვისთვის ზმანება—მტკივანი;
გაზელებს—მგოსანი, სასახლის,
ხელთათმანს—სასახლის მდივანი.

1916

საღამო სოფლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზას ვერ პოულობენ მწკრივი წეროები,
გზას ვერ პოულობენ ნელი ნიავები,
ოდნავ ირხევიან ისლის ღეროები
მთების შეღამებით მონაიავები.

ყელი მელანდება გადასაკონელი...
რაღაც მომაგონდა, რაღაც დამავალე.
გზებზე მიმავალი ბღავის საქონელი
და ცას ენაზება შუქი დამავალი.

მღვრიე ხაბოებში სძინავთ სანაოებს,
შენ ხომ არავისთვის არ ხარ შორებელი?
ისევ სიხარული, მაგრამ ამაოა:
მოდის მეოცნებე გაუსწორებელი.

შემოდგომის ყვავილები

საღამო მახსოვს წუხდა ქარივით,
ამ ხმაში იყო ფარული დარდი.
დაფნა და ვარდი მოჰქონდათ ქალებს,
შემოდგომების დაფნა და ვარდი.

მე კიდევ წავალ. მე კიდევ ვივლი.
გათენებამდე უნდა ვიბრძოლო,
არა ერთი მსურს ვპოვო ყვავილი,
და დამჭკნარები გადავისროლო.

მატარებელში

მთები აჭრელდა, როგორც ჟირაფი,
მატარებელი მიჰქრის ბინდებათ,
ეხლა იწყება წიფის გვირაბი,
თქვენ ხომ არაფრის შეგეშინდებათ?

შემოდგომის მოტივებიდან

სიცივემ ნაძვებს ძონძი გახადა,
მოვიდა ნელი ქარვის ფერები,
მკრთალმა მზემ ჭაობს გადაახატა
გაყვითლებული ალვის ღერები.

სულში სიმშვიდე არის ისეთი,
თითქო დროებით ართმევს დროებას,
ამ შემოდგომის სიმაისეთი
მოცემულ სითბოს და მყუდროებას.

შემოდგომის ფრაგმენტი

ოჰ! ეს სოფლები, ფენილი ქარით,
ეს მწუხარე და ნაზი ზმანება,
ეს ყვავილები, ეს ცა, მითხარით,
არავის თქვენგანს არ ენანება?

ჰაერი ოხრავს ფოთლების ფენით
ღონე-მილეულ მზის დაღალვაში
და ბილიკებზე წყნარი მოწყენით
დაბინდულ წყვილად მიდის ქალ-ვაჟი.

ცხოვრობდა ვინმე... გულში ფარული
უთრთოდა ციურ შუქთა კამარა:
ამ ქვეყნად სურდა მას სიყვარული,
მაგრამ ვერავინ ვერ შეიყვარა!

იყო მეორე: დასწვეს, დადაგეს
ვნებებმა მისი მხურვალე გული,
როდესაც ვარდთა სისხლიან ბაგეს
ეწაფებოდა თვალდახუჭული.

ამ დღეებს მისდევს ჩუმი განდობა,
ფერფლდება თვალთა ბანოვანება
და ასე მჭკნარი ახალგაზრდობა
ნუ თუ არავის არ ენანება?

ჰაერში ოხრავს ფოთოლთა ჩრდილი:
სწუხს ლაჟვარდების მსუბუქი ქაფი: —
და შემოდგომის გზებზე დაღლილი
მიდიან—გრეი და ზეინაბი.

შემოდგომა

I

ობოლ ფოთლებს, ნაზ ყვავილებს
ქარიშხალი თავზედ ივლებს;
კორდი კდემით თვალებს ნაბავს,
მორცხვათ თავს ხრის, სუნთქვას სძაბავს,
ტანთ-გახდილი და შიშველი
მთას შესჩივის: „ვერ მიშველი?"
ვილაც კვნესის, ვილაც კვდება,
ვილაც ნისლში ინაკვთება.

II

მოწყენილია მიდამო, თეთრი
ნისლის ზღვა მინდორს გადაეფინა.
გადმოიშალა სიცივე მკვეთრი,
ჩემს არსებაში იპოვა ბინა.
მომბეზრდა ყოფნა... სულს შეეთვისა
აზრი: დაფარვა ქარიშხლის ფიფქით,
ვით ყრუ ძახილი უკვდავებისა
დროთ საზღვარს იქით,
დროთ საზღვარს იქით!

გაჰქრენ ზაფხულის დღენი

წარბგადახრილი მიდის
შემოდგომისა ჩრდილი.
ზიდავს გამხდარი ცხენი
ყვავილებიან ურემს.
ცისას იგონებს რიდეს
ის, როსინანტად ზრდილი,
გაჰქრენ ზაფხულის დღენი,
ქარი ყვავილებს ურევს.
ამ დღეს ზამბახებს ყიდდა
თიბათვესავით ნაზი,
ის პოეზიად ხდიდა
ჩვენი დღეების პროზას.
მზე ლაჟვარდებში სწუხდა,
შუქს გავლებოდა ხაზი,
ბაღში მუზიკა ქუხდა
anganti amoroso-ს.

ფოთლები

ჭკნება, ყვითლდება საბრალო ბალი,
ქარი უბერავს, ფოთლები ცვივა,
გამოურკვეველ მწუხარებაში
მზეს სული უწუხს და გული სტკივა.
ნოემბრის ქარმა ყვითელ ფოთლებით
კვალ-ბილიკები გადაიარა,
ფოთლები წყდება იმ გატაცებას
და შემოდგომის მეფობს იარა.

ავადმყოფს

შეხედე: ვარდნი მშვიდი თვალებით
სძლებენ ნარიდნი მსუბუქ ძალებით,
ვარდები უფრო კეთილშობილი
კვდებიან სწრაფი გარდაცვალებით.
გაყვითლებულა მიდამო—არე
შემოძარცული მთებით მრარე.
ფავნმა სიცილით მოვლო მთა-ველი
და არა ერთი მოჰკლა ყვავილი.
შემოდგომაა... ტკივილი ჩუმი
და ხელის გულთა ნაზი ქავილი.
ყვითელო, ჩემო ყვითელო ვარდო,
შთენილხარ მარტო, სრულიად მარტო.
რითმების გარდა არაფერი მაქვს...
რითი გაგართო? როგორ გაგართო?

ჰორიზონტი ოდნავ ღელავს

ჰორიზონტი ოდნავ ღელავს შემოდგომის მკრთალი სხივით
და ეცლება ხეს ფოთლები მომაკვდავი პეპლებივით.
ყვითელ ფოთლით მოიფარა ხეივანი, ბილიკები,
თეთრი ნისლით შეიმოსა ცად აწვდილი შორი მთები.
ობლადა დგას მონასტერი, სადაც თავი შეაფარე,
სადაც ციურ ნისლთა ფიქრში, მიატოვე ცოდვათ მხარე.
მაგრამ მე ვერ დაგივიწყებ, შენ მიყვარხარ იმავ ენებით,
ძველი სულით, ძველივ ფიქრით და ძველივე თავდადებით.
ჰორიზონტი ოდნავ ღელავს შემოდგომის მკრთალი სხივით
და ეცლება ხეს ფოთლები მომაკვდავი პეპლებივით.

ყვითელი ფოთოლი

შემოდგომისა ველურ ჰანგში
ჭკნება ფოთოლი;
ყმაწვილი გულიც უნუგეშო,
ფიქრებით დნება.
მაგრამ სხვა ფოთოლს აამწვანებს
კვლავ გაზაფხული—
და სიყმაწვილე კი არას დროს
არ დაბრუნდება!
ქვითინებს ქარი, თან წაიღებს
ყვავილთა ჩურჩულს...
ჰანგი საზარი სულს მიშფოთებს
და გულში მწვდება—
რომ ვერას დროს ვერ ვეღირსები
მე იმ გაზაფხულს
და სიყმაწვილე კი არას დროს
არ დაბრუნდება!

უკანასკნელი დღე

ალერსიანი შემოდგომის
დღე მევლება გარს,
ნიავი მითხრობს უცვლელ ზღაპარს,
სიკვდილის ზღაპარს.
და ყვავილები თანაგრძნობით
მეხვევიან გარს
და ფიქრი მიაქვს შორს ნიავქარს,
სევდის ნიავქარს!
ხვალ არ ვიქნები ქვეყანაზე
და იმიტომ მსურს,
ვიპოვო რამე, რომ წავულო
ზეცას მედიდურს.
მართმევს მე ამ დღეს უკანასკნელს
სამარის მტვერი,
მართმევს იმგვარად, ვით წამართვა
მან ყველაფერი!
ოჰ, არ წამართვათ, არ წამართვათ
დღე ეს ნათელი,
დღე სევდიანი, დღე დაღლილი,
უკანასკნელი!

შენ და შემოდგომა

არის ნეტარება—ხშირათ მოაგონდეს
პოეტს შედარება: შენ და შემოდგომა.
შუქი არ ინთება ჩამქრალ იაგუნდის,
ოხვრა, გარინდება, შენ და შემოდგომა;
ღამე ბნელზე ბნელი მისდევს უდროობის,
როგორც ბელზებელი, ქარებს უსადარესს.
ცრემლი უნდობარი გახრჩობს მარტოობის,
მაგრამ მეგობარი, ვაი, არსად არის.
მხოლოთ გაგონება ჰანგის უნაზესი
დაგრჩა მოგონებათ: არ ღირს გამოდგომა.
გული უდაბნოა, სული ოაზისი;
შენ და შემოდგომა, შენ და შემოდგომა.

შემოდგომის დღე

შემოდგომის დღე, შემოდგომის დღე,
დღე ნაღვლიანი, ღონემიხდილი;
როგორ ეკვრება ცას ბნელი ჩრდილი,
როგორ ირხევა გაძარცული ტყე...
შემოდგომის დღე, შემოდგომის დღე.
ცვივა და ცვივა ხეებს ფოთოლი,
გაყვითლებული, უდროოდ მჭკნარი;
დაბერავს რისხვით, დაბერავს ქარი,
გაყვითლდა მდელო, გაყვითლდა მოლი...
სცვივა და სცვივა ხეებს ფოთოლი.
სავსე ვარ რაღაც იდუმალ გრძნებით,
გამოუთქმელი მიტაცებს შვება!
რა არის იგი? ბედნიერებით
გამოწვეული უბედურება,
თუ უბედობა სიმწარე-ვნებით.
დამშვიდდი, გულო: შეგიყვარდება
ვინმე ამ ქვეყნად... დამშვიდდი, გულო!
წავა დღეები უსიხარულო,
ისევ აღდგება გამქრალი ვნება,
ჩემო ოცნებავ და სიყვარულო!
წავიდა, გაჰქრა... ვერ შევეკითხე,
რისთვის გამშორდა, რისთვის წავიდა...
გამიქრა სულის ოცნება წმიდა,
ილულება მზე, იძარცვება ტყე...
შემოდგომის დღე, შემოდგომის დღე!

მაშინ ცას უფრო სხვა ფერი ჰქონდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის ჩამოშორდა. როგორც სიზმარი,
აუხდენელი და მომხიბლავი.
არ ვიცი, საით წაჰყვა ზღვის ტალღებს,
სად შეაჩერა დაღლილი ნავი.

მაშინ ცას უფრო სხვა ფერი ჰქონდა,
სხვაგვარის ღელვით ღელავდა ველი.
მაისი იყო. მთას მოხვეოდა
გაზაფხულისა მთრთოლვარე ხელი.

მაგრამ ის მოვა შემოდგომისას,
მოვა დაღლილი და ფერმიხდილი,
ო, რა მწუხარე ღამე იქნება,
ო, რა საშინლად იკივლებს ჩრდილი.

ასე რისთვის?

ასე რისთვის შეიცვალა გაზაფხულის წმინდა დილა,
თუ ღიმილი მხიარული შენთვის ჯერაც არ ყოფილა?
ასე რისთვის მიეფარა მზე დაღვრემილ მთის ნაპრალებს,
თუ ნამდვილი მზის ნათელი არ უნახავთ ჯერ შენს თვალებს?
მე არ ვიცი, სიცოცხლეო, რა გაღონებს, რა გაწუხებს,
მე არ ვიცი შენს კითხვაზე, რომელი ცა გიპასუხებს,
შერიგების მოლოდინში, ბედი ჯერაც არსაით სჩანს
და არ ვიცი კაცი, ვინაც არ იცნობდეს მაგ კაეშანს.

უკანასკნელი თანამგზავრი

გადაქცეული მწარე გრძნობებად
უკანასკნელი თანამგზავრი მემშვიდობება.
დავრჩები მარტო. სრულიად მარტო.
ო, შემოდგომის გვიანო ვარდო
მემშვიდობება,
მემშვიდობება—
საღამო იგი, აღტაცების და დამშვიდების
უკანასკნელი თანამგზავრი ჩემი დიდების.

ქარი ქანაობს ქნარად

ჭკნება ვარდები რგული,
ქარი ქანაობს ქნარად,
არ გამრთელდება გული?
წყნარად, წარსულო, წყნარად.
ცაზე ნელდება რული
ფერად ძოწ-აბრეშუმად —
არ გამრთელდება გული?
ჩუმად, წარსულო, ჩუმად.

შემოდგომის დილა

ღამით ძლიერი წვიმა მოვიდა,
დილით სიცივე იყო ფარული,
ბერავდა ქარი მადათოვიდან,
როგორც სიკვდილი და სიყვარული,
მაგრამ მზეც იყო რბილი და მკრთალი
სიყვითლე, ნება ხეთა კვდომისა,
მე პოეზიით ვიყავი მთვრალი,
დღე იყო ისევ შემოდგომისა.

შემოდგომის დღე

მკვდარ ყვავილების ფენას,
ვხედავ ფერებით ნათელს,
ნისლი უმატებს წყენას
ზოდიაკალურ ნათელს.
მთები ბურუსმა შთანთქა,
გულს რა ზმანებას ვახლი?
სადღაც გრიგალი ადგა
და შემლილების სახლი.
ის იდუმალად მუქი
დაფენ ლია რიგი,
როგორ ჰქრებოდა შუქი,
როგორ კვდებოდა იგი.
მკვდარ ყვავილების ფენას
გრძნობს მომაკვდავი ბალი,
გული იბურავს წყენას,
როგორც კატორღის დალი.

ძველი წიგნების გვერდებს არეულს

ხან გამწკრივებულს ზღვისკენ წეროებს,
ხან მეოცნებე ხის კენწეროებს,
ხან ღამეს, როგორც მძიმე ობობა
წაიღებს დროთა ავადმყოფობა.
და ბაღიც კვდება ძველად დარგული.
ის ყველაფერს გრძნობს კვალდაკარგული
რა ქაოტიურ ბადეს ედები,
სადაა, ბედო, ის იმედები?
გაზაფხულისა გაჰქრა შვენება
და მიეფარა ნისლს სიზმარეულს,
ძველი წიგნების გვერდებს არეულს—
სდევს მხოლოდ წყევლა და შეჩვენება.

გულო, რა გემართება?

შემოდგომის ყვავილებს
დიდებასთან მივიტან,
ერთი შორი ოცნება
მახსოვს ძველ მოტივიდან.
ვარდები არ არიან,
მაგრამ რა მევარდება?
სულო, რა გემართება?
გულო, რა მოგივიდა?

ერთხელ...

წვიმა და ქარი ერთხელ ღამით, შემოდგომისას
მძვინვარ ქარიშხლად გადაიქცა და იწყო ქროლა.
დაიგუგუნა შუაღამის შავმა გრიგალმა,
მიაწყდა ხეებს, ააკვნესა და ათრთოლა.
კარი, ფანჯრები, სარკეები მთლად აძაგძაგდენ,
სანთელთა შუქმა ქარიშხალთან დაიწყო შებმა,
მიირხ მოირხა მოელვარე დიდი კანდელი
და.რეკა იწყო მისმა მძვანე მინის მძივებმა.
მე ვკანკალობდი. უცნაურ ძალს ტყვედ ჰყავდა მაშინ,
ქარის აკორდათ გარდაქმნილი ჩემი არსება.
როგორ მწყუროდა ქარიშხა თან ერთად გაფრენა,
ბრძოლა, სიცოცხლე, სიყვარული, სიამე, შეება!

შრიალებს ჩალა

შემოდგომაა... შრიალებს ჩალა,
აჩალეს ჩალა, ზიდავენ შეშას,
როგორ აფიქრებს სამშობლო ჭალა
ჭაობის ვარდებს, დასილულ ნეშოს.
შემოდგომაა... დაყრუვდა შარა,
მოვიდა წვიმა, დამძიმდა ზვინი;
მოვა თუ არა, მოვა თუ არა,
ოხვრით კითხულობს ცეცხლის შიშინი.

სულ რამდენიმე წლის წინ

სულ რამდენიმე წლის წინ
ყვითელ ფოთლებით თრობა,
ხედავს ვარსკვლავთა ციმციმს
მოგონებათა გრძნობა.
საღამოებრად დილებს,
რაღაც საოცრად ითქვა,
იწვევს ბავშვების ჩრდილებს
დავიწყებული კითხვა.
ამასაც ნახავს ფარჩა
შელამებული არის,
თუ ერთად ერთი დარჩა
გამოსავალი მთვარეს.
მკრთალი გაცურდა ალი,
ცა დააშუქა წყნარ სულს,
ოქ მშვენიერი ქალი
გაჰყვა მშვენიერ წარსულს.

რა სევდიან ნანას ამბობს ქარი...

რა სევდიან ზღაპარს ამბობს ქარი,
ამეშალა ჩვეულ ფიქრთა ჯარი.
დაიძინეთ სურვილებო, კმარა!
კმარა ცრემლი, რაც რომ დაიღვარა.
დაიძინე შენც, იმედო ჩემო,
ჩემო რწმენავ, ზეცავ და ედემო!

შენ და შემოდგომა

შენს სიყმაწვილეს ახსოვს მხოლოდ ზუზუნი ქარის,
როგორ უგონოთ გაწამებდა ბედი, ვაიმე.
ეხლა შენ სულში ყვავილისთვის მზე აღარ არის,
მზე აღარ არის და არ არის არარაიმე.
ცეცხლი გწყუროდა, რომ აგენთო ბნელი ნაპირი,
წმინდა ტაძრები, სიონები, სვეტიცხოვლები.
ეხლა შენა გსურს არაფერი, ო, არაფერი,
მხოლოთ ზამთრების მწუხარებით შეიფოთლები.
არც ღმერთი, არც ცა არ სწყურია გაუგებარ სულს,
არც სიყვარული, არც ღიმილი, არც სიტკბოება.
შენ ვერაფერი დაგავიწყებს შხამიან წარსულს,
შენთვის მკერნალი იმედები არ იპოვება.
უმიზეზოთ ცივს, უმიზეზოთ შეურაცხყოფილს
შენ არ გსურს ვინმეს გააგონო, ჩემო ციერო.
მხოლოთ დემონთა დავიწყება ეძებს სამყოფელს:
ყოველივესთვის იყოს იგი სამაგიერო.

ქარით დატირებული

ქარით დატირებული, უნუგეშოდ შთენილი,
მიფრინავდა ფოთოლი, ხიდან გადმოცვენილი.
და სტიროდა მიდამო, იძრცვნებოდა ტყეები,
და სცურავდენ სცურავდენ ღრუბელთ სიშორეები.
შემდეგ თოვლი მოვიდა, და ვით სულს მოტივტივეს
შევაჩვიე სიცივე ჩემი გულის სიცივეს.
ეხლა თოვლში ჩაფლული, უნუგეშოდ შთენილი
იყინება ფოთოლი ველად ჩამოცვენილი...

შემოსილნი გამჭვირვალე ბლონდებით

შემოსილნო გამჭვირვალე ბლონდებით
ყრმობის ქარნო, ნეტა რად მაგონდებით?!
ტყდება გული, ერთხელ გაიბზარა-რა
არა-რა ბედს ჩემთვის არ აქვს არა-რა.
სასტიკია სული უამინდოთა,
განა ქვეყნად ბევრი რამე მინდოდა?
შემოსილნო გამჭვირვალე ბლონდებით
ყრმობის ქარნო, ნეტა რად მაგონდებით?

ელეგია

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვიმის წვეთები დასცურავენ
ფანჯრის მინებზე,
ქარი ვედრებით კარებთან დგას:—
„გამიღეთ კარი!“
რა ადრე გაჰქრა გაზაფხულის
მზიანი ჩრდილი,
რა ადრე გაჰქრა ჩემი ყრმობა,
ჩემი სიზმარი!
დროო წყეულო, სად წარიღე
ჩემი ფიქრები!
დროო ბოროტო, სად დამარხე
ოცნება წყნარი?
მარქვი, ოჰ, გველო, რად დაგჭირდა
რომ მოგეწამლა
ყვავილოვანი სიყმაწვილე
და ჩემი ქნარი?
დაღონებული გავცქერივარ
ცისა დასავალს,
სადაც იშლება მოღუშული
ღრუბელთა ჯარი...
ქვითინებს ზეცა, ქვითინებენ
ცაცხვის ხეები
და გულმოკლული ქვითინებს და
ქვითინებს ქარი...
დამათრობელი — როგორც ჩემი
მოგონებები,
წინ მიდგას ღვინო, ლალის ფერი
და ძველი ღვინო...
ვსვამ განუწყვეტლათ, ვსვამ რომ დავთვრე
მოგონებებით,
რომ მეც საზარლად ვიქვითინო
და ვიქვითინო.
ოჰ, რად მომექცა ასე უღვთოდ
მე ჩემი ბედი,
რად დამიმსხვრია სიყმაწვილის
წრფელი სიამე...
სადაა ჩემი ყვავილები,
სადაა რწმენა?
ზეცავ, სასტიკო, მიპასუხე,
მითხარი რამე!

სახლი ტყის პირად

ეხლაც ჩემს თვალწინ არის
თქვენი ბინა ტყის პირად
და საღამო მდინარის,
გახელილი ცისფერად.
თავაზობდით დები ვარდთ
და ამბობდით ლანდებით:
„თქვენ ისეთი კარგი ხართ,
„თქვენ პოეტი ბრძანდებით.
და გავიდა ივლისი,
და მოვიდა, წამებო,
შფოთიანი ტფილისი:
პოეტების სამეფო!

ქარმა ბუდიდან ყვავის ბახალა...

ქარმა ბუდიდან ყვავის ბახალა, ზაფხულის ტყეებს გადაახალა,
ისმოდა ხმები ახალ-ახალი, ტყე ტაძარივით იყო მაღალი.
ველად ბალახი იყო კეცილი, როგორც სიმშვიდე და სარეცელი,
ტიროდა მწარედ ყვავის ბახალა, ქარმა ტყეებს რომ გადაახალა.
ატყდა ქუხილი, გავარდა მეხი—გაეხმაურა ტყე მეხის ტეხილს
ხევში, ხრამებში ატყდა ხარხარი და წამოვიდა წვიმა ჩქარ-ჩქარი.

შეშლილივით დააღებს კარებს

მე სიმღერას შევჩივლებ
დარდებს შებორკილივით,
ჩემი არ დაფარული
მწუხარების საგანი,
შეშლილივით დააღებს
კარებს წივილ-კივილით,
რომ უგულოდ ჩააქროს
რამე გრძნობათაგანი,
სულში მტვერი ადგება
ცეცხლისა და ნაცარის,
არარა არ ახარებს
შორი ფერისცვალებით,
მინდა ისევ ქვეყანას
ვაპატიო რაც არის,
ცივი ნოემბერია
ვალკირიას თვალებით.

წუხელი ღამით ქარი დაჰქროდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წუხელი ღამით ქარი დაჰქროდა
და დიდხანს, დიდხანს არ დამეძინა;
მე მქონდა ბინა, თავშესაფარი,
მაგრამ ქარიშხალს არ ჰქონდა ბინა.
ხან კარებს უკან ატირდებოდა,
ხან დარაჯობდა სარკმელის წინა.
გადამიშალა თვალწინ წარსული
და მწარედ, მწარედ ამაქვითინა.
მისებრ პოეტი ვიყავ უცნობი—
ვეხეტებოდი სევდიან ღამეს,
რამდენ ტკბილ ფიქრებს მოეღო ბოლო,
რამდენ ოცნებას, რამდენ სიამეს.
წუხელი, ღამით, ქარი დაჰქროდა
და როცა დილით გამომეღვიძა,
ყვითელ ფოთლებს და დამსხვრეულ რტოებს
მიმოეფარათ ყამირი მიწა.
ბაღში გავედი... იქაც ბილიკზე
ფენილი იყო ფოთოლი რბილი,
და დიდხანს, დიდხანს ვხეტიალობდი
წარსულ სიზმრებში გადაფრენილი.

დგება შემოდგომა

გუგუნებს ალი მხიარულ ბუხრის,
მაფიქრებს ალი და ვწვავ წერილებს.
კიდევ ედება გედები მწუხრის
გედებს ცეცხლისკენ გადაღერილებს.
რაც უფრო შორს ხარ, ძვირფასო დროო,
უფრო სავსეა გზა ამ გედებით,
და სიყვარული, ვით ვატერლოო,
მოფენილია ამ იმედებით.
სხვა მხარეები უხსოვარ ხნიდან
მაწვალებს, მათრობს და მეფერება.
თვით სამარემდე მათ ლანდს მივიტან,
რადგან ვერ ვპოვე ბედნიერება.
სულ ერთი არის: ღვინით, ან ქალით,
ან ყვავილებით — გაჰქრენ ვნებები.
შუბლზე გადვისობ ხელებს კანკალით,
რომ გაიფანტონ მოგონებები.

სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ!
როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი,
ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია
და შორეული ცის სილაჟვარდე.
შემოიღამებს მთის ნაპრალები
და თუ როგორმე ისევ გათენდა—
ღამე-ნათევი და ნამთვრალევი
დაღლილ ქალივით მივალ ხატებთან!
ღამე-ნათევი და ნამთვრალევი
მე მივეყრდნობი სალოცავ კარებს,
შემოიჭრება სიონში სხივი
და თეთრ ოლარებს ააელვარებს.
და მაშინ ვიტყვი: აჰა! მოვედი
გედი დაჭრილი ოცნების ბაღით!
შეხედე! დასტკბი ყმაწვილურ ბედის
დაღლილ ხელებით, წამებულ სახით!
შეხედე! დასტკბი! ჩემი თვალები
წინედ რომ ფეთქდენ ცვრებით, იებით,—
ღამე-ნათევი და ნამთვრალევი
სავსეა ცრემლთა შურისძიებით!
დასტკბი! ასეა ყველა მგოსნები?
შენს მოლოდინში ასეა ყველა?
სული ვედრებით განაოცები
შენს ფერხთ ქვეშ კვდება, როგორც პეპელა.
სად არის ჩემთვის სამაგიერო?
საბედნიერო სად არის სული?
ვით სამოთხიდან ალიგიერი
მე ჯოჯოხეთით ვარ დაფარული!
და როცა ბედით დაწყევლილ გზაზე,
სიკვდილის ლანდი მომეჩვენება,
განსასვენებელ ზიარებაზე
ჩემთან არ მოვა შენი ხსენება!
დავიკრეფ ხელებს და გრიგალივით
გამაქანებენ სწრაფი ცხენები!
ღამე-ნათევი და ნამთვრალევი
ჩემს სამარეში ჩავესვენები.
დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ!
როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი,
ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია
და შორეული ცის სილაჟვარდე!

დღემ გაიარა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მადლობა დიდი! დღემ გაიარა,
სალამოს ზარი ისმის შორიდან,
მზემ დასავლეთი დააიარა
გადმოფენილი მთა და გორიდან.
ოჰ, ყველაფერი გაჰქრა ქარივით
სულო, ოცნებას ვეღარავის ჰფენ,
მოსილი ჩრდილთა ნასიზმარევით
დავრჩით ქარივით ისევ მე და შენ.

გზაზე ფოთლები ჰყრია

გზაზე ფოთლები ჰყრია,
მიეჩქარება სწრაფი
ვით გაზაფხული მღვრია
მდინარეების ქაფი.
შორი ნანგრევის კეფა
სჩანს, ქარიშხალი ნახა,
ისმის ძაღლების ყეფა
რომ... გამახსენდა... აჰა!
მაგრამ ჩემს გულში მჯერა,
სუნთქვა ახალი ქროლის,
გამარჯვებული მღერა,
გამარჯვებული ბრძოლის.

გვიანი ოცნება

წიგნი ვედრებიანი,
ალოცება სატანის,
და ოცნება გვიანი
ვილჯე დე ლილ-ადანის.

ხშირად მომეფარების
ჩემი კარგი ზმანება
და მტანჯავს მწუხარების
ყელით გადაქანება.

ლურჯი, ლურჯი დღე არის,
განშორების დღე არის,
მე არ ველი უარესს...

მოსვლას აპირებს წვიმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსვლას აპირებს წვიმა,
      იგრძნეს ღრუბლების გემმა,
გაიწკრიალა სიმმა
      შენი სახელი ემმა.
გადატეხილი მეხით
      ოო, დაღამდეს ბარემ.
დიდებისაკენ ფეხით
      კიდეც გასწია მთვარემ.
ყალბი ბოგემა, აგერ,
      სივრცეს უცქერის უვრცესს,
ხავსის ძაფებით ნაკერ
      ძველი გაზეთის ფურცელს.
დაე, მფრინავი ლანდი
      მიაქანებდეს ფოთლებს,
იყოს საღამო ზანტი
      მე კი გადავშლი ბოდლერს.

ქარი

მე ვწერდი... ამ დროს სევდიანი
შუაღამის ჩრდილი
ვარსკვლავთა გუნდში ხან იქ, ხან აქ
დასრიალობდა.
ქარი ხან სტვენდა, ხან სტიროდა
გულამოსკვნილი,
ხან გამოუთქმელ სივაგლახით
ჰკვნესდა... წვალობდა.
გული უსმენდა მას, ამ ქვითინს
გამოურკვეველს
და ოცნებობდა აუხდენელ
ფიქრ-მოგონებით;
ქარი კი ისევ ედებოდა
ქვითინით ტყე-ველს
და მჭკნარ ყვავილებს იტაცებდა
მოსხლეტილ ფრთებით;
თითქო იცოდა — ცარიელი
იყო ქვეყანა,
მისთვის არ იყო ამ სივრცეზე
თავშესაფარი,

მხოლოდ მე ვიყავ იმის მსგავსი
და იმისთანა
და მოწყენილ ხმებს მიტომ კვნესდა
სარკმელთან ქარი.
დასცხრი გრიგალო! ყველაფერი
როდი დავკარგეთ,
რა ვუყოთ გულში თუ სიამის
ჩურჩული მისწყდა?
რად დაგავიწყდა წყნარი ლოცვა
ქალწულის ბაგეთ,
და მოგონება დღეთა წარსულთ
რად დაგავიწყდა?

ტყემ წამიყვანა!

წამიყვანა ტყის ჯურღმულმა, ტყის სიმწვანემ წამიყვანა,
გადმიშალა ხის რტოთა და ბალახების მწვანე ყანა...
დაუბერა ნელმა სიომ, ვარდს მოჰპარა ცის მანანა,
და რტოები, ხის რტოები მიაქანა, მოაქანა:—
„ნანა — ნანა“...
ალეანდრას ბალახებში ძეწნამ ტოტი დააფარა,
ველარ დაწვდა და მწუხარემ ისევ სიოს დააბარა:
„ნუ ცახცახებ, არ განახვებ მზის თეთრ სხივებს... არა, არა...“
ალეანდრა ისევ შეკრთა და ცრემლებათ დაიღვარა:
„კმარა, კმარა!“
შემდეგ ცელქმა ტყის ფერიამ, ღმერთო! რა არ განიზრახა,
ჯერ გაშიშვლდა და როდესაც ტბაში თავის ტანი ნახა,
სულ გაკვირდა... მერე მოსწყდა, და როდესაც დამინახა
შეჰკივლა და მიიმალა და ჯაგიდან დამიძახა:
„ხა, ხა, ხა, ხა!“
მუხის ჩრდილ ქვეშ მიმეძინა და ფოთლები პეპლებივით
მეცემოდენ მთელ სახეზე, აღგზნებულზე სიზმრის სხივით...
და მესმოდა ფოთოლთ ჰანგი: „ჩვენ არ ვკვნესით, ჩვენ არ
ვჩივით...
ნიავივით, ნიავივით, ტყეში ვცხოვრობთ, ტყეში ვლვივით,
ნიავივით!“
ვიყავ ჩუმი, ვიყავ ჩუმი და ვხედავდი ცის ლურჯ ტატნობს
და ვფიქრობდი ნათელ ფიქრით, ფიქრებს ძნელად გამოსაცნობს,
და ფიქრობდა ნათელ ფიქრს ტყე და იდუმალ ნაფიქრ-ნაგრძნობს,
ჩემს ფიქრებში მოგონება ეხლა აფრქვევს, ეხლა ადნობს,
ნაფიქრ-ნაგრძნობს...

ვიყავ ჩუმი და მესმოდა იდუმალი სიმთა ჟღერა,
სევდიანი იყო ჰანგი და მეც გული ამიძგერა.
დავიმღერე: მესმის, მესმის... და ვერ დავთმობ ვერა, ვერა!
და სიჩუმემ ნიავივით გამომძახა: მჯერა, მჯერა,
ეგ სიმღერა.

დგება ნაზი შემოდგომა

დგება ნაზი შემოდგომა და მეც სევდით ვეგებები...
შეიცვალა ირგვლივ რაღაც... მაგრამ რაა? რომ ვერ ვხვდები!
ოქროს ფოთლებს ხეივნებში ფერხული აქვთ როგორც ძველად...
როგორც ძველად მთვარიან ცას ღიმი უკრთის მიმზიდველად...
როგორც ძველად ნიავ-ქარი დასრიალობს ჩემს მახლობლად,
ჭკნობის სუსხი ახლოვდება... მხოლოდ მე ვარ ეხლა ობლად...
იყო ჩემთან... ჩემთან იყო ის თვალები... ის ღიმილი,
როგორც შორი მოჩვენება, ვით ზმანება ნაზი, ტკბილი...
აღარ არის... გაზაფხულის ყვავილებთან ერთად მოჰკვდა
და ეგ გულიც უჩვეულო დარდ-კაეშნით ამიტოკდა.
ფერ-მილეულ შემოდგომას მარტოდ-მარტო ვეგებები...
ველოდები ნახულ სახეს და ლოდინში ვკვდები... ვკვდები!
ვარსკვლავთ შუქი დაიცარა და განელდა მიმქრალ ცაში,
მხოლოდ მთიებს ისევე აქვთ იქ, სინათლე და კაშკაში...

სიმების კვდომა...

სიმების კვდომა... შემოდგომის ქვითინი ნელი,
სიზმრებს წარსულის ხმა მარხავს მესსის,
დაღლილი სული, მარტოობა და ღამე ბნელი
გრძნობას მიჰყვება და ხსოვნა კვნესის.
ბოროტო ქარო, ის შენთან დგას, ვით ედემთა წყარო.
გულუბრყვილოა მისი თვალები,
მიგაქვს შენ მისი ოცნებები, ფოთოლო მჭკნარო,
ძველ რომანებში რომ იმალები.
და ყვავილები ქალთა თეთრი ავსაფარავის,
რომ მოედება თმებს ხელაღებით
ისე, როგორც მას, აღარ ახსოვს ეხლა არავის
მთებით, ყანებით და ვენახებით
ერთმანეთისთვის კარგის მეტი, ჩვენ არრა გვინდა,
ფიქრი უდროოდ გულს რომ დაჰყვება,
დილის სხივებმაც არ იციან იმგვარად წმინდა,
უსპეტაკესი იგი ზრახვები.

მუხა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხა პირველი იგრძნობს ალიონს
და პირველ სალამს განთიადისას,
ამაყად გასცქერს მთას კავკასიონს
მეფურ დუმილით დაჰყურებს მიწას.

მუხა პირველი მეხს ეგებება
შეუშფოთებელ და მძლავრ რტოებით,
შეუშფოთებლად და მძლავრად ჰკვდება
ველზე მდგომარე განმარტოებით.

ყანებში სადღაც ატირდა ღალღა...
ძირს, ძირს ეშვება მოხუცი მუხა,
ნაკადს დაეცა, ნაკადმაც ტალღა
აამღელვარა, ააჩუხჩუხა.

წაიღებს ხსოვნას ჟამი პირქუში,
გასცდება დღეებს, განაპირდება;
მარტოდენ ჭოტი მუხის ძველ ღრუში
დაისადგურებს და ატირდება!

ტყეში

ზეფირს ფოთლებით
კალთა ევსება,
ზამბახს ოცნებით
ეალერსება:—
„გამომყე, წამო!“
ხარობს მიდამო.
ზეფირს ქნარი აქვს,
დაუგდე ყური:
დაგწვავს, მოგხიბლავს
ჰანგი ველური,
დაგძლევს ეკსტაზი...
ციური, ნაზი.
ეოლ, მთა-ბარი
ნუ შეაწუხე...
ტყეს ტალღა ჩქარი
დაჰკარ, დაჰქუხე!
ზვირთი დასძარი.
ჰა, ჩემი ქნარი!

✓ დაღამდება ტყეში ოდეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაღამდება ტყეში ოდეს,
ქარი ფოთლებს აურევს;
იმ მდინარის გეშინოდეს,
რომელიც არ ხმაურობს.

მას ფოთლები აოქროვებს,
ვით ყვავილი ნაოშებს,
წვეთწვეთობით წყალს აგროვებს—
ნიაღვრებად გაუშვებს.

დაიძვრება გზა ზვირთული,
როგორც მძიმე ხეხილი,
ნაყოფებით დატვირთული,
ქარით გადაზნექილი.

✓ ვერხვები

ყოველთვის, როცა დაბერავს ქარი
და ტყეს მთებისას გაიფრენს აფრად,
ვერხვის ფოთოლთა თეთრი ლაშქარი
აშრიალდება უშორეს ზღაპრად.

ზღაპარი იგი მათრობს და მხიბლავს
ძველი ღვინის სმით, უგონოდ, მძაფრად,
სადღაც დაკარგულ ვარდს და გვირილებს
მოგონებებში ვიჭერ თანაბრად.

ეს იყო წინად, დიდი ხნის წინად...
სად, როდის, რისთვის? არ ვიცი, არა!
იყვენ ოდესღაც და მიეძინათ...
ღელავს ფოთლების მწყობრი კამარა,

მას შემდეგ ბედი და იალქანი
ქარის სიმძიმით გადაიხარა,
შენ კი სადა ხარ ამდენი ხანი?
რისთვის, ან ვისთან? არ ვიცი, არა!

ეს იყო წინად, დიდი ხნის წინად,
ეს იყო ვერხვის ფოთლების კვნესა.
დრომ ყვავილებით დაგვაგვირგვინა,
მე პაჟი ვიყავ — ის კი პრინცესა.

იარე, კაცი შენ ალარ გქვია

გასწიე! ღამე ეშვება ზეწრათ,
მწარედ შრიალებს ტყეთა კალთები,
მახლობელ დემონს იგრძნობ უეცრად
და შიშის ჩრდილით აკანკალდები.

იარე! გაჰყევ გზას შორით შორისს,
მაისთა ცეცხლი შენ არ გაოსებს,
მწუხარებათა ულევთა შორის
ისევე ხედავ ახალ ქაოსებს.

გაახელ თვალებს — იქნება გვიან,
დახუჭავ, მაინც ცა არ ენთება...
იარე, კაცი შენ ალარ გქვიან,
შენთვის არასდროს არ გათენდება.

რა უყავ შენს სულს, ოდესმე კეთილს,
ქვეყნად რომ სურდა ცეცხლის მოდება?
ეხლა იმავ სულს დაღლილს, დაფლეთილს
დახედავ და არ შეგეცოდება.

იკივლებ მაშინ, მაგრამ არსიდან
არ გიპასუხებს უდაბურება,
იარე! გზები უშინაარსო
ისევ ბურუსით დაიბურება.

ვარ გენია რიმანელი

ვარ გენია რიმანელი,
მესმის ქართა მქუხარება,
მეფინება წვიმა ნელი
და დემონის მწუხარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავიწყებულ სიმების გვარ
ფერით ოხრავს ვილანელი,
მე მდუმარე გენია ვარ...
და გენია რიმანელი.

ყრუდ ვუსმენდი ლიუციფერს,
ის ბრძოლაში მივანელე,
ვგმობ სამარეს და სიბერეს
მე, გენია რიმანელი.

ვარ გენია რიმანელი,
მესმის გულთა მქუხარება —
მეფინება წვიმა ნელი
და დიდებულ მწუხარება.

როგორც კი დილა გათენდება

როგორც კი დილა გათენდება ცისკრის ბურებით
მთელი დღე ყველა ხევებში ისმის,
რომ თქვენ მინდვრებში მიეშურებით —
რომ უმანკოა თქვენი კისკისი.

მწარე სიცხისგან დაგიფარავსთ ქუდი ჭილოფის,
სამოსი რაა? უბრალო ჩვარი!
არ გეშინიათ არც ეკლების, არც დაღლილობის,
უფრო კარგი დღე ქვეყნად არ არის.

თქვენ, ახალგაზრდა გატაცების უმანკო თასი
ნაზ და ცბიერი სიტყვების მახეს,
ამ ჭრილობისგან ყველამ იცის სიცოცხლის ფასი...
შეხედეთ თვალებს, შეხედეთ სახეს,

ამაო არის უსულგულო ზრუნვა და შრომა —
აი დღეებს რა აიადონებს.
ტყეთა კაბების ყვავილოვან ნაოჭთა კრთომა,
რითაც არ რთავენ თვითონ მადონებს.

მწვანე ზოლი მთის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზე მოელვარე, ლაჟვარდი ცა, მწვანე ზოლი მთის
    დღის მოკამკამე შვენებაში თრთის.
გრილი ნიავი მწვანე ბუჩქებს, დაბურულ ბაღებს,
    ცისფერ ყვავილებს, მინდვრის ბალახებს
        სძრავს, აცახცახებს.
ნორჩთა მცენარეთ მსუბუქ ორთქლით, ყვავილთა სუნით
    შეზავებული სუნთქავს ეთერი
და გაზაფხულის პირველ სხივებს წყნარი ზუზუნით
    სდევს უთვალავი პეპელა-მწერი:
        შუქ-შუქად ადგას ყვავილთა მტვერი.
ქვებს და ბალახებს, სიმაღლიდან ჩამოწოლილ მზეს,
    ხეებს და ტყეებს, საოცნებოს, რასაც კი ხედავს,
ხელის შეხება რისთვისაც ჯერ ვერ გაუბედავს
    ადამიანს სურს რომ თაყვანი სცეს.

ორი მრისხანე სტიქიის ბრძოლა

ორი მრისხანე სტიქიის ბრძოლის
ბავშვობიდან ვარ მაყურებელი.
აჰა, გაიხსნა ლაჟვარდი ბროლის,
მზე უდაბნოის მახურებელი.

მზეებო, ღრუბლებს სხივებით ვარცხნით.
მზეებო, რამდენი ალივით ღვივით,
მზეები მარჯვნით, მზეები მარცხნით...
რამდენი მზეა, რამდენი სხივით:

ერთნი დასცქერენ ცის სიმაღლიდან,
ჯოჯოხეთიდან ცას — მეორენი;
ანგელოსები პირველთ ვერ ღლიდენ,
ვერც დანარჩენებს შავი ყორანი.

არავის ქვეყნად მე არ ვცემ თაყვანს,
მაგრამ ერთია ორივე ჩრდილი,
თუ ანგელოსი გირწევდა აკვანს —
შემდეგ დემონად მოვა სიკვდილი.

უბედურ საათს არვინ დაგიცავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

უბედურ საათს არვინ დაგიცავს,
არავინ გეტყვის მშობლიურ ნანას,
მაგრამ გახედავ ყრუ დედამიწას
და მოიგონებ შენ შენს სატანას.
იმედი, შენი ბრძოლის საგანი,
გატაცებაა დაუდგრომელის.
მოლუშულია შენი საკანი:
სხვა რა, სიკვდილი მხოლოდ მოგელის.

მწარე იავნანა

როდის გითხარ, გულში შიში,
რომ აგიძრა, მძინავო.
არ მოვსულვარ რომ ბალიში
შევძრა, გიმანინავო,
არ მოვსულვარ გულში დანა
დაგცე სამაგიერო,
იავნანა, იავნანა,
იავნანა, ცბიერო.
არ მოვსულვარ რომ დამლევი
მაისების გეგონოს,
მინდა აგცდეს საწამლავი,
გველი არ დაგეკონოს.
არ მოვსულვარ რომ შხამებით
ვავსო შენი ჭიქები,
ოდეს მკვლელი შეღამებით
ალვად გადიზნიქები.

მე მძინარე ვარ...

მე მძინარე ვარ... ვწევარ და მძინავს,
დაე, მძინავდეს.
ხედავ ჩემს შუბლზე ღიმილს დამცინავს,
როდესაც ნანა მესმის ძიძების—
ბევრს ეშინოდეს,
ჩემი სასტიკი, ულმობელი გამოღვიძების,
ვით გათენებას,
მე ვხედავ სიზმრებს არა თქვენებურს.

დღეთა კარებთან ვდგევარ წუხილით

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეთა კარებთან ვდგევარ წუხილით,
ელვამ აანთო ცეცხლის ბუგრები,
ცა მემუქრება ჭექა-ქუხილით,
მე დამუნჯებით ცას ვემუქრები.
ელვამ აანთო ცეცხლის ბუგრები,
ხანჯლებს დავფარავ ისევ იებით,
მე მტერს იმავე ხმით ვემუქრები,
რომ მოვა ჩემთან მონანიებით.

ვერ გაიგონეს...

ვერ გაიგონეს თქვენი მხნე ნანა,
ვერ შეიფერეს მზე კონებისა
და მოგესიზმრათ ისევ ქვეყანა,
ქვეყანა ბნელი დემონებისა.
მოჰკვდებით, ბნელი იქნება თოვა,
რომ თქვენი გრძნობა ვერ შეიფერეს
და სამარესთან ვინც კრძალვით მოვა,
იქნება ლანდი ლიუციფერის.

მიცქირე თვალში

მიცქირე თვალში,
შენ დადუმდი?
იგრძენი განა?
იდექი წყნარად
და ბინდიან
თვალში მიყურე.
ნურაფერს მეტყვი.
მე არ მინდა
არავის ნანა.
გინდ აღმიდგინე
ისევ გული,
გინდ დამიხურე.
მიცქირე თვალში,
ო, ჩემს თვალში
საშინელება
იგრძენი განა?

ყველა შანდალში ჩაჰქრა სანთელი

ყველა შანდალში ჩაჰქრა სანთელი,
ვინ იწყევლება და იკრულება?
მე, ის, დემონი, შენ, ჟრუანტელი,
ჩვენ სისხლით დავდეთ ხელშეკრულება;

ყველა შანდალში ჩაჰქრა სანთელი
და სიბნელეა გადარუხილი;
გავარდა მეხი, ხარობს ქუხილი
და დემონების კორიანტელი.

ქალაქი ხმათა, კვეთა-ცელვათა,
ის, დღევანდელი და წინანდელი...
და როს დაწყნარდა ქარი ღელვათა
უცებ აენთო ყველა შანდალი.

გაიცქირება მომავლისაკენ

ის დაფიქრებით და დაჟინებით
გაიცქირება მომავლისაკენ;
ვერც დამუქრებით, ვერც დაშინებით
ვერ გაიტაცეს ფიქრი მისაგან.
უფრო ძლიერად და უარესად
სურს გაარღვიოს თვალით ბინდები,
სად დარაზმულად და საკმარისად
ერთგული უცდის მას რაინდები.

სული უსახლო

რომ გაიღიმოს შემოდგომის მზემ,
მოასკდეს ნაპირს მძიმე ქაფები,
ამნაირ დროში შეჰქმნა გოტიემ
უკვდავი ლალი და სადაფები.

მივჰქრიავარ, აქვე, ტფილისის ახლო,
მე ვიცი ჩემი მიმღები ჭერი,
რომ მიისვენოს სული უსახლო
ჯოჯოხეთშიაც არ ბედნიერი.

*
* *

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაშლილ წალკოტში ნორჩ ყვავილის
მოწყვეტა მსურდა,
მაგრამ სერაფიმს ბედკრულისთვის
ესეც შეშურდა!

ყვავილს სინაზით კალთა თვისი
მან დააფარა
და უშფოთველი, გულწრფელობის
ცრემლი დაჰღვარა.

მწარე ღიმილით გესლიანი
მე მას განვშორდი,
და შავს ქვესკნელში განწირულად
დავჰქროდი, ვძრწოდი!

ოჰ, ვის, ვის ესმის ჩემი კვნესა
და ტანჯვა სულის,
საუკუნეთა მსვლელობაში
გაცივებულის?

ადამიანო! ყოფნა შენი
კუბოდ იცვლება,
მე კი, უბედურს, თვით სიკვდილიც
არ მეღირსება!

უსიყვარულოდ, უმნიშვნელოდ
მიჰქრიან დღენი,
ოჰ, ვის, ვის ძალუძს განიცადოს
ტანჯვა ესდენი?

ყველაფერმა იცვალა ფერი

აჰა, ჩემს ირგვლივ ყველაფერმა იცვალა ფერი,
ვარდ-ყვავილებით მოიქარგა წყაროს ნაპირი,
მზისა სხივებით გაიშალა ცისა ეთერი,
ჭალაზე მწყემსის აღუღუნდა მწუხარე სტვირი.

წყნარმა ოცნებამ არემარე გარემოიცვა,
შეამკო იგი ყვავილებით და მორცხვი ვნებით,
ვით მოჩვენება გაზაფხული დაეშვა ქვეყნად,
გაასვენებენ შემდეგ ცხედარს ამ გვირგვინებით.

გავყვები დღეებს. შემოდგომის ლოდინში ისევ,
გული არ იზამს, კვლავ სიცოცხლით რომ ავითრთოლო;
ყველა გათავდა, ყველაფერმა იცვალა ფერი,
მარტო ამ მწარე მარტოობას არ უჩანს ბოლო.

სული მწუხარე

სული მწუხარე, სული ცოდვით გამოწვეული
ედემის კარებს დაღვრემილი მიუახლოვდა,
ყოფნის ღელვისგან დავრდომილი, იჭვით სნეული
დღის ელვარებით მარტო ჩრდილად გადაქცეული
თვალებით სთხოვდა ბედს ზენაარსს, თვალებით სთხოვდა.

განსასვენებლად სულს სწყუროდა ხეების ჩრდილი,
ისე საამოდ ირხეოდა ტყე დაბურული,
ისე აღმძვრელად სისინებდა ნიავი გრილი,
ისე წარმტაცად მოისმოდა ფრინველთ ჟივილი,
რომ დიდხანს, დიდხანს კრძალვით იდგა ცოდვილი სული.

მისთვის არ იყო ეგ ედემი გაშენებული,
არც ეგ სიგრილე გაჩენილი არ იყო მისთვის,
ედემის სახე მას ამაოდ მოსტაცებდა თვალს,
ამაოდ ფიქრი უხატავდა ტკბილსა მომავალს
მას, ბედისწერით დასჯილს მწარე უკვდავებისთვის.

ცის უდაბნოში შემდეგ იყო მხოლოდ მოწყენა —
ნეტარის ძილით ისვენებდა ანგელოსთ გროვა,
მარტო ცოდვილმა ქვეყნის სულმა ვერ მოისვენა
სიზმრად თუ ცხადში თან დასდევდა ის შორი ლხენა,
რაც როსმე ნახა, მაგრამ თვით კი ვერ მოიპოვა.

მაგრამ მე რა ვქნა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მე რა ვქნა, მე, ვისაც სული
მაქვს დაწეწილი მწარე ქარებით,
ვინც აღტაცება არ ვიცი სრული
არც სიყვარულით, არც მწუხარებით.
მე, ვისაც მტანჯველ აზრად გაუარს
დაკმაყოფილდეს ისევ ტფილისით,
ვინც ღამით დასწვავს შოპენგაუერს,
რომ უფრო მძაფრად იცხოვროს დღისით.
გადია, მე ხომ ღამის ლანდები
მიგვიანებენ საყვარელ ნდომას
სიკვდილში—როდი ვეჭვიანდები,
ვხედავ შეცდომას.
მე დემონები ქროლვით მარადით
მომაგონებენ დაფარულ შხამით,
რომ უიმედოთ მივჰქროდი ღამით
გატეხილ შუბით და მუზარადით.

დალუქულ ფოლიანტთან

დგება იქ, სადაც წარსულის მიერ
დალუქულია ფოლიანტები,
რათა მშვენიერ ოცნების ზიარ
არ შეაშფოთოს მკაცრი ლანდები;
მაგრამ ლუქახსნილ რელიკვიების
ეხლა დალუქვა მას ეძნელება
და სურნელება მათი იების,
ესმის, ვით მძაფრი საშინელება.

ბრმა ცალი თვალით

მან დაიბრმავა ეს თვალი განგებ
და ამნაირად გახდა ცბიერი,
მეორე თვალში არის განგება:
მეტი სიმკაცრე და სიძლიერე.
უმარულიან დენათა შორის,
მწარე დაცინვით მათი მგმობელი,
იგი ტრიალებს, ვით თვალი ქორის,
ეს საუკუნე — მეფისტოფელი.

სხვა... ყველაფერი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიცოცხლის აჩრდილს
სული არ ერთვის,
სხვა გამოძახილს
ვისმენ ყოველთვის.

მხიბლავს ეთერი
და ვმღერი... ვმღერი...
სხვა ყველაფერი
ერთია ჩემთვის!

სასიყვარულოდ
გული აღარ თრთის,
აღარ მიწოდებს
ნეტარება მთის,

შავ დემონს მივე
ფრთა მოტივტივე
და ყოველივე
ერთია ჩემთვის.

ადრე წამერთვა
ალერსი ღმერთის,
სხვა ღმერთს არც ვეძებ,
არც სული ელტვის...

დღეს კი ვის ველი?
დღე› ნათელი
თუ ღამე ბნელი—
ერთია ჩემთვის!

ერთმა წუთმა

გზაჯვარედინზე შავი დემონი
წინ გადამიდგა მე ქალის სახით...
„ოჰ, მებრალები—მან მითხრა—რადგან
„გზას ვერ გააპობ ვაი-ვაგლახით!

„ბედნიერება არ არის ქვეყნად,
„ისეთი რასაც პოეტები ქმნით,
„ეს არის მხოლოდ თქვენი ოცნება,
„და ჩაფიქრება ისიც ცოტა ხნით.

„იყავი ჩემთან, იყავ უგონო!
„ალერსით დაგწვავ, წამომყე, წამო,
„თუ ერთი წუთით მოგმადლებ შვებას,
„მთელ სიცოცხლეში უნდა ეწამო!

ჩამჩურჩულებდა ეგ ნეტარი ხმა,
ხმა ეგ ცბიერი, ხმა მომხიბლავი,
ციურმა შვებამ გამომიქროლა,
ოცნების ტალღებს მივეცი ნავი!

დაუფიქრებლად ამ ერთმა წუთმა,
ტკბილი ღიმი და ნაზ ფიქრთა ბინა,
მთელი იმედი და მომავალი
უცებ სრულიად დამაკარგვინა!

* * *

გული მღელვარებს უცნაური რაღაც ფიქრით,
გულს შიში იპყრობს და ღელავს მკერდი...
რაა ეს გრძნობა? სიყვარული? საითკენ მივჰქრით?
არ გადვიჩეხოთ, არ გაწყრეს ღმერთი.

მას მოეჩვენა რომ ეს ხმაა სამარის ლოდის,
თითქო დემონი უკრავს ჭიანურს,
რაღაც აჩრდილი ქვეყანაზე მიდის და მოდის
და ახშობს წყურვილს ადამიანურს.

არვინ ოცნებობს გამოხედვის ცეცხლზე და ალზე,
მოგონებაა კუბოს და ცხედრის,
ფიქალო მკერდზე არ ოცნებობს, არც გულზე ზღვაზე,
ის მხოლოდ... ციურ ალერსზე გვედრის.

გრძნობა, რომელიც დაკარგულია

ის მღერის როგორც დარის დარება,
იმისი გული—ხალხის გულია,
მასში მოისმის იდუმალთა ხმათ მწუხარება,
გრძნობა, რომელიც დაკარგულია.
ის ხეტიალობს ასეთნაირ განწირულებით,
როგორც სამოთხის დახურულ კართან,
გულზე აჩნია უკურნავი დროის წყლულები,
გაუნელებელ ცეცხლთა და ქართა.

*
* *

ამაოა მთლად ცხოვრება, დრტვინვის წუთისოფელია,
წადი... წადი მონასტერში, მონასტერში ოფელია!
ტკბილი ნანა სულს უთხარი, უბედობა ხატს აჩვენე
დამაშვრალი სული, გული მონასტერში მოასვენე!
მაშ შორს მტვერი, შორს, შორს მიწა, ის ცის უარმყოფელია
წადი... წადი მონასტერში! მონასტერში ოფელია!

სამგლოვიარო ეტლების ფრენა

დემონიურად მიუძღვის ღამით
სამგლოვიარო ეტლების ფრენას,
ის დედამიწას აჩვენებს ამით
ჩაშავებულს და უსივრცო ენას.
მაგრამ მრავალი დარდების გამო,
მას დაავიწყდი შენ, პოეზია!
მას ესიზმრება სულ სხვა საღამო
რაც სხვანაირად უტკბოესია.

სასწაულს

შეუნდე, შეუნდე, შეუნდე ბნელ-ცოდვილს,
ლიუციფერს, ჩემს სულში ავობით მძვინვარეს,
ლიუციფერს, მრისხანე ვეფხვივით დაკოდილს
და ეხლა მძინარეს.
შეუნდე, შეუნდე ჯოჯოხეთს—ჩემს თვალებს.
შეუნდე ჩემს ხელებს, ბოროტად დადაღულს,
მე შენი უმანკო ნათელი მაწვალებს,
მე ველი სასწაულს.

ბინდის სტუმარი

ოჰ, გეველრები, ნუ შემიშფოთებ
ლოცვას მხურვალეს, ლოცვას პოეტურს...
შუალამეა... მოსთქვამ და გოდებ...
— შენთან ყოფნა მსურს... შენთან ყოფნა მსურს...
—ბინდი ღამისა გადაიშალა
განთიადია... მე ვიტანჯები...
სად მიგაქვს სუნთქვა... სად მიგაქვს ძალა?
—შენთან დავრჩები... შენთან დავრჩები!
—ნაზი, წარმტაცი და მიმზიდველი
ახალი მხარე, ახალი ბინა,
ჯადოთა მხარე შიშველ-ტიტველი
მე მარტოობამ შემამჩნევინა.
წყეულ იყავ შენ... შენს სუნთქვას ძლიერს
გრძნობამ წუთები გადაატანა,
რას შთამისახავ ახალს, ზეციერს?
—იყავ დემონი, იყავ სატანა!
—მაგრამ შენ ვინ ხარ? დიდების სახე
თუ უკვდავების ნაზი სამოსი?
სევდა ხარ ღამის თუ სივაგლახე,
თუ სიცივე ხარ სასაფლაოსი?
ოჰ, ნეტავი მეც გამაგებინა
რას მიმზადებენ ჟამნი და დრონი...
ოჰ, მიპასუხე, ვინა ხარ, ვინა?...
—იყავ სატანა, იყავ დემონი!

ამაოდ ცდა

ამაოდ ცდილობ რომ ჩემის სახის
გულის სიღრმეში წაშალო კვალი,
ის იქ იცოცხლებს, როგორც ტბის გულში
ჰაეროვანი სახე ფერმკრთალი.
ვერ განიშორებ ჟინიან წარსულს,
მოგონებებში ვერ წაშლი მის კვალს,
მუდამ აანთებს ის შენს თვალებში
ბედნიერ დღეთა ცხოველ ნაპერწკალს.
წადი სადაც გსურს... შორს, მარტო მყოფი,
როგორც დემონი მოუსვენარი,
არ მოგასვენებს მისი დაღლილი
და გატაცებით მკვნესარე ქნარი.

და სახე მკრთალი, დაღონებული,
მარადის თვალწინ დაგეხატება,
ბევრჯერ იტირებ და იქვითინებ,
ბევრჯერ წარსულზე გული დაგწყდება.
მოჰკვდი, რას ნიშნავს? სამარეშიდაც
თან ჩამოგყვება მწველი სიმღერა,
რომ დაგიბრუნოს განსვენებაში
სიცოცხლის სული და ვნების ძგერა.

შავით შემოსილხარ როგორც ელეგია

შავით შემოსილხარ როგორც ელეგია,
მუხლით დაცემულხარ როგორც ანგელოსი
სანთლის ელვარება ხატებს შელეკია
იგი ოცნებაა მიკელ-ანჯელოსი.
მაგრამ მწუხარებას ნულარ ედარები
კიდევ ამისრულე ერთი საოხოვარი,
უკვე დაიღუპა ყველა შენდარები
შენ ღა დაგშთენია გამოსათხოვარი.

ორი ზარი

ღამით მივედი სასაფლაოზე
და ვინახულე ძველი ტაძარი,
ფრთხილად ავედი ძველ სამრეკლოზე,
ფრთხილად დავრეკე მთვლემარე ზარი...
მსურდა რომ ყველას გაღვიძებოდა,
ვისაც სძინავდა ცივ სამარეში,
ვინაც მიყვარდა ან პატივს ვცემდი,
ჩემს განუსაზღვრელ სიმწუხარეში;
რომელთაც სწამდათ ქვეყნად სიცოცხლე,
და დღეს საფლავის ფარავდათ ლოდი,
მათ მოვუხმობდი სასოწარკვეთით,
ზარის მწარე ხმით მათ ვეძახოდი...
და ქვესკნელიდან თითქო ამავ დროს,
მიცვალებულთა რეკავდა ზარი,
და ეძახოდა მათ, ვინც აქ დარჩათ
მათ, რომელთ სწამდათ ყოფნის ზღაპარი.

კუბოს ფიცრებზე ძვლების რახუნით,
მკვდართა გუგუნით თრთოდა ქვესკნელი,
შეერევოდა ცოცხალთ ძახილი
და მკვდართა მოთქმა უკანასკნელი
და შუაში კი სიცალიერედ
ჩაბნელებული უფსკრული შავი,
ბნელი თვალივით იცქირებოდა,
სამარადჟამოდ დაუნახავი...
და ორი ზარი საბედისწერო
ერთმანეთისთვის მიუწდომელი,
დაცინვა იყო, ვით ორი სული,
ვით ის ქვეყანა და ეს სოფელი...
და დიდხანს, დიდხანს ვისმენდი გუგუნს,
და დიდხანს, დიდხანს ზარი ჰგოდებდა...
მაგრამ ამაოდ მოვუწოდებდი,
მათ, ვინც ამაოდ მიმიწოდებდა...

ბედისწერა

ყვავილები არ ჰყვავიან აღელვებულ ზღვაში,
ისმის მარტო ზღვის სიმღერა და ტალღების ტაში.
უდაბნოში არ იზრდება მიმოზები წყნარი,
სიცხე დგას და ცხელ ქვიშაში ღმუის მძაფრი ქარი.
სადაც სუფევს დემონების ძალა ერთად ერთი,
იცოდე რომ იქ არასდროს არ არსებობს ღმერთი.
ზღვას, უდაბნოს და დემონებს ჩემი ბედისწერა,
შეჩვევია და სიმღერა მხოლოდ მათთან მჯერა.

ბნელ ქიმერებში

იგი ბნელ ქიმერებში მიყურებდა—ალიონს,
არავის არ შეეძლო ასე გათამამება,
ან ვისაც სურს ყოველი დაფნას გადაალიოს,
ტრიუმფი სიხარულის მხოლოდ მე დამანება.

ჩემი როლი ნიღაბით, იყო სული ნიღაბის,
ვარ უცნობი ყველასათვის ასეთ სულისკვეთებით,
ვინც პოეტად გაგზარდა, ოდეს შენ წაგიღებენ,
თვალს არ გამოგადევნებს ცრემლის მძიმე წვეთებით.

დახუჭული თვალები

ტბა, ლერწამით შემოსილი,
გამჭვირვალე, როგორც მინა,
თეთრი თოვლით დაიფარა,
უნუგეშოდ გაიყინა.

ეგ თვალებიც, ჩემო კარგო,
წამწამთ გუნდში ჩაიმალა,
სამუდამოდ დაიხუჭა,
როცა სევდით დაიღალა.

გაზაფხული მალე მოვა,
აენთება სხივი მწველი,
ტბაზე გედი აცურდება
ამაყი და უზრუნველი.

მაგრამ თვალებს, ჩემს მკვლელ თვალებს
ვინ ჩააბნევს სიცოცხლის ძაფს?
გლოვით თავი დაუხრია
შენს საფლავზე ობოლ კანაფს...

ცამ ტბას ცრემლი დააფრქვია,
ზამთრის სუსხმა სხივი მოჰკლა,
მე თვალები დაგიხუჭე,
ცამ საფლავი დაგიორთქლა.

ქალწული

როგორც წყნარი ღიმილი
ნათელ კაეშნიანი,
ღამე დაუვიწყარი
ღამე მსუბუქ-ფრთიანი,
ეფინება მაღალ მთებს,
ეფინება ველს მწვანეს,
და ვერცხლისფრათ ანათებს
მკვდართა სამყოფ სავანეს.
ჯვრებს და ლოდებს, აკლდამებს
ლანდი ღონე-მიხდილი
დასწოლია აჩრდილათ
შავი, როგორც სიკვდილი.

ღამის სიო ზვირთივით
ბალახს ედუდუნება
და მთლად გარინდებული
მას ყურს უგდებს ბუნება.
ჩუ, სად ისმის ქვითინი
გულით ამონახეთქი,
ოჰ, არ გესმის ეს ოხვრა?
სიოვ, დაჩუმდი-მეთქი!
ოჰ, რამდენი ტკივილი,
რამდენი მწუხარება
და რამდენი ვაება,
ამ ხმებში იფარება.
სდგას ქალწული საფლავთან
და მთებს კი ღამის ჩრდილი,
დასწოლია ლანდებათ
შავი—როგორც სიკვდილი.

ქარებს ქაროობა!

დაეტყო კიდეც ქარებს ქაროობა,
როცა მტრობაა და ედგარობა,
სანთელო, გარხევს ღამის ფიქრები,
მაგრამ შენ მაინც ნუ ჩამიქრები,
ნუ მიმატოვებ.
აღარ ეტყობა თვალებს თვალობა,
როცა ღრეა და მიუვალობა,
აყეფდებიან მთვარის ტყუპები,
ო, შენ მაინც არ დაილუპები,
ცრემლს ნუ ათოვებ.

მიცვალებულის ხსოვნა

გგონია: ბინდი ვარსკვლავთაგან გემუდარება
და შეშინება უმოწყალო სიმთვრალეს ბადებს.
სახლის კარებთან უმოძრაოდ მდგომარე ლანდებს
იცავს სიბნელე, შეეჭვება და მდუმარება.
ლანდი ქუჩაზე აჩქარებით თავს უკრავს სხვა ლანდს,
ეს ცოცხლებია? არა! გზებზე მიდიან მკვდრები
და სიბნელიდან უბინაო მათი ცხედრები
სამარისებურ უდაბნოში სტოვებენ ქალაქს.

პირველი

აცივდა, ნისლით შემოიბურა
ცად ატყორცნილი მთების კალთები,
ცრემლით აივსო სიცოცხლის სურა...
ზაფხული ჰქრება; აჰა, მეც ვკვდები!
აღარ დარჩება ჩემი ნასახი
ისევე წავალ, როგორც მოვფრინდი...
ოჰ, რა კარგია ისევ სიცოცხლე,
ტყე, მინდორ-ველი, საღამოს ბინდი.
და ნუ თუ მართლა უკვალოდ ვქრები?
მახსოვს შავი ზღვის პირად ვინმე ყრმა
მივიდა, წყალში ქვა გადისროლა
და მე მომესმა მისი მძლავრი ხმა:
„ოჰ, ასე ჰქრება ყოველი არსი,
ვითარცა ეს ქვა, ვით ეს პეპელა,
სწრაფ უმიზნოა მათი სიკვდილი!“
სთქვა და უკანვე გაბრუნდა ნელა.

მეორე

მახსოვს, მეც მახსოვს... როცა ყრმამ წყალში
მწუხარე სიტყვით ქვა გაისროლა—
უკვალოდ როდი გაქრა იგი ქვა...
ზღვა შეკრთა, წყალმა დაიწყო თრთოლა,
რგოლი რგოლს მიჰყავს წყნარი ლივლივით,
დაჰყვა ზღვის სივრცეს დაუსრულებელს,
ნაპირს მიასკდა და გამობრუნდა,
ისევ დაადგა გზას უსაზღვროს, ვრცელს,
ეხლა არა სჩანს...

პირველი

ნუ თუ სულ გაჰქრა?

მეორე

არა! ფერიამ მიამბო რომა,
წავა ზაფხული, არე-მიდამოს
შეაცვლევინებს ფერს შემოდგომა,
შემდეგ ზამთარის მთრთოლვარე ხელით
შეიფერება სული და გრძნობა,
წელიწადები წელიწადს შესცვლის,
შთამომავლობას—შთამომავლობა—
მხოლოდ ის ღელვა, აწ უჩინარი
მუდამ იცოცხლებს და არ მოკვდება,
რადგან არ არის ხელის შემშლელი
მისთვის საზღვარი და დაბრკოლება!

პირველი

მაშ ჩემი ყოფნაც ვარდ-ყვავილებზე
სულ არ ყოფილა ისე ამაო...
ვკვდები, მშვიდობით!

მეორე

მშვიდობით, დაო!
მოკვდა! ყვავილზე დაეცა მკვდარი,
ობოლი ნამი მიწას დავარდა,
აჰა, მახლობლად გაჩნდა ფუტკარი
და ყვავილს ფრთხილად გაუნავარდა,
იმის გულიდან აჰკრიფა მტვერი,
ნამი კი ალბობს და ალბობს მიწას,
ვინ იცის, იქნებ ზღაპარს უამბობს
კვალ-გადაუშლელ საუკუნისას.
წელიწადები წელიწადს შესცვლის,
შთამომავლობას—შთამომავლობა...
ეჰ, მაგრამ სხვაა მაინც სიცოცხლე,
ვნებებს ხომ მარხავს მისი გაჰქრობა.

1908

ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი

ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი,
მწუხარე თვალებით მიწას დაჰყურებდა.
მშვიდობით, მშვიდობით! ამაოდ დაგენდე,
ელვარე საღამოვ ალმას საყურეთა!
ბაგეთა ლოცვაო, დიდება და ძეგლო,
უთუოდ მახსენებ ოდესმე... ოდესმე!
გრაალის კოშკები, ლიდიის სამრეკლო
შენს ფეხთქვეშ დაიმსხვრა და გლოვა მომესმა.
ოჰ! როგორ გაფითრდა ციურთა თანადი
ოცნება, ნახაზი საგანთა უარით—
ღრუბელი ფერადი და ალვა ტანადი,
რომელსაც აზიის ცით გადაუარეთ.
ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი
და ფოთლებს ისროდა სიფითრე ბარათის.
ამაოდ დაგენდე, და ჩვენ ერთმანეთი
ამაოდ გვინდოდა! მშვიდობით მარადის!
ქარვათა მორევში დაეშვა ფარდები—
საღამო კანკალებს შიშით და რიდობით—
საღამო ნელდება და კვდება ვარდები...
მშვიდობით, მშვიდობით, მშვიდობით.

ღრუბლები ოქროს ამურებით დასახლებული

ღრუბლები ოქროს ამურებით დასახლებული,
ვეზუვის ფერფლი!
თვალი იკარგება სივრცეთა უნაზეს
გრადაციებში,
სადაც უძველეს ხელოვნების ყველა ფერებში
ფეთქს ნაპერწკლები.
ნახატი ვაზების,
სასანთლეების,
საცეცხლურების და კანკელების.
ამ საღამოში განისვენებს
მშვიდი სინათლე
სავსე უდიდეს მწუხარებით
და სიყვარულით.

სამი ღრუბელი

მე არა ერთხელ მინახავს
რა ნაზად დაუჯგუფელი,
ჩემს ეფემერებს ინახავს
სამი ფერადი ღრუბელი.

ღრუბელი ცაზე ენთება
ლაჟვარდი, ოქრორეული
ო, დროო! გამახსენდება
შენი გზა სიზმარეული.

წითლად ელვარებს მეორე,
მრისხანე, ეფემერადი
ქარივით მომეტეორე
და ცვალებადით ფერადი.

და თეთრი, თეთრი ღრუბელი
თითქო მარადი ქაფია,
სიცოცხლე დაუგუბელ,
და ცივი ეპიტაფია.

ახალი მოსახლეობა.

ჩვენ ერთად ვუცდიდით ღამეში თეთრ სანთელს,
ჩვენ ერთად მოვრკალეთ ლოდინი და რიცხვი.
ბედივით გამოყვა ჩემს ბინას შარშანდელს
უქმი და უგონო ცხოვრების სირცხვილი.

ვიღაცა მახინჯი მხიარულ სიცილით
შემოგვხვდა... დაგვიწყო, დაგვიწყო პატიჟი!
ვინ იყო? საიდან? ჩვენ ის ვერ ვიცანით
და ყველა შევყევით შავი დღის ბადეში.

დავბრუნდით ბინაში და დაგვხვდა ცხედარი!
მივაგნეთ სულის კვალს! მე ნატვრას ვეახლე;
ოჰ! დადგა ჩვენი დრო ჩუმი და ნეტარი,
იდუმალ ქვეყნების ვართ ეხლა მოსახლე.

სინანული

შავბნელი ღამე, წამების ღამე,
ღამე მწუხარე, ღამე სირცხვილის!
ოჰ, ნეტავი არ გათენდებოდეს,
არ გაჩნდებოდეს სიწითლე დილის!
რად მოვიქეცი ასე საშინლად,
განა სამისო მწყუროდა რამე?
შავბნელი ღამე, სირცხვილის ღამე,
როგორ ვაწამე, როგორ ვეწამე!
ნუ, სინანულო! ეხლა არ მინდა
მთელის არსებით ჩავხედო ჩემს გულს,
იქ ვერ ვიპოვი ვერც გამართლებას,
და ვერც სიბრალულს, და ვერც სიყვარულს.
როგორ შევხედო ეხლა იმ თვალებს?
როგორ შევხედო ეხლა იმ ტუჩებს!
შავბნელი ღამე, სირცხვილის ღამე
ხსოვნას ვეღარ შლის, წყ[illegible]ულს ვერ მიყუჩებს.
ნუ, სინანულო! ეხლა არ მინდა,
რომ გამიახლდეს იგი წამება,
საცაა, ხომლი მოჰკვდება ცაზე,
საცაა, ნისლი გაიფანტება...

მალე იფეთქებს აღმოსავლეთი
და სინანულიც მოკვდება დილის,
ღამე შავბნელი, წა ების ღამე,
ღამე მწუხარე, ღამე სირცხვილის.
მოჰქრის, მოღელავს სიო ნარნარი,
ვარდი ირხევა, იფრქვევა ცვარი.
თენდება! ღმერთო, ოჰ, რად, რად, რისთვის!
ღამე... ის ღამე... დაუვიწყარი.

მზის ჩასვლა

მზის ჩასვლა იყო ვით ანარეკლი,
ძველი დიდების,
ღრუბელთა შორის დაიმსხვრა ძეგლი
პირამიდების.
მე მივდიოდი ნანგრევებზე ობლად,
ობლად შენს გამო—
მწუხარედ ჰქროდა ციურთა სოფლად
ჩვენი საღამო.
ქარმა ვერცხლისფრად შემოსა ნელი
ცის დასავალი,
ღრუბლებმა მაშინ გაშალეს ველი,
ვარსკვლავთ სავალი.

დაღლილ წამწამთ ქვეშ

დაღლილ წამწამთ ქვეშ გამოხედვას უდაბნოსებურს,
რაც დასრიალებს უმიზნობით ხანდახან ქალში,
შეუბოჭნია მოძრაობა მთელის ქვეყნისა,
მთელი ქვეყანა გახვეულა ქალის დალალში.
ჩემი ცხოვრება, ვით სნეული დაუმარხველი,
წარსულისაგან სწყევლის, სწყევლის ამ ფერმკრთალ სახეს,
ის ვერ განშორდა განმყინვებელ, მკვლელ თვალთა ცქერას,
ვერ განერიდა თმას მთრთოლავსა და მოცახცახეს.
სიზმართა რგოლში ჯადო მკაცრი ტანჯვა-წამების,
მაჩვენებს ხოლმე სახეს მწარეს და სახეს ველურს;
სიზმართა რგოლში მე ვიგონებ ჩემს დამმონებელს,
დაღლილ წამწამთ ქვეშ გამოხედვას უდაბნოსებურს.

ვით აფეთქება

შაისის დღეებს ის მოელის, ვით ზამთრის მყინავს,
თითქო სამუდმოდ დამჭკნარა მდელო,
გააცსენდება რალაც მკაცრი და ალარ სძინავს,
და იმეორებს: გაჩუმდი, მკვლელო!
ის ყურს დაუგდებს შუალამით ჭიანურს ჭკვიანს,
არ ეძინება ისევ ჭიანურს.
ის იმეორებს მარადობას და სივრცეს გვიანს,
მწუხარე forteს და ნელ pianoს.
ცა გულუბრყვილო და ოცნება ზაფრანას ფერით,
ო, სიგრილეა და ესეც კმარა.
შურისძიებას ის იგროვებს ფოთოლთა ყლერით
ისევ მუსიკის არის კამარა,
თითქო უსაზღვრო საღამოა და მთა ბინდდება,
აირევიან ქენჯნის კალთები.
გასედავს სერებს, გაფითრდება, შეეშინდება
და ფოთოლივით აკანკალდება.
თითქო ვიღაცას უდარაჯებს წყვდიადი შავით
და უბოროტეს დღეთა ხელებით,
წყვდიად დუმილის სამოსელში ფიქრების შვავით
ივსება გული საშინელებით.
იდუმალ ხანად, სანამ გული არ დასვენდება,
თითქო სადღაც სწუხს საღამოს ზარი.
რუხი ნისლების ნამქერებში ცეცხლი ენთება,
ვით აფეთქება ჩუმი და მკვდარი.

საღამო

დანამულ ბალახებს, მძინარე ტბის პირად,
მსუბუქი ზეფირი ათრთოლებს ხშირ-ხშირად.
ხავერდი ცის სივრცე, ლაჟვარდი და მუქი,
ქათქათებს, ელვარებს როს სწყდება მზის შუქი.
და ჩრდილი მწუხარე, წერწეტა ხის ჩრდილი,
ეცემა ბილიკზე შემკრთალი, დაღლილი.
და ისმის ციური გალობა ნარნარი:
საღამო სიცოცხლის, საღამო დამტკბარი...
ვინ იგრძნო სიცოცხლე ამაო, უმიზნო,
ან შეება ვინ იგრძნო, ან ტრფობა ვინ იცნო.
დანამულ ბალახებს მძინარე ტყის პირად,
მსუბუქი ნიავი ათრთოლებს ხშირ-ხშირად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხენთა შეჯიბრებაზე ჩემი ლურჯა ცხენები
ჰქროდენ ეფემერული და ფერადი ქარებით.
იყვენ საუკუნენი, მაგრამ მე ვიხსენები
გაფრენილი პირველი წყების ნიაგარებით.
ვწუხვარ: ერთად ერთი ვარ და ზეცაზე სწერია,
ჩემი გზა და ახალი ლალის კართაგენები,
ბედი ქროლის გარეშე ჩემთვის არაფერია,
ჩემთვის ყველაფერია ისევ ლურჯა ცხენები.
ჰეი, ქაოსში დაკარგულს ქარი დამედევნება
ძახილით: გალაკტიონ! და ძნელია მიგნება.
სადაც ეხლა ჯვარია და გვიანი მტევნები,
იქ უკვდავი მაგიის მარმარილო იქნება.
რამდენი ქარავანი მთებზე გადამართული,
გაიშლება მცნობელი მღვრიე უდაბნოეთის,
არაფერი არ არის ჩემში არაქართული,
ძაფი ნერვის არ არის ჩემში არა პოეტის.
ო, რამდენი დაცხრება შურიანი თვალები,
რომ მარად იმარჯვებენ იდუმალი შვენებით
ლექსთა შეჯიბრებაზე მხოლოდ ინტერვალები,
ცხენთა შეჯიბრებაზე ისევ ლურჯა ცხენები!
აჰა! შორით მოისმის ქვეყნიური გუგუნი.
ელვა ელვას გაეკრა, დაელეკა ცას ღვარი,
გაჰქრა როგორც ღუმელი ცოდვით გადაბუგული
უკანასკნელ ძებნათა სევდიანი საზღვარი.
კიდეები შეშლილი, ღამეები ველური
დაიტვირთონ წამებით, ღამე მთვარეს მოებას.
სულს წყურია საზღვარი, ისევ ეფემერული,
სულს წყურია საზღვარი, როგორც უსაზღვროებას.
სთქვი, რას ნიშნავს ზენიტზე მდგარი შორი პალმები?
წინ! იმ უსაზღვრობაში მწუხარებას აიტან.
ჩემებრ დიდ საიდუმლოს მე იქ მივესალმები,
ყოველ მხრივ სივრცე იყოს, შველა კი არსაიდან.
ო, უბრალო ხმეზისთვის არასდროს არ მაცალა,
დაისერა მსოფლიო გამოუცნობ წყლულებით.
კოშკებს სიზმარეთისას ნისლი გადაეცალა
და იქ მიექანება სული განწირულებით.
ნეტა ჯოჯოხეთისა დარდმა გამიყოლიოს,
სადაც ვარდებს ბაღისას მაისობა უქრება.

მძიმე ქვების ქუსლებით დავეყრდნობი პოლიუსს,
როცა ქარი მოსკდება და ცას შეემუქრება.
როგორც უხვი მემკვიდრე, ვისვრი სავსე პეშვებით
ფანტასტიურ მკვლელობებს და ოცნებას მკათათვის,
წარსულში, მომავალში წყევლით გადავეშვები,
რომ ძეგლები ავმართო მღვრიე შვენებათათვის.
თქვენ შეხედეთ: პირველი ჩნდება მერიდიანი
ვეძებ ისევ დალუპვას და დავცინი სიბერეს,
წარსულს წყდება ფოთლების წყება იმედიანი,
შემოდგომის ქარვებმა გზები გადამიფერეს.
დე, თამაშის თუ ბრძოლის ვიყო ცქერით გართული,
იყოს მზეთა ორგია და მაგია მთვარისა,
ვიყო ამ ღრიანცელში მარად ხელალმართული,
ლანდი არაქვეყნიურ დარდით გადამწვარისა.
დამრჩეს ეს საიდუმლო, როგორც წმინდა ემბაზი,
ეფემერა მომექცეს როგორც ღამეს ენებოს.
ცხენთა შეჯიბრებაზე, ცხენთა შეჯიბრებაზე!
ცხენთა შეჯიბრებაზე გასწით, ლურჯა ცხენებო.

ყორანი

ყოველთვის მგონია: გადიფრენს ყორანი
და სანთლებს ჩააქრობს თვალების ალვაში;
თვალები, ეს ლოცვით დამწვარი ქალ-ვაჟი
წვალებით მოკვდება (ოხვრა, პასტორალი).

ყოველთვის მგონია: ჩემს სახელს ნაცნობი
აჩრდილი თან დასდევს სისხლიან ხელებით,
უცნობებს ეძახის ფარული ხველებით—
და მე კი თვალს მიხვევს ალერსით და ძმობით.

ყოველთვის მგონია, რომ სცივათ ნაპრალებს
და როცა ბნელ ღამით ბინაში ვბრუნდებით—
ის მიცდის კარებთან მათხოვარ-ქურდებით,
ტირილით წარსულში ვიღაცას მაპრალებს!

ედგარი მესამედ

ჩვენ მივდიოდით ტაძრისკენ ორი.
იყო საღამო. ლოცვები. ზარი.
და ჩვენს საოცარ გზაზე, ლენორა,
რტოებს ტირილით ამტვრევდა ქარი.
ენატრებოდა ფრთებს სითამამე
უზრუნველობის, შენი სიშორის!
მაგრამ უეცრად ვიღაც მესამე
ვიღაც მახინჯი ჩადგა ჩვენს შორის.
და ჩვენ გვესმოდა ყრუ საუბარი:
საცაა, მოვა სიკვდილის წამი!
ტიროდა ქარი, კვდებოდა ქარი
და მოვდიოდით ტაძრისკენ სამი.

სად დასასრული იყო

სად დასასრული იყო
ვიწრო, უცნობი ქუჩის,
იდგა სანთლების ჯიღა
და ქანდაკება თუჯის.
ყრიდენ სანთლები ზოლებს,
ჰქროდა სიცივე ბინდის
და იგონებდენ მოლებს,
როგორც დაწყევლილ სინდისს.
იდგა გაშიშის სევდა,
მწარე, ნისლივით ვრცელი,
მას ბურუსებზე ხვევდა.
თეთრი ობობას ქსელი.
თითქო მოინგრა ზეცა
სისხლი, სიცილი ლოთის,
თითქო მალული მხეცი
უფსკრულებიდან მოდის.
მოდის ბურანი ხანთა,
მას ბატონობა ანდენ,
სად ყვავილები სჩანდა
და დემონებიც სჩანდენ.
ვით დამსხვრეული ჭიქა
გატყდა ღიმილი ტუჩის,
სად დასასრული იყო
ვიწრო, უცნობი ქუჩის.

მე მესიზმრება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე მესიზმრება რაღაც არა ჩვეულებრივი,
რაღაც სპეტაკი და უმწიკვლო, როგორც ცის ვნება,
ჰაეროვანი — როგორც სიოს ნელი ალერსი,
მსუბუქი—როგორც გაზაფხულის დღეთა შვენება.
მე მესიზმრება ქვეყნისაგან განშორებული
მხურვალე ლოცვით დაქანცულთა ქალწულთა კრება,
და თვალთა ცქერა სათნოებით, ლმობით აღვსილი
მე მესიზმრება.
მე მესიზმრება რაღაც წმინდა, შორი ქვეყანა
სადღაც, ოდესღაც ზმანებული, ერთხელ ნახული,
მე მესიზმრება ანგელოსთა ციურთა ნანა
ღამის დუმილში ჩაქსოვილი და ჩასახული.
ტკბილი ოცნება გამიტაცებს ვით სიზმარ-ცხადი,
მკრთალი სინათლით სევდის ნისლი მიდის და ჰქრება...
და რაღაც წმინდა, შორეული, უცხო ქვეყანა—
მე მესიზმრება.
მე მესიზმრება უხმო ძილი, სამარადჟამო,
ირგვლივ ბინდ-ბუნდი და დუმილი დაურღვეველი,
მესმის, არც მესმის ქვეყნიურთა ვნებათ ძახილი
თუ ეს სიოზე თრთის, შრიალებს მწვანე ტყე-ველი?
თუ ეს ზღვის ზვირთთა სიმღერაა, უცებ რომ სცხრება?
და ტკბილი ძილი, სამუდამო, დაურღვეველი,
მე მესიზმრება.

ლაჟვარდ ცაზე დღეა თეთრი კრავების

ლაჟვარდ ცაზე დღეა თეთრი კრავების,
დასავლეთის კარი ჩატყდა ზმორებით;
უნაზესი ისმის ხმა საკრავების,
ბაღებს იქით. სადღაც. გადაშორებით.
მზის გადასვლამ სივრცეები დაწმინდა.
იბინდება, იბინდება მთაწმინდა.
აჰ, ეგ თმები, ჩემს სახეს რომ ეხება,
შუქმა კარგი მოგონებით შეღება.
იყო ომი, იყო ცეცხლის დროება,
ლოდინია ეხლა და მყუდროება.
ციდან მთებზე ეშვებიან კრავები,
დაღალული წყდება ხმა საკრავების.

ჰაერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძიმე ჰაერი მხურვალეა, უფრო ჩქარ-ჩქარა
აშრიალდება ფიქრთა სამოსი,
დაბერა ქარმა და ოცნება ააჩანჩქარა.
ხმაში ინთქმება გზა მიდამოსი.
ჩამოდის ღამე. ჩამოფრინდა. აი წამები!
გულში ხმაურობს სურვილთა ზღუდე,
თითქო აშლილა იქ წყვდიადი და აკლდამები
და განზრახვების ახალი ბუდე.
უცებ: მორთულან, მოკაზმულან, ის ძველნი დრონი—
შორ სიშორეთა ელვარებს თოვა
მაინც წუხილი მიუძღვება მათ მსუბუქ რონინს,
ვით მგლოვიარე არფების გროვა.
ცელქი ნიავი და შრიალი, უღრუბლო დღენი
თითქო ზარია ანატაცები—
მიეჩქარება მთვარის შუქში გაჭრილი ცხენი,
მთვარენი დგანან, როგორც ანძები.
მთვარის შუქთაგან შეკრებილი ფეთქს სიმღერები,
თუმცა არ სჯერათ ბედნიერება,
რაღაც უღრუბლოდ, გატაცებით, ყელმოღერებით,
მოდის სიმშვიდე და ძლიერება.
და გადიღვრება სივრცეებში ყვავილთა შორის
ნელი ქანება სხვა დანანებით.
მარმარილოდან უდროო დროს აფრენილ ქორის
ზეცად ავარდნილ შადრევანებით.

მოჩვენება ნანგრევებში

ჩამავალი მზის ელვარება წითლად და ყვითლად
ღებავს შორეულ და ფიფქივით დაცერილ ღრუბლებს,
ამომსკდარ მადნის ელვარება დასხმია ტატნობს,
ხელფეხ მომსხვრეულ ოქრო-ვერცხლის ანგელოსთ შორის
ბრწყინვალე ფარჩებს და სარკეებს გადეფარება.
ალბად, ასეთი იყო წამი ქვეყნის შეჰქმნის დროს,
ალბად, ასეთი იქნება ის დაღუპვის წამში.
ეშვება ფარდა, დედამიწას ეცემა ბინდი,
ბინდი, რომლითაც უკურნებლად სწუხდა რემბრანდტი,
ლანდი, რომლითაც ბოტიჩელი იჩრდილებოდა
და ფერადები დაღალულნი პოეტის შელლის.

თვალუწვდენელი. დაუსაბამო

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალუწვდენელი, შორი, ვრცელი, დაუსაბამო,
ჩუმი, მყუდრო და სევდიანი იყო საღამო.
თოვლზე დაცემულ სისხლის მსგავსად მზის მღვრიე რგოლი,
ღრუბელთა შორის ინთქებოდა სხივ-ანათრთოლი.
ლურჯი ბურუსით იხვეოდა ხშირი ტყე-ველი,
კვლავ მყუდროება იყო ირგვლივ დაურღვეველი,
ამ დროს მომესმა სევდიანი სიმღერა გზაზე,
გზაზე მხედარი ოცნებობდა სხვა ქვეყანაზე,
გადაიარა ჩემთ თვალწინ და მიიმალა,
სამარადისოდ გაურღვევი აღმიძრა ძალა.
მე მივდიოდი მარტოდ-მარტო სევდიან გზაზე,
მე ისევ-ისე ვოცნებობდი იმ ქვეყანაზე.
ლურჯი ბურუსით ინთქებოდა ხშირი ტყე-ველი
და მყუდროება იყო ირგვლივ დაურღვეველი.

საახალწლო ეფემერა

ღამის წყვდიადში მე შემომესმა,
სურნელი ნაზი, თვალგაპობილი.
გრიგალმა ცივმა და უშორესმა
კართან მოაგდო ავტომობილი.

გაჩერდა ორი ყვითელი თვალი
და შეშინებით დაკრთენ ჩრდილები,
კარებთან კივის წარსულის ვალი:
მუსიკა, ღვინო და ყვავილები!

და პოეზიის ნათელი დროშით
იხავერდება ოცნება ჭრელი,
რომ სხვა მოცარტით და დელაროშით
ვიხიბლებოდე მე, მენესტრელი.

აღტაცებების რეკავდეს მინა
და სიხარულის იყოს ღილები,
flor extra fina, flor extra fina!
მუსიკა, ღვინო და ყვავილები.

შიშით ატირდა კლავიში ერთი,
კლავიატურის გულში მკივარი,
ოდეს ცეცხლივით დიდი კონცერტი
მოედო თეატრს ვით სატკივარი.

მრავალ წამწამებს და მრავალ ისარს
გრძნობს დაღალული თვალი თეატრში
და ედარები მზეს ნამაისარს,
მაღალ ლოჟიდან შენ, ბეატრიჩე!

სული გაქანდა ზღვაში მოტივედ,
თითქო ქაოსის ნისლში შეველი
და ატივტივდა იქ ნაფოტივით
კლავიში ერთი, შეულეველი,

რომ დავიწყება შემეძლოს რითმე!
რომ გადაკარგვა შემეძლოს სადმე!
რომ მაპოვნინა მე შენზე რითმა!
რომ ასსონანსი ღიროდეს რადმე!

კვლავ მონად ვყავარ თეატრის ვარდებს,
ლამეს, სითეთრეს, ვაზას, მაგიდებს,
კარგი ქალების სიცილს უდარდელს,
ელვარე ლალებს და ყელსაკიდებს.

ისევ დენდიზმი! სიტყვის ბრილლებით
ეშვება ფარდა. მიდის სტუმარი,
თეატრი ხდება ლურჯ გაზოლებით
უდაბნო ყვავილთ ნასამუმარი.

პატრონი იყო დემონთა წარბის,
ვისაც სარკესთან მოწყდა საყურე
აბნელებს სანთლებს, ალაგებს დარბაზს
და მშვიდათ მიდის მოსამსახურე.

უკანასკნელი იყო ეს ლხინი,
მის ხსოვნად სული მარად ევნება,
მთვარე — ღრუბლების თეთრი პინგვინი
და ბალის მძიმე აშადრევნება!

აღტაცებების რეკავდა მინა,
და სიხარულის იყო ღილები,
flor extra fina, flor extra fina!
მუსიკა, ღვინო და ყვავილები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლამის ლეგენდა დაჰქრის, დასცურავს,
ჩანგის სიმების მოისმის ულერა,
თავდავიწყების სავსე მორევში,
დღეს ლხინს ეძლევა ქსანტე, გეტერა.
ტკბილ ნეტარების მდუმარებაში
აჰა, სიმღერის გაისმის ქარი:
ხან ნაზი, როგორც თოლიას კვნესა,
ხან მწველი, როგორც სატანის ქნარი.
ველური ცეკვა, თასთა წკრიალი,
მოწყენილ კაცთა ხარხარი მწარე,
მელოდიური, გაძაფული ხმა,
ხან სინანულის ჰანგი მგზნებარე,
ყველა ამ ხმებში დაგუბებულა
შეერთებულა და ადის ცამდე,
ჰანგი შექმნილი ღვთის დასაგმობად
და დაშვებული სინანულამდე.
გადაშვალამდა. თასები ღვინით
დაიცალა და ისევ ივსება,
მოწყენილია რაღაც გეტერა—
სხვა ყველა დათვრა, ის კი არ თვრება.
საცაა, ხომლი ჩაჰქრება ცაში,
მთვარის ნათელი დნება და კვდება,
ფანჯრის ფარდიდან რიჟრაჟი დილის
აღმოსავლეთით ოდნავ იღვრება.
და განთიადის თეთრი ლრუბელი
აცურდა ისე, ვით იალქანი,
და თრთის მხიარულ დღის მოლოდინში
გაშიშვლებული გეტერას ტანი.
უეცრად ვილაც სტუმართაგანმა
ფანჯარას ფარდა გადააცალა
და განთიადის ელვარე სხივი,
მსწრაფლ გამოიჭრა, ვით ცეცხლის ძალა.
არვინ იკითხავს — თუ რას ჩავდივართ
არვინ იკითხავს თუ ვის ვცემთ თაყვანს,
ან რომელს ვხედავთ ამ ერთ სახეში
ან რაა ჩვენი ლოცვის საგანი,
წმიდა ტაძარში თვით აფროდიტა,
თუ სათაყვანო გეტერას ტანი?

გააცხოველა და გაანათა
გაშიშვლებული გეტერას ტანი,
გარინდდა ამ დროს მთელი დარბაზი,
არ ზის არც ერთი სტუმართაგანი.
მათ წინ გეტერა იდგა, რომ სული
სხეულისათვის მიეცა გრძნობით,
მწუხარე — თავის უმიზნო ბედით,
ამაყი — თავის მიმზიდველობით.
ოქროსფერ თმებით შემობურულ შუბლს
ღვთაებრივობის აჩნდა ნიშანი,
მზის სხივზე თითქოს ოქროსი იყო
გაშიშვლებული გეტერას ტანი.
იმგვარად თეთრი, ვით მარმარილო,
თრთოდა, ტოკავდა ძლიერი მკერდი.
როცა იქავე მდგომმა მხატვარმა
ურცხვ ქალს შესძახა: „ქსანტე, შეჩერდი!
ქსანტე, მაგგვარად განაბე სული,
ოჰ, არ დაიძრა, გთხოვ, გეევედრები,
გავავუკვდავებ მე მაგ შენს სხეულს,
საუკუნეთა წაგიღებს ფრთები,
ქარიშხლიანი შენი წარსული
აღსდგება, რომ კვლავ გაიღოს ხმები.
იცხოვრებ ქვეყნად მაშინაც, როცა,
სხეულით ქვეყნად აღარ იქნები!“
სთქვა მოქანდაკემ... მაშინვე მიწა
გადაურია, დასწნა, დაგრიხა,
და წუთის უმალ უკვდავ ქანდაკად
გადააქცია უბრალო თიხა,
და აფროდიტას სახედ ტაძარში
დასდგა, რომ მისთვის ეცათ თაყვანი
და დიდხანს, დიდხანს იცოცხლებს კიდევ
გაშიშვლებული გეტერას ტანი.
გამოგვიქროლებს ძველი ფიქრები,
ოდნავ შეარხევს ოცნების აკვანს.

ყველაფერმა იცვალა ფერი

აჰა, ჩემს ირგვლივ ყველაფერმა
იცვალა ფერი,
ვარდ-ყვავილებით მოიქარგა
წყაროს ნაპირი.
მზისა სხივებით აფერადდა
ცისა ეთერი,
ჭალაზე მწყემსის აღუღუნდა
მწუხარე სტვირი...
წყნარმა ოცნებამ არე-მარე
გარემოიცვა,
შეამკო იგი ყვავილებით
და მორცხვი ვნებით,
ვით მოჩვენება—გაზაფხული
დაეშვა ქვეყნად.
გაასვენებენ შემდეგ ცხედარს
ამ გვირგვინებით.
გავყვები ვარდებს თავდახრილი
და მოწყენილი
გული—გულია, კვლავ სიცოცხლით
რომ ავითრთოლო.
ყველა გათავდა, ყველაფერმა
იცვალა ფერი.
მარტო დარდთა ჩემთ უცვლელობას
არ უჩანს ბოლო.

იმედთა ნაცვლად

რა წამებაა — როცა იმედთა
ნაცვლად გულს ჭმუნვა მოიცავს ძნელი,
როცა უცხო ხარ მთელი სოფლისთვის
და უცხო არის შენთვის სოფელი.
სიზმრად გინახავს ხორცსხმული სახე
მშვენიერება, თვით სიზმარ-ცხადი,
ელოდი შენ მას და გიტაცებდა
ოცნებათ გუნდი ფერად-ფერადი.
ეხლა ხანდახან სავსე ფიალით
მოკლე ხნით გათრობს ოცნებათ ზოლი,
მაგრამ რას აქნევ წუთიერ შვებას...
შენ სულითა ხარ ქვეყნად ობოლი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთის ასული სერზე შესდგა იდუმალი ხმით გართული
შუბლს გვირგვინი უმშვენებდა დაფნის ფოთლით დახლართული.

და ოქროსფრად, და ოქროსფრად ელვარებდა თმა სხივნართი
და სიოზე ირხეოდა გამჭვირვალე თეთრი კვართი.

და თითები რითმებივით ჩამოქნილი, ჩამომდნარი
ქნარს შეეხო და აღელდა უჩვეულო ღელვით ქნარი.

სიომ იგრძნო და აღელდა და გაიბნა წარმტაც ხმებში
თვით პეპლებმაც უცნაური ფრენა იწყეს ყვავილებში.

ყვავილებიც კი აღელდნენ და აღელდა ირგვლივ ყველა
არე-მარე შთაგონების წმინდა ცრემლმა დაასველა.

ამ დროს გაჩნდა ქალწულთან ყრმა, სიყვარულით, წრფელი სახით,
დაიჩოქა და ხორცსხმულ სულს უთხრა თრთოლვით და ცახცახით:

„ოჰ, გიპოვე! მე მიყვარდა შორეული შენი სახე
დიდხანს გძებნე და გიპოვე... დიდხანს გძებნე და ჰა, გნახე!“

ცეცხლად იქცა ორთა გულში სიახლოვის მწველი ვნება:
ერთი იყო სიყვარული და მეორე ხელოვნება.

* * *

ოდეს მთვარის ნაზი შუქით ივერცხლება ალვის ტანი
და ლანდებით იმოსება დაჩრდილული ხეივანი,
ყვავილები ირხევიან და ირხევა ცაცხვის ჩრდილი
და ირხევა ტბის უფსკრული ვარსკვლავებით მოჭედილი—
ამ დროს სარკმელს დაყრდნობილი მშვენიერი ქალწული სდგას,
სდგას, ოცნებობს და სიფრთხილით უდარაჯებს ღამის სუნთქვას.
ღამის სუნთქვით გაჟღენთილი, ზამბახების გუნდი მღერის:
„ეს ქალწული რას გვდარაჯობს, ეს ქალწული რას გვიცქერის?
მთვარე ხვალაც ცაზე ივლის, მთვარე ზეგაც ივლის, ივლის...
და ქალწულს კი არ შერჩება ეს ოცნება სიყმაწვილის...
ის ოცნება წუთიერი თან წაჰყვება დროთა ელვას,
ვერ გადურჩეს ვერაფერი წუთისოფლის მარად ღელვას“...
მწუხარე სდგას კვლავ ქალწული... კვლავ დარაჯობს ვარსკელავთა კვალს
ვარსკვლავთა კვალს ნისლი უვლის და ცრემლები ქალწულის თვალს...

სიტყვა პოეტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მყინვარის თოვლით მოსილ ყინულზე
ობლობის სიტყვა მგზავრმა დასწერა,
შიგ ჩააქსოვა დაგუბებული
კაეშან-ფიქრი და გულისძგერა.
მყინვარის გულზე დაწერილ სიტყვებს
მზის ფერადები ამოშლის მალე.
ასე წაიშლის ლამაზ ქალის ლანდს
სარკე სპეტაკი და გამჭვირვალე.

მაგრამ ჩემს სიტყვას აქ ამოკვეთილს
ვერ წაშლის ქვეყნის ზრახვა და ვნება,
წაშალე თუნდაც ამ ფურცლებიდან
მაგ გულიდან არ ამოიშლება.
გულიდანაც რომ ამოიცალო,
ჰანგებს გაჰყვება სიმღერა თანა,
ქვეყნისთვის იგი არ არის უცხო,
უცხო არაა მისთვის ქვეყანა!

მარტო არა ხარ

ნუ ერწმუნები, ნუ ერწმუნები
ქალის ნაზ ღიმილს და თვალთა ცქერას,
იგი წაგართმევს სულის სიწრფელეს,
იგი მოშხამავს ციურ სიმღერას.
როდესაც იგრძნო რომ ის გშორდება,
უტოლმეგობროდ მალე გაგრიყავს,
ნუ დაივიწყებ იმ მწუხარე დროს,
რომ მარტო არ ხარ, რომ სხვა ღმერთიც გყავს.
ნუ დაენდობი შენს ყალბ მეგობარს,
თავისუფლება ვინ დაიმონა?
ან იმათში ფეთქს მონური გული
და ან შენა ხარ იმათი მონა.
როდესაც იგრძნო, რომ მათი ხედვა
შენდამი წმინდა ყვავილებს ჰკარგავს,
ნუ დაივიწყებ იმ მწუხარე დროს,
რომ მარტო არ ხარ, რომ სხვა ღმერთიც გყავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა არის კაცთა ქება-დიდება?
იგი ფუჭია და წარმავალი
ბევრს ყოვლის შემძლე სწამდა დიდება
რომ მოეხიბლა მით მხოლოდ ქალი.
წარვიდა ის დრო... დღევანდელი დღე
წარსულ იმედებს არ ჰგავს და არ ჰგავს
წარვიდა ის დრო... მე მაინც მჯერა
რომ მარტო არ ხარ, რომ სხვა ღმერთიც გყავს.
ოდეს დაჰკარგო თავშესაფარი,
არსით არა სჩნდეს ბინა ისეთი,
რომ იქ იპოვო შენ მყუდროება,
რომ იქ იპოვო შენ შენი ღმერთი,
ნუ დაღონდები... არსებობს მხარე,
სად თანაგრძნობაც არსებობს შენთვის,
იქ დაუდეგარ, მეოცნებე სულს—
ბინა ექნება მუდამ, ყოველთვის.
იქ მაღლდებოდა პეტრარკას სული,
იქ მუსიკობდა თვით დანტეს ქნარი,
ღელვამ შელლისა და ბაირონის
მხოლოდ იქ ჰპოვა ნავთსაყუდარი.
იქ რუსთაველის დატრიალებდა,
შემოქმედების დიდი ნადიმი
და იქ რეკავდა უცნაურ გრძნებით
ბარათაშვილის მწუხარე სიმი.
ვაი მას, ვისაც მარტოობის ჟამს,
ვერა-რა შველის, ვერა-რა იხსნის,
შენ კი, მძლეველო, მარტო არა ხარ,
და თვით წამებაც შენვე ღმერთად გქმნის.

მიყვარს მარტო ქარიშხალი

მე ცის ვარსკვლავს არ შევნატრი, განთიადის შუქით ძლეულს,
მოსწყენია საწყალს ცაზე, უიმედოს, ფერ-მილეულს.
არ შევნატრი ყომრალ ღრუბელს, ცას რომ ფარავს
ფრთა-ტივტივა,
ატკივდება ხოლმე გული და ცრემლები სცვივა, სცვივა.
მე ნელ ტალღას არ შევნატრი, კლდის ნაპრალს რომ ეტმასნება,
მას ხომ გული აღარა აქვს, აღარა აქვს ცეცხლის ენება.
მიყვარს მარტო ქარიშხალი, თვალუწვდენელ ზღვიდან ზღვამდე,
მთიდან მთამდე, ციდან ცამდე თავისუფლად მონავარდე!
მიყვარს იმის ნანგრევებზე, ახალ გრძნობათ შვება-ლხენა,
მასში სცოცხლობს ფიქრთა ჩემთა იდუმალი აღმაფრენა!

ტყის პირად

ტყის პირად შორსა გზას მიმავალი,
მივწევი და ძილს მივეცი თავი,
ჭადრების ჩრდილი მეხვია საბნად
და ნანისმთქმელად მხოლოდ ნიავი.
მძინარეს თავზე დამტრიალებდა
ტყის ფოთლები და ყვავილები
და ძილში ოდნავ ჩამომესმოდა
უცხოდ მომღერალ ფრინველთა ხმები.
მესიზმრა ამ დროს, რომ მოვიპოვე
სიმდიდრე დიდი, ქება-დიდება,
და ყველაფერი, რაც ქვეყანაზე
ფულით იმხობა და იყიდება;
სამაგიეროდ მთელ ქვეყანაზე
მოსიყვარულე ვერ ვპოვე გული.
გამომეღვიძა. საღამოს ნისლით
იჩადრებოდა ტყე დაბურული.
თვალი მოვავლე და დავინახე
ჩემი სიმდიდრე: გზა, მინდორ-ველი.
ვთქვი: ვისთვის მინდა მე ამის გარდა
აწ სხვა სიმდიდრე დაულეველი?
დღეს ტყეა ჩემი თავშესაფარი,
ხვალ—უდაბნოელ დარაჯის კერა,
ზეგ—ისევ ცისქვეშ გავათევ ღამეს,
და მუდამ მიძმობს ჩემი სიმღერა!

ჟამსა სევდისას

ჟამსა სევდისას, მარტოობის ჟამსა მწუხარეს,
ოდეს არსაით თანაგრძნობის ხმა არ მომესმის,
მე კვლავ ვოცნებობ ლაურაზე, იმ ლაურაზე,
რომელმაც ასე გააშუქა სიცოცხლე ბგოსნის.
ვითარ სათუთად გულში ვზრდიდი მე იმის სახეს
თავს ვევლებოდი ალს-ოცნებას, როგორც ფარვანა
იმ დროს, პეტრარკას როს სონეტებს ვიზეპირებდი—
ჩემთვის ლაურა იყო შორი, უცხო ქვეყანა:
მე არ მინახავს შთაგონება მსგავსი ჩვენს დროში
და ვერცა ვნახავ ვერასოდეს ლაურას სახეს.
ადამიანი უალერსოდ სულს დალევს ბრბოში,
ისე მოჰკვდება უსაყვარლეს თვის სამშობლოში,
ისე დაუგებს მას სიკვდილი აუცლელ მახეს,
რომ ვერ იხილავს ვერასოდეს ლაურას სახეს.

რაა ახალი?

შაგად გაშლილ ღამის იჭვით შემოხვეული
გამძვინვარებულ ქარიშხლისას ვისმენდი კვნესას,
გულში არ ვგრძნობდი მე დაფარულს და ტკბილ ოცნებებს
არცა ღიმილით გავსცქეროდი სევდიან ზეცას,
არც მოგონებებს ქარიშხლიან გარდასულისას,
არც უსაფუძვლო და უმიზნო სიცოცხლის ნაყოფს,
არც მომავალის ვაი-ვაგლახს წარმოვიდგენდი—
მაინც არ ჰქონდა მოსვენება ჩემს სულს ავადმყოფს.
შხამი, ოდესმე მეგობრული ხელით მოწვდილი
წყლული, ცხოვრების სისასტიკით ერთხელ ჩნეული,
შეუმჩნეველად მიწამლავდა უკეთეს წამებს,
რადგან სიხარულს არ იყავი, სულო, ჩვეული:
ტყვიისფერ ღრუბლებს, ცას და მიწას შუა დაკიდულ
მძიმე ცრემლები ჩაბნელებულ თვალთგან ცვივოდა.
აღარა ჰქონდა მოსვენება ჩემს სულს ავადმყოფს,
და ჩემს გულშიაც შვების ცეცხლი აღარ ღვივოდა.
გაივლის ჟამი და, ვინ იცის, იქნებ ზეცაზე
მწუხრის დემონმა ვერ დასტოვოს ის ძველი კვალი,
მაგრამ, ეჰ, სულო, ერთფეროვან ბრწყინვალებაში
თუნდაც ედემში რა იქნება შენთვის ახალი?
რაც ოცნებებში განგიცდია მთელის არსებით,
სინამდვილეში მას ექნება რაიმე ფასი?
კმარა! ვერ ჰპოებ მოსვენებას, ჩემო ბედკრულო,
დასცალე ბარემ... სულ დასცალე წამების თასი...

შუალამისას

შუალამისას ჩემს სარეცელთან
რაღაც უცნობი მესმის ვედრება,
თვალთგან ჩვენებას ცრემლები სცვივა
განთიადისას კი მიდის, ჰქრება.
და მწუხარე ჟამს მარტოობისას
სული არ მშვიდობს, გული არ სცხრება.
თვალწინ იშლება მთელი წარსული
უბედურება, ბედნიერება.
გავალებ სარკმელს, დაბერავს ქარი,
ნაზი პეპელა შემოფრინდება.
შუქი ეცემა კედლებს, სარკეებს.
გათენდა. სულში კი არ თენდება.

ზვირთები რბიან

ზვირთები რბიან. მკაფიოდ ისმის
მათი დუდუნი მშვიდი და წყნარი,
ასე ისწრაფვის ჩვენი ცხოვრების
უმჩნევი წამი სხვადასხვაგვარი.
ზვირთები სივრცეს უერთდებიან
ზღვის ნაპრალებში გააქვთ თარეში,
ასე ინთქმება ჩვენი ცხოვრება
საუკუნეთა სიმწუხარეში.
ვაი მას, ვისაც არ ასვენებდა
ქვეყნიურ ვნებათ და ფიქრთა გროვა
ვისაც აქ სურდა ბედნიერება,
მაგრამ ნუგეში ვერსად იპოვა.
საუკუნეთა შორი გრეხილი
ზრახვათა იმათ გადაავიწყებს,
გადაავიწყებს რომ ნირვანაში
სამაგიერო არარა მისცეს.

ხალხი ირევა, ხალხი ფუსფუსებს

ხალხი ირევა, ხალხი ფუსფუსებს.
დაღონებული მივდივარ ბრბოში
ღრუბელთა შორის ისე წევს მთვარე,
როგორც ცხედარი ვერცხლის კუბოში.
და კაცთა ქუხილს ეხმაურება
მიბნელებული ღამის სიცილი.
ღამის სიცილი დასცურავს ქვეყნად
ათეთრებული და მოვერცხლილი.
მგონია თითქო ბრბოდან გამოვა
ლამაზი ქალი ცისფერ-თვალება,
მე დამიძახებს და მომაბრუნებს
რომ უთხრა სულის ქენჯა-წვალება;
მწარე სიტყვებით ვუმღერებ მე მას
საუკუნეთგან შექმნილ სიმღერებს;
სხივნართ გვირგვინებს თავზე დავადგამ
ვინც გულს მომიკლავს ან ამიძგერებს...
ვეტყვი—რომ ყველა მომბეზრდა ქვეყნად,
რომ დავიღალე მე ამ კუბოში,
რომ მას ველოდი და მუდამ ასე
დაღონებული ვვიდოდი ბრბოში.

როგორც აჩრდილნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც აჩრდილნი დაღალულნი
დავდივართ ქვეყნად
და არე-მარე, თვით ცის სივრცე
მოსილა ბნელით.
ცისა დასავალს გავსცქერივართ...
უკანასკნელად
დღე იქ გაგვიქრა და ახალ დღეს
კი აღარ ველით...
ვის შეუძლია ბედნიერად
რომ იგრძნოს თავი,
ან ჰაეროვან პეპლების გუნდს
ვინ შეაჩერებს?
წუთნი, რომელთაც სიხარულის
ნაყოფი ჰქვია
თავიანთ ფრთებქვეშ ბედნიერად
ვის დააბერებს?
ახალგაზრდაა მეტისმეტად
კაცთა იმედი
და მოხუცია საიმისოდ
ეგ ჩვენი გული.
ოჰ, იყვეს აგრე... ბედი სწერდა
ალბათ ამ სტრიქონს,
ბედი უმიზნო ჩვენი ყოფნით
განდიდებული.
და თუ წამება გაჩენილა
კაცთ ჯოჯოხეთად
მე მსურს ეს ხვედრი სევდიანი
თან წავიყოლო;
ვიცი—ბოლო აქვს ქვეყანაზე
ყოველგვარ სახეს,
მაგრამ წამებას, ჩემს წამებას
კი არ აქვს ბოლო:
მე ვეძებ მასში თავისებურ
ბედნიერებას,
იგი სავსეა ძლიერებით,
ვით ცეცხლის ქურა...
რომ კვლავ შეეძლოს განმიახლოს
ძლევის სიმღერა,
რაც სინამდვილემ წამართვა და
გამინადგურა.

ოდესღაც, სადღაც...

ოდესღაც, სადღაც, მარტოობაში
გულით ამომსკდა სიმღერა წყნარი,
ჩემი სიმღერა ქვითინი იყო
სულით ობლობის კვნესოდა ქნარი.
ხანი გავიდა, გადამავიწყდა
სიმღერა სადღაც, ოდესმე თქმული,
სანამ არ ვპოვე მეგობრის გულში
ღრმად ჩაქსოვილი და შენახული.
ერთხელ, როდესაც გზად მივდიოდი
მე მოვისმინე ჩემივ ნაღველი
ყრმობის ოცნებით გატაცებული,
ყმაწვილურ ვნების გამომსახველი.
და ვერ ვივიწყებ ქალწულის სახეს
სადღაც, ოდესმე ფიქრში ზმანებულს,
შემდეგ ახდენილს სინამდვილეში,
მაგრამ საკმაოდ დაგვიანებულს.

ღღეთა — გარდასულთა

გარდასულთა ტკბილთა ღღეთა მოჩვენება მე შევქმენი,
მასში კრთოდა სილამაზე შარავანდედ შუქის მფენი.
მასში წმინდა, უჩვეულო, ზეციური ცეცხლის მჩენი,
ცისფერ თვალებს ანაზებდა სინარნარე ალმაფრენი.
და ღღედაღამ იმ ოცნებას ატარებდა ფიქრი ჩემი,
იდუმალად არ-რა მქონდა მწუხარე ჟამს ნუგეშ მცემი;
ნისლით იყო დაბურული ჩემი ზეცა და ედემი
და სალ კლდისკენ მიმართული იმსხვრეოდა რწმენის გემი.
მხოლოდ ერთხელ შევამჩნიე მოჩვენების მსგავსი სახე,
ჰაეროვან და მიმზიდველ ქალწულთ შორის დავინახე.
შემდეგ ბევრი ვივაგლახე, მთა და ბარი გადავლახე,
მაგრამ მაინც ვერსად ვნახე, იმ თვალთ შუქი მოცახცახე!
დარდ-კაეშნით შესუდრული არ ვითვლიდი ყოფნის ღღეებს,
დემონიურ სულის ლტოლვით გადავევლე მთებს და ტყეებს,
ეკლიანი გზის სიძნელე დავძლიე და გადავლახე,
მაგრამ შენი ნაზი სახე ვერსად ვნახე, ვერსად ვნახე!
ცის ფსკერიდან ხმელეთამდე მოვიარე კიდით-კიდე,
ავაშფოთე ზღვის ტალღები, დავარღვიე ტბის სიმშვიდე,
ყმაწვილური გატაცებით ზვირთი ზვირთებს დავაჯახე,
მაგრამ შენი ნაზი სახე ვერსად ვნახე, ვერსად ვნახე!

დავითვალე ყვავილთ გუნდი, ტბის ლერწმებიც ვათვალთვალე,
არ ყოფნის წიგნს დავუკვირდი, ყოფნის წიგნიც გადავშალე,
წავიკითხე ცის ლაჟვარდზე ვარსკვლავთ თრთოლვა მოცახცახე,
მაგრამ შენი ნაზი სახე ვერსად ვნახე, ვერსად ვნახე!
სად არ ვიყავ, სად არ გძებნე, ვის არ ვკითხე, ვის არ ვთხოვე,
გავსცილდი ხალხს მოფუსფუსეს, შევიყვარე სიმარტოვე,
რომ ოცნების სამეფოში ერთხელ მაინც დამენახე,
მაგრამ შენი შორი სახე ვერსად ვნახე, ვერსად ვნახე!
და დღე-და-ღამ იმ ოცნებას კვლავ ატარებს სული ჩემი
იდუმალად არა-რა მაქვს მწუხარე ჟამს ნუგეშ-მცემი
ნისლით არის დაბურული ჩემი ზეცა და ედემი
და სალ კლდისკენ მიმართული იღუპება რწმენის გემი!

გახსოვს?

გახსოვს, თიბათვის თეთრ ღამეებში,
ოდეს ნათელი მთვარის რძისფერი
გადავლებოდა ტბებს და ხშირ ტყეებს
და გამჭვირვალე იყო ეთერი?
რიონის ზვირთი როგორ არხევდა
ცის ელვარებას, გულში ჩანაქსოვს.
როგორ გვიყვარდა ჩვენ ერთმანეთი...
წარსულო დროო... მითხარ, ხომ გახსოვს?

მე აღტაცებით ვმღეროდი მაშინ
და სიყმაწვილე თრთოდა ჩემს გულში,
მე ვივიწყებდი მთელ დედამიწას
შენს ნაზ ალერსში, შენს ტკბილ ჩურჩულში...
წარვიდა, გაჭრა ჟამი ნეტარი...
ეხლა სიყვარულს გული აღარ გთხოვს...
არ გთხოვ არაფერს... მხოლოდ მითხარი,
ყველაფერი ეს ხომ ისევ გახსოვს?

სადა ხარ ეხლა? კვლავ მარტოდ-მარტო
რიონის პირად ვდგევარ მოკლული.
იგივ ღამეა, იგივ ნათელი,
და მეკუმშება ტანჯვებით გული,
მწარე ღიმილით, უხმო ღიმილით,
ვუახლოვდები — მაგრამ მმორდება
დრო — რომელსაც სულს ვერ დავავიწყებ,
დრო — რომელიც არ განმეორდება!

გადაუღებლად

გადაუღებლად გარედ წვიმს და წვიმს,
ცას ტყვიისფერი ღრუბელი მოსავს
ტყე გაიძარცვა და მის კალთებზე
ფრთხილი, გველებრივ, ნისლი მიცოცავს.
სწუხს არე-მარე, კვნესის მიდამო,
ხმაჩაწყვეტილად ზუზუნებს ქარი...
და მის ქვითინში მე ისევ იგი
აუხდენელი მესმის ზღაპარი.
ვაჰქრა ზაფხული... წავიდა ის დღე
როს მეორე დღეს შვებით ვხვდებოდი,
მე ყვავილები მესიზმრებოდა,
შენც ყვავილებში მესიზმრებოდი.
ეხლა კი ბნელი შემოდგომის დღე
ვერ განაახლებს იმ ელვა-ციმციმს,
დასჭკნა ყვავილთა ნარნარი გროვა...
გული სწუხს და სწუხს... გარედ წვიმს და წვიმს...

შენს ცისფერ თვალებს

შენს ცისფერ თვალებს, როცა შევხედავ
უსაზღვრო სევდას მე ვამჩნევ მათში...
და ფიქრი ფიქრზე თითქო სცურავენ
უსიტყვო ტბაში, უხმო კამათში.

და ხშირად მინდა გკითხო, თუ რისთვის
ასე სასტიკად გექცევა ბედი,
რისთვის წაგართვა სპეტაკი რწმენა,
რისთვის მოგიკლა ნორჩი იმედი.

მაგრამ როდესაც წარმომიდგება
რომ კაეშნისთვის სიტყვა არ არის
მე მხოლოდ გიცქერ, გიცქერ და ვწუხვარ,
ჩუმად მიმონებს დარდი სამარის.

ასე, ორ გულში ერთი ნაღველი
გაუნელებლად იწვის და იწვის,
ასე იტანჯის ორი არსება
და ვერრა უთქვამთ ერთმანეთისთვის.

სთვლემს ტყის ნაპირი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სთვლემს ტყის ნაპირი გადაგერცხლილი,
უხმო ალერსით ეკვრის ტოტი ტოტს...
დასძინებია ალერსიან ბაღს,
დასძინებია სევდიან წალკოტს...
ვარსკვლავიანი შუა-ცა ბრწყინავს,
შუა-ცა იწვის... დნება ნელ-ნელა
მოგონებათა ელვარებს სარკე,
მაგრამ ჩემს გულში საკვდავად ბნელა.
ვეძახი სულს და ხმას არვინ მაძლევს,
უხმო ალერსში ეკვრის ტოტი ტოტს...
დასძინებია ალერსიან ბაღს,
დასძინებია სევდიან წალკოტს.

ზღვის პირად მდგარი

ვნახე მგოსანი ზღვის პირად მდგარი...
ტალღა ტალღაზე თრთოდა, დგებოდა,
სტიქიის ბრძოლა დაუდეგარი
მგოსნის თვალებში იხატებოდა.

გრგვინვა-ქუხილით ზღვის ზედაპირი
ეხეთქებოდა ნაპირთა კლდეებს
და ქაფი ზღვისა ისე წარმტაცად
ემწკრივებოდა ჭავლს და კიდეებს.

ვნახე და თვალწინ დამიდგა შორი
ჭაობში მყოფი ბრბო დაუმცხრალი,
ზეგარდმონათლით მოსილ პოეტად
ვის არ ხედავდა იმისი თვალი.

მან ჯერ არ იცის რომ ზღვის კიდეზე
დროს უცდის მგოსნის გული ნამდვილი,
რომ თავის სიტყვით უკანასკნელით
დასძრას, გაფანტოს ყოველი ჩრდილი.

მოვა... მქუხარე, მაგრამ ნაზ სიტყვით
ძალას აღუძრავს თავდახრილ მონებს...
და დავიწყებულს, მაგრამ ნამდვილ ხმებს
კვლავ გაახსენებს, კვლავ მოაგონებს...

ის ჩამომშორდა როგორც სიზმარი

ის ჩამომშორდა, როგორც სიზმარი
აუხდენელი და მომხიბლავი,
არ ვიცი, საით წაჰყვა ზღვის ტალღებს,
სად შეაჩერა გამტყდარი ნავი.

მაშინ ცას უფრო სხვა ფერი ჰქონდა,
სხვაგვარი ღელვით ღელავდა ველი,
მარსი იყო, მთას მოჰხვეოდა
ნაზ გაზაფხულის მთრთოლვარე ხელი.

მაგრამ ის მოვა, შემოდგომისას,
მოვა დაღლილი და ფერმიხდილი.
ოჰ, რა მწუხარე ღამე იქნება,
ველარ აღსდგება წარსულის ჩრდილი.

მაშინ მე ვეტყვი, რომ მოჰკვდა გული,
რომ სიზმარივით გაჰქრა ყოველი,
რომ ჩემს წარსულში არ ვეძებ ახალს,
და სიყვარულშიც ხსნას არ მოველი!

სიტყვა და ლოცვა

ბნელი ბინდბუნდით მოცულ მხარიდან
ქალწულის აჩრდილს გამოეუძახე
მას მშვენიერი შთავბერე სული
და მშვენიერი მივეცი სახე.
მასში ტაძარი ზეშთაგონების
ისე შევქმენი, ისე აღვაგე,
რომ უკვდავების უსაზღვრო ენით
ავამეტყველე ქალწულის ბაგე.
და მე ვტკბებოდი ჩემის სიზმრებით
და როცა მის ხმას ვნებით ვისმენდი—
ვუცდიდი რაღაც უცხო სასწაულს,
ვუცდიდი, ვცდიდი, ვდუმდი, ვითმენდი.
განთიადისას ნისლი დაიძრა,
მთების კალთებზე ისე ჩამოწვა,
რომ ვერ გავიგე სად ჩაიხვია
ქალწულის სიტყვა და ჩემი ლოცვა.

შემოდგომაა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე მივდიოდი, მე მივდიოდი
ყვავილთა შორის—ვით ნიავ-ქარი,
მე სიყვარული მესიზმრებოდა
და მე ვიყავი—როგორც სიზმარი:
მე მივდიოდი, მე მოვდიოდი,
ზვირთივით სწრაფი, ზვირთივით ჩქარი.
ჩემი ოცნება სწვავდა ყვავილებს
და მე ვიყავი დილის ცისკარი.

მაგრამ ოცნებამ დამასნეულა
სიმწრით აივსო ყვავილთ ნექტარი
და ძირს დაეშვა ფრთამომსხვრეული
ფიქრი ნაზი და დაუდეგარი.
ყვავილთა შორის სიამის ნაცვლად
განადგურების ქანაობს ქარი,
და მწარე კვნესად მომესმის მხოლოდ
საღამოს ზარი... საღამოს ზარი.

შემოდგომაა... ბაღის ბილიკებს
მიმოფენია ფოთოლი მჭკნარი...
და მე მივდივარ, და მე მოვდივარ
და მე ვარ ისე, როგორც სიზმარი.

* * *

მთის მწვერვალებს, მთის მწვერვალებს
მთის არწივი უგზნებს თვალებს.

მთის მწვერვალებს სხივი ანთებს
და მათ კალთებს, და მათ კალთებს
აელვარებს, აქათქათებს...

კვნესა ისმის: „შევინახეთ...
და ვერ ვპოვეთ, ველარ ვნახეთ
რაც დავამხეთ, რაც დავმარხეთ“...

ცას არ ესმის. ის ცეცხლს ანთებს
და მდუმარე მთების კალთებს
დაელვარებს, დაქათქათებს.

მახსოვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მახსოვს: ჩემ შემშლელ მწუხარების ჟამს
ჩემებრ მწუხარეს ვეწვეოდი მთას,
და ღამე თავის სილამაზეში
შემომახვევდა მშობლიურ კალთას.
სევდიანი და დაფიქრებული
ცის უდაბნოში სცურავდა მთვარე.
სცურავდა მთვარე და თეთრი ნათლით
ივერცხლებოდა გარს არემარე.

თეთრი ზოლები შორი მთებისა
იკარგებოდენ ცისა სიღრმეში
და ხის ფოთლები ფერხულს უვლიდენ
ნიავის ველურ სიხალისეში.
ქვევით კი ნისლით შემოსუდრული
და მოწყენილი ოხრავდა მტკვარი,
ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისმოდა გმინვა,
ძლივს გასაგონი, ძლივს ამომსკდარი.

მე კი ვცდილობდი არ გამეგონა
კაცთა გულიდან ნაფეთქი ხმობა:
ღამის უსივრცო საკურთხეველთან
იკარგებოდა კაცთა ობლობა,
მე ღამის სახეს უფრო ვწვდებოდი,
ვინემ კაცისას, როცა ნარნარი
ცის უდაბნოში სცურავდა მთვარე —
ციდან ძახილი მესმოდა წყნარი.

მეხატებოდა წარმტაცი მხარე,
რომლის არ არის ამ ქვეყნად ფასი,
რომელს ამშვენებს მთვარის ნათელი
და აფერადებს ვარსკვლავთ კისკასი.
მთვარევ, შენ იცი ეგ საიდუმლო,
რომელსაც გულით დავატარებდი,
ქვეყანას უშნოს და ულაზათოს
შენს მინაზებულ შუქს აფარებდი.

არ იყო შენთვის არც საუკუნე,
არც წელიწადი, არც ერთი წამი.
იყო უკვდავი მშვენიერება,
განუსაზღვრელი იყო კამკამი.

იყო ის გრძნობა გამოუთქმელი,
რომელიც მხატვარს ვერ შეუქმნია,
შემოქმედის ხელს გამოუსახავს
და ადამიანს ვერ შეუგნია.
შენ იცი მხოლოდ, თუ რასაც ვგრძნობდი
მარტოობაში შუალამისას,
რომ ღამის სახეს უფრო ვწვდებოდი,
უფრო ვწვდებოდი, ვინემ კაცისას.

სარეცელთან

ნათესავები და მეგობრები
ჩემს სარეცელთან ეხლა გროვდება.
ყველა გრძნობს თუ რა მწარე ღიმილით
სიკვდილის ჩრდილი მიახლოვდება.
მომიახლოვდი შენც, ჩემო კარგო,
ხელი შემახე ციური გრძნობით,
მსურს მხოლოდ ერთი რამ სიტყვა გითხრა,
უკანასკნელად გითხრა: მშვიდობით!
მე შენს სიყვარულს დიდი ხანია
მფარველ გენიად დავატარებდი,
არვის ვუმხელდი ჩემს საიდუმლოს,
უვნებ ნიავსაც არ ვაკარებდი.
მე არ ვიცოდი შენსა გარეშე
რა იყო ღმერთი, რა იყო ზეცა,
მე ვლოცულობდი და შენზე ლოცვამ
ჟინი, სურვილი გამიორკეცა.
და ასე მიმაქვს ცივს სამარეში
ეს ჩემი გრძნობა გამოუთქმელი...
მომიახლოვდი, ჩემო ნუგეშო,
უკანასკნელად მომეცი ხელი.
უკანასკნელად მესმოდეს შენი
ზექვეყნიური, უკვდავი ხმები,
რომ თავზე მადგე განსვენების ჟამს
ვით ანგელოსი სულის მიმღები.
არ მჯერა სული რომ გაიფანტოს,
შენზე ლოცვაში აღმონაკენი,
ის თვით სიკვდილის შემდეგაც, მაინც
სამარადისოდ შენია, შენი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელვარებს, დნება წმინდა ნათელი
მკრთოლვარ-მთრთოლვარე შუქთა მფრქვეველი,
ნუგეშ მწყურვალეთ! შენკენ მოილტვის
ლოცვა-ვედრება და საკმეველი.
რა რიგ მწყურია—შენს შორე-ახლოს
განახლებისა მოვიკლა ჟინი,
და ვუცქეროდე, თუ როგორ ბრწყინავს
ღვთაებრივობის შენი გვირგვინი.
რამდენი ღამე გამითევია
მზის ამოსვლისთვის რომ შემეხედა,
მე ვერ ვამჩნევდი, თუ როგორ რთავდა
მთვარე ვარსკვლავებს, როგორც შვილთ დედა.
ასე, არ მინდა ვუცქირო წმინდათ,
გარს რომ გარტყიან, ყველა ბნელდება,
და თვალწინ მხოლოდ შენი აჩრდილი
უხილავ ძალით ხორციელდება.
ოჰ, ეს სანთელი, თვალთანათელი
გულის სიღრმემდე მწკდება, მედება.

* * *

რა არის შენთან კაცთა ბორკილი
ან ხორციელის შემოქმედება?
იყო დრო და შენ ქვეყნად იყავი
მაგ განუსაზღვრელ მშვენიერებით,
მაგრამ რით უნდა დაგეტკბო გული,
კაცთა ღალატით, თუ ცბიერებით?
ეხლა აღარ ხარ და ჰქმნის ოცნება
უკვდავი სახის უბრალო ტილოს,
რომელსაც ძალუძს, თუნდაც ველური
დაატყვევოს და დაიმორჩილოს.
მასში ყველაა, რასაც დაღლილი
ადამიანი ქვეყნად ეძიებს,
შვენება, სული და სილამაზე
ჩვენს ლოცვაშია, მუდამ რომ ჰგიებს.
ელვარებს, დნება წმინდა ნათელი
მკრთოლვარ-მთრთოლვარე შუქთა მფრქვეველი...
დედაო ღვთისავ! შენსკენ მოილტვის
ლოცვა-ვედრება და საკმეველი.

რომანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცელქი ნაკადი
ნორჩ ყვავილსა ჰბანს,
ჰკრეფს ცის ლაჟვარდი
ფიქრთა შადრევანს.
ორნი ვართ ველად...
ტოკავს ბუჩქნარი
და მიმზიდველად
გვცემს ვნების ქარი.
ოდეს სიო მთის
არხევს შენს დალალს—
სთქვი—სევდა რისთვის
დაგციმციმებს თვალს?
სცოცხლობ და სხვებში
ვერ ვპოვებ შენს ცალს,
მოჰკვდები—მკერდში
ჩავიგებ ხანჯალს...
მტანჯავდა სევდა
დამწველ-მდაგველი,
ნაღველი მლევდა,
მწარე ნაღველი.
აწ ამოგვიღონ
გრძნობა თანდათან...
რაც სურთ ის გვიყონ...
რაც სურთ ისა სთქვან!

ახალი წელი

...და კვლავ იწყება ახალი წელი
და ისე როგორც ძველი, თავდება;
დღე მომავალი, დღე ხვალინდელი
გუშინდელ დღისგან არ განსხვავდება.
ირგვლივ კაცთ სახე დაღონებული
ხვალინდელ დღესაც არ განშორდება.
მოწყენილობა და წუთების თვლა
ხვალაც იგივე განმეორდება.
ძლივს შესამჩნევი სხვადასხვაობა
ვერ შეცვლის ერთ მთელ არარაობას...
აი ცხოვრება! მე მასში ვრაცხდი
დიდს, განუსაზღვრელ სანახაობას;

ვრცელ ასპარეზად მიმაჩნდა იგი
მოქმედებისთვის ფართო და სრული;
ნამდვილად... იგი ბილიკი არის
ვიწრო, ეკლებით შემოსაზღვრული.
მე მჯეროდა რომ ბედნიერება
სუფევს კაცთათვის გაჩენილ დღეში,
და ნამდვილად კი ბედნიერ დღეებს
სულ ათს თუ დავთვლი ჩემს სიცოცხლეში.
მე მჯეროდა რომ შვება სუფევდა
უჩინრად სადმე: ქვეყნად თუ ცაში,
ნამდვილად იგი არსად არ სუფევს,
არც ცის სივრცეში, არც ქვეყანაში.
დავასამარეთ ფუჭი ოცნება,
მოწყენილობა დარჩა უცვლელი,
ძლივს ძველი წელი საფლავს მივეცით,
მაგრამ კვლავ მოდის მსგავსივე წელი!

ძალა — იარაღი

სამარადჟამოდ ვინც დაგვიკარგა
დაუკრეფელი სიცოცხლის ბაღი,
ვინც სიცოცხლეში დაგვასამარა
ის ძალა იყო—შენ იარაღი.

თუ უკვდავების მომნიჭებელიც
ხვალ დამტირებლად გადაიქცევა—
რა უნდა გითხრა შენ, ვინაც პირველ
იგემე ხილი? ოჰ, ევა, ევა!

დრო მოვა და ჩვენ ცრემლით ციურით
ცივ სამარეში დავინამებით,
და ჩვენი ყოფნა ამქვეყნიური
გამოვისყიდოთ ტანჯვა-წამებით.

ტკბილია შხამი, თუ უმიზეზოდ
ბედნიერება მოიშხამება,
კვლავ დაგვიბრუნებს ბედნიერებას
და გულსაც გასწმენდს ჩუმი წამება.

ევა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოჰ, ევა, ევა! ედემს დაკარგულს
ოდეს ვიგონებ თვალნი ცრემლს ღვრიან,
დარდით სამარე მე გამეთხრება!
დავიღუპები ადრე თუ გვიან.
და ვერ გავიგებთ სიცოცხლის მიზანს
დატყვევებულნი შენის შვენებით
სამარეს ვპოვებთ, და უფრო ადრე
სხვა სამარეში ჩავესვენებით.

გაზაფხულია და ყვავილები
მორცხვად თავს ხრიან იქაც და აქაც.
მაგრამ გამქრალს და ადრე დაკარგულს
სამოთხის ყვავილთ არ გვანან რაღაც.
უმიზნო ხელი შემოქმედისა
ხეებს ფერადი ძაფებით ქარგავს,
მაგრამ გამქრალ და ადრე დაკარგულ
სამოთხის ხეხილს არ ჰგავს და არ ჰგავს!

საუკუნეთა შორი გრეხილი
ჩვენთვის მარადის მიუწვდომელი
შორით დაგვცინის, როგორც სატანა
ვინემ ჩვენ — უფრო მაღლა მდგომელი,
მწარე ნაღველით დაჩრდილულ გულში
მისი აჩრდილი რომ ისახება,
მის გვერდით ჩვენი შავი სამარე
უფრო ცხოველად დაინახება.

ოდეს იკითხონ ადამისა ძეთ
ვისი სურვილით ვინ და რად ჰქმნიდა,
ვინ უპასუხებს? ან მათი სულის
თავისუფლება ვინ შეისყიდა?
ვინ ჰკითხა ამ სულს ქვეყნად გადმოსვლა,
ვინ ჰკითხა ისევ უმიზნოდ წასვლა?
და ქვეყნიურთა ვნებათა გროვის
ვის სურს გარდამქმნელ თიხაში გაცვლა?

*
* *

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რამდენჯერა ვსთქვი თუ ვისთვის მინდა
სევდიან სიმთა მწუხარე ყღერა?
რამდენჯერ იქვი მეწვია წყნარი,
რამდენჯერ ხელში ავიღე ქნარი,
რომ დამემსხვრია და არ მემღერა.

ამ დროს მწყუროდა, რომ მიმემალა
ჩუმი ქვითინი და სიმთა წკირა,
ხალხისთვის, ჩემში რაც ძლევას ჰქმნიდა
ჩემი ოცნება და წმიდათ-წმიდა,
დაუბრუნებლად, მთლად შემეწირა.

მეც ვშთანთქმულიყავ მწყრალ ჟრიამულში,
მომეკლა სულის ვედრება წრფელი,
მაგრამ სიმღერის გადავიწყება,
ჰანგთა დამარხვა და დამიწება
ვერ შევიძელი, ვერ შევიძელი.

სიმღერავ, უხმე დაღლილთ, დაქანცულთ
აჩვენე ცეცხლში ნაწრთობი გული,
დაე, ისმენდენ ჰანგს დაუცხრომელს,
დაე, იცოდენ, რომ ყოფის მგმობელს,
მათდამი კიდევ აქვს სიყვარული.

ერთი გავარდნილი კაცი

აშრიალდა ნეშო ტყეში,
წამოვიდა ციდან თქეში,
ო, ასეთი სიხარული
არ მიგრძვნია მე ჩემს დღეში.
გადმოვარდნილ წვიმის სვეტებს
მზე ლრუბლიდან შუქს უმეტებს,
აელვარდა ცისარტყელა,
სჩანს რომ ბედი არ მიმეტებს.
რა რისხვაა თვალწარმტაცი,
ამოვარდა ქარი მკაცრი,
მე ხომ ხეებს ვეფარები
ერთი გავარდნილი კაცი.

როდესაც ხალხთა ჟრიამულში გადვიკარგები

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც ხალხთა ჟრიამულში დავიკარგები,
რომ მოვიპოვო კაცთა შორის თავშესაფარი,
მაშინ ქნარი სდუმს, სიჩუმეს გარემოუცავს,
მწარე ნაღველით ავსებული სდუმს ჩემი ქნარი.

როდესაც მტრობა, შური, დევნა ირგვლივ მეხვევა
ზედ გულზე მაძევს სასიკვდილო სევდის ლახვარი,
მაშინაცა სდუმს ჩემი ქნარი სევდით მოცული,
მწარე ნაღველით ავსებული სდუმს ჩემი ქნარი.

როდესაც მოძმეთ სურთ ცოცხლადვე დამასამარონ,
სურთ, რომ შეღებონ ჩემი სისხლით წამების ჯვარი —
იმ დროს ქნარი სდუმს და სიჩუმეს გარემოუცავს,
მწარე ნაღველით ავსებული სდუმს ჩემი ქნარი.

მაგრამ როდესაც გავშორდები ქვეწარმავლობას
სულს არ მიხუთავს უმიზნობის ქსელი საზარი, —
განვლილს იგონებს ჩემი ქნარი აზვირთებული,
აზვირთებული, აღტკენილი ჟღერს ჩემი ქნარი.

როცა ხალხში ვარ — მეკარგება რწმენა, ხალისი,
როცა მარტო ვარ — მაქვს სამგოსნო წმინდა ტაძარი:
ტყე, მინდორ-ველი, მთის წიაღი, კლდის ნანგრევები
და ჩემი ქნარი, მარტოობით შექმნილი ქნარი.

ვით გრიგალის შემდეგ ტყე-ველი

ყველა დასრულდა! ვით გრიგალის შემდეგ ტყე-ველი,
განადგურებით სავსე არის ეგ ჩემი გული.
ცაზე მისცურავს ბადრი მთვარე შუქთა მფრქვეველი
და ცის უდაბნო უდაბნოა სევდით მოცული.

ფეხქვეშ მიგდია დამსხვრეული სწრაფვათა ნავი,
მაგრამ იმედი მაინც სცოცხლობს კვლავ მომხიბლავი.
კვლავ ტალღებს ელის... ვით გრიგალის შემდეგ ტყე-ველი,
იმავე გრიგალს ელოდება დაუძლეველი.

ოჰ, სად... სადაა...

ოჰ, სად, სადაა მისი საფლავი!
გემუდარებით, მაჩვენეთ ჩქარა...
მე ის მიყვარდა, ის კი ოცნება
სამარადისოდ თვალს მიეფარა!
შორს ვიყავ მისგან და ეხლა მასზე
მოგონებები ჩემთვის არ კმარა,
გამოვეშურე უცხო ქვეყნიდან
რომ მომესმინა ან ჰო, ან არა!
ის სამუდამო საფლავს მიეცა,
იგი დაშორდა მშობლიურ ბაღებს.
ჩავძახებ მას ხმას სიყვარულისას,
მაგრამ ის პასუხს არ ამომძახებს.
ია თან მიმაქვს, ვარდიც თან მიმაქვს,
თან მიმაქვს ჩემი სპეტაკი გული,
ვერ დავივიწყო იგი ვერას დროს
მიწათ ქცეული და დაკარგული!
დაე! უილაჯო და ობოლი ნავი...
რაა უმისოდ სიცოცხლე ჩემი?
ოჰ, სად... სადაა მისი საფლავი!

მე ვუკვირდები ამ უძირო ზღვას

მე ვუკვირდები ამ უძირო ზღვას,
ამ დამშვიდებულს, იდუმალ მხარეს,
რას მიმზადებს ის: კაეშანს დამწველს
თუ სიხარულის სხივებს ელვარეს?
არ ვიცი, არა! ვიცი მხოლოდ რომ
მძაფრი გრიგალი მიახლოვდება,
ჩემში უსაზღვრო აღტაცებას ვგრძნობ,
ჩემში ძლიერი ძალა გროვდება,
გროვდება როგორც ერთ კალაპოტში,
მთებში დაფანტულ მდინარეთ გროვა,
მიექანება, მიდის უშიშრად,
არ დაკარგავს მას. რაც მოიპოვა.
და როდესაც ზღვას უახლოვდება
ამ დამშვიდებულს, იდუმალ მხარეს:
ერთს გაიფიქრებს: ზღვა რას უმზადებს
ბედნიერებას თუ სიმწუხარეს?

ქარიშხლის შემდეგ

სად კაეშანი ისევე მეფობს,
სადაც კვლავ დარჩა ძველი იარა,
იქ ქარიშხალმა გადაიარა,
იქ ქარიშხალი მწარედ გმინავდა:
ჰკვნესდა, ჰკიოდა და დაფრინავდა
კიდითი-კიდე—ვით ბელზებელი.
რა დარჩა შემდეგ? ისევე ძველი
უკურნებელი და მწვავე წყლული.
და მწარე ფიქრით გარემოცული
მივჩერებივარ ცისა დასავალს,
ვისმენ მიდამოს თავგადასავალს
სიჩუმეში მყოფს, სიჩუმით ნათქვამს.
ყოველ ობოლ წუთს, ყოველ ობოლ წამს,
ტყეს მიმკვდარებულს და თმა-გაწეწილს,
რტოებს, ქარიშხლით ასე დალეწილს
განმარტოებულს ვავედრებ საფლავს.
სულს ის მიშფოთებს და გულსაც ის ჰკლავს,
რომ ამ დუმილში ყოფნა ვერ ილხენს,
თუ ქარიშხალიც არ გადაიფრენს,
სანამ სიკვდილი ქვეყანას ჰფარავს.

მიმღერე რამე

როგორ მიყვარდა! მაგრამ ხსოვნა იმ ტრფობის სრულის,
დარჩა ჩემს გულში წაუშლელი და მოკამკამე,
იმას იგონებს დაღონება დაღალულ გულის...
იმ სიყვარულის მიმღერე რამე!
ყმაწვილკაცობა, ყვავილები სიცოცხლის დილის,
ბურუსებს იქით გადიკარგა... როგორ ვეწამე!
ეხლა თავს მადგას ჭმუნვარება მომავლის ჩრდილის.
იმ სიყმაწვილის მიმღერე რამე!
დიდი მიზანი, ბრძოლა იყო ახალ დღეების,
არ დავცემულვარ, მაგრამ გესლით მე მოვიშხამე.
აი, ნაყოფი, ქარიშხლიან სიცოცხლის ვნების.
მე იმ ბრძოლების მიმღერე რამე!
ახალგაზრდათა ბრძოლის შემდეგ დაუძლურების
და წარუშლელი მწუხარების გავხდი მოწამე,
მოწამე გავხდი ცეცხლისა და განადგურების.
გემუდარები მიმღერე რამე.

განახლდა გული

ეროვნული ბიბლიოთეკა

განახლდა გული... დღეს ის აღარ ვარ,
რაც უწინ ვიყავ... ფერი ვიცვალე...
გზა დამიცალე, შავო ბურუსო,
წყეულო ღამე, გზა დამიცალე!
წინ ვივლი, სანამ დავმიწდებოდე
ბედს კი მაინც არ შევურიგდები.
წინ ნუ მიხვდები, შავო ბურუსო,
წყეულო ღამე, წინ ნუ მიხვდები!
ნუ თუ არ მეყო, რაც დასაბამით
გაუნელებელ ცეცხლში ვეწვალე?
ჩამომეცალე, შავო ბურუსო,
წყეულო ღამე, ჩამოჰეცალე!
ვივიწყებ წარსულს... ჩემს სიყმაწვილეს
გამოთხოვების ცრემლებს ვაპკურებ,
გავანადგურებ ხელის შემშლელ ნისლს,
წყეულ ღამესაც გავანადგურებ...
წამების ცეცხლში განახლდა გული,
ფერი ვიცვალე, ფერი ვიცვალე.
გზა დამიცალე, შავო ბურუსო,
წყეულო ღამე, გზა დამიცალე!

არასდროს ისე არ მენატრება თავისუფლება

არასდროს ისე არ მენატრება
თავისუფლება ვით გაზაფხულზე,
როცა ბუნება ახმაურდება
დედამიწისა გაყინულ გულზე.

როცა მიდამო ვარდ-ყვავილებით
ლურჯ ხავერდივით მოიქარგება,
როცა ბულბულის ხმები რაკრაკით
ბუჩქნარს ედება და იკარგება...

ვიღაც შეძახის სიცოცხლისაკენ,
სიკვდილის გზაზე თრთოლვით მიმავალს,
ვაგლახ! ვერავის ირგვლივ ვერ ვხედავ
და ისევ ცრემლი მახუჭვინებს თვალს...

პორტრეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავბრუდამხვევი იყო წამები!
როგორც მხურვალე კოცნა პირველი,
მე სიყმაწვილეს არ ვეწამები:
რომ იყო ცივი და გამწირველი.

მე არა ერთხელ მინახავს ვაჟი,
რომელიც მღერის ცეცხლის მოდებით,
ცისფერ ხომალდით მისცურავს ზღვაში,
ზღვა კი გრიალებს თავგამოდებით.

და ვენახები, მოსილი ვაზით,
საწნახელების ლურჯი ნავებით.
ვაჟი, რომელიც ღვინოს სვამს თასით,
თასი კი ელავს საწამლავებით.

თქვენ არა ერთხელ ისმენდით ამბავს
ვაჟისას, ღამით რომ არ იძინებს,
სიგიჟით ყნოსავს ვარდებს და ზამბახს,
სადაც ღამე და გველი სისინებს.

ო, ვინ გაიგებს გაუგებარ დარდს,
ფიქრებს მღელვარეს, ვნებას მდუღარეს;
ვაჟი, რომელიც გულზე იბნევს ვარდს,
ან და მუსიკას ისმენს მწუხარეს.

ის, ახალგაზრდა, მიდის სკენაზე;
მაგრამ მეორე ფანჯარას აღებს,
და გადაჭყურებს გამოფენაზე
მთვარით დაფერილს მინდვრებს და ბაღებს.

მას წყევლად მისდევს აგერ მრავალი
ხელების ფენა და ტაშისცემა,
მისი ცხოვრება გარდამავალი,
უუნაზესი არის პოემა.

ეხლა ის მიჰქრის შიშველი ხმალით!
მეორე ეძებს სიცოცხლის ძალას,
მაგრამ მოკლული ოცნებით მალით
დასცქერის წიგნს და ხმელ თავის ქალას.

ცხოვრება გასწყრა და გაალქაჯდა,
მინდვრებში გატყდა ოცნება მწყე სის,
ის ბორკილებში ზის, ახალგაზრდა,
ის, ახალგაზრდა, ციხეში კვნესის.

ან, მოწამლული, დაეცა ბაღში,
ან, თავის მკვლელი, იღებს რევოლვერს.
და მხოლოდ ღამე თავის წიაღში
საიდუმლოსთვის იწვევს ორივეს.

ეხლა ის მიჰქრის ხრიოკზე ცხენით,
შუბლი მოცული აქვს მღვრიე აზრით.
ის გადისროლა მერანმა წყენით
და ბილიკებზე მიათრევს ბაწრით.

იგი სვამს ღვინოს, ვით ქარს და წვიმას,
მზე კვლავ უყვარდა, გზა არ დაღლოდა.
მოშორდა თოვლებს, გასცდა ცუსიმას
და ბარიკადებს მიუახლოვდა.

მგზავრის სიმღერა

თავგანწირულად მინდორ-ველად
მიმაფრენს ცხენი.
გაზაფხულია... სიო დაჰქრის
კიდითი-კიდე;
მზე სხივებს აფრქვევს ქვეყანაზე
შვების მომფენი,
არე-მიდამოს ღვთაებრივი
ატკბობს სიმშვიდე.
ამ სიმშვიდეში მე ვერ ვპოვე
ვერც სიტკბოება,
ვერც რამ ისეთი სასიცოცხლო
და სანეტარო.
დაჰქროლე ქარო... მე არ მიყვარს
ეგ მყუდროება,
მე ქარიშხალთან შებმა მინდა,
დაჰქროლე ქარო.
ბედნიერებას მე არ ვეძებ
ამ ქვეყანაზე,
შვების ძებნაშიც ვტყვილდებოდი
ქვეყნად ყოველთვის
და, დეე, მოვკვდე, თუნდ ვიცოცხლო
ქარიშხლის ხმაზე,
როგორც მოხდება... ყველაფერი
ერთია ჩემთვის!

დარიალისა ვიწრო კლდეებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარიალისა ვიწრო კლდეებში
თერგი მრისხანე, მახსოვს, ცრემლს ღვრიდა!
მეც, უნუგეშო და ძლიერ ხმებში
ფიქრი უსაზღვრო კაეშანს მგვრიდა.
სევდიანი და შუქ-მონავარდე
ცის უდაბნოში სცურავდა მთვარე,
ბევრი ვიტირე, ბევრი ვიდარდე,
ბევრი მწუხარე ცრემლი დავღვარე.
ვეთხოვებოდი სამშობლო მხარეს,
ღრმა ძილში შთანთქმულს, მაგრამ უზრუნველს,
შორს დავეძებდი მყუდრო სამარეს,
უცხოეთისკენ მე ვიშვერდი ხელს.
„—მძულხარ, მონობავ!"—ვამბობდი და ხმებს
ცელქი ნიავი სათუთად ჰკრებდა,
„მძულხარო"—ასე უთვლიდა ზვირთებს,
„მძულხარო"—თერგი იმეორებდა.
სევდიანი და შუქ-მონავარდე
ცის უდაბნოში სცურავდა მთვარე,
ბევრი ვიტირე, ბევრი ვიდარდე,
ბევრი მწუხარე ცრემლი დავღვარე!

გარდაცვალება

ირგვლივ, გარშემო სევდიანი ისმის ქვითინი...
პიტალო მთებმა გლოვის ნიშნად შეიმკეს თავი;
ო, რა დროს მოწყდა და გარინდდა გრძნობათა ჟინი,
შავი ძაძებით შეიმოსა ჩვენი გვირგვინი.
ო, რა დროს გატყდა, რა დროს გატყდა სიცოცხლის ნავი
და დღეს გავიგეთ ეს ამბავი გულმოსაკლავი.
ხვალ კი, როდესაც ძვირფას ცხედარს ერთგულთა კრება
სამარადისოდ, სამუდამოდ დაესალმება,
როდესაც იგრძნობს მიწის კვნესა და ცის კამარა,
თუ ვინ დაჰკარგა და რომელი დაასამარა,—
მიდით, მგოსნებო! შავი თალხით შემოსეთ ქნარი,
ცრემლით იგლოვეთ მოამაგე დაუვიწყარი...
მიდი, მსოფლიოვ, თაყვანი ეც იმ გმირის საფლავს,
შენი დიდება, შენი ღმერთი მოჰკვდა, აღარ გყავს!

ოცნება კლდეზე

ცა ვარსკვლავებით შემოიჭედა,
წყნარად აცურდა ნარნარი მთვარე,
ძილს მისცემია მშვიდი მინდორი
და დაფიქრებით სდგას მთა მდუმარე.
როცა ნიავი მთით მოწყვეტილი
ტყის მწვანე კალთებს შეეპარება,
მაშინ ირღვევა გამეფებული
მკვდარი სიჩუმე და მდუმარება.
მე მომეჩვენა, ვითომ ოცნებას
თავისუფლების შესხმოდა ფრთები,
მე ეხლაც მახსოვს მისი შვენება,
მისი ღიმილი, მისი თვალები.
სად გაჰქრა მეთქი, —ვკითხავდი ნიავს
და შორს გავხედე მთების მწვერვალებს;
იქ კავკასიის კლდეზე ვამჩნევდი,
მოღლილ-მოქანცულ და მიმქრალ თვალებს.
ოცნება კლდეზე მიჯაჭულიყო,
ოცნება სისხლში თრთოდა და კვნესდა,
სქელი ღრუბელი თავს ევლებოდა
და ყორანთ გუნდი მის სხეულს სწეწდა.

* * *

რომ მომცა ფრთები, ავფრინდებოდი,
გადავცდებოდი მე ბედის საზღვარს —
თავისუფლებას მივანიჭებდი
ფიქრთა ღელვას და გრძნობათ ნიაღვარს...
ზღვის ქარიშხალთან მძვინვარე ტალღებს
შევებმებოდი თვალდახუჭული,
რომ მომესმინა თუ როგორ ისმის,
საშინელ ხმაში მშვიდი ჩურჩული.
მწვანე მანტიით შემოსულ მთებს,
სად დუმილს აფრთხობს ზეფირის ფრენა,
მივაშურებდი მე ბრძოლის შემდეგ,
დაღალულ სულს რომ იქ მოესვენა.
შუადღის სიცხით — მუხების ჩრდილ ქვეშ,
გამიტაცებდა ოცნებათ ზოლი
და მოვისმენდი თუ ჩუმად როგორ,
ესაუბრება ფოთოლს ფოთოლი.

იქ, ნაკადული მთის კალთიდან გადმოჩქრიალებს,
იქ, დიადება მთის მწვერვალთა მზეზე ბრჭყვიალებს,
იქ, ფრინველთ ჰანგში ჩაქსოვილა ლხენა და შვება,
იქ, ჟრიამული ცის კამარას ეთამაშება.
იქ ბუნებაა, ჩემო კარგო, მხოლოდ ბუნება,
იქ არის მხოლოდ სანატრელი თავისუფლება,
იქ ტყვედქმნილთა მზე, ოცნებაა, სხვა არაფერი
ის კი ფრთას გაშლის უზრუნველი და ბედნიერი.
მუზა იქ ცხოვრობს, პოეზია მეფედ იქ არი,
იქ, გესმის ასულთ მწუხარე ხმა ნაზი, ნარნარი,
დაუგდე ყური, შენ მოისმენ ჰანგსა ნაღვლიანს
იცი, რა აკრთობს, რა აწუხებს აქ ადამიანს?
„თავისუფლება დავკარგეთო, თავისუფლება,
შეისმინევი, ჰე, ბუნებავ, მუდარა ჩვენი!
გრძნობა გვეკარგვის, სული შფოთავს, გული წუხდება
რად არ სწყდებაო ჩვენი კვნესა, ტანჯვა ესდენი?
„მზე დაგვქათქათებს... ყვავილთ გუნდი გვეალერსება,
ტანჯვა არისო ყველაფერი მოსაგონებლად,
თავისუფლება აღარა გვაქვს, თავისუფლება
იტირეთ, ძმებო! ცრემლი დაგვრჩა მანუგეშებლად.
როცა დავუგდებ მე ყურს ამ ხმებს, მეც ვიტანჯები,
ფიქრი გულცივად და თან მშვიდად მესაუბრება:
მითხარი, რისთვის ნეტარებენ სამშობლო მთები,
მითხარ, სად ცელქობს ფრთა გაშლილი ტურფად ბუნება?

1910 წ.

გუბე

ეს მდინარენი შფოთიანნი — ეს სისხლის დღენი
უცებ გაჩერდა — კოსმიური შეიქნა გუბე —
აპოკალიპსის გადაიმსხვრა კლდეებზე ცხენი,
ამოტივტივდა ხვეულების უბიდან უბე.

ირევა ყვითელ ჭაობების ბრმა ზედაპირი,
კრეისერების ნაფოტები, მისი დროშები,
გამორიყული დამხრჩვალებით სუნთქავს ნაპირი
ცოცხალი წარღვნის უდარდელად გარდამომშვები.

აშმორდა გუბე, მაგრამ მკაცრი საათი რეკავს.
გამოიღვიძეთ! შურისგება არყევს ნიობას —
გადაირღვევა ნაპირები... და გადალეკავს,
ძველს, ეხლა მაინც დაღუპვის ღირსს კაცობრიობას...

1908 წ.

*
* *

სქელი ღრუბელი,
შავი და ბნელი
სამშობლო მხარეს გადაეფარა,
სხივთა მფენელი
მზისა ნათელი,
ჩვენს სანუგეშოდ სჩანდა აღარა.
მაგრამ რა გაჰკრა ელვამ სივრცეზე,
მიკლაკნ-მოკლაკნა მისი სხივები,
სამარადისოდ მე მომეჩვენა,
გარდმოვლენილნი ცით ნაპერწკლები.
ელვა მსწრაფლ გაქრა,
ისევ დაფარა
სამშობლო მხარე უკუნმა ბნელმა,
ცას ცრემლები სდის,
ვტირი მარადის,
გული წაიღო ისევ ნაღველმა!..

1910 წ.

მე ამ ყვავილებს

ო, ნუ იფიქრებ რომ მოკვდა გული,
რომ სულ დავმარხე ოცნება წრფელი,
განადგურების ეკლიან გზაზე
გულს ბევრი რამ აქვს ხელუხებელი.
ველი, ვიბრძოლებ... მე ამ ყვავილებს
ვატარებ სანამ მექნება ძალი,
რომ არ შეეხოს მას სისასტიკის
ხელი შავბნელი, ხელი მუხთალი.
და, მუდამ გულში გავზრდი იმ იმედს,
რომ სადღაც არის ისეთი მხარე,
სადაც ედემი ჰყვავის მზიანი,
სადაც არ არის სული მწუხარე.
წინ, მელის ბედი. რაც იყო, იყო,
ის წარსულია განუკურნელი
ხელუხებელი გულს ბევრი რამ აქვს,
სულს კიდევ დარჩა ოცნება წრფელი.

ზევით ასწიეთ მზე, ზევით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზეს შევნატროდით, ვკვნესოდით,
ცრემლს ვღვრიდით შუაღამისას,
მხიარულება არ ჰქონდა
დაწყვეტილ სიმებს ჩანგისას.

მზეს შევნატროდით, მზე გვსურდა,
მზე ცხოველ სხივებიანი—
თავისუფალი, ძლიერი,
ახალი — განგებიანი.

მზეს შევნატროდით და ისიც
გაბრწყინდა სასაფლაოზე,
დისკო-გადახრით აენთო
წყვდიადით მოცულ ხაოსზე.

ხელი ვკართ... ისევ ისევე
ცრემლებს ვღვრით შუაღამისას,
ისევ დუმილი ამწუხრებს
დაწყვეტილს სიმებს ჩანგისას.

მზეო, დაუდე საზღვარი
მწუხარე ფიქრთა ქროლასა,
„მზეო ამოდი, ამოდი,
ნუ ეფარები გორასა“.

უსასოობა, სიკვდილი
ნადგურდება და იხრწნება,
სადაც კი შენი დიადი
ბორბალი ამობრწყინდება.

შორს ჩვენგან, ღამის წყვდიადო,
შორს, შორს ბურუსო გრძნეულო,
თვალის ამხვევად შექმნილო
და ბორკილებად ქცეულო.

ჩვენ მზე გვსურს... ხალხო შეერთდი—
ზევით ასწიეთ მზე, ზევით!
მის აღდგომასთან მნათობის
სხივებად გადავიქცევით!

ეს გრიგალია სიახლის

ფანჯარას ტოტებს მიახლის,
მთვარეს მიართმევს ზიანებს—
ეს გრიგალია სიახლის,
მზეს რომ არ დააგვიანებს.
მე სიხარული მემოსა
და გაზაფხულის ოცნება,
ხიბლავდა გარეშემოსა
მინდვრების გადასოსნება.

პირველი ვარდი

პირველი ვარდი...
მოვიდა პირმშვენიერი მაისი,
რად დაგვავიწყდა
ძველ ნანგრევებზე ძველი ნავარდი,
კუნძული ჰავაის
და ჰავაელი პატარა ქალი
სახელად ემმა.
თუ წაიყვანა სიყმაწვილე
უცნობმა გემმა,
და დაიკარგა სადმე ყვავილი,
მიუგნებელი მხარეები თუ აიგულე
ვინ მომიტანა ეს თაიგული,
ვის შევუყვარდი?
ბავშვობიდანვე იყავი მარტო
ჯვარზე გაკრული,
შენ სული გქონდა მეტად ფაქიზი
და დაჩაგრული.
ვილაცამ ალბათ გაიარა
შენს სპეტაკ სულში,
აღზრდილმა შენებრ მარტოობით
და სინანულში;
ო, გული, გული, რანაირად
მტკივა კვლავ გული.
ვინ მოგიტანა შენ თაიგული
თუ დააბრუნა სიყმაწვილე
იმავე გემმა,
და ჰავაელი პატარა ქალი,
სახელად ემმა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინ, მეეტლევ!
ეგ ცხენები გააქანე, გააქანე!
მსურს რომ ერთხელ კიდევ ვნახო გაზაფხულის მთები მწვანე,
მსურს რომ დაფნით გადავხლართო მძიმე ფიქრთა
ოკეანე...
წამიყვანე!
მთები! როგორ შვენით მათზე გაზაფხულის ბუჩქ-ფოთოლი,
როგორ შვენის ველზე ნამი, გამჭვირვალე, როგორც ბროლი.
ცა ისეა მოწმენდილი, ცა ისეა შეუმკრთალი,
რომ ანგელოზს დაინახავს მოდარაჯე კაცის თვალი.
კიპარისი ისე ღელავს, ისე ღელავს, ისე ღელავს,
ისე ტოკავს, ისე ტოკავს, როცა ქარი გადათელავს,
წყარო, კლდეში მოჩუხჩუხე, წვეთ-ანკარა, ვით ცის ვნება,
დაფნის ბუჩქთა მწვანე ჩარჩოს ეომება, ეხეთქება.
და ჩანჩქერი მთით ნასხლეტი, დაფერილი დილის სხივით,
ძირს ეშვება და იფრქვევა და გადადის რძის ქაფივით.
ვდგევარ მთაზე... და სიჩუმის იდუმალი მესმის ენა
და მიტაცებს სწრაფი ფრთებით პოეტური ალმაფრენა.
ვხედავ სურებს, ვხედავ დაფნარს, ვხედავ მდუმარ ნასაკირალს,
ვხედავ სოფლებს სიცოცხლისას, განახლების თვალით მზირალს.
ჩუმად! ვიღაც მღერის მთაზე... რა ძალაა ამ ტკბილ ხმაში,
არსად ისე არ მღერიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში,
არსად, არსად არ არსებობს ბრძოლის ჟინი, ბრძოლის ქარი,
არსად ისე არ გადმოხეთქს უკმარობის ნიაღვარი
და არსად მთელ ქვეყანაზე არ ჰკოცნიან ისე ვნებით,
ისე ცეცხლით, ისე ჟინით და იმგვარი გატაცებით,
ვერსად ისე ვერვინ გაგხვევს გამოუცნობ ცეცხლის ტბაში,
როგორც ლერწამ-ქალწულები აქ, ამ წარმტაც ქვეყანაში.
და მეეტლევ,
თუ მათ ალერსს ვერ ვეღირსე, გეთაყვანე,
საალერსოდ ისევ მიწვევს გაზაფხულის მთები მწვანე...
მაშ გარეკე ეგ ცხენები,
სადმე შორს, შორს წაიყვანე,
გამაქანე,
გამაქანე!

1912

მოედანზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასხარა ეხლა აღარ ჰგავს იმ მშვიდ მასხარას:
    იმისი სახე არის ოხვრა და ტრაგედია,
მაგრამ ის ეხლაც არ ეშვება ცარიელ სიტყვებს,
    მას კიდევ ხელში შერჩენია ბალალაიკა
რომლითაც იგი წუთის წინათ — ყველას ართობდა!
    ძლივს-ძლივს ასწრებს ფეხტიტველი მეუდაბნოე
თავის დაღწევას. ბარაბანის დამკვრელი გარბის
    და სცემს ბარაბანს—ის ყასაბი. ხორცებს რომ სჭრიდა
წინსაფრით და ხელში დანით, მოუხეშავი,
    სულს ძლივს ითქვამს და მილასლასებს.
მოსამსახურე ქალი მისდევს მიმქროლ ქალბატონს.
    მოგება მომეც! — გაედევნა ვიოლაცას ჩარჩი.
ამნაირ ზღაპრებს ვინ ავრცელებს — ამბობს ვიოლაცა,
    მაგრამ ნამდვილი ამბავია — არაზღაპარი:
მანიფესტანტებს მეთაური მიუძღვის დროშით,
    და მოედანზე საოცარი ისმის სიტყვები.

* * *

გაფერმკრთალდა სავსე მთვარე და გაყვითლდა შუქთა ცხრილი,
ცის გუმბათი მოვერცხლილი მე ზღვის სიღრმეს შევადარე.
ვარსკვლავთ გუნდი მოელვარე თრთის, ნელდება ვით ღიმილი,
ფერ-მიხდილი, მოწყენილი, ნაზი, ფრთხილი, მგლოვიარე...

ნისლში მყოფი არე-მარე—ნანგრევების არის ჩრდილი.
არის სივრცე და დუმილი, მარტოობა არის მწარე,
ყოველი ხე და სამარე, ხევ-ხევებში მოფენილი,
არის უღვთოდ მოწყენილი.

ამოვდივარ!.. ღამის ნაკვთებს მალე გაჰკვეთს ჩემი ფრთები,
ბუნებაო, შენ ნუ კრთები, კაეშანი ნუ აგანთებს,
მთის მწვერვალო, მაგ შენ კალთებს ნუ ელტვიან იმედები,
მთავ, დაბლა ნუ იხედები, ნისლი ულელს ნუ დაგადებს.

ამოვდივარ! გულის ნადებს ნუ გაგართმევს ღამის ხმები,
როს მომავლის მზის სხივები კანდელივით დაგქათქათებს...
მალე, მალე ველებს და მთებს ტიტანივით მოვევლები,
ვნების რკალად მოვედები მუდმივ თოვლით შემოსილ მთებს...

ხანდახან მშფოთარ ქალაქის ხმაში

ხანდახან მშფოთარ ქალაქის ხმაში,
    გრგვინვა-ქუხილში, კვნესა-წუხილში,
ფრთხილად მოისმის ბულბულის სტვენა
    ნაზად, ნარნარად, ისე ვით ძილში.
ხანდახან მტვრიან ქალაქის ქუჩებს,
    სადაც ქვითინებს და კვნესის ყველა,
როგორც ჩვენება გასაკვირველი,
    ფრთხილად აჰყვება თეთრი პეპელა.
ასე, ნუგეშო, ჩემს მშფოთარ ყოფნას,
    შენ მოუვლინე სხივი პირველი,
როგორც სიმღერა მოულოდნელი,
    როგორც პეპელა გასაკვირველი.

როგორც სიზმარი

კვლავ მომაშუქებს მზე სიმტკიცეს და დარიგებას,
    ბოლო არა აქვთ ოცნებათ დენას,
მე კარგად ვიცი, ვერ ახერხებს სიტყვის მიგებას,
    ჩემი წარსულის მჭერმეტყველ ენას;
იყო ცხოვრება შხამიანი და მოსისხარი
    ღამეა იგი, თუ დღე ცისმარე.
წელიწადთ რიგი საშინელი და საზიზღარი —
    გადვიდა როგორც ავი სიზმარი.

აფიშა, როგორ...

აფიშა, როგორ უაზროდ გცემდა
    წვიმა და ქვიშა
უცნობთა ზვირთთა, შორეულ გემთა
    დიდი აფიშა.
მწარე შურისგან თვალები ბადრი
    გადიქცა თალხი,
თითქო ყირაზე იდგა თეატრი
    და ქუხდა ხალხი.
შენ აამაღლე პოეტის ტახტი,
    დამკვიდრდი შიშად.
შენ ისტორიულ აფიშად გახდი,
    უკვდავ აფიშად.

რა მშვენიერი იყო ნამი...

...რა მშვენიერი იყო ნამი ყვავილის გულზე...
მზე სხივს აფრქვევდა. ათასფერად ღვივოდა ნამი.
შიგ იხატვოდა, როგორც ამაყ ზღვათა უფსკრულზე
ზეცის შვენება, ზეცის სხივი, ზეცის კამკამი.

...რა მშვენიერი იყო ნამი ყვავილის გულზე,
ცა ვარსკვლავებით მოჭედილი ზე დასცქეროდა,
თითქო ცის შვილის ყოფნას ვარდზე და სიყვარულზე
განცვიფრებოდა... თვალს ლულავდა, არა სჯეროდა.

დღეს აღარ არის! წაყვა მზის შუქს აფერადებულს,
დალია სული სიყმაწვილის ნაზ გაზაფხულზე,
მაგრამ მგოსანი კვლავ იგონებს მის ნეტარ წარსულს;
...რა მშვენიერი იყო ნამი ყვავილის გულზე!

მე დავიბადე განთიადისას

მე დავიბადე განთიადისას,
როცა მთის წვერზე დილა მაისის
თვალებს ახელდა... და ნაზი იყო
ელვა-ელფერი მტრედისფერ სივრცის...
შემოდგომაზე, მახსოვს, ვიბრძოდი,
ცხარედ ვიბრძოდი ყმაწვილურ ჟინით,
მაგრამ დაცინვით მომიკლეს რწმენა,
და ძირს დავემხვე კვნესა-ქვითინით.
ვცხოვრობდი ზამთრის ყინვა-ქარბუქში,
ხსოვნა არ იყო ჩემში ზაფხულის,
და ნელა-ნელა მიჭკნობდა დღეებს
სიცივე სულის, სიცივე გულის.
დღეს კი, როდესაც შავი ბურუსი
მისპობს და მიკლავს ოცნების კუთხეს,
ჩემს გაჩენის დღეს ვწყევლი იდუმალს
და ვლოცავ ყოფნის აღსასრულის დღეს.
ბნელი ღამეა... მალე ინათებს...
ჩქარა, სიკვდილო, ოჰ, გევედრები...
გადმომივლინე ტკბილი ოცნება,
გადამაფარე შავ-ბნელი ფრთები!

ყვავილები

ყვავილებისას გვირგვინებს ვწნავდი,
სატრფოს საფლავზე მიტანა მსურდა...
უცებ ნიავმა წამომიქროლა...
რისთვის წამართვა, რისთვის შეშურდა?

მინდვრად ყვავილთა კონა შევკარი,
ჩემთვის გვირგვინის შეკონა მსურდა,
ოცნება იყო... და სინამდვილემ
ესეც წამართვა, ესეც შეშურდა.

კუბოს ფიცრები ყვავილით მოვრთე,
გულში კაეშნათ გუნდი აცურდა...
სიკვდილს ვეძებდი, ის არსით სჩანდა...
ყვავილიც ჩემთვის მას შურდა, შურდა.

ბუნებავ, ტრფობის წმინდა ყვავილი,
რომ დამბარე — ვერსად ვერ ვპოვე,
ბედნიერება ჩემთვის არ არის,
ბედკრული შვილი გამომიგლოვე.

•

ყვავილები — წუთები

სიზმარში ვნახე ყვავილებს ვკრეფდი
თეთრ-თეთრ, ლურჯსა და წითელ ყვავილებს,
ვუფრთხილდებოდი, როგორც ნატვრის თვალს,
მათ სუსტ ღეროებს, მათ ობოლ ღილებს.
დავაწყვე იგი. იმ ადგილებზე,
სადაც სიკვდილის მეფობს ნავარდი.
და როცა დილით გამომეღვიძა —
იქ აღარ იყო არც ერთი ვარდი.
ნეტარ წუთებით მთვრალ სიყმაწვილის
ბედნიერ დღეებს ავსებულს ჟინით,
ვუფრთხილდებოდი ჩემს გაზაფხულზე,
ვმოსავდი ნატვრის ფარჩა-გვირგვინით.
დავიმახსოვრე მე ეს წუთები,
ეს გაზაფხული ნაზი, სათუთი.
გამოვერკვიე შემოდგომაზე
და აღარ დამხვდა არც ერთი წუთი.

ყვავილების ქალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც საღამო მკრთალი
სდგას ყვავილების ქალი,
ელავს ჩამავალ მზეში
იაგუნდი და ლალი.
თვალწინ ეშლება მცხრალი
სასაფლაოთა კვალი.
აი, სამარეთ წყება
და დახუჭული თვალი.
აი, ოდესმე მთვრალი—
ეხლა ჩამქრალი ალი,
აქ განისვენებს რწმენა,
სწუხს ყვავილების ქალი,
ხედავს დაჭარხულ იმედს
და ებინდება თვალი.
იყო მარადის მკრთალი,
მისი ცოდვა და ბრალი,
აქ ძველი ხანა მოკვდა;
სწუხს ყვავილების ქალი.

მე და ზამბახი

ბნელ ღამის დროს წყნარი ძილი, რომ ეწვევა თეთრ,
ზა ბახებს,
მათ ნარნარი მთის ნიავი უალერსებს, აცახცახებს.

დასჩურჩულებს: სიზმრად ვნახე, თქვენი სახე მომხიბლავი,
და მოფრენა განვიზრახე, გენაცვალოსთ ჩემი თავი!

მზეს ნუ ელით... დღე დიდია, სიზმარს უნდა ყურის გდება,
ხანმოკლეა ეგ სიზმარი, გაკოკებს და გაფრინდება,

გაფრინდება... მერე ცეცხლის მზე ამოვა, დღე მწვავდება
და გგონია თითქო იგი არასდროს არ გათავდება!

მეც, მეც ასე მიჩურჩულებს იდუმალი ფიქრთა გროვა,
დავივიწყო ვინაც ჩემში გრძნობათ ცეცხლი ამოსწოვა,

მაგრამ მაინც ჩემი სული, ვით ზამბახი მინდორ-ველის,
მზის ამოსვლას უდარაჯებს და სიყვარულს ელის, ელის.

სროლის ხმა მთაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაისმა შორი სროლის ხმა მთაში
და მონადირემ დაკოდა შველი...
სალამო იწვა ხავერდის ყდაში,
ვით წიგნი ლურჯი და ძველისძველი...
ეს იყო მაშინ, ეს იყო მაშინ,
როცა მე ბავშვი ვიყავ.
არ არის რამე უფრო მტანჯველი,
როდესაც კუბოს მიყვები ქარში:
„დარჩი"—ქვითინებს ჰაერში მარში,
მაგრამ ვერავის ქვეყნად ვერ შველი;
ეს იყო მაშინ, ეს იყო მაშინ,
როცა მე ბავშვი ვიყავ.
კუბო, უმიზნოდ მცურავი ქარში
და უმიზეზოდ მოკლული შველი!
დაედევნება ბავშვებს სიზმარში
ეს მოგონების ლანდი, სანთელი.
რას იზამს მაშინ, რას იზამს მაშინ
მზე, ნაკადული, მთები და ველი?

ბავშვები კაფეში

მე არა ერთი მინახავს ბავშვი
პატარა, როგორც ოქროს წიწილი
ეტლში, სალონში, აკვანში, ბაღში,
გაისმის მათი ზარის სიცილი.
მაგრამ კონტრასტი არის ამ ბედის
გულცივი, მკაცრი და გამყიდველი.
მშიერი სახით კაფეში შედის,
ბავშვების გუნდი შიშველ-ტიტველი.
მათი თვალები აღარ იცინის,
ხედვაში ხანჯლის არის ციება,
არ ეპატიოს—კვნესენ ისინი—
ქვეყანას ჩვენზე შურის ძიება.
მათ ნატყვიარი აკრავსთ წარბებზე,
გული სავსე აქვთ შხამის წვეთებით,
ამ დროს მოლხენით არის დარბაზი,
ორკესტრი გრგვინავს თავგამეტებით.

1917 წ.

უბინაო ბავშვები

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეები თოვლით გადიბაღება
და როგორც თავზე ხელის აღება,
ფანტასტიკურმა მოჯარა გემმა
ბავშვების გროვა, მთელი ბოგემა.
ო, განწირულო და დაღუპულო
ო, უბინაო, უგზო, უფულო,
არც სამოსელი, არც ხელთათმანი,
ფეხსაცმელებში მთელი ბათმანი
თოვლი და წვიმა. ღრმა გულისცემა...
როგორც წვიმაში ნაზი სუმბული,
იგი დგას ცრემლში ამოწუმპული,
ძაღლებიც მათ ბედს არ შენატრიან,
მაგრამ გაისმის დილა ადრიან
მათი თამაში, ხმაური, ცემა.
იერიშებზე მიდის ბოგემა.

1917 წ.

ალუჩა, შვიდი წლის ბავშვი

ის იყო შვიდი წლის ბავშვი.
მაისი, მინდორი, ჩიტი,
სიმღერა ოქროსფერ ნავში,
ზეცათა ლაჟვარდი ჩითი.
ო, შვიდი... ო, შვიდი წელი
ოქროსფერ, ოქროსფერ ნავით...
მოცარტი, შენიე, შელლი
მოზვავდნენ ახალი ზვავით...
გავიდა კვლავ წელი შვიდი,
იმ ნავებს თან გაჰყვა რული,
მშფოთარედ გადიქცა მშვიდი,
გემების გამოჩნდა სული.
დაიმსხვრა გემების წყებაც,
ზღვა ქუხდა ბურუსში შავში.
ტალღებმა გააბეს ყეფა,
ტალღებმა წაიღეს ბავშვი.
ბრძოლისგან დაღლილი სახე
და ტყვია ჩამჯდარი თავში,
მე თვითონ დაჭრილი ვნახე,
ალუჩა, შვიდი წლის ბავშვი.

ი. ა.

ქალაქში, მტვერში წაიქცა ბავშვი
ნუკრის თვალებით, თმით—მიმოზებით.
და მწუხარების მალე ნიავში
მოფრინდენ ლურჯი ანგელოზები.

შეშლილი სახით კივოდა ქუჩა:
შორს კი მზე დარჩა და მშობლის კერა!
მზეზე ჰყვაოდა სოფლად ალუჩა,
და გაისმოდა დების სიმღერა.

იბოგბოქრე

იბობოქრე, ცხოვრების ზღვავ ჩემს ირგვლივ,
იბობოქრე, მე რა უნდა დამაკლდეს!
პიტალოს კლდეს რას დააკლებს ზღვის ტალღა,
რას დააკლებს ზვირთი გამობრძმედილ კლდეს?
ბევრგვარ გრიგალს გადუვლია ჩემს გულში,
ბევრს ქარიშხალს ურბენია ქვითინით...
ბევრი ტალღა აღტყენილა გარშემო,
დავუსჯივართ შურით, ეკლის გვირგვინით.
ბევრჯერ ჩემი იალქანი დაშლილა,
არ მჯეროდა თუ სადმე გამიყვანდა,
ბევრჯერ, ბევრჯერ მწარედ ავტირებულვარ,
როცა შველა არსაიდან არ სჩანდა.
ყველაფერი ამ ბრძოლაში დავღუპე:
იმედები, უმართლობის მხილება...
რაც დავკარგე, ხომ დავკარგე სამუდამოდ,
დამრჩა მხოლოდ მწარე გამოცდილება.
და რაც დამრჩა – მას ვერავინ წამართმევს,
უიმედოს, ბედისაგან განამეტს
და ვიბრძოლებ სტიქიური გულისთქმით,
რაც დავკარგე, რას დავკარგავ იმის მეტს?
იბობოქრე, ცხოვრების ზღვავ, ჩემს ირგვლივ,
რას გახდები, ან რა უნდა დამაკლდეს?..
პიტალო კლდეს რას დააკლებს ზღვის ტალღა,
რას დააკლებს ზვირთი გამობრძმედილ კლდეს?..

ბავშვი გაზეთში

საათმა ქალაქის კოშკიდან შვიდჯერ დარეკა,
თავის სახლის წინ ფოთლიან ეზოს ჰგვის მეეზოვე
ცოცხს იქნევს მთიბავივით:
იყო გრიგალი წინაღამით—და აფიშები,
თითქო ხელიდან დაეტაცა ქუჩის ბავშვისთვის.
ერთი ნახევი გაზეთისა გაჟინიანდა
რამოდენჯერმე:
მოედო ცოცხი, ადგილიდან კი არ დაიძრა.
გაოცებული მეეზოვე დასწვდა, და, სახეს
კვლავ უფრო მეტი გაოცება გამოეხატა:
მას ხელში შერჩა აფიშებში გამოხვეული
პატარა ბავშვი, საოცნებოდ პატარა ბავშვი.
აჰ, მეეზოვე! უპოვნია მას გზაზე ხშირად
ხან ძველი წალა, ხან ცხენის ნალი—
არ ახსოვს პოვნა ცოცხალი ბავშვის.
აფიშას ერთიც არ ჰქონდა ნაკლი,
ჩვეულებრივი მალალი შრიფტით
იქ ცხადდებოდა ცირკი, სპექტაკლი.

* * *

გატყდება ნავი მშფოთარე ზღვაზე
ატყდება კვნესა-ოხვრა საზარი,
და ამ დროს როგორც ლანდი, ჩვენება,
შორს გამოჩნდება დამხსნელი ჯვარი...

წინ, მეზღვაურო! თუ იგი ჯვარი,
მართლა დამხსნელი არ არის შენთვის,
მაზე წამებას და მწარე ჯვარცმას
მაინც იპოვი მუდამ, ყოველთვის.

ასე ხანდახან ცხოვრების ზღვაზე,
რაღაც სპეტაკი, უცხო შვენება
ქარიშხლიან და ბობოქარ ღამეს
თეთრი ლანდივით მოგეჩვენება...

წაჰყე, მგოსანო... თუ იგი ტრფობა
მართლა დამხსნელი არაა შენთვის,
მშვენიერ ტანჯვას და ვნების წამებს
მაინც იპოვი მუდამ, ყოველთვის.

ᲐᲛᲐᲝ ᲫᲐᲮᲘᲚᲘ

ტოკავს ქარი, ნაზ-ნარნარი, და დაფნარი ტოკავს, ტოკავს...
და ზღვის ტალღა, ტალღა ჩქარი მძაფრი ღრენით სალ
კლდეს ლოკავს...
ჰორიზონტი ალისფერი, ჰორიზონტი ცის ფერადის
ზღვიდან ცამდის, ციდან ზღვამდის მზის ალმურში ჩადის...
ჩადის!
ვდგევარ მთაზე, ვდგევარ მარტო, ვდგევარ ერთი, ვდგევარ
ობლად...
შორეული არვინა სჩანს, არვინაა არც მახლობლად.
მხოლოდ ერთი იალქანი, ვით ღამის ფრთა გარხეული
დაქანაობს ქარისაგან დაფლეთილი, დახეული.
ჩუ, ძახილიც ისმის ზღვიდან: „ვიღუპები, ჰაუ-უუ... ნავი!"
ალბად, ვინმე იღუპება... ზღვაა კუბო და საფლავი.
და ზღვა ხარობს... ზღვის უფსკრული თავგანწირულ
მებრძოლს ელის,
მაგრამ აქ თავს ვინ გასწირავს? ან მენავეს ვინ უშველის?
ვინ გაიგებს მომაკვდავის განუსაზღვრელ ბოღმა-ნაღველს?
ვინ რას ეძებს გედის ჰანგებს, სხვა ოცნების გამომსახველს?
სად არიან მეგობრები, ნუ თუ ყველა ზღვამ დაჰფარა?
ზღვაზე კაცი იღუპება, შველა უნდა, ნავი, ჩქარა!
მაგრამ კმარა, აღარ ისმის არც ქვითინი, არც გოდება,
დაიღუპა! სივრცემ შთანთქა უნაყოფო მოწოდება...
ტოკავს ქარი, ნაზ-ნარნარი, და ნაძვნარი ტოკავს, ტოკავს...
და ზღვის ტალღა, ტალღა ჩქარი, სალ-კლდეს ებრძვის,
ღრღნის და ლოკავს!

ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ

გაფრინდა ბავშვობის დღეები,
მინდვრები, ჭალები, ტყეები,
უეცრად მოვიდა შავებით
სხვა ბავშვი შორეულ დაბიდან.
მწუხარე ფერხულში ჩავებით
და თვალი ცრემლებმა დაბინდა,
ბალახი, მდინარე, ხეები,
დღეები, ბავშვობის დღეები.

ბემზე

ლურჯ მთების ზოლი, ლურჯ ცის სივრცეში
შორს, უსაზღვროდ შორს მიიკლაკნება,
ლურჯ ოკეანეს ლურჯი ტალღები,
ლურჯ ტყიან ნაპირს აქცევს, აკვდება.
შორს იალქანი მოსჩანს მცურავი
ლაღად გაშლილი ვით გედის ფრთები,
და დაუცხრომლად ატოკებს ამ ფრთებს
ხან ქარიშხალი, ხან ზღვის ზვირთები.
გემს კი ზღვის სუნთქვა გახშირებული,
ხან დაუშვებს ძირს, ხან ასწევს მაღლა.
მაგრამ რა არის გემისთვის შიში,
რა არის ბრძოლა, რა არის დაღლა?
იგი ვერც წარსულს გამოაბრუნებს,
და ვერც მომავალს ვერ მიეწევა...
მისთვის ერთია ზღვაზე სრიალი
და ზღვის ტალღებზე ნაფოტად ქცევა.
ლურჯ მთების ზოლი, ლურჯ ცის სივრცეში
შორს, უსაზღვროდ შორს მიიკლაკნება,
ლურჯ ოკეანეს ლურჯი ტალღები,
გემს ეხლება და ვაებით სკდება...

მიწა გამოჩნდა

ხომალდს, რომელსაც ნაფოტივით ღუპავს ბუნება,
რა იღუნება იქ მაღალი ანძების სვეტი,
უხილავ ძალას უცდის პოეტი
და ქარიშხალის აზუზუნება.

მიარხევს ზვირთებს მრისხანე ბედი.
არსად არა სჩანს სული უნებო,
ვისაც არა-რაი დარჩენია სიკვდილის მეტი
და იცის მხოლოდ ერთი გრძნობა: არ დაბრუნება.

მაგრამ შენ როსმე გიგრძვნია?—არა!
მის საძებნელად გავსწიოთ ჩქარა
სასოწარკვეთის დედამიწას ნება ვინ მისცა?

ბევრი ეძებდა მის ნახვას დღემდე,
მაგრამ შეხედეთ: ძიების შემდეგ!
მიწა გამოჩნდა, მეგობრებო, ახალი მიწა!

ანძები

დაუნდობელი ქარით ნარენი
და დაწეწილი როგორც წვიმები,
ვით დაღალული სერაფიმები
ჰქროდენ ანძები მგლოვიარენი.
არ მეშინოდა. გზას არ აურევს,
ცისფერ ხომალდის სველი ფერდები,
„მიწა“, აღმოხდა გულს მეზღვაურებს,
მაგრამ მე მაინც არ შევჩერდები.

ლურჯი ხომალდი

ხომალდი ლურჯი, დაღლილი სახით
მოსული გუშინ, ისვენებს გვიან,
ადევნებული მთვარის მაზარით
ანძების ტყეში ლანდები ჰქრიან.
ხომალდი მიდის—როგორც ტაძარი,
მაგრამ არ მიდის, ლანდნი მიდიან.
დამშვიდდი, ზღვაო, იყავი წყნარად
გადაქცეულო ლილიან ქარად.
და, ჰა, დაღალულ სულთა მკურნალი
დაფნისის სული, კრთომა ქლოესი,
უუძველესი ბაღის სურნელი
ჩემთვის მარადის უახლოესი.
ნუ გვიანდებით, ნუ გვიანდებით,
ეშვება ბინდი ლილიან ფრთებით.

შენ ზღვის პირად

ზღვას საღამო ედებოდა მუქი,
შენ ზღვის პირად სჩანდი, როგორც შუქი.
მე პირველი მახსოვს შენი ნახვა:
გაოცება! მშვენიერი ზრახვა.
როგორც შორი ხომალდების ცქერა,
ვით პირველი გრძნობით გულის ძგერა,
ირხეოდა გამჭვირვალე რული
და მტკივოდა... და მტკივოდა გული.
იმ ხომალდებს სამუდამოდ გაჰყვა
გაოცება, მშვენიერი ზრახვა.

ლილიან ფრთებით

აჰა. შვენება! ოჰ, ეს ცისკარი,
ოცნებამ ბაგით გაგაანგარა.
შემოგახვია შავი ზღვის ქარი
ლილიან ქარად ბაგე ანკარა.
მოგცა ლურჯი ცა და მინანქარი
გადაგაქცია ლილიან ქარად
ნუ გვიანდებით, ნუ გვიანდებით,
ეშვება ღამე ლილიან ფრთებით.

სანთლები

შორს, ზურმუხტისფერ სივრცეს იქით სანთლები სჩანდა,
დასასვენებლად მიიწევდა იქ მეზღვაური;
ერთხელ ზღვა გასწყრა, აირია, გაჟინიანდა...
ტალღებმა შექმნეს ვაი-ვიში, აურ-ზაური
და გემს უმიზნოდ, საუკუნოდ დააგვიანდა.
მას აქეთია, იალქანი ზღვაზე მიფრინავს,
მისთვის ერთია სად დახუჭავს ოცნება თვალებს,
მიუწვდომელი სანთლები კი ბრწყინავს და ბრწყინავს.
როგორ მაგონებს ის სანთლები ჩემს იდეალებს!

მე ერთადერთი მქონდა წუხილი

მინდოდა წყაროს წყალი გემოთი
და მშობლიურით სუნთქვა სიოთი,
მე მივდიოდი და ვეცემოდი,
ისევ ვდგებოდი და მივდიოდი.
როცა თოფების ატყდა ქუხილი
და ზარბაზნების გრგვინვა და ჭექა,
მე ერთადერთი მქონდა წუხილი:
თქვენი სოფლების ღვია და დეკა.
შორს ერთადერთი ენთო სანთელი,
უუძველესი ბაღის ტოტებით,
აქ კი გრიგალი, კორიანტელი
და ტყე მშფოთარე თავგამოდებით.

ფარულ ტკივილებით

ფარულ ტკივილების ბაღი დაბურული,
ასეთ გრადაციით მიდის ფრთა-ზვიადი:
ღამე—მარტოობის მტევნით დახურული,
ფარდა—იდუმალი, სარკე—იშვიათი.

ღამე უცხოეთში უნდა გამეთია,
როცა აზიიდან მოდის განათება—
ათას საუკუნის მთელი ტრაგედია
მოსდევს მოგონებას როგორც ანათემა.

ხმალში გაწვევაზე ფიქრო უმიზეზო,
შენზე ოცნებასაც ვიცი—რა დავარქვა!
სანთლით იფოთლება ჩვენი ჩუმი ეზო...
გასწი! მიმაქანებს თვალთა გადაკარგვა!

შენ გვიანდები

შენ გვიანდები.
სხვა ხომალდები მოადგა ნაპირს, დაუშვა აფრა
და ჩაჰყურებენ მძინარე ნაპირს კრეისერების მძიმე ლანდები,
წითლად ნანთები ზღვა იზმორება, ქაფის გორები არ ძრავს
ფრეგატებს
და სიმორეში ჰაეროვანად ლილიანდები,
ოქრო ნანთები,
დასძრა შუქურამ და აელვარდა შენს ირგვლივ ქაფზე
ათასი ალი, ათასი ლალი და უმძიმესი ბრილიანტები.

მაისმა ისევ მოგმიტანა ლაჟვარდი ზღვები

მაისმა ისევ მომიტანა ლაჟვარდი ზღვები—
მოგონებათა სიხარული და უხვი გრძნობა,
წამომყვა ზვირთის მშფოთარება და მზეთა დნობა,
თავს არასოდეს ისე არ ვგრძნობ, ვით გრძნობენ სხვები.
მე განვიცადე ოკეანე, შორი ყინული,
მათი სიმშვიდე, მათი ვრცელი აურზაური,
ჩემს სამშობლოშიც აღტაცებას ვგრძნობ მეზღვაური,
ისევ სიმშვიდის სიხარულით შემორკინული.

მღელვარება

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამწარებული ეხეთქება ტალღა ქვა-ლოდებს
ხან გაიბრძოლებს გრგვინვა ჩქარ-ჩქარი.

თავგანწირული ოკეანე საზარლად გოდებს,
ქუხს, იმუქრება მეხის ხარხარი.

მაგრამ ჩემს ხომალდს არ აშინებს ბრძოლათა ხედვა,
იგი მოივლის ქვეყნის დასავალს!..

ამდიდრებს მისი გამძლეობა და გაბედვები
მხოლოდ პოეტის თავგადასავალს.

რა დროს რომანსეროა

გაცრეცილ და მტვერიან
ცას სინათლე კლებია.
ყვავილებზე მღერიან...
რა დროს ყვავილებია?
ცაზე ვხედავ წეროებს,
თითქო მწკრივი ღეროა.
მღერენ რომანსეროებს,
რა დროს რომანსეროა?
წყარო ხევში ვალალებს:
გაჰქრა გიჟი ოცნება,
ვკოცნი მე შენ დალალებს,
მაგრამ რა მეკოცნება?

წყნარი ზღვა

ღრუბელი იდგა როგორც ფრეგატი.
ზღვა იყო წყნარი, ცა იყო ლურჯი,
მიმაქანებდა ოცნება ურჩი,
ფიქრებთან სადაც დადგა ფრეგატი,
შორს ცისარტყელას გამოჩნდა ბურჯი
და იმედების დაანდო ხატი.
ღრუბელი იდგა როგორც ფრეგატი.

მეოცნებე აფრებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

სად ოდესმე მეოცნებე აფრებით,
ათასფერი იმედით და ზაფრებით,
აგასფერის მიმოქროდა ხომალდი,
მეზღვაურის სულთან გათანაბრებით.
როგორც ზვირთთა ქაფიანი მოდება,
ფაგოტების მიტაცებდა გოდება,
მაოცებდა უმძლავრესი მუსიკა,
თმას მიწეწდა ქარის გაბოროტება.
დატვირთული მრავალ უამიდობით,
კიდევ დიდხანს ვიქანავებ კიდობნით,
აღტაცებავ სიყმაწვილის დროისა,
სამუდამოდ, სამუდამოდ მშვიდობით!
ის ირღვევა, ის ოცნება ბერდება
და ხომალდი ნაპრალებთან ჩერდება,
საიდანაც მარად ესმის მსოფლიოს
ზეცის ნგრევა, მიწის გადაფერდება.

როგორც სიმღერა

როგორც სიმღერა, მეოცნებე მოსვენებაზე
დავიწყებული ჩემი სიმდიდრე,
ეძლევა ტალღებს და ქანაობს ქარის ნებაზე
დაცხრება ვიდრე.
როგორ ხმაურობ ოკეანეს სივრცე, ზიარო,
ცად იკლაკნება ელვის გრეხილი;
გადაეფინა არეს ნისლი სამგლოვიარო...
და ესიზმრება სხვა ქარტეხილი.

წამი წამს ეზიდება

ვხედავ ზამთრის ძონძები ხეებს ჩამოეკონა,
მე კი ეს გაზაფხული ისევ ჩემი მეგონა.
ყველაფერი გათავდა, წამი წამს ეზიდება,
რა ამაო ყოფილა წუთისოფლის დიდება.
ჰყინავს. ისევ ღამეა. მოდის შიში შორეული...
რა ამაოდ ირევა წუთისოფლის მორევი.

მფარველი იალქნები

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოჩნდებოდა შემოდგომა ჩემი მფარველი,
როდესაც სულში დასჭკნებოდა ათასი ვარდი,
საბედისწერო ბედის ბილიკს გადავიარდი
და ქარიშხალი მატარებდა განუქარველი.
და მისი ხმები მომესმოდა: ზღვაო, დაწყნარდი!
შენ ქარიშხალო, დასავლეთის გზებით წარველი:
მე მგზავრი მგოსნის ანგელოსი მქვია მფარველი,
სული იმისი სხვანაირად არის წარმართი.
ოჰ, რა ოცნება იყო ჩემთვის ასეთი ხმები!
ულრუბლო ზღვაზე მისცურავდენ მძიმე გემები
და დროშათ გროვა, დაწეწილი და დაქანცული.
შორით მოსჩანდნენ იალქნები და უფრო შორით
დატოვებული ქარიშხალთა წითელ იზორით,
ეხლა საამოდ ელვარებდა თეთრი კუნძული.

წყალზე

ქალაქი წყალზე, წარბშეყრილი და მრისხანება,
როგორც ქალაქი, დრედნოუტიც ისე ჩუმია;
მხოლოდ ნაპირას მოასკდება გამოქანება
და დაწყნარდება, თითქო ლურჯი აბრეშუმია.
ქანაობს გემი, მიჩვეული გრიგალით თრობას,
ო, ეს დუმილი, დაყრდნობილი ანძების თავზე,
ამ ბნელი ღამით ემუქრება კაცობრიობას
ძველს, დახავსებულს ემუქრება სიახლით სავსე.

ლოცვაზე უფრო

ახლოვდება შორი მგზავრი,
გზა სივრცეში გროვდება,
ელექტრონის სუნთქვა მძლავრი
ჰაერს არ მოშორდება.

აფეთქდება უცებ გაზი
და კივილით შედგება,
რომ ლოცვაზე უფრო ნაზი
იყოს ეს აფეთქება.

სასაფლაო

სარკოფაგიდან დგება მუმია. რა სიჩუმეა. ჰაერი ლურჯი
აბრეშუმია.

ორხიდეები ეცემა ნილოსს, როს მხურვალება ქვიშაზე კვნესის,
უნდა რომ სული არ მიისილოს, უნდა სამარე ჰპოვოს
რამზესის.

ის იყო მეფე. ეხლაა მტვერი. რომ საუკუნეთ რიგი გარიყოს,
არ შეუძლია იყოს პირფერი. არ შეუძლია მტვერი არ იყოს.
და საუკუნეთ რიგს თვლის მუმია: მზიანი დღეა, თუ სამუმია.

რაც იქნეს — იქნეს

როს სიბნელეა და გზას ვერ ვაგნებ,
მენატრებიან ფრთები თეთრები,
მაინც არავის არ ვევედრები:
გზა გამასწავლეთ, გავიდე იქნებ.

იქ სასიკვდილო მახვილებს იქნევს,
ყველა ჩონჩხები, ყველა ცხედრები,
მაგრამ არც კვნესა, არც დაყვედრება:
წინ, გაბედულათ! რაც იქნეს, იქნეს!

დ რ ო

აზიის დაშლილი თმის შავი გიშერის
მსუბუქი ტალღები და ლურჯა ცხენები!
შენ მხოლოდ მარადი სიმაღლე გიშველის,
როს შუქად მშობლიურ ცას შეეშენები.

სარკეთა სახეებს სანთლები მოედო
და შვენის რუსთაველს შირაზის ვარდები;
სიმღერის მხურვალე დრო არის, პოეტო,
თუ ასე მტკიცე გზით წარემართები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარჩევი

	გვ.
გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედება — შ. რადიანი	3
I	
ჩემი სიმღერა	19
სამშობლო	19
ვწერ ვინმე მესხი მელექსე	20
არ გიღალატებთ!	21
იავნანა	22
ხალხის აწმყო, ხალხის ხვალე	23
მშობლიურო ჩემო მიწავ	24
*** (ოცნებაო ჩემო ძველო)	28
კიდევ მრავალ ახალ წელს!	28
მამულო, სიცოცხლეო!	29
ჩვენ	29
ლრუბლები ძაუგთან	30
სიმართლის დროშა	31
მოგონება სევასტოპოლზე	31
დიდი არმია	33
მშობლიური მოწოდებით	33
შეხედეთ!	35
მფრინავი	37
ეს წელიწადი	38
კავკასიონის კალდეებზე მეომარი სდგას მზიანი	38
სამშობლოსთვის არის იგი სიმღერა	39
*** (მას, განათებულს ივერიის)	40
ახალი ტფილისის დაფუძნება	40
თასი	41
ვისი არის ეს გუგუნი?	42
*** (როგორც მერანი)	42
მწვერვალი	43
ირაკლის ხმალი	43
სიცხადე	44
ელგუჯას დაბრუნება	45
II	
სარკმელი	53
სადღაც, ყინულზე ცეცხლი ანთია	54
მთვარის ნაამბობიდან	54
სტალინი	55
ეს წელიწადი	57
პიონერო, იყავ ღირსი	58
გორი	59
პოეზიის ინტეგრალები	63
სამშობლოს	64
შრომა და მოსვენება	65
გამხიარულდი, ბუხარო	66
ახალი მეკვლე	66
*** (საბჭოთა ხალხის გმირული)	66
*** (ფერი მზესა და ქარს მოჰყავს)	67
იმიტომ ხდება რევოლუცია	67
ჩანგო, ბევრი კარგი დრო	68
ეს რა ნიაღვრებს ვეზუვი ისვრის?	69
მაღალ მთაზედა ავაგე სასახლე ახალ-ახალი	69
*** (დღევანდელი დღის)	70
ლენინისა და სტალინის გზით!	70
ჩვენი მნათობი ცეცხლის ფერია	72
ჩვენ, პოეტები საქართველოსი	73
პირველი მაისი	74
მოდის მაისი	75
ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ დროის, ეპოქის და სივრცის გარედ	76
შვებული	77
არმიელი ვარ	77
მზეა ისე მგზნებარე	78
სანამ არ დამსხვრეულან	78
სამოცდაათი წლის პოეტი ქუჩაში მიდის	79
ცაზე ლეგიონი	81
ჩვენი არმია გზას მიჰყავს მზიანს	81
იდეა	82
ქალაქი წყალქვეშ	83
გაზაფხული	85

	გვ.
მთის გულისცემა	86
საღამოს ნისლში	87
მხრები ყაზბეგის	89
ისევ მესხის გამოხედვა	89
მესხის გამოხედვა	91
გმირს გამარჯვება!	91
გზა გამარჯვების!	92
გამარჯვებას თანაბრად სწერს	93
იბარური	94
*** (გაზაფხულია. ხე ფოთოლს ისხამს)	94
დროშები ჩქარა!	95
ათრობდა ხალხთა მწუხარება	95
პროლოგი 100 ლექსის	96
სიმღერის მინდა მე წამოწყება	96
ბოძთან ტრამვაის უცდიდა მგზავრი	97
ჩაჰკეტა კარი	98
გემი „დალანდი“	98
ურიცხვ დროშებში	99
არიან დღენი	99
ცხრაას თვრამეტი	100
რამდენიმე დღე პეტროგრადში იყო	103
ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის	104
რა საჭიროა სიტყვები? მჯერა!	105
მღვრიე ქარი	105
მას გახელილი დარჩა თვალები	106
რევოლუციონერის ხსოვნას	107
მშვიდზე-მშვიდი	108
გზებზე გავედით	108
საღამოხანად მთაწმინდას რომ დაფარავს ნისლი	108
ფერადი შუშები	109
ახალი ნანა	110
ეძიე ჰანგი სიხარულისა	110
ბეწვზე გადარჩენილს	111
ლვიძავს რკინისგზის სახელოსნოებს	111
ნავთსადგურთან	111
ეჯახება ბორბალს ბორბალი	112
მეზღვაურებო!	112
პოეტი	112
უძლეველი არმია	113
მშედლების ქუჩა	113
შოგონება	113
	გვ.
რა წარმტაცი ხარ, რა დიდებული!	113
ელოდნენ რევოლუციას	114
შორი ალპების წყაროზე წმინდა, სამხრეთის მზეზე უდიადესი!	114
სიმღერავ!	114
ოცნება და სინამდვილე	115
ფიქრები რატაციონის გრგვინვაში	115
ჩემო მენავე	115
გულს მიეც სული და დაიქუხებს სიმღერის ლტოლვა ტიტანიური	116
მეტეხს იქით ცა, აჰა ნათლდება	117
რაც დავიწყებით არ იბინდება	117
სამაისო სიმღერებიდან	117
აყვავილებულ საღამოს	118
კლდეებს ამტვრევენ	118
რა იყო შენი ბავშვობა?	119
გახსოვს ის ქარბუქი?	119
ჩემო სიმღერავ, მაღლა, სულ მაღლა!	119
სიმღერა კარგი მხოლოდ მასისთვის	120
ეფინება სიხარული	120
საღამო ხანად ისევ იმ ნანად	120
ქართული ორნამენტი	121
სტანსები	121
ხმა უჩვეულო	122
ავდარი	123
ქუჩებს ყვავილი მოეფინება	123
სიხარულით ეგებება დღის სალამი!	124
ყოველ სტრიქონზე	124
სულს ნუ დაზოგავ მღელვარე ხმებში	124
სიცოცხლით, მთელი შემოქმედებით	125
ძლიერ მომავალს უმღეროდა მომავლის ქნარი	125
ციხარტყელა	125
მე მასთან ვარ ისევ ისე	126
ელსადგური ტყეში	126
დიდი ზამთარი	126
საღამი ახალ გზით გაერთიანებულ საქართველოს!	127
ღელვას — ფერადები	127

	გვ.
უზარმაზარი მსოფლიო ქნარი	127
აღტაცებას იმედისას და მსოფლიო გამარჯვებას	128
*** (პროუექტორი)	128
მკაცრია ამ დროს	128
იგი დრო ენამ ვერ გამოხატა	129
განთიადზე კი	130
ახალ იმედათ	130
მიდუდუნებენ ზვირთნი მტკვარისა	131
ჰყვება ტფილისი სხვადასხვა ჰანგებს	131
ჩრდილმა გადაიქროლა	131
უტეხი ხმებით	132
მატარებელში	132
შავი ზღვის პირად	132
ცა, ზღვა და მიწა	133
*** (გუშინ ქარმა და გრიგალმა)	133
სწორედ ისეთი როგორიც ვიყავ ოცი წლის წინად	133
მწვერვალი დაიხარა	134
*** (უზარმაზარ კლდეს მიემსხვრა)	134
უნდა ვიცოცხლოთ, უნდა ვიცოცხლოთ!	134
ხალისიანი კრთომა	135
ცეცხლის სახმილი გამოცდის რკინას	135
სიცოცხლის მტევნები	135
მხოლოდ ეს გული	136
არხევს ახალი სიცოცხლის აკვანს	136
გზაზე	136
არგონავტები ახალი დროის	137
სადღეგრძელო	137
დაჰკარ, ორკესტრო!	138
ბრძოლათა თასი	138
უკმარობის ნიაღვარი	138
მოელვარე გზით	139
ფიქრი თვალს აწევს	139
გადაეფარა იგი მრავალ ხმას	139
მიჰყევ, გაუგონე ბორბლებს	140
წყალს იქით რომ ერთი სახლია	140
გზა ახალ-ახალ გადამთოვრების	140
ახლა — განა ისეთი დროა?	141
სტრიქონები	141
ყველგან დირიჟორად არის ინჟენერი	142
ჩვენ ის გვიყვარს	142
მაინც სწამდა გამარჯვება	142
ფრაგმენტი	143
მხოლოდ იდეა	143
ჩვენ ავდიოდით საღრჩობელაზე	143
არწივების თავდასხმა ჰაერო-პლანზე	144
ჰქუხდე გულისთქმავ!	144
რამდენ ღამეს მოელო ბოლო	145
როგორ არ იცით თუ რა ძალაა	145
დამშვიდდი, ქარო!	146
თანასწორი	146
ერთხელ საღამოთი	146
მე ვოცნებობ ახალ საქართველოზე	148
რვა მარტი	149
*** (მატარებელიც მოიჭრა თუჯის)	149
გულში ცეცხლია	150
აჰა, თენდება	150
გაუმარჯოს მებრძოლ თაობას	150
არგონავტები ახალი დროის	151
„ინტერნაციონალი“	151
რევოლუციონურ საქართველოს	153
თანდათან, თანდათან ახალი ქვეყანა შენდება	154
ყოველი მხრიდან	156
ხმამაღლა, ხმამაღლა, ხმამაღლა!	157
მხარი მხარს, მხარი მხარს!	158
მოგზაურობა ვერცხლისფერი ბილიკით	158
მზე თვალებში ჩაგეწვეთება, და თვალს სინათლე მოემატება	159
მწვერვალები ახალი მთების	160
შეხედე!	162
კოლხიდის დაბლობზე	162
*** (საღამოს მთების)	163
დაუძლეველი	164
რად გვინდა თავი ცოცხალი!	164
ძველი და ახალი ხიდი	166
რევოლუციონური საქართველოს ცხოვრების ფურცლებიდან	168
სიმღერა	169
ოქტომბრის სიმფონია	169
ქარი	178
ტბა ალპიურ ზონაზე	179
(ჩამავალო მზის ფერადო კიდევ)	180
წარწერა წიგნზე „მანონ ლესკო“	180

	გვ.
ავდარი	181
სადაც ალპებია, ველად	182
იერი	182
*** (მე ხომ სხვა ვარ)	183
*** (ცაზე მიდის ერთად-ერთი)	184
*** (წყალტუბოდან ქუთაისში)	185
აწმყოს დიდება დიდი	185
*** (ნიავი, ია, ნარგიზი)	186
სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნდა	186
გამონაკლისი	187
*** (მთაგორების ზემო)	188
*** (ჩვენ დავინიშნოთ ეს ადგილი)	188
გამოცოცხლება	189
აღემატება ყოველგვარ ძალას	190
მგზავრის სიმღერა	190
ჩვენი შავი ზღვა	191
ალპები	191
სტანსები	192
ფრაგმენტი	192
მატარებლიდან	193
*** (ზღვა წყნარია ნამეტანი)	193
სანატორიუმში	194
პოემა ვეფხისა	194
პრესა	197
ქარი ვარდებში	201
ფიქრი ზღვის პირას	202

III

რას იპოვი აქ, საზღვარგარეთ	205
მოგონება მშობლიურ მხარის	206
ფიქრები სამშობლოზე	207
იმ დღეს რომ იყო	207
ჰანრი ბარბიუსი კონგრესზე	209
ვეზუვი	211
უცხოელი პოეტი	212
უმუშევარი	213
წარწერა ანატოლ ფრანსის სურათზე	213
ტირიფი	214
მოდის	214
პატარა პიერი	215
*** (აგერ შემოდგომობის)	216
ვოლტერის ძეგლთან	217
მელანქოლიური მოსიმღერე	217
ბარელიეფი	218
გოტიეს რომანიდან	218
ქიმერა	219
დაბრუნებისას	220
რუსთაველი პარიზში	220
ახალ ცხოვრებას გაუმარჯოს	221
ვით ხეს ფოთლები	222
მე მახსოვს მისი სახე	222
*** (მეგონა: ღამე ფლობს იუნგ-ფრაუს)	223
*** (სადღაც დარჩა, შორს)	224
მუშის სიტყვა	225
*** (მეტყვი: როგორც ეს გრიგალი)	225
*** (მზადა ვარ მარად)	226
პუშკინი პარიზში	226
მოხუცი მწიგნობარი	227
ლუმანიტე	227
ქუჩის მომღერალი	228
ქალაქისაკენ	229
სიკვდილი უმუშევრისა	231
უბინაო დედა	232
უცხოელი ბავშვი	232
მისტერია წვიმაში	233
მონ-პარნასი	234
აბისინელი ჯარისკაცი	235
ავტო-მოტო-ველო	236
*** (ეხლა ძვირფასო მოგონებავ)	236
ეიფელის კოშკზე	237

IV

*** (უღრმეს, ურთულესს)	241
*** (თუმც ცოცხალი ვარ)	242
ღლიურ პროზიდან	243
*** (როგორც მენავემ)	243
ხელი იმ წამების დროს რომ არ გამოგიწოდეს	244
როგორ ებრძოდენ ზარებს ზარები	244
ქარი არხევდა იტალიანურ შობის ხეს ტრიპოლისში	246
ქარი, ამწევი ფარდის	247
ლურჯა ცხენები	248
მთაწმინდის მთვარე	249
ეს მშობლიური ქარია	250
კახეთის მთვარე	252
ალაზანთან	252
მივდიოდით ალაზნის ველად	253
*** (წინანდალელი ნათელა)	253

	გვ.
მხოლოდ გული...	253
გახედე: კახეთი!	254
თეთრი პელიკანი	254
საღამო	255
სანთელი	255
ტფილისი	256

V

ტფილისის ზეცა მოწამეა	259
ქრონიკა ერთი დღის	259
აივანზე	260
ოპერის თეატრთან	260
ახალი მზე	261
აი, რა მზის სიზმარია	261
მეტეხი იდგა რუხი, პიტალო	261
უცნობი ქუჩის დასასრულთან	261
მთაწმინდის იქით	262
15 საუკუნე	262
*** (როცა დაეცა შური ბინდისა)	263
ადრიანი გაზაფხული	263
*** (სდგას ხეივანი სასახლის წინ)	263
ტფილისს სძინავს მძიმე ძილით	264
კაკლის ხე მთაწმინდაზე	264
*** (დღეს მაისი ფერში ნაირ-ნაირშია)	264
პირიმზე	265
უნაზესი ხელნაწერი	265
ზღაპარი	266
იშლებიან ყანები	266
პირიმზეს	266
არაგვი	267
გამოსალმება	267
ზღაპრებიდან	267
საღამო	269
მამული	270
სერენადა	270
ჭარხალი	271
არწივებს ჩასძინებოდათ	271
ომნიბუსით	272
ღვინოს დააბრალებენ	273
ეს მძინარე მთა და ველი	273
წერილი სოფლიდან	274
შინდისის ჭადრებს	274
ალვის ხის გადარჩენა	275
შენ რაღას იტყვი?	275
ძველის ძველ ღვინოს	276
*** (ო, მეგობრებო, ჩვენი სერობა)	276
	გვ.
მივაშუროთ!	277
დროა	277
იქით ნუში, აქეთ ნუში	277
სადღეგრძელო იყოს მისი	278
ალის თასი	278
მოდის ჭალების სული მცურავი	279
შავი ყორანი	279
„ჩემო იარალი“	280
მესაფლავე	280
ცხოვრება ჩემი	283
მივარდნილი აივანი	283
ტყე დაბურული	284
როგორც წუხილი არაგვის კიდის	284
ხელოვნება	285
როდესაც მთვარე ანათებს დღისით	285
შუადღის გულმოდგინება	286
ბალახები	286
ყანები	286
გზაში	287
ძველი რვეულიდან	288
შენ რაღას იტყვი, ყანა?	289
*** (გაგონდება თუ არა)	289
ეს წინად იყო	289
მუხები	290
ცელი ჰკივის	290
აყვავილებულ ველებს სალამი	290
მოგონება ჩვენი ჭალისა	290
ძველი წისქვილი	291
პირველ თაველებს	291
გზად ვეშურები მგზავრი	292
აგერა! აჰანდე!	292
მთვარე ჭაში	292
ქალავ!	293
შორი ყინული კავკასიონის	293
ქალს მთებიდან	293
მცხეთიდან	294
მხოლოდ ნანა	295
იცვალნენ დრონი	295
სასახლე ძველი	295
დაგიფარავენ	296
*** (აქ მარმარილოს მაღალი სვეტი)	296
დღე გაფითრდა იაგუნდის	297
*** (კარს გაუღებენ მას წინაპრები)	297
ციხის ნანგრევებთან	298

*** (ჩვენ ავაშენეთ მაღალი კოშკი) 298
დაბრუნება 298
გორიდან 299
ავჭალის იქით 299
გახსოვს? რა დრო იყო ის დრო! 300
მცხეთამდე 300
*** (ელვარე და ლომ-ფერი) . 300
რა მშვენიერი მინდვრებია . 301
გავსცდით ხანდაკს . . . 301
სამხედრო გზაზე... . . . 301
თითქო არა აქ 302
*** (ჩვენი დღის ამბებს) . 302
გვირაბებიდან 303
ღამე ხეობაში 303
ჩვენი საუკუნე 304
მშობლიური ეფემერა . . 305
პოეზია—უპირველეს ყოვლისა . 306
წელიწადები წავლიან ძველნი . 306
მგლოვიარე სერაფიმები . . 307
შენ ერთი მაინც . . . 307
*** (მიყვარდა ჰანგი გრძნობით გამთბარი) . . . 308
როცა აკტეონი, ძეა არისტეას 308
უნაზესი ხელთნაწერი . . 309
იქ პოეტების ფრიალებს დროშა 309
წიწამურში რომ მოკლეს ილია 310
შერიგება 310
კაცი, რომელმაც გაბედა . 311
მე არა ერთხელ მქონია ფრთები 311
გააფთრებული რომ იყოს ვეფხვი 311
აკაკის ლანდი 312
შიშველი 313
ვიგონებ რა იმ მიქელ-ანჯელოს 313
ობელისკი 313
ჩვენი დრო ისევ რუსთაველს ელის 314
ის დირიჟორი 314
ვაგნერი 315
მარმალილო 315
აუჩქარა ცხენმა გზაში . . 316
ედარებოდა შეშლილს . . 316

*** (მალე ფერ-გადაშლილი) . 316
სტიროდა სულ ცისფერ ღვინოებს 317
*** (როცა გარშემო ღამე ბნელია) 317
აჰა, ბინდდება 318
მუსიკა — უეცარი . . . 318
გოტიეს 319
*** (ორი ზღვა შეხვდა) . 320
რუს პოეტს 320
აღარ არის მენესტრელი . . 320
წერილი მეგობრებისადმი . . 321
ქალი და ხელოვნება . . 321
პარალელი 322
შემოქმედება 322
ვუალისა და ვიოლეს შესახებ 323
ისევ ეფემერა 323
ათოვდა ზამთრის ბაღებს . 325
ოფორტი 326
გადია 326
*** (თბილ ბალიშებზე ისვენებს კატა) 327
*** (ხომალდს მიყვება) . . 327
ზამთრის მოტივებიდან . . 327
თოვლი 328
ალვები თოვლში . . . 329
თეთრი ქარები . . . 329
თოვლი იყო ირიბი, ალმაცერი 330
*** (თეთრ თოვლის ქვეშ) . 330
ზამთარი ძნელი . . . 330
*** (დგება თეთრი დღეები) . 331
მწუხარება შენზე 331
სინამდვილეში ოცნებისას . 331
თოვლი 332
რაც უფრო შორს ხარ . . 332
ვინ არის ეს ქალი? . . 333
გავიდა ხანი 333
ის 334
სიმორით შენით . . . 334
ნუგეში 335
ძველი მოტივით 335
შენ ზღვისპირად . . . 336
VOILES 336
*** (ო, დღეს შემოდგომაა) . 337
შენი სადღეგრძელო . . . 337
სადღაც მინახავს . . . 337

	გვ.
მერი	338
მოვა... მაგრამ როდის?	339
არ-დაბრუნება	340
*** (ეს იყო ოქტომბრის დამ-ლევს)	340
მე და ღამე	342
უხილავი	343
სიჩუმის ანგელოსი	344
სიხარული ბრძოლაში	344
*** (ხშირად ვოცნებობ)	344
ახალ ცისკართან	345
ვარსკვლავიანი კამარა ბრწყი-ნავს!	345
სულ ადვილია რწმენა	346
დუმილი	346
კორდზე	347
კვნესის ვოლტორნი	348
დასძინებია ალერსიან ბაღს	348
ხომლი	349
ცა თოვლით ფენილი	349
*** (აჩრდილი ჩუმი)	349
ღამევ, რა მოგივიდა?	350
ამ ბნელი ღამით	350
ეს იყო ძველი, ნაცნობი აზრი	350
მთვარე მთას ამოეფარა	351
უდაბნო	351
პრიმიტივი	352
კვლავ აელვარდა ირმის ნა-ხტომი	352
როგორც სინათლე მოხეტიალე	352
ცად აზიდულა ვით მარმა-რილო	353
ჩუმი შრიალით ხის ფოთლე-ბი მეგებებიან	353
დღეს დღეები ეცლება	354
სარკმელთან	354
მე მოვალ	354
განწირულება	355
სიზმრები	355
უკანასკნელ დღეს	356
სიკვდილი მთვარისგან	356
გუშინ, მთელი დღე	357
ის მიდიოდა ქუჩაში ერთი	357
იდუმალი მეორე სახე	358
სამრეკლო! უდაბნოში	358
სიბერე	359
ჭიანურები	359
*** (გეძებდი ყველგან)	360
	გვ.
აედრის მოლოდინი	360
სად?	361
რომელი საათია?	362
დამშვიდობება	363
ატმის ყვავილები	363
ბედს იქით!	364
იმ ატმებს გაუმარჯოს, იმ ატმის ყვავილებს!	365
ატმის რტოო, დაღალულო რტოო	365
*** (იმ ვარდისფერ ატმებს)	366
*** (ის წაიყვანა ოცნებამ მისმა)	366
დომინო	366
უცნაური სასახლე	368
ჰორიზონტიდან ზენიტამდე	369
ღამე დღეს შეხვდა	370
უსიყვარულოდ	370
თვალები	371
ჩემი ვარსკვლავი	371
ნიაღვარი	372
რა რიგ მწყურია	372
ეჭვი	373
*** (ველთა შორის გამოისმა)	373
მივალ, გადავკოცნი...	374
ღელავდენ...	374
მერის თვალები	374
ქალმა დამწყევლა ლამაზმა	375
თვალს ნაზი და მთვარეული	375
ღვინისფერო მდინარე!	375
ცამეტი წლის ხარ	376
მთელი დღე ვგრძნობდი	376
დამწველი თავის სიმშვენიე-რით	376
ზღვაზე სცურავს ნაფოტივით	377
ორი ასული ნეტარი	377
ვისმენ დანატრულ ხმას	377
როდესაც მთვარით	378
ალვის ხეები მშვილდისარს ხრიან	378
არსებობის გული	378
ხელები	379
აუზისაგან	379
მთვრალია ყოფნით, მთვრა-ლია ცეცხლით	379
მოგონება	380
ეს იყო თხუთმეტი წლის წინად	380
ლანდი — არა-ქვეყნიური	381

ვერსად, ვერასდროს...	381
მაინც დავიმსახურე	382
სანამ შორს იყავ	382
ხალხური მოტივებიდან	382
დადგა აგვისტო	383
ერთ დროს	383
შენ თუ მოელი?	383
მე ვინც მიყვარდა	384
ათი ქალწული	384
10 წლის წინად	385
წერილიდან მისდამი	385
ხიდი რიალტო მთის მდინარეზე	386
გული	386
ისევ ოცნება და სიყვარული	387
შენ ალტაცებით ისევ ენთები	387
მწოლარე	387
ახსნა	388
*** (მზეო თიბათვისა)	388
შემოდგომა „უმანკო ჩასახების" მამათა სავანეში	389
საღამო სოფლად	390
შემოდგომის ყვავილები	390
ბატარებელში	390
შემოდგომის მოტივებიდან	391
შემოდგომის ფრაგმენტი	391
შემოდგომა	392
გაჰქრენ ზაფხულის დღენი	392
ფოთლები	393
ავადმყოფს	393
ჰორიზონტი ოდნავ ღელავს	393
ყვითელი ფოთოლი	394
უკანასკნელი დღე	394
შენ და შემოდგომა	395
შემოდგომის დღე	395
მაშინ ცას უფრო სხვა ფერი ჰქონდა	396
ასე რისთვის?	396
უკანასკნელი თანამგზავრი	396
ქარი ქანაობს ქნარად	397
შემოდგომის დილა	397
შემოდგომის დღე	397
ძველი წიგნების გვერდებს არეულს	398
გულო, რა გემართება?	398
ერთხელ...	398
შრიალებს ჩალა	399
სულ რამდენიმე წლის წინ	399
რა სევდიან ნანას ამბობს ქარი...	399
შენ და შემოდგომა	400
ქარით დატირებული	400
შემოსილნი გამჭვირვალე ბლონდებით	400
ელეგია	401
სახლი ტყის პირად	402
ქარმა ბუდიდან ყვავის ბახალა...	402
შეშლილივით დააღებს კარებს	402
წუხელი ღამით ქარი დაჰქროდა	403
დგება შემოდგომა	403
სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში	404
ღრმ გაიარა!	405
გზაზე ფოთლები ჰყრია	405
გვიანი ოცნება	405
მოსვლას აპირებს წვიმა	406
ქარი	406
ტყემ წამიყვანა!	407
დგება ნაზი შემოდგომა	408
სიმების კვდომა...	408
მუხა	409
ტყეში	409
დაღამდება ტყეში ოდეს	410
ვერხვები	410
იარე, კაცი შენ აღარ გქვია	411
ვარ გენია რიმანელი	411
როგორც კი დილა გათენდება	412
მწვანე ზოლი მთის	413
ორი მრისხანე სტიქიის ბრძოლა	413
უბედურ საათს არვინ დაგიცავს	414
მწარე იავნანა	414
მე მძინარე ვარ...	414
დღეთა კარებთან ვდგევარ წუხილით	415
ვერ გაიგონეს...	415
მიცქირე თვალში	415
ყველა შანდალში ჩაჰქრა სანთელი	416
გაიცქირება მომავლისაკენ	416
სული უსახლო	416
*** (გაშლილ წალკოტში)	417
ყველაფერმა იცვალა ფერი	417
სული მწუხარე	418
მაგრამ მე რა ვქნა?	419
დალუქულ ფოლიანტთან	419

ბრმა ცალი თვალით . . . 419
სხვა... ყველაფერი... . . 420
ერთმა წუთმა 420
*** (გული მღელვარებს) . . 421
გრძნობა, რომელიც დაკარგულია 422
*** (ამაოა მთლად ცხოვრება) 422
სამგლოვიარო ეტლების ფრენა 422
სასწაულს 422
ბინდის სტუმარი 423
ამაო ცდა 423
შავით შემოსილხარ როგორც ელეგია 424
ორი ზარი 424
ბედისწერა 425
ბნელ ქიმერებში 425
დახუჭული თვალები . . . 426
ქალწული 426
ქარებს ქარობა! 427
მიცვალებულის ხსოვნა . . 427
ორი 428
ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი 429
ღრუბლები ოქროს ამურებით დასახლებული . . . 430
სამი ღრუბელი 430
ახალი მოსახლეობა . . . 431
სინანული 431
მზის ჩასვლა 432
დაღლილ წამწამთ ქვეშ . 432
ვით აფეთქება 433
საღამო 433
ეფემერა 434
ყორანი 435
ედგარი მესამედ 436
სად დასასრული იყო . . 436
მე მესიზმრება 437
ლაჟვარდ ცაზე დღეა თეთრი კრავების 437
ჰაერი 438
მოჩვენება ნანგრევებში . . 438
თვალუწვდენელი. დაუსაბამო . 439
საახალწლო ეფემერა . . . 439
გეტერა 441
ყველაფერმა იცვალა ფერი . 443
იმედთა ნაცვლად . . . 443
ო, გიპოვე 444
*** (ოდეს მთვარის ნაზი შუქით) 444
სიტყვა პოეტის 445
მარტო არა ხარ 445
მიყვარს მარტო ქარიშხალი . 446
ტყის პირად 447
ეამსა სევდისას 447
რაა ახალი? 448
შუაღამისას 448
ზვირთები რბიან 449
ხალხი ირევა, ხალხი ფუსფუსებს 449
როგორც აჩრდილნი . . . 450
ოდესღაც, სადღაც... . . 451
დღეთა — გარდასულთა . . 451
გახსოვს? 452
გადაუღებლად 453
შენს ცისფერ თვალებს . . 453
სთვლემს ტყის ნაპირი . . 454
ზღვის პირად მდგარი . . 454
ის ჩამომშორდა როგორც სიზმარი 455
სიტყვა და ლოცვა . . . 455
შემოდგომაა 456
*** (მთის მწვერვალებს) . 456
მახსოვს 457
სარეცელთან 458
ნათელი 459
*** (რა არის შენთან) . . 459
რომანი 460
ახალი წელი 460
ძალა — იარაღი 461
ევა 462
*** (რამდენჯერა ვსთქვი) . 463
ერთი გავარდნილი კაცი . . 463
როდესაც ხალხთა ერიამულში გადვიკარგები . . 464
ვით გრიგალის შემდეგ ტყეველი 464
ოჰ, სად... სადაა... . . . 465
მე ვუკვირდები ამ უძირო ზღვას 465
ქარიშხლის შემდეგ . . . 466
მიმღერე რამე 466
განახლდა გული 467
არასდროს ისე არ მენატრება თავისუფლება . . . 467

პორტრეტი 468
მგზავრის სიმღერა . . . 469
დარიალისა ვიწრო კლდეებში 470
გარდაცვალება . . . 470
ოცნება კლდეზე . . . 471
*** (რომ მომცა ფრთები) . 471
გუბე 472
*** (სქელი ლრუბელი) . . 473
მე ამ ყვავილებს . . . 473
ზევით ასწიეთ მზე, ზევით! 474
ეს გრიგალია სიახლის . . 475
პირველი ვარდი . . . 475
გურიის მთები 476
მოედანზე 477
*** (გაფერმკრთალდა სავსე მთვარე) 477
ხანდახან მშფოთარ ქალაქის ხმაში 478
როგორც სიზმარი . . . 478
აფიშა, როგორ... . . . 478
რა მშვენიერი იყო ნამი... . 479
მე დავიბადე განთიადისას . 479
ყვავილები 480
ყვავილები — წუთები . . 480
ყვავილების ქალი . . . 481
მე და ზამბახი 481
სროლის ხმა მთაში . . . 482
ბავშვები კაფეში . . . 482
უბინაო ბავშვები . . . 483
ალუჩა, შვიდი წლის ბავშვი . 483
ი. ა. 484
იბობოქრე 484
ბავშვი გაზეთში . . . 485
*** (გატყდება ნავი) . . . 485
ამაო ძახილი 486
ბავშვობის დღეები . . . 486
გემზე 487
მიწა გამოჩნდა 487
ანძები 48
ლურჯი ხომალდი 48
შენ ზღვის პირად 48
ლილიან ფრთებით . . . 48
სანთლები 48
მე ერთადერთი მქონდა წუხილი 48
ფარულ ტკივილებით . . 490
შენ გვიანდები 490
მაისმა ისევ მომიტანა ლაჟვარდი ზღვები 490
მღელვარება 491
რა დროს რომანსეროა . . 491
წყნარი ზღვა 491
მეოცნებე აფრებით . . . 492
როგორც სიმღერა . . . 492
წამი წამს ეზიდება . . . 492
მფარველი იალქნები . . . 493
წყალზე 493
ლოცვაზე უფრო 493
სასაფლაონი 494
რაც იქნეს — იქნეს . . . 494
დრო 49

ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/III-45. ᲣᲔ 01458. ანაწყობის ზომა 6×10½. ქაღალდის ზომა 60 × 92. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 31.5. ნიშანთა რაოდ. ნაბეჭდ ფორმაში 40.320. შეკვეთის № 827. ტირაჟი 4.000.

საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, ეორესის ქ. № 5.

ეროვნული
ბიბლიოთეკა